

ალექსი ფარჯანაძე

ი ლ ი ა
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

წიგნი II

თბილისი

2017

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ამდენი ჭირ-ვარამი გადაიტანა საქართველომ, მან მაინც შეძლო არათუ შეენარჩუნებინა ქართული ლიტერატურა და მწერლობა, არამედ კიდევაც განავითარებინა და დაეხვეწა.

ილია ჭავჭავაძე (1837–1907) ითვლება ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად. როგორც აღნიშნავენ, სწორედ ილია ჭავჭავაძემ და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის სათაყვანებელმა პოეტმა, პროზაიკოსმა, ლიტერატორმა, დრამატურგმა, მთარგმნელმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა (1840–1915) საფუძველი ჩაუყარეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას და რაც მთავარია, მათთან ერთად თანამოღვაწეებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ქართულ სალიტერატურო ენაში ხალხური ენა. (ქართული ენის და ილიას დედა ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების შესახებ იხ. ა. ფარჯანაძე, ილია ჭავჭავაძე, წიგნი I).

ილია ჭავჭავაძემ და XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებმა, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა და ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც საერთოდ ხასიათდებოდა ხალხურობით, დახვეწეს, განავითარეს და დაამკვიდრეს ქართულ მწერლობაში ხალხური ენა.

ლიტერატურათმცოდნე პავლე ინგოროყვა (1893–1983) აღნიშნავდა:

„მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავთ: მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში – ნიკოლოზ ბარათაშვილს, საუკუნის მეორე ნახევარში – ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ქართული მწერლობის ეს ტიტანები არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა.“

მე-18–19 საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა ეპოქალური გარდატეხა ქართველი ხალხის ისტორიაში....

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თანდათანობით გზას იკვლევს და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ლიტერატურა...

ილიას სახელთან განუყრელია სახელი აკაკისა. ილიამ და აკაკიმ ერთად აზიდეს ტვირთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა, ახალი გზები გაუხსნეს ქართულ ლიტერატურას, აავსეს იგი ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი შინაარსით.“ (7, გვ.409).*

„ილიას და აკაკის მომღეწო თაობის მწერლებიდან ცალკეა აღსანიშნავი ვაჟა-ფშაველა. ვაჟას დიადი პოეზია, აღბეჭდილი ნამდვილი გენიალობით,

საქართველოს მთის ადგილობრივი ქართული კილოს ელფერით არის მოსილი; ხოლო ამავე დროს ვაჟას მხატვრული პროზა, მისი შესანიშნავი მოთხრობები, წარმოადგენენ ახალი ზოგად-ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ნიმუშს, რომელიც საპატიო ადგილს იკავებს ილიას და აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობის გვერდით.

ქართველი მწერლების დიდ პლედიაში, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით ასახლი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში, ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის სახალხო სახელმძღვანელოებმა დიდად შეუწყვეს ხელი ერთიანი სალიტერატურო ენის საყოველთაო გავრცელებას.“ (7, გვ.432)

„ხალხის სულის სარკეს ილია პოულობს, სხვათა შორის, ხალხურ სიტყვიერებაში, ქართველი ხალხის ზეპირსიტყვაობის უმდიდრეს საუნჯეში.

ქართული ხალხური სიტყვიერება სიყრმიდანვე იტაცებდა ილიას. ხოლო ამ პერიოდში, 1864–1868 წლებში, ილიამ შეისრულა თავისი დიდი ხნის სურვილი ქართული ხალხური სიტყვიერების საფუძვლიანი შესწავლისა. დასახელებული წლების მანძილზე, როდესაც ილიას მუდმივად ხალხში უხდებოდა ყოფნა და ხშირი მოგზაურობა სოფლიდან სოფლად, ილია იწერს ქართულ ხალხურ ლექსებს, ლეგენდებს, ანდაზებს.“ (7, გვ.434).

*აქ და შემდეგში პირველი ციფრით მითითებულია ლიტერატურის რიგის მაჩვენებელი, შემდეგ – გამოცემის ცალკეული წიგნი ან ნაშრომის გვერდი.

თავი პირველი.
ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული
მოღვაწეობის დასაწყისი.

§I. ილია ჭავჭავაძის ყრმობის დროინდელი
ლექსები.

ცნობილია, რომ ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია ბავშვობიდან. ყრმობის დროინდელი ლექსების შესახებ პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „არსებობს ილიას ბავშვობის დროის შვიდი ორიგინალური ლექსი და ერთი თარგმანი:

1. სიტკბოება თვის მამულში;
2. ჭაბუკობაზედ;
3. „დაღონებული არ ვიცი რაზედ“;
4. მოთქმა საწყლისა;
5. ალბომში კნ. ნ. ანდრონიკოვისას;
6. კნ. თიკო ჭავჭა. ალბომში;
7. წერილი ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისას;
8. პატარა ჩიტი...

ეს ლექსები დაწერილია ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1856 წლისა...

ესენი არც კი შეიძლება ჩაითვალოს ლექსებად; დარღვეულია ელემენტარული მოთხოვნილებანი მეტრისა და რიტმის, სტილიც სრულებით ბავშვურია....

ნამდვილად ეს ლექსები 1856 წელზე ბევრით ადრე უნდა იყოს დაწერილი. T-ავტოგრაფში ხუთი ლექსი 1, 2, 3, 4 და 8 ჩაწერილია ბავშვური, სრულებით დაუშუშავებელი ხელით და მართლწერითი შეცდომებით...

ამას საჭიროა დაუშუშავებელი, რომ არც ერთი ბავშვობის ლექსი ილიას აღარ დაუბეჭდავს, გარდა თარგმანისა „ჩიტი“. (1, ტ.1, გვ.488).

პ. ინგოროყვას მიერ ზემოთ ნახსენებ ლექსების გარდა, ილიას კიდევ დაუწერია ლექსები, რომლებიც შემდგომ დროს აღმოაჩინეს: „რწყილთაგან ტანჯვა და მათი ანბავი“, „დავსწერ სოფლისა ქებასა“ და „ჩემი გონებიდან განუშორებულო დაო ნინავ!“, ფიქრობენ, რომ ეს ლექსები დაწერილია 1849 წლის ბოლოს, ან 1850 წლის დასაწყისში და წარმოადგენს მის მიერ დაწერილ პირველ ლექსებს.

ილიას ყრმობის დროინდელი მეგობრის და ნათესავის, თავადის, კახელი მემამულის კოხტა აფხაზის (1838–1913) გადმოცემით, ილიას ლექსი

„რწილთაგან ტანჯვა“ დაუწერია სოფ. ჩალაუბანში, სადაც კოხტას და ილიას ღამე გაუტარებიათ და რწილებს დაუკებნიათ. კ. აფხაზი წერს: „ილია იქნებოდა ესე 11 წლისა. ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით [ორივე გიმნაზიელები]. კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე ვუცქეროდით გახურებულ მამითადს. საღამოთი შინისაკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლუხკაცის სახლში ვიწვევით და ღამე იმოდენა მკებნარი (რწილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთს დიდ კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი, სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწილები“ (47–48 წ.). საუბედუროთ, ეს ლექსი არ შენახულა, და არც ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს მარტო, რომ ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწილებთან ბრძოლა, და ლექსმა ბევრი გვაცინა“. (34, გვ.563).

შემდგომში, ეს ლექსი „რწილთაგან ტანჯვაი“ და კიდევ სხვა ლექსებიც აღმოაჩინეს (იხ. ქვევით).

ამ ლექსს „რწილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი“ ილია იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„კვლავ მოგითხრობთ ჩემს ანბავსა, საშინელსა, საკვირველსა,
იგია წმინდა, მართალი, დამიჯერეთ მის მნახველსა,
სიმრუშე დიდი ცოდვაა, ჭმუნვას მოგერის მომსმენელსა,
რაც რომ ჩალაუბანს მხედია, ვეტყვი ყველას წამკითხველსა.“

და შემდეგ გადმოგვცემს იქ გატარებულ ღამეს:

სოფელი ჩალაუბანი მცირე რამ ნუ გეგონებათ.
მუნ არის რწილთა სამეფო, საკურველი სასმენელათ,
მუნვე ალაგი რჩეული – რწილთა მეფის საბრძანებლათ,
ყოველი მათი მნახველი არ წამოვა უვნებელად.

შემომესივნეს იგინი, გაიმართა დიდი ბძოლა,
ზოგი ცხვირს მკებნს, ზოგი ლოყას, მით ინმარეს დიდი ძალა,
შემოხვევნა მათი გარსა ჩემთვის იყო დიდი ბალა,
ზოგსა ვხოცდი, ზოგსა ვსტყორცნი, ზოგი სადღაც დამემალა....

რწყილთა სპასპეტს მოვახსენე: – აწ მითხარით, მებრძვით მე რათ?
მან არა მიპასუხა რა, გაუტეხე თავი ორად,
რწყილნი გმირულად ილტვოდნენ, მეც კი ვიყავ ვაჟკაცურათ,
რომელი რომელს შევსტყორცნე, დაიხოცნენ უზრუნველათ.

აბა, რაღას ვაგრძელებ მე ამბავსა საკურველსა,
დამტანჯეს, ვითა ჯოჯოხეთს სტანჯენ დიდსა შემცოდესა,
დიდი ტანჯვა და ჭმუნვა მერგო მათსა მასპინძელსა,
თრთოლას მიყოფს, რომ ვიგონებ ღამესა მას მაშინდელსა..“

(2, ტ. I, გვ. 277).

ილია, მეორე უსათაურო ლექსს, იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„დავსწერ სოფლისას ქებასა მე ყრმაი გამოუცდელი,
სახელათა მძევს ილია, ვარ რა სოფლისა მნახველი,
მე არა ვსცხოვრობ მას შინა, ხოლო ვარ იქა მყოფელი,
და რაც არ მეცადა, მუნ ვცადე, ჭმუნვა რა ვნახე ყოველი.“

ხოლო, შემდეგ აღწერს ამ სოფლის სიმდიდრეს და მღებარეობას:

„ჩალაუბნისა სიკეთე რაზომც არ დამახსოვდება,
მუნ ვცანი დიდი ტანჯვა, მუნვე ბუნების დიდება,
მისთვის მოვიხმე კალამი და სრული გონიერება,
რომა ვახსენო, ვადილო მე მისი მშვენიერება.
სამთა მთათ შუა მღებარე, ვნახე მე იგი სოფელი,
მაწონსა, რძესა, ნაღებსა მუნ ჰპოებს სული ყოველი,
იგია კახთა ქალისა სიმაგრე დიდი მომგლელი,
აი, რით არის მდიდარი მუნ მყოფი ყოველი ცხოველი.
მას გარშემო არტყია მთანი თვალმიუწლომელნი,
მათ ზედა ტყესა მოსილსა შეენატრიან იქა მყოფელნი,
მწვანის ხავერდით მოსილნი ამაყობენ მისი ველნი,
და ამით არიან საქებნი ჩალაუბანს მცხოვრებელნი.

აწ მოვახსენებთ, სად არის ამ სოფლის არემარე,
იგი ყოვლისფრით შემკული ქიზიყსა არის მღებარე,
ყოველს ქიზიყის სოფელშიდ ვირი არის ასიც ბარე,
და მე რომ ვნახე მუნ ვირი, საკვირველებსა ვადარე.

აბა, საწუთროვ, ჩალაუბანმა რა გაწყინა, რა შეგცოდა,
მის საგანგებოს სიტურფეს დიდყუროვანი დააკლდა,
რატომ არ უძღვენ მას ვირი, მითი მას გული დალობდა,
მაშინ სიტურფით სრული ჩალაუბანი დიდს მადლობას გეტყოდა.“

(2, ტ. I, გვ. 280).

ფილოლოგი და მწერალი თეიმურაზ დოიაშვილი ილიას ამ ლექსების შესახებ აღნიშნავს, რომ ლექსი „რწყილთაგან ტანჯვა და მათი ანბავი“ „1938 წელს აღმოაჩინა და გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ, რომელიც მას დამოუკიდებელ ნაწარმოებად კი არ თვლიდა, არამედ ილიას მეორე ყრმობისდროინდელი ლექსის – „დავსწერ სოფლისას ქებასა“ გაგრძელებად.

ახალი აკადემიური გამომცემელი არ იზიარებენ პოეტისა და მკვლევარის ამ მოსაზრებას – ზემონახსენებ ლექსებს დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიიჩნევენ, ხოლო კ. აფხაზის მოვონებაზე დაყრდნობით („აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწყილებიო“) პირველ ნაწარმოებად „რწყილთაგან ტანჯვას“ თვლიან.

როგორი ტექნიკური დეფექტებიც არ უნდა ჰქონდეს ილიას ამ პირველ შემოქმედებით ნიმუშებს, ერთი რამ აშკარაა: 11-12 წლის ყრმა არამარტო კარგად იცნობს ყველა ქართული პოეზიის ნიმუშებს („ვეფხისტყაოსანი“, ლავითიანი“), არამედ საკმაოდ წარმატებით ახერხებს მათ მიბაძვას.

საგულისხმოა ერთი პრინციპული მომენტი. საოცარია, მაგრამ ფაქტია – ეს წმინდა მიბაძვა კი არაა, არამედ სტილიზაციისა და პაროდირების ელემენტების შემცველი მოვლენაა: გმირულ-სარაინდო თემატიკასთან დაკავშირებულ შაირის მეტრში სახუმარო-საოხუნჯო შინაარსია შეტანილი. კომიზმის შექმნაში აქ სხვა ფაქტორებთან ერთად თავისებურ როლს ასრულებს წინააღმდეგობა ყოველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის.“ (33).

თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ 1852 წ. ილიას ჯერ დაუწერია „დავსწერ სოფლისა ქებასა“, ხოლო შემდეგ, 1856 წლამდე, „რწყილთაგან ტანჯვა“. რადგან, მართალია ეს ორივე ლექსი არ წარმოადგენს სანიმუშო ლექსებს, („მასში დარღვეულია ელემენტარული მოთხოვნილებანი მეტრისა და რიტმის; სტილიც სრულებით ბავშურია.“), მაგრამ, მასში გადმოცემული მოვლენები იმდენად კარგად არის ასახული დახვეწილი იუმორით, წარმოუდგენელია, რომ 11 წლის ბავშვს ასე დაეწეროს. ამავე დროს, ითვალისწინებენ იმასაც, რომ ლექსს „დავსწერ სოფლისა ქებასა“, ბოლოში ილიას მინაწერი აქვს „ქება დასრულდა“; ხოლო „რწყილთაგან ტანჯვას“, „სრულ იქმნა“. ცნობილია

ისიც, რომ ამავე 1852 წ. ილიამ თავის უფროს დას – ნინოს (1834–1883), მიუძღვნა ლექსები: „დავსწერ სოფლისა ქებასა“ და „ჩემი გონებიდგან განუწორებელი დაო ნინავ!“

პ. ინგოროყვას გადმოცემით, ლექსი „წერილი ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისას“ დაწერილია 1852-1856 წლებს შორის. რადგან მასში „მოხსენებულია ილიას დისწული გიგო“. ნინო ჭავჭავაძე გათხოვილა თავად ნიკო შერმაზანის ძე აფხაზზე (1828–1907) „11 თებერვალს 1851 წელს“. (1, ტ.1, გვ.489).

ნინოსთვის მიძღვნილ ლექსს, ილია იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„ჩემს საყვარელს დას, სასურველს ნინას,
წიგნსა მოგწერ, თუ ყურს მისცემ სმენას,
შენის ლოცვისთვის ვსტანჯავ მე ენას,
შენთვის ღმერთსა ვსთხოვ შვებას და ღზენას.“ (2, ტ.1, გვ.283).

აქვე აღნიშნავს, რომ ამ ლექსთან ერთად გადაუცია, „დავსწერ სოფლისა ქებას“ და ახსენებს პატარა გიგოს:

„ამ წიგნთან გიძღვნი ჩალაუბანის ქებას,
თუ წარკითხვისთვის დართობ შენს ნებას,
მარავალსა ჰპოვებ მუნ შეცოდებას,
და რათთა ვიფიქრებ მის მოწონებას.
შენსა შვილსა, ჩემს დისწულსა გიგოსა,
მაგ ვარდის კონას, დრამის წონას, გვრიტოსა,
ათასჯერა ჩაუტყლოშნი მის თვალებსა ცქვიტოსა,
და შემწეობას მისთვის მასსა ვთხოვ, ვისთვის მან თეთრი იმოსა.“

ამ ლექსს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ბევრსა მოგწერდი, მაგრამა ენა არა მაქვს ტკბილია,
ჩემი ნალექსი სიტყვები გულისთვის მეტად ღბილია,
მისთვის ვასრულებ ამ წიგნსა, თვალსაც მომედვა ძილია,
და დავშთები აქა შენი ძმაი, მე ჭავჭავაძე ილია.“ (2, ტ.1, გვ.283).

საერთოდ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ილიას, ყრმობის დროინდელი ლექსები, მიბაძვითი ხასიათისაა, მათ აკლიათ ორიგინალურობა და შემოქმედითი დამოუკიდებლობა.

ლექსში „სიტკბოება თვის მამულში“, ილია განიცდის თავის სახლ-კარის, თავის მამულის დაშორებას, სადაც „ყმაწვილობა“ გაატარა.

„მოდით შორს მყოფნო, თქვენს მამეულში,
მის სიტკბოება მაქვს მეტი გულში,

მე მუნ შთავარდი ბედშია სრულში,
ამას სწორეთ ვიტყვი, არა ვარ მრუში.

თქვენ იგი სახლი, მოდით, იხილეთ,
სადაც დედისა ალერსი ზილეთ,
სადაც მამისა სიყვარული სტკბილეთ.

თქვენს ყმაწვილობას მუნ განიახლებთ,
დიდს სიტკბობას გულს განიტარებთ,
ყოველი საგანი მოგიალერსებთ –
და რას სიამოვნებას გულს განიაზრებთ.

აგე ის ბალი, სადაც შენა
დარბოდი, ხტოდი, არ გქონდა ქშენა,
გახსოვს, შენ ოდეს ჩიტის დაშტვენა
ვითა გაიმა, ვით დაგაშვენა.

მოდით, შორს მყოფნო, შენს მამეულში,
მის სიტკბობა მაქვს მეტი გულში,
მე მუნ შდავარდი ბედშია სრულში,
ამას სწორეთ ვეტყვი, არა ვარ მრუში.“ (2, ტ.I, გვ.285).

მეორე ლექსში, „ჭაბუკობაზედ“, ილია მისტირის დაკარგულ სიჭაბუკეს,
„სიცოცხლის ვარდს“.

„კაცის სიცოცხლეს აქვს გაზაფხული,
მას სიჭაბუკე აქვს წოდებული,
ვინც მაგ ხანშია შეწონებული,
არის ყოველთვის ზენატრებული.

შენ, სიჭაბუკე, სიცოცხლის ვარდო,
კაცთ შემკობელო, მისვე ნავარდო,
შენ ყველა გეტრფის, სიცოცხლე მარდო,
შენ მოხუცისაგ მწველო და დარდო.

შენ, ჰეი, ჭაბუკო, ხარ უმეტარი,

სიტყვა მაქვს შენთვის შთასაგონარი,
ყური მომიპყარ, არა სთქვა უარი,
მით ნუ იქნები გაუგონარი.
ჭაბუკობაში სიკვდილს არ აზრობთ,
რატომ არ იცით, იგი ვით გასწრობთ,
ბერსაც, ჭაბუკსაც იგი მოგასწროფთ,
ყელსა წავიჭერთ, ისე დაგარჩობთ.

იმისთვის გეტყვით, რაც აქა ბრწყინავს,
ხვალ დაბნელები, ამ სოფელს ბრუნავს,
თქვენ ის ეძებეთ, რისთვის ბერი ძრწუნავს,
სამოთხეს პოებთ, მუნ ბნელიც ბრუნავს.“ (2, ტ.I, გვ.287).

ცნობილია, რომ თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს, ილიას ყვარულ-ში გარდაეცვალა მამა – თავადი, გადამდგარი ოფიცერი (შტაბს-კაპიტანი), გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე (1811–1852); ხოლო, დედა, – მაგ-დანა (მარიამ) ქრისტეფორეს ასული ბებურიშვილი (1818–1848) გარდაცვლილი ჰყავდა. ფიქრობენ, რომ თავისი ეს მწუხარება, დაობლებულმა ილიამ გამოხატა ყრობის დროს დაწერილ ლექსში „მოთქმა საწყლისა“–ში. სადაც იგი ჩივის, რომ მას „არცა... სახლი“ და „არც... ქონი“ აქვს და ენატრება ის დრო, როდესაც ჰყავდა მას დედ-მამა.

„ერთხელ მეც მქონდა ბედნიერი დრო,
როს დედ-მამასთან მე მქონდა ყუდრო,
მარა სიკვდილმან იგი წამართო,
ჭმუნვითა დამყო წყეულმან მარტო,
ვხედამ მე ბევრსა, ბედით არს მტკბარი,
ყოვლისფრით სავსე არს მოცინარი,
ხოლო გზა ჩემი მათ გვერდზედ არი
და ჩემს თვალზედა არ არის დარი.

მე ვარ საწყალი ქვეყნათ უსუდრო,
არცა მაქვს არსად მცირედი ყუდრო,
რომე მუნ მივწვე, მუნ მივეყუდრო,

კარი-კარ პურს ვითხოვ, უდროთ უდრო.“ (2, ტ.I, გვ.291).

ადრინდელ, მეორე ლექსში, ილია შემდეგნაირად გამოთქვამს მწუხარებას:

„დაღონებული, არ ვიცი რაზედ,
ვიჯექ ბნელს ღამეს მე მოაჯარზედ,
ერთი ვარსკვლავი არა სჩანდა ცაზედ,
ვერას ვხედიდი ჩემს წინა მთაზედ.

შავნი ღრუბელნი გარს მოდებულნი,
თითქო ქვეყანზედ შეშფოთებულნი,
თითქო წვიმისთვის გამზადებულნი,
სივრცესა ცისას იყვნენ კრებულნი.“ (1, ტ.1, გვ.339).

მალე ღრუბელი გადაიყარა, „განათლდა“ ბუნება და „მამინ გარდევალე გარს ჩემნი თვალნი“.

„ჯერეთა ვნახე მთვარის ნაწილი,
ღრუბლით იჭვრეტდა ვითა ყმაწვილი,
ვითა ფიალა შემოვერცხლილი,
მერეთ გამოჩნდა მთვარე აღვსილი.

ნელი ნიავი ფოთოლს ანძრეკდა,
თითქოს ნანის ხმით ჩემს ყურს აძლევდა,
ძილი მიქროლა, თვალსაც დამთულებდა,
მუნ დავიძინე, ვიდრე გათენდა.“ (1, ტ.1, გვ.340).

ამავე ხანებშია დაწერილი მიძღვნილი ლექსები: „ალბომში კნენიას ნატალია ანდრონიკოვისას“ და „კნიაჟნა თიკოს ჭავჭავაძის] ალბომში“.

ფიქრობენ, რომ ნატალია ანდრონიკოვა (ანდრონიკაშვილი) იყო ილიას ნათესავი.

„ნელ ტანის რხევა, ნაზი ქცევა მე შენი ვნახე,
არს შენნი თვალნი განათალნი ჭაბუკოთვის მახე,
ტუჩთა ღიმილი, შენი სიცილი, გულსა ვისახე.
ორთა ვით დათა, ცელქობამ კავთა, გიშენეს შენ სახე –
როს თამაშობა ქორწინობას მე შენი ვნახე.

გიძღვნი ამ ლექსსა საალბომოდ, სხვათა მივბაძე,
რომ მომიგონო, ძმად მიგონო მე ჭავჭავაძე.“ (1, ტ.1, გვ.340).

თიკო ჭავჭავაძე ილიას ოჯახის ახლობელი იყო.

„ჩემებრსა სუსტსა შენი ქება ვით შეეძლება?
შენ ხარ ქებაზედ აღმატებულ, ესე მეთქმება,
შენ თვითონ იცი, რალა ფიცი მე მომინდება,
რომ შევნება შენი ქვეყნიერსა არ ეღარება.

გთხოვ, ამ სუსტსა ლექსსა ალბომში მისცე მცირედი წილია,
რომ წარკითხვითა მიგონო მე შენი ძმა ილია.“ (2, ტ.I, გვ.294).

კონტა აფხაზის გადმოცემით, ახალგაზრდა ილიას შეყვარებია ყვარელში, მათი ახლო მეზობლის სოლომონ ჭავჭავაძის (1797–1875) ქალიშვილი ელისაბედი (ლიზა). ეტყობა, რომ სოლომონი არ ყოფილა წინააღმდეგი მათი დაახლოებისა და ილიას პეტერბურგში ყოფნის დროს, მამიდამისის – მაკრინეს [(1792–1872), თავად პაატა ჭავჭავაძის ას. (1755–1824), ივანე რაფიელის ძე ერისთავის (არაგვის) (1788–1840) მეუღლე] შემწეობით, სწავლის ფულსაც უზავნიდა. შემდეგში, ილიას დაჟინებული მოთხოვნით, მაკრინეს სოლომონის ვალი გაუსტუმრებია. გადმოცემით, 1860 წ. 5 ნოემბერს ილიას მიერ პეტერბურგში დაწერილი ლექსი „გახსოვს, ტურფავ“, ეხება სწორედ ლიზას. სადაც პოეტი იხსენებს მათ სიყვარულსა და დაშორებას.

„გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!..სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!“
ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!..“

პოეტი იხსენებს, რომ იმავე ბაღში, მან ტრფობით აღვზნებულმა „ლოყით
კოცნა მე მოგპარე“ და ამ ლექსს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„გახსოვს, ტურფავ, იმავე ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ჰგუშავობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა;
დაგყურებდი, ვეღარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;
შენ შეჰკრთი და ლამაზ თითით
ლიმილით დამემუქრე.

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა: ბოლოს გესლად
შენის გამოვით შემეცვლოდა.“ (1, ტ.1, გვ.67).

პ. ინგოროყვაც ამ ლექსის შესახებ წერს, რომ „ფიქრობენ, რომ ეს ლექსი ეხება ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას... საფიქრებელია აგრეთვე, რომ ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას ეხება ილიას მეორე ლექსიც – „ალაზანს“.“ (1, ტ.1, გვ.399).

ცნობილია, რომ 1856 წლის 17 ნოემბერს ილიას გადაუთარგმნია ლექსი „ჩიტი“ (ლექსის ავტორი უცნობია). ეს იყო ილიას პირველი თარგმნილი ლექსი და პირველი ლექსი, რომელიც დაიბეჭდა 1857 წლის ჟურნალ „ციცქარი“-ს საახალწლო ნომერში. (ლექსი „ჩიტი“-ს შესახებ იხ. თავი მესამე, ილია და თარგმანები, გვ. 215).

ილიას ყრმობის დროინდელ ლექსების ხარვეზების შესახებ, თ. დოიაშვილი წერს:

„ამ დეფექტების თავიდან აცილება ლექსის თხზვაში ოდნავ გაწაფულ ხელს ადვილად შეეძლო, მაგრამ მათი ავტორი, რომელიც მხოლოდ 11-12 წლისაა, როგორც ავტორი ცხადყოფს, წერის პროცესშიც არაერთ შეცდომას უშვებს. თავად ილია გულწრფელად აღიარებს:

როგორც ხმასა ყორანისას ბულბული არ მოიწონებს,
ისე ჩემსა ლექსთ-თხზულებას პოეტი არ შეიწყნარებს,
ვიცი, ამის წამკითხველი შეცდომასაც ბევრსა პოებს,
მე იგივე შემიწყნარებს, შემიწყალებს, მომიტყეებს.“ (33).

თბილისის უძველესი საშუალო სასწავლებლის – გიმნაზიის 1856 წ. დამთავრების შემდეგ, ილია სწავლის გაგრძელების მიზნით, მიემგზავრება რუსეთში. პეტერბურგში ჩადის 1857 წლის ზაფხულში და ხდება პეტერბურგის უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. აქ ყალიბდება როგორც პოეტი; იწყებს საზოგადო და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ამ დროს (1857 წ.) არის დაწერილი მისი პირველი სრულყოფილი შესანიშნავი ლექსი „ყვარლის მთებს“, სადაც იგი ეთხოვება სამშობლოს. ამ ლექსის პირველივე სტრიქონიდან ჩანს, რომ ილია ბავშვობიდანვე დაჯილდოებული ყოფილა პოეტური ნიჭით. ესაა მგზნებარე სიმღერა თავისი საყვარელი ბუნების მიმართ. ლექსის კითხვისას, თვალწინ წარმოგვიდგება მის მიერ მომხიბლველად აღწერილი ყვარლის მთები და მისი ბუნების სილამაზე.

პ. ინგოროყვა წერს:

„ილია ამ დროს მეოცე წელში იყო გადამდგარი. ილია სულიერად უკვე დავაჟკაცებული იყო. იგი სიმწიფეში შედიოდა როგორც პოეტი. არწივი ამ დროს პირველად შლიდა ფრთებს:

გამოსათხოვარ ლექსში, რომელიც ილიამ უძღვნა თავის სამშობლოს მთებს, ილია ამბობს:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“ (7, გვ.382).

ამ ლექსის შესახებ, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, მთარგმნელი და კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე (1885–1960) წერდა, რომ ილია:

„შემოდგომის ბუნებაში იგი ხშირად ხედავს სევდას და ნაზ მოწყენილობას, გაზაფხულისაში – მთვრალ, თავდავიწყებულ განცხრომას, ამაყ სიდიადეს და ჯიუტობას მთების ზეცისკენ სრბოლაში და ცელქ უმანკობას ანკარა რუს ჩხრიალში. ილია ჭავჭავაძემ თავის „ყვარლის მთებში“ თითქმის ტრაგიკულ სიდიადე აიყვანა სულიერი მოძრაობა სამშობლო მთებისა.“ (24, ტ. II, გვ.40).

„ყვარლის მთების“ კითხვისას, ავტორთან ერთად თვალწინ წარმოგიდგება ბუნების სიმშვენიერე:

„მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შეენატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დალუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული.“ (1, ტ. I, გვ.3).

ამ ლექსში იგრძნობა უკვე ის პოეტური სიძლიერე და სინატიფე, სიმსუბუქე, პოეტური დიდბუნებოვნება, სიყვარული ამ ბუნების მიმართ და პოეტთან ერთად მოგინდებათ ამოფრინდეთ და გადაევლოთ ამაყ მთების თავს.

„იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრივალევითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.

როცა ჰღმუოდნენ ხევი მიჭიფრნი სასტიკნი ქარნი,

ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
ვითა ფოთოლი — ისე ვირთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს.“

(1, ტ.1, გვ.3).

პოეტი მოხარულია, რომ ამ განშორების ჟამს, იგი დაბადებულია ამ ბუნების სილამაზეში და ისიც ამ ბუნების შვილია.

„აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენი ვარ შვილი,
გრიგალთა, მენთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი.“

ილია, რუსეთში წასვლის მიზანსა და სულიერი განწყობილების მიზეზს, შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელად?!“

თანდათან ჰქრებიან ყვარლის მთები, უკვე ამ მთების სილამაზე აღარ ჩანს. ეს ლირიკული პატრიოტული ლექსი მთავრდება გამომშვიდობებით და ამიერიდან, შორის მხრიდან მოაწვდენს გულსა და თვალსა.

„თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენიერად ცას
აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას!..“

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა,
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენი ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.“ (1, ტ.1, გვ.4).

„ყვარელი, სადაც გაატარა მომავალმა პოეტმა ბავშვობა და სიყმაწვილე, საუკუნეების მანძილზე იცავდა ჩვენს საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების კარიბჭე, რომელიც იცავდა ჩვენს ქვეყანას მომხდური მტრის ამოხრებელი შემოსევებისაგან და რბევებისაგან. ამის დასტურად აქ დღემდე არის შემორჩენილი ძველი ბურჯებიანი ციხე-გალავანი და კოშკები...“

ილიას პოეტურ მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილა კახეთში, ალაზნის პირას გატარებული სიყმაწვილის დაუვიწყარი დღეები და აქი 1859 წელს არტურ ლაისტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, დაწერა კიდევ უმშვენიერესი ლექსი „ალაზნის“, რომლის მსგავსი კახეთზე არც მანამდის და არც შემდეგ დაწერილა:

„მდინარევე, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო!
აწ შენს კიდეზედ ვდგევიარ, დაგცერ მე, მეგობარო!
დაგცერ ჭმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
ღროთა ბრუნვისგან შენ ზვირთთ შორის დამარხულს, დანთქმულს.
რაც კი არს ჩემს-წინ, მომაგონებს მას, რაც დავკარგე
და რის წუხილიც უნუგეშოდ გულში ღრმად ჩაგვრგე!“.....

ილიას თავისი პირველი ლექსები, მისი გამდელის სალომე ლოლაძის მო-
გონებით, სწორედ ყვარლის სახლ-კარისთვის მიუძღვნია: „მასსოვს, (ილიამ)
ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე.“ (36).

§II. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში.

პეტერბურგის უნივერსიტეტი ილიას დროს ითვლებოდა რუსეთში ყველაზე
უფრო მოწინავე სასწავლებლად. ამიტომაც იყო, რომ ყველას, ვისაც უნდოდა
განათლების მიღება და ცოდნის გაღრმავება, ცდილობდა პეტერბურგის უნივერ-
სიტეტში მოხვედრას. ქართველი ახალგაზრდობაც მიეშურებოდა პეტერბურგს.

საერთოდ, ახალგაზრდობა, ახალი თაობა, ყოველთვის ძველი ცხოვრების
წესებით და ძველი ცხოვრების ფორმებით არასდროს არ არის კმაყოფილი.
იგი ეძებს ახალ გზებს, მიისწრაფვის ახალი იდეებისა და ცოდნის შეძენისაკენ.

პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი და საზოგადო მოღ-
ვაწე ნიკო ნიკოლაძე (1843–1928) ახალი თაობის შესახებ წერდა:

„ვინც უწინდელ დროში, 1861-მდე, ჩვენს საზოგადოებას გონიერების, გა-
მოცდილების, მოხერხების და ჭკუის მადნათ მიაჩნდა, ვისიც სიტყვა და რჩევა
შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდი განუხილავთ, უწინააღმდეგოთ ბევითად მიიღე-
ბოდა, ის დღეს ყველას საბრალო უმეცრათ, გაფლიდებულ მკითხავათ მიაჩნია.
ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს
მანანდა წაუხდინა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვ-
ნო უბედურებას ვერც იმათმა ჭალარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ.
ყველაფერი შემუსრა და შეურაცხყო ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა
„მოთხოვნილებამ.“ (19, ტ.14, გვ.42).

ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი მიხეილ ზანდუკელი
(1889–1969) აღნიშნავდა:

„მომავლის სახის და შინაარსის გამონახვა და შესაფერი მოქმედების გეგმის
შემუშავება ადვილი საქმე არ იყო. ამისათვის როგორც გონებრივად, ისე
ზნეობრივად შესაფერი ცოდნითა და მომზადებით აღჭურვა იყო საჭირო. ამ

მიზნისათვის ჩვენი ქვეყნის სინამდვილე, სამწუხაროდ, სასურველ ნიადაგს არ იძლეოდა. ახალ ცხოვრებას მოწყურებული ჩვენი ახალგაზრდობა ძიების სურვილის დასაკმაყოფილებლად, ახალი ცხოვრების გზის გამოსანახავად მიეშურებოდა რუსეთს.“ (26, გვ.44).

ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები წარმოადგენდნენ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებს და საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩამოაყალიბეს საქართველოს განმათავისუფლებელი, პირველი ჰუმანისტური დემოკრატიული მოძრაობა „პირველი დასი“. ისინი ჩაუდგნენ სათავეში ხალხს და დაიწყეს ბრძოლა „თვითმყრობელურ-ფეოდალურ და საერთოდ ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ; ზრუნავდნენ საქართველოს ეროვნული აღორძინებისათვის, მშრომელი ხალხის განთავისუფლება-გაძლიერებისა და ძველი ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციების დემოკრატიულ საფუძველზე განვითარებისათვის, მოითხოვდნენ ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრების ყოველმხრივ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. იღვწოდნენ ქართული ენის ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზროვნების განახლების და აყვავებისათვის. უმთავრესად კრიტიკული რეალიზმისა და მატერიალიზმის დამკვიდრების გზით.“ (30, ტ.8, გვ.72).

პეტერბურგში ჩასულ ახალგაზრდებს ჩამოუყალიბებიათ ქართველ სტუდენტთა წრე. ამ წრეში მოღვაწე პირებს შემდგომში „თერგდალეულებს“ უწოდებდნენ. ამ წრის ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, რომ ქართველ სტუდენტთა წრის ყველას მიერ აღიარებული მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო.

კ. აფხაზის თქმით, ამ წრის წევრები ილიას მეთაურობით ხშირად იკრიბებოდნენ და „ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჭავებულ სამშობლოს მომავალზე.“ (7, ტ.1, გვ.405).

ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში იმყოფებოდა ილიას შემდეგ. იგი ქართველ სტუდენტთა წრის შესახებ წერს:

„მამინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მამინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო უმჯობესია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად.... ჩვენს ახალგაზრდობას აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზედ, მთებს გადაღმა, სამშობლოში ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოსო!“ (7, ტ.1, გვ.405).

XIX საუკუნის 60-იან წლებში, პეტერბურგში მოღვაწე სწორედ ეს ქართველი სტუდენტები, წარმოდგენდნენ, ილიას ხელმძღვანელობით, იმ ბურჟს, რომელთა მოღვაწეობამაც წარმოაჩინა საქართველოს მომავალი მდგომარეობა. ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც ხარბად დაიწაფენ რუსეთის და ევროპის მეცნიერებას, ლიტერატურას, მოწინავე იდეებსა და შეხედულებებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ აქ დაუახლოვდნენ და გაეცნენ ევროპის ფილოსოფიურ შეხედულებებსა და ევროპის კულტურას. ეს ის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც ამ ცოდნისა და განათლების მიღების შემდეგ, დაბრუნდნენ საქართველოში და დაიწყეს ბრძოლა სოციალური და განსაკუთრებით ეროვნული მდგომარეობის გადაჭრისათვის. ეს ბრძოლა „ქართველ სამოციანელთა“ და „თერგდალეულთა“ სახელითაა ცნობილი ქართულ ლიტერატურაში.

ფილოსოფოსი ვახტანგ გაგოიძე „სამოციანელების“ შესახებ წერს: „ქართველმა სამოციანელებმა, რომელთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო, იმიტომ მოიპოვეს დიდი სახელი და დაიპყრეს ფართო სამოქმედო არე, რომ ისინი თავისი ეპოქის შვილები იყვნენ, თავის ამხსნელად და გარდამქმნელად წარმოშვა თვითონ ცხოვრებამ. ისტორიული გამოცდა გვიჩვენებს, რომ ყოველი ახალი ეპოქა არა მარტო მოითხოვს, არამედ კიდევ ბადებს ადამიანებს, რომლებსაც შეეძლებათ გაგება გადასაჭრელად მომწიფებული საკითხებისა და ექნებათ ენერგია სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოების მოზღვავებულ ძალებს ამ საკითხების გადაჭრისათვის ბრძოლაში.“ (14, გვ.7).

სტუდენტობის ყოფნის დროს, ილიას არ დაუკარგავს არც ერთი წუთი უქმად. იგი ეცნობოდა რუსულ ლიტერატურას, მეცნიერულ-ფილოსოფიურ აზროვნებას და საერთოდ რუსულ კულტურას. გაეცნო და შეისწავლა მისი დროინდელი ახალი ქართული ლირტერატურა, საქართველოს ისტორია, ძველი ქართული მწერლობა და ანტიკური ხანის ლიტერატურა საქართველოს წარსულის შესახებ.

კ. აფხაზის გადმოცემით:

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა... კითხულობდა სხვათაშორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია.“ (7, გვ.384).

ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს:

„ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნების და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზედ ევლებოდნენ.“ (7, გვ.386).

პეტერბურგში ილია გაეცნო რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას. დაუახლოვდა რუსეთის მოაზროვნეებს:

ბესარიონ ბელინსკის (1811–1848) – რევოლუციონერ-დემოკრატი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი;

ალექსანდრე გერცენს (1812–1870) – რევოლუციონერი, მწერალი, ფილოსოფოსი;

ნიკოლოზ დობროლიუბოვს (1836–1861) – რევოლუციონერ-დემოკრატი, პუბლიცისტი, ლიტერატორ-კრიტიკოსი;

ვარფოლომეი ზაიცევს (1842–1882) – პუბლიცისტი და კრიტიკოსი;

ნიკოლოზ ნეკრასოვს (1821–1877) – პოეტი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „სოვრემენიკის“ რედაქტორი;

ნიკოლოზ ჩერნიშევსკის (1828–1889) – რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი, კრიტიკოსი, ეკონომისტი, ფილოსოფოს-მატერიალისტი.

ილიას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნ. ნეკრასოვთან და ნ. ჩერნიშევსკისთან. ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგის ლევან ასათიანის (1900–1955) თქმით:

„1889 წელს დაწერილ ერთ-ერთ სტატიაში ილია ერთგვარად აჯამებდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას მე-19 ს. მეორე ნახევარში და უდიდეს შეფასებას აძლევდა რუსულ მწერლობის, ფილოსოფიის და მეცნიერების განუზომელ როლს ამ განვითარების საერთო პროცესში.“ (25, გვ.250).

ამავე დროს ილია ეცნობა ევროპის ლიტერატურას, ისტორიას, ხელოვნებას, საღმრთო მოძღვრებას და საერთოდ ევროპის ახალ აზროვნებას. პ. ინგოროყვა აღნიშნავს:

„როგორც ირკვევა, ილია ახლოა გაცნობილი საფრანგეთის დიდ განმანათლებლებს, ასევე გერმანულ ფილოსოფიას, კერძოდ ჰეგელს. ეს ჩანს, პირველ რიგში, იმ ბრწყინვალე ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნაშრომიდან, რომლითაც იხსენება ილიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (შესავალი წერილი „საქართველოს მოამბეზე“).

ილია, როგორც ირკვევა, გაცნობილი იყო დიდ უტოპისტ სოციალისტებს, რომელთა იდეების მიმდევრად ილია გვევლინება როგორც ახალგაზრდობის დროინდელ „აზრდილში“, ისე თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც ერთგვარ პოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენს. ილია, როგორც ჩანს, ახალგაზრდობიდანვე თვალ-ყურს ადევნებდა ევროპის

სოციალისტურ მოძრაობას, იგი გაცნობილი იყო ანარქიზმის მოძღვრებასაც. რასაკვირველია, შემთხვევით არ იყო ის გარემოება, რომ ილია თავის „საქართველოს მოამბეში“ ადგილს უთმობს პრუდონს.“ (7, გვ.402).

„ილია ხშირი მკითხველი ყოფილა ილიადასი, ასევე ლუკრეციუსის, ვირგილიუსის, ჰორაციუსისა.

ილიასათვის განსაკუთრებით საყვარელ მწერლებად ბოლომდე დარჩნენ – რუსთაველთან ერთად – შექსპირი და ბაირონი. ამ უკანასკნელს იგი გოეთეზე მაღლა აყენებდა.“ (7, გვ.403).

უნივერსიტეტში ყოფნის დროს, როგორც მისი ნაწერებიდან ირკვევა, ილია თვალყურს ადევნებდა მსოფლიოში მომხდარ ამბებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს ევროპაში, ირლანდიელი ხალხის გმირულ ბრძოლებს ინგლისელ დამპყრობელთა წინააღმდეგ და სხვა ამბებს. განსაკუთრებით აღვრთოვანებული ყოფილა იტალიის სახალხო გმირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწის ჯ. უ. ზეპე გარიბალდით (1807–1882), ოცნებობდა, რომ ასეთივე მოძრაობა დაწყებულიყო მის სამშობლოში და როდესაც გარიბალდომ, კუნძულ სიცილიაზე აიღო ქალაქი მესინა და გადავიდა იტალიის ნახევარკუნძულზე, ილიამ თავისი აღტაცება გამოხატა ლექსით, რომელიც დაწერა 1860 წ.

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს,
დასათრგუნელად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში....
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამავონე ჩემს მამულში!“ (1, ტ.1, გვ.62).

პ. ინგოროყვა წერს:

„ილია იმდენად გატაცებული იყო იტალიელი ხალხის ამ დიდი მოძრაობით, რომ იგი ერთხანს ფიქრობდა ვოლონტერად წასვლას გარიბალდისთან იტალიაში.

ილია ბოლომდე დარჩა თავყანისმცემელი იტალიელი ხალხის დიდი გმირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის გარიბალდისა. როგორც ცნობილია, გარიბალდის პორტრეტი ამშვენებდა ილიას სამუშაო ოთახს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.“ (7, გვ.404).

პეტერბურგში ყოფნის დროს, ილიას ჩამოუყალიბდა ის მსოფლმხედველობა, რომელიც საფუძვლად დაედო მის შემდგომ მოღვაწეობას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

პ. ინგოროყვას თქმით:

„ილია არა მარტო მხატვარი იყო, იგი ცენტრალური ფიგურა იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა; ილია ათეული წლების განმავლობაში – თავისი იდეებით ჰკვებავდა ქართულ აზროვნებას.“ (1, ტ.1, გვ.424).

პეტერბურგის უნივერსიტეტში ილია იმყოფებოდა 1857–1861 წლებში.

1861 წლის სექტემბერში რუსეთში დაიწყო სტუდენტთა გამოსვლები. ამ არეულობასთან დაკავშირებით მთავრობამ უნივერსიტეტი დახურა და დაიწყო რეპრესიები.

უნივერსიტეტის რექტორი, პროგრესიულად მოაზროვნე პროფესორ-პედაგოგები და ის სტუდენტები, რომლებსაც მთავრობა თვლიდა არეულობის ორგანიზატორებად, დაითხოვეს უნივერსიტეტიდან.

ილია ჭავჭავაძეც გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ვინაიდან ხელისუფლებამ კარგად იცოდა ის, რომ იგი იყო ქართველ სტუდენტთა ხელმძღვანელი და მის მიერ ჩატარებულ კრებებზე იხილებოდა როგორც საზოგადოებრივი, ასევე დაბეჭადვითი სამშობლოს მომავალი საკითხები.

ასე დაბრუნდა 1861 წლის ოქტომბერში ილიას სტუდენტობის პერიოდი და ილია დაბრუნდა საქართველოში.

რუსეთში გატარებულ ამ წლების შესახებ ილია, მოთხრობა „მეზავრის წერილებში“, წერს:

„ოთხი წელიწადი იყო რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი?... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღყურძენაცა. ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოვიწმარა.“ (1, ტ.2, გვ.10).

პეტერბურგში შეხვდნენ ერთმანეთს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. აქედან დაიწყო მათი ურთიერთობა და მეგობრობა. ეს ორი პიროვნება იყო, რომლებმაც შეძლეს ქართველი ხალხის თვითშეგნების გამოღვიძება და ამაღლება. მათ შეძლეს რწმენის ჩანერგვა საქართველოს მომავლისა. ესენი იყვნენ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მოღვაწენი.

პ. ინგოროყვას თქმით:

„ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე ერთად სცემდა სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ანთებული გული ამ ორი ჭაბუკისა, – ილიასი და აკაკისა, რომლებმაც ამის შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე სამშობლო ქვეყნის სამსახურში დალიეს დღენი.“

სახელოვანი იყო მათი საერთო გზა და ქართველმა ხალხმა მათი ნათელი სახეები შემოსა უგულითადესი სიყვარულით.“ (7, ტ.1, გვ.405).

I. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი პერიოდი. (სტუდენტობის დრო).

პეტერბურგში, სტუდენტობის დროს, ილია ჭავჭავაძემ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ), მიიღო და ჩამოუყალიბდა მსოფლმხედველობა, რომელიც საფუძველი გახდა მისი შემდგომი პრაქტიკული მოღვაწეობისა და რომელიც ამავე დროს საფუძველი გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი დამოუკიდებლობის ბრძოლისათვის.

ილია ჭავჭავაძემ სტუდენტობის დროს დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა და მის მერე მისი კალამი არ შეჩერებულა მისი სიცოცხლის ბოლომდე. მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ, უდიდესი გავლენა იქონია არა მარტო ქართულ მწერლობაზე, არამედ საერთოდ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების ჩამოყალიბებაზეც.

ეკონომისტი ტარიელ სართანია ილია ჭავჭავაძის შესახებ წერს:

„უაღრესად ფართოა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ჰორიზონტი – იმდენად ფართო, რომ „ჩვეულებრივი მოკვდავისათვის“ ძნელია მას მისწვდეს. დიდა იმიტომ, რომ უაღრესად ფართო და მრავალფეროვანია იმ საკითხთა წრე, რომელიც ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის სფეროს მოიცავს. მისი შესწავლა ცალკეულ მკვლევართათვის შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივად, თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტი თავისი პროფესიული ცოდნით, ალლოიანობით და კვლევის უნარით მიუდგება ამ მხრივ თავისი კვლევის საგანს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სხვა გამორჩეულ მეცნიერთა, ობიექტური და ჭეშმარიტი აზრის გათვალისწინებას, რომელიც დასაყრდენად გამოდგება დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესაფასებლად.“ (11, გვ.238).

ხოლო მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია (1940–2001) ილიას შემდეგნაირად ახასიათებს:

„პოეზიაშიც, პროზაშიც, პუბლიცისტიკასა და საზოგადო მოღვაწეობაში იგი ერთია. მომავლის საქართველოს ამენების რეალური პროგრამის განხორციელების გზაზე ილია ჭავჭავაძეს აუცილებლად მიაჩნდა თანამედროვეთა უიმედობის მხილება, მათში ეროვნული ღირსების გრძნობის გაღვივება.“ (27, გვ.252).

სტუდენტობის დროს ილიამ დაწერა 3 წერილი ლიტერატურასა და ხელოვნების შესახებ. იწყებს მოთხრობების, პოემების და ლექსების წერას. თარგმნა სხვადასხვა პოეტების 19 ლექსი.

I. 1. პოეზია.

ილია ჭავჭავაძემ ლიტერატურული შემოქმედება დაიწყო პოეზიით. საერთოდ, ილიას პოეზია წარმოადგენს, პატრიოტულს, ალევორიულს, სოციალურ-ფილოსოფიურს, ეპიკურესტულ-ანაკრეონტულს და ლირიკულ-პატრიოტულს. ხოლო სტუდენტურ ხანაში დაწერილ ლექსებიდან, ძირითადად შესამჩნევია სატრფიალო ლექსები.

პოეტი და დრამატურგი ვიქტორ გაბესკირია (1903–1964) წერს:

„ილია ჭავჭავაძე, რომელიც მრავალმხრივი მწერალია, პირველ რიგში, მაინც დიდი ლირიკოსი პოეტია. ის არის ბრწყინვალე ლირიკული ლექსთა ავტორი... ამ ლექსებსაც ის თვისება ახასიათებთ, რაც ყველა მაღალმხატვრულ ლირიკულ ლექსს. ე. ი. კარნაკეტულად კი არ გამოიყურებიან, განდგომილად კი არ დგანან, სიცივე კი არ დაჰკრავთ, არამედ მიმზიდველნი არიან, ადამიანთა სულის სავანეს წარმოადგენენ.“ (3, გვ.332).

ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოლოგი და ესთეტიკოსი გიორგი ჯიბლაძე (1913–1989) ილიას პოეზიას შემდგენიარად ახასიათებს:

„ილია ჭავჭავაძემ მხატვრული შემოქმედება პოეზიით დაიწყო... მაგრამ ამ ლექსთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც პოეტის ბიოგრაფიას უშუალოდ უკავშირდება. ისინი ჰქმნიან სატრფიალო ლირიკის მთელ ციკლს, ხოლო სატრფიალო ლირიკას ილია ჭავჭავაძის პოეზიაში იმდენად თვითმყოფადი ადგილი უკავია, რომ შეუძლებელია ცალკე არ გამოვყოთ. პოეტის ბიოგრაფიის შესწავლა ამით ბუნებრივად გაგრძელდება და შეგვეძლება უფრო ღრმად გავიგოთ მისი შემოქმედების საზოგადოებრივი მოტივები. ეს იქნება ერთგვარი ექსპოზიცია 60-იან წლებში ილიას პოეტური შემოქმედების დასახასიათებლად.“ (12, ნაწ. I, გვ.214). ხოლო, ილიას სატრფიალო ლექსების შესახებ გ. ჯიბლაძე წერს:

„ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, განსაკუთრებით პეტერბურგის პერიოდის ლექსებში, ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას: სატრფიალო ლირიკა ისე გადაიზრდება ხოლმე პატრიოტულ ლირიკაში, რომ ზოგჯერ მნელი ხდება ამა თუ იმ ნაწარმოების რომელიმე

მათვანისათვის მიკუთვნება (მაგალითად „გიყვარდეს“). სატრფო არაერთგზის სამშობლოს სახითაა წარმოდგენილი, ხოლო სამშობლო იმ სატრფოდ, რომლის ტანჯვას, მწუხარებას, დაკარგვას პოეტი ასე მიძიმედ განიცდის.“ (12, ნაწ. I, გვ.225).

პირველი ლექსი, რომელიც ილიამ დაწერა პეტერბურგში 1957 წლის დეკემბერში არის „სანთელი“. ამ ლექსში, უკვე ჩანს მატერიალიზმის გავლენა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე. „სანთელი“ წარმოადგენს ალეგორიულ ლექსს. ამ მშვენიერ ლექსს ილია იწყებს იმით, თუ როგორ ანათებს სანთელი ჩაბნელებულ ოთახს.

„ვზივარ და შევჭვრეტ ჩემ-წინ სანთელსა,
რომელიც წელან უხვად ნათელსა
ჩემს ოთახს ჰფენდა და აშუქებდა
და თვალ-წინ ბნელსა განმინათლებდა.“ (1, ტ.1, გვ.5).

ილია აღწერს, თუ როგორ თანდათან ქრება, ბუუტავს, ებრძვის სიკვდილს და საბოლოოდ ქრება სანთელი. უძლეველია სიკვდილი და ბოლოს რჩება მხოლოდ “დამწვარი პატრუქი”.

„აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა...
რა დარჩა მისგან? – მწვარი პატრუქი.“ (1, ტ.1, გვ.5).

ანთებულ სანთელს ადარებს ილია ადამიანის ბრძოლას სიცოცხლისათვის და საერთოდ ამ ქვეყანაზე ადამიანის არსებობას, – ადამიანი ქრება და მისგან რჩება მხოლოდ მტკერი.

„ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი – მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ ვვრჩება
ერთი მუჭა-ლა გამხმარი მტკერი.“ (1, ტ.1, გვ.5).

ამ ლექსში სჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე უკვე განიცდის ძველი მსოფლმხედველობის რღვევას, რომლის თანახმად ღვთაების მიერ შექმნილი ბუნება და საზოგადოება, სიკვდილის შემდეგ კი არ განაგრძობს ცხოვრებას, როგორც ამას რელიგია ქადაგებს, არამედ მისგან რჩება მხოლოდ „გამხმარი მტკერი“. ილია მიგვანიშნებს, „რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანისაგან „გამხმარ მტკერთან“ ერთად მისი საქმე უნდა დარჩეს, თუ მას სურს დამწვარი სანთელივით უკვალოდ არ გაქრეს.“ (12, ნაწ. I, გვ.240).

სულ სხვა იერითა და აზრით არის დაწერილი ლექსი „ხმა სამარიდამ“, რომელიც წარმოადგენს სატირული ხასიათის ლექსს, სადაც ილია ამათრახებს

და დასცინის გაიძვერა მძარცველს, რომელიც ხალხს ატყავებს და მხოლოდ ფულზე ოცნებობს. ასეთ მზაკვარ კაცს პოეტი იმ ქვეყნიდან – სამარიდან, ალაპარაკებს და სხვადასხვა ეპითეტებით ამკობს. გაიძვერა – რომელიც ფულის გულისათვის საკუთარ ძმასაც კი არ ინდობს:

„სამართალს ფულითა ვსჭრიდი,
გროშისათვის კაცს გაყვიდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი;

ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე.“ (1, ტ.1, გვ.6).

მასზე არ მოქმედებს ობოლის ვედრება, რომელთა „ტირილი მიაჩნდა მღერად“, შიმშილით რომ დახცილიყვნენ ყურადღებას არ მიაქცევდა.

„მე შემეძლო მის მორჩენა. –
მის მორჩენას გაგებდავდი,
თუ შესმოდა ვერცხლის ბზენა.“ (1, ტ.1, გვ.6).

თუ გამოსარჩენს ვერ ხედავდა, იგი ყველას „ხელსა ვკრავდი“. ასეთი მლიქვნელი, ენო, გაიძვერა და თავკერძი კაცი, ილიას თქმით, მხოლოდ სამარეში უნდა იყოს და ამიტომაც პოეტი ასე მკაცრად ამასხარავებს მას.

„ვინც მე შიშით მიყურებდა –
მას ბრაგა-ბრუგს დაუწყებდი,
და ვინც კი დამიყვირებდა –
მას მე ფეხ-ქვეშ ვუძვრებოდი.“ (1, ტ.1, გვ.7).

იგი, წარმოადგენდა მოხელეს და ამით ტრაბახობდა. „მაშ რა ვიყავ? მდივანბეგი!“, ამყად აცხადებს იგი. ასეთი კაცი მხოლოდ სამარეში უნდა იყოს, ამ ქვეყნად არ უნდა ცხოვრობდეს. ფულის გამო იგი ყველაფერზე მიდის, არაფერს არ თაკილობს, ოღონდ ფული იშოვოს. ასეთი განზრწნილი კაცი, ცხოვრებას მაინც უჩივის და საიქიშიც კი მხოლოდ ქრთამზე ოცნებობს:

„ერთგული ყმა ფულებისა,
მტვრადა ვდევარ სამარესა!...
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!...
შეიბრალეთ ჩემი გვაძი!..
თუ ოდესმე ვინმე მნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ.“ (1, ტ.1, გვ.8).

ასე დასცინის და ამათრახებს ილია საზოგადოების იმ წარმომადგენლებს რომლებმაც ყოველგვარი ადამიანური ღირსება დაკარგეს და მხოლოდ პირად გამდიდრებაზე ფიქრობენ.

როგორც ვხედავთ, ეს სატირული ლექსი „ხმა სამარიდამ“, წარმოადგენს გარდაცვლილ, იმ ქვეყანას-სასუფიველში წასულ მდივანბეგის გულწრფელ, ერთგვარ მიამიტურ აღსარებას.

ამ ლექსის შესახებ ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და ფილოლოგი გურამ ასათიანი (1928–1982) წერს:

„ხმა სამარიდამ“ (1857 წ., დეკემბერი) ილიას პირველი სატირული ხასიათის ნაწარმოებია. აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი თითქმის სრულიად მოკლებულია პოეტურ სამკაულებს: გარდა რამდენიმე ტრადიციული პერიფრაზისა (მაგ.: „სამართალს ფულითა ვსჭრიდი“), აქ ვერ შევხვდებით ვერც ერთ თავისთავად მნიშვნელოვან პოეტურ სახეს.

აკაკი... ამ ნაწარმოების დიდ ღირსებებზე მიუთითებდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლექსის შინაარსობრივი სიმძაფრე, არამედ ის თავისებური ეფექტიც, რომელიც მასში, მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, მიღწეულია სწორედ გარკვეული ხასიათის მხატვრული საშუალებით. საქმე ისაა, რომ ამ ლექსში მიმართავს ორიგინალურ პოეტურ ხერხს. ლექსი დაწერილია გარდაცვლილი მდივანბეგის ეპიტაფიის ფორმით, და ეს გულწრფელი აღსარების ფორმა, რომელიც თითქოს ერთგვარი გულანდილი მიამიტობის ელფერს ატარებს, პირდაპირ ეწინააღმდეგება ლექსის შინაარსის აღმაშფოთებელ, უმსგავსო ხასიათს.....

ამ მოსაზრებით უნდა იყოს ნაკარნახევი ხაზგასმით პროზაული, ყოველგვარ პოეტურ სამკაულებს მოკლებული სტილიც, რომელიც აქ ავტორის კონკრეტული ჩანაფიქრის მხატვრულად კანონზომიერ შედეგად წარმოგვიდგება.....

გადაკრული, ქარაგმული ფორმა, რომელიც ქართულ ფოლკლორში ჰპოვებს სათავეს, აქ ილიას მიერ გამოყენებულია არა მხოლოდ ცალკეულ მეტაფორულ სენტეციებში, იგი წარმოგვიდგება ავტორის მსოფლმხედველობის გამოხატვის ძირითად საშუალებადაც.“ (3, გვ.405).

აი, რას წერს ჩვენი სათაყვანებელი პოეტი, აკაკი წერეთელი, ამ ლექსის შესახებ:

„ავტორი სცდილობს, რომ მკვდარს ათქმევინოს მისი ცოდვები; ამ შემთხვევაში ან უნდა ისე ამოიძახდეს ხმა სამართივან, რომ კაცი გააცინოს და ან ისე, რომ შეაძრწუნოს და დააფიქროს მსმენელი..... ამ ლექსში ჩვენ სამარიდვან

კი არ გვესმის ხმა, ეხლა ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც როგორც სასტიკი მსაჯული ეუბნება შემცოდეს: „შენ ეს ცოდვები გაქვს და ესაო“... როგორც ლექსი, ძალიან სუსტია, მაგრამ ამისი ერთს სტრიქონს, ფუთოთით რომ მიბოძოთ, ჩვენის ბუღბუღების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი; და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერ ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლულევანებას და ჩვენს საჭიროებას და ამისთვის მოგვეწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც. რაც ამ ერთს ლექსზედა ვსთქვით, ის შეიძლება საზოგადოთ ვთქვათ ყველა მის ლექსზედ. თუ ჭავჭავაძეს ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურად ნათქვამი სისუფლეს და ოცნება, მაინც სისუფლეს და ოცნება იქნება) – ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში.“ (9, ტ.11, გვ.30).

გ. ჯობლაძე ამ ორი ლექსის, „სანთელი“ და „ხმა სამარიდამ“, შესახებ აღნიშნავს, რომ:

„შეადარეთ ეს ორი „მტკერი“; პირველი – ლირიკული „სანთლისა“ და მეორე – სატირული ლექსისა „ხმა სამარიდამ“, რომელიც ილიამ „სანთლიდან“ სულ რაღაც ათი-თორმეტი დღის შემდეგ დაწერა! განსხვავება ისე ნათელია, რომ კომენტარი სრულიად ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ ამ კონტრასტულში ჩანს პოეტის მთელი მორალური კოდექსი – კაცურ-კაცობის დანიშნულება... ეს იყო ილიას საზოგადოებრივი იდეალი, პიროვნების ღირსებათა შეცნობა. რასაც თავისი სრული სარბიელი თავის უფლებებში უნდა ეპოვნა.“ (12, ნაწ. I, გვ.241).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსიდან, იწყებს ილია უარყოფით საზოგადოებრივ მოვლენების სააშკარაოზე გამოტანას, რომელიც მის შემდგომ ნაწარმოებებსა და შემოქმედებაში ვლინდება მრისხანე – ირონიული სატირის სახით. ილია მხატვრული ხერხებით გვიხატავს იმ სამარცხენო, სათაკილო მოვლენებსა და ადამიანთა ნაკლოვანებებს, რაც გვხვდება საზოგადოების ერთ ნაწილში.

ილია ამ ლექსით, “ხმა სამარიდამ”, იწყებს საზოგადოების ნაკლოვანებათა მხილებას და ამგვარად სააშკარაოზე გამოტანით ფიქრობს ერის გაჯანსაღებას.

ლიტერატურათმცოდნე გრიგოლ კიკნაძე (1909–1974) ილიას ირონიის შესახებ წერს, რომ: „ილიას სატირული ხედვა ირონიულია... სასტიკია ილიას ირონია... ასეთია, „ირონია, რომელიც ალოგიზმისკენაა მიმარ-

თული და მას ირჩევს გამოხატვის საგნად. ეს ირონიული მიმართება გასდევს ილიას მთელ შემოქმედებას, – როგორც მხატვრულს, ისე პუბლიცისტურს, – და ესაა მისი ტალანტის ერთ თავისებურებას რომ მოწმობს.“ (3, გვ.306).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას ჩვენ დავრწმუნდებით, რომ იგი საზოგადოებას მორალის თვალსაზრისით უდგებოდა და ამით ფიქრობდა ზნეობრივად ეროვნულ მთლიანობის აღდგენას და განმტკიცებას.

ილიას ლექსი, „გაზაფხული“, რომელიც მან დაწერა „ხმა სამარიდამ“ ერთი წლის შემდეგ, სულ სხვა შინაარსისა და ბუნებისაა. როგორც სათაურიდანვე ჩანს, ეს ლექსი არის სიმღერა გაზაფხულზე და სიცოცხლეზე.

„ვიშ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სიხარული.“ (1, ტ.1, გვ.9).

ბუნება მწვანდება, ცოცხლდება, ათასფრად ყვავილდება, ჭრელდება – მთები, ბაღი და ზვრები. ყველა სულდგმული ხარობს და ტკბება. „ბელურა იქ მღერს“, „ბულბული აქ სტკვენს“, პეპელა „ყვავილს სწოწს ნელა“, ხოლო წყარო, ერთ დროს დამონებული ზამთრის ყინვისაგან, განთავისუფლებული, მთებიდან ჩუხჩუხით ჩამორბის.

„მოდის, აძლევს ბანს
ქვეყნის გალობას
და მით მადლს უხდის
თავისუფლებას.“ (1, ტ.1, გვ.10).

ასეთი სიხარულის, აყვავების და გამოცოცხლების დროს, როდესაც:

„ყველა ჰყვავდება,
ყველა ახლდება,
რა ჰხედავს ტკბილ დღეს –
გამოცოცხლდება, –“

მხოლოდ ადამიანის ცხოვრებაა შეზღუდული, თავისუფლება დაკარგული და ბუნების მიერ მოცემულ ამ სიმშვენიერეს არარაობად ხდის. ამის გამო:

„და მარტო გული,
ერთხელ მოკლული,
არც აყვავდება,
არც გაცოცხლდება!“ (1, ტ.1, გვ.10).

ილია ჭავჭავაძის მეორე ლექსი „ჩიტი“, რომელიც იმავე დღეს, 1858 წლის 7 მარტს არის დაწერილი, გამოხატავს, თვით ახალგაზრდა პოეტის შეხე-

დულებას ცხოვრებასა და მომავალზე.

„ვგალობ და ვგალობ
და იმით ვხარობ,
რომ მე ქვეყანას
გალობით ვატკობ,
ჩემია წერა;
მღერა და მღერა,
ლხენა, გალობა,
თავისუფლება.“ (1, ტ.1, გვ.11).

გ. ასათიანი, ამ ლექსის შესახებ წერს:

„შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებში გამოხატულია თვით ჭაბუკი ილიას ადრინდელი შეხედულება პოეზიასა და პოეტის დანიშნულებაზე, რომელსაც თავისი ლიტერატურული სათავეები გააჩნია, ამ მხრივ ეს ლექსი უადრესად საგულისხმოა პოეტის ესთეტიკური მოსაზრებათა ევოლუციის გაგებისათვის.“ (3, გვ.420).

ამ დიდ ქვეყანაზე დაფრინავს ყველგან პატარა, გახარებული, თავისუფალი ჩიტი. ხან ჰაერში აფრინდება, ხან ტყეში ჩაფრინდება, ხეზე დაიძინებს და

„დილას ვახარებ
გალობით ტკბილით.“ (1, ტ.1, გვ.11).

გაიზმორება, ფრთებს გაშლის, შეხედავს ცას, მზის სხივებს, ცაში აფრინდება და შორს ქარივით გაფრინდება.

„მანამ ვარ უფლად
ჩემის თავისა,
მზიარულ სტუმრად
ვარ მაისისა,–“ (1, ტ.1, გვ.12).

და როდესაც მოუსპობენ თავისუფლებას, გალიაში ჩაამწყვდევენ, მოუსპობენ ამ სიხარულს, სიცოცხლეს, სილადეს და სინავარდეს, იგი ხდება საწყალი, დამონებული, იწყებს ჭკნობას და ნატრობს სიკვდილს.

„და, ველო, შენსა
გამღვიბებელსა
შენს ჩიტს პატარას
მალე ნახავ მკვდარს.“ (1, ტ.1, გვ.13).

ეს ორივე ლექსი, „გაზაფხული“, და „ჩიტი“, ბუნების მიერ მოცემულ მშვენიერების, სილამაზის, სიხარულის და თავისუფლების წარმოსახვაა.

ლექსის ბოლოს, როდესაც ამ თავისუფლების მოყვარე პატარა ჩიტს, რომელიც გალობით ქვეყანას ატკობს, თავისუფლებას ართმევს ადამიანი, ილია, ჩიტს ათქმევინებს:

„რაი სურს კაცსა,
რომ მიბამს ფრთასა?
თავისუფლება
ჩიტის ჰშურდება?!“ (1, ტ.1, გვ.13).

როგორც ვხედავთ, ამ ორივე ლექსში „გაზაფხული“ და „ჩიტი“, პოეტის მიერ გამოხატულია და ლეიტმოტივად გასდევს სიცოცხლისაკენ, თავისუფლებისათვის მისწრაფება და მისი დაკარგვით გამოწვეული სინანული.

ლექსი „გუთნის დედა“, რომელიც ილიამ იმავე, 1858 წელს, დაწერა, გამოირჩევა სტუდენტობის დროინდელ, ილიას მიერ დაწერილ ლექსებისაგან. ამ ლექსში ჩანს ილიას დაინტერესება სოციალური მდგომარეობით. რუსეთში მყოფი ჭაბუკი პოეტი უფიქრდება გლეხკაცის გაჭირვებულ ცხოვრებას და გლეხთა ამ სიღატაკეს საზოგადოების გამოძახატველად თვლიდა. პროგრესულად მოაზროვნე დემოკრატიული ახალგაზრდობა, მოითხოვდა ბატონყმურ დამოკიდებულების, ამ დამახინჯებულ წეს-ფორმების შეცვლას.

ახალგაზრდა ილიას სულსა და გულში, დაჩაგრული გლეხის ლანდი ტრიალებს და მის დატანჯულ მდგომარეობას აღწერს. ამ ლექსის შესახებ გ. ასათიანი წერს:

„ეს ლექსი მთლიანად უბრალო ქართველი გლეხის მონოლოგს წარმოადგენს, რაც ამ ნაწარმოების როგორც შინაარსობრივ, ისე მეტაფორულ და ინტონაციურ თავისებურებასაც განსაზღვრავს..... იგი წარმოადგენს ავტორის მსოფლმხედველობის გამოხატვას ძირითად საშუალებადაც.“ (3, გვ.405).

ამ ლექსს წამძვარებული აქვს ეპიგრაფი, რომელიც გამოხატავს სიმბოლურად ლექსის შინაარსს. უნდა ითქვას, რომ საერთოდ, ილია ეპიგრაფებსა და ციტატებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. რადგან ამ მცირე გამოთქმებში ის გამოხატავდა ნაწარმოების მთელ დედააზრს.

„გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო.“ (1, ტ.1, გვ.14).

ილია ხედავს ერთ ბედს ქვეშ მყოფ, შრომისაგან დატანჯულ გლეხსა და მის ერთგულ „ლაბა“ ხარს, რომელიც „ლაბას“ ეუბნება:

„ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნა შავი მიწა ჩვენ,

ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი.
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი, მიწას ვაწვიმოთ.“ (1, ტ.1, გვ.14).

შრომისაგან დატანჯული გლეხი, რომელსაც ცის ხილვაც კი წართმეული აქვს, მიმართავს მასავით ქედმოუხრელ ლაბას:

„ნუ დამიღონდი!... შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით:
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.“ (1, ტ.1, გვ.14).

მიუხედავად იმისა, რომ ლაბა პირუტყვია, თვითონ კი მეტყველი, გლეხი ნაღვლიანად, თითქოს გასამხნეველად ეუბნება ლაბას და ეს სიტყვები გამოხატავს ამ ლექსის მთავარ თემას:

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანია,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უმლის თესლსა ამოსვლას?“ (1, ტ.1, გვ.14).

მაგრამ მას არ სჭირდება მეტყველება, რადგან თუ თქმას ვერ შეძლებს, რად უნდა ეს მეტყველება, ან რა საჭიროა მჭრელი ხმალი, თუ სიმართლის თქმის დროს დაუჩლუნგდება. მისი სათქმელი სიტყვები, ისევე გულში რჩება და თითქოს სადღაც გულსაკლავად შურით მიმართავს ლაბას:

„მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუდილის
სიტყვები გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან,
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს.“ (1, ტ.1, გვ.14).

ბოლოს, ამ ლექსს ილია ამთავრებს სიტყვებით, რომელსაც გულჩათხრობილი და დაღონებული გლეხი, მიმართავს თავის უტყვე, მარჩენალ ხარს – ლაბას:

„აჰ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ რა გაღონებს?... გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანავსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!...“ (1, ტ.1, გვ.15).

ამ ბოლო სტროფის განხილვისას, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ილია სოციალური წოდების შერიგებისა და მშვიდობის მომხრე ყოფილიყოს. თითქოს-და, რახან სხვა გზა არ არსებობს ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ამიტომ ყველაფერი უცვლელად უნდა დარჩეს და ასე უსიხარულოდ ორივემ უნდა დალიონ დღენი.

ამ ლექსის შესახებ, გ. ასათიანი წერს, რომ:

„ილიას „გუთნის-დედაში“, ისევე, როგორც მის „გლახის ნაამბობში“, ან, ვთქვათ, „ოთარანთ ქვრივში“, ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ გამოხატვის სპეციფიკურ საშუალებებთან. ამ ნაწარმოებთა დედა აზრის სწორი გაგება შესაძლებელია არა ამა თუ იმ პერსონაჟის, ან თუნდაც თვით ავტორის მიერ გამოთქმულ ცალკეულ მოსაზრებათა პირდაპირი, სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაციით, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ნაწარმოების მთლიანი მხატვრულ-ემოციური ზემოქმედების ხასიათი.

ამ თვალსაზრისით, არც „გუთნის-დედაში“, არც „გლახის ნაამბობში“ და არც თვით „ოთარანთ ქვრივში“ არსებითად აღარაფერი რჩება სოციალური შერიგების იდეებისაგან, რადგან თითოეული ამ ნაწარმოებთაგანი სინამდვილეში, მთელი თავისი მხატვრული ლოგიკით, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.“ (3, გვ.407).

რუსეთში მყოფი ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე გრძნობს თავის მოვალეობას მამულის წინაშე, უფიქრდება ცხოვრების მომავლის არსს და მიუხედავად იმისა, რომ პოეტი გრძნობს ძალას, ძალას – რომელიც შეეებრძოლება ცხოვრებას, მაგრამ მან იცის, რომ ის მოუძნადებელია წუთისოფლის წინაშე, და იგი სიფრთხილით ეკიდება ცხოვრების დინებას. ლექსში „სიმღერა“-ში, რომელიც დაწერა 1858 წელს, ეკითხება „წუთისოფლის ზვირთს“:

„სად მიგყვარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ,

ზვირთი წუთისოფლისავ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივი წყლის?“ (1, ტ.1, გვ.16).

მიუხედავად იმისა, რომ აწმყოსაგან არაფერს კარგს არ ელის და წარსულ-
ლიც აწმყოს ეთანხმება, ამავე დროს პოეტი გრძნობს, რომ მისი სვლა შორს
მომავლის ვარსკვლავისკენ იოლი არ იქნება. პოეტს ენატრება დიდ ზღვაში
შესვლა და ტალღებზე მოძრაობის განცდა. მისი ბრძოლა ხალხის კეთილდღე-
ობისათვის ზღვაში შთაინთქმევა და შეიძლება დიდმა ზღვამ მისი პატარა ნავი
ჩაძიროს. მაშინ მისი კვალი წაიშლება და ასეთი ადამიანი საბრალოა.

„მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდს ზღვას
და იქ ჩალუპავ ჩემს ნავს,
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა...
თუ ეს მაქვს გარდუვალი,
ვსწყველი ჩემ შობის წამსა,
რად მინდოდა სვლა ქვეყნად,
თუ ეგ ბოლო მხვდა ხვედრად?...
ვინც კი ეგრეთ მსვლელია,
შესაბრალებელია!“ (1, ტ.1, გვ.16).

პოეტი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს იმ ძალას, რომ გაბედულად შეაცუროს
ზღვაში თავისი პატარა ნავი და მიმართავს მდინარეს:

„მე და ჩემს მცირე ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარეე,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!“ (1, ტ.1, გვ.16).

ამავე წლის (1858წ.), და ამავე თვის, იენისის ბოლოს, ილიას აქვს დაწე-
რილი მცირე მოცულობის ლექსი, „გიყვარდეს“. სადაც იგი მოუწოდებს ხალხს,
რომ ერთმანეთი შეიყვაროს. ილია ფიქრობდა, რომ ერთმანეთის სიყვარუ-
ლით დასძლევდნენ საერთო ბოროტებას, უზნეობას, ადამიანთა მიერ ადამი-
ნის ჩაგვრას, უსამართლობას და საერთოდ არსებული საზოგადოების მაზინჯ
მოვლენებს. ლექსი, „გიყვარდეს“ პირველ რიგში საინტერესოა იმიტომ, რომ ის
გამოხატავს სამშობლოსადმი სიყვარულს და ეს სიყვარული ქრისტიანული
მოძღვრების საშუალებითაა გადმოცემული.

„კაცო, გიყვარდეს!
ცათ შთამომძახეს,

როს მათ დამბადეს,
ყველგან ეგ სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სცემდა წმინდ ნათელს,
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენც გიყვარდეს!“ (1, ტ.1, გვ.18).

მალე ილია დარწმუნდა, ის სოციალური წინააღმდეგობები რომელიც ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ კლასებს შორის, შეუძლებელს ხდიდა ამ კლასების შერიგებას. ის წოდებათა განსხვავება, რომელიც განსაზღვრავდა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ზნეობის გადაღახვას, ურთიერთ სიყვარულით, სინამდვილეში არ მოხდებოდა. ეს აშკარად ჩანს, ილიას შემდგომი დროის ნაწერებში.

შეიძლება ითქვას, რომ ლექსის „სიმღერა“-ს გაგრძელებაა, მეორე უსათაურო ლექსი, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

„მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში,
თითქო უსურვლოდ და უფიქრელად;
და ზღვის ლელვაში, გრიგალთ ქოლვაში
არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად.“ (1, ტ.1, გვ.28).

პოეტი, ცხოვრების ზღვაში მარტოობას გრძნობს. შიშით უყურებს მღელვარე ზღვას, რომელიც მის ნავს აქანავებს და სადაცაა ცხოვრებაში გამოუცდელს დაღუპავს. თუმცა, ის გრძნობს, რომ თუ იგი „წახდება“ და „ურგები კვალით“ დაიღუპება, იგი ცრემლის ღირსიც კი არ იქნება.

„და ურგებს ჩემს კვალს იგი სიჩქარით
სქლად დაჰფარავს ზვირთთა კამარით...
თუ ეგრე წარვხდე, ნუ ატირდები,
მე იმ ცრემლებად არ ველირები!“ (1, ტ.1, გვ.28).

მეორე, ასევე უსათაურო ლექსი, რომელიც ამავე თვის ნოემბერში არის დაწერილი, პოეტი უკვე გაბედულად, მძლავრი ხმით აცხადებს, რომ თუ მის უკან მომავალმა თაობებმა „საფლავზედ დაყუდებულმან“ იტყვიან: „შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა“ და მისი ქნარი „ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“ მაშინ:

„დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი

ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,

თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.“ (1, ტ.1, გვ.29).

1858 წლის ბოლოს, 15 დეკემბერს, ილია წერს არაჩვეულებრივ, თამამად შეიძლება ითქვას, გენიალურ ლექსს „ქართველის დედას“. გ. ჯობლაძე ამ ლექსის შესახებ წერს:

„ჩვენ პირდაპირ გაცეცხლებული ვდგევართ ამ ლექსის, როგორც მთელი ეპოქის უდიდესი ძეგლის, წინაშე და ვეკითხებით ხოლმე ჩვენს თავს როგორ შეძლო სრულიად ჭაბუკმა პოეტმა, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა, ასე მძლავრად გამოეთქვა მთელი თავისი ერის ფიქრები, განცდები, მომავალზე ზრუნვის, წარსულისა და აწმყოს ისტორიული ჭეშმარიტებით განჯვის ფილოსოფია. „ქართველის დედას“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც საუკუნეებში ერთხელ იწერება, როგორც მთელი ეპოქის დიდებული პოეტური ქარტია. მნელია დაიჯერო, რომ მისი ავტორი ოცდაერთი წლის ჭაბუკი იყო, თითქოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ საოცრად მთლიანი, საოცრად ერთიანი, როგორც მსოფლმხედველობით, ისე პრაქტიკული მოქმედებით. რა სწორად და რა ნათლად განსჭვრიტა მან თავისი ერის ისტორიული ყოფა. რა გარკვევით დაუსახა წინსვლის გზა და გაუნათა ყველაზე სახიფათო მოსახვევები.... ეს დიდებული ჰიმნი, ეს უკვდავი საგალობელი, ეს მშვენიერი ქარტია პროგრამად დაედო ახალ თაობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.“ (12, ნაწ. I, გვ.247).

ამ ლექსს, წამძღვარებული აქვს, გერმანელი ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და მათემატიკოსის გოტფრიდ ლაიბნიცის (Leibniz) (1646–1716) სიტყვები:

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,

არის მშობელი მომავლისა.“ (1, ტ.1, გვ.30).

ეს ციტატა გამოხატავს ამ ლექსის დედააზრს, რომ წარსულის გარეშე არ შექმნილა აწმყო – დღევანდელი დღე, აწმყომ უნდა გადაწყვიტოს მომავალი ბედი. ილია მიმართავს ქართველის დედას, „ძუძუ-ქართველისა“-ს, რომელიც წინათ „მამულს უზრდიდა შვილსა“ და ზრდიდა მომავალ გმირსა, და დღეს კი ის დრო წავიდა, გაქრა და დღეს, „კირთხობს ქვეშე დაჩაგრულს ბედმა“ სიცოცხლის ძალა ჩაკლა, მისი შვილიც ჩრდილად აქცია. პოეტი ეკითხება დედას:

„მითხარ, – სადღაა მამა-პაპური

მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,

სახელისათვის ამაყი თრთოლა,

მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?“ (1, ტ.1, გვ.30).

და აქვე ეუბნება საზოგადოებას, ხალხს, რომ რაც იყო-იყო, ნულარ მივსტირით წარსულს დროს რასაც ვეღარ დავიბრუნებთ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ და მივისწრაფოდეთ მომავლისაკენ, და რომ მომავალია ჩვენთვის მთავარი აზრი, მთავარი დანიშნულება. ილია ცდილობს, რომ საზოგადოებას, ხალხს, შთაუწერგოს მომავლის იმედი და, რომ უმომავლოდ ჩვენ დავიღუპებით. იგი ხმამაღლა აცხადებს:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“ (1, ტ.1, გვ.30).

როგორც ზემოთ, ჩვენ ერთხელ უკვე ვახსენეთ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მით უმეტეს ილიას დროს, საქართველო მოქცეული იყო რუსეთის იმპერიის მარწუხებში და ამ დროს, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ქართულ საზოგადოებას ერთგვარი ნაღვლიანი განწყობილება, ნიჰილიზმი, უიმედობა და ყველაფრის უარყოფა – მით უმეტეს მომავლისა, დაეუფლა. ეს მდგომარეობა, ძირითადათ გამოწვეული იყო მისი, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური მდგომარეობით, – ბატონყმური და კოლონიური წყობილების გამო. ამიტომ საჭირო იყო, ხალხის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა, ხალხისათვის იმედის ჩასახვა, ხალხის გამოცოცხლება. ამის გამო იყო, რომ ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა ხალხს და მით უმეტეს ახალგაზრდობას სოციალურ გარდაქმნისკენ და ეროვნულ დამოუკიდებლობისაკენ, რომ ხალხი სულიერად ამაღლებულიყო და მომავლის იმედი ჩაესახა მასში.

ილიას აზრით, ეს მომავლის იმედი სწორედ ქართველის დედაა, მას აკისრია ეს მოვალეობა, მან უნდა აღზარდოს მომავალი თაობა, მომავალი მამულისშვილი. სწორედ ესაა მთავარი მამოძრავებელი ძალა ახალი ცხოვრებისა და სწორედ ეს არის დედის მთავარი დანიშნულება და „საღმრთო ვალი“, რომ აღზარდოს შვილი, ახალი თაობა, და რაც მთავარია, მან უნდა შთააგონოს ახალ თაობას, მომავალი, მამულისაღმი სიყვარული, მამულისაღმი თავდადება, ძმობა, ერთობა და თავისუფლება. ასე და ამგვარად გამოხატავს ილია ჭავჭავაძე თავის ზოგად საკაცობრიო დანიშნულებას, ეროვნულ გრძნობას, როდესაც მიმართავს დედას:

„აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!“

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, –
შთაავონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, –
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...“ (1, ტ.1, გვ.30).

ამ ნაწყვეტში, ილია ეხება რელიგიას. იგი ცდილობს სარწმუნოების მოძღვრება გამოიყენოს და დაუმქვედებაროს თავის თვალსაზრისს და ამიტომ მოუწოდებს დედას, რომ აღზარდოს შვილი ისე, როგორც სარწმუნოების მოძღვრება ქადაგებს: კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას და თავისუფლებას. რომელიც ილიას დროს დაეწიებული იყო საზოგადოების მიერ და საჭირო იყო ამ ქრისტიანული მოძღვრების აზრის განახლება. (ილიას შეხედულება რელიგიის შესახებ იხ. წიგნი I, „ილია ჭავჭავაძე და რელიგია“).

ილიას აზრით, თუ დედა, ასე და ამგვარად აღზრდის შვილს, მომავალ თაობას, სწორედ მაშინ გვექნება ჩვენ მომავალი და დედის მიერ გაწეული შრომა ტყუილ უბრალოდ არ დაიკარგება „და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს“, და სწორედ ეს არის ქართლის ვედრება:

„დედავ ისმინე ქართვლის ვედრებაც:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტებას,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.“ (1, ტ.1, გვ.31).

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის, „ქართვლის დედის“ და თვით ილიას მთავარი აზრი და მიზანი არის, ხალხში მომავლისადმი რწმენის ჩანერგვა და ამ აზრს შემდგომში, მის შემოქმედებაში იგი თანდათან უფრო ხვეწს და ანვითარებს.

ამავე თემას მიუძღვნა ილიამ მეორე, შესანიშნავი ლექსი „ნანა“, რომელიც შექმნა პეტერბურგში 1859 წლის 13 აპრილს. აქაც, მთავარ მომქმედ პირს წარმოადგენს „ქართვლის დედა“, რომელიც პატარა ბავშვს აკვანში არწევს და თავისებურ სევდანარევ სიტბოთი უმღერის ნანას. ამ ლექსის, „ნანას“ შესახებ გ. ასათიანი წერს:

„ლექსი „ნანა“ (1859წ.) ილიას შემოქმედებითი ნოვატორობის უაღრესად დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენს. მხატვრული სიახლე აქ მიღწეულია არა წმინდა ფორმალური გამოგონებლობის გზით, არამედ ძველი, ტრადიციული ფორმის ახალი გააზრებით.

აქ ქართული ნაწინას საალერსო, „მისაძინებელი“ კილო ბრწყინვალე პოეტური ოსტატობით არის გამოყენებული სასტიკი ბრძოლისკენ მომწოდებელი, „გამოსაფხიზებელი“ შინაარსის გამოსახატავად.“ (3, გვ.408).

დედის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა გამსჭვალულია სითბოთი და სიყვარულით. ჯერ სანამ აკვანში მყოფი ბავშვი პატარაა და ამ ცხოვრების არაფერი გაეგება, სანამ გაიზრდება, მკლავი გაუმაგრდება და სანამ გაიგებდეს „ქართველისადმი ღვთიურს ვალს“, მას შეუძლია მშვიდად იძინოს.

დედა ოცნებობს მომავალზე, როდესაც გაიზრდება მისი ყრმა, გაიგებს ბედქვეშ დაჩაგრულ მამულის კენესის ხმას და მისგან დალოცვილს გული აუღელდება, გაიგებს დღევანდელ ბედშობას, „ძველს ერთობას დაკარგულს“ და რა ნახავს მამულს დაობლებულს, აი მაშინ, დამრიგებლური ხმით, დედა უძღერის ჩვილს:

„შვილო, დედისა ნანა
ხმლის ჟღერად შეგეცვლება
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!...

აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!“ (1, ტ.1, გვ.44).

ქართველის დედა, ტკბილ ნანასთან ერთად, ყრმას აკვანშივე შთაავონებს მამულის სიყვარულს და მამულისათვის თავდადებას. მას არ სჭირდება ისეთი შვილი, თუ სამშობლოსათვის თავს არ გასწირავს და მისთვის არ მოკვდება. იგი მამულისთვის ზრდის შვილს და ამიტომ აწოვებს ძუძუს.

„მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისათვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!“ (1, ტ.1, გვ.44).

მამულისათვის თავის გაწირვა არის მთავარი და ასეთი შვილი არის უკვდავი. დედა ინუგეშებს თავს იმით, რომ მან მამულისათვის კაცი გაზარდა და „კაცი კაცად ჰკვდება.“ მისი შვილი, როდესაც დასჭირდება სამშობლოს, სიკვდილს არ შეუშინდება, მამულისგან მოცემულ სისხლს, ისევე მას დაუბრუნებს, მამულს არ უღალატებს და თავის სიკვდილით სამშობლოს „მის სიკვდილი დასთრგუნე“.

გ. ასათიანი დედის შესახებ, წერს:

„აქ მთავარია ის, რომ ამას ამბობს დედა და ყოველი სიტყვა ათრთოლებულია დედის სიყვარულით.

ამ ლექსის ფორმა უაღრესად სადაა, ლაკონიურია; მთელი აქცენტები გადატანილია სიტყვიერი მასალის თავისებურ სემანტიკურ გააზრებაზე, კერძოდ, ზუსტ ეპითეტებზე და მრავლის მეტყველ აფორისტულ სტილზე, რომელსაც აქაც განსაკუთრებით აძლიერებს ილიასათვის დამახასიათებელი თავისებური პარადოქსალობის ელფერი. მაგალითად:

ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!...
უკვდავი არის შვილი.
მამულისთვის მომკვდარი!“ (3, გვ.409).

ეს პატრიოტული მოტივი, ქვეყნის წინაშე მოვალეობა, ილიას აჰყავს უმაღლეს მწვერვალზე, რომელიც გამოიკვეთება ამ ლექსის ბოლოს, დედის სიტყვებში:

„თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი—
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!“ (1, ტ.1, გვ.45).

ეს ორივე ლექსი „ქართველის დედა“ და „ნანა“, როგორც ღვიინახეთ, ძირითადად მომავალი თაობის აღზრდაზე არის დაწერილი. გ. ასათიანის თქმით:

„ნანა“ გარკვეული თვალსაზრისით ახლოს დგას „ქართველის დედასთან“, ამ ნაწარმოების მთავარი ლირიკული სახე დედის სიმბოლური ფიგურაა, მისი პირით გამჟღავნებულია მთელი მოძღვრება – თავისებური კოდექსი მამულიშვილური ეთიკისა.

მაგრამ „ქართველის დედისაგან“ განსხვავებით, რომლის ფორმა ძირითადად პათეტიკურია, ამ ლექსს გააჩნია თავისებური სითბო და ინტიმური ელფერი.“ (3, გვ.409).

ილიამ ამავე წელსვე, 1859 წ. დაწერა მცირე მოცულობის ლექსი „ელეგია“, სადაც ხატოვნად არის აღწერილი ღამის, არაჩვეულებრივი ფერებით დახატული სურათი.

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.“ (1, ტ.1, გვ.47).

ამ, ღინჯ ლირიკულ ბუნების აღწერაში, ამ ჩუმ, წყნარ ღამეს, როდესაც არსაიდან ხმა არ ისმის და მხოლოდ:

„ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კენესა ისმოდა!“ (1, ტ.1, გვ.47).

ამ მყუდრო მხატვრულ ღამის აღწერაში, როდესაც მთების ჩრდილი ქვეყნის ძილს ეალერსება, უკანასკნელ სტროფში, უცებ გაისმის და გაიელვებს ამ ლექსის მთავარი დედააზრი:

„ოჰ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ (1, ტ.1, გვ.47).

პეტერბურგში ყოფნის დროს, ახალი იდეებით, აზრებით და შთაბეჭდილებით აღჭურვილი ილია, ველარ ეგუებოდა იმას, რაც იმ დროს საქართველოში ხდებოდა. იგი ხედავდა, რომ ქართველი ხალხი დაქვეითებასა და დაცემას განიცდიდა, და მას მომავლის იმედი დაკარგული ჰქონდა. (ილია ჭავჭავაძე არა ერთხელ წერდა ამის შესახებ). ამიტომაც, ილია ოცნებობდა ხალხის გამოღვიძებაზე, და მომავლისადმი იმედის შთანერგვაზე.

გ. ასათიანი ამ ლექსის შესახებ წერს:

„ილია ჭავჭავაძის ლირიკულ შემოქმედებაში ახალ საფეხურს მოასწავებს ლექსი „ელეგია“ (1859 წ, 4 იანვარი). აქ პოეტის სუბიექტური ინტიმური განცდის შინაარსს მოქალაქეობრივი ხასიათის მოტივი უღვევს საფუძვლად და, ამრიგად, საზოგადოებრივი და პირადი უშუალო, განუყრელ ერთიანობაში არის გამოხატული.“ (3, გვ.416).

ამავე თემას, მამულის გამოფხიზლებას, ეხება ილიას მეორე, მცირე მოცულობის ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „გაზაფხული“, სადაც, შეიძლება ითქვას, რომ იდეალურად არის აღწერილი ბუნების გამოფხიზლება და აყვავება. და ამის გამო, ბაღში ობოლი ვაზი „მეტის ღხენითა“ ტირის. როდესაც ყვავის მდელო და მთები, ამ დროს, მხოლოდ მამული არის გარინდებული, გატრუნული და არ ყვავის. ილია ეკითხება მამულს, როდის აყვავდება იგი.

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყვივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ღხენითა სტირის,
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსდა აყვავდები?“ (1, ტ.1, გვ.73).

ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ფილოლოგი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი ალექსანდრე ცაგარელი (1844–1929) შემდეგნაირად ახასიათებს ამ ლექსს:

„ამ პატარა ლექსის მეტიც, რომ არ დაეწერა რა იღ. ჭავჭავაძესა, მაშინაც კი ადვილი მისახვედრი იქნებოდა, რომ ამის წარმომშობელი უბრალო ნიჭის პატრონი არ უნდა იყოს. — თავის მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით. თავისუფალი მომდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით, რომლებიც საგანებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ, აგრეთვე რითმის კეთილხმოვანებითა და ნამდვილი სახალხო-ნაციონალური ლექსის მაგალითი არის და ამ უმაღლესი ღირსებით და თვისებით ეს ლექსი ღირსია ჰინენს კალმისა!... ამ მოკლე ლექსში რამდენიმე სიტყვით, მთელი ფიზიკური ბუნების განახლება არის ასე ცხადათ, ნათლად, მარტივად (როგორც საზოგადოდ ხალხი ხატავს თავის გრძნობათა), წარმოდგენილი, და ამ განახლების მშვენიერი ნიშნები ასეთის მახვილ გონიერებით ჩამოთვლილი: „ტყე, რომელიც ფურცელს ისხამს, მერცხლის ჭყვივლი, ობოლი ვაზის მეტის ღხენით ტირილი“ — რომელ ქართველს არ ეცნობა ეს „ვაზის ტირილი“ გაზაფხულზედ, — სხვა ენაზედ რომ გადათარგმნო ეს სიტყვები, გაუგებარი იქნება, იმიტომ, რომ ნამდვილი ქართული სიტყვა და ღრმა ხალხის ენა, ანუ გამოთქმა არის „ვაზის ტირილი“, ამას მარტო ქართველი გაიგებს (აგრეთვე შესანიშნავია ამ ლექსში ღრმა ჰსიხოლო-

გიური ფაქტი, მეტი ღზინისგან ტირილი); ცოტად კიდევ გააგრძელებს პოეტი გაზაფხულის წინამორბედობის ჩამოთვლას: „აყვავებული მდელი, აყვავებული მთები“ და ერთბაშად უსულო ბუნების განცხოველებიდან და გაღვიძებისგან გადახედავს სულიერ და გონიერ ბუნებასა – ადამიანებსა და, რომ დაინახავს მერტომამულებსა ისევ მძინარე და ზამთარში მყოფთა, წამოისვრის მეხისავით, მოულოდნელად ამ გულსაკლავ სიტყვებსა: „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები!“ როგორც მეორე ალაგას შესძახებს პოეტი:

ოხ! ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..

.....

რაც ამ პატარა ლექსის „გაზაფხულის“ ლექსწყობას ან ესთეტიკურ ღირსებას შეეხება, უნდა ვთქვათ, რომ უსრულესია და ნამდვილ ხელოვნურია: თავი და ბოლო ისეთი შეკრული აქვს, რომ ყველა მიმატება, ან დაკლება ლექსს წაახდენს, – კაცმა არ იცის, – უკანასკნელი სიტყვები („მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“) იმიტომ თქვა პოეტმა, რომ წინა სიტყვებმა მოიტანეს, თუ წინა სიტყვები უკანასკნელმა სიტყვებმა, რომელთ გულისთვინ არის ნათქომი გაუგებარია, – ეს უფრო ჭეშმარიტების ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ლექსის ორივე ჰაზრი და ნაწილი ერთბაშად და უნებლიედ, თავის თავად არიან დაბადებულნი პოეტის გამოხატულებაში, ამიტომ მიბმულნი და მიკერებულნი კი არ არიან ერთმანეთზედ, როგორც განგებ, განზრახვით მოგონილ ლექსში მოხდება ხოლმე, არამედ შეთვისებულნი და შეხორცებულნი; – ამ გვარ ლექსსა, რომელშიაც მარტივი და უაღრესი დაუღლებიან და შეუკავშირდებიან, როგორც ამ ლექსში, სადაც გრძნობა უბრალო ზაფხულის აღწერით დაიწყებს დატკობასა და ბოლოს ღეღვითა თავდება, განრისხებული ადამიანების მცხოვანობაზედა, როდესაც უსულოც კი ცხოველდება, – ლექს, რომელშიაც გარეგანი სახე, ფორმა შინაგან ღირსების ღრმა გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილნი არიან, ერთმანეთთან შეთანასწორებულნი და შედარებულნი, – ვამბობ ლექს, რომელსაც ეს თვისებები აქვს, არის ნამდვილად სრული ხელოვნური.“ (12, ნაწ. I, გვ. 271).

ილია ჭავჭავაძის ეს ლექსები: „ელეგია“, „მესმის, მესმის“ და „გაზაფხული“ წარმოადგენენ შესანიშნავ პოეტურ ქმნილებებს ქართულ ლიტერატურაში.

გ. ასათიანის თქმით:

„ილიას ლექსები „ელეგია“, „მესმის, მესმის“ და „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი“) XIX საუკუნის მოქალაქეობრივი ღირიკის ბრწყინვალე

ნიმუშებს წარმოადგენენ. აქ მიღწეულია მაქსიმალური სისადავე, ლაკონიზმი და უშუალობა პოეტური იდეის გამოხატვისას.

შეიძლება ითქვას, რომ სამივე ლექსში ლირიკული თემის განვითარება დაახლოებით ერთგვაროვან პრინციპს ეყრდნობა.“ (3, გვ.416).

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში, ხდება ძველი მსოფლმხედველობის რღვევა და იწყება ახალი, საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება. რაც გამოწვეული იყო დასავლეთ ევროპიდან გამანთავისუფლებელი იდეებისა და ახალი ცხოვრების ფორმების დამყარების ზეგავლენით. ეს იყო რუსეთში გარდატეხის ხანა. ამ დროს რუსეთის მოწინავე საზოგადოება ცდილობს მთავრობისა და ბიუროკრატიული მმართველობის გარდაქმნას ხალხის სასარგებლოდ. ძველი წყობილების რღვევის, სოციალური, ეკონომიური ცხოვრების, ახალი რეფორმების მიღების პერიოდში, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების და ცხოვრების ამ არეულ-დარეულ, აფორიაქებულ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ატმოსფეროში, ხდება რუსეთში მოხვედრილი ქართველი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

ამ დროს პეტერბურგში მყოფ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეზედაც მოქმედებს ეს სოციალური საშინელი პირობები. მისი სულიერი დეღვა, პიროვნული და საზოგადოებრივი დაბრკოლებანი, საშობლოზე ფიქრი, ეროვნული გრძნობები და ამით გამოწვეული კაემანი, ილიასში იწვევს დარდსა და გულგატეხილობას. ეს სჩანს მის ლექსში „სიზმარი“, რომელიც შექმნა 1858 წლის 15 ივლისს.

ეს სულის შემეხუთავი, საზარელი და საშინელი ლექსი „სიზმარი“, შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიური ნაწარმოებია და კომპარული სულისკვეთებითაა შექმნილი. ბნელი უფსკრული, ჯოჯოხეთი, „ნგრეულთა ქვეყნები“, საშინელება და ის სოციალური სინამდვილე, რაც პოეტმა სიზმარში ნახა, ილიას გადმოცემული აქვს მისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული აღწერითა და ხერხებით.

„ტიაღ სივრცეში ოხრად ვნახე ბნელი უფსკრული,
ჯოჯოხეთისა სიწყვდიადით ღრმად გადაკრული,
და ის საშიშარ სამარისებრ უზომო სიღრმეს
ვჭვრეტდი არეულთ ურთიერთთან ნგრეულთა ქვეყნებს.
რისხვა წყევლისა, შეჩვენების და განგდებისა
იყო თანამგზავრად განწირულის იმ ქვეყნებისა.“ (1, ტ.1, გვ.19).

მზე – სისხლის ტბად ქცეულა და ვარსკვლავები ჯოჯოხეთს ანათებდნენ. დანგრეული ქვეყნები ალში ყოფილან გახვეულნი და ისმოდა გრიალი და

ხვითი რისხვის ხმა: „წყეულიმც იყავ, წყეულიმცა!“ ამ საშინელი წარმოსახვის სურათის წინაშე, ყველა „კაცებრ მხდალად“ დამონებული ხდება. პოეტი განაგრძობს ამ საშინელი სურათის აღწერას:

„კაცებრ დემონნიც, ჩვეულებრივ სულთ ძლიერნი,
იმ შეჩვენებულ ქვეყნებშია თრთოდნენ ვით ხენი...
კაცებრ დემონნიც ურთიერთსა კბილით ხორც ჰკლევდნენ
და სამარცხვინო სიმხდალით კბილთ აკრაჭუნებდნენ.“

(1, ტ.1, გვ.19).

ყველა ელის, ხელებ გაშლილი სიკვდილს, რათა ეს ტანჯვა მოისპოს, მაგრამ სიკვდილიც კი გაჩერებულა და იმ ქვეყნებს, გაოგნებული, ღვთის რისხვაზე ანებებს:

„ყველა ელოდა, განუშლიდა ხელებს სიკვდილსა,
იწვევდა, როგორც უკანასკნელს ნუგეშს შთომილსა,
მაგრამ სიკვდილიც იქ თვის მეხთა არ აღვიძებდა
და იმა ქვეყნებს ღვთის რისხვასა მიანებდა!..“ (1, ტ.1, გვ.20).

როგორც დავინახეთ ეს ლექსი „სიზმარი“ გამოხატავს კოსმოსურ საშინელებას, სადაც მთელი სამყარო ქაოსშია გახვეული. ჩვენთვის ეს ლექსი, და მისი ადრინდელი სხვა ლექსები, იმითაა საინტერესო, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დასაწყისში, იგი შეპყრობილია რელიგიური ცრუ რწმენის ილუზიებით. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მის დროს, და მით უმეტეს ბავშვობისას, საქართველოს საზოგადოებაში რელიგიური რწმენა იყო გავრცელებული და ბავშვებს უნერგავდნენ ღმერთისა და საიქიოს არსებობას.

ამიტომ იყო, რომ ლექსში „სიზმარი“, ამ ქაოსის მთავარ ძალად, რომელიც აწესრიგებს მთელ სამყაროს, ილიას წარმოდგენილი აქვს „ღვთის რისხვის“ სახით.

ამ ლექსის შესახებ გ. ჯიბლაძე წერს:

„სრულიად უეჭველია, რომ ეს ლექსი ალევორიული ხასიათის ლექსია. გადაიტანეთ მასში წარმოსახული სურათები იმდროინდელ სოციალური ცხოვრების სფეროში, შეუფარდეთ ადამიანურ ტანჯვას, რომელსაც თვით პოეტი აკვიწერს, და თქვენ დაინახავთ საოცარ მსგავსებას ამ „სიზმარსა“ და ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის.“ (12, ნაწ. I, გვ.253).

ამავე თვეში, ივლისში, ილია წერს ისევ რელიგიურ თემაზე ლექსს „ლოცვა“, სადაც ის აღწერს, თუ როგორ იგი, მუხლმოდრეკილი ევედრება ღმერთს,

რომ მისი სული გაანათლოს, ხოლო იმათ, ვინც მტრობენ და ცდილობენ, რომ „გულს ლახვარი მკრან“, სთხოვს ღმერთს შენდობას, ვინაიდან მათ არ იციან, თუ რას სჩადიან.

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგეკარ შენ-წინა,
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვეყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“ (1, ტ.1, გვ.21).

ვ. გაბესკირია ამ ლექსს შემდეგნაირად ახასიათებს:

„ილია ჭავჭავაძის პოეზია ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის უმაღლესი გამოხატულებაა. ამ მხრივ მისი ლექსი „ლოცვა“, შესაძლებელია, საუკეთესო-თავანი იყოს მთელ მსოფლიო პოეზიაში; ძნელია მოვიგონოთ მეორე ლექსი, რომელიც ასე ძლიერად ამჟღავნებდეს ადამიანისადმი სიყვარულს, როგორც ეს ლექსია... თვით მკითხველი განსჯის ამ მოსაზრების სისწორეს.“ (3, გვ.335).

რელიგიურ თემაზე აქვს დაწერილი ილიას, კიდევ ერთი ლექსი „როდემ-დის“. მაგრამ აქ უკვე იგრძნობა, რომ მის რწმენაში ხდება გარდატეხა. იგი ხედავს, რომ ღმერთის არსებობას უარყოფენ და აღარ ეთაყვანებიან. მაგრამ მის რწმენაში ჯერ კიდევ გამჯდარია ძველი ცრუ რწმენა და ვერ ეგუება ამ ახალ აზრს. ამიტომ იგი მიმართავს ღმერთს და მის უარყოფილებს:

„ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა.
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტვრის თანამგზავრად?
რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“. (1, ტ.1, გვ.24).

ამავე თვეში, აგვისტოში, ილიას აქვს დაწერილი კიდევ ერთი ლექსი „ლოცვა“. სადაც უკვე იგრძნობა, რომ პოეტის მსოფლმხედველობაში ხდება გარდატეხა და მასში თანდათან ძლიერდება „ურწმუნეობის დემონი“. ამიტომ იგი სთხოვს ღმერთს, რომ როგორმე ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

„ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, –
ნუ დამაწაფებ ღემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი.“ (1, ტ.1, გვ.25).

ხოლო, თუ მაინცდამაინც მის სულში მოხდება ეს გარდატეხა, ისევე და ისევე ღმერთის ნებაყოფლობით მოხდება. ესე იგი, ღმერთს ასე სურს.

„მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს.
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო, შენი!“ (1, ტ.1, გვ.25).

ამავე თვეში ილიამ დაწერა ლექსი „უცხოეთში“. სადაც აღწერს უცხოეთში მოხვედრილ კაცს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას სამშობლო უყვარს, იგი იძულებულია უცხოეთში იმყოფებოდეს. მისი ფიქრი და გონება მიმართული არის სამშობლოსაკენ. მისი „მწუხარე გული“ ნატრულობს სამშობლოს ცას და ვარსკვლავებს. იქ, უცხოეთში სიჩუმეა, დინჯად მიცურავს მთვარე და თავისი მკრთალი სხივებით ანათებს ქვეყანას. ყველას ტკბილად ძინავს. მხოლოდ უცხოეთში მყოფ პოეტს არ ძინავს.

„და მხოლოდ ჩემი ურვით მოკლეული
შემომტირის მე მწუხარედ გული...
მისთვის ხომ არა, რომ ვსჭვრეტ სხვა ზეცას,
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქერდა სამშობლოს ზეცა,
ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინებული
და სულ სხვა რიგად დამშვიდებული.“ (1, ტ.1, გვ.22).

ამავე თემაზე აქვს დაწერილი ილიას მეორე ლექსი „მწუხარება“. ეს ლექსი, იგივე გულის ტკივილს გამოხატავს, როგორც ლექსი „უცხოეთში“. უცხოეთში მყოფი პოეტი სამშობლოზე ფიქრობს და დასევდიანებულია. ქვეყანაზედ, როდესაც გამეფებული იყო სიჩუმე და ზეცაზე კი ვარსკვლავები „მოლხენით იყვნენ“, პოეტს გული ამ დროს დასევდიანებული ჰქონდა, სული უგუბდებოდა, გული ტკივილით სტეხდა და ტანჯავდა, ტვინი ეწოდა და „გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე“. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმის გამო, რომ იგი იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში.

„ესე უწყალოდ განწირული და დაშთომილი
ვევდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო ღუმილი,
მოლხენით იყვნენ უღარდელნი მთიებნი ცისა!“ (1, ტ.1, გვ.53).

1858 წელს ილიამ დაწერა ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „ჩემო თარიარალი“. ამ ლექსის შესახებ პ. ინგოროყვა გადმოგვცემს:

„ლექსი „ჩემი თარიარალი“ საყურადღებო დოკუმენტია პოლიტიკური მნიშვნელობისა. როგორც ირკვევა, ილიას ეს რევოლუციური ლექსი, რომელიც მიმართულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ხელნაწერის სახით ყოფილა გავრცელებული 60-იან წლებში.“ (1, ტ.1, გვ.382).

პირველად ეს ლექსი დაბეჭდილა 1936 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, მაგრამ, არა სრული სახით. პ. ინგოროყვას შემწეობით, დღევანდელ დღეს ეს ლექსი სრულად არის აღდგენილი. იგი წერს:

„მას შემდეგ, რაც აღდგენილია ლექსი „ჩემი თარიარალის“ ნამდვილი ტექსტი, ჩვენ ვღებულობთ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს ილიას მსოფლმხედველობის გასაცნობად. ცნობილია, რომ ილიას ზოგი მონარქისტის სახელითაც კი ნათლავდა.... ამ ლექსიდან სჩანს, რა მონარქისტიც ილია ყოფილა!.... პირიქით, ილია პირველია, რომელმაც მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ხმა აიმაღლა ცარიზმის წინააღმდეგ. „ჩემი თარიარალი“ და „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ პირველი ქართული ლექსებია, რომლებიც ცარის წინააღმდეგ არის მიმართული.“ (1, ტ.1, გვ.386).

ეს თვალსაჩინო პატრიოტული ლექსი, „ჩემი თარიარალი“, როგორც თვითონ ილია ამბობს, არის ალექსანდრე ჭავჭავაძის მიბაძვა. მაგრამ ლექსის განხილვისას სჩანს, რომ ეს მიბაძვა არის ლექსის გარეგანი სახე, ხოლო მისი შინაარსი სრულიად განსხვავებულია. ალ. ჭავჭავაძის ლექსი, „მუხამბაზი ლათაური“, რომლის მიხედვითაც ეს ლექსია დაწერილი, ეხება დროსტარებას და ღვინოს; ხოლო ილიას ლექსი კი, განსჯვალულია სამშობლოს სიყვარულით, მამულისათვის თავდადებით, რომლისთვისაც თავი უნდა გასწიროს კაცმა. ძირითადად ეს ლექსი მიმართული არის მეფის, რუსეთის თვითმპყრობელობის, ცარიზმის წინააღმდეგ.

„ცარმა რა ერთხელ ინება
მორჭმულ კაცის დამონება,
თვის სხეული კერპად დასვა,
სული ეშმაკთ მიანება.“ (1, ტ.1, გვ.36).

ახალგაზრდა პოეტის აზრით, მამულის სიყვარულისათვის, მისი გადარჩენისათვის საჭირო იყო გაერთიანება. ყველას დაევიწყებია ურთიერთ სამღურავი და ერთად შებრძოლებოდნენ მტერს. ამ იდეას იგი ანვითარებდა შემდგომ ნაწერებშიც. ლექსში ავტორი თხოულობს ერთობას და ძმობას. რადგან მისი თქმით:

„მამულის სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვიყენა....

თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვერ დაგვიდგება....

თუ ჩვენში ძმობა იქნება,
საქმე არსად წაგვიხდება....

ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით.“ (1, ტ.1, გვ.36).

ილია უძღერის შრომას, ძმობას, ერთგულებას და ამას მოუწოდებს ხალხს.

„მაშ მოდით ისევ ძმობითა,
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შევწიროთ
შვილურის ერთგულებითა.“ (1, ტ.1, გვ.38).

ლექსში ილია ამხვილებს ყურადღებას რელიგიაზე და იყენებს რელიგიურ მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ჩავკრა და მონობა ეწინააღმდეგება ქრისტეს მცნებას. ამიტომ ადამიანის მიერ მისი მოძმის დაჩაგვრა, უნდა მოისპოს. რადგან:

„მონება კაცთ არ შეშვენის,
ქრისტეა ამის მოწამე.

ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას,
ვაშოროთ ქართველი მონებას,
ქართველის უბრალო მაღლობა
გვერჩივნოს ყოველ დიდებას.“ (1, ტ.1, გვ.36, 37).

ჩვენთვის, ქართველისათვის, დიდება იქნება, თუ ვნახავთ მამულის აყვავებას და ამაზე მეტი „ჯილდო რაღად გვინდა“, ამბობს ილია და ამ ლექსს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ჰე, ძმანო! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ,
თუნდ სამოთხე მით დაკარგოთ,
მხიარულების სიმღერა
თვით ჯოჯოხეთს შემოვსძახოთ.

ქართველის ქვეყნისა ვართ შეილნი,
ქართველის ტუძუთი გაზრდილნი.
მაშ მოდიო, ქართველნო, ძმობით,
ჰარიარალი,
ვიშრომით ჩვენთვის ერთობით,
თარიარალი!“ (1, ტ.1, გვ.38).

როგორც დავინახეთ, ამ ლექსშიც ილია ჯერ კიდევ განიცდის სარწმუნოების გავლენას და იმოწმებს ქრისტეს მცნებას. მაგრამ, აი უკვე მომდევნო წლის, 1859 წლის იანვარში, მას აქვს დაწერილი ლექსი „გავსწორდეთ ბედო!“, სადაც უკვე აშკარად ჩანს, რომ მის მსოფლმხედველობაში ცვლილებები ხდება და ძველი იდეალისტური აზრები განიცდის გარდაქმნას. ის რწმენა, სარწმუნოებისადმი თაყვანისცემა, რომელიც მას ბავშვობიდან მოჰყვებოდა, აქ პეტერბურგში, ირღვევა და თანდათან ქრება. ახალმა ცხოვრებამ, ახალმა აზრებმა და იდეებმა, რომლებიც რუსეთში შემოიჭრა, ილიაზე მოახდინა ზემოქმედება და მან ღმერთისადმი რწმენა საბოლოოდ დაკარგა.

ლექსში „გავსწორდეთ ბედო!“, პოეტი ასახავს მის სულიერ განცდას, რომელიც წარმოიშვა მატერიალისტური იდეების ზეგავლენით, მის სულიერ სამყაროში შემოჭრას.

ეს ლექსი მისი პირველი ნაწარმოებია, სადაც ამის შესახებ გადმოგვცემს. მაგრამ მასში ეს გარდაქმნა უცებ არ მომხდარა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ღმერთისადმი რწმენამ მას სიცოცხლეში მოუკლა კარგი ნუგეში და ტკბილი ოცნებები, მას ბედი თავის ნებაზედ ათამაშებდა და გულზედ ატყვია მისი ბრჭყალები. მაგრამ ამიერიდან იგი თვითონ შექმნის თავის ბედს და თვითონ იბატონებს მასზედ. მან საბოლოოდ უარყო ღმერთი და ამის შესახებ ხმამაღლა აცხადებს:

„გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები,
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დულუკზედა აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დულუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და – შენ კი იხტუნე.“ (1, ტ.1, გვ.40).

უსათაურო, მცირე მოცულობის ლექსში, რომელიც მან დაწერა „გავსწორდეთ, ბედო“-ს დაწერიდან ერთი თვის შემდეგ, ილია აღწერს მის სულიერ განცდებს. პოეტი ჩივის, რომ ვისთვისაც სწირავდა სიცოცხლეს, გრძნობებს, ის აღარ „ჰყვავის“, დარჩა მარტო მხოლოდ ცრემლი.

„ვაი, მას – ვისაც ვაძლევი მსხვერპლად
ჩემს თავს, სიცოცხლეს, გრძნობას, სურვილს,
ის აღარ ჰყვავის ამა ბნელ ქვეყნად,
ეხლა ის არის მცხოვრები ცისა!..“

გამიქრა ბედის ჩემის ვარსკვლავი,
კვლავ დამიბლდა ობოლი თავი,
წამერთო ყველა, და ნუგეშად დღეს
მარტოლა ცრემლნი მე დამშთენიეს.“ (1, ტ.1, გვ.41).

გ. ჯიბლაძე ამ ლექსის შესახებ წერს:

„ეს ცრემლი მართლაც ვინმე ახლობლის გაცივებულ ცხედარს ედინება, თუ პოეტური გოდებაა – ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ორივე შემთხვევაში პოეტის სუბიექტურ განცდას პიროვნულთან ერთად საზოგადოებრივიც თან ახლავს და მისი ლირიკული სიმღერა თითქმის ყოველთვის ზოგადს გვანიშნებს.“

პიროვნული და მისი საზოგადოებრივი, „მე“ და „არა მე“ ისე ორგანულად ექსოვება ერთმანეთს ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, რომ ძალიან ხშირად შეუძლებელი ხდება ისინი ერთმანეთს დავამოროთ ან ცალკე განვიხილოთ.“ (12, ნაწ, I, გვ.251).

ილია ჭავჭავაძე, თავის განცდებს გადმოგვცემს შემდეგ დროს დაწერილ ლექსებშიც.

ლექსში, „მტკვრის პირას“, რომელიც დაწერა 1859 წ. 3 ოქტომბერს, პოეტი სწუნს, რომ მისმა სამშობლომ დაკარგა თავისი დიდება. ილიამ ეს

ლექსი მიუძღვნა ლ. მაღალაშვილს. პ. ინგოროყვას გადმოცემით, ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი (1839–1907) ყოფილა ილიას უნივერსიტეტის ახლო მეგობარი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა „თერგდალეულების“ ჯგუფთან ერთად. შემდგომში, აურჩევიათ საქართველოს თავადაზნაურობის მარშალად.

პოეტი, კენესის და შესტირის აზვირთებულ მძლავრ მტკვრის ზვირთებს:

„თითო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.“ (1, ტ.1, გვ.48).

სთხოვს და ემუდარება მტკვარს, რომ:

„იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კენესა!“ იქვე.

დარდსა და წუხილს გამოთქვამს ილია, ერთი თვის შემდეგ დაწერილ უსათაურო ლექსში. იგი მისტირის სიჭაბუკის სიტყბოების, იმედების და სიზმრების დაკარგვას. გულნაკლული პოეტი მოსთქვამს:

„ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე, სიტყბონი შენნი?

სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა სამოთხე?

განძრცვილვარ გრძნობით, უდროოდა მეკვეთნენ ფრთენი,

გაზაფხულია, მე კი ვდგევარ ვით უფოთლო ხე.“ (1, ტ.1, გვ.49).

პოეტი მისტირის რწმენის დაკარგვასაც. გონებაში „ჭკვამ“ გამოიწვია „ღვთიურ ტრფობის“ და „წმინდა ტაძრის“ დაკარგვა.

„თვალ-წინ მიყრია უკეთესნი ყვავილნი მჭკნარნი,

მომიკვდა ეჭვ-ქვეშ მაცხოვარი თვით სასოება.

ჭკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლალსა გრძნობასა,

ცივად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ ტრფობასა,

მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი...

ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!..“ (1, ტ.1, გვ.49).

სინანულის გრძნობით აქვს ილიას დაწერილი 1859 წელს, საინტერესო ლექსი „ალაზანს“, რომელსაც წამძღვარებული აქვს მწერლის, მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის (1658–1725) ლექსიდან ამოღებული ადგილი.

„სიჭაბუკისა ყვავილი

დამიჭკნო ჟამთა დენამა,

ნდომა მომაკლო, დამიგდო

სასაპყროდ გული რბენამა.“ (1, ტ.1, გვ.51).

„ალაზანს“, თავისებური სატრფიალო ლექსია, რომელშიც პატრიოტული მოტივებია ჩაქსოვილი. პოეტი დასცქერის ალაზნის ზვირთებს. ეძებს „დროთა

ბრუნვისგან“ დამარხულ წარსულს, რომელიც დაკარგა და უნუგემოდ გულში აქვს „ღრმად ჩარეული.“ ის მუხაც, რომლის ჩრდილის ქვეშ ისვენებდა, უკვე გამხმარა. თვითონ ალაზნაიც გამოიცვალა და მასაც „უდრო-დროდ“ გამოერია თმაში ჭაღარა. ამ ლექსს პოეტი ამთავრებს სინანულის გრძნობით:

„სად არს ის ღმერთი, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული!“

(1, ტ.1, გვ.51).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პეტერბურგში ყოფნისას, ილიას მსოფლმხედველობაში ხდებოდა რელიგიური ფილოსოფიის უარყოფა.

როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, 1860 წელს ილია ჭავჭავაძემ საბოლოოდ უარყო ღმერთის არსებობა და შეიძლება ითქვას, რომ იგი ათეისტი გახდა. ამრიგად ამ წელს მოხდა მისი მსოფლმხედველობის საბოლოოდ გარდატეხა. ამის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მისი დაუმთავრებელი ხელნაწერით, დრამატული პოემის ნაწყვეტით „ირაკლი“. სადაც აშკარად გამოხატა თავისი შეხედულებები სარწმუნოების მიმართ. მან საბოლოოდ უარყო ღმერთი, საიქიოს ცხოვრება და უკვდავება.

ამ ნაწარმოებში, სჯა-ბაასი მიმდინარეობს მამასა და შვილს, ირაკლის, შორის. მოხუცი მამა, შეწუხებულია იმის გამო, რომ მის შვილს რაღაც აწუხებს, „არის მღუმარე“ და იტანჯება. ირაკლი კი ვეღარ იტანს „ფიქრთა მიძიქსა ტვირთსა“, რადგან ხედავს, რომ ყველგან უღვთობაა.

„ესე ქვეყანა არ არს სფერა უკვდავებისა,

იგი ვიწროა, უკვდავება ვერა შლის ფრთასა.“ (1, ტ.1, გვ.348).

ამ ნაწარმოებში, ილია მამის სახით წარმოგვიდგენს ძველი მსოფლმხედველობის დამცველ პიროვნებას, რომელიც იცავს უფალს, ღვთაებას და ძალას უკვდავებისას. ხოლო შვილის სახით, როგორც ახალი ცნების, ახალი აზრების, ახალი მსოფლმხედველობის მიმდინარეობის დამცველს. შეიძლება ითქვას, რომ ირაკლის სახით ავტორმა თავისი თავი და შეხედულებები გამოხატა და გადმოგვცა.

პოეტი უარყოფს ღმერთს, მის მოქმედებას, აკრიტიკებს სარწმუნოების მოძღვრებას.

ირაკლი, მამამისთან საუბარში, აცხადებს, რომ იგი არ სცნობს მოსაზრებას, რომ ეს ქვეყანა „ბაღია ღვთისა“ და ამ ბაღში, ღვთის მიერ შექმნილში:

„არ დაილევა მასში ვარდი მჯობი მჯობისა,

და მშვენიებაზედ უფრო მჯობი მშვენიერება.“ (1, ტ.1, გვ.349).

იგი არ სცნობს და არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ღმერთის მიერ შექმნილ „იმ არსებაში“, „იმ მშვენებაში“, „არის ცეცხლი პრომეთეისა?!“ და ამ მოძღვრების თანახმად, თუ კი ღმერთმა მართლა შექმნა ადამიანი, სჩანს, რომ მან თავიდანვე არ მიანიჭა მას უკვდავება; და ამას ეუბნება მამას:

„ეგე ცოტაა! განა ღმერთმა არ აუკრძალა
პირველთა კაცთა ის ნაყოფი მცნებისა ხისა?
იმ ნაყოფშია უკვდავების უკვდავი ძალა,
სჩანს უკვდავება არ უნდოდა შენს ღმერთს ჩვენთვისა.“

(1, ტ.1, გვ.349).

მაგრამ მოხუც მამას, ამის გაგონებაც კი არ სურს, არ შეუძლია. მისი გაგებით ეს უფლის დაგმობაა და მკრეხელობაა; და როდესაც შვილი გამოუცხადებს მამას, რომ მას თავის დღეში არ ულოცია, მამა სთხოვს ღმერთს, რომ მან არ გაჰყაროს ისინი და სტოვებს შვილს.

ილია გადმოგვცემს მარტოდ დარჩენილი ირაკლის მონოლოგს, ის მიმართავს ღმერთს და მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, გამოხატავს ღმერთის უარყოფას. ირაკლი ეუბნება ღმერთს: თუ კი მან შექმნა ქვეყნები და ყველას თავისი გზები დაუსახა, მაშინ რატომ არის, რომ:

„მიუწლომი ხარ, უხილავი ჩვენ არსებაში.“ (1, ტ.1, გვ.350).

თუ კი მან შექმნა ადამიანი და შთაანერგა სიყვარული სხვა ადამიანის მიმართ, მაშინ რატომ არ აკრძალა მონობა, მისივე შექმნილი ადამიანის ჩაგვრა. განა? ეს არ ეწინააღმდეგება მისივე მოძღვრებას, რომელიც გვიქადაგებს მოყვანის სიყვარულს. მართალია მან მისცა ადამიანს მოქმედების თავისუფლება, მაგრამ მაშინ თვითონ ღმერთი რატომ თხოულობს მისდამი მორჩილებას და ბატონობას? ესე იგი მისდამი ჩვენს მონობას? თუ კი მან შექმნა ადამიანი და მისცა უსაზღვრო აზროვნება, მაშინ რატომ უზღუდავს ამ აზროვნებას? და:

„რალადა ბრძანე: მე ვარ ჭკვისა თქვენის საზღვარი?“ (1, ტ.1, გვ.350).

თუ კი რელიგიის მოძღვრების თანახმად, ღმერთმა შექმნა ადამიანი, შთაანერგა მასში სული და ეს სული უკვდავია, მაშინ, კითხულობს ირაკლი:

„თუ უკვდავი ვარ, რად არა მაქვს სრულ უკვდავება,
და თუ მაქვს იგი, ნახევარი რადა მიკვდება?

რისთვის შთააცვი ხრწნადი ტანი ჩვენ უკვდავსა სულს,

თუ ვერ აიტანს ვით დიდ წუხილს, ისეც სიხარულს?

მიუწვდომელი, [უცნაურ] ხარ ამ უკუთქმებში,

ყველგან გხედავ და ვერ გხედავ მხოლოდლა ჩემში.“ (1, ტ.1, გვ.350).

თუ კი ღმერთს ვუყვარვართ და მას ვაღიარებთ როგორც ადამიანის მოსიყვარულეს, მაშინ რატომ თხოულობს ჩვენგან გამუდმებით ჩვენ ლოცვას მისდამი? ესე იგი, გამოდის, რომ:

„სიყვარულშია ალაგაცა არ აქვს თხოვნასა.“ (1, ტ.1, გვ.350).

რაღაა ის სიყვარული, თუ კი ღმერთი სამაგიეროს გადახდას ითხოვს, ამბობს ირაკლი და ამ სიტყვების შემდეგ, პირდაპირ უცხადებს ღმერთს:

„შენ დესპოტი ხარ! გიყვარს ხვეწნა და თაყვანება,
მაგრამ მათ ჩემგან შენი სიბრძნე ნუ ელოდება.
მაგრამ შენ იყავ თუნდ ბედნიერ, მე ეგ არა მშურს:
ისე ბედნიერ, ვით შენა ხარ, ყოფნაც არა მშურს,
მწუსარებაშიც, სიხარულშიც შენა ხარ მხოლოდ,
მაგ მხოლობას, როგორც თვით შენ, არა აქვს ბოლო,
მხოლობა და სრული, სავსე ბედნიერება,

ურთიერთთანა არა-დროსა არ შეთანხმდება!“ (1, ტ.1, გვ.350).

როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, განმარტობით, მარტოდ-მარტო მყოფი ღმერთი, არ შეიძლება, რომ იყოს ბედნიერი. ირაკლის თქმით, მშვენიერება მხოლოდ მიწიერია. მას წარმოუდგება მძინარე ქალი და ამავე დროს ესმის სიმღერის ხმა. ეს ქალი რეალურია და ედემი, ანუ სამოთხე, სწორედ ამ ქალს უნდა ეკუთვნოდეს და არა უსხეულო სულს.

„ედემში უნდა სცხოვროს შენებრ მსახურმა,
და არა ამან, თავისუფალ მფშვენავმა სულმა.“ (1, ტ.1, გვ.351).

ამის შემდეგ, ირაკლის სიტყვებში ისმის საბოლოო აზრი ამ ნაწარმოებისა:

„იგი ედემი მსგავსი არის თქვენივე ღვთისა,
ჩვენი სამოთხეც, ჯოჯოხეთიც თითონ ვართ ჩვენა.“ (1, ტ.1, გვ.351).

ამ დროს, ირაკლი გაიგონებს ხმას, რომ ამის მოქმელი არის ღვთის მარცხენელი და ბოროტი, და აი მისი პასუხი:

„შენი ღმერთის ვარ დანაბადი,
მაშ იმ სიკეთე როგორღაა, მას ჰკითხე, წადი!“ (1, ტ.1, გვ.351).

ირაკლი უარყოფს უკვდავებასაც და სულსაც.

„შენ უკვდავი ხარ, და მას მოჰკვეხ მონავ ჩემთანა!
შენ დამცინი მე! შენ, უკვდავო მსახურო ცისა,
მარადის მყოლო, შენ მონაო მყოლ ტირანისა!
შენ, რომელიცა სხვის ნებისა აღსრულებაში
უნდა ხედავდე ყოველთვის შენს ნეტარებასა,

შენ, რომელიცა შენ მტანჯველის სულის ქებაში,
უბრალოდა ღლი ემაგ შენსა უკვდავებასა!“ (1, ტ.1. გვ.352).

ამ დრამატული ნაწარმოების საბოლოო აზრი, ილიამ გამოხატა ლექსის ბოლო სიტყვებში, სადაც იგი ამბობს, რომ მიწიერი ცხოვრება, მიწიერი სილამაზე, არის ის, რომლისკენაც მიიღტვის ადამიანი და არა უკვდავ სული-სა და ღმერთისკენ. ამიტომ არის, რომ ირაკლი, რომელიც დიდხანს ეძებდა სიყვარულს, შესთხოვს მძინარე ქალს, რომელიც მოველინა მას, აღსდგეს და ცოცხლად ეჩვენოს.

„შენ კიდევ გძინავს! აღსდგე ჩემო! ცოცხლად მეჩვენე,
აღსდგე! ვგრძნობ ის ხარ შენა, ვინცა ესოდენ გძებნე.
აღსდგე! ვგრძნობ შენ ხარ ტბა უკვდავის სიყვარულისა,
სადაც დაინთქმის, განისვენებს ტანჯვა სულისა!
არ სდგები შენა!.. შენს ლოდინში დავღალე თვალინი,
მე შენი თავი ვარსკვლავთ შორის მომიძებნია,
და დამიწურავს ფსკერამდინა უძირო ზღვანი,
მიწა და წყალნი ტანჯულ ფიქრით დამირბენია!..
არ სდგები შენა!..“ (1, ტ.1, გვ.352).

როგორც ვხედავთ ილია ჭავჭავაძემ საბოლოოდ დაკარგა რელიგიური რწმენა და იგი გვევლინება როგორც ათეისტი. ამის შესახებ, ვ. გაგოიძე გადმოგვცემს, რომ ილია:

„იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანისათვის არ არსებობს სხვა სამოთხე და ჯოჯოხეთი, გარდა ამქვეყნიური ცხოვრებისა. ის სამოთხე ანუ ედემი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს რელიგია, ილიას აზრით მსგავსია მისივე ღმერთისა და ისევე როგორც ღმერთია არარაობა ადამიანისათვის, ასევე არარაობას წარმოადგენს რელიგიის ედემიც.“ (14, გვ.229).

1859 წლის ბოლოს, ილიამ დაწერა ლექსი „ედემი“. ეს ნაწარმოები საინტერესოა იმით, რომ პოეტი უძღერის ბუნების გამოღვიძებას და თავისუფლებას. პოეტი კითხულობს თუ სად დაკარგა ხალხმა სამოთხეში, თავისი ედემი?

„ვის უნახავს ის ედემი შლილი,
სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი,
როგორც ტკბილია გამოღვიძება;
სადაც ბუნების თავისუფლება
მონებას, როგორც უხმო ყვედრება,
ცოცხალ ფშენითა უყენებს თვალსა;

სად დაუკარგავს მშვენიერ ხალხსა

იმ თვით ედემში თვისი ედემი?

ვის უნახავს ის სამშობლო ჩემი?“ (1, ტ.1, გვ.50).

1860 წლის ივლისში, ილია ჭავჭავაძე წერს ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსს „პოეტი“. ეს არის ახალგაზრდა პოეტის მიერ დაწერილი სანიმუშო ლექსი.

ამ ნაწარმოების შესახებ მწერალი ნოდარ დუმბაძე (1928–1984) წერდა:

„ილიაზე უამრავი ნარკვევი, მეცნიერული გამოკვლევა, მონოგრაფია, მხატვრული ნაწარმოები და ოდა დაწერილა, კვლავაც უფრო მეტი დაიწერება, ალბათ, მაგრამ არავის ძალუძს უფრო ნათლად, გამოკვეთილად, ამაღლებულად ასახოს მეცხრამეტე საუკუნის ამ უგვირგვინო მეფის, ერის სულიერი მამის ცხოვრების აზრი, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი კრედიო ისე, როგორც ეს თავად მან ჩამოაყალიბა თავის გენიალურ ლექსში „პოეტი“. (3, გვ.348).

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის დროს ცხარე კამათი იყო გამართული ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულების შესახებ. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საზღვარგარეთ და რუსეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდები ეცნობოდნენ ახალ იდეებს, ფილოსოფიურ მიმდინარეობებს, რომლის მიხედვითაც ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნებას მეტად დიდი ადგილი ენიჭებოდა არსებული წყობილების შეცვლის საქმეში და რაც მთავარი იყო, ხელოვნებას უნდა აესახა ხალხის ცხოვრებისეული სინამდვილე, ესე იგი უნდა ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში.

ამ იდეებითა და თეორიებით შთაგონებულმა ახალგაზრდებმა, როგორც მათ უწოდებდნენ, „სამოციანელებს“ ანუ „თერგდალეულებს“, უარყვეს ძველი გავრცელებული აზრი, იდეალისტური გაგება, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ესე იგი „წმინდა ხელოვნება“ და მიემხრნენ მატერიალისტურ თვალსაზრისს, ხელოვნებაში ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვას.

ლექსი „პოეტი“, რომელიც დაწერა 1860 წ. 23 ივლისს, ეს არის ილია ჭავჭავაძის პოეზიაში პოეტის დანიშნულების, მიზნების და მომავლის გამოხატულება.

ილიას თქმით, პოეტის დანიშნულებაა ამ ქვეყანაზე არა მარტო „ტკბილი ხმები“ და „ლოცვა“ უძღეროს ხალხს, როგორც ამის შესახებ წერდა რუსი პოეტი და მწერალი ალექსანდრე პუშკინი (1799–1837) ლექსში „პოეტი და ბრბო“.

„არა ცხოვრების ლეღვით ხმობილი,
არც ანგარების და ომის მცველად,
შთაგონებისთვის ჩვენ ვართ შობილი,
წმინდა ხმებისთვის და სალოცველად.“ (32, გვ.68).

არამედ, იგი მოვლენილია იმისათვის, რომ ხალხს ემსახუროს და წარუძღვეს „წინა ერს“.

პ. ინგოროვცა ილიასა და გერმანელ მწერალსა და მოაზროვნის, იოჰან გოეთეს (1749–1832) შესახებ წერს, რომ:

ილია, „უპირისპირებს თავის პოეტიკას და გოეთეს პოეტიკას.

გოეთე ერთ-ერთ ლექსში, როგორც ცნობილია, ამბობს: Ich singe wie der vogel singt („მე ვმღერი, ვით მღერის ფრინველი“). ხოლო ილია ასე იწყებს თავის ახალგაზრდობის ხანის ლექსს „პოეტი“:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო

ვით ფრინველმა გარეგანმა;

არა მარტო ტკბილ ხმებისთვის

გამომგზავნა ქვეყნად ცაჲ...“

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის პირველ სტრიქონებში ილია გოეთეს ეკამათება.“ (7, გვ.404).

ამ ლექსში ჩანს პოეტის შეხედულება რწმენისადმი. იგი აცხადებს, რომ პოეზია ზეციურია, ღვთიურია, მაგრამ მეორეს მხრივ, თვითონ პოეტი მიწიერია, ხალხის – ერის აღზრდილია და ღმერთთან მხოლოდ ერთი პირობით საუბრობს, რომ წარუძღვეს ერს.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის

მიწიერი ზეციურსა;

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარუძღვე წინა ერსა.“ (1, ტ.1, გვ.61).

საერთოდ, თუ გადავხედავთ ილიას ნაშრომებს, დავინახავთ, რომ მისთვის ყოველთვის უცხო იყო სარწმუნოების მისტიციზმი. მისთვის „ღვთაება“, „ზეციური“, „ქრისტიანული მოძღვრება“ და საერთოდ, ყოველგვარი სარწმუნოებრივი ცნებები ყოველთვის გამოხატავდა, უკავშირდებოდა და ასახავდა ამ ქვეყნიურ, მიწიერ რეალისტურ წარმოსახვას, რადგანაც მისი აზრით „კაცთათვის მსახურება – მსახურებაა ღვთისა.“

ამ ლექსში, ილია აცხადებს, რომ „ღმერთის საკურთხეველი“ იმიტომ არის გაღვივებული მის გულში, რომ ერის დარდი და სიხარული, მისი ჳირი და ლხინი გაიზიაროს.

„დიდის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში.“ (1, ტ.1, გვ.61).

ილია მოითხოვს, რომ პოეტი ყოველთვის უნდა იყოს ერთან, იგი თავისი ხალხით უნდა სულდგმულობდეს და მისი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული.“ (1, ტ.1, გვ.61).

პოეტი არ უნდა გაურბოდეს რეალურ ცხოვრებას და უნდა ასახავდეს სინამდვილეს. ამიტომ მან უნდა გააგებინოს და უთხრას ხალხს სიმართლე, და როდესაც მასში შთაგონების წყარო გულში ცეცხლს გაუღვივებს, მხოლოდ მაშინ ამღერდება და ერსაც „ტანჯვის ცრემლს“ მოსწმენდს.

„მაშინ ციღამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!“ (1, ტ.1, გვ.61).

როგორც ვხედავთ, ასეთი მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა ილიას, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, როცა ის-ის იყო მწერლობას იწყებდა. სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, იყო მისი მრწამსი და მისი სარწმუნოება და სიცოცხლის ბოლომდე ამ იდეის მქადაგებელი დარჩა.

ეს ლექსი, ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოეტურ ნაწარმოებად არის აღიარებული.

პატრიოტულ თემაზე დაწერილი (1860 წ.) ილიას ლექსი „ქართველ სტუდენტების სიმღერა.“ აქაც პოეტი მამულის სიყვარულს, ქვეყნისათვის და ხალხისათვის თავდადებას ქადაგებს. ილიას, ქართველი სტუდენტები უნდა, რომ იყოს ყველგან და ყველასთან ძმურად გამოსადგენი, ლხინში მომხელნი და ჭირში მშველელნი, საქმეში და შრომაში სხვას, რომ არ ჩამორჩნენ, სიმაღლის დამცველნი, უღონოსა და დავრდომილის მშველელნი, ხოლო მტრის ძალის გულდაგულ დამხვლობნი. ასე ჰყავს პოეტს წარმოდგენილი მომავალი ახალგაზრდობა და რაც მთავარია, ისინი სამშობლოს უნდა გამოადგინენ და მათი მიზანი უნდა იყოს მამულისათვის თავდადება. სწორედ ამის შესახებ ათქმევინებს ქართველ სტუდენტებს პოეტი, ეს უნდა იყოს მათი მთავარი მრწამსი და ამისკენ უნდა მიისწრაფოდნენ.

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დაუვარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით.

ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო;
თუ დედამ შვილი გაზარდოს, –
ემაგრე ჩვენისთანაო.“ (1, ტ.1, გვ.64).

რუსეთში მყოფი ილია, მცირე მოცულობის ლექსში „ღამე“, სევდას, დარდს და მწუხარებას გამოთქვამს სამშობლოდან განშორების გამო“.

„როცა ყაყანი ქვეყნისა, სრულად მისწყდება
და აღარ ისმის ბოროტების ხმა მოსაწყენი,
რომ მძინარ სოფელს კამარა ცის ზედ გარდემლება, –
სამხრეთის ღამევი! მაშინ მიყვარს ყურება შენი.“ (1, ტ.1, გვ.72).

კიდევ ერთი, უსათაურო სევდიანი ლექსი აქვს დაწერილი ილიას, სადაც გადმოსცემს მის სულით ობლობას. იგი მის გარშემო ხედავს მხოლოდ სიბნელეს და მის გულში მძვინვარებს მხოლოდ სიცივე. იგი ებრძვის „სიმდაბლეს, მტრობას“ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ დამარცხებულა, მიუხედავად ამისა იგი ამაყად აცხადებს: მას ქედი არავისთვის არ მოუხრია, პირიქით, მისი მკლავი თანდათან გამაგრდა. სინანულით გამოთქვამს პოეტი თავის შეცდომას, რომ ეს ბრძოლა, ბრძოლად არ ღირდა. იგი წერს, რომ:

„დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!“ (1, ტ.1, გვ.68).

სევდა ისმის მეორე ლექსშიც, რომელიც მან დაწერა 1860 წელს და იწყება სიტყვებით:

„როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო.“ (1, ტ.1, გვ.70).

პოეტი დარდობს, რომ არავინ არის მის გარშემო, რომ თავისი დარდები ვინმეს გაუზიაროს. მხოლოდ ნუგემის საცემად „სიმღერა მორბის“ და მას ან-

დობს თავის „წყურვილს“, რადგან ისიც მასავით სევდიანია და დავრდომილი.
„და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ,
ის ჩემებრ არის სევდით ბურვილი,
მის მწუხარ ზმებში ჩემს გულის ხმას ვცნობ
და მევე მიყვარს ჩემი წუხილი.“ (1, ტ.1, გვ.70).

სევდიან-პატრიოტული ლექსია, ამავე წელსვე დაწერილი „იანიჩარი“. ამ ლექსში, ილია აღწერს ქართველ მხედარს, მის ვაჟკაცობას, სიმამაცეს, სიჩაუქეს, მის გამბედაობას, მხედრულ ვარჯიშს და მის ჭაბუკ სილამაზეს. მაგრამ, პოეტის გულნაკლულობას, ნაღველსა და სინანულს იწვევს ის, რომ ეს „ივერიელი ჭაბუკი“ სამშობლოსა მოშორებული. სადღაც, ოსმალეთშია გადახვეწილი და ქართლი ვერ უყურებს მას.

„შვენოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა ვით ალვა რგული,
მაგრამ მე მის მჭკვრეტელს ნაღვლით ამერია სული, გული...
ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენა სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..“

(1, ტ.1, გვ.66).

ამავე, 1860 წელსვე, ყოველგვარი სინანულისა, წუხილის, სევდის გარეშე, დაწერილ უსათაურო ლექსში, რომელიც იწყება სიტყვებით: „უსულდგმულო ცხოვრება“, ილია ამბობს, რომ ყოველმა კაცმა არა მარტო თქმითა და სიტყვებით, არამედ საქმით უნდა დაანახვოს ქვეყანას და ხალხს, რომ ის მასზე ზრუნავს. ამით მიაღწევს ის აქვე, მიწაზე, „უკვდავების წყაროს“.

„ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..“ (1, ტ.1, გვ.69).

სტუდენტობის დროინდელი ლექსებიდან, ცალკე უნდა გამოვეყოთ სატრფიალო — ლირიკულ თემაზე დაწერილი ლექსები, სოციალურ თემაზე დაწერილი ლექსი „მუშა“, ძმის გარდაცვალების გამო დაწერილი ლექსი და ქართველ რომანტიკოსებისადმი მიძღვნილი ლექსები.

ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა სამი ძმა: კონსტანტინე (1832–1854), თეიმურაზი (1839/42–1860) (თეპური), სვიმონი - მცირეწლოვანი გარდაცვლილა, და ორი და: ნინო (1834–1883) და ელისაბედი (ლიზა) ჭავჭავაძესაგინაშვილი (1840–1925).

ილიას უმცროსი ძმა თემური, სწავლობდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა და აქვე დაუსაფლავებიათ. უსაყვარლესი ძმის უდროოდ დაღუპვამ დიდად იმოქმედა ილიაზე. წერილში, რომელიც მას გაუგზავნია 1860 წლის 14 მაისს, მის საყვარელ აღმზრდელ მამიდა მაკრინესათვის, იგი წერდა:

„საყვარელო მამიდავ!...

ჩემი პატარა თემურა სადღა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?!.. ვეღარა გნახავთ ის საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მინც მიცვალებულიყო. ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ დამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დავგივდე ნუგემათ ცრემლი და წუხილი.....

დავბრუნდები შინ კურს გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ,... და თქვენი პატარა თემურა საუკუნოთ დარჩება აქ. თქვენი უბედური ილია.

[წერილს თავზე მიწერილი აქვს:]

ვაიმე საწყალო თემურ! აღარ გაიხარებენ შენ ბედნიერობაზედ არც ძმა შენი უბედური, ვეღარც მამიდა და ვეღარც დები შენი. სად წახვედ, ჩემო საყვარელო ძმაკ! შემომხედე მე და შემობრალე, რომ უშენოთ ასე ვიტანჯები.

თქვენი უბედური ილია.“ (1, ტ.1, გვ.19).

ასე დამწუხრებული და დადარდიანებული ილია საყვარელი ძმის გამო, თავის გულის ნადებს გამოთქვამს ლექსში „ძმის სიკვდილზედ.“

„ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე!..

მე დავრჩი მარტო, უბედური, შენად მახვრალი,
არ გამითენდა შენ შემდეგა ვაების ღამე.

მთელი ქვეყანა შემექმნა მე ნგრეულ, ტიალი!..

შენთან დავმარხე, ჩემო თემურ, ყოველიფერი!..

ქვეყნად ნუგემად დამშთა მხოლოდ მე ცრემლი მწარე,

სალოცავადა, ძმაო, შენი ობოლი მტვერი

და უცხო ქვეყნად მღგომი შენი წმინდა სამარე!..“ (1, ტ.1, გვ.71).

ასე გამოხატა ილიამ თავისი გოდება საყვარელი ძმის გარდაცვალების გამო.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებმა თავისებური ზეგავლენა მოახდინეს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე. თუ რა გავლენა იქონია ჩვენმა გენიოსმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა ილიაზე ამის შესახებ ჩვენ

ზევით უკვე აღვნიშნეთ. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ლექსი „ჩემო თარაირალი“ ილიამ დაწერა ალექსანდრე ჭავჭავაძის მიბაძვით.

1860 წელს ილიამ დაწერა, ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, სადაც შესანიშნავად არის შეფასებული ამ გამოჩენილი პოეტის ლირიკული შემოქმედება.

ეს ლექსი, თავისი მხატვრული ლექსთა წყობით, მუსიკალობით, სიტყვათა სილამაზით, შეიძლება ითქვას, რომ გამოირჩევა ილიას პოეტურ შემოქმედებაში. ამავე დროს მოკლედ და სხარტად დახასიათებულია ალ. ჭავჭავაძის მთელი პოეზია. პირველსავე ტაეზიდანვე გაჯადოებით, გზიბლავთ და გაგრძობინებით, თუ რა განცდებს განიცდიდა ილია, მისი პოეზიის კითხვისას. ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული და მიჯაჭვული, რომ შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან დაშორება. ლექსს, წამძვარებული აქვს ა. პუშკინის სიტყვები, ლექსიდან მიძღვნილი „უუკოვსკისადმი“ [რომანტიკოსი პოეტი ვასილ უუკოვსკი (1783–1852)]:

„ნეტარ არიან, ვინც იგრძნო ვნება

დიდი აზრების, დიდი ლექსების.“ (32, გვ.32).

გ. ჯიბლაძე ამ ლექსის შესახებ წერდა:

„თუ აქ, პუშკინის სიტყვების გამოყენებით აღნიშნულია ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის უმთავრესი და უძირითადესი თვისება-ღირსებანი, სამაგიეროდ, თვით ილია ჭავჭავაძის ლექსში სრულად არის წარმოდგენილი დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი: ნაჩვენებია მისი ლექსების როგორც საპირადო-ლირიკული, ისე საზოგადოებრივ-სამოქალაქო ხასიათი.“ (12, ნაწ. I, გვ.234).

ეს შესანიშნავი ლექსი, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ ჩვენ მოგვყავს მთლიანად:

„მისი ლექსი შვებით, ღზენით

ხან მეჯლისში მოჰფრინდება,

გულს ჩაგეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს,

გამღერებს და ამღერდება;

ხან ღონდება ნაზ ქალსავით

უიმედო სიყვარულით,

ხან იფეთქებს ჭაბუკსავით

და განდევნის სევდას გულით;

ხან ბუჩქებში მიმალული

ჰზის მარტო, ვით იადონი,

შეჰყევს სატრფოს გულსაკლავად.

ტრფობის ისრით განაწონი;
ხან ჰრბის ველად, მარტოდ ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვენეს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჰყურებს ნადვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...“ (1, ტ.1, გვ.57).

აღ. ჭავჭავაძის პოეზიის ზეგავლენით არის დაწერილი 1858 წელს, სტუ-დენტური დროის, ერთად-ერთი ანაკრეონტული (პოეზია, რომელიც უმდგროდა მხიარულ ცხოვრებას, სიყვარულსა და ღვინოს) ლექსი „ლოთის რჩევა“.

ილიასათვის, ასეთი პოეზია, რომელიც ეხებოდა ღვინოს, მხიარულ-თავაშ-ვებულ დროსტარებას და ღრეებას, მიუღებელი იყო.

გ. ჯიბლაძე ამ ლექსის შესახებ წერდა:

„მთელი ეს „ფილოსოფია“ ილიას შემოქმედებაში გაისძის როგორც ირონია და ანაკრეონტული პოეზიისადმი ერთგვარი ხარკი. ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს ლექსი პოეტის დროებითი გატაცების შედეგი იყოს. მისთვის სრულიად საწი-ნააღმდეგო თვალსაზრისის უფრო დაგმობაა, ვიდრე თუნდაც წამიერი მიღება. ლექსსაც ამიტომ ეწოდება „ლოთის რჩევა“ და არა ფხიზელი, ჭკუათმყოფი ადამიანისა.“ (12, ნაწ. I გვ.231).

ლექსში, ლოთი გვიჩვენებს, რომ ცხოვრებაში, სიცოცხლის გაწირვა ქვეყნის დიდებისათვის, ქვეყნის სიმდიდრისათვის, „ამაოა ამ ქვეყანაში“. ის არ გაიც-ვლება ქალის ერთ კოცნასა და ერთ ღვინით სავსე ყანწში. ამ ქვეყანაზე ორი რამ არის პატივსაცემი: მხიარული ამური და ცელქი ამური, რომელთა საშუ-ალებით თქვენ სიცოცხლეს ღვიმლით გაივლით. „უგემური ჭკვის“ დაჯერება არ შეიძლება, ვინაიდან:

„გრძნობის განსჯაში ყოველთვისა ბრმას,

გულის კითხვაზედ უარისთვის მზას.“ (1, ტ.1, გვ.23).

ლოთის განსჯით, რა სჯობია იმას, როდესაც ერთი ხელით მიჯნურს ეხ-ვევი, ხოლო მეორეთი „ჰყლაპავდე კახურს“.

„ან ღვინის ორთქლით გახურებულსა,
რა დაგოცნის შენ სხივი ავრორის,—
ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,

შენ სიყვარულისა ხვევნათა შორის

შენს თავს იხილავ... მაშინ ჰკითხე ჭკვას –

რა უნდა სჯობდეს მაგ გაღვიძებას!“ (1, ტ.1, გვ.23).

გ. ასათიანი ამ ლექსის შესახებ წერს:

„აღსანიშნავია, რომ ილია აქ მიმართავს მისთვის სრულიად უჩვეულო, ანტიკური წარმოშობის სიმბოლიკას: „მხიარული ბახუსი“, „ავრორის სხივი“, „ცელქი ამური“ – ეს მითოლოგიური ფიგურები მის ლექსში სიცოცხლეს-მოკლებულ სტატუეტებად გამოიყურებიან.“ (3, გვ.403).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია (მით უფრო სტუდენტობის დროის პოეზიაში) სატრფიალო ლირიკას.

ლიტერატორი და ეკონომისტი აკაკი კენჭოშვილი წერს, რომ:

„ილიას სტუდენტობის დროის ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს სატრფიალო ლექსების მთელი ციკლიც. ილია სიყვარულის გატაცებული მომღერალიც არის.“ (15, გვ.41).

პირველი ლექსი, რომელიც სიყვარულით გატაცებულმა პოეტმა შექმნა 1858 წელს, არის „მეც შავ თვალებს“.

შეყვარებულ პოეტს, თავისი სატრფო წარმოსახული ჰყავს ცხადათ და მისი გარეგნული სილამაზით მოხიბლული, ეძებს „შავ თვალებს“, როგორც დაუმონაგებელ საშიშ ცეცხლს.

„ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი.“ (1, ტ.1, გვ.17).

შავ თვალეში ხედავს სიცოცხლის ცეცხლად დუღილს და მისი ნაპერ-წკლის წვას, სიცოცხლესთან შერიგებას და სხვა ნეტარების არ ნდომებას, ტრფობით ამღვრეულობას და არწივივით თავისუფლებას. მშვენიერ შავ თვა-ლებში იხატება ამპარტავნობა და:

„სიყვარულისთვის ცეცხლად ანთება.“ (1, ტ.1, გვ.17).

პოეტი, ხოტბას ასხამს შავ თვალებს და ამ თვალების გამოხედვაში გად-მოსცემს თავის განცდებს:

„როს დაიწყებენ იგინი ცქერას,

გული სხვა გრძნობით მოჰყვება ძგერას:

ჰგრძნობ, რომ საბრალო გული განგიწევს

და ჰძრწო, რომ სრულად მათ წარგიკითხეს.“ (1, ტ.1, გვ.17).

ამ შავი თვალებისათვის პოეტის თქმით, თავისუფლებასაც კი გასწირავს კაცი. ამიტომ ეძებს ამ შავ თვალებს, მაგრამ რუსეთში ვერ ნახულობს.

„რა გინდ ტკბილ იყოს თავისუფლება,

მათგან უფრო ტკბილ არს დამონება!

ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს,
მაგრამ რუსეთში ვინ დამანახვებს!..“ (1, ტ.1, გვ.17).

გ. ასათიანი ამ ლექსს შემდეგნაირად ახასიათებს:

„სატრფოს თვალები შედარებულია „წყვიადთან“, „ქარიშხლიან ზღვასთან“, პოეტი მათში ხედავს „არწივის თავისუფლებას“, რაც ილიასათვის უკვე სავსებით ორგანული, ახალი პოეტური ასოციაციით არის ნაკარნახევი.

სხვათა შორის, ილია ამ ლექსში მიმართავს ერთ პოეტურ ხერხს, რომელიც შემდგომ მისი პოეტიკისათვის დამახასიათებელ, გარკვეული თვალსაზრისით რჩეულ ხერხად იქცევა.

მათ გრძნეულ, უხმოდ ცხად გამოთქმაში...

წერს იგი სატრფოს თვალებზე...

„უხმოდ ცხადი გამოთქმა“ (ისევე როგორც „ტკბილი დამონება“) წარმოადგენს XIX საუკუნისათვის ტიპიურ სახეს....

შეიძლება ითქვას, რომ ახალ ქართულ პოეზიაში ამგვარი პოეტური ხერხის დამკვიდრებაც ძირითადად ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული.“ (3, გვ.410).

ამავე წლის ერთ და იმავე დღეს (26 ოქტომბერს), ილია წერს ორ უსათაურო ლექსს, რომლებიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „ვიხილე სატრფო“ და „ერთხელ ჯდა“.

ამ ლექსებში, პოეტი სატრფოს მიმართ ღრმა გრძნობას განიცდის, მას შეხარის, ეტრფის და მიუხედავად წარმავალი სიყვარულისა, იგი მაინც მისი ერთგული რჩება და მისთვის ცრემლსა ღვრის.

პირველ, მცირე მოცულობის ლექსში, „ვიხილე სატრფო“, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ილია, მოკლედ, სადად და ამავე დროს მკაფიოდ გადმოგვცემს სატრფოს – ქალის ზეციურად წარმოსახვას, მისთვის შორიდან კვდომას და უიმედო სიყვარულის გამო ცრემლთა დენას.

„მოვიდა სხვა დღე, – განქრა მის დარდი,

მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი,

იმ ვარდს ტრფობითა ის დაჰლიმოდა –

და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა!“ (1, ტ.1, გვ.26).

მეორე ლექსშიც, პოეტი უიმედო სიყვარულით გულგატეხილი და უსაზღვრო სევდით შეპყრობილი, გარშემო ვერაფერს ვერ ხედავს. იმ დროს, როდესაც მის გარშემო დღე არის გაბრწყინებული და მზე ათბობს გარემოს, დადარდაინებული პოეტი მხოლოდ მის გვერდით მჯდომ ლამაზ ქალზე ფიქრობს.

– „რა შეეხედო მზეს? ვიცი, გადმოყრილს
კაცთ მაცოცხლებელს არც ერთსა მის სხივს
არ ძალუძს ჩემის გულის გათბობა,
არც ჩემის დარდის ცრემლად დაღწობა.“ (1, ტ.1, გვ.27).

კიდევ ერთი, უსათაურო, ლირიკული ლექსი დაწერა ილიამ იმავე, 1858 წელს. პოეტის თქმით, მხოლოდ მაშინ დასტკებდა და თავს წარმოიდგენს სამოთხეში, როდესაც მისი წარმოდგენით, სატრფო თანაუგრძობს მას და ისიც სიყვარულს გაუმხელს მას. მაგრამ იგი იმდენად არის მოკრძალებული სატრფოს მიმართ, რომ კოცნასაც ვერ უბედავს. პოეტს ჩაესმის წარმოსახული სატრფოს გულის ცემა როგორც ლოცვა.

„ვიშ, მაგ შენს ნარნარს გულის-ცემასა,
ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდი,
და ცოდვილთ ფიქრთა ზედ-მოსევასა
შენის სიწმინდით ვიკერიებდი.“ (1, ტ.1, გვ.32).

ამავე წლის ბოლოს დაწერილ ლექსში, პოეტი გვევლინება როგორც მებრძოლი პიროვნება, რომელიც მომზადებულია ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვისათვის, სიყვარულის იმედის დაკარგვის, სატრფოს დალატისა და მომზადებულია ბედთან საბრძოლველად. იგი ამ ლექსს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ყველას გაუძღვებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძღვება!“ (1, ტ.1, გვ.33).

ილიასათვის სიყვარულის ეს ამალელებული გრძნობა წარმოადგენდა არა სიტკბოების და სიამოვნების მიღწევის მიზანს, არამედ ის იყო მისი ცხოვრების წინააღმდეგობის დაძლევის ძალა.

ამავე თვის ბოლოს დაწერილ ლექსში, „რისთვის მიყვარხარ?“ კითხულობს პოეტი და თვითონვე პასუხობს:

„რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უღწობს ცრემლსა;
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა.“ (1, ტ.1, გვ.34).

პოეტმა იცის, რომ საერთოდ, უსიყვარულოდ ცხოვრება არ შეიძლება. სიყვარული ხომ ეს არის ბედნიერება, მაგრამ ამ ბედნიერებას თან ახლავს

თავისებური ტანჯვაც. ამ ტანჯვის შესახებ საუბრობს ილია, კიდევ ერთ უსათაურო ლექსში, რომელშიც, პოეტი კითხულობს: „მითხარით რისთვის“ უნდა მას განმარტოვებით ყოფნა, რისთვის დალატობს „მხიარულ კრებას“, რისთვის „ტკბილად მინაზებული“ ეტრფის „ერთს ვარსკვლავსა?“, რისთვის მირბის იქ სადაც „სჩქეფს წყარო მდინარი“, სადაც „ნაზი და მტკბარი“ ველია და სადაც ცხადად სჩანს სიყვარული? ამ კითხვებზე პასუხს თვითონვე სცემს:

„მისთვის, რომ იქ ჰფრენს ხშირად ბულბული,
სიყვარულითა აღტაცებული,
იქ შეყვარებულს ჩემ წამხდარსა გულს
ვასწავლი მისგან წმინდა სიყვარულს.“ (1, ტ.1, გვ.35).

სიყვარულის შესახებ, არა ერთი ლექსია დაწერილი, მაგრამ ლექსი, „ხმა გულისა“, რომელიც ილიამ დაწერა 1859 წლის იანვარში, თავისი მხატვრულობით, სიტყვათა წყობით, სილამაზით და მუსიკალურობით გამოირჩევა ლირიკულ პოეზიაში. ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსია, რომელიც გ. ჯიბლაძის თქმით „დიდი ხნის წინათ უკვე პოპულარულ სიმღერად ქცეულა.“ (12, ნაწ. I გვ.222). აი ეს ლექსი:

„ჩუმ მადნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მდგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდლამაც ნაზი ბულბული
სტყენდა სიყვარულს გაგიჟებული.
დიდხანს და დიდხანს ვუგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნეულს;
გგრძნობდი ჩემ სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვა-რიგ ცემას.
დიდხანს ვატარე, დავალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტყენდა სიყვარულს გაგიჟებული.“ (1, ტ.1, გვ.39).

სიყვარულის ამ ამაღლებულ გრძნობას, რომელიც პოეტის გულში სტყენდა „ნაზი ბულბული“, თან ჩაესმოდა მას „საკვირველნი ციურნი ხმები“. ეს ხმები, ნელი ხმით უგალობენ მას თუ საიდან მოდიან და სად ცხოვრობენ. ლექსში „ციურნი ხმები“, პოეტი თვითონაც აყვება ამ ხმებს და წერს:

„მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა,

მათ ვაძლევ ბანსა, –
და მშვიდობასა,
ჰგრძნობს ჩემი გული,
და შევკვრეტ ცასა
განცვიფრებული.
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირველებო!“ (1, ტ.1, გვ.42).

ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ მისი სატრფო ყოველთვის სიცოცხლის უნარიანია და მიწიერია. 1860 წელს დაწერილ ლექსში „მძინარე ქალი“, იგი აღწერს მძინარე ქალის მშვენიერებას, სიცოცხლით აღსავსე ქალს, რომელსაც სძინავს და ამ აღწერით, მკითხველს თვალნათლივ წარმოუდგება მძინარე ქალის სილამაზე, რომელიც შერწყმულია ზებუნებრივ სულიერ სამყაროსთან.

პოეტი დაჰყურებს ამ მშვენიერ, მიწიერ ქალს და გატაცებული ამ მშვიდ, მძინარე ქალის სილამაზით, იგი აღწერს მის ბროლის მკერდის რხევას, წრფელი გულის ღელვას, აწითლებულ ნაზ ლოყებს, ათრთოლებულ ტუჩებს და შენატრის იმას, ვისიც ის არის.

„წრფელი გაქვს ძილი,
ვით ხილვა ცისა,
ზედ გადაა ჩრდილი
ანგელოზთ ფრთისა,
შენ თითონ წრფელსა
წრფელიც გაქვს ფშვენა,
ნეტა მის ბედსა,
ვისიც ხარ შენა!..“ (1, ტ.1, გვ.52).

ამავე წელსვე, ილიამ დაწერა ორი ლექსი: „ს... ჩ...სას“ და „ჩ . . . სას.“ ეს ორივე ლექსი, როგორც ჩანს, ერთი და იმავე პიროვნებას ეძღვნება. პირველ ლექსში, პოეტი გადმოგვცემს თავის გატაცებას ამ მშვენიერი ქალით. თავისი სიყვარული ამ ლამაზი ქალის მიმართ, თავისებური პოეტური აღწევებით და გულწრფელობით აქვს გადმოცემული, თუმცა იცის, რომ ეს არის უიმედო სიყვარული.

„თუმცა ეს, ტურფავ სიზმარია,
მითაც სტკება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკებს
უიმედო სიყვარული!..“ (1, ტ.1, გვ.59).

მეორე ლექსში, „ჩ . . . სას.“ კი ჩანს, რომ პოეტის ეს უიმედო სიყვარული საბოლოოდ დამთავრებულია და ისინი დაშორებულან. პოეტი გადმოგვცემს, რომ სატრფოს მისთვის პირდაპირ განუცხადებია:

„ერთხელ მითხრა: „ცხოველს ქვეყნის
ივერიის შობილი ხარ;
მაღალ მთების ქარიშხალით,
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ.
„მე ჩრდილოეთის ველზედ ვყავი,
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
პასუხს ჩემი ცივი გული?!“ (1, ტ.1, გვ.60).

ასე დარჩა პოეტი მარტო და ეს მარტოობის განცდის გრძნობა, მან არა ერთხელ გამოხატა თავის ლექსებში. იგი განაგრძობს:

„ტურფამ ეგრე განარიდა
ჩემი წმინდა სიყვარული!
სჩანს ოდითვე დანიშნულა
სამარტოოდ ჩემი გული!“ (1, ტ.1, გვ.60).

მარტოდ დარჩენილი პოეტი, განიცდის ამ სიმარტოვეს, რადგან მის გარშემო ვერავის ხედავს, რომ თავისი ფიქრები და სულიერი გრძნობები გაუმჩილოს. თუმცა, იგი მაინც ძალას იკრევს და მომავლის იმედს არ კარგავს. ამავე წლის უსათაურო ლექსში, მგოსანი წერს:

„ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
განცაცვიფრდეს უქმი ერი;
მაგრამ შენში რაღაცაა,
ის ათროლებს ნატვრით გულსა...
ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია
თვისტომობა სულთან სულსა.“ (1, ტ.1, გვ.65).

ლიტერატორი კენჭოშვილი აღნიშნავს:

„1860 წელს დაწერილ სატრფიალო ლექსების „ს... ჩ... სას“ და „ჩ... სას“ ადრესატს თვით სათაური გვანიშნებს – ესაა სოფიო ჩაიკოვსკაია. სიყვარულის ძლიერი ცეცხლი აუნთია ილიას გულში გენერალ ჩაიკოვსკის ასულს სოფიოს, სახელოვანი რუსი კომპოზიტორის (1840–1893) დას. ილია თავის დას უთ-

ვლიდა, ვერცხლის ქამარი გამოეგზავნა ხანჯლით, – ერთ ქალს დავპირდი საჩუქრადო: „მერე უნდა იცოდე, რა ქალია, – იმათ ოჯახში, როგორც შვილი, ისე ვართ მიღებული; ისეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს“. ჩაიკოვსკის ასული დაუფლებია მის ოცნებას:

დასტები, გიჟო! – მეუბნები, –
აჰა, ჩემი წრფელი გული!
ბაგე-ბაგეს ჩავაკონოთ
და ჩავართათ სულთან სული!

რამდენად ძლიერი ყოფილა ეს გრძნობა, ამას გვიჩვენებს აგრეთვე ლექსი „გახსოვს, ტურფავ“. როგორც ცნობილია, სოფიო ჩაიკოვსკაია ვერ გახდა ილიას საბოლოო მეგობარი...

„გახსოვს, ტურფავ“. ამ ლექსში ასახული გრძნობა პირდაპირი გაგრძელებაა იმ გრძნობისა, რაც გამოხატულია ლექსით „ჩ... სას.“ ეს ლექსი დაწერილია 1860 წლის 21 ივლისს, ხოლო „გახსოვს, ტურფავ“ იმავე წლის 5 ნოემბერს. ერთიც და მეორეც „უიმიელო სიყვარულის“ ანარეკლია. ასეთი კი იყო ჩაიკოვსკაიასადმი სიყვარული.“ (15, გვ.42).

ამ ლექსით მთავრდება, ილია ჭავჭავაძის პეტერბურგის, სტუდენტობის დროინდელი, სატრფიალო-ლირიკულ თემაზე შექმნილი ლექსები.

როგორც დავინახეთ, ამ ლექსებში, ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს თავის გრძნობებს, მის პირად ცხოვრებასთან, მის სულიერ სამყაროსთან დაკავშირებულ განცდებს.

ილია ჭავჭავაძის სტუდენტური დროის ლექსებიდან გამოირჩევა, ერთადერთი სოციალურ თემაზე დაწერილი, შეიძლება ითქვას, დიდებული ლექსი „მუშა“, რომელიც დაწერა 1860 წლის 12 ივლისს.

ეს ლექსი წარმოადგენს ნაწარმოებს, სადაც ხდება, მწერლის მიერ, მისი გმირის სუბიექტური განწყობილებისა და განცდების აღწერა. ჩვენ შეგვიძლია ეს ლექსი მივაკუთვნოთ პოემას.

ამ ლექსის შესახებ გ. ჯიბლაძე წერს:

„ამ ნაწარმოებით ქართულ პოეზიაში პირველად ჩნდება ქალაქის ყველაზე დაჩაგრული არსება, ყველასაგან დამონებული ადამიანი, რომლის შესახებაც შესანიშნავად თქვა ნეკრასოვმა – „В труде проходит жизнь его и не приносит ничего.“ სწორედ ეს სიტყვები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული ილიას ლექსს და მთელი მისი შინაარსი ამ სიტყვების მკაფიო დასტურებას წარმოადგენს.“ (12, ნაწ. I, გვ.253).

ლექსში „მუშა“, ილია აღწერს, სოფლიდან ქალაქში საშოვარზე ჩამოსულ, გლეხის აუტანელ, ღუხჭირ ცხოვრებას. რომელიც სინამდვილეში უფრო მძიმე გამოდგა ვიდრე სოფლად. ის იძულებული ხდება იმუშაოს მეზარგედ. ილია აღწერს მუშის ერთი დღის შრომას, რომელიც არ განსხვავდება სხვა ღლეხისაგან. მუშა, რომელიც სოფლის ღუხჭირ ცხოვრებას გამოექცა, ქალაქში აღმოჩნდა ყველაზე უფრო დამცირებული, გაპარტახებული, დაჩაგრული და დამონებული. მას არაფერი გააჩნია გარდა მომქანცველი შრომისა და ყოველდღიური ტანჯვისა.

ლექსი შესდგება ოთხი ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში, პოეტი ცდილობს მუშის სურათი დაგვიხატოს ისეთნაირად, რომ ჩვენში წაკითხვისთანავე გამოიწვიოს მისდამი თანაგრძნობა, ადამიანური კეთილშობილება, გულმოწყალება და კაცთმოყვარეობა.

მთელი დღის განმავლობაში მისი ცხოვრება ტანჯვა-წამებას წარმოადგენს, რომელსაც არსებობის არავითარი პირობები არ გააჩნია. მთელ დღეს ოფლსა ღვრის და ქუჩაში აღამებს და ათენებს.

„გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახიხარ შენ
კედელთან მწოლი, მხურვალე მზე ზედ დაგყურება,
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულება
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
ღლიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.“

(1, ტ.1, გვ.54).

პოეტი კითხულობს „ვინ ხარ შენ, ჩემო ძმაო?“ სოფლის ავებლობას, „ბატონის მათრახს“ გამოქცეული, რომელმაც მიატოვა „ჯალაბობა“, მამულის მინდორი, შეჩვეული მიწა და წყალი, ჩამოვიდა ქალაქში და ეწევა ამ მძიმე მეზარგულის შრომას, ან იქნებ:

„თუ უნებლიედ გადმოგრტყორცნა მუხთაღმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერ ტფილისშია აბა რა ჰპოვე?..“ (1, ტ.1, გვ.54).

ლექსის მეორე ნაწილში, ილია აღწერს მუშის საქმიანობას, მის მძიმე, არაადამიანურ შრომას. მუდამ ტვირთქვეშ „მოკაკული“, რომელსაც პატიოსან შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდის, დაღლილი ქმენა და რომელსაც მძიმე ტომრის ქვეშ მუხლიც ეკეცება, მაგრამ ადამიანთა შებრალებისა და თანაგრძნო-

ბის ნაცვლად, მუშა დამცირებასა და დაცინვას განიცდის. როდესაც „დიდკაცის დროშა“, მის წინ მიმავალ მუშას შეუბრალებლად დაეჯახება და წააქცევს, მიშველების ნაცვლად, ხალხი სიცილ-ხარხარს იწყებს.

ილია ამით გამოხატავს, ჩვენი ცხოვრების სიმახინჯეს. ეს ერის უბედურებაა, ვინაიდან ხალხის, საზოგადოების ამ ნაწილს არაფრად მიაჩნიათ ცხოვრების უსამართლობა და სხვისი უბედურება მათთვის არაფერს წარმოადგენს.

პოეტი, გულის ტკივილით აგვიწერს მუშის შემდგომ მოქმედებას და მის გრძნობებს:

„რასაც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:

შენს ღუმელშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!

იმავე ღუმელით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთსა,

ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან.

სწევ, ვერ ეწევი, – გეკარგება შენ საზრდო დღისა...

ხალხი გიყურებს – და არავინ არა გშველიან!..“ (1, ტ.1, გვ.55).

ამ ლექსის ნაწილის შესახებ ტ. სართანია წერს:

„მწუხარე თვალთი გამოხედვასა და მუშის ღუმელში პოეტმა რისხვის ზარი ამოიკითხა, რომელიც დრო მოვა და დაჰკრავს მშრომელთა სანუგეშოდ და მდიდართა შესარისხავად.“ (11, გვ.82).

ლექსის მესამე ნაწილში, პოეტი უფრო ამძაფრებს მდგომარეობას. ეს დაღლილი, დატანჯული, მშვიერ-მწყურვალე მუშა, როდესაც ბოლოს და ბოლოს მიუტანს ტვირთს პატრონს, იგი არაფრად აგდებს მის მდგომარეობას, აცდევინებს მას და იმ საზღაურსაც არ აძლევს რაც ეკუთვნის, იბრიყვებს, ევაჭრება და ფასს უკლებს, და ეს მაშინ, როდესაც ის მდიდართან და შეძლებულთან გულუხვია, „ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს“.

მაგრამ, რა ქნას საბრალო მუშამ? – იგი უძღურია, „უღონოა“ და დაბრიყვებული. სთხოვს:

„ნუ მიტეხ ლუკმას, – ეუბნები, – ღმერთსაც შეხედე!

მე ეგ ლუკმა პირუტყვსავით ზიდვით ვიყიდე.“ (1, ტ.1, გვ.55).

მაგრამ რა, მის თხოვნას ყურს არავინ უგდებს და გამწარებული, დაბეჩავებული მუშა:

„ეგრეთ დასჯილი, უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ

და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა

და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ

ისევე ამ-რიგად განაგრძელებ უღმრთო შრომასა.“ (1, ტ.1, გვ.55).

მეოთხე ნაწილში, ილია აგვიწერს ამ მუშის მომავალს, რომელიც თავის სიცოცხლეს დაასრულებს ამ შრომაში, დაუძღვრებული, დაავადმყოფებული, მიეგდება სადმე ქონში და:

„დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.“ (1, ტ.1, გვ.55).
ლექსის ბოლოს, ილია წერს დატანჯულ მუშის აღსასრულს.

„მოჰკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედავენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, – და ჩვენ ხსოვნასა

არაფერი არ მოაგონებს შენს «აქ» ყოფნასა.“ (1, ტ.1, გვ.56).

ამ ლექსს გ. ვიბლაძე შემდეგნაირად ახასიათებს:

„ლექსი მაინც თავიდან-ბოლომდე მთლიანი, იდეურად და მხატვრულად მჭიდროდ შეკრული გამოვიდა. რაკი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ტვირთმზი-დავი მუშის ტრაგიკული სახე, მისი არარა ყოფნა. ასევე არარა აღსასრული და ამ მომენტების ძლიერი ხასვასმით მისდამი მკითხველის ღრმა თანაგრძნობა გამოეწვია....“

თაობები აღიზარდნენ ამ ნაწარმოებზე; თაობათა ხსოვნაში დაიდო ბინა „მუშის“ პუმიანიზმით აღსავსე დოქტრინამ, ხოლო, თუ რა გავლენა მოახდინა ქართულ პოეზიაზე, საკმარისია მარტოოდენ ერთი ფაქტი გავისხენოთ: ჩვენი რომანტიზმის ვეტერანმა, უფროსი თაობის წარმომადგენელმა გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძის „მუშის“ გავლენით, ჩვიდმეტი წლის შემდეგ, 1877 წელს დაწერა „მუშა ბოქულაძე“, ეს ერთ-ერთი მშვენიერი ნაწარმოები, ნამდვილად ობოლი მარგალიტი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა.“ (12, ნაწ.1, გვ.256).

ხოლო ვ. ღვინჯილია ლექსის „მუშა“-ს შესახებ წერს:

„რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძეს ფესვებამდე აქვს ნაგრძნობი ჩაგვრის დამხობის აუცილებლობა. ნაგრძნობი აქვს საუკუნის მისია, ნაგრძნობი აქვს თვითონ საუკუნე თავისი მიმართულებით, განწყობით, შემზადებით... მისთვის მიუღებელია ჩაგვრის არსი, ის, რაც ექსპლოატაციაში იგულისხმება, არა მარტო დაჩაგრულთა თვალსაზრისით, არა მარტო მისივე კლასის პოზიციებიდან, არამედ საერთოდ ადამიანის დანიშნულების კარნახით არის მიუღებელი. ადამიანს არ ეპატიება ამ ფორმების დაშვება.... „შრომის ახსნა“, ილიას აზრით, არის მეცხრამეტე საუკუნის ფიქრის უპირველესი საგანი.“ (27, გვ.289).

I. 2. პოემა. „კაკო ყაჩაღი“.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი ხანის (სტუდენტობის დრო), შექმნილ ნაწარმოებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ („კაკო ყაჩაღი“).

ეს უმშვენიერესი პოემა, პირველ რიგში მიმართული არის სოციალური უსამართლობის, ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ პოემის შესახებ პ. ინგოროყვა წერს: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობთან“ ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი და ამასთან ყველაზე რადიკალური ხასიათის ნაწარმოებია, რაც კი ქართულ ენაზე დაიწერა ბატონყმობის წინააღმდეგ. ილიას ეს ნაწარმოები შორსაა რაიმე შემარეგებლობისაგან. ისინი პირდაპირ მოწოდებას შეიცავენ ბრძოლისაკენ. როგორც „გლახის ნაამბობში“, ისე „კაკო ყაჩაღში“ საკითხს ბატონსა და ყმას შორის თოფი წყვეტს. აქ მოცემულია იგივე კონცეფცია, რომელიც შემდეგ ილიამ გამოხატა სიტყვებით:

თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია,

შინ უღლით გაქნილ ცხოვრებას ომში სისხლის ღვრა სჯობია!

„კაკო ყაჩაღში“ ილიას პოეტური ტალანტი სრულ სიმწიფეს აღწევს. თავისი მხატვრული ღირსებებით „კაკო ყაჩაღი“ ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტური ქმნილებაა, რომელიც ილიამ შექმნა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში.“ (7, ტ. I, გვ. 417).

პოემა „კაკო ყაჩაღი“ ილიამ დაწერა 1860 წელს, მაგრამ მისი დაბეჭდვა, ცენზურის გამო, მხოლოდ 1863 წელს მოახერხა „საქართველოს მოამბეში“, ისიც მხოლოდ არასრულად, პირველი ნაწილი. პავლე ინგოროყვას თქმით:

„პოემის თუნდაც პირველი ნაწილის გამოქვეყნება მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენდა 60-იანი წლების რადიკალური დასის საქმიანობაში. პოემის ამ პირველ ნაწილშიც გამოვლინებულია ის რევოლუციური სულისკვეთება, რომლითაც შთაგონებულია ილიას ეს პოეტური ნაწარმოები.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ თუმცა პოემის სრული ტექსტის დაბეჭდვა ამ დროს ვერ მოხერხდა. მაგრამ ამ ხანებში იგი გავრცელებულა საზოგადოებაში ხელნაწერი პირების სახით.“ (1, ტ. I, გვ. 375).

პოემა, მთლიანად დაიბეჭდა 1879 წელს, ჟურნალ „ივერიაში“.

კ. აფხაზის გადმოცემის თანახმად, სანამ ილია რუსეთს გაემგზავრებოდა იგი პირადად შეხვედრია ტყეში, კაკოს ორეულს, ქიზიყელ გლეხს გაუხარაშვილს, რომელიც ყაჩაღად ყოფილა გავარდნილი და მისი მონაყოლის გათვალისწინებით, ილიას დაუწერია ეს პოემა.

პ. ინგოროყვა კაკოს ორეულად მიიჩნევს საქართველოსა და მის მოსაზღვრე მხარეში ცნობილ ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხს არსენა ოძელაშვილს (არსენა მარაბდელი) (დაახლ. 1797– 1842). იგი წერს:

„ილიამ, როგორც ცხოვრებას დაკვირვებულმა მხატვარმა, ბუნებრივია ისარგებლა ცალკეული ხაზებით ამა თუ იმ პიროვნების თავგადასავლისა. მაგრამ, რასაკვირველია, ილიამ თავის პოემაში განზოგადებული მხატვრული სახე წარმოგვიდგინა. და თუ საჭიროა ვეძიოთ ილიას „კაკო ყაჩაღის“ უშუალო პროტოტიპი, ეს არის პირველ რიგში იმდენად ყაჩაღი გაუხარაშვილი კი არა, არამედ არსენა, რომლის სახელი ხალხმა შარავანდედით შემოსა. კაკო – ეს მართლაც ორეულია არსენასი....“

ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლიდან ირკვევა, რომ ილიას კაკო ყაჩაღის ტიპი ერთის ხელშეხებით არ შეუქმნია. იგი ამ ტიპის დახატვას მრავალგზის დაჰბრუნებია და სხვადასხვა ასპექტში დაუმუშავებია.“ (1, ტ.1, გვ.373).

ამ პოემის, „კაკო ყაჩაღის“ შესახებ ბევრი დაიწერა და თაობები აღიზარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს პოემა XIX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო საუკეთესო ნაწარმოებია.

პოემას წინ წამძღვარებული აქვს, ჩვენი სათაყვანებელი ჰუმანისტი პოეტის შოთა რუსთაველის (XII–XIII ს.ს.) შემდეგი სტროფი:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები.“

რომელიც, შ. რუსთაველის სიტყვებით გამოხატავს, პოემის ძირითად აზრს, რაც გამოიხატება სოციალური წყობილების უსამართლობისაგან, ბატონყმობისაგან გლეხთა თავის დაღწევას.

პოემა იწყება შესანიშნავი ბუნების აღწერით, რომელიც მკითხველს თვალწინ წარმოუდგება.

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, –
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიღოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.“ (1, ტ.1, გვ.158).

ეს სევდიანი ბუნების დინჯი აღწერა, იცვლება მთვარის სიდიადით, მნათობ-
თა მოკაშკაშე ვარსკვლავთა მხიარული სხივებით, მთის ნიავის ტყეში ქროლ-
ვით და ამ „ბუტბუტს“ მხოლოდ მთები ყურს უგდებს. შეუპოვარი ალაზანი ამ
სიჩუმეში თითქოს რაღაცას სწივის კაცის მიმართ და სამდურავს გამოთქვამს.
ილიას მიერ, ეს იღუმალების განუმეორებელი ბუნების აღწერა, სამყაროს სი-
დიადის შეგრძნება და ამავე დროს, ეს მშვიდი, აუღელვებელი, უშფოთველი
მშვენიერი ბუნება, პოეტს ისე აქვს აღწერილი, თავისებური მუსიკალური
ჟღერადობით შემოსილი, რომ ის გაელენას ახდენს მკითხველზე და ეს რეა-
ლისტური აღთქმა თან დაჰყვება მკითხველს, თითქოს და იგი თვითონ არის ამ
სურათის მონაწილე. მოუსმინოთ პოეტს:

„მორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მღუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიაგი მთისა – მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჰსჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მღუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.“ (1, ტ.1, გვ.158).

ამ სიმყუდროვის დროს გზაზე გამოჩნდება მეურმე, რომელიც ამ ღამის
სურათს ერწყმის და მღუმარებას უფრო უშფოთველს ხდის. ბუნების წიაღში
მეურმის გამოჩენა თავისებურ ელფერს აძლევს გარემოს. მისი ნალვლიანი
სიმღერა, მწუხარე ღიღინი, პოეტის თქმით „გლოვის ზარს“ უქმნის გარემოს.

„ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნალვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰლულუნებდა,
ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,

მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი.“ (1, ტ.1, გვ.159).

მკითხველი გრძნობს, რომ ეს სიმყუდროვე, სიმშვიდე და „გლოვის ზარი“ დიდხანს არ გაგრძელდება, ბოლოს და ბოლოს რაღაც უნდა მოხდეს და მართლაც, აი, ამ სიჩუმის დროს, მოულოდნელად შემოიჭრება უცხო მხედარი, რომელმაც „ტყვიდამ ასკუბა ცხენი“. მხედრის გამოჩენა იპყრობს მკითხველის ყურადღებას. იგი მეურმეს სთხოვს კული-გორის გზის ჩვენებას. მეურმე ასწავლის გზას და თან აფრთხილებს, რომ იქ იმყოფება ბლაჭიაშვილი, თან დასძენს:

„მე, როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი –
ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები.“ (1, ტ.1, გვ.159).

შენს ცხენსაც ნუ დაანახვებ კაკო ბლაჭიაშვილსა, აფრთხილებს მეურმე, რადგან ის ბიჭი სწრაფია და დაუნდობელი. ამიტომ, ეუბნება მეურმე მხედარს:

„თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია,
შეარჩინო და აილო ხელი.“ (1, ტ.1, გვ.160).

მეურმის ამ გაფრთხილებას მხედარი ყურადღებას არ აქცევს. მხედრის მოქმედება, მსჯელობა და ხასიათი, სრულიად საწინააღმდეგოა მეურმისა. თუ მეურმე არის ნელი და წყნარი, ილია მხედარს გვიხატავს, როგორც ახალგაზრდა ვაჟკაცს სწრაფსა და მკვირცხლს. იგი მეურმეს უპასუხებს:

„– შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძმაო, მიღრინავს გული;
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდან თავზედ ხელაღებული! –
და, რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა;
გაფრინდა ცხენიც ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მისცა მთამა.“ (1, ტ.1, გვ.160).

ამის შემდეგ, პოეტი რადენიმე სტრიქონით შესანიშნავად გადმოგვცემს მეურმის მდგომარეობას და შინაგან განცდას. ჩვენ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი ცხოვრება. ილია თითქოს ხაზს უსვამს მის მწუხარებას და ნაღველიან სიმღერას.

„თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!“ – წაიღულუნა

და, გაიქნია რა თავი მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაილულუნა.” (1, ტ.11, გვ.160).

ილია ჭავჭავაძის დახასიათება და აღწერა ამა თუ იმ მოვლენისა, ბუნების სურათისა და პიროვნებისა, ყოველთვის რეალურია, მოკლეა და კონკრეტულია, ყოველგვარი ზედმეტი აღწერის გარეშე. შემოფარგლულია ერთი-ორი სიტყვით. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ის მოვლენა, ბუნება, თუ პიროვნება და მისი ხასიათი, რომელსაც და რასაც აღწერს.

ასევე მხატვრულად აღწერს ამ პოემაში, ილია კუდი-გორის ტყეს, სადაც ცხოვრობდა ყაჩაღად გავარდნილი კაკო ბლაჭიაშვილი.

„კუდი-გორასთან ერთი ტყე არი,—
უწინ ყაჩაღის იყო საფარი,—
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრობდა ბლაჭიაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.“ (1, ტ.1, გვ.160).

შესანიშნავად აქვს დახასიათებული კაკოს ცხენი, თვითონ კაკოს ხასიათი და მისი ბუნება.

„მთვარე ჩასული იყო დიდ ხნისა,
როცა იმ ტყეში, ერთ ზის ძირასა,
ფრთხილად ეძინა ბლაჭიაშვილსა,
ბედისაგან მწარედ განაწირალსა.
მის შორი-ანლო ლამაზი ცხენი
კაზმ-მოუხდელი სძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფრთხოდნენ მოსვენებასა.
უეცრად შეჰკრთა, აცქვიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა;
მერე ტრიალით იწყო ფრუტუნი
და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა;
დიდ ხანს უცქერდა და, რა მოესმა
თავისის მოძმის ცხენის ფეხის ხმა,
ვერ მოითმინა, დაიხეიხეინა
და პატრონს ძილი დააფრთხოვინა.“ (1, ტ.1, გვ.160).

მკითხველი, როდესაც წაიკითხავს, თუ რაც ხდება შემდეგ, იგი ადვილად წარმოიდგენს ცხორებით განაწამებ კაკოს ხასიათს.

„წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა
და, რა იხილა მხედარი ველზე
შეჰკივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?“

რისთვის მოსულხარ, – მოყვრად, თუ მტრადა?“ (1, ტ.1, გვ.161).

პოემის ამ ნაწყვეტიდან ვხედავთ, რომ კაკო ფრთხილია და სწრაფი. ამის შემდეგ მათ შორის იმართება საუბარი, საიდანაც ჩანს, რომ კაკო არის მინდობილი პიროვნება. რა გაიგონებს უცხო მხედრისგან მისდამი მიმართულ სიტყვებს:

„– მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა.

– შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.“ (1, ტ.1, გვ.161).

და ამ სიტყვების გაგონების შემდეგ, კაკო ენდობა მხედარს. აქ, შეიძლება ჩვენ დაგვებადოს კითხვა, როგორ მოხდა, რომ ეს ფრთხილი ყაჩაღი კაკო, ასე უცებ ენდო უცხო მხედარს და ასე სწრაფად მიენდო მას და შემდეგ ისინი გულწრფელი მეგობრები ხდებიან. ამაზე თვითონ ილია იძლევა პასუხს მხედრის სიტყვებით, საიდანაც გასაგები ხდება მათი ურთიერთ ნდობა.

„– გულს გული იცნობს და ღონეს – ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ღხენა.“ (1, ტ.1, გვ.162).

შეიძლება ითქვას, რომ აქ მთავრდება პოემის პირველი ნაწილი, ყაჩაღი კაკოს და მხედრის, ზაქროს, შეხვედრა და დამძობილება. რის შემდეგ ილია გადმოგვცემს ამ ორი პიროვნების თავგადასავალს. სწორედ ეს არის ამ ნაწარმოების ძირითადი აზრი, რისთვისაც შეიქმნა ეს პოემა.

ისტორიკოსი პროკოფი რატიანი (1914–1987) პოემა „კაკო ყაჩაღი“-ს შესახებ წერს:

„ესაა ბატონყმობის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძის ბრძოლის კულმინაციური წერტილი..... „კაკო ყაჩაღი“ მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების უმაღლესი პოეტური გამოხატულებაა, – მისი სოციალური პოეზიის მწვერვალია.

უდიდესი სიმკვეთრით ხატავს რა ბატონსა და ყმას შორის არსებული მწვავე სოციალური კონფლიქტის სურათებს, ავტორი გარკვევით დგება ჩაგრულთა მხარეზე.“ (13, გვ.143).

ამ ორი პიროვნების თავგადასავალში, ილიამ ნათლად წარმოგვიდგინა ბატონყმური ურთიერთობის შედეგად გამოწვეული მანკიერი მხარე.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ილია აქაც მოკლედ და კონკრეტულად, გადმოგვცემს კაკოს თავგადასავალს.

კაკოს თავგადასავალის მოყოლის დროს სჩანს პოეტის ლტოლვა თავისუფლებისაკენ.

კაკო, პირველივე სიტყვებით გამოხატავს თავის სიმდიდრეს იმით, რომ იგი ამ ტყის ბატონ-პატრონია. ყველა ხის ძირი მისი სახლ-კარია. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს ასეთი ცხოვრებით. უსახლკარობა, შიში, შიმშილი, ნადირივით ტყეში ხეტიალი, ფხიზელი ძილი და მუდამ იარაღით ხელში ყოფნა, ადამიანისთვის რა სანატრელია? მაგრამ, სამაგიეროთ იგი თავისუფალია, თვითონ არის თავისი თავის ბატონი. მისი მონაყოლიდან ჩანს, რომ სოციალურმა მდგომარეობამ, ბატონყმურმა დამოკიდებულებამ, იგი იძულებული გახდა ამ მდგომარეობაზე მისულიყო და შეეწირა ყოველგვარი სიკეთე. ამ ტყეში, მისი მუდმივი ძმები გახდნენ სიათა, დამბაჩა, ხმალი და მასთან შეზრდილი ცხენი, რომელმაც მასთან ერთად გადაიტანა ჭირი და ღზინი. კაკომ კარგად იცის მეგობრობა და მეგობრობის ფასი. ის პირდაპირ ეუბნება მხედარს:

„ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!

არ აიყრიან გულსა ჩემზედა,

და კაკოც ისე არ გაბუნწდება,

რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა,

ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!..

ჩემს სამეფოში არ არის გმობა,

თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,

მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა.“ (1, ტ.1, გვ.163).

კაკომ მიიპატიჟა ახლად შექმნილი მეგობარი ბინაში, რომელიც წარმოადგენდა ხის ძირს და აქვე ბოლიშს უხდის მხედარს, სიღარიბის გამო ნუ დამძრაზავო. მხედარი მიიღებს მის მოწვევას. პოეტი, მხატვრულად აგვიწერს მხედარის დამოკიდებულებას ცხენის მიმართ.

„მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად

და წამოჰყარა ალვირი ცხენსა;

ჩამოუჭიმა ყურები მაგრად

და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა.

მოსხნა ნაბადი, ჩაკრული უკან,

ხურჯინიც სავსე გადმოიღო მან,
მერე გადაჰკრა ხელი გავაზედ
და მყის გაიგლო ცხენი ბალახზედ.“ (1, ტ.1, გვ.163).

ამის შემდეგ ისინი ჩამოსხდებიან ხის ძირას, ღიღხანს ზიან მღუმარედ და
ბოლოს კაკო ჰკითხავს სტუმარს:

„მითხარ, საიღამ გემცნაურები,
ჩემთან მოსვლა რამ გავაბედვინა?“ (1, ტ.1, გვ.163).

მხედრის პასუხიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ კაკო გამოქცევია
ცხოვრების უსამართლობას, უყვარს გლეხკაცი და მისი დამცველია. ილია
მხედრის სიტყვებით გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას დაჩაგრულ, სო-
ციალურად დაუცველ საზოგადოების ამ ფენის, გლეხის მიმართ და იგი ყო-
ველთვის იყო მისი საზრუნავი და იცავდა მათ. ილია ამას გამოხატავს მხედრის
სიტყვებით. ის აქებს კაკოს მოქმედებას და მის ვაჟკაცობას, და ეუბნება:

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოქცევინარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს –
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, –
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“ (1, ტ.1, გვ.164).

ილია ჭკაკვავამეს, მკითხველი თანდათან იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ მშრო-
მელი, დაუცველი საზოგადოების წევრები, გლეხები, ბატონყმობისაგან გა-
წამებულინი, ბოლოს და ბოლოს იძულებულნი ხდებიან, დაიწყონ ყაჩაღობა
და ასე ებრძოლოს ძალმომრეობას. დაჩაგრული ხალხი, ხედავდა თუ ვინ
იყო მათი დამცველი და ყოველთვის აფასებდა და იცავდა ასეთ გმირებს,
რომელნიც სიცოცხლეცაც სწირავდნენ მათთვის. ამიტომ იყო, რომ კაკოს და
მხედრის, ზაქროს, წინამორბედი არსენა ოძელაშვილი, სწორედ ასეთი გმირი
იყო, რომელსაც ხალხში დიდი სახელი ჰქონდა და იგი თავის გმირად აღიარეს.
მხედარიც სიყვარულით იხსენებს არსენას.

„მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხკაცის ბედი, ჭირი და ღხენა,
შვილსავით კალთით უტარებია.

აბა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავე, ჰხურებია!
ნეტავ იმ დელას. ვისგანც გაზრდილა
და ვისაც თუქუ უწოვებია!..
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ენლანდელ დელამ ველარ გაზარდოს...“ (1, ტ.1, გვ.164).

პოემის მეორე ადგილას, როდესაც მხედარი იხსენებს ბავშვობის წლებს, ის ისევ არსენას იხსენებს:

„არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული,
ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.“ (1, ტ.1, გვ.167).

მხედრის მონაყოლიდან ჩანს, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა გლეხს ცხოვრება ბატონყმობის დროს. ყმა-გლეხის მცირე წლოვან შვილსაც კი, უნდა ემუშავა ბატონისათვის. ამიტომ, თორმეტი წლის მხედარი, ზაქრო, სახლ-კარს მოაშორეს და ბატონის მოსამსახურედ, მწყემსად გაამწესეს. პირველად ზაქრო დაღონდა, იტანჯებოდა, ტიროდა, მაგრამ თანდათან შეეგუა, „პატარა გულმა გამოიდარა“, და თავის თანატოლებთან ერთად, კიდევ ილხენდა, კიდევ მღეროდა და სახლ-კარზედა აღარ ფიქრობდა. ამასობაში დრო გავიდა. ზაქრო ოცი წლის გახდა.

აქედან იწყება პოემაში, შეურიგებელი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგობრივობის ასახვა. ზაქროს ნაამბობიდან ვგებულობთ, რომ მას მამა ჰყავდა. მხნე, მარჯვე, დაუღლეი და გამრჯე. ვერაფერ ასწრებდა თესვას და მკას. ოჯახიც ღონიერი იყო. მაგრამ, გლეხ-კაცის ბედი დამოკიდებული იყო ბატონზე, მის ნება-სურვილზე. ამიტომაც ილია, ზაქროს, შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,
ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება.

ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, დამო, არის საფრთხეში,
გლეხკაცის და ყმის ლიტონის ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში.“ (1, ტ.1, გვ.168).

დამოკიდებულება ბატონსა და გლეხს შორის, უფრო მწვავედებოდა, თუ ბატონი ბუნებით მკაცრი და მხეცი იყო. იგი ვერ გებულობდა გლეხის მდგომარეობას და არ შეეძლო გლეხის შებრალება. მას ადვილად შეეძლო სასიკვდილოდ ყმა გლეხის გამოძებნა. ზაქროს ნაამბობიდან ჩანს, რომ მისი ბატონი სწორედ ასეთი ყოფილა.

მხედარი ყვება, რომ თანდათან მისი მამა ბერდებოდა, ღონე აკლდებოდა, თან „გამუღმებულმა ციებ-ცხელებამაც“ იმოქმედა და ვინაიდან მაშველი ხელი აკლდა, ოჯახის მდგომარეობა სულ უკან და უკან მიდიოდა. ბოლოს, როცა მამას „წაერთო მხნეობა“ იგი ბატონს ეახლა.

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა-ჩემი გულმოწყვეტილი
იახლა ამ-გვარს უხამსსა ბატონს.“ (1, ტ.1, გვ.169).

მოხუცი მამა ემუდარება და სთხოვს ბატონს შვილის დაბრუნებას, რომ ოჯახი მომაგრდეს და მერე ბატონის სამსახურსაც არ გაექცევიან.

გულქვა ბატონი, გლეხის თხოვნას არად ავდებს. მას, ყმა გლეხსა და მის ოჯახს რა მოუვა, არ აინტერესებს. მისთვის გლეხი, არაფერს წარმოადგენს. ამიტომაც ბატონის პასუხი მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას:

„– ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებას?..
ქოფაკო!.. ნუთუ მაგას ფიქრობდი,
რომ მიბედავი ემაგის თქმას?“ (1, ტ.1, გვ.170).

ზაქრო დაწვრილებით გადმოგვცემს მამამისისა და ბატონის საუბარს. იღია, ამ დიალოგის გადმოცემით გვაგებინებს ბატონის თავხედობას, სიამაყეს, უზრდელობას და უხამსობას. ყოველი მისი პასუხი ადამიანის დამცირებაა და შეურაცხყოფაა. თანდათან მდგომარეობა მწვავედება და გამხეცებული ბატონი მოხუცებულ გლეხს ქოფაკს, ძალღს უწოდებს და დაემუქრება კიდევ:

„– სუ!.. შე ქოფაკო!.. გაიკმიდე ხმა!..
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგრჩი ჯოხით მაგ სიტყვებს...“ (1, ტ.1, გვ.172).

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ, შეურაცხყოფილი მოხუცებული გლეხი თავს ველარ შეიკავებს და იმედ წართმეულმა ასეთ შეუბრალებელ, სასტიკ ბატონს სიმართლეს ეტყვის:

„– როგორ თუ ჩამრჩი!.. კაცს შიმშილით მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუპავ,
ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა, –
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევენებ,
ფუ, შენს სამართალს, შენს სამჯავროსა!..“ (1, ტ.1, გვ.173).

აქ ილია ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ ბატონის წინაშე გლეხი ყოველთვის მტყუნია და მას არ აქვს უფლება სიმართლის თქმისა. ისმის კითხვა? რა უნდა ექნა საწყალ მოხუცებულ მამას? სანამდე უნდა ეთმინა აძღენი შეურაცხყოფა? და პოეტი, ზაქროს, პირდაპირ ათქმევენებს შემდეგ სიტყვებს:

„– ეს იყო, ძამო!.. ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილი და მამის უღმრთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექნა, აბა სთქვი შენა?
ენვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულწაწყმედილს საწყალი მამა!..
მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა,
ვერ დაულობო, ვერ, გული ხვეწნამა.
ისც კაცი იყო... ვერ მოითმინა
იმედგაწყვეტილ, მოკლულმა გულმა,
და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა,
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.“ (1, ტ.1, გვ.173).

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, გამხეცებული ბატონი ეცა მოხუცებულს ჩიბუხის ტარით. ეს იყო საბოლოო წერტილი ბატონსა და მამას შორის. ზაქროს თქმით, მამას, რომელსაც თავის დღეში ასეთი შეურაცხყოფა არ განუცდია, „იყო თავისმომწონე, სირცხვილმა გული გადმოუბრუნა“ და ბატონს ხელი შემოუბრუნა. „როგორ თუ ხელი მომიბრუნაო,“ განრისხებული ბატონის ბრძანებით, მოხუცებული წამოაქციეს და როზგებით ცემა დაუწყეს. დამწუხრებული ზაქრო, იხსენებს რა ამ ამბავს, ამბობს:

„როზგით მიცემეს მამა სნეული,

მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...

იმისი კვნესა და მწუხარება

გულს მიკლავს ხოლმე, რო მაგონდება...“ (1, ტ.1, გვ.173).

შეიტყობს კაკო, რომ ზაქრო, მამის ამ შეურაცხყოფის მყურებელი იყო. წამოხტება და მწყრალად მიმართავს:

„შენ იქ იდექი, გულით იბუნწე!

რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,

რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აჰკუწე

სულწაწყმედილი შენი ბატონი!

ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი

შემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?

ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა წადი...

შენ, ძმავე, ყაჩაღად არ ვარგებულხარ,

შენ დედაკაცად დაბადებულხარ,

ფუ, მაგ კაცობას!“ (1, ტ.1, გვ.174).

როგორც პოემის ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ეს ორი პიროვნება განსხვავებული ხასიათის არიან. კაკო, ფიცხი და სწრაფია. ხოლო ზაქრო, უფრო დინჯი და გულდაჯერებულია. ის კაკოს საყვედურით მიმართავს:

„— კაკო, ნუ სწყრები!

კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?

ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,

არც გავექცივი ხმალში კაკოსა.

ეგრე ადვილად ნუ არცხვენ შემს ხმალს

და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს.

ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური.“ (1, ტ.1, გვ.175).

და ზაქრო თავის განცდებს ყვება. იმ დროს, როდესაც მამამისს ბატონი ცემდა, მას ხმა ჩასძახოდა „მოკვალ“, მაგრამ იცოდა, რომ ამას უსათუოდ

მამის სიკვდილიც მოჰყვებოდა და ამისი მიზეზი თვითონ იქნებოდა. ამიტომ თავს იკავებდა. ხოლო როდესაც წამოაქციეს და როზგებით დაუწყეს ცემა, იგი დარწმუნდა, რომ მამას ვეღარ უშველიდა. მაშინ:

„თვალთ დამიბნელდა, ამნთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თეკა,
და, რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭეკა
და შეუნგრია გული-ფიცარი –
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა.“ (1, ტ.1, გვ.175).

პოეტი, აქაც ამჟღავნებს კაკოს ხასიათს. გაიგონებს თუ არა ზაქროს ამ ბოლო სიტყვებს, იგი გახარებული შეაქებს მას და ბოდიშსაც უხდის. პოემას ახალგაზრდა ილია, საინტერესოდ ამთავრებს. მხედრის ბოლო სიტყვებში ჩანს ზაქროს დამოკიდებულება ამ მომხდარი მოვლენის გამო. იგი აცხადებს, რომ შვილმა უნდა „თავისი მამის სისხლი აიღოს“. ამას გააკეთებდა ყველა, მხდალიცა და ვაჟკაციც, ის ეუბნება კაკოს:

„ვით მეტი იყო წელან ძაგება,
ისე მეტია ეხლა ეგ ქება.“ (1, ტ.1, გვ.176).

მისი გულის ჭრილობა ამ მკვლევლობამ არ გაამთელა. მკვლევლობამ მამამისს ვეღარ უშველა; და გულდაწყვეტილი ზაქრო ამბობს:

„მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, – იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.“ (1, ტ.1, გვ.176).

როგორც დავინახეთ პოემის, „კაკო ყაჩაღის“ განხილვიდან, ილია ჭავჭავაძემ, სააშკაროზე გამოიტანა და რეალურად ასახა, ბატონყმური დამოკიდებულება, ის სოციალური უსამართლობა რაც იმ დროს ხდებოდა. რამაც კაკოც და ზაქროც ამ მდგომარეობაში ჩააგდო. ამის განსჯას, ილია სთავაზობს თვითონ მკითხველს.

და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დაღუძებული;
დიდ ხანსა ეგლო ეგრე მღუშარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნადველმა...

ამ ორს გულში რა ბაღბამიც დულდა,
წარმოდგინოს თითონ მკითხველმა.“ (1, ტ.1, გვ.176).

ამ სიტყვებით ამთავრებს ილია ამ პოემას. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ილიამ კაკოს სახით გადმოგვცა ყაჩაღ გაუხარაშვილის ნაამბობი. ამ მოსაზრებას პ. ინგოროყვა ნაწილობრივ ეთანხმება და იგი წერს:

„ამას გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ილიას მიერ გადაწერილ „კაკო ყაჩაღის“ უძველეს ხელნაწერში პოემას ეწოდება არა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, არამედ „მოთხრობა ქიციყელიისა“. ხოლო გაუხარაშვილი, მართლაც ქიციყელი იყო (იგი, როგორც მოვიხსენიეთ, კარდანახიდან ყოფილა).“ (1, ტ.1, გვ.373).

ილია ჭავჭავაძე, სანამ შეუდგებოდა ამ პოემის წერას, შექმნა წინასწარ 1859 წელს ესკიზები „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ესკიზები საინტერესოა იმით, რომ ეს შესანიშნავი ლირიკული ლექსების სახითაა დაწერილი და ეძღვნება კაკოს.

„[ნიავო, ჩემო ნიავო,
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა.
მსტვინავო, ჩიტო მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!]

ღრუბელო, აღმა მავალო,
ის (ბიჭი) გებრალეობდეს;
მე კისრად ვიღებ დამხსნელო,
რაც იმას ემართლებოდეს.

ნიავო, ჩემო ნიავო,
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა;
ღრუბელო (ცაში) მფრინავო,
ნუ ემუქრები კაკოსა!..

ღრუბელო, შავო მცურველო,
უსახლო გებრალეობდეს;
მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,
რაც იმას ემართლებოდეს.“ (1, ტ.1, გვ.331).

სტუდენტობის დროსვე ილიას დაუწვია წერა კიდევ ორი პოემისა: „აჩრდილი“ და „ქართვის დედა.“ მას შეუქმნია ამ პოემების მხოლოდ ვარიანტები. ვარიანტების ნაწილი, ცენზურის გამო დაიბეჭდა დამახინჯებულად.

1.3. პროზა.

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ყოფნის დროს იწყებს პროზაული ნაწარმოების შექმნას.

ფილოლოგი ლადო მინაშვილი წერს, რომ: „ტრადიციულად ი. ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან უბნად მის პროზას მიიჩნევენ.“

მოთხრობაში დიდი მწერალი ქართულ ყოფას ასახავს, ყოფას დასტრიალებს თავს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიწრო ყოფითი საკითხებით არ იფარგლება. ილიამ თავის პროზაულ ნაწარმოებებში დიდად გააფართოვა მხატვრული ხედვის არე. ილიას პროზაულ თხზულებათა ნამდვილ შინაარს ჩვენი ქვეყნისათვის, ქართველ ერისათვის ერთობ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური და მორალურ-ინტელექტუალური საკითხები განსაზღვრავენ.“ (18, გვ.675).

მისი პირველი მოთხრობა „დიაბეგობა“, რომლის წერა დაუწყია 1857 წელს, პ. ინგოროყვას გამოკვლევით და გადმოცემით, თვით ილიას დაუწუნებია და არ დაუმთავრებია. მოთხრობა უმნიშვნელოა, ტექსტი და წერის ტექნიკა საკმაოდ შეუმუშავებელია და დაუხვეწელია. ამ მოთხრობის თემა – დიაბეგის აღსარება, ილიამ გამოიყენა ლექსში „ხმა სამარიდან“. (1, ტ.2, გვ.605).

მეორე მოთხრობა, „ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი“, ილიას 1857–1858 წლებში დაუწყია წერა. ეს მოთხრობაც დაუმთავრებელია. პ. ინგოროყვას თქმით, „ეს ესკიზი ნახევრად პუბლიცისტური ხასიათისაა“, ამავე დროს საკმაოდ სუსტია და „ესკიზი – შესრულების მხრივ – საკმაოდ უსრულოა“. (1, ტ.2, გვ.609).

1858 წელს ილიას დაუწყია მოთხრობების, „კოლა“ და „კაკოს“ წერა. რომლებიც არ დაუმთავრებია, ვინაიდან გადაუწყვეტია ამ ნაწარმოებთა თემებზე ცალკე მოთხრობების შექმნა.

I. 3. 1. გლახის ნაამბობი.

1859 წელს, ილია იწყებს მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ წერას. პ. ინგოროყვას გამოკვლევით, დაუმთავრებელი მოთხრობა „კოლა“, თემატურად ენათესავება „გლახის ნაამბობს“, ხოლო მეორე დაუმთავრებელ მოთხრობა „კაკოში“ უფრო სრულად არის თემა წარმოდგენილი. (7, ტ.1, გვ.414).

პეტერბურგში ყოფნის დროს, ილიას ამ მოთხრობის მხოლოდ პირველი ნაწილი დაუწერია. 1962 წელს, როდესაც ილია საქართველოში დაბრუნდა, „გლახის ნაამბობისათვის“ „ჩალხი გაუკრავს“, ხოლო 1873 წელს დაუმთავრე-

ბია. ილია ამ მოთხრობის შესახებ აღნიშნავდა, რომ მხატვრულ პროზაში ეს მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ მისი პირველი ნაწარმოები იყო. ნიკო ნიკოლაძისადმი გაგზავნილ წერილში ილია წერდა, რომ:

„გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირშემომეძან ჩემძან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს.“ (1, ტ.10, გვ.43).

პ. ინგოროყვა „გლახის ნაამბობის“ შესახებ წერს:

„აღსანიშნავია ილიას წერის ბრწყინვალე ტექნიკა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ ათი-ცამეტი წლით არის დაცილებული მეორე ნაწილისაგან, მოთხრობას არ ემჩნევა რაიმე ბზარი, არ ახლავს სტილის ელფერის რაიმე სხვაობა, თითქოს მოთხრობა ერთის მიდგომით და ერთის განწყობილობით არის ნაწერიო.“ (1, ტ.2, გვ.596).

„გლახის ნაამბობი“ (ისევე, როგორც მისი პირველი ესკიზი – მოთხრობა „კაკო“) – გამსჭვალულია პროტესტის სულით სოციალური უსამართლობის გამო, „გლახის ნაამბობი“ წარმოადგენს დიდი მხატვრული ძალის ნაწარმოებს, მიმართულს ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ.

ამავე დროს „გლახის ნაამბობი“ უკვდავ ნაწარმოებად რჩება ქართულ მწერლობაში, როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის პირველი სრულყოფილი უბადლო ძეგლი.“ (7. ტ.I. გვ.415).

გ. ვიბლაძე „გლახის ნაამბობი“-ს შესახებ წერს:

„მოთხრობა მთლიანად ორიგინალურია და ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთერთ უბრწყინვალეს შედეგს წარმოადგენს.“ (12, ნაწ. II, გვ.60).

ამ მოთხრობის, „გლახის ნაამბობის“ მთავარი აზრი, რისთვისაც მწერალმა შექმნა ეს ნაწარმოები, არის ბატონყმობის დროინდელი მდგომარეობის ასახვა, საერთოდ ბატონყმობის მორალის საშკარაოზე გამოტანა, რომ მკითხველს თვალნათლივ დაენახა, თუ რას წარმოადგენს ბატონი, როგორ სპობს, აჩანავებს და არარაობად აქცევს მასვე დაქვემდებარებულ ადამიანის ყოველგვარ ღირსებას. ილიას დროს, ბატონყმობის თვით ეს სისტემა და მასზე დაქვემდებარებული საზოგადოება, წარმოადგენდა ზნედაცემულს და გახრწნილს, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ადამიანური ღირსება და ზნეობა. ილიას უნდოდა, რომ ხალხს აშკარად და თვალნათლივ დაენახა და დაეგმო, ზოგიერთი ბატონის მოქმედება და საერთოდ, ამ ბატონყმური ცხოვრების არსი.

ტ. სართანია წერს, რომ „გლახის ნაამბობში“:

„მთელი სიცხადით გადმოგვცემს მწერალი მშრომელი ხალხის უიმედო მდგომარეობას, მათ დუხჭირ პირობებს და გლეხთა დამბეჩავებლების ექსპლოატატორულ ბუნებას.

ის გარემოება, რომ ადამიანის საერთოდ კეთილ ბუნებას ამახინჯებს ბატონყმური ურთიერთობა, ილია ჭავჭავაძეს ნათლად აქვს გადმოცემული „გლახის ნაამბობში“, ილია იმდროინდელი უსამართლობის მიზეზს ბატონყმობაში ხედავდა და სწორედ ეს განაპირობებდა მის სასტიკ ბრძოლას ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ.“ (11, გვ.58).

აქ უნდა აღვნიშნოთ ნიკო ნიკოლაძის შეხედულება ამ მოთხრობის შესახებ. იგი წერს:

„გლახის ნაამბობი“ 1859 წელსაა დაწერილი, პეტერბურგში. ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ეს მოთხრობა იმ ნაწერებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მწერლის პირველი პერიოდის და პირველი მანერის ბეჭედი ასვიათ. ის ბევრით განისხვავება „კაცია ადამიანისაგან“, „გლეხების განთავისუფლების სცენებიდან“ და საზოგადოდ იმ თხზულებებიდან, რომელნიც ჭავჭავაძის დავაჟაკაცებულ გონებას და ნიჭს ჩვენი მწერლობისთვის უკვლევია..... „გლახის ნაამბობი“ ჩვენთვის მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გაგვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებს. ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის ამით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მცირე მოთხრობას, უფრო მეტი, ვინემც იმას მისი საკუთარი ღირსება და მისი ნამდვილი ფასი მისცემდა.“ (19, გვ.72).

„გლახის ნაამბობს“ წამძღვარებული აქვს ციტატა, რომელიც გამოხატავს ნაწარმოების ძირითად თემას.

„რა ქნას კარგმა მონარდემა

დროზედ შაში თუ არ მოვა.“ (1, ტ.2, გვ.31).

და მართლაც, რა უნდა ქნას კარგმა მონარდემ, თუ ადამიანის წესიერებისა, ბუნებით კეთილისა და ბავშვობაში უნაკლო უცოდველობისა, ისეთ გარემოპირობებში აღმოჩნდება, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე დახვდება ბოროტება. ცხოვრებისეული სიმახინჯე და სოციალური პირობების მოუწესრიგებლობა აიძულებს მას გადადგას ცხოვრებაში ის ნაბიჯი, რომელიც წინასწარვე იცის, რომ ამით ის კარგავს ადამიანურ სახეს, და თვით ადამიანობას. ამავ დროს,

გ. ჯიბლაძის თქმით: „თუ ნადირობა ცოდვაა, რაღა უნდა იყოს ის ცოდვა, როცა მოუწესრიგებელ, მახინჯ ცხოვრებაში ადამიანი თავის მოძმე ადამიანს არ ინდობს, პირუტყვივით სჩაგრავს და ჰკლავს.“ (12, ნაწ. II, გვ.19).

ილია ჭავჭავაძე მოთხრობას „გლახის ნამბობს“ იწყებს ნადირობის ტრფი-
ალისა და ამავე დროს ამ ნადირობის შედეგად გამოწვეული მისი პირა-
დი განცდების აღწერით. ავტორის თქმით, ნადირობა სიამოვნებაა, რომელიც
გამოიხატება „ამ ხალისიან გართვაში“, მაგრამ თვით „ნადირობა ცოდვაა“.
რადგან „ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ
თვალუწოდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?“ ვინაიდან „ჩვენ
თვითონ სულიერთა მეუფენი“, ადამიანი, „კაცი მოსისხლეა“ და „ტყუილად კი
არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო
ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიო“, და თუ ჩვენ ერთმანეთს არ ვინდობთ,
რა თქმა უნდა ამ ბუნებისაგან შექმნილ სილამაზეს, „უბოროტოსა და მშვიდს“
არსებას, ადამიანი არ შეინდობს და არ შეიბრალებს.

ამ მოთხრობაში, ავტორის მიერ ნადირობის სურათისა და ბუნების მიერ ბო-
ძებულ ნადირის სილამაზის აღწერით და ტ. სართანაის თქმით, „საქართველოს
ბუნების თავისებური ხილვითა და გაგებით“ (11, გვ.356) იწყებს თხრობას.

ილია ჭავჭავაძეს, ქართულ ლიტერატურაში, ერთ-ერთი თვალსაჩინო აღ-
გილი უკავია, ჩვენი ბუნების მესაიდუმლის უბადლო პოეტის ვაჟა-ფშაველასთან
ერთად, ბუნების სილამაზისა, ბუნებისა და ადამიანის თანაარსებობის აღწერაში.

მოთხრობაში „გლახის ნამბობი“, ილიას მიერ აღწერილი ნადირობის ეს
სურათი და ამ დროს წარმოქმნილი განცდები, შეიძლება ითქვას, რომ სანიმუ-
შოა ქართულ ლიტერატურაში.

„ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და
ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადაუწყვია
რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი,
უკან მოჰყევს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება
ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და
დაუნდობელი. შორიდანვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმასვილ მონადირესა;
ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენლობის
გამო. აი მოვიდა თოფის მანძილზედა, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი
დაღონებული, ნაღვლიანი თავი. ძაღლი დაუახლოვდა. იშვირა ფეხი ირემმა და
ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, ავიქცევს გზას და მიეცემა საყვა-
რელის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა, მაგრამ არა, – დაუშტვენ.
მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა-რიგ საოცარ მშვენიერე-
ბით მოიღერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედ-გადაწვეტილად დაიწყებს
ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოე-

ბით სუნის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი მიწხიდველი ამაყიცა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულ მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს. რაკი იენოსა, კაცის სუნი აიღო, ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლალი, გაირთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოდ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რა-რიგად უდრტვინელად და მშვიდადა კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს ამომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს, მინამდინ დედამიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა და როცა შეიშრობდა, მეც კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის სახისანნი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა, — რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველ კაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია, მაშინვე დამიღინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“. (1, ტ.2, გვ.31).

გ. ჯიბლაძის თქმით:

„ადამიანის (გლეხის, დაჩაგრულის) ბედი უფრო მძიმე ჩანს, ვიდრე პირუტყვისა, რომელიც მონადირის ტყვეით განგმირული „უდრტვინელად და მშვიდად კვდება“. თუ „ის ამაყი, თავისუფალი ნადირი“ ადმიანის — მისგან განსხვავებული არსების ხელთ იღუპება, ბატონყმურ სინამდვილეში (საერთოდ, მოუწესრიგებელ სოციალურ ცხოვრებაში) ადამიანი მისივე მსგავსი ადამიანის მსხვერპლი ხდება. ეს უფრო მტანჯველია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. გარდა ამისა, „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებას მოკლებულნი ვართ.“ — გვეუბნება მოთხრობის ავტორი და გადაგვიშლის ადამიანური ხვედრის საშინელ სურათს.“ (12, ნაწ. II, გვ.17).

ნადირობის შემდეგ, ავტორი ხვდება მოთხრობის მთავარ მოქმედ პირს.

ილია აღნიშნავს, რომ: სოფლის ქვემოთ, კარგი სანადირო ადგილები იყო. „ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც – გლეხისა არ იყოს – „ქრისტე-ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბდურტია“, ყველგან კაი ადგილებია.“ (1, ტ.2, გვ.33).

ნადირობის შემდეგ ამოვლისას, სოფლის სათავეში, საურმის გზის პირას, იქ სადაც გომურზედ მიდგმული ძველი საბძელი იდგა, შეამჩნია კარებთან მიწოლილი კაცი, რომელიც გაუნძრევლად იწვა. ავტორმა მოიწადინა ამ კაცის ვინაობის გაგება. ნათლიმამას თქმით, ეს უპატრონო კაცი, თვენახვერის წინ ამ ადგილს შეჰკედლებია, მაგის ვინაობა არავინ იცის, ამვლელ-ჩამვლელი ლუკმა პურს მიუგდებს და ამით „იოლად მიდის“. გამოელაპარაკა, მაგრამ „თავის აფალი“ არ უთქვამს. „კაი სიტყვის კაცი კი ყოფილა ის უბედური“, მისი აზრით, „მგონი თავს იმაღავს“.

ავტორი, ვინაიდან იყო ცნობისმოყვარე, განიზრახავს ამ კაცის ვინაობის გაგებას და ერთ დღეს, როდესაც ისევ იმ ადგილას გაიარა, დანახა ისევ ისე მწოლიარე ის უბედური. ავტორი მიესალმა. მან წამოწევა სცადა, რამაც ეტყობა ძალიან შეაწუხა, ვინაიდან „დაედმიჭა გაყვითლებული სახე“. ის იყო დათენთილი სნეულებისაგან, ყვითელი სახე ჰქონდა, თმა და მოზრდილი ჭადარა წვერი ჭუჭყისაგან გასქელებული იყო, რუსის ფარავის ნაგლეჯში იყო გახვეული, ქვეშ დაგებული ჰქონდა ნაბდის ნაგლეჯი. იქვე იდგა პირმოტეხილი ლიტრა, თოფრაკი და კომბალი – „ეგ ერთგული და უშუხანათო თანამგზავრი ყოველის უბედურისა.“ – წერს ავტორი. მისი თქმით, ამ ღავრდომილის გამოხედვაში და თვითონ მასში, „რალაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია მისი სულის სიცოცხლე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ-უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა; ეტყობოდათ ზედ, რომ ამით პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც ავდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლოთ.“ (1, ტ.2, გვ.35). მისი გარეგნული შეხედულება ისეთი შემაზრხენი ყოფილა, რომ ავტორმა თვალი მოარიდა. – „გეზიზღები განა, შე კაი კაცი!“ – ჰკითხა „დაგვემიღის ხმით“ მწერალს, და განაგრძო, – „მართალი ბრძანდები! ცოცხალ კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რა საკვირველია!“ (1, ტ.2, გვ.36). ეს წარმოსთქვა, თითქოს, მწერლის დასამშვიდებლად.

ამ სიტყვების შემდეგ, ილია, გადმოგვცემს თავის განცდებს, და ეს განცდები არის თავისი თავის გასამართლება. ამავე დროს, ამ მონოლოგში გაისმის ადამიანის სისუსტე და უძლურება. მოუსმინოთ თვითონ ილიას:

„ამან ვერ დამიშოშმინა სულმოკლე გული, თუმცა თითქო უგუნური ქცევა ჩემი თვითონვე გამიმართლაო. მაგრამ ვაი იმ გამართლებასა!.. გული უფრო ამეძღვრა, მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა, რას ბრძანებთ?.. ჩემ წინ ნახევარმკვდარი კაცი იღო, ეგრე, უნუგეშოდ დარჩომილი, იმას ისე ეჭირებოდა გულმტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა, მე კი მხეცურად თვალი მოვარიდე და შევიზიზღე. მოდი აქა და თავი გაიმართლე!“ ამ თვით გასამართლების ბოლოს, ილია, თითქოს შენიშვნის სახით აღნიშნავს, რომ ადამიანი მაინც, კეთილი საქმისათვის უძღურია და სუსტი. იგი წერს:

„უნდა წამოვმდგარიყავი და ბოღით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა, მაშინ გავმართლდებოდი, მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმისათვის უძღური იყო. სუსტი რომ იქნება კაცი, იქნება!“ (1, ტ.2, გვ.36).

გ. ჯიბლაძის თქმით: ავტორის მიერ „ეს თვითგანსჯა, ეს სიბრალოე და გრდომილისადმი მთელი ნაწარმოების მანძილზე გრძელდება, როგორც კაცთ მოყვარეობის ქადაგება, თანაც მოქმედებით და არა დეკლარატიულად. ავტორისეულ თვითგანსჯას ემატება კიდევ უფრო ძლიერი – გმირისეული თვითგანსჯა, რომელიც სინანულში გადადის.“ (12, ნაწ. II, გვ.22).

ამის შემდეგ, ილია იწყებს ამ მოთხრობის, „გლახის ნაამბობის“, მთავარი მომქმედი პირის, ცხოვრებისაგან, „წუთისოფლისაგან დაჩაგრულის“ მონათხრობის გადმოცემას. მკითხველი დასაწყისიდანვე ინტერესდება ამ პიროვნებით. დავრდომილი იწყებს თავის თავგადასავლის მოყოლას.

ის უკვე ოთხი თვეა რაც ამ მდგომარეობაში იმყოფება. ასე უპატრონოდ ამოსდის სული. ელის სიკვდილს, მაგრამ ისიც არ მოდის და დამტირებელიც არავინ ჰყავს. სიკვდილის შესახებ ირონიულად ამბობს:

„ისიც კაცსავით კეთილი ყოფილა: როცა გიჭირს, მაშინ გემალება. ნუ მოვა... მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებადინ მივიტან.“ მას მხოლოდ ის აწუხებს, რომ „სადაური სადა ვკვდები!“ და დავრდომილი, ძონძებში გამოხვეული გლახა წარმოსთქვამს რუსთაველის აფორიზმს:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგან განაწირსა!“

და შემდეგ დაამატებს:

– „მართალი უთქვამს ამის მოქმელსა, შენი ჭირიბე! თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემიკედლა, ღვთის კალთა ზომ ფართოა!“ (1, ტ.2, გვ.37).

ამ სიტყვების გაგონებაზე, მწერალი გაკვირვებული დარჩა:

„ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს „ვეფხვის-ტყაოსნის“ სიტყვები!...“ „ეს კაცი ის არ უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის. ცნობისმოყვარეობა ჩემი წრეს გასცილდა“ და დააპირა მისი ამბის დაწვრილებით გაგება.

გლახას, თითქოს ეძნელებოდა თავისი წარსულის გახსენება, მაგრამ ვინაიდან იგი გრძნობს, რომ მისი აღსასრული მოახლოვებულია, მისი „დღე დათვლილია“ და „ეხლა აღარაფრის ეშინიან“, გადაწყვეტს თავის თავგადასავლის მოყოლას.

გლახას თქმით: „ხუთი წელიწადი იქნება, რაც საზუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი. თუნდ რომ მე ვაპატო, ღმერთი მაინც მოჰკითხავს, ვინც ეგ სიკეთე მიყო.“ (1, ტ.2, გვ.38).

ერთ დროს ის ფიქრობდა, რომ თავისი „შრომით თუ ოფლით“ იშოვნოდა „ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის-სოფლის დღესა.“ მაგრამ მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ იგი ყაჩაღი გახდა და მისი თავი „წმინდა-გიორგის ჯვარად იყო დაფასებული“. აქვე აღნიშნავს, რომ ის საყაჩაღო კაცი არ იყო. „იქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ ავიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვარივად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატივა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად.“ (1, ტ.2, გვ.39).

ხეიბარი არ ამბობს წარმოშობით საიდან არის. მისი თქმით, იგი კახელი არ არის, მისი მიწა-წყალი აქედან შორსაა და სინანულით ამბობს: „ვაი რომ ჩემს სიცოცხლეში იმ მიწას ვეღარ ვინახულებ და იმ წყალს ვეღარ დავეწაფები.“ (1, ტ.2, გვ.40).

იგი ყვება, რომ შვიდი წლიდან ოც წლამდე, ბატონის სახლში ყოფილა და იქ ეწეოდა „გულმტკი-ვენეულ უღელს“ მაგრამ მისი შრომის დამფასებელი არავინ იყო. ის ემსახურებოდა მისივე ტოლ ბატონის შვილს – დათიკოს, რომელიც ბავშვობის დროს კარგი ყოფილა. ახალგაზრდები შეეჩვივნენ ერთმანეთს და შეუყვარდათ კიდევ ერთმანეთი. მისი გადმოცემით, დათიკო მამის

ერთადერთი შვილი ყოფილა, როგორც ეტყობა განებივრებული და ჭირვეულიც, იგი ერთს ალიაქოთს ასტეხდა თურმე, თუ ვინმე გაბედავდა მისი მეგობრის წყენინებას. ილია, აქ თითქოს სხვათაშორის შენიშნავს, რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარული, სინამდვილეში მოჩვენებაა და დროთა განმავლობაში, გამოჩნდება, რომ ბატონი, მუდამ ბატონია, ხოლო ყმა კი – ყმად რჩება. ეს სჩანს გლახას სიტყვებში:

„ყმაწვილის გული, შენი ჭირიზე, ადრეულა ყვაილისა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და დააჭკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბოზე ბოლო მომიღო.... დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა, მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიღება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნაღველას ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ვიცოდი?..“ (1, ტ.2, გვ.40).

თოთხმეტი წლის, რომ გახდნენ დიდმა ბატონმა დათიკოს სასწავლებლად ქალაქში გაგზავნა დააპირა და რა თქმა უნდა, ყმა, გაბროც, უნდა გაჰყოლოდა. გამგზავრების წინ, გაბროს მამა ეახლა დიდ ბატონს და სთხოვა, რომ მისი შვილი დაეტოვებინა, ვინაიდან პირველი ცოლიდან მარტო ეს ბიჭი დარჩა, და ამავე დროს, თოთხმეტი წლის ბიჭი, „ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირისა და ლხინის განახევრებას.“ როგორც ეტყობა დიდი ბატონი კეთილი და „გულთბილი კაცი“ ყოფილა, იგი მოუტრიალდა და ჰკითხა გაბროს: „გაბრუმ-კი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა-შენთან, მე ძალას არ დაგატან ვიცი ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა უყუთ: შვილი მამისა არის.“ გაბრო გაჩუმდა ვინაიდან, დათიკოსთან სიკვდილი ერჩინა „დედინაცვალთან ასი წლის ცხოვრებასთან.“ დათიკო „ერთი ამაყი, თვით-რჯული ბავშვი იყო, რასაც იტყოდა, მოკვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივილიდა.“ და მან ერთი ამბავი ატეხა, რომ გაბროს გარეშე არსად არ წავიდიოდა. ამრიგად, დათიკო და გაბრო ქალაქს გაემგზავრნენ. გაბრაზებულმა და ნაწყენმა მამამისმა წასვლისას არც ინახულა; და დარჩა გაბრო ამ ქვეყანაზედ მარტოდ მარტო. ის გულდაწყვეტილი ჰყვება:

„ეგ, ვითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ შევიძინე მაშინ. ბოლოს კი ბევრი ვინანე, ის-ის იყო, მამა-ჩემი თვალით ვედარა ვნახე: იმავე წელიწადს ამოიჭამა წუთის-სოფელმა, და მე ისე, მშობლებისაგან შეუნდობარი,

უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტოდ დავრჩი ამ ტრიალ ქვეყანაზედა. ამ თვალში უწვდომელ დედამიწის ზურგზედ ერთი დათიკოლა დამრჩა. მე იმაზედ დავლიე ობოლის გულის სიყვარული!..“ (1, ტ.2, გვ.42).

ქალაქში ცხოვრობდნენ დიდი ბატონის ნათლიედღასთან, ერთ ღარიბ, ხნიერ დედაკაცთან. დათიკოს სკოლაში წასვლის შემდეგ, გაბრო სახლს რომ დაალაგებდა, მერე თავისუფალი იყო. მან გაიცნო მღვდელი, რომელიც უფულოდ ამეცადინებდა, ასწავლიდა წერა-კითხვას. საინტერესოდ აქვს ილიას აღწერილი გაბროსა და მღვდლის შეხვედრა. ტკბილად და თავყანის ცემით იგონებს გაბრო ამ მღვდელს.

„ის მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო... ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაციც ის არის, შენი ჭირიმე, და ქუდიც იმასა ჰხურავს. ალბად კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა!.. დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა.“ (1, ტ.2, გვ.48).

შემდეგ, ისევ სიყვარულით იხსენებს გაბრო ამ მღვდელს:

„ხატებს, რომ ჰხატვენ, ის იყო! მადლით, მადლით იყვნენ საკსენი იმის ჩაფიქრებული თვალები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში, რომ ისე გამოსცეს, გამოატანოს თვალებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა და გამოეტანა... წარმოსადგენი კაცი იყო, გამხდარი სახე ცოტა ფერმკრთალი ჰქონდა. ნაღველს ცოტაოდნად ხელი გაეკრა, როგორც ემჩნევა ხოლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის შემატკივარსა.“

შავი წვერი ჯერ არ ჩამოზრდოდა, ისე ახალგაზრდად მეჩვენა. თავიდან ფეხებამდინ ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ, როგორც მზე მზეუჭვრიტასა, კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისკენ მიიბრუნებდა.“ (1, ტ.2, გვ.55).

ეს მღვდელი, კეთილი და პატიოსანი კაცი ყოფილა. იგი უანგაროდ ემსახურებოდა ხალხს, უბნის ღარიბ ბიჭებს უფასოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. გაბროს ამხანაგის დახასიათებით იგი, „სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს. ვისაც არ უნდა, იმდენს ეჩიჩინება, იმდენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომებს“. (1, ტ.2, გვ.46).

საინტერესოდ აქვს გადმოცემული ილიას, მღვდლისა და ერთ-ერთი გლეხის, პეტრეს, საუბარი სწავლის შესახებ, რომელიც შვილს არ უშეებდა სასწავლებლად. პეტრეს ყოველ გამოთქმაში, ყოველ სიტყვაში, სჩანს, რომ პეტრესა და მის გარშემო მყოფ გლეხებს არ ესმოდათ სწავლის მნიშვნელობა. მათ „შეჩვეული ჭირი“ ურჩევნიათ. მათი გაგებით: „მამას არ უსწავლია და

პაპას“ და შვილს რად უნდა სწავლა? ამ საუბრის გადმოცემით, ილია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეკლესიისა და სარწმუნოების ქადაგება მონური ცხოვრების შესახებ, გლეხებს გამჯდარი ჰქონდათ ბავშვობიდანვე. მათი თქმით, ღმერთს ესე დაუწესებია, რომ მათი წიგნი დედამიწაა, უნდა იშრომონ და ოფლი ღვარონ. ილიას მოჰყავს პეტრეს სიტყვები:

„ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღე-ღამე ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბრძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“. ეს ღვთის ბრძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდევ. წიგნი რა ჩვენი საქმა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძილოს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მაღლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა კეთიხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაულალავი გუთანია, მელანი კიდევ გულღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწვებთ ოფლში გუთანსა, გადავუხსნით ხოლმე დედამიწას მაღლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა ღრო მოვა – მივალთ – და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღვება, ისე არ გაძუნდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო“, ის ვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე-ღამე, ჩვენი ჭირიც და ღვინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძლოთ, კუჭი!.. ჩვენი თავდაპირველი გულისტკივილი ეს არის!...“

წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვისავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!...“ (1, ტ.2, ვვ.50).

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდესაც მღვდელი დაუმტკიცებს პეტრეს, სწავლისა და წიგნის სიკეთესა და სიძლიერეს, თვალ ახილული გლეხი წამოიძახებს:

– „დაილოცა შენის ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, შე ღვთისაგან კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედისაგან დამიხსენ. წელან გელაპარაკებოდი ბრმა; შვილის ცოდვაში ვდებოდი, ეხლა, შენის მაღლიანის ენით თვალხილული, გეუბნები: ის მამა შვილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთენელად და არ გააწურთენინებს. ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!.. მომეცი ხელი, შენი კვნესამე!..“

ერთი გემთხვიო!..“ (1, ტ.2, გვ.52). მღვდელმა არ დაანება ხელზე და მუხლზე კოცნა.

ილია ჭავჭავაძე, შემდგომ მის ნაწერებსა და წერილებში, არა ერთხელ განადიდებს და ანვითარებს წიგნისა და სწავლის მნიშვნელობას.

მღვდელი, ამავე დროს ხალხს უნერგავს შრომის სიყვარულს, გულმოდგინეობას, ბეჯითობას და ერთგულებას. როდესაც, მღვდელი, გაბროს ეტყვის, რომ იგი უსასყიდლოდ ასწავლიდა, გახარებული გაბრო მადლიერების გამოსახატავად დააპირებს მის მუხლებზე მოხვევას, მღვდელი არ დაანებებს და ცაზე მიანიშნებს და ეტყვის:

– „აგე, შენი ღმერთი სად არის,... მე, იმისი ცოდვილი მსახური ვარ.“

ამ ადგილას, ილია სწყვეტს თხრობას და გაბროს სიტყვებით გამოხატავს ბატონსა და ყმის დამოკიდებულებას, ცხოვრების უკუღმართობას და მსჯელობს კაი კაცობის შესახებ.

„მე სულელმა რა ვიცოდი მაშინ იმისთანა კაცის ყადრი. ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწისკვრით წამაბარბაცებდნენ, ამან კი თბოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმასთან, რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაც ძალღზედაც გასცვლის. მოდი და ნუ მოიდრეკდი იმის წინ მუხლსა. მე მახსოვს დიდი ბატონი, ზომ კაი კაცი იყო, მაგრამ მაინც გული მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკოცებდი ხოლმე. მე მეგონა, ამასაც ამით ვაამებ. ის კი არა თუ მიწყინა და ჩემს რეგვენობას აპატივა... მაშინ მიკვირდა ეგრეთი ქცევა მღვდლისა, ეხლა კი მესმის!.. თურმე კაი კაცს თავისი გულივე მადლს უხდის; მაშინ ეგ რა ვიცოდი? რა კაცი იყო!.. არა, მე ეხლა რომ მაგონდება იმისი საქმეები, მგონია, რომ ცილამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა. ვაი, რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისაგან წახალისებული თავმომწონე ბიჭი და აი, ველარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაი კაცობა...“ (1, ტ.2, გვ.57).

გახარებული გაბრო, მეორე დღესვე გარბის მღვდელთან და სხვა მოსწავლეებთან ერთად იწყებს სწავლას. მან ნიჭი გამოიჩინა და სამ-ოთხ თვეში წერა-კითხვა შეისწავლა, ლოცვები დაიზეპირა. მოძღვარმა ბიჭებიდან გამოჰყო, შევარდენი უწოდა და ცალკე დაუწყო სწავლა-აღზრდა. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აჩუქა. გაუგებარს უხსნიდა და ამავე დროს, გ. ჯიბლაძის თქმით, „მასწავლებელი ცდილობს ნიჭიერ მოწაფეს შთააგონოს ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, მაღალი საკაცობრიო იდეალები, რომლითაც აღსავსეა ეს

მსოფლიო შედეგრი. მას ხალისით მოჰყავს რუსთაველის სიტყვები: „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად, გული მის-ცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად-“. ეს მიაჩნია თავისი ცხოვრების იდეალად და პრაქტიკულად თვითონვე ახორციელებს. კაცის სახელი მისთვის საქმის შედეგი უნდა იყოს და არა თვითმიზანი.“ (12, ნაწ. II, გვ. 29).

„გლახის ნაამბობში“, მოყვანილი მოძღვრის ყოველი სიტყვა, ყოველი საუბარი და მისი მოქმედება, ეს არის ის ცხოვრებისეული სიბრძნე, რომლითაც ცდილობს მოძღვარი, თავის მოსწავლეებს შთაუწერგოს ყოველგვარი ადამიანური გრძნობები, ჰუმანიზმი და თავისუფლებისადმი სიყვარული. „ესა ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრების, აი, ხიდი ცხოვრებისა, აი, გასაღები სამოთხისა.“ (1, ტ. 2, გვ. 75.) – არიგებს ის გაბროს და ამავე დროს უწერგავს თავისუფლებისადმი სიყვარულს. – „იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედაძიწა ქალაძნადა.“ (1, ტ. 2, გვ. 75).

გაბრო, ასე აფასებს მოძღვართან გატარებულ დღეებს:

„ორიოდ ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, გონებისა და ადამიანობის თვალი, – ავად თუ კარგად, – იმასთან ამიხილებია, ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ. იმის მეტი ვარსკკლავი არ ამოსულა, – და ამ უპირო ქვეყანამ სხვა ნურა დამაყვედროს-რა. ამიტომ მიყვარს მე იმ მღვდელზედ ლაპარაკი, როცა კი ვლაპარაკობ ხოლმე. სული ისევ სულობს, როცა იმას ვინსენებ. დამიჯერეთ, რომ მე იმის ხსენებაზედ ამ ქვეყნად კიდევ მაღლი ღვთისა მწამს, კიდევ მგონია, რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან ძაფი არ გამწყდომია. დალოცა ღმერთმა ის კაცად-კაცი!..“

ბევრი რამ მოგახსენე იმ ღვთის კაცზედ, მაგრამ ნაასალიც ვერ გითხარი: იმისი გული და ამბავი ზღვა არის.“ (1, ტ. 2, გვ. 77).

ილია ჭავჭავაძის ამ მოთხრობაში, განსახიერებულ მღვდლის შესახებ, გ. ჯიბლაძე წერს:

„რატომ დასჭირდა ილია ჭავჭავაძეს ყველა ეს სიკეთე-ჰუმანიზმი, სათნოება, დემოკრატიზმი, მაღალი ადამიანური გრძნობები ანაფორიანი კაცის არსებაში მოექცია?... როგორ მოუვიდა ტიპიურობის უდიდეს ოსტატს – ილია ჭავჭავაძეს არა ტიპიური ისე განუზოგადებინა, როგორც „გლახის ნაამბობის“ მოძღვრის სახით გვიჩვენა?“

პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ჯერ ერთი – ამ გზით შეეძლო ავტორს მეტი ეთქვა, რაკი ანაფორიანი კაცი, ასე თუ ისე, მანც გაბატონებულ წრეებს

ეკუთვნოდა, გარდა ამისა, ცენზურაც იმდენად ვეღარ დაეჭვებოდა, ვინაიდან ხალხის მსახურის ნიშნად მოძღვარი გამოდის და არა რომელიმე რევოლუციონერი თერგდალეული. პროგრესული, ჰუმანურ-დემოკრატიული აზრები და განმანათლებლური მოღვაწეობა ანაფორიანი კაცისა, ნაკლებად სადავო ან სულ უდავო იქნებოდა იმათთვის, ვისაც უფლება ჰქონდა მზის სინათლე ეჩვენებინა ან ვეჭო დაედო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. მეორეც: თუ მოძღვრის სახე დააფიქრებდა, სარკეში ჩახედებდა სასულიერო წოდებას, რომელიც ხალხის სახელით თვით ხალხს სძარცვავდა, არც ეს იქნებოდა ნაკლებნიშნელოვანი, ვინაიდან თერგდალეულები განმანათლებლურ იდეებს ემსახურებოდნენ და მთელი ხალხის, ყველა წოდების სწორ გზაზე დაყენებას ისახავდნენ მიზნად.

შესაძლოა ყოველივე ამან განაპირობა მოძღვრის სახე „გლახის ნაამბობში“ და მისი ალტრუისტული, ჰუმანურ-განმანათლებლური, იმ დროისათვის პროგრესული შეხედულებანი კეთილშობილურ საქმეებთან ერთად. შესაძლოა ამიტომაც, რომ მოქმედ პირთაგან იგი ერთადერთი გონივრული საწყისია მოთხრობისა.“ (12, ნაწ. II, გვ. 33).

ხუთი წელი გაუტარებიათ ახალგაზრდებს ქალაქში. გაბროს თქმით, დათიკოს, მალე აუცრუვდა გული სწავლაზე და დაუწყია „გარე-გარე სიარული“.

როდესაც დიდი ბატონი გარდაცვლილა, ისინი დაბრუნდნენ სოფელში. წასვლის წინ, მოძღვარი ელაპარაკა დათიკოს სწავლის შესახებ, მაგრამ, ვერა გააწყო რა. დამშვიდობებისას, მოძღვარმა ერთხელ კიდევ დაარიგა გაბრიელი:

„მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე, გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია. მშვიდობით.“ (1, ტ. 2, გვ. 79). მამა-შვილურად გადაკოცნეს ერთმანეთი და დაშორდნენ.

სოფელში გაბროს აღარავინ ჰყავდა და იქ ჩასვლა არც უხაროდა. მაგრამ, როდესაც მიუახლოვდნენ და იქაურმა სიომ დაჰკრა, გული აუტოკდა. ილიამ, გაბროს სიტყვებში ჩააქსოვა თავის კუთხეს მოწყვეტილი ქართველი კაცის გულის ნადები და მისი სიყვარული თავისი ქვეყნის მიმართ.

„ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი რომ დავინახე, ავივსე ღხინითა და სიამითა. ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნაღველსა, გულში რაღაც „მზინანი ჩრდილი“ იყო, თითქო ნაღველი სიხარულის გაიშალაო და სიხარული – ნაღველში. გული ოდნავ და მეტად ტკბილად მიცემდა. სმენად გარდამექცა გულისყური, ყველაფერი ჩემს

გარსა თითქო რალაცას კარგსა და დიდი-ხნის დავიწყებულს ამბავს მიაბობდა. იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა.

მე ხომ იმ ქვეყნისთვის ტიალ-ოხერი ვიყავი და იმ ქვეყნისა კეთილი არა მასხოვდა-რა, მაგრამ მაინც კიდევ თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცი-სათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოშორებია, – ეგ იმას ვერ უცვნიან. ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატენილია და, დღესა თუ ხვალე, სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის მოწყალეობად ჩავთვლიდი, რომ მე ჩემის მიწა-წყლის კალთაში სული დამელია. ვაი, სადაური სადა ვკვდები!“ (1, ტ.2, გვ.80).

სოფელში ჩასვლისთანავე, დათიკომ სახლ-კარი, საქონელი, მამულ-დედული გაბრიელს ჩააბარა, „მეც მაცხოვრე და შენც იცხოვრეო.“ ახალ ტანსაცმელში გამოაწყო. გაბრიელის თქმით: „მე რომ ეს ჩავიცვი, თავადის-შვილში ვერ გამომარჩევდიო“. ორ წელიწადში, გაბრიელმა საქმე ისე ააწყო, რომ დათიკო ახლო-მახლო თავადის-შვილებში კარგ ოჯახის-შვილად ითვლებოდა. პირველ ხანებში დათიკო მისი მადლიერი იყო და „ტოლ-ამხანაგად“ ინახავდა. ამ ერთ-გულების გამო გაბრო, ბევრმა ყმა და მოჯამაგირემ შეიძულა და მიინდურა, თუმცა უსამართლოდ არავის არ ექცეოდა.

გაბრიელის დახასიათებით, დათიკო:

„ყველაფერში კაი ყმაწვილი იყო: მშვენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულ-მარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი. თოფისა და იარაღის ხმარებაში იმ პირობაზედ იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბაღულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელ-მოღერებული, ალვის ხესავით, ადამიანის თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფრიდ ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, – და იმ სენმა ისე იმას არ ავნო, როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ხიდად გასდებდა დაუნდობლად და თვითონ გაივილიდა. მე მგონია, ის უბელური თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანებში – ასეთი თავდაუჭერელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზედ ლაფი დაასხა. სხვაფრივ კი, ღმერთმა კაი მოგცეთ, კარგი ის იყო.

მე რომ ის არ მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ მხარბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა!.. მაშინ ჩემი ბედიც იქნება სხვა-რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ რა მექნა? ის, სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა. არ ვიშეშებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი.“ (1, ტ.2, გვ.81).

როგორც ვხედავთ, გაბრიელის ამ მონაყოლიდან, მას დათიკოს ეს ქცევა არ მოსწონდა, მაგრამ მისმა გაუბედაობამ და მისდამი სიყვარული, მის „გულს იმორჩილებდა“. ასე გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ მათი გზები ერთმანეთს არ შეხვდნენ და არ დაუპირისპირდნენ. აქ გამოჩნდა ამ მოთხრობის მთავარი აზრი, დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის. დათიკო, – ეს თავგასული ბატონი, რომლის წარმოდგენით, მას უნდა ემორჩილებოდეს ყველა და ყველაფერი, და გაბრო, მისი ყმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წლების განმავლობაში, ისინი ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან შეზრდილები, მაინც, ვინაიდან იგი ბატონია, თხოულობს მისგან ულაპარაკო მორჩილებას.

აქედან იწყება ამ მოთხრობის, „გლახის ნაამბობის“, ამ დრამატიული ნაწარმოების, ასახული შეურიგებელი უთანხმოება და განხეთქილება ბატონსა და ყმას, დათიკოსა და გაბრიელს შორის.

სოფელში ცხოვრობდა „კეთილი სადმე კაცი იყო, ხანშესული, დროული, გლესკაცობაში სახელიანი და პატივცემული“. დათიკოს ყმა, – პეპია, რომელიც „ახლად დაქვრივებული“ იყო. მას ჰყოლია ერთადერთი ქალიშვილი თამრო, რომელიც მისი „სული და გული“ იყო.

ბევრ ვინმეს უთხოვია პეპიასათვის თამროს ხელი, მაგრამ არავის მიათხოვა „თითქოს სხვისთვის არ ემეტებოდა ის ობოლი მარგალიტი“. გაბრიელის გადმოცემით, პეპიას ქალიშვილი, თამრო, ლამაზი და კარგი შესახედაობის ყოფილა. „ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა!..“ არც, გაბრიელი ყოფილა ურიგო ახალგაზრდა. თავის შეხედულების შესახებ იგი ამბობს: „ეხლა რაღა ვარ, შენი ჭირიმე! მაშინ ოცის, თუ ოც-და-ერთის წლის გათამამებულ ბიჭსა ადამიანობა მეტყობოდა. კვეხნით არ ვიტყვი – ჩემს ტოლს ბიჭებში ნაბოლავარი არ ვიყავ და თვალად-ტანადაც არაფერი მიჭირდა“. (1, ტ.2, გვ.82).

ეს ორი ახალგაზრდა ერთმანეთს შეხვდნენ და თანდათან ერთმანეთი შეუყვარდათ. ერთმანეთს პირობაც მისცეს. მაგრამ მდგომარეობა სულ სხვაგვარად განვითარდა და შეიცვალა.

ერთხელ დათიკოს საყდარში დაუნახავს თამრო და რა თქმა უნდა მას მოსწონებია. მან პირდაპირ მიახალა საწყალ პეპიას: „კაი საპროშტავი ყოფილა!..“ პეპია, მაშინვე მიხვდა, თუ რას მოასწავებდა მისი ქალიშვილისათვის უზნეო ბატონის მოწონება. ხოლო როდესაც გაბრომ გაიგო ეს ამბავი, მან ღმერთს შეჰფიცა, რომ მოკვდებოდა და თამროს „კი არავის წაეკექლეინებო.“

გაბრიელს იმედი ჰქონდა, რომ დათიკო, როდესაც შეიტყობდა საქმის ვითარებას, ის წინ არ გადაუდგებოდა და ამდენი ხნის სიყვარულსა და ერთგულებას, წყალში არ ჩაუყრიდა. მაგრამ, იგი შეცდა.

ერთ ღლეს, დათიკომ, დაიბარა თავისი „უნაძუსუების ავან-ჩავანი“ გიტო და დაავალა თამრიკოს ხელში ჩაგდება. გაბრომ მათი საუბარი მეორე ოთახიდან მოისმინა. გიტომ, დათიკოს შეატყობინა, რომ გაბროსა და თამრიკოს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი ჯინიანობისა და ამპარტავნობის გამო უკან არ დაინია: „მოუბრუნდა გიტოს და გულ-დადინჯებულად, თითქო კაი საქმეს შერებო, უთხრა:

– მეწყინა, ეგ რომ მითხარი, მაგრამ არა უშავს-რა, შენ, რაც გითხარი, ისა ჰქენი, მე და გაბრო მოვრიგდებითო“. (1, ტ.2, გვ.89).

ამ სიტყვების გაგონებისთანავე, ბატონსა და ყმას შორის „შუა ხიდი ჩატყდა“ და გაბრიელსაც „გულში ერთი ძარღვი ჩაუწყდა“.

„მოვრიგდებითო!.. ვაი შენს გაბრიელსა, რა ცულად უცვნიხარ!..“ წარმოსთქვა გულდაწყვეტილმა გაბრომ. მას საჩქაროდ რაიმე უნდა ელონა. გაიქცა პეპიასთან და ყველაფერი მოუყვა. ძლივს დაარწმუნა საწყალი პეპია, რომ ის სამტროდ არ იყო დათიკოსაგან მიგზავნილი. პეპიას იმედი ჰქონდა, რომ ბატონს ფეხქვეშ ჩაუვარდებოდა, მუხლებს დაუკოცნიდა, – „ისიც კაცია, ჩემის სიბრალულით და საცოდაობით მოღბება“, და მას შეიბრალებდა. გაბრო კარგად იცნობდა მის ბატონს. თუ მან არ დაინდო გაბრო, რომელიც ძმასავით იყო მასთან შეზრდილი, მით უმეტეს პეპიას იგი არ შეიბრალებდა. ბოლოს ისინი მოილაპარაკებენ, რომ პეპია გაუფრთხილდება თამროს და თვალყურს ადევნებდა გიტოს, ხოლო ამასობაში, გაბრო რამეს მოიფიქრებდა. საბოლოოდ დარწმუნებული გაბრიელის სიკეთეში, საწყალი პეპია მიმართავს მას:

– „გაბრიელ!.. მე ერთი ქალიდა შემარჩინა ბედმა და იმის მეტი მე არავინ არ მივის ამ ტრიალ ქვეყანაზედ. მოდი, ის ცოლი და შენ ქმარი და მეც მამა თქვენი. ჰა, რას იტყვი შენ?“ (1, ტ.2, გვ.93). – გახარებული გაბრიელი გამოუტყდება პეპიას, რომ მათ ერთმანეთი უყვართ და სიტყვაც აქვთ მიცემული.

გავიდა დრო. გაბრიელი ატყობდა დათიკოს, რომ მან თანდათან მასზე „გული შეიცვალა.“ გიტო ვერაფერს გახდა. პეპიამ და გაბრიელმა სალაპარაკოდ არ შეახვედრეს თამრიკო. ამან უფრო გაახელა „დათიკოს ყინიანი და მურტალი წადილი.“ ერთხელ დათიკომ დაიბარა გაბრიელი და საუბრის დროს მას განუცხადა, რომ „ქალი ყინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზედ ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი. მზითევი და შენი დაბინავება

ჩემი კისერი იყოს.“ და ამის შემდეგ უსირცხვილოდ მიახალა:

„ქალი ჩემია,... და მზითევსაც იმიტომ გაბრძობი, რომ ჯერ ჩემი იქნება.“ (1, ტ.2, გვ.101). ეს იყო დათიკოს მიერ დაგებული მახე. გ. ჯიბლაძე წერს:

„პირველი ღამის უფლება ჯერ კიდევ ძალაში იყო და ბატონები უარს როდი ამბობდნენ ამ პირუტყვიანი კანონის გამოყენებაზე.“ (12, ნაწ. II, გვ.40).

ამის გამგონე გამწარებულმა გაბრიელმა, დაუწყო ვედრება დათიკოს, რომ ამ განზრახვაზე ხელი აეღო და მისდამი ამდენი ხნის ერთგულებასა და სიყვარულს წყალში ნუ ჩაუყრიდა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეასმინა. მოთმინებიდან გამოსულმა გაბრომ ხმალი იმიშვლა და ამ დროს, მეორე ოთახიდან გამოვარდნენ ბიჭები, შეიპყრეს და დიამბეგს მიჰკვარეს. მან კი არავითარი ყურადღება არ მიაქცია დათიკოს თავის მართლებას და დათიკო სატუსალოში გამოამწყვდიეს, ბატონის მოკვლის მცდელობის გამო. პეპიაც ამავე სატუსალოში მოათავსეს. ორი წლის შემდეგ განაჩენი წაუკითხეს. გაბრიელი ხაროს სათხრელად, ხოლო პეპია კი-საციმბიროდ გაამწესეს.

რვა თვის შემდეგ, ძველი ბორკილები ახსნეს, ახალი, უფრო მაგარი ბორკილები დაადეს, გაბრიელი და პეპია ეზოში გამოიყვანეს, და ვინაიდან საწყალ პეპიას სიარული აღარ შეეძლო, ურემზე დააჯინეს და ფეხით გაუდგნენ რუსეთისკენ გზას.

შვიდი დღის სიარულის შემდეგ, მყინვარის მთას მიუახლოვდნენ. საღამო ხანი იყო, თანაც ურემი გაუტყდათ და იძულებულნი იყვნენ აქვე შეესვენად. მეორე დღეს საქართველოს უნდა გასცლოდნენ და სამუდამოდ დაეტოვებინათ სამშობლო.

აქ, ილია სწყვეტს თხრობას და გადმოსცემს გაბროს ფიქრებს, სადაც კიდევ ერთხელ, აღწერს სამშობლოდან მოშორებულ კაცის განცდებს. შეუძლებელია, რომ ამ სიტყვების წაკითხვისას, ქარველმა კაცმა, არ განიცადოს და არ აღელდეს. როდესაც გაბრო გაიგებს, რომ ხვალ ისინი სამშობლოს დატოვებდნენ, ის მიეცა ფიქრებს.

„გული მომიკვდა, ეს რომ გავიგონე, და დავლონდი. ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმი, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენი ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს – გულიც აქ არის, თუ სიყვარული

გაქვს – სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა? სადაური სად მივეყვართ, – ვკითხავდი ჩემს თავს ტკივილითა და წუხილითა, – ეს ქვეყანა აღარ უნდა ვინახულო, აქაურმა მზემ არ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს!.. სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უნდა მყვანდეს!.. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას!.. აქაური სალოცავი აღარ უნდა ვილოცო!.. თამროც აქ უნდა დამრჩეს უპატრონოდ!“ (1, ტ.2, გვ.107).

გაბრიელის ამ ფიქრების შესახებ გ. ჯიბლაძე წერს:

„აქ ყველაფერი ისე კარგადაა გადმოცემული, ისე სრულადაა გადმოშლილი ქართველი კაცის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა სამშობლოსადმი, რომ გაბროს სიტყვები შეუძლებელია მკითხველს გულში არ მოხვდეს და საკუთარი აზრების დაღაღებადაც არ მიიჩნიოს.“ (12, ნაწ. II, გვ.46).

ამ ფიქრებში იყო გაბრიელი წასული, როდესაც შემოესმა „ცხენების თქაფა-თქუფი“, ცხენოსნები თავს დაესხნენ სალდათებს, გაჰფანტეს ისინი და ტუსაღებს შესძახეს: „ვისაც შეგიძლიათ თავს უშველეთ“, გაბროცა და პეპიაც გაიქცნენ. გზაში დაეწიათ ვიღაცა, მიაჩნა ხელში ქლიბი და გზა მშვიდობისაო მიიძახა. სიბნელეში ვერ გაარჩიეს თუ ვინ იყო ის. გაბრიელის შეკითხვაზე, „ვინა ხარ? ბნელში ვერ გარჩევ, გვითხარი შენი სახელი და დაგვალოცვინე შენი თავი.“ მან უპასუხა:

– „სახელი რად გინდათ? ვინცა ვარ, ის ვიქნები, თუ გინდათ დამლოცეთ: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს.“ (1, ტ.2, გვ.108). ცხენს მათრახი გადაჰკრა და სიბნელეში მიიმალა.

უგზო-უკვლოდ სიარულის შემდეგ, პეპიამ სიარული ველარ შეძლო და იძულებულნი გახდნენ, რომ გაჩერებულიყვნენ. ბორკილები ქლიბით გახეხეს. „ტუსაღის ფარაჯით“ ხალხში ვერ გამოჩნდებოდნენ. დალილნი, მშიერი იყვნენ, მაგრამ „შველა კი არსით იყო.“ გაბრიელი იძულებული ხდება პეპია მიატოვოს და „პირველი ავკაცობა“ ჩაიდინოს. გზაზე დახვდება პირველივე შემხვდურს, სომეხ ვაჭარს და წაართმევს თოფს, ცხენს, ხმალს, ქამარ-ხანჯალს, დამბაჩას, ტანისამოსს, ხურჯინს-პურ-ღვინოთი და „ორიოდ თუმანს“. მოახტა ცხენს და პეპიასკენ გასწია. ამ იძულებითი ავკაცობის გამო, გაბრო თავის-თავის დასამშვიდებლად ამბობს: „ეს იყო ჩემი პირველი ავკაცობა, მაგრამ ეგეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა? „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსო“, – იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი.“ (1, ტ.2, გვ.110).

პეპია, სულ უფრო ცუდათ ხდებოდა და სიკვდილის პირას მისულმა უთხრა გაბრიელს:

– „გაბრიელ!... ფეხ-მუხლი მიცივდება, შვილო, მე ვკვდები! ვაი, რომ უზიარებელი ვკვდები! შვილო, ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატივე, მეც მიპატივებია. მაგრამ... თუ თამრო ნამუსწართმეული ჰნახო, შემომფიცე, რომ იმის დაძაბუნებულს მხეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები! შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, მე ამიღია კისრად.“ (1, ტ.2, გვ.111). გაბრომაც შეჰფიცა. ასე დალია საწყალმა პეპიამ სული. ბოლო წუთამდე მისი საფიქრებელი იყო თამრო. გაბრომ ხმლითა და ხანჯლით გაუთხარა სამარე და პეპია მიაბარა მიწას.

„გაბროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული“, გაბრიელი მოახტა ცხენს და დაეშვა მთიდან. თან გზაში ფიქრობდა თავისი მდგომარეობის შესახებ: მას ან ფიცისათვის უნდა ელაღატნა, ანდა კაცი უნდა მოეკლა. ის თავის-თავისა და ხასიათის შესახებ ამბობს:

„მე იმისთანა ხასიათის ვიყავ, რომ გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკვდომოდა, მაგრამ თუ წინ მოსაფიქრებლად ორს წუთს მაინც ჩემი ჭკუა და გული შემრჩებოდა, ადამიანს სასიკვდილოდ ძნელად თუ გავიმეტებდი. ეხლა სწორედ ამისთანა დრო დამადგა: წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო მქონდა, ამიტომაც რამდენადაც ჩემს ფიქზედ ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი. ორში ერთი უნდა მექნა: ან ფიცისათვის მეღალატნა და ან კაცი მომეკლა. მე აქამდინაც არ ვიცი, ამათში რომელი უფრო მძიმე ცოდვაა....“

კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმი! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვაავდა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალომა ამ წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან შვილსაც ნამუსი წაართვა, – განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს-მეთქი! – ვფიქრობდი გულზედ-მოსული და ბრაზმორეული, მამ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს-მეთქი! მამ რას მეუბნებოდა მღვდელი, სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისო, თუ არა ამასა?!“ (1, ტ.2, გვ.113). ბოლოს გადასწყვეტს, რომ ფიცის გატეხვა არ შეიძლება და მას სხვა გზა აღარ აქვს, და დათიკო უნდა მოკლას. მაგრამ იგი მაინც ღმერთს შესთხოვს, რომ თამრო უცოდველი აჩვენოს. გაბრიელის თქმით:

„ძნელი ყოფილა, შენი ჭირიმი, კაცის-კვლის ფიქრის წინათვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა!.. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა, კაცს, თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცის-კვლის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად.“ (1, ტ.2, გვ.114).

გაბრიელი ჩადის ქალაქში და იქ გებულობს, რომ თამრიკო მეძავი გამხდარა. დაწვევლა იქაურობა და სოფლისაკენ გამოემართა. „ფიცის აღსრულების დღე დადგა“. მაგრამ მისი მოკვლა ვერაგულად, ქურდულად არ უნდოდა. პირისპირ უნდა შეხვედროდა, „რომ ან მოვეკალ და ან მე მომეკლა“. გაბრიელმა რამდენიმე თავადისშვილი გაძარცვა და ყველას თავის სახელს ეუბნებოდა, რომ მისი სახელი დათიკოს გაეგო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მკვლევლებს არ სჩადიოდა, ყველაფერს მას აწერდნენ და აბრალებდნენ. იმ ადგილებში მას ყაჩაღობის სახელი გაუვარდა. მალე მის შესაპყრობად წმინდა გიორგის ჯვარსაც დაჰპირდნენ, ვინც ცოცხალს დაიტყრდა, ან მკვდარს მიიტანდა. ის იმ ადგილებში დადიოდა სადაც დათიკოს ნადირობა უყვარდა. ერთ დღესაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ამ შეხვედრასა და მათ ბრძოლას ილია შემდეგნაირად აღწერს. დათიკოს დანახვის თანავე, გაბრომ გზა გადაუღობა და მიამახა:

– „თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმარდი!“ დათიკომ უმაღლადმოიგლო მხრიდან ორ-ლულიანი თოფი და დაახალა. მაგრამ გაბრომ მოასწრო თოფისათვის ხელის აკვრა და დამბახა დასცა, თან მიამახა:

– „მე ვარ გაბრო, შენი სულთა-მხდელი!..“ დათიკომ მოასწრო ხმლის ამოღება და მის მიერ მოქნული ხმალი გაბრიელის ცხენს მოხვდა და იქვე გააფრთხოვინა სული. გაბრიელი ყვება:

„მინამ მე წამოვადგებოდი, დათიკო ცხენიდან ძირს დაცემულიყო. მე თავზედ წავადე და დავიჩახე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივლა ჰფეთქავდა თავის ყმის ფეხთა წინაშე!.. მაგრამ, გეტყვით ჩემი გულის ბუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდა.“ (1, ტ.2, გვ.117).

გაბროსა და მომაკვდავ დათიკოს შორის იმართება საუბარი, რომლის დროსაც გაბრო გებულობს, რომ მყინვარიდან, ის და პეპია, დათიკოს გაუნთავისუფლებია. გაცეხული გაბრიელის შეკითხვაზე, თუ რისთვის დაგვიხსენიო?, იგი უპასუხებს:

– „ვერა ჰხედავ? აი, ამ დღისათვისა. პეპია რასა იქს?“ და როდესაც გაიგებს, რომ მასავით ისიც უზიარებლად მოკვდა, თითქოს ცოდვების მონანიება უნდაო, გაბროს ეტყვის:

– „ვეც ბარი-ბარში... მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულ გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევი. გამარჯვებით...“ (1, ტ.2, გვ.118).

გაბრიელმა დაჰჭირა დათიკოს ცხენი და ვინაიდან იმ არემარეში აღარ დაედგომოდა და „ყაჩაღობაც მოსწყინდა“ გადავიდა კახეთში. იგი გრძნობდა, რომ ყაჩაღობა მისი ხელობა არ იყო. „ვერ დაემორჩილა ჩემი გული ავკაცობას“,

ამბობს გაბრიელი და გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ნორმალურად ეცხოვრა. თავისი შრომით ლუკმა-პურს იშოვნინდა. ალაზანში იარაღი გადაყარა, რომ არავის ეცნო, ცხენი მდინარეს გაატანა და მოჯამაგირეობა დაიწყო. მეორე წელს ციებ-ცხელება შეეყარა, მაგრამ მაინც განაგრძობდა მუშაობას. მერე წყალ-მანკი გაუჩნდა და ფეხები დაუსივდა. იძულებული შეიქმნა მუშაობისათვის თავი დაენებებინა. სანამ ცოტაოდენი გროში ჰქონდა, ერთმა გლეხმა შეიკვდლა, მაგრამ როდესაც გამოეღია, გარეთ გამოავლო. ის ხედავდა, რომ საგლახაოდ უხდებოდა საქმე, სირცხვილით იქ ველარ გაჩერდა და ძლივს ვაი-ვაგლახით აქეთ გამოსწია, ამ საბძელამდე მოაღწია და ამ ჩარდახს შეაფარა თავი, გზის პირია და ამვლელ-ჩამვლელი კეთილი კაცი ხან პურს აწვდიდა და ხან წყალს. გაბრიელი გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა მისი აღსასრული და ნანობდა, რომ უზიარებლად ეთხოვებოდა ამ წუთისოფელს. „ამით გაათავა გლახამ თავისი ნაამბობი“ წერს მწერალი. მეორე დღეს ილიამ მღვდელი მოიკითხა, რომ გლახა უზიარებინა და მისი უკანასკნელი ნატვრა შეესრულებინა, მაგრამ მღვდელმა მოუცლევლობის გამო უარი შემოუთვალა. გაკვირვებული ავტორი თვითონ წავიდა ბლალორინთან, უამბო მოსვლის მიზეზი და მღვდლის პასუხიც შეატყობინა. ამაზე იგი „სამინლად გაწყრა და ძლიერ დასტუქსა ის უგულო მღვდელი“, მაშინვე გამოემართა საზიარებლად და თან დიაკვანიც წამოიყვანა.

ამ მოთხრობის ბოლო თავში, ილია აღწერს მღვდლის და გაბროს შეხვედრას. აღმოჩნდება, რომ ეს მღვდელი არის სწორედ ის მოძღვარი, რომელიც ასე სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებდა გაბრიელი. აღსარების შემდეგ, გაბრიელი წამოდგომას მოინდომებს, რომ ზიარება მიეღო. წამოაჩოქეს, ღმერთს „გოდებით შეეკედრა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (1, ტ.2, გვ.123) და ბლალორინის წინ პირქვე დაემხო. ავტორი წერს, რომ:

„დიდხანს იყო ისე პირქვე დამხობილი, მარტო ყრუ ქვითინი მისი ხანდისხან მოგვესმოდა. ბოლოს ქვითინი შეწყდა. ბლალორინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვე დამხობილსა, სული დაელია კიდეც. საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა.“ (1, ტ.2, გვ.123).

ასე ამთავრებს ამ მოთხრობას ილია ჭავჭავაძე.

„გლახის ნაამბობის“ შესახებ გ. ჯიბლაძე წერდა:

„ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობის სინამდვილე სოციალური ანტაგონიზმის სახით წარმოგვიდგინა. მოთხრობამ დიდი შექმეცნებითი ძალა იმით შეიძინა, რომ ავტორმა ცხოვრება წარმოგვისახა საკსებით დამაჯერებლად, დიდი რეალისტური ფერებით.“ (12, ნაწ. II, გვ.54).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მოთხრობა ილიას პირველი ნაწარმოებია, სადაც გვიჩვენა ჯერ კიდევ შემორჩენილი, ბატონსა და მასზე დამოკიდებული ყმის მდგომარეობა. ამ დროს ბატონყმური სისტემა უკიდურეს ზღვარს იყო მიღწეული და იწყებოდა მისი რღვევა. გაბატონებული საზოგადოება, რა თქმა უნდა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დაეცვა თავი. ის ყოველნაირი საშუალებებით ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ახალ იდეებსა და ახალ ფილოსოფიურ მოძღვრებებს, რომელიც თანდათან ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

პ. რატინი წერდა:

„ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში ათივისა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მატერიალიზმის ძირითადი პრინციპები, მოძღვრება, სამყაროს, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დიალექტიკური ბუნების შესახებ, და ამ პრინციპებითა და მოძღვრებით შეიარაღებული, შეუდგა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების – მისი გაბატონებული პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობისა და მსოფლმხედველობის კრიტიკას.“ (13, გვ.46).

მოთხრობაში, აღსანიშნავია ბატონის, დათიკოს, მხატვრული სახე, რომელიც წარმოადგენს ამ მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ წევრს. მასში განზოგადოებულია ამ სისტემის, საზოგადოების თვისებები. დათიკო, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის დროს „კაი ყმაწვილი იყო“, შემდგომში ის, ამ საზოგადოებისა და წყობილების მიერ აღმოჩნდა გადაგვარებული, რომელმაც ამ წრის უარყოფითი თვისებები გამოამჟღავნა. მას ყოველივე ადამიანური სახე დაკარგული აქვს. მოთხრობაში, ავტორი გვიჩვენებს ბატონყმობის უარყოფით ზეგავლენას არა მარტო ყმა-გლეხებზე, არამედ თვით ამ წრის წარმომადგენლებზედაც. ბატონთა თავგასულობა, რომ მათ ხელშია ყველა და ყველაფერი, მათი სურვილი კანონია, მზამზარეული სხვის შრომაზე ცხოვრება, თვითონ ბატონის გონებას აჩლუნგებს და ზრწნის. ილიამ, ამ ნაწარმოებში გვიჩვენა, რომ სოციალური ყოფა, სოციალური გარემო ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ დათიკო ბუნებით არ იყო ურიგო ბატონი, ბატონყმობის ფსიქოლოგიამ გადააქცია იგი აღვირახსნილ მხეცად და მიიყვანა დაღუპვამდე.

„ილია ჭავჭავაძის პოზიცია ნათელია: მწერალი გმობს დათიკოს წარმომშობ სოციალურ გარემოს, იგი მის სრულ მოსპობას მოითხოვს. ადამიანმა თავისი ღირსება უნდა დაიბრუნოს. სულიერი მოღვაწეობის, სათნოებისა და სიკეთის გზით სვლა არის პირობა, საფუძველი ბედნიერებისა. საყოველთაო სათნოება უნდა გახდეს პირობა დარღვეული მთელის გაერთიანებისა.“ (18, გვ.681).

მოთხრობაში, ილიას გამოყვანილი ჰყავს გლეხთა წრიდან გამოსული გიტო, დათიკოს მარჯვენა ხელი, მისი „უნამუსობის ავან-ჩავანი“, უმსგავსო საქმეების შემსრულებელი, რომელიც ბატონს, რომ ასიამოვნოს, არ ერიდება თავისივე მოძმეების დაჩაგვრას. რა უნდა ქნას გლეხმა? ის უმწეო მდგომარეობაშია, მას არ შეუძლია თავის-თავისა და სიმართლის დაცვა-დამტკიცება, უფულებოა.

გლეხი იძულებულია, რომ ყველაფერი აიტანოს და ტანჯვა გულში ჩაიკლას, და ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ყაჩაღობა დაიწყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი ხელობა არ არის.

ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე კიტა (ივანე) აბაშიძე (1870–1917) წერს, რომ ეს დაჩაგრული გლეხები:

„პირად უსიამოვნებას მიუყვანია იმ განწყობილებამდე (და არა მტკიცე შეგნებამდე), რომ ამ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია და ამას ტყედ და ველად გაჭრა სჯობიან. მათი ძლიერი ბუნების განვითარებას წინ ეღობება სოციალური უწესრიგობა და ამ უწესრიგობის დამცველი წოდება. ამგვარად, ასეთი სოციალური წრე საერო უბედურებად ხდება, ვინაიდან ერის სხეულის ჯანსაღ ნაწილს ღუპავს.“ (3, გვ.44).

ილია ჭავჭავაძეს ამ მოთხრობაში, მეტად საინტერესოდ და თავისებურ მკაფიოდ გამოხატულ პირად ჰყავს გამოყვანილი მღვდელი – მოძღვარი. რომლის შთამბეჭდავი სახე, წარმოადგენს ილიას შეხედულებას განათლების შესახებ.

ლ. მინაშვილი წერს: „მწერალმა მოთხრობაში ქართველი მშრომელი კაცის განათლების მიღების უდიდეს საჭიროებაზეც მიუთითა და თვალნათლივ ცხადყო, თუ რა დიდი ზემოქმედების ძალა აქვს მასწავლებლის ცოცხალ სიტყვას და პირად მაგალითს. ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული მღვდელი რჩება სასაღვთო მასწავლებლის, სულიერი მოძღვრის შთამბეჭდავ ტიპად.“

ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის საფუძველი ქრისტიანული ეთიკაა. ეს კარგად ჩანს მთელ მის შემოქმედებაში, მაგრამ კონკრეტული გამოხატვის თვალსაზრისით ამ მხრივ პირველი ვრცელი თხზულება სწორედ „გლახის ნაამბობია“. ერთი ქრისტიანული პრინციპების ქადაგება, მაგრამ მეორეა, როცა ამ პრინციპების ინდივიდუალიზაცია და კონკრეტიზაცია, მხატვრულ სახეებში წარმოდგენა ხდება გრძობად-ესთეტიკურ პლანში. სწორედ ამ მხრივ არის განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალით აღჭურვილი მღვდლის შთამბეჭდავი სახე. ამ სახის შექმნას საფუძვლად დაედო რეალური ფაქტები მწერლის ცხოვრებიდან. როგორც ჩანს, სოფლის მთავარდაიკვნის, ილიას პირველი მასწავლებლის შთაგონებით უნდა იყოს მოთხრობის პერსონაჟი შექმნილი.“ (18, გვ.681).

„გლახის ნაამბობის“ შესახებ, არა-ერთი წერილი, თუ ნარკვევი დაიწერა. ამ ნაწერებიდან, ჩვენ შევხვებით ნიკო ნიკოლაძის წერილს „გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა.“ ავტორი თვლის, რომ:

„გლახის ნაამბობში“ ჩვენს წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდან ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი; სხვისი ენით ლაპარაკობს. შემდეგ ჩვენ სხვა თხზულებებში ეგვემ მწერალი გავიცანით, თავის საკუთარ გზაზე დამდგარი, სხვის გავლენისა და მიბაძვისაგან განთავისუფლებული, ბევრითი მოლაპარაკე თავისი საკუთარი ენითა და თავისი საკუთარი გრძნობის გამოთქმელი.“ (19, გვ.72). ამავე წერილში, ავტორი აღნიშნავს, რომ:

„ბევრ ნიჭიერს და გრძნობით სავსე ფურცლებს წარმოგვიდგენს ჩვენ ეს „გლახის ნაამბობი“. ღვთის სიტყვებში, მისი ერთობ-გადაჭარბებული სიწმინდე და გულკეთილობა რომ დაევიწყოთ, ბევრ ხელოვნების მარგალიტს შევეყრებით ხოლმე.“ (19, გვ.84) – შემდეგ, განაგრძობს – „ერთის სიტყვით, ძალათ თუ არ შევიკავეთ თავი, ამისთანა ჩინებული თვლების ამოწერა ას ასობით მოგვინდება.“ (19, გვ.85). ხოლო ამ წერილის ბოლო ნაწილში ავტორი განაგრძობს ამ მოთხრობის შესახებ საუბარს და წერს, რომ ილიას:

„კაცია ადამიანი“ რომ არ დაეწერა, „გლახის ნაამბობი“ ჩინებულ თხზულებათ ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია ადამიანის“ დამწერმა დაავიწყა.“ (19, გვ.86).

პროზაულ ნაწარმოებებს შორის, ეს ერთადერთი მოთხრობაა, რომელსაც ასე ხანგრძლივად და დიდხანს ამუშავებდა და აშლასწინებდა ილია, იგი მას მოუწია მთელი 14 წელი (1859–1873).

ამ ნარკვევის ნაწილის ბოლოს ჩვენ მოვიყვანთ ლ. მინაშვილის შემდეგ სიტყვებს:

„XIX საუკუნის ჩვენს ქართულ მწერლობაში პირველი მწერალი ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც პერსონაჟის მთელი სულიერი მდგომარეობა უშუალოდ მისი ყოფითი ვითარებიდან გამოიყვანა“ (გრ, კიკნაძე). ილიამ უჩვენა, რომ სოციალური გარემო ხელს უწყობს ადამიანში ამგვარი თუ იმგვარი ინტერესების გაბატონებას და საბოლოოდ მის ხასიათსაც განსაზღვრავს.“ (18, გვ.681).

I. 3. 2. კაცია-ადამიანი?!

„გლახის ნაამბობის“ შემდეგ, 1859 წელსვე, ილია ჭავჭავაძე იწყებს, „კაკოს“ ესკიზების მიხედვით, მეორე მოთხრობის, „კაცია-ადამიანი?!“-ს წერას. ამ მოთხრობის შესახებ პ. ინგოროყვა წერს:

„კაცია-ადამიანს“, – ამ ბრწყინვალე სატირულ ეპოპეას როგორც მხატვრული შესრულების მხრივ, ისე იმ ღრმა საზოგადოებრივ ინტერესით, რომელსაც წარმოადგენდა ეს ნაწარმოები თავის ეპოქისათვის, – ცენტრალური ადგილი უჭირავს ილიას პოეტურ მემკვიდრეობაში.“ (1, ტ.2, გვ.596).

ლ. მინაშვილი წერს, რომ: „კაცია-ადამიანი?!“ გამოძღვანებულია თავიდან ბოლომდე სატირული მიდგომა, რომელიც ძირითადად ირონიის გზით ხორციელდება.

ილიამ ამ მოთხრობაში გვიჩვენა, რომ გარეშე ყოველგვარი სისასტიკისა და მხეცური ინსტინქტების გავლივებისა, თავისი რაობით ბატონყმური ურთიერთობა თავისთავად არის დამღუპველი, რამდენადაც იგი აბატონებს უსაქმურობას, ადამიანს ადამიანის სახეს უკარგავს, ცხოველურ მდგომარეობამდე დაჰყავს.

ილია ბატონყმური ურთიერთობის შეფასებისას, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ხელმძღვანელობს ეროვნული თვალსაზრისით.....

ილიას პოზიცია ნათელია – მხოლოდ ბატონყმური სისტემის მოსპობის გზით, ჯანსაღ ეროვნულ ძალთა გაერთიანებაში, ადამიანისათვის წართმეული ადამიანური უფლებების დაბრუნებაში, სოციალურ ძალთა ურთიერთთანამშრომლობის, ერთობის მიღწევაში არის ქვეყნის ჭეშმარიტი ხსნის გზა.“ (18, გვ.683).

ამ მოთხრობის შესახებ გ. ჯიბლაძე წერს:

„მოთხრობა „კაცია-ადამიანი?“ ქართული კლასიკური რეალიზმის ერთი უმშვენიერესი ძეგლია, რომელიც ყველა კულტურული ერის ლიტერატურას დაამშვენებდა. თუ მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკულ რეალიზმს მამხილებელი მოტივები ორგანულად ჰქონდა დაკავშირებული განმანათლებლურ იდეებთან, ეს ყველაზე უკეთესად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, პირველ ყოვლისა, „კაცია-ადამიანი?!“ ჩანს.“ (12, ნაწ. II, გვ.61).

ქართული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი დავით გურამიშვილი (1705–1792) წერდა:

„ტყუილი ვთქვა, ჩემი თქმული შეიქმნების რა სავარგი?

მართალი ვთქვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!

კაცს მის მეტი არა აქვს-რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა ავი, კარგსა კარგი.

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარგო?
კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო?
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!

პირს-ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსავო.
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო;
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
მასზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ხორცილ დავიკარგო.

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.“ (28, გვ.78).

ილია ჭავჭავაძეც, სტუდენტობის დროიდან დაწყებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოურიდებლად ამხელდა ყოველივე იმ ნაკლს რასაც იგი ხედავდა და ამჩნევდა მაშინდელ საზოგადოებაში.

„კაცია-ადამიანი?!“ – ეს არის, რაც სათაურიდანვე ჩანს, გაკიცხვა, დაცინვა, ირონია იმ სოციალური წყობისა, რაც ბატონყმობამ განიცადა და საბოლოოდ დაქვეითებისა და დაცემის გზას დაადგა. ილიას დროს ბატონყმობა უკვე განადგურების პირას იყო მისული. ამ მოთხრობაში, ილიამ დაგვიხატა ცოცხალი და მხატვრული სერხებით მაშინდელი ცხოვრების უარყოფითი და უმსგავსო მხარეები. „კაცია-ადამიანი?!“ არის ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ძლიერი პოლიტიკური და სოციალური პამფლეტი. ამ თემას, „ბატონ-ყმობას“, ილია შემდგომში ხელახლა უბრუნდება და უფრო მკაფიოდ და ნათლად წარმოგვიდგენს გლეხსა და ბატონს შორის დამოკიდებულებას. ამ ნაწარმოებებით მწერალი ხალხს მოუწოდებდა, რომ საჭირო იყო, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა, საჭირო იყო გამოფხიზლება. მწერალი ხალხს შთააგონებდა, რომ საჭირო იყო ამ საზოგადოებრივ მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ამ საზოგადოებამ დაკარგა ნებისყოფა, ზნეობა, ადამიანობა და ის გადაიქცა „ზავს მოკიდებულ გუბედ“.

მოთხრობას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს, როგორც თვითონ ავტორი უწოდებს, „გონიერი ანდაზა“,

„მოყვარეს პირში უძრახე

მტერს პირს უკანაო.“ (1, ტ.2, გვ.124).

როგორც, ანდაზიდან ჩანს, ილია ამხელს, მის დროინდელ საზოგადოების მანკიერ მხარეს. აი რას წერს მწერალი მოთხრობის შესავალში:

„ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გეიჟას დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ.“ (1, ტ.2, გვ.124).

მოთხრობას ილია იწყებს თავად ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარისა და მისი კარ-მიდამოს აღწერით. ამ აღწერიდანვე ჩანს, თუ რას წარმოადგენს მოთხრობის მთავარი გმირი, ლუარსაბ თათქარიძე. ავტორის ირონია შეუბრალებელია და სასტიკი. მოუსმინოთ ავტორს:

„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და ამ ადგილის შუაგულსა – ორსართულიანი სახლი ქვეთკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ, მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხელა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმიანდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიხლოვეს, მოჩანდა ძველი ცალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუმული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, – თუნდ ორი წელიწადია, – ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰ-

კიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია—ბოძს დაუჭერია საცემლადო და ის კი იწვესო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიის—კარიდამ იწყება კალო, დიად მოზრდილი. მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდ-აწეული მარტო ფრთა-მოტეხილი ბატი თუ მინახავს...

შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიველწათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათ.“ (1, ტ.2, გვ.125).

ამ გარეგანი, თავად თათქარიძის ეზო-კარის აღწერის შემდეგ, მწერალი ირონიულად გვეუბნება:

„ეხლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავად თათქარიძესა.“

ავტორის გადმოცემით, იატაკი აგურის ყოფილა, ამოცვენილი და ორმოებიანი. „თუ, ფეხი შიგ ჩავივარდა, — წერს ილია დაცინვით, — ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თვითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მთარჩენს მოგრეხილს კისერსა, — და არც მოტეხილ ფეხისთვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადაურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდილო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მანც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქალაღი გაუკრავს. აი, ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.“ მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპელი მეჭორეც არა სჯობია...

იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი ვრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კენინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგამაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძებოდა. ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა, კბილებ-ჩაცვივნულ ბებერ დედა-კაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი.“ (1, ტ.2, გვ.127).

ჩვენ, თითქმის მთლიანად მოვიყვანეთ ილიას მიერ აღწერილი თათქარიძის სახლ-კარი. ამ ნაკვეთში უკვე იგრძნობა ახალგაზრდა მწერლის ლიტერატურუ-

ლი სიდიერე, ეს ღვარძლიანი მწვავე დაცინვა ისეა აწყობილი, ისეა სიტყვები დალაგებული, რომ მკითხველი გაცინებაში მოდის, თუ როგორ შესძლო ასე ახალგაზრდა დამწყებმა მწერალმა, ასეთი ჩინებული ენით, სიტყვათა წყობით, და ასე მხატვრულად გადმოეცა ეს აღწერა.

ილიას მიერ, ამ იუმორისტულ, კომიკურ დაცინვით თათქარიძის სახლ-კარის აღწერაში, ყურადღებას იპყრობს სიტყვები: „ეტყობა, რომ ქართველია.“ ამ ქართველობას, ავტორი არა ერთხელ იმეორებს შემდგომში, სხვა ნაწერებშიც. გ. ჯიბლაძე ამ სიტყვების შესახებ წერს:

„ავტორს ამით სურს ბრძოლა გამოუცხადოს საზოგადოებრივ მანკიერებას, მოთხრობას დააკისროს მამხილებელი ფუნქცია, როგორც სარკეში, ისე ჩაახედოს თავის თავში მკითხველი და ჩააფიქროს. ეს იქნება გამოფხიზლება, დასაწყისი იმის შეგნებისა, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება შეუძლებელია; დაღუპვის მომასწავებელია, გამოღვიძებას თან უნდა მოჰყვეს ერის ცოცხალი ძალების ამოქმედება განახლებისა და აღდგენისათვის.“ (12, ნაწ. II, გვ. 64).

ამ მოთხრობის მთავარი „გმირის“, ლუარსაბის სახლ-კარის აღწერის შემდეგ, ილია ისევ დაცინვით წერს: „არ გეგონოთ, მკითხველო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვინმეს ღარიბსა და მის-გამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავმინებებული, – არა, ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბევრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ეხლა უსულო ჩამოვთვალთ: ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-და-ათი დაღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, ყმებიდან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა, იმის ხელში, ვინც გამოყენება იცის, – კაი ლუკმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, მოვიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი ვითხარით.“ (1, ტ. 2, გვ. 127).

ი. ჭავჭავაძე, როგორც განმანათლებელი, გ. ჯიბლაძის თქმით, ამ ქართველობაში, გულისხმობდა საქართველოსა და ქართველთა მდგომარეობას, როგორც იყო XIX საუკუნის 60-იან წლებში, თერგდალეულობის დროს. ის უმოქმედობა, უდარდელობა და მარტო განცხრომა, რომელიც ერს მოსდგამდა ამ დროს, თერგდალეულთა თვალსაზრისით იყო მიზეზი ქართველი ხალხის ამ უბედურებისა.

„აქ, ამ პასუხში, ქართველის სინონიმია. რაკი ეს ქართველი (ე. ი. უმოქმედობა, უზრუნველობა, უდარდელობა, განცხრომა) ზის ლუარსაბ თათქარიძის

არსებაში, – მიზეზიც ეს არის, „კაი საბუთი“, როგორც ილია ამბობს, იმ სავალალო სურათისა, რომელიც ავტორმა ასე ცოცხლად დაგვიხატა.“ (12, ნაწ. II, გვ. 68).

რას წარმოადგენს თვითონ ლუარსაბი და მისი კნინა დარეჯანი? ილია აგვიწერს ირონიული, სასაცილო, მკაცრი მხატვრული ხერხებით მათ პიროვნებას, გარეგნულ სახეს და მათ შეხედულებებს საერთოდ ცხოვრებაზე, სწავლაზე, ყმების დამოკიდებულებაზე და სხვა. ამით ხაზს უსვამს იმას, რომ როგორც მათი გარეგანი შეხედულება, ასევე შინაგანიც და სულიერადაც ისინი არაფერს წარმოადგენენ და ილია მათ უწოდებს, ამ ცხოვრებაში მხოლოდ გვამებს.

ეს უსწავლელი, ყოვლად გაუნათლებელი „ადამიანი“, რომლის შეხედულებითაც „წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, – ეგ ხომ ქალის საქმეა;“ და „რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარ სმენ, რა კაცები არიან?“ ის მისტირის ძველ დროს, როდესაც მისი თქმით: „ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.“ (1, ტ. 2, გვ. 129).

ლუარსაბის ამ სატირულ, იუმორისტულ აღწერაში, ვითომდა მის პესიმიზმს, რომელიც მისტირის ძველ დროს, ავტორი ამით აკრიტიკებს თავის დროინდელ საზოგადოებას და ამ საზოგადოების ნაწილის უუნარობას, უმოქმედობას და მოღუნებას. ილია, ვითომდა ლუარსაბის სიბრაღულით, წერს:

„ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მოვა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს.“ (1, ტ. 2, გვ. 129).

ილიას მიერ ამ სიტყვებით გამოხატულ აზრს, გ. ჯიბლაძე შემდეგნაირად განმარტავს:

„ამ სიტყვებით ავტორმა მწვავე მათრახი გადაჰკრა თავისი თანამედროვე საზოგადოების ინდიფერენტის, პატრიოტული მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებაში

დადებითი პასეისტური აზრით სამარცხვინო ბოძზე გააკრა უმოქმედობა და კონტრასტს ღრმა აზრი მისცა.“ (12, ნაწ. II, გვ. 71).

მაინც, რას წარმოადგენდა ილიას დროინდელი საზოგადოება? რას აკეთებდა და მთელ დროს რაში ხარჯავდა? საზოგადოების ნაწილმა, რომელმაც დაპყრობა მომავლისადმი იმედი, მამულის სიყვარული, მთელ დროს განცხრომაში და ნებივრობაში ატარებდა. სწორედ, ასეთნაირად წარმოგვიდგინა ილიამ ამ მოთხრობაში, ამ საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, ლუარსაბისა და მისი „კნინა“ დარეჯანის სახით. მაინც, რა არის ლუარსაბისა და დარეჯანის საზრუნავი და როგორ ატარებენ დღის მთელ დროს? ავტორის გადმოცემით, ეს „ორი ტურფა გვრიტი“, მთელ ცხოვრებას ნებივრობაში ატარებდა; ლუარსაბი ტახტზე გორაობდა, სტუმრის მოსვლაც კი ეჯავრებოდა, ვინაიდან მაშინ „უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაცეცა“ და ეს კი „იყო ამის სიკვდილი“. ტანზე მხოლოდ „პერანგი და მისი ამხანავი“ ეცვა, ზამთარში კი ქურქს წამოისხამდა, ისიც მხოლოდ მაშინ თუ ვინმე დიდი კაცი, მაგალითად დიანბეგი ეწვეოდა.

როდესაც საქართველო რუსეთმა შეიერთა და მან თავისი წეს-წყობილება და მმართველობა შემოიღო ჩვენს ქვეყანაში, მთავრობის ისეთი უბრალო მოხელეც კი როგორც „დიანბეგი“ იყო, ითვლებოდა დიდ კაცად. ამიტომაც არის, რომ ილია სასაცილოდ, მხატვრული ხერხით გამოხატავს ამ მოხელის დიდ კაცობას.

„მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიანბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლათ, რომ რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიანბეგს დიდკაცად არ ავლებენ, თორემ უწინ უჰ! უჰ! რა დიდი ვინმე ბრძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინალამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დინბეგზედ არ გადაკეთდა: კინალამ „დიანბეგის სტუმრობა, ნუ გკონია ხუმრობად“ არ შეიცვალა, რომ დიანბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის – ეს ყოველ გლეხკაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევე კი თავადიშვილმაც იცოდა.“ (1, ტ. 2, გვ. 132).

რას წარმოადგენდა ლუარსაბის მეუღლე, „კნინა“, დარეჯანი? მწერლის თქმით, „ისინი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ“. კნინა თვალებს გააჭყეტდა თუ არა წამოხტებოდა, შუბლსაფენსა გადიკრავდა, „გადიცვამდა ჩითის კაბასა ხანდისხან სიჩქარისაგან უკულმაცა“, შიშველ ფეხებს შეიმოსავდა ჩუსტებითა და დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც ზოგ მოსამსახურეს მუჯღუგუნს ჩაჰკრავდა, ზოგს თავში ჩაუტყავუნებდა, ზოგს გაუწყრებოდა, გალანძღავდა – რაზედ და რისთვის? თვითონაც არ იცოდა. მთელი დღე ფეხზე ტრიალებდა. მერე დაღლილი და დაქანცული „შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე

რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო ჭერში ბუზებსა სთვლიდა“. (1, ტ.2, გვ.133).

ლუარსაბი კმაყოფილი იყო თავის „წითელ ლოყება მეუღლით“.

ავტორი გადმოგვცემს ლუარსაბისა და დარეჯანის საუბარს, რაც გვიჩვენებს მათ გონება შეზღუდულობას და ქარაფშუტობას. ამ საუბრისას აშკარად ჩანს ბატონ-ყმური დამოკიდებულება. დარეჯანის თქმით, მოსამსახურე უნდა დატუქსო, გამოლანძლო, გაუჯავრდე, დასწყევლო, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს. მისი გაგებით, „გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შეინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგევენებ, თუ აღრევე დატუქსული არა გყავს“. ლუარსაბიც, აღფრთოვანებული და გაოცებული დარეჯანის სიბრძნით, ეთანხმება მას. ილია დაცინვით წერს:

„- ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს, – მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა, – ოღონდაც გაქირ ვირსავით შედგება.... მართალია. შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება – წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა „სიზმარი“ რისთვის ჩააკერა ლაპარაკში.“ (1, ტ.2, გვ.134).

ცოტა ხნით გაჩუმდებიან და მერე ისევ იწყებენ საუბარს. ილიას ირონია შეუდარებელია.

მის მიერ აღწერილი მათი საუბარი, შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურაში დაცინვის ერთ-ერთ ნიმუშად. ამ საუბრიდანაც ჩანს, თუ რას წარმოადგენენ ამ მოთხრობის „გმირები“.

„ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

– დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?“ და ამის გამო ატყდება ღვაპი. ლუარსაბის თქმით, ორმოცი უნდა იყოს. დარეჯანის შეკითხვაზე, თუ საიდან იცის, რომ ორმოცი ბუზია, ის უპასუხებს:

– საიღამ? იქიღამ, რომ გონება მაქვს.

– განა მე კი არა მაქვს გონება?

– შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.“ ამის შემდეგ, დაითვლიან და აღმოჩნდება „ორმოც-და-ათზედაც მეტი.“

„– გამოიცნო?! – სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, – დიად, გამოიცნო, გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

– გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, – სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად, – სწორედ გაფრენილან.“ (1, ტ.2, გვ.135).

ლუარსაბს არ მოეწონა როდესაც მისმა კნინამ ტურფა დაუძახა, რადგან:

„– ჩემოდენა კაცს არ უხდება. შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

– მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის.“

ლუარსაბს არც ეს მოეწონა, მაგრამ მერე დაეთანხმა:

„– ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?

– პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილის-შვილი – სთქვა თავის გულში ლუარსაბმა, – მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია!..

როგორ იხერხა?!“ (1, ტ.2, გვ.136).

აი, ასეთ სჯა-ბაასში მიმდინარეობდა მათი საუბარი.

ლუარსაბმაც იცოდა ბიჭების „დაწიოკება“. ვინაიდან ამოდენა მამულს მოვლა და მზრუნველობა სჭირდებოდა, ამიტომ წამოხტებოდა ტახტიდან, – და ილია სასაცილოდ აკვიწერს ლუარსაბს:

„მაშინ უნდა გენახად, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის ქუდით თავზედ, წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულგადაღელილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა მოურავს დათოს.“ (1, ტ.2, გვ.137).

დათომ, კარგად იცოდა მისი ბატონის ხასიათი და რასაც წარმოადგენდა, იცოდა, რომ მას არა-რა გაეგებოდა მამულის მოვლისა და პასუხიც ყოველთვის მზად ჰქონდა. ლუარსაბიც კმაყოფილი იყო თავისი მოურავით, თუმცა, ზოგჯერ, ამოიჩემებდა რაიმეს და დათოს წაეჩხუბებოდა. მათი საუბარი ძირითადად შეეხებოდა სმა-ჭამას: დათომ ხორცის რა ნაჭერი ჩამოიტანა ბაზრიდან, მეზურემ მწვანილი და კიტრი მოიტანა თუ არა, და პასუხით კმაყოფილი ლუარსაბი სიამოვნებით იტყოდა: „– მაშ სახლი სავსე ყოფილა,“ და დათოს შეაქებდა:

„– ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულებასა.

ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი.“ (1, ტ.2, გვ.137).

ცოტა ხნის შემდეგ, ლუარსაბი ეკითხება მოურავს, თუ რამდენი ურემი გაისტუმრა და რომ გაიგებს ყანაში ათი ურემი ბეგრისა იყო, გაცხარდება, რატომ თხუთმეტი არ არისო.

„– ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუწვევებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან.“ 1, ტ.2, გვ.138. დათომ „ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიჟდა“, რადგან „თავის დღეში ათის ურემის მეტი არ შეჰბძია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა.“ (1, ტ.2, გვ.139).

ლუარსაბისა და მისი კნენას, დარეჯანის, გაგებით, ყმების „დაწიოკება“ ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცისათვის.“ ავტორი აღნიშნავს, რომ ბატონის გაგებით, ყმა, ყოველთვის შიშის ქვეშ უნდა გყავდეს. ამიტომ ლუარსაბს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„– გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, – იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, – ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ემინოდეს, თორემ, ღორის მკენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებო. მაშ შიში შეიქმს სიყვარულსაო.“ (1, ტ.2, გვ.139).

ამის შემდეგ, ისევ იმართება საუბარი ამ „ბედნიერ“ ცოლ-ქმარს შორის სხვადასხვა ზღაპრებსა და ჭორების შესახებ: ადამსა და ევაზე, და იმ ხეზე საიდანაც ხილი მოიპარეს, თავადთა წარმომავლობაზე, ხონთქარზე, ერეკლე მეფეზე და აი, ამგვარ საკითხებზე მიმდინარებდა მათი საუბარი. ასე გადიოდა დილა. სადილობის შემდეგ გამოიძინებდნენ და როდესაც სადამოხანს ეზოს ჩრდილი მოადგებოდა, დარეჯანი ეზოში „ბალან-გაცკენილ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიძული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა – და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა საცემდა გრილოშია.“ (1, ტ.2, გვ.142).

ილიას გადმოცემით, ლუარსაბ თათქარიძისა და დარეჯანის მთელი დღის განმავლობაში საქმიანობა გამოიხატებოდა შემდეგში:

დილას, „მამალი იყვილებდა თუ არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაჭყეტილები ჰქონდათ“ და ყმების „დაწიოკების“ შემდეგ, დაღლილები, „მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი.“ ჩაიზე „გონიერ ბაასის“ შემდეგ, „სადილობაც

მოვიდოდა, ერთი მაშინ მიძღებოდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა“, – და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმადღე მე“. ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელს და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიად, მიდნება! ზედაც ემჩნევა ჩემს სტომაქსა.“ გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: „დიად, – კიდევ იტყოდა, – ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერია“. სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი – და ესრეთ ტკბილად და აუძღვრელად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთისოფლისა“. (1, ტ.2, გვ.142).

სოფლებში, საღამოობით იწყებოდა სტუმრობა. ამ საღამო ხანის შესახებ ილია დაცინვით წერს:

„საღამო ხანი – როგორც მოგეხსენებათ – ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, – მეტად თუ ნაკლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა, ასე რომ ზოგიერთნი განათლებით გაჩარხულნი ეხლა ვიზიტობენ, თორემ უწინ კი საღამო ხანი დიდს პატივში იყო“. (1, ტ.2, გვ.143).

ერთხელ, ერთ საღამოს, „ღამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა“ ბაბალემ სტუმრობისას, „გრძელ კავების ქნევით და ცოტა ტუჩების პრანჭვითა“, სთხოვა კენინას, მეველეების მიერ დაჭერილი კამეჩი ბატონმა გამოაშვებინოსო. დარეჯანმა ჯერ იუარა, მაგრამ როგორც კი ბაბალემ „საჩუქრად ერთი გაბბა აბრეშუმი“ მიართვა, ამ ქრთამის მიღების შემდეგ, კენინამ გასძახა ლუარსაბს, რომ კამეჩი გამოაშვებინეო და თან დაატანა, „აი ერთი გაბბა აბრეშუმიც მოგართვა“. ლუარსაბმაც დაუყვირა მოურავს:

„ჩაღი და უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტკვერს ავაღენ.

სთქვა, ერთი კიდევ მაცდურად დააკრაჭუნა კბილები, და გამარჯვებულსავით ამაყად წავიდა ისევ ბოლთის საცემლად.“ (1, ტ.2, გვ.144).

როგორც ვხედავთ მწერალი, აქ, ამ ნაწყვეტში, გვეუბნება, რომ თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე დარეჯანი, ქრთამსაც იღებდნენ; და ამავე დროს გვიჩვენებს, რომ თავადი ტრაბახაც ყოფილა და მისი „კენინა“ კი ცდილობს, თავისი ქმრის არარაობა დაფაროს და სხვის თვალში განადიდოს. ამიტომ ილია დარეჯანს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს.“ და ლუარსაბს თითქოს, „ხმაც დიდი აქვს გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მახლი: იმას კაცად არავინ აგდებს.“ (1, ტ.2, გვ.145).

დარეჯანისა და ბაბაღეს საუბრიდან ირკვევა, რომ ეს ორი ოჯახი, ლუარსაბისა და მისი ძმისა, გადამტერებულნი ყოფილან; ამიტომაც დარეჯანი ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი შეიტყოს მისი რძლის ნაკლი და ბაბაღეს სთხოვს:

„– ნუ დამიძალავ, ჩემო ბაბაღე! ხომ იცი მე შენი მწყალობელი ვარ, თუ უთქვამს კიდევ რამე – მითხარი.“ (1, ტ.2, გვ.146).

ბაბაღეს საუბარში, ილია თითქოსდა უმნიშვნელოა, აღნიშნავს, რომ დარეჯანს მნიქვნელობა მოსწონს, და ამავე დროს წართმევა, სხვისი საკუთრების მითვისება, მისთვის არაფერია, მით უმეტეს თუ ის ყმისაა. როდესაც იგი გაიგებს, რომ ელისაბედს, მისი ყმის გოგოსათვის, მის მიერ შეგროვილი ფულით ჩითმერდინი შეუქმნია, წაურთმევია და თანაც თავზე შემოუხვევია, ის ამბობს:

„– უი! უი! დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით როგორღა ამბობს, რომ თავადის-შვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზედ შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა. კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო, აი, მეხი კი დაეცა. ისიც, ამას იქით, ჩვენში ერევა, თავადის-შვილის ცოლი ვარო!“ (1, ტ.2, გვ.145).

ილია, აქვე ერთ გარემოებას აღნიშნავს, დარეჯანს სცოდნია შაკიკისა და დასუნთქვილის ლოცვა, როდესაც გაიგებს, რომ ბაბაღეს შვილს შაკიკი აქვს და არაფერმა არ უშველა, მან დაუწერა ლოცვა და ურჩია, რომ ეს ქალღიღადი მტკივან მხარეს დააკრას ორი-სამი დღით და „თუ შაკიკია – გააქარწყლებს მაშინვე“. მწერალი დაცინვით შენიშნავს:

„ვერ უყურებთ, მკითხველო! კენინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? ესლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელი-

საბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძენის წიგნიც წაეკითხოს და ამიტომაც ღმერთი უწყდება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ ელისაბედი კი ფიცით იჭაჭებოდა, რომ ეგ ეგრეაო. მაინც არ დავიჯერებ: რძალი – როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი – რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა?“ (1, ტ.2, გვ.147).

ამ ოჯახებს ერთმანეთის მიმართ მხოლოდ მტრობა, შური, ქიშპობა და მლიქვნელობა აკავშირებთ. ეს ჩანს ელისაბედისა და დარეჯანის საუბრიდან. როდესაც ელისაბედი ესტუმრება დარეჯანს, ერთმანეთს ისე მიეგებებიან და მოიკითხავენ, რომ კაცს ეგონება ერთმანეთთან დიდი სიყვარული აკავშირებთ. მათი საუბრიდან ირკვევა, რომ ყმები, მოსამსახურეები და გლეხობა საშინელ დღეში იმყოფებიან. მათ წართმეული აქვთ ყოველგვარი ადამიანური უფლებები. პატარა მოსამსახურე ბიჭს ძაღლის ბედიც კი ენატრება. ხოლო მებატონეები კი, უზრუნველად ნებივრობენ და დღის მთელ დროს ლაყბობაში ატარებენ. მათი წარმოდგენით, თავადიშვილს არ ეკადრება ნამგალი ხელში დაიჭიროს და პაპანაქებაში დაისიცხოს. „ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს.“ დარეჯანის თქმით: „თავადს – თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს – გლეხობა.“

მოთხრობაში ილიამ XIX საუკუნის 60-იანი წლების მდგომარეობა დაგვიხატა. სწორედ ამ დროს რუსეთში განიხილებოდა საგლეხო რეფორმის საკითხი. საქართველოშიც გავრცელდა ხმები ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ილია ჭავჭავაძე, სატირული ფორმით გადმოგვცემს მებატონეების გამოხმაურებას ამ საგლეხო რეფორმის შესახებ.

როდესაც ელისაბედმა, ლუარსაბსა და დარეჯანს აცნობა, რომ:

„– იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერთერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ, რომ – აქ უფრო ხმა დაიდაბლა – თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო“, ამის გაგონებაზე:

„– ვაი შენს ლუარსაბსა! – წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა, – ეგ რა სთქვი, რა? აკი მოვახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა. მამა-ჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!“ (1, ტ.2, გვ.156).

მებატონეები არ იჯერებდნენ ბატონყმობის გაუქმების რეფორმას და თვლიდნენ, რომ ეს არის ჭორი და მოგონილი ამბავი. როდესაც დარეჯანი დააწყნარებს გაცხარებულ ლუარსაბს, რომ ეს ამბავი ტყუილია და მოგონილიაო, დამშვიდებული ლუარსაბი ამბობს:

„– ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბობებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს, თუნდ ეგ არ იყოს, რიღას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?“ (1, ტ.2, გვ.156). დარეჯანიც და ელისაბედიც უდასტურებენ:

„– რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონ-ყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! – სთქვა დარეჯანმაცა.

– უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო, სახარებაში სწერია: კეისრები ჩვენა ვართ, – დაუმატა ელისაბედმა.“ (1, ტ.2, გვ.157).

ელისაბედის წასვლის შემდეგ, ლუარსაბი დაუძახებს დათოს და ცდილობს დაარწმუნოს, რომ ყმების ჩამორთმევა ტყუილია, ვინც მაგას გულში გაიტარებს, რუსის ხელმწიფე იმას „დაარჩობს“, რომ ისინი ყმებს მამასავით პატრონობენ. დათო, ცბიერი და მლიქვნელია; და ისიც უდასტურებს:

„– „დიად, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, – ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუწყრება?..... თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.

– ოღონდაც რეგვენია, – ჩაერევა დარეჯანი, – მაშ ბატონი რისა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ ართმევს, ისევე თავისივე ბატონია.“ (1, ტ.2, გვ.158).

ლუარსაბი ყოველმხრივ ცდილობს დაუმტკიცოს და შეაგნებინოს მოურავს, რომ ბატონი და ყმა, ეს ღმერთის მიერ არის გაჩენილი და მისი შეცვლა შეუძლებელია.

„– დიდი და პატარაობა სად არ არის? – სთქვა ლუარსაბმა, – აი, თუნდ თითებზედ დაინდე: ერთი დიდია, მეორე პატარა, რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს, აბა, დაინდე!

– განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, – სთქვა ცბიერმა დათომ.“ (1, ტ.2, გვ.159).

ამ საუბრიდან ჩანს, რომ მეტატონები რაც არ უნდა დაუჯდეთ, ცდილობენ შეინარჩუნონ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისების უფლებები. მათ, თავიანთი თავის გარდა არაფერი არ აინტერესებთ. ეს სჩანს ლუარსაბის საუბარში და-თოსთან:

„– თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს – „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“, – სთქვა ლუარსაბმა, – ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანაც გავარდნია. არა, დათო?“ (1, ტ.2, გვ.160).

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ლუარსაბს პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა, მას სხვა არაფერი არ აინტერესებს და ამავე დროს მას არავითარი ადამიანური ღირსება არ გააჩნია.

ამ მოთხრობის V თავში ილია აღწერს ლუარსაბისა და დარეჯანის საუბარს, რომელიც ეხება ლუარსაბის ერთადერთ მიზანს, მთავარ საზრუნავს ცხოვრებაში, რომელიც მან შესანიშნავად იცის და რომელიც გვერდია მას აღტაცებასა და სიხარულს. ეს იყო სმა-ჭამა.

„– ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? – ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დრომ მოაღწია. – დარეჯანი! არ გეყურება, დედაკაციო! ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?“ (1, ტ.2, გვ.161).

დარეჯანიც ჩამოუთვლის: „სადილიდამ დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია,“ ზურგიელი, ღვინოები, ყველი, პური და „კაი გული.“ ლუარსაბიც აღტაცებული და კმაყოფილი წარმოსთქვამს: „მე ამაღამ როგორღაც მადანზედა ვარ.“ თითქოს-და სხვა დროს უმადობას უჩიოდა. ვახშმობის შემდეგ, გადაგორდებოდა ტახტზე და ხვალინდელ დღეზე იწყებდა ზრუნვას, „ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილ ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?“ ილია დაცინვით შენიშნავს: „მაშ! ოჯახის კაცი იყო.“ (1, ტ.2, გვ.161) და ამის შემდეგ იწყება სჯა-ბაასი არტალაზე და ჩიხირთმა სჯობია თუ ბოზბაში. ლუარსაბის მტკიცებით, „ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც თართი – თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ.“ (1, ტ.2, გვ.164). ამის გაგონებაზე დარეჯანი გაცხარდება და იწყება მტკიცება, რომელია მეფე: თართი თუ ორაგული და რომელი სჯობია. მწერალი დაცინვით გადმოგვცემს საუბარში გატარებულ დროს:

„ხშირად შუალამედინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ“, – იტყოდნენ დილით, „ხვალ რა ვჭამოთ“, – იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა.

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.“ (1, ტ.2, გვ.166).

ამ მოთხრობის V თავის ბოლოს, დასკვნით ნაწილში, ილია სასტიკად აკრიტიკებს და დასცინის, ლუარსაბის სახით, მის დროინდელ საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელთ, მათ, რომლებიც მხოლოდ თავის-თავში იყვნენ ჩაკეტილები და არარაობას წარმოადგენდნენ.

„– ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? – გეტყვოდათ გაოცებით ლუარსაბი: – წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მომიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, – რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, – ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

– დიალ, – მეტყვი შენ, – მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვები: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრული“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისთვის არა სცხვორობ: შენ სცხვორობ – რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ – რომ იცხვორო, ესე იგი ეცადო – რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული.“ (1, ტ.2, გვ.166).

ილია, დაწვრილებით მოგვითხრობს ლუარსაბისა და დარეჯანის შეუღლებას. რასაც უწოდებს „საოცრებას“ და მართლაც, ამ სასაცილო აღწერაში, ავტორი გადმოგვცემს ლუარსაბისა და მის გარშემო მომქმედ პირთა, ყოველგვარ ელემენტარულ ადამიანურ ზნეობისა და გონებრივ დაჩლუნგებას.

გ. ჯიბლაძის თქმით:

„ილია ჭავჭავაძემს მთელ მოთხრობაში გატარებული აქვს შემდეგი. ერთ-ერთი ძირითადი სენტეცია: არაგონივრული სინამდვილე (ბატონყმობა) წარმოშობს არაგონივრულ პიროვნებას (ლუარსაბი, დარეჯანი). ხოლო ამგვარ ადამიანთა ცხოვრებაში ყველაფერი გონებისა და ჭეშმარიტი აზრის საწინააღმდეგოდ ხდება. გამონაკლისს არც ისეთი სათუთი გრძნობა წარმოადგენს, როგორცაა სიყვარული, ადამიანების შეუღლება, მათი დაქორწინება. ლუარსაბისა და დარეჯანის შეუღლება. რაც ასე დაწვრილებით აღწერა ილია ჭავ-

ჭავჭავაძემ, საუკეთესოდ მოწმობს დეგრადირებული არისტოკრატიის სრულ მორალურსა და გონებრივ პაუპერიზმს. ავტორმა თავისი გმირების ჯვრისწერას „საოცარი“ უწოდა და იგი მართალი იყო, ვინაიდან ელემენტარული ადამიანური მორალის თვალსაზრისით მასში ნამდვილად ბევრია საოცრებანი.“ (12, ნაწ. II, გვ. 107).

ოცი წლის ლუარსაბს მოუნდომებია ცოლის შერთვა. ქალი, „კაი გვარის-შვილიც“, კარგი შეხედულების, „მზეთუნახავიცა“ და მდიდარიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვინაიდან სოფელში ასეთი ქალი „ვერსად ვერა ჰპოვა“, ამიტომ გადაწყვიტა: „შეიკეროს პტყელის ბუზმენტებით ჩოხა, ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალგარი, ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაქანებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო“. (1, ტ. 2, გვ. 167).

მაგრამ, ქალაქში წასვლა მას აღარ დასჭირდა, რადგან მან გაიგო, რომ აქვე თავად გძელაძეს მზეთუნახავი გასათხოვარი ქალი ყოლია და თანაც მზითვად „ორასი თუმანი თეთრიც ნაღდად აკერია. აუფართხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე-მუდამ საამურად უღიზინებდა, მაგრამ არ იცოდა – როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღმერთმა და ერთს დღეს მაჭანკალიც გაუტყვრა.“ (1, ტ. 2, გვ. 167).

ამ მაჭანკალისთვის თავად გძელაძეს, ხუთი თუმანი ბე მიუცია და ლუარსაბთან საქმის გარიგების შემდეგ თხუთმეტიც შეპირებია. ილია ჭავჭავაძეს ეს მაჭანკალი, „სუტ-კნეინა“ ხორეშანი, მოთხრობაში გამოყვანილი ჰყავს, როგორც გაიძვერა, მოხერხებული პიროვნება, რომელიც არ ერიდება თავის დამცირებასაც და ტყუილების თქმასაც. ის ყოველგვარი ხერხით ცდილობს გძელაძის საქმის ბოლომდე მიყვანას და ამავე დროს ლუარსაბსაც რაიმე დასცინცლოს. ილია ასე ახსნიათებს მას:

„მაჭანკალი, გძელაძისაგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი, რომელიც მას აქეთ, რაც ქმარი მოჰკვდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას „სუტ-კნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა. ჩვენც ვერვ დავუძახოთ.

ღიდ ენამეტყველების სახელი ჰქონდა გავარდნილი თავადიშვილებში ამ სუტ-კნეინასა.

ამისთანა გამოცდილი შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა დედამიწის ზურგზედა. ამიტომაც ბლომად იღებდა ფეხის-ქირასა, მაგრამ ეს იყო კარგი, რომ რაკი იკისრებდა საქმეს, ბოლოსაც მოუღებდა.“ (1, ტ.2, გვ.167).

მაჭანკალი, ისე მოაჩვენებს ლუარსაბს თავს, რომ თითქოს „ჩემ თავად მოვედიო“. ვინაიდან მისი დედის დიდი მეგობარი იყო და მასზე გული შესტკიოდა. ლუარსაბთან საუბრის დროს ტყუილს-ტყუილზე იგონებს და ბოლოს მოახსენებს, რომ ერთ ულამაზეს ქალს ის დაუნახავს და მაშინვე „აუნთია ცეცხლი ამ უბელურის ქალის გულშია. უბელურს ვამბობ იმიტომ, რომ იქნება თქვენ იმაზედ არც კი ჰფიქრობთ, ის კი იქა ჰდნება...“

– როგორი ყარამანიც შენა ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. სწორედ ტარიელ და ნესტან-დარეჯანი იქნებით, ორივე ერთად რომ შეგყაროთ. არც გვარი და შთამომავლობა აქვს ცუდი.“ და თანაც, – „ორასი თუმანი ექნება... სულ ბაჯაღლო ოქრო; შინა აქვს, პარკში შეკრული.“ (1, ტ.2, გვ.171). ბოლოს და ბოლოს მოხერხებულმა სუტ-კნეინამ ყველაფერი ისე მოახერხა, როგორც მას უნდოდა. ლუარსაბი შეპირდა, თუ ის ამ საქმეს მოახერხებდა, „რაც შემძლება, ჩემ კისერზედ იყოს. მადლის გადახდა ჩვენც ვიცით.“ (1, ტ.2, გვ.173). ვინაიდან მაჭანკალმა იცოდა, რომ მოსე გძელაძის მახინჯ ქალს, რომ ნახავდა ლუარსაბი, მისგან ფულს ვერ ეღირსებოდა, ამიტომ მას ოცი თუმნის ხელწერილი გამოართვა.

გ. ჯიბლაძე წერს:

„მთელი დიალოგი ლუარსაბისა სუტ-კნეინასთან დიდი ოსტატობით არის დაწერილი, კიდევ უფრო მკვეთრად ავლენს მოქმედ პირთა ხასიათებს, ავტორიც უთუოდ გრძნობდა, რომ ლუარსაბის საქორწინო თავგადასავალი მოთხრობაში კარგად გამოვიდა, სახასიათო, ყოფა-ცხოვრებით სტილოში გადაიზარდა.“ (12, ნაწ. II, გვ.110).

მწერალი გადმოგვცემს, რომ ამის შემდეგ ლუარსაბს სულ ის ქალი და ორას თუმნიანი პარკი ელანდებოდა, „ერთს ლაზათიანად გაიზმორებდა და ამას იტყოდა მსუნავსავით ტუჩების ლოკვითა: „კალმით ნახატი ქალი, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო და იქნება მეტიცო... ჰა! რას იტყვი ლუარსაბ, ურიგო არ იქნება, განა? ამაზედ არის ნათქვამი: „ბედი მომეცი და სანახევზედ გადამაგდო!“ (1, ტ.2, გვ.176).

მაჭანკალი, ხორეშანი, კი მოსე გძელაძეს მოახსენებს, რომ ვითომ ლუარსაბს შეუტყვია, რომ ქალი მახინჯია და არ ირთავს. დიდი განსჯის შემდეგ

შეთანხმდებიან, რომ მოსე დაუმატებდა ფულს, ხოლო, ხორეშანი კი ნიშნის მომტანად ლუარსაბის ძმას გამოაგზავნიდა და მას კი სხვა ქალს აჩვენებდნენ.

ორი კვირის შემდეგ, ლუარსაბმა „კარგი ნიშნით თავისი უფროსი ძმა გაისტუმრა.“ და თან „დააბარა, რომ ფულზედ კარგად მოილაპარაკოს, როდის ჩააბარებენ, და მერე ქალი კარგად გასინჯოს.“ ნიშნობაზე სტუმრები არ ჰყავდათ, ვინაიდან მოსემ წინასწარ წერილი გაუგზავნა ლუარსაბს, სადაც მოსე სთხოვდა, რომ – „ნურავის შეატყობინებთო,“ ავადმყოფობის გამო, სტუმრების თავი არ ჰქონდა და ქორწილს კი დიდს გადაუხდიდა. ილია, წერილის შესახებ წერს: „აი, ის წიგნი ნამდვილი თავის ღირსებით და შეცდომებით.“ ამ წერილის წაკითხვისას, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ რამდენად უეცი და უწინგურია თვით „ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანისძე გძელაძე.“ მოსემ, თავისი ქალიშვილის მაგივრად „შშვენიერი გოგო მორთეს და დავითს ისე აჩვენეს.“ ილია წერს, რომ:

„დავითი გაგიჟდა – რომ დაინახა და გულში არ იყო რომ შურმაც არ გაუარა, ნამეტნავად თავისი მჭლე ცოლი რომ მოაგონდა.“ (1, ტ.2, გვ.182).

მოსემ და დავითმა ქორწილის დღე დანიშნეს და მოილაპარაკეს, რომ სიძე საღამოს უნდა მოსულიყო და იმავე ღამესვე ჯვარი უნდა დაეწერად. გ. ჯიბლაძე წერს:

„როგორც კი დავითი გაისტუმრა, ცბიერი მოსე სხვა საზრუნავსაც შეუდგა – გადაწყვიტა სუტ-კნენინასთვის ხრიკი მოედო, რომ იმაზე მეტი ფული აღარ მიეცა, რაც უკვე უწყალობა. გაუტანლობა, სიცრუე, პირმოთნობა, ერთმანეთის მოტყუება, პირობის დარღვევა – ეს წესად ქცეულა მებატონეთა შორის და ბრწყინვალე თავადად წოდებული მოსე გძელაძეც ამ უკანონო წესს არაჩვეულებრივი მოხერხებით იცავს.“ (12, ნაწ. II, გვ.115).

მოსე, სუტ-კნენინას წაართმევს მიცემულ ათ თუმანსაც, ლუარსაბის მიერ გაცემულ თამასუქსაც და შემდეგ, გომურშიდაც კი გამოკეტავს, რომ ხელი არ შეუშალოს ქორწილს.

ნიშნობიდან დაბრუნებული დავითი ცოლსა და ძმას ეტყვის:

– „მზეთუნახავს რომ იტყვიან, ის არის,... მე იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავს.“

რა თქმა უნდა ლუარსაბს გაუხარდა, ხოლო ელისაბედს ეწყინა, „ჩემზედ უკეთესი იქნებო.“ ხოლო, როდესაც დავითმა „მურით დაუმატა: – მე რომ პატარა კიდევ მომეცადნა, სხვა რიგად წავიდოდა ჩემი საქმე“-ო, გაბრაზებულმა, გულღვარძლიანმა ელისაბედმა ქმარს შეუტია:

– „რა? შენ შეირთავდი თუ?... უი შენ თვალებს! შენთვის მეც არ ვემეტებოდი ჩემს ბელსა. მამაჩემი განა რომ უარზედ იდგა შენისთანები მოხლოლობდნენ!

– უარზედ იდგა, მე ვიცი, რუსთ ხელმწიფის შვილს მიგცემდა. იმისიც მაღლობელი იყავ, რომ მე გაგბრეყვი.“

ესე სიტყვა-სიტყვაზედ შეჰყენენ და ერთი კაი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდათ, ასე რომ მოგეწონებოდათ. ელისაბედს იმ დღითვე შური აეგსო გული და შეიძულა ჯერ თვალით არ ნახული რძალი.

„მალე ჩემი მტერი დაჰქნეს, მალე მე ის დავაჰქნო, – ამბობდა გულში ელისაბედი, – ამ სახლში ჩემზედ უკეთესი და ჩემზედ უფროსი არავინ არ უნდა იყოს. ჩემი ქმარი უნდა მაყვედრიდეს იმის სილამაზეს?!“ უი, უწინამც დღე გაჰქრობია. ასეთ ეკალს გავუყრი თვალში, რომ დღენი ვაწყველინო!“

ელისაბედი ქორწილში არ წავიდა.“ (1, ტ.2, გვ.189).

ქორწილის დღეს, ჯერის წერის დროს, გამომჟღავნდება მოსეს გაიძვერობა და ატყდება აურ-ზაური. მოსე აქაც გამონახავს გამოსავალს, დავითს ცალკე გამოიხმობს და „ხმადაბლა“ ეტყვის:

– „ეს ხუთი თუმანი, დაჩუმიდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ? დავითი დარბილდა.“

იმართება მათს შორის ვაჭრობა და საბოლოოდ ათ თუმანზედ შეთანხმდებიან. ხელი ერთმანეთს ჩამოართვეს და ლუარსაბს ძალით დასწერეს ჯვარი. „მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი მისცა, იმის მაგიერ ის თამასუქი დაუბრუნა, სუტ-კენინას რომ წაართო.“ ლურსაბიც დაემორჩილა ბედის წერას; – „შუბლზედ ეგ მიწერიაო,“ და წამოიყვანა შინ დარეჯანი.

„ელისაბედი სიხარულით აღარ იყო, რომ ლუარსაბმა მზეთუნახავის მაგიერ გონჯი ცოლი მოიყვანა. „ჰი, ვენაცვალე! – ჯერ ჩემზედ უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის ნიშნი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!“ ბოლოს ხომ – როგორც მოგეხსენებათ – ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ.“ (1, ტ.2, გვ.192).

ბოლოს, ლუარსაბსა და დარეჯანს, ერთმანეთი შეუყვარდათ კიდევ და ცხოვრებით კმაყოფილნი იყვნენ.

ილია ჭავჭავაძე, ლუარსაბისა და დარეჯანის სახით, ახასიათებს, ქართველი კაცის ბედთან შერიგებას, XIX საუკუნის 60-იან წლებში. ქართველი საზოგადოების მომავლისადმი უიმედო განწყობილებას და ამავე დროს, მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ მომავლის საკეთილდღეოდ.

„ფერი ფერსაო, მაღლი ღმერთსაო“ – ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად? კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისათვის გაიხეთქს თავს და არც მეორისათვის დაიწყებს ბრძოლასა, – და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად აღიღებენ; კმაყოფილება კიდევ – ვიღაცამ სთქვა – ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვგლობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დაწვრთვულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მამაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმაღლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მაღლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა, „მჯობს მჯობი არ დაეღევაო“, – ნათქვამია.“ (1, ტ.2, გვ.192).

ილია, დაცინვით წერს, რომ:

„ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ „მჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ისინი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დავა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა, მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულშია: შვილი არა ჰყვანდათ. აი, ლუარსაბი ორმოცის წლისა და დარეჯანი ორმოც-და-ერთისა შესრულდა, რომ ღმერთმა მეძკვიდრე არ უბოძათ. ბევრჯერ გადაფურცლა კენიანამ კარაბადინი, ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დააღვებინა, მაგრამ ვერა ეშველათ-რა. „ტყუილად თავს რად იხეთქენ, – ამბობდა ხოლმე ამათზედ ღვარძლიანი ელისაბედი, – ტყუილად რათ იხეთქენ? სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩააბულბულებდა ხოლმე და კუდიანობდა – ეგ იმან ჩასცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა.“

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი იმედს არა ჰკარგავდნენ.“ (1, ტ.2, გვ.193).

ერთხელ შეიტყვეს, რომ ქალაქში ყოფილა მკითხავი, რომელსაც შეეძლო თურმე დაედგინა უშვილობის მიზეზი და „თუმცა შვილოსნობის დრო გადასვლოდათ,“ მაინც „ქალაქისკენ კაცი აფრინეს, თან გაატანეს ერთი კარგი ბაღდადი, რომელზედაც – როგორც მოგეხსენებათ – უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თითონ ვერ მივა, და რომელიც, რასაკვირველია, მკითხავს დარჩება ხოლმე.“ სამი დღის შემდეგ ბიჭმა პასუხი ჩამოუტანა, რომ მათზე თელეთის ხატი ყოფილა გამწყრალი.

ზარმაც ლუარსაბს, ასე შორს წასვლა მანდამინც არ მოეწონა, მაგრამ რას იზამდა, „ალბად ნება ღვთისა ეგ არის“-ო, და ერთს დღეს თელეთის გზას დაადგნენ. ურემში ისხდნენ დარეჯანი და „მისი მოახლე ლამაზისეული,“ ხოლო, „წითელს ულაც ცხენზედ“ ისხდნენ ლუარსაბი და ერთი ბიჭი. ილია, დამცინავად აღწერს ლუარსაბს:

„მეომარის თვალადობა ჰქონდა ამ-ჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბაბის ტომარა, ისე იღო ცხენზედა. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან წელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა, შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მალაყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში, წვივებზედ პრტყელი ჩალსაკრავი, გრძელფორჩებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი – კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეეკეცილი – რადგანაცა ცხელოდა, – ერთის სიტყვით, ხმლის პირი, ზედ-წამოცმულ ვაშლით, რომ ამოდებული სჭეროდა, თავიდან ფეხამდინ ორშაბათის ყვინი იქნებოდა.“ (1, ტ.2, გვ.194).

თელეთში ლოცვის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, როდესაც ქალაქს შემოუარეს და კახეთის გზას დაადგნენ, მხოლოდ ეხლა შეამჩნია კნინა დარეჯანმა ქალაქი. ურემში მძინარე ლუარსაბი გამოაღვიძა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

– „ლუარსაბ, ერთი შეხედე, რა ამბავია. ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა, ღმერთო! სულ ქვითკირის შენობა უნდა იყოს.“

კნინას ქალაქი ჯერ არ ენახა.“ (1, ტ.2, გვ.195).

ლუარსაბი ქალაქში ნამყოფი ყოფილა და იწყებენ ქალაქის შესახებ საუბარს. ილია, აქაც სასაცილოდ აღწერს მათ დიალოგს. სანამ ქალაქში შევიდოდნენ, ლუარსაბს სამი ისეთი კენჭი ჩააყლაპეს თურმე, რომ ძლივს მოუნელებია. ხალხში გავრცელებულ ამ ჩვეულების შესახებ ილია შენიშნავს, რომ:

„ჩვენში ბევრსა სწამს, რომ, თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩააყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთ დროს.“ (1, ტ.2, გვ.195).

ლუარსაბი უყვება განცვიფრებულ დარეჯანს, ქალაქში ნანახსა, თუ მოგონილს სხვადასხვა ამბებს და ბოლოს, განცვიფრებულმა, რომ ვერაფერი მოიგონა, წარმოსთქვა: „რა-რივად ჩამოცხა! უჰ!“ ილია წერს:

„რომ არ იცოდა რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა, სიტყვა გადაასხვაფერა. მოიხნადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და სახიდან იმითი ჩამოიწმინდა

ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წვეკაში ისევ სვრინვა ამოუშვა, მერე ასეთი, რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა.“ (1, ტ.2, გვ.197).

გავიდა რამოდენიმე ხანი, მაგრამ ჩვენს ცოლ-ქმარს შვილი მაინც არ უჩნდებოდათ. დარეჯანი იმელს მაინც არ კარგავდა. ლუარსაბი, კი დარდობდა და ავ გუნებაზედ იყო. „ეგ არაფერი, რომ შვილი არ უჩნდებოდა და სატმა მოატყუე: დაიბარა და არ მისცა კი შვილი; ამის ჯავრი ის იყო, რომ დავითს, ამის ძმასა, უთქვამს: „ის ოხერი, როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულზედ ვინავარდო.“ ესა ჰკლავდა ლუარსაბსა, თორემ შვილის უყოლობა ამისთვის კიდევ დიდი უბედურება არ იყო.“ (1, ტ.2, გვ.197). ლუარსაბის ფიქრი და გონება მხოლოდ შვილის გაჩენისკენ იყო მიმართული „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? – ამბობდა თავის-თავად, – შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულზედ გავასარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო, თორემ ეს ჯაბრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინადვლიდი, რომ შვილი არ მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავასარო, დავითი!“ (1, ტ.2, გვ.198).

როგორც ვხედავთ, ილია ლუარსაბის სახით გვიჩვენებს ისეთ პიროვნებას, რომელსაც ყოველგვარი კეთილშობილური გრძნობები დაკარგული აქვს. შეიძლება ითქვას, რომ დაცინვის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს, ილიას მიერ აღწერილი ლუარსაბის ხვეწნა-მუდარა, როდესაც იგი „დაღონებული და მწუხარე ხმით“ ეხვეწება დარეჯანს, შვილი გაუჩინოს:

– „ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავასაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმი, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰქმობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰქმობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდა მამკალ, შენი ჭირიმი, შენი დედაკაცობის ჭირიმი! თუ გიყვარდე, აი!“ (1, ტ.2, გვ.198).

დარეჯანიც დაიმედებს, რომ მართლა შობავს, თითქოს და „მართლა ამის ხელში იყოს შვილის შობა“, რადგან მას სიზმარში უნახავს ვიღაც წვერიანი კაცი, რომელმაც რაღაც წამალი დააღვეინა და უთხრა: „გამრავლდი, ვითარცა იაკობი!“ თუმცა დარეჯანმა და ლუარსაბმა არ იცოდნენ ვინ იყო იაკობი, გახარებულმა ლუარსაბმა, რომ შვილს შობავდა დარეჯანი, ამ საუბრის შემდეგ, ტახტზე“ გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მაღლიანი თავისებური სვრინვა ამოუშვა.“ (1, ტ.2, გვ.200).

ლუარსაბმა დაძინებით კი დაიძინა, მაგრამ ვაი ასეთ ძილს. ძილში საშინელი სიზმარი ნახა.

ილია ვრცლად და დაწვრილებით გვიყვება ამ სიზმარს. ავტორი ცდილობს, რომ გვიჩვენოს, თუ რამდენად იყო გამჟღადარი მის დროინდელ საზოგადოებაში, მორალისა და ზნეობის გახრწნილება, და ამავე დროს ცრუმორწმუნეობა, რომლის შემწეობითაც თითქოს ყველაფრის მიღწევა იყო შესაძლებელი.

გ. ჯიბლაძის თქმით:

„ეს მარტოოდენ კრიტიკა კი არაა, ბატონყმური ინსტიტუტის შინაგანი სი-
დამძლის გამოაშკარავება და მისი დაგმობაა.“ (12, ნაწ. II, გვ. 124).

ილია ლუარსაბის სიზმარს იუმორით აღწერს და მის სასაცილო მდგომარეობას უფრო ამძაფრებს და აღრმავეს.

სიზმარში, ლუარსაბი ხედავს, რომ თითქოს ღმერთმა „გული მოიბრუნა ლუარსაბისკენ“ და დარეჯანი უკვე რვა თვეა რაც ფეხმძიმედ არის. ლუარსაბი გახარებულია, რომ ამის გამო „დავითი და იმისი ელისაბედი ჯვარით აღარ არიან.“ მაგრამ, ლუარსაბი ავად ხდება და კვდება. ისე კვდება „რომ ყველაფერსა გრძნობს“ და ესმის. დარეჯანი ტირის, ხოლო დავითი და ელისაბედი „იცი-
ნინან, ჰსტიან და ლუარსაბის ავეჯეულობა თავის სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს, მაგრამ იცის რომ მკვდარია და იმიტომ არა დგება. – „ხვალ მამულებს ჩავიბარებო“, იძახის ხმამაღლა დავითი. ლუარსაბი იწურება ამ სიტყვებზედა, უნდა სთქვას – რომ „ნუ მისცემთო, დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებათ“, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. საშინელ მდგომარეობაშია საწყალი, ცოცხალ-მკვდარი ლუარსაბი; რა ჰქნას აბა მკვდარმა? – ვაი, რა დროს მოკვდი!.. როცა ღმერთმა შვილის მოცემა ინება, მაშინ! – ამბობს სიზმარში თავის-თავად ლუარსაბი, – ახ, ნეტავი ეხლა კი გავცოცხლდე და!..“ (1, ტ. 2, გვ. 201).

კუბოში ჩაასვენეს. „მღვდლებიც მოვიდნენ, ასწიეს კუბო და წაიღეს გალობითა და ტირილითა. ამ გალობაში და ტირილში დავითისა და იმის ცოლის მხიარული სიმღერა ესმის ლუარსაბსა.“ აი, მიწაშიც ჩაასვენეს. დავითი დგას საფლავის პირას და ეუბნება დაიანბეს: „ხვალ მამულები უნდა ჩავიბარო.“ ელისაბედი კი გაბრაზებული შეეპასუხება: „რას ჰბოდავ?“ დღესვე ჩაიბარეო. ეს ყველაფერი ესმის საწყალ ლუარსაბს, მაგრამ რა ჰქნას, ის ხომ მკვდარია. მიწაც მიაყარეს. გული შეუღონდა და სულიც ეხუთება ლუარსაბს, „ჰაერიც დაეხმო“, „მაგრამ ვინ არის მეშველი?“ ილია, ლუარსაბის მდგომარეობას უფრო ამძაფრებს. ლუარსაბს ესმის, რომ ხალხის ხმაური თანდათან შეწყდა. ყველამ მიატოვა საფლავში, დარეჯანმაც კი. მისმა საყვარელმა დარეჯანმა, „მასთან არ დაიმარხა“, მიატოვა და სხვებთან ერთად წავიდა. ლუარსაბმა

ტირილი დაიწყო. „ეგ იმედი მქონდა იმისაგან!“ „ღამაცა, შენც საიქიოს არ მოხვალ, იქ მოგაგონებ.“ სთქვა თავის გულში საწყალმა ლუარსაბმა. ამ დროს, ზემოდან ხმაურს გაიგონებს. თურმე, დავითი და ელისაბედი, ჯერ კიდევ სველ საფლავზე ფერხულს უვლიან და „ჩაძაღლი განა?“ – უყვირიან ზემოდან.“ ილიას, ლუარსაბის შემდგომი მდგომარეობა ისე სასაცილოდ, ლიტერატურული ხერხებით, აქვს აღწერილი და აწყობილი თვითიველი სიტყვა და წინადადება, რომ მკითხველი, მისი წაკითხვის დროს ალტაცებაში მოდის. ჩვენ უცვლელად მოგვყავს ილიას მიერ ეს აღწერა.

„ეხლა კი გული აენტო; ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდან ამოსულიყო, ამათვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა. ამ ტრიალში და ვაივაგლანში რომ არის, ერთი ისტუნა, მითამ საფლავიდან ამოხტომა უნდა, და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრავგანი მოიღო. მაშინ კი თვალები დააჭყიტა, ჯერ კიდევ სიზმრის შიშის-ზარი ისევ უბზუოდა თავში, ასე რომ სულელსავით გაშტერებული და ფილაქვანზედ გაშოტილი პირლია დარჩა. სასაცილო რამ იყო. ისე დაიკარგა, ისე გაფითრებული და ცივ ოფლში იყო, რომ დიდხანს გონზედ ვედარ მოვიდა და არამც თუ წამოდგომა მოაგონდა, არც კი გაინძრა. ისეთი შეშინებული იყო, რომ სიკვდილის ფერი ელო ოფლიან სახეზედა. ამის დაცემაზედ ოთანის, რასაკვირველია, შეინძრა. დარეჯანს თურმე – იქით, მეორე ტახტზედ – ჩასძინებოდა და ოთანის ზანზარზედ ამასაც გამოევიდა. ამან, – რადგანაც ჯერ არ იცოდა ლუარსაბი რა ყოფაშია, – ჯერ წამოიძახა, – ლუარსაბ! გაიგე? მიწისძვრა იყო.

ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და ხმა არ გასცა, დარეჯანი წამოჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ლუარსაბი გაფითრებული აგურებზედ უძრავად ჰგდია და სულელსავით დაუჭყეტია უგუნური თვალები. დარეჯანს ფერი ეცვალა.

– უი შენს დარეჯანსა! ეს რა დაგმართვია, შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი!

ლუარსაბმა ვერც ეს დარეჯანის ნათქვამი გაიგო. სიზმარმა ისეთი თავბრუ დაასხა, რომ შიში ჯერ გამონელებული არა ჰქონდა და ეს სიზმრის გაგრძელება ეგონა, იმიტომ ჯერ არც-არა ესმოდა-რა და ვერცა-რასა ჰხედავდა, თუმცა თვალები კი ეჭყიტა. დიღ, ჯერ ისევ სიზმარი ეგონა, მხოლოდ ის აოცებდა, რომ „აკი დამმარხესო და მგონი მე ჩემს ოთანში ვარ ეხლაო. ეს როგორ მოხდაო?

ამის ფიქრში დაიფანტა ამისი გონება. ამიტომაც პასუხის მაგიერად თავისი შინაგანად თვალები გაიხსავით შეაჭყიტა დარეჯანსა, თითქო ჰხედავს კიდევცაო და არც იჯერებსო, რომ იმის წინ დარეჯანია.“ (1, ტ.2, გვ.203).

თავი ისევ სიზმარში ეგონა და „ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო.“

„ბევრს რაღაცეების ბოდვას მოჰყვა ჩვენი ლუარსაბი. დარეჯანი კი გაფითრებული ყურს უგდებდა, არ ესმოდა რას ჰლაპარაკობს.“ (1, ტ.2, გვ.204).

დარეჯანმა იფიქრა, „რომ ლუარსაბისათვის ეშმაკს ძილში თავში ჩაუკრამს და ჭკვიდამ შეუშლია.“ და „თავმოხდილი და გაწეწილი,“ თავში ცემით, ყვირილით: — „მიშველეთ, მიშველეთ!“ გავარდა გარეთ. ამასობაში ლუარსაბი, როგორც იქნა გამოერკვა და გამოფხიზლდა. „ეხლა ამას ეგონა, რომ ცოლი გაუგეჟდა და დაიწყო საწყალობა ტირილი: გულჩვილი იყო.“ ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ორივე სრულ ჭკუაზე იყვნენ და ერთმანეთს აღერსით უჩქმბიტეს.

ლუარსაბმა, როდესაც უამბო სიზმარი, დარეჯანს გაუხარდა. მან „ისე ახსნა სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვის უკან შვილი უნდა ეყოლოს.“ რადგან სიზმარში ორივე ტირილდნენ, „ტირილი კიდევ სიხარულის ნიშანია. მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება, თუ არ შვილის ყოლა? მამ შვილი გვეყოლება და ჩვენი სიხარულიც ისე აგვიხდება.“ ლუარსაბსაც გაეხარდა და წამოიძახა:

— „მართლა, ტირილი ხომ სიხარულის ნიშანია. უთუოდ ვერე აგვიხდება. აი, ვენაცვალე სულში იმ სიზმარსა! თვალი არ დაუდგება დავითსა! აბა, ფერხულს მაშინ ჩამოუვლის, აი! ღმერთო, შენ იცი ეხლა.“ (1, ტ.2, გვ.207).

ამ დროს მოახლე გოგო შემოვარდა ოთახში და მოახსენა, რომ მეზობელთან ერთი „აქიმი ღედაკაცი მოუყვანიათ“, რომელსაც მკითხნობაც სცოდნიაო და „რაც კაცს გულში აქვს და შუბლზედ აწერია, ყველაფერს თურმე მაშინვე შეიტყობსო,“ შემოვიყვანო? ცოლ-ქმარს გაუხარდათ. სანამ მოვიდოდა მკითხავი, მან გზაში, სულელი გოგოსაგან, ყველაფერი შეიტყო ამ ოჯახის შესახებ.

გ. ჯიბლაძე ამ მკითხავის შესახებ წერს:

„ილიამ „ოსტატურად გამოქნილი და ცბიერი მკითხავის“ მეტად კოლორიტული სახე დაგვიხატა. ეს ერთი იმ ადამიანთაგანია უთვალავ გაიძვერათაგან რომელსაც არავითარი ცოდნა არა აქვს, მაგრამ უმეცართა და ცრუმორწმუნეთა შორის ადვილად ახერხებს თავის გატანას. ათასგვარი სიცრუით ატყუებს მათ, დიდ სახელთან ერთად, დიდ შემოსავალსაც ღებულობს. მას უნარი აქვს მიუხვდეს ადამიანების სუსტ მხარეებს, დაინახოს მათი ხასიათის გაბზარული ადგილები და ყველაფერი თავის სასარგებლოდ, კლიენტის მოსატყუებლად გამოიყენოს.“ (12, ნაწ. II, გვ.127).

ავტორი იუმორის სახით გადმოგვცემს ცოლ-ქმრისა და მკითხავის საუბარს. ლუარსაბი და დარეჯანი გაკვირვებულნი იყვნენ, მკითხავმა მათი საიდუმლოების შესახებ ყველაფერი იცოდა, ცოლ-ქმარმა „ერთმანეთს ყურება დაუწყეს. ამისთანა გულთამხილავობა რომ არ გაეგონათ თავის დღეში,“ და შიშით უყურებდნენ ამ „ხერხიან დედაკაცს.“ მკითხავმა, ბოლოს ცოლ-ქმარს უთხრა, რომ თელეთი ვიშველიდათ, მაგრამ თქვენს სახლში ჯადო არისო და ეს ჯადო თავლას იქით რომ ორმოა, იქ არისო. ეშმაკმა მკითხავმა, გოგოსთან ერთად თავლა რომ გამოიარა, „ერთი ამოღრუნტული რაღაცა“ მაშინ შენიშნა. ჩვენს ცოლ-ქმარს ისე შეეშინდათ, რომ გარეთ გასვლას ვერ ბედავდნენ და ბიჭები გააგზავნეს ჯადოს ამოსაღებად. ისინიც მალე დაბრუნდნენ, ვერც ორმო და ვერც ჯადო ვერ ნახეს. ვინაიდან ბიჭებს ჯადომ „თვალი აუბა“, ამიტომ თვითონ მკითხავმა წაიყვანა ბიჭები და იმ რაღაც ორმოდან ძონძები ამოიღეს და დაწვეს.

ასე დააიძვდა ცოლ-ქმარი „იმ უხეირო, უკბილო ბებერმა“ მკითხავმა, რომ შვილი აუცილებლად გეყოლებათო.

მეორე დღეს, გაკვირვებულმა ლუარსაბმა ის ბიჭები დაიბარა და ჰკითხა:

– „მართლა ორმო იყო?“

ბიჭებმაც დაუდასტურეს. მწერალი აქვე შენიშნავს, რომ: „იმათ ხომ მალე იციან ამისთანაების გატანა“. გაცეცხლებული ლუარსაბი ეუბნება ბიჭებს:

– „დიდება შენდა, ღმერთო! ამოღენა კაცი აქ დავებრდი და მე იქ ორმო არსად არ მინახავს!.. გაგონილა? როგორ შეიტყო? დიდი მისნობა არ უნდა ჰქონდეს?..“

ილია გადმოგვცემს ლუარსაბსა და გლეხებს შორის საუბარს, საიდანაც ჩანს, რომ გლეხები, ასე ადვილად არ ტყუვლებიან.

– „მაგის ხელობა ეგ არის, შენი ჭირიმე, და იქიდან შეიტყო, – მიუგეს ბიჭებმა.

– ალბად ვერეა, თორემ... აი, დალახვრა ღმერთმა! აბა, თქვენ გინახავთ ვისმე იქ ორმო, ან გაგიგონიათ?

– რაც არ არის, რასა ჰნახავდნენ, – წაიბუტბუტა ერთმა თავმოწონებულმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც შორი-ახლო იდგა და მკლავი ხანჯალზედ ებჯინა, – ერთი რაღაც გოგო-ბიჭების ნაჩიჩქნია და იმ კულიანმა ორმოდ გახადა. რა უკვიროთ?

ეს ისე სთქვა, რასაკვირველია, რომ ლუარსაბს არ გააგებინა.

– შენ რა გენაღვლება, ძმაო, წასწურწულა ერთმა ხნიერმა გამოცდილმა გლეხკაცმა, ხომ ჰხედავ – ბატონს უხარიან, რომ იქ ორმოა. დაე ეგონოს, რომ ორმოა, შენ რა?

– შენი რისხვა არა მქონდეს, – მიუბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა, – მე იქ ორმო არც მენახოს და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი, ჭიპი აქ მომიჭრია და ამოდენა კაცს ლამის სულიც აქ დამელიოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის.“ (1, ტ.2, გვ.213).

გ. ჯიბლაძე ცრუმორწმუნეობის შესახებ წერს:

„ილიამ შესანიშნავად გვიჩვენა: ერთის მხრივ, ცრუმორწმუნე, გონებაჩლუნგი მებატონე ცოლ-ქმარი, რომელთაც მკითხავი ასე ოსტატურად ატყუებს და, მეორეს მხრივ, გლეხების წარმომადგენლები, რომლებიც მკითხავის ოინბახობას არრად ავლებენ, მაგრამ კვერს უკრავენ, რაკი „ბატონს უხარიან“. თვითონაც კარგად აცრუებენ ჭკუასუსტ ლუარსაბს.“ (12, ნაწ. II, გვ.128).

ცოლ-ქმარნი, ისე იყვნენ დაიმედებულნი, „რომ ერთს მშვენიერს დღეს დარეჯანს ეჩვენა, „ვითომც მუცელში ყმაწვილმა გაუჩურუნა“, რასაკვირველია, გახარებულმა კნინამ მაშინვე ლუარსაბს ახარა.“ გახარებულებმა, „ახდევინეს წითელი ღვინო. ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზედ გამხიარულდნენ.“ ლუარსაბმა შესვა „არდაბადებული შვილის სადღეგრძელო“ და ჭიქა დარეჯანს მიაწოდა.

ილია, დაცინვით აგვიწერს დარეჯანისა და ლუარსაბის მხიარულებას.

„დარეჯანმა ჩამოართო ჭიქა, მაგრამ ისეთის მორცხობით, ისეთის თვალების ხამხამით და გემრიელი ღიმილით, რომ მე მაშინვე მივხვდი, რომ კნინა უამისოდაც გადაკრულია. ჩამოართო და გადაჰკრა. სასაცილო რამ იყო კნინა: ღვინო, თან-და-თან ეკიდებოდა, ლოყები აუხამხამდა კიდეც, ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ჰშორდებოდა. ქვეითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და ღორბლმა დენა დაუწყო, თვალები აემღვრა და თავის-თავად ეხუჭებოდა, – ერთის სიტყვით – დარეჯანი ქეიფზედ იყო. ლუარსაბიც დაითვრა. მიუშვა აღვირი ღვინოსაგან მოდუნებულს ენასა და მოჰყვა უგზო-უკვლო ტიტინს. დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და შესცინოდა.“ (1, ტ.2, გვ.217).

მთვრალი ლუარსაბი, კი ლაქლაქად გადაიქცა. მის მიერ წარმოთქმულ „ბრძნულ აზრებით“, რომელსაც აგვიწერს ილია, ეს არის მისი გმირის, ლუარსაბის, რომელსაც ჭამისა და ღვინის სმის მეტი არაფერი არ აინტერესებდა, ბოლო დახასიათება. ნასვამი ლუარსაბი მოჰყვა ტრაბახს:

„ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევს, დიდი მსმელი ვარ.... ფაშვი

კაი მსმელი მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა.... ეხლა ეგეც ხომ შვილი გვეყოლა, აბა ეხლა მაგის ქორწილზედ ვიფიქროთ. იცი რა, დარეჯან? შენ ხომ ბრძენი დედაკაცი ხარ და არც მე ვარ – ღვთის მადლით – სულელი, თოთხმეტის წლისა შესრულდება თუ არა – აბა, იანგარიშე, როდის შესრულდება, მგონი ბევრი ხანი არ გასწევს, მალე შესრულდება, – შესრულდება თუ არა, ჯვარიც დაწეროთ. რაღას უნდა მოუცადოთ? ეხლა მაგის ქორწილში ლეკურს არ ჩამოუვული? მე კი – ღვთის წყალობა შენა გაქვს – ასეთს ბუქნას დაუვული, რომ იქაურობას სულ მტვერი ავაღინო.“ (1, ტ.2, გვ.218).

„ყოყმანობდა სიმღერის ნმაზედ გაბრუებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რაღაცეებსა და ამ ბოღვაში ჩაეძინა კიდევცა.“ (1, ტ.2, გვ.219).

გ. ჯიბლადის თქმით:

„ილიამ ისე ფართო ადგილი დაუთმო ღვინისაგან გახურებული ლუარსაბის სიტყვებს, რომ სრულიად უეჭველია, მას სურდა აქ უკვე საბოლოოდ დაემთავრებია თავისი გმირის პორტრეტი. ამის შემდეგ ხომ მოთხრობაც არსებითად ფინალში გადადის. თუ კარგად დააკვირდებით ამ ადგილს, მართლაც ლუარსაბის დასრულებული სახეა წარმოდგენილი მისსავე სიტყვებში.“ (12, ნაწ. II, გვ.129).

გავიდა დრო. დარეჯანი, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ შვილი აღარ გაუჩნდებოდა, „ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმიმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევედა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნება დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი – მადა; მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხით უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა.... წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის. ბოლოს, ფერისცვალების დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარ ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიადდა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.“ (1, ტ.2, გვ.220).

ილია, ლუარსაბის შესახებ თხრობას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს, რომელიც გამოხატავს ამ ქვეყანაზე ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის ყოფნა არყოფნას.

„მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.“

წაიშალა ამ ორთა გვაძთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნენა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან“? სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ისინი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართვლის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია, მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება, შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე ავიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ვეღარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამომართმევ.“ (1, ტ.2, გვ.221).

მოთხრობა „კაცია—ადამიანი?!“, თუ რისთვის შექქმნა ილია ჭავჭავაძემ ეს ნაწარმოები, მის მიზანდასახულებას, გადმოგვცემს ამ მოთხრობის ბოლო, დასკვნითი XIV თავი. ამ მოთხრობის ბოლო ნაწილში ახალგაზრდა ილიამ, წარმოვედიგინა თავისი მსოფლმხედველობა და ის ძირითადი მიზანი, ცხოვრების სინამდვილის გამოსახვა, როგორც ამას მწერალი გამოხატავდა ამ მოთხრობაში, მან შესანიშნავად, მხატვრულად, გადმოგვცა ბოლო, დასკვნით ნაწილში. ჩვენ მთლიანად მოგვევაკვს ეს ნაკვეთი, რადგან რაიმეს გამოკლება და ამოღება ამ ლიტერატურული შედეგრიდან შეუძლებელია.

„მე ვაკავთავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს. თუ ოდენსე თვალი ავინილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, — ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული, ღარიბი, შიშველ-ტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რა-გვარ უბედურობისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასავით. მე

მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დღე-
კაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი,
თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ჰხედავდნენ მარტო
და თვალისთვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონე-
ბითაცა. გონებას-კი — ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და
იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, — ეგ იმაზედ არის დამოკიდე-
ბული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ,
რაც უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხედები, და თუ იმისთანა
გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალ-არეულს შეიბრალებ, ამისთანა
სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე,
რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და
მამიგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც
ქართველობას ვლალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს ვიამბობ და არა
ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ,
თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართლს სიტყვას
გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე —
გეტყვი, რომ ლურსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის
ტუპუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ
შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხარ,
რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა.
ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს
ეგ გასწორების განზრახვა, დღეს თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ
წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას
მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეიძლება აქვს — შენი
ცული, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან
სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს
მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი,
იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმაღლავს, შენს
სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს,
რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გეგცევი, — სარკე
მოგიტანე. ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზა-
რული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიაინცა? რაცა მქონდა, ის მოგართვი,
როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი,

შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავლონდები, რომ შენშიაც მოგეყუედი; რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელ-დაკრეფილს ესლა დამრჩება სათქმელად: მე მიყვილია და გათენდება თუ არა, – ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...“ (1, ტ.2, გვ.221).

პ. ინგოროყვა მოთხრობა „კაცია-ადამიანის?!“ შესახებ წერს:

„ილია ამ თავისი უკვდავი ნაწარმოებით საბოლოოდ დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში რეალიზმის ტრადიციები. ამდენად ილიას „კაცია-ადამიანი?!“ ეპოქალური მოვლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.“ (7, ტ.1, გვ.422).

ხოლო, გ. ასათიანი აღნიშნავს:

„კაცია-ადამიანი?!“ – ქართული სულის ერთი ფესვმომპალი განშტოების შემზარავი დაკნინების, საბედისწერო უფესკრულს მიმდგარი გადაგვარების ამსახველი წიგნი – ეპოქალური ნაწარმოებია, ისეთივე სასტიკი, როგორც თეკერეის „ამაოების ბაზარი“, გოგოლის „მკვდარი სულები“, ანატოლ ფრანსის „პინგვინების კუნძული“ ან ჰაქსლის „ტაკიმასხარათა ფერხული“. (3, გვ.427).

I. 3. 3. მეზავრის წერილები. ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ილია ჭავჭავაძემ რუსეთში, კერძოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში, ოთხი წელი გაატარა (1857–1861) და ეს წლები იყო მისი შემოქმედების პირველი პერიოდი, რომლის დროსაც მოხდა მისი თვითგამორკვევისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

ამ დროის ბოლო ნაწარმოებს ეკუთვნის თხზულება „მეზავრის წერილები“, რომელიც დაწერა სამშობლოში დაბრუნებისას.

ლ. მინაშვილი ასე ახასიათებს „მეზავრის წერილებს“:

„ყველა სხვა თხზულებისაგან განსხვავებით მჭკრემეტყველური პროზის შესანიშნავი ნიმუში „მეზავრის წერილები“ ყურადღებას იქცევს სწორედ თავისი ზოგადი შინაარსით....“

საყოველთაო აღიარებით „მეზავრის წერილები“ ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების და პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროგრამის ასახვას წარმოადგენს, და ეს იმიტომაც, რომ სწორედ ამ ნაწარმოებშია თავჩენილი პირველად ის საკითხები, ის იდეები, რომელთათვისაც მთელი თავისი სიცოც-

ხლის მანძილზე არ უღალატია და რომელთა კონკრეტულ მხატვრულ გაშლას, გაღრმავებასა და გაფართოებას მის მომდევნო თხზულებებში ვხვდებით.

ნაწარმოები, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მწერლის ინტერესების სიფართოვით და საკითხთა სიუხვით. საკითხები აქ ნაირგვარია, როგორც სიციალურ-პოლიტიკური, ისე ესთეტიკურ-ეთიკური ხასიათისა, ხოლო წარმმართველი ეროვნული იდეალია და საკითხთა განხილვის ერთად-ერთი ასპექტიც ეროვნული ხასიათისაა.“ (18, გვ.675).

მწერალი კონსტანტინე გამსახურდია (1893–1975) ამ ნაწარმოების შესახებ წერდა:

„მის პირველ ნაწერებში „მგზავრის წერილები“ ჩაითვლება შედეგად, მე ახლაც მიკვირს, რისი იმედით მოდიოდა ილია ჭავჭავაძე იმდროინდელ საქართველოში... „მოძრაობა“ გამოაცხადა მან მსოფლიო განვითარების იმპულსად. ეს იყო უდიდესი პოსტულატი მის გეგმაში.

მოძრაობა ხომ თანამედროვე გაგებითაც იმპულსია კულტურისა, ცივილიზაციის და შემოქმედებისა. მოძრაობა სიტბოა, გადაუხურდავებელი ცეცხლი, ენერგია. საქართველოს კარებთან შეხვედრილ თერგში და მყინვარში ილია თერგს ირჩევს. თერგს – ენერგიას. მათაა დამრღვეველს....

მე არ ვიცი. ჩვენ წინ წავედით თუ უკან ილიას შემდეგ. ამაზე სხვებმა თქვან. ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი ფიქრი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანოს დასტრიალებდა თავზე დღენიდავ.

და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძგვნილ, ტყაპუჭიან მოხვევსთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე. მან ყველაზე უკულტურო ეგზემპლიარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიაც 30 წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგიაა მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამე ჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვლებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში.

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუნოდესო!“

აქ ვხედავ მე დიდ ანალოგს: ილია – მოსე. აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გადაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვანძულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც ჰამლეტისებური მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუნოდესო.“ (17, ტ.VII, გვ.236).

ხოლო, პ. ინგოროყვა ამ ნაწარმოებს შემდეგნაირად ახასიათებს:

„მგზავრის წერილებს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობაში.

თავისებურია ამ ნაწარმოების სტილი, როგორც მისი შინაგანი მხატვრული ფორმა, ისე თვით ენა. მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ცოტაა ისეთი პოეტური ძეგლი, რომელიც შესაძლოა დაყენებულ იქნეს ილიას ამ პატარა შედეგთან მხატვრული სრულყოფის მხრივ. ყოველი ფრაზა, ყოველი თქმა ამ პატარა თხზულებისა, თითქოს შეზავებულია ასაფეთქებელი ნივთიერებით და ანთებულია პოეტური შთაგონების ცეცხლით.

„მგზავრის წერილები“ წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ნაცვლად იმ რომანტიული იდეებისა საქართველოს წარსულზე, რომლითაც სულდგმულობდა მე-19 საუკუნის პირველი ორი თაობის მწერლობა, „მგზავრის წერილებში“ მოცემულია მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური კონცეპცია. საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიამ ამ ნაწარმოებში ჰპოვა ბრწყინვალე გამოხატულება.“ (1, ტ.2, გვ.580).

პირველად, ეს ნაწარმოები ცენზურის გამო დამახინჯებულად დაიბეჭდა. პ. ინგოროყვას გამოკვლევით:

„ჟურნალ „კრებულში“, სადაც პირველად დაიბეჭდა ილიას ეს თხზულება, ტექსტი „მგზავრის წერილებისა“ აჭრელებულია ხარვეზებით – ცენზურის მიერ ამოღებული ადგილებით. ცენზურას აუკრძალავს პირველი თავი მთლიანად და დანარჩენი თავებიდან ამოუშლია მთელი რიგი ადგილებისა.“ (1, ტ.2, გვ.580).

„მგზავრის წერილები“ დაწერილია 1861 წელს, მაგრამ დღის სინათლე მან ბევრად გვიან იიხილა... ცენზურას სამოციან წლებში აუკრძალავს მისი დაბეჭდვა. უფრო გვიან, 1871 წელს, თუმცა მოხერხდა ამ ნაწარმოების გამოქვეყნება, მაგრამ შემოკლებით. მხოლოდ 1892 წელს, ე. ი. 31 წლის შემდეგ ამ ნაწარმოების დაწერიდან, შესაძლო გახდა სრულად გამოქვეყნება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლისა.“ (7, ტ.1, გვ.422).

ამ ნაწარმოების დაწერიდან, (1861 წ.), მხოლოდ 10 წლის შემდეგ (1871 წ.), მოხერხდა დაბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“, გადაშუშავებული სახით. როგორც თვითონ ილია ამბობდა, მას „ჩალხი გაუკვრია“ ამ თხზულებისათვის. ა. კენჭოშვილის თქმით:

„მგზავრის წერილებმა“, გამოქვეყნებისთანავე მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება. ავტორის შესახებ ამბობდნენ, რომ „ილიას „მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალამი აქვსო.“ (15, გვ.4).

3. ინგოროყვა წერს:

„მგზავრის წერილები“, რასაკვირველია, არის Dichtung – პოეზია, მაგრამ ამავე დროს აქ არის Wahrheit – სინამდვილე. „მგზავრის წერილებში“ ჩვენ გვაქვს ავტობიოგრაფიული ელემენტები.“ (1, ტ.2, გვ.581).

ორიგინალურად იწყებს ილია „მგზავრის წერილების“ წერას. იგი ეხება სინამდვილის ასახვის საკითხებს და ამბობს, რომ საერთოდ ხელოვნებაში ხშირად სინამდვილე შელამაზებულია და არ გამოხატავს იმას რაც სინამდვილეში, ცხოვრებაში ხდება. მართალია, სამშობლოს კვამლი ჩვენთვის ტკბილია და სასიამოვნოა, მაგრამ ეს კვამლი ხშირად სიმართლის დანახვას უშლის ხელს. ხშირად ხელოვნება, მხატვრობა სინამდვილეს არ ასახავს.

„საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაცული სანახაობა, იმისი მიღუნ-მოდუნებული ზღაზვნა, უადამიანო და პირუტყვეული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭკვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალிடამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალეებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ.“ (1, ტ.2, გვ.7).

ილია ჭავჭავაძის მიერ, ამ რუსული აფორიზმის შესახებ, იყო გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება. როგორც გამოირკვა, პირველად ეს გამოთქმა დაუწერია რუს პოეტს გავრილ დერჟავინს (1743–1816), ლექსს „არფა“-ში რომელიც მას დაუწერია 1798 წელს. ხოლო შემდეგ ეს სტროფი მხოლოდ შეცვლილი სახით, გამოუყენებია რუს მწერალსა და დიპლომატს ალექსანდრე გრიბოედოვს (1795–1829) კომედიაში „ვაი ჭკუისაგან“.

ფილოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი გურამ შარაძე (1940–2007) წერს:

„როგორც დავრწმუნდით, „И дым отечества нам сладок и приятен“ არ არის ალ. გრიბოედოვის „აფორიზმი“, იგი გ. დერჟავინს ეკუთვნის და მომდინარეობს

მისი ლექსიდან „არფა“, ხოლო ილია ჭავჭავაძემ თავისი „მგზავრის წერილების“ ტექსტში (და არა „ეპიგრაფად“) გამოიყენა მისი ალ. გრიბოედოვისეული ვარიანტი კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“. (29, გვ.60).

დაცინვით აღწერს ილია „იამშიკსა“ და მის „პოვოსკას“. ხოლო ახლად გაცნობილ ფრანგთან საუბრის გადმოცემის დროს, ავტორი საზს უსვამს და დაცინვით გადმოგვცემს რუსეთის იმპერიის ჩამორჩენას ევროპასთან შედარებით. გაკვირვებული ფრანგი, როდესაც გაიგებს, რომ რუსეთში ამ პოვოსკით დადიან, ეუბნება ილიას:

— „მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯღარიყავ. მშვიდობით!...“

— მაგითი დადის!.. ხა, ხა, ხა! — ხითხითებდა იგი, — ვილა დაეწევა!

თუმცა მე სამხიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა.“ (1, ტ.2, გვ.8).

ამ ნაწარმოების კითხვისას, თვალწინ წარმოვიდგება ილიას მიერ, დაცინვითა და ამავე დროს სრული სიმართლით აღწერილი, რუსი „იამშიკი“ და მისი „პოვოსკა“.

„პოვოსკაში ჩავვქექე.“

პოვოსკა ჩემს ჩავდომაზედ შეტოკდა. „იამშიკმა“ თვალები აახილა და მე ბლვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები „მწუო, მწუო“, დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალელუს და ყურებჩამოყრილს ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგადამ არ დაიდრნენ. Ну, чо-о-пр, трогай што-ли! — დაიყვირა „იამშიკმა“, აიქნია სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს... „იამშიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრაღად მოიბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბლვერა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგანს თითო შოლტი გაღუჭრა. ცხენებმა ტყუბ-ტყუბი ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჯღრეულმა ზარმა დაიწყო უგემური ჟღარა-ჟღური, პოვოსკამ ქვეზედ ზტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა.“ (1, ტ.2, გვ.8).

XIX საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდების წარმომადგენლებს, ევრეთწოდებულ „თერგდალეულეს“, ახალი აზრებისა და იდეების საზოგადო აზროვნებაში გატარების გამო, და მით უმეტეს ილიას, საქართველოში აღმაცერად და მტრულად უყურებდნენ. ილია ჭავჭავაძე პირდაპირ აღნიშნავს „მგზავრის წერილებში“ ამის შესახებ.

„თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილება. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგ-დალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა-და თერგ-დალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.“ (1, ტ.2, გვ.9).

ილია აღწერს და გადმოგვცემს თავის შეხედულებებს ცხოვრებაზე, მომავალზე, მისი სამშობლოს მდგომარეობაზე და ამას ალევორიული სახით გამოხატავს თერგის აღწერისას.

საქართველო, რომელიც მიენდო ერთმორწმუნე რუსეთს და რომლის შემწეობით დამოუკიდებლობა დაჰკარგა, ავტორის თქმით „დადუმებულა“, ხმა ჩასწყვეტია, „მიმკვდარა“ და „დამდოვრებულა“. სწორედ, ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ილიას დროს საქართველო.

ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილი თერგი და მასში ჩაქსოვილი აზრები, ისეთი მხატვრული ლიტერატურული ხერხებითა და ისეთი ენითაა დაწერილი, რომ მკითხველი არ შეიძლება ალტაცებაში არ მოვიდეს.

„ეგ დასალუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგ-ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინც-და-მაინც, ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგერთ კაცსავით, საცა მისულხზარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოლდა არ

არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყურაა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმჩრვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შერები!..

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“ (1, ტ.2, გვ.9).

საქართველოსაკენ მომავალი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე სამშობლოზე ფიქრობდა. მისი მთავარი საზრუნავი მისი ქვეყანა იყო. მან იცის და გრძნობს, რომ მის დროინდელ სამშობლოში სუფევს უწესრიგობა, ნაღვლიანი განწყობილება, მოღუწება, სევდა, დრომოჭმული წარსულით გატაცება და აწმყოსადმი მტრული დამოკიდებულება; და ეს კი კარგს არაფერს მოუტანდა მის სამშობლოს. ამიტომ საჭირო იყო ხალხის ამ სევდიდან გამოყვანა და მომავლის იმედის ჩასახვა. მისი აზრით, სადაც წესრიგია იქ რევოლუცია არ შეიძლება რომ მოხდეს, ხოლო რევოლუცია იწვევს არევ-დარევას და შემდეგ კი მშვიდობას. ილია წერს:

„რაკი ვლადიკავკასიიდან გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამეკრა, გულმა სულ სხვა-რიგად დამიწყო ფეთქა... მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალ-წინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მალლა მოექცნენ, მალლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ.“ (1, ტ.2, გვ.11).

გზაში, ილიას ფიქრი მიმართული იყო იქით, რომ შესძლებს თუ არა იგი თავისი ხალხის, მამულის წინაშე ვალის მოხდას. როგორ მიიღებს მას ქვეყანა. მის სამსახურს გაუგებს, იგრძნობს, შეითვისებს, თუ ზურგს შეაქცევს.

ილია ჭავჭავაძეს ისე აქვს ეს ფიქრები გადმოცემული, ყოველი სიტყვა ისე აქვს მიძიებული აწყობილი, ყოველი წინადადება დალაგებული და ამავე დროს ისე აქვს ერთმანეთთან შეერთებული, რომ შეუძლებელია რომელიმე სიტყვის გამოკლება, ან ამ წყობის დარღვევა, შეიძლება ეს „ფიქრი“ ჩვენ ჩავთვალოთ

ქართული მჭერმეტყველების შესანიშნავ ნიმუშად. ამიტომ სჯობს თავიდან ბოლომდე მოუსმინოთ ამ ფიქრთა დენას.

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შეეძლებე კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრღომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერ-წკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებე კი? შევიძლებე გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მართო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. ჩემმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? – ვკითხე მე ჩემს თავს და გაფიქრდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრენილი.

– მართლა-და რა უნდა ვქნა? – ვკითხე ჩემს თავს ხმაბაღლივ.“ (1, ტ.2, გვ.11).

ილია სწყვეტს ამაზე ფიქრს, ვინაიდან წინასწარ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თვითონ საქმეს შეეძლო. ამას დრო სჭირდებოდა და მომავალი აჩვენებდა. თუმცა კი სჯეროდა, რომ ამ საქმეს შესძლებდა.

ამ მოგზაურობის დროს, ილიას გაეცნო რუსი პოდპორუჩიკი. მათს შორის საუბრის გადმოცემისას ჩანს ილიას სატირა. ეს არის დაუზოგავი დაცინვა რუსეთის მთავრობის მოხელისა.

პოდპორუჩიკის შეკითხვაზე, სომეხია, თუ ქართველი? და, რომ გაიგებს ქართველია, ეუბნება:

– „ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი კი ამბობს, რომ нежали робкие грузины, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა.“ (1, ტ.2, გვ.15).

ეს, „აფიცერი“ პეტერბურგს აფასებს სიდიდის მიხედვით და დიდ ღირსებათ თვლის მის ნახვას. პოდპორუჩიკის თქმით:

„პეტერბურგი!... ო, ო, დიდი ქალაქია, პეტერბურგი!... ვრცელი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდან რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია.“ (1, ტ.2, გვ.14).

ამის შემდეგ, ეს ტრაბახა, „დიდათ განათლებული“ პოდპორუჩიკი, იწყებს ყბდობას და ლაქლაქს. თურმე, რუსებს აქამდე ეგონათ, რომ მათი დედაქალაქი იყო მოსკოვი, მან კი დაამტკიცა, „რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული.“ მისი თქმით, ქართველებმა და სომხებმა არ იციან სამეცნიერო ლაპარაკი. ეს კი გაუნათლებლობის ბრალია. არ იციან რა არის ცივილიზაცია, ინტელიგენცია, კასსაცია, ფილოლოგია და სხვა. მაგრამ ეს არაუშავს, „წარმავალია. თქვენც გაიწურთენებით.“ რუსეთიდან ბევრი მოდის აფიცრობა და ჩინოვნიკები გასანათლებლად. მისი თქმით, თუ კაცმა იზღერის ბალი ნახა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან განათლებაში ფეხი „ჩასდგა“. ვინაიდან იზღერის ბალი ფერიებით სავსე სამოთხეა. ფერიები კი ეს სამეცნიერო სიტყვაა და მდაბიურ ენაზე ნიშნავს უუყუნა-თვალებიან ქალებს. გინდა ერთს ჩაავლებ ხელს, გინდა მეორეს. „აი განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან.“ (1, ტ.2, გვ.15). პოდპორუჩიკი განაგრძობს სამეცნიერო მსჯელობას. თურმე, თუ ბნელ ოთახში შემოვიტანთ სინათლეს, ოთახი განათდება და აი ამას ჰქვია განათლება. როდესაც გაიგებს, რომ საქართველოში ოციოდე გენერალია და ისიც „ნამდვილი გენერალი“, გაკვირვებული წამოიძახებს:

– „რაო, ოციოდეო!.. ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, – ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა.“ ბოლოს, როდესაც ილია დააჯერებს, გაკვირვებული „მეცნიერი აფიცერი“ ამბობს:

– „ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას.“ (1, ტ.2, გვ.17).

ამის შემდეგ ის იწყებს, თავის მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ მოყოლას. მან, თურმე, მრავალი იდია, მრავალი ისტორიები წაიკითხა და ბოლოს და ბოლოს გამოიგონა ისეთი რამ, რომლის გამოყენებითაც „ქვეყნის მწუხარებას“ ეშველა და „მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან“. ყოველ დილით იჭერს ორ ბუზს და სვამს საშაქრეში. ამის შემდეგ წყნარადაა, რადგან იცის, რომ შაქარს არავინ მოიპარავს, რადგან, თუ დენშიკი შაქრის მოპარვას დააპირებდა მას ხომ შაქრის ყუთი უნდა გაეხსნა და ბუზები ამოფრინდებოდნენ. ამ გამოგონების შემდეგ მას დენშიკი შაქარს ვეღარ პარავს. პოდპორუჩიკი აღფრთოვანებულია თავისი მეცნიერული აღმოჩენით და განაგრძობს:

„აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი ალებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მალაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშინერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არიან? არაფერი. რის გამოსადგენი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებასა და ნაღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის.“ (1, ტ.2, გვ.19).

ის სწუხს, რომ ჯერჯერობით არაყის ქურდობას ვერ უშველა, რადგან არაყის ბოთლში ბუზები შიგ იხოცებიან, „მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ.“ დაიმედებულია ეს ჩვენი მეცნიერი. თურმე, ეს ჩვენი გამოგონებელი პოდპორუჩიკი საქართველოში ჩამოდის იმიტომ, რომ აქ, „ახლად დაჭერილ ქვეყნებს“ განათლება სჭირდებათ და „აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან.“ მისი თქმით, აქაც შეიძლება იზღერის ბალი გაშენდეს, რადგან „მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლებელია... პეტერბურგის განათლებაც აქ გადმოვა.“ იზღერის ბალში ქალები თამამად ივლიან. „გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავის სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა, ხომ გესმით?“ (1, ტ.2, გვ.19).

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებშიც წარმოგვიდგინა ყვეფი, სასაცილო, გონებაჩლუნგი, უზრდელი და თავხედი პირი, მაგრამ ამჯერად რუსეთის სამხედრო მოხელე, რომელიც, ქვეყნის განათლებას გენერლების რაოდენობით აფასებს, ქურდობის მოსპობას ბუზების საშუალებით ფიქრობს და პეტერბურგის კულტურის ცენტრად იზღერის ბალს თვლის,

რადგან „ის ბალი სავსეა ყუყუნა-თვალებიან ქალებითა.“ ილიამ ამ თხზულებაშიც გამოავლინა თავისი სატირული უნარი.

ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგის სოლომონ ხუციშვილის (1908–1995) თქმით:

„ილია ჭავჭავაძემ გოგოლის მსგავსად დასცინა ერთ პატარა, მაგრამ ტიპიურ, ზოგად ელემენტს და ამით მთელი სისტემის დახასიათება მოგვცა.“ (16, გვ.20).

ამ პროზაული ნაწარმოების IV თავი, არის მხატვრული ლირიკული შედეგრი, სადაც აშკარად ჩანს ახალგაზრდა ილიას სულიერი განწყობილება და განცდები, მისი მთავარი საზრუნავი, სამშობლოს თვით-მყოფადობაზე ზრუნვა და მის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევის მიზნით.

ეს განცდები და შეხედულებები მწერალმა მხატვრულად გადმოგვცა მყინვარისა და თერგის შედარების დროს. მისი თქმით, მყინვარი მიუკარებელია. ის განასახიერებს უმოქმედობას. მას არ აღეღებს ქვეყნის ავ-კარგი, ქვეყნის ქარიშხალი და ქროლვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვდავებისა და განცხრომის ასახვაა, მას ის არ მოსწონს. ზოლო თერგი, მუდამ მღელვარე, დაუღვარე და დაუმონავია. ის მოქმედებისა და ბრძოლის განსახიერებაა. ეს, მყინვარისა და თერგის შედარება, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში, სიტყვათა წყობილების მხრივ უიშვიათეს მოვლენას წარმოადგენს.

„ოთახიდან გარეთ გამოვკედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუძღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთად-ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგას გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათობს, – ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას

მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სი-
მალლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. და-
ლოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და
დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და
მობდავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ზუილი,
გამაღებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის
გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის
მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი
უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია – როგორც უკვდავება
და ჩუმი – როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ
მიუკარებლად მალაღია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირი-
დამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამალღებულა, მალღიდან კი შენობა
არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე
უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე
ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მალღილია! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე
იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი.
მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა.
ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს
დადეგ, თუ მყარალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყა-
ყების ყიფინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო
თერგო ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“ (1, ტ.2, გვ.20).

ბოლო ეს სტრიქონი არის ილია ჭავჭავაძის აზროვნებისა და მისი მოქ-
მედების, მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამოხატულება, რომელიც
მას იმ დროს ჩამოუყალიბდა და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ახორციელებ-
და. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა“, ეს იყო მისთვის დამახასიათებელი,
თეორიული აზროვნების ცხოვრებაში პრაქტიკულად გასატარებელი. იგი ცდი-
ლობდა, იმდროინდელი გაყურსული, მიძინებული და უმოძრაო საზოგადოების
ამოძრაებას, მომავალი ცხოვრების რწმენის გაღვიძებას.

ამავე აზრს გამოხატავს ილია, დღისა და ღამის დაპირისპირებაში, ხვალნი-
დელ დღისკენ მისწრაფებაში. ილია აღწერს დაღამებას და გათენებას. ამ მაღალ
მხატვრულ აღწერაში სჩანს ახალგაზრდა მწერლის სალიტერატურო ენის,
მეტყველების, მხატვრულად სიტყვის გადმოცემის ხერხების დახვეწილობას
და ამავე დროს შესანიშნავად გადმოსცემს ბუნების სურათებს და მის პირად
განცდებას. მას არ მოსწონს „ბნელი და მშვიდობიანი“ ღამე, რადგან ამ დროს

„ქვეყანა დადუმებულია“ და ხდება ბოროტება, ხოლო, დღე კი „ნათელი და მოუსვენარია,,

„დალამდა, თვალ-წინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დალამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედლა ელირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილება, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე....

დალამდა. მისწყდა ადამიანის ფენის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დალლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნვი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარეშე. ვაი, რა ცარიელია ეს სავესე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევე, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებუდიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დაფართხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, – და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევე! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმაღლავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..“ (1, ტ.2, გვ.21).

ილიას მოსწონს გათენება და ეტრფის დილის რიჟრაჟს. მას, მართალია, ჰგონია რომ ილიას „ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყურებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბლავის და იბრძვის, სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყურავია.“ (1, ტ.2, გვ.23).

პეტერბურგიდან საქართველოსაკენ მომავალი ილია ეძებს სამშობლოსათვის თავდადებულს, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს „ქვეყნის უბედურებით გულ-

აღტკინებულსა,“ რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავის სამშობლოს უბედურების მიზეზი. ასეთი პიროვნება ილიამ ნახა სამშობლოში, ხალხის წიაღიდან გამო-სული – მოხვეე ლელთ ღუნია. მასთან საუბრის გადმოცემისას, მოხვეის ყოველ სიტყვაში ისმის ქვეყნის გულის ტკივილი, სამშობლოზე ზრუნვა და მამულის სიყვარული. ილიამ „მოხვეე ლელთ ღუნია წარმოგვიდგინა, როგორც თვით ხალხის სახე, მისი სანუკვარი იმედების ცოცხალი განსახიერება.“ (12, ნაწ. II, გვ. 13).

ილია ჭავჭავაძე მოხვეეს შემდეგნაირად ახასიათებს:

„ჩემი მოხვეე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭაღარა-მორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ-მადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.“ (1, ტ. 2, გვ. 23).

ცხენზედ შემჯდარნი მოხვეე და ილია, სტეფანწმინდიდან გაემგზავრნენ და გზაში იწყებენ საუბარს. უკანასკნელად შეხედა მწერალმა მყინვარს, რომელიც „დიდებულად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მბულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.“ (1, ტ. 2, გვ. 24).

მოხვეის ყოველი სიტყვა მტკიცეა და ურყევი. მის ყოველ აუჩქარებელ დინჯ პასუხში იგრძნობა, რომ მას მრავალჯერ უფიქრია და განუსჯვია ეს საკითხები.

გ. ჯიბლაძე მოხვეის შესახებ წერს:

„მოხვეე ლელთ ღუნია ავტორმა ისე კოლორიტულად დახატა, იმდენი სითბო, უშუალობა, იმდენი სიღარბაისლე, გონება-მასვილობა, რაღაც შეუვალი გამძლეობა და შინაგანი სიძლიერე მისცა, რომ მისი სახით ჩვენს წინაშე წარმოსდგა არა მარტო ხალხის ერთი შვილი, რომელიც ასე განუყოფლად შეზრდილა თავის მშობელ ქვეყანას, მშობელ ერს, არამედ, მთელი ხალხიც.“ ყველაფერზე, რაზედაც მოხვეე საუბრობს „იმდენად ბუნებრივი, იმდენად ხალხური ძირებითაა სავსე, რომ მოხვეე ლელთ ღუნია თავისი მშობელი ერის იმდროინდელ ფიქრთა და ზრახვათა ცოცხალ მემკვიდრედ გვევლინება.“ (12, ნაწ. II, გვ. 13). ამავე დროს, მოხვეის საუბარში სჩანს ხალხის იმდროინდელი განწყობილება.

ილიას მოსწონს ეს ადგილები: წყალი, ჰაერი, ბუნება და აქ ყოფნა მიაჩნია ბედნიერებად. ამაზე მოხვეეს გაეცინება და ამბობს:

– „საცინალს ვიცინი, ცარიელ სტვამაქი მაგნით ვერ გაძღების.“ ავტორის თქმაზე, მთაში ყოფნას, – „ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.“ მოხვეე უპასუხებს:

– „ვინ უწყის? იქაითაც საჭირ-ბოროტოა დარჩენა. ადვილ ხაშშობს. იქაველ კაცს ფერი არა აქენ, აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განავო: იქაით მაძღრობა, აქაით სიმრთელე.“

შეკითხვაზე, – „რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?“ – ლელთ ღუნია უპასუხებს:

– „ორივენ ერთადა. უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა.“ – ხოლო ამორჩევისას:

– „არჩევანზედ? ამ ღორდიან კლდეთ ვიჯობდი, ჯამრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის?“ (1, ტ.2, გვ.25).

მოხვეის საუბარი, მისი განსჯა, მისი ყოველი სიტყვა, გერგეთის დარაჯობაზე, წარსულის წეს-ჩვეულებებისა და შეხედულების შესახებ, სამების ეკლესიისა, „განძთა საფარის“, „ერთა საბჭოს“ და ტანსაცმლის შესახებ, ეს არის ხალხის გულის ნადების, მისი გულის ტკივილის, განცდების, საერთო გამოსატულება, რომელიც ემთხვეოდა თვით ილიას შეხედულებებსა და აზრებს.

ტანისამოსის შესახებ მოხვეე უპასუხებს:

– „ქართველის ტალავრის იერი სრულად სხვაია. რუსულნი ქართველ კაც მეუცხოების.

– ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

– მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.“

ილიას კითხვაზე, „ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში?“ მოხვეე მტკიცედ და დამაჯერებლად პასუხობს:

– „აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სრფელს, გუჯარიც მაჰსცის საშვილი-შვილად. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვაკითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მაღლითი ბჭობაიც სამაბაჩი გადავარდის.“ (1, ტ.2, გვ.27).

ილიას შეკითხვაზე, თუ რატომ იყო უკეთესი ძველი დრო? მოხვევის პასუხი არის მოფიქრებული, თვითეული სიტყვა გამჯდარია მის გულსა და სულში. ეს არის ქართველი კაცის ამოძახილი, ერის ლტოლვა თავისუფლებისაკენ.

– „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს. მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევედით, შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავუღამნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივეკრძდნით, ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურკებდნით, ატირდომილს ვიხრიდნით და ესრედ იყვის ბრალეუბა კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავე-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერევის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ ადავდინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გაღანულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მოხვეე?..“ (1, ტ.2, გვ.28).

– „ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?“ ეს შეკითხვა, რუსეთმა, რომ თითქოსდა მშვიდობა მოგვიტანა, დღესაც ხშირად ისმის, როგორც „მოძე“ რუსებისაგან, ასევე რუსეთუმეებისაგან. და აი, რა პასუხს იძლევა, ლელთ ღუნია:

– „რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით-რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატეევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის.

– მტერი რომ დავეცემოდათ, ავიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწოიკებდათ ხოლმე?

– აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწოიკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხმლით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამენს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ-შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ

იყვის: ადგილ-მაძულ ებრძვის, თარხნობაი მიეწყებოდის.“ (1, ტ.2, გვ.29).

მონევე, საუბრის ბოლოს, თითქოს დასკვნის სახით ადარებს წარსულ და ახალ დროს. წარსულ დროს დიდებით იხსენებს, ხოლო ახალ დროში მხოლოდ სიმანინჯეს ხედავს, რასაც გულის ტკივილით გამოხატავს.

– „აწინა ყაველნი ქართველნი ძმანები ვარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ აღრიდა სამსახურს თავ-ვიდედით, საჩექარიც, ბოძებაც დიდ-იყვის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყენით, კაცი უბრალად არ წარხდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუმობით, ფიცთა გატეხვით, ერთ-ურთ ღალატით სარჩო-საბადებელ სამოვერ გაგვიხდნის.“ (1, ტ.2, გვ.30).

ილია ჭავჭავაძე ამ თხზულებას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„მართალია თუ არა ჩემი მონევე, მე მაგის გაშინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე ვაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.“ (1, ტ.2, გვ.30).

ლელთ ღუნას მწერლისთვის ბევრი სხვაც რამ უთქვამს, რაც ამ თხზულებაში ილიას არ შეუტანია, რადგან, „ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგებოდა შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა...“ ავტორი ამ ნაწარმოებს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„მივიხვდი, ჩემო მონევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნდესო“ – სოქვი შენ და მე ვავიგონე. მაგრამ ვავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..“ (1, ტ.2, გვ.30).

ამის პასუხის მისაღებად, ილია ჭავჭავაძე იბრძოდა სიცოცხლის ბოლომდე.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნდოდესო“, – ამ ეროვნული მიზნის განხორციელებისათვის, ილიამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიწყო საზოგადოების გაერთიანება და დარაზმვა.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედება პოეზიასა და პროზაში სტუდენტობის დროს.

პ. ინგოროყვა ამ დროის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ წერდა:

„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება 60-იანი წლების მიჯნაზე მოასწავებდა ახალი ეპოქის დასაწყისს ქართულ მწერლობაში. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ 60-იანი წლების ქართული ლიტერატურა გადავიდა ახალ იდეურ საფუძვლებზე, გაიშალა დიდი მნიშვნელობისა და დიაპაზონის ლიტერატურის სახით, ნამდვილი ხალხური ლიტერატურის სახით.“ (6, ტ.1, გვ.418).

თავი მეორე .
ილია ჭავჭავაძის ჩამოსვლა
საქართველოში .

ლიტერატურული შემოქმედების მეორე დრო .

I. ილიას ლიტერატურული შემოქმედების მეორე ხანის
პირველი ნახევარი (1861–1868) .

როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა 1861 წლის მაისში. ამის შემდეგ იწყება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მეორე დრო .

მ. ზანდუკელი წერს:

„ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მეორე პერიოდი შეიძლება დავიწყოთ 1861 წლიდან და 1878 წლამდის მივიტანოთ. ამ პერიოდში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში) ილია ჭავჭავაძე ტიპიური თერგდალეულია. 1879 წლიდან ილიას შემოქმედებაში მესამე პერიოდი იწყება და გრძელდება ბოლომდის. („ოთარაანთ ქერივის“ დაბეჭდვით თავდება). შემოქმედების მესამე პერიოდში ილია ჭავჭავაძის პოეტური ნიჭი მსხვილდება, თითქოს სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და ზოგადკაცობრიულ საკითხების გადაწყვეტის სფეროში ეხვევა. ამ პერიოდში ილია, როგორც მხატვარი, იზრდება, მძლავრდება.“ (26, გვ.67).

ჩამოსვლისთანავე ილიას გარშემო შემოიკრიბნენ ახალგაზრდები, ეგრეთ-წოდებულნი „თერგდალეულები“. აქედან იწყება საქართველოში „თერგდალეულების“ გამოსვლა ლიტერატურულ-პოლიტიკურ სარბიელზე. ამის შესახებ პ. ინგოროყვა წერს:

„ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველ წელსვე თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი თაობა, ქვეყნის ცოცხალი ძალები. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი, ილიას მოთავეობით, იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც „პირველი დასის“ სახელით არის ცნობილი.“ (7, ტ.1, გვ.420).

ამ დროიდან იწყება ახალი აზრების, ახალი მიმართულების შემოტანა საქართველოში ლიტერატურულ, თუ პოლიტიკურ სარბიელზე. ამ დროიდან დაიწყო მაშინდელ საქართველოს ცხოვრებაში დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და არსებული ცხოვრების წეს-წყობილების შეცვლა. მ. ზანდუკელის თქმით:

„ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულების მოღვაწეობა ტრიალებდა შემდეგი მთავარი საკითხების გარშემო:

1). გადმოტანა და დამყნობა ჩვენს ცხოვრებაზე იმ მოწინავე იდეებისა, რომელიც მათ შეითვისეს რუსეთის მოწინავე აზროვნებიდან (აგრეთვე ლიტერატურაში დამყარება რეალიზმისა);

2). უარყოფა დრომოჭმული, პატრიარქალური ტრადიციებისა;

3). შეურიგებელი ბრძოლა ბატონყმობასთან;

4). მთლიანი ეროვნული შეგნების გამომუშავება საზოგადოებაში და მთლიანი, თავისუფალი ახალი ცხოვრების პრინციპებზე აშენებული საქართველოს იდეის სამსახური.“ (26, გვ.67).

ილიას მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებიდან იწყება საქართველოში როგორც მწერლობაში, ასევე საერთოდ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი დრო.

პ. ინგროიყვას მოჰყავს, ქართველი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის (1842–1900) სიტყვები:

„ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინა-წლებიდან იწყება, სახელდობრ 1861 წლიდან, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე... ამით შემოიღეს კერძო კრებები, საცა კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე თავის ახალ დაწერილ ლექსების და „გლახის ნამბობის“ თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს, და წრეს გარეშე არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში.“ (7, ტ.1, გვ.420).

ამ ახალი დროის საწყის პერიოდს, ჩვენ შეგვიძლია მივაკუთვნოთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1861–1863 წლები, როდესაც ხდება ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსება.

ამ დროის მონაკვეთში ილიამ შეჰქმნა ლექსები:

უსათაურო ლექსი, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „ჩემო კალამო“ და „გ. აბხ...“; თარგმნა ფრანგი პოეტის ანდრე შენიეს (1762–1794) ლექსი „ზღვათა მფლობელის...“.

მოთხრობები:

1. „გლახის ნამბობი“-ს I – VI თავების რედაქცია;

2. „კაცია-ადამიანი?!“-ს ბოლო რედაქცია;

დაუმთავრებელი მოთხრობები:

1. უღელტეხილი;

2. კატო;

3. ზოგიერთი მოთხრობები: „მარგალიტი ლექსში“;

4. მოთხრობა „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“;

5. გუბე.

დაუმთავრებელი მოთხრობები, პ. ინგოროყვას თქმით, „არ ყოფილა ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი“ და „არც მათი დაწერის დროა ცნობილი.“ მისივე გამოკვლევით და ხელნაწერთა შეჯერებით, იგი ათარიღებს 1861–1863 წლებით.

ამავე დროს ეკუთვნის პუბლიცისტური წერილები:

1. „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“;

2. „ცისკარი 1857 წლიდან – 1862 წლამდინ“;

3. „ხელოვნება და მეცნიერება“;

4. „საქართველოს მოამბეზედ“;

5. „სხარტულა, რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“.

I. 1. ლირიკა.

ილია ჭავჭავაძე მიისწრაფვოდა ახალი საქართველოს შესაქმნელად და როგორც ზევით აღვნიშნეთ, მის სულსა და გულში ჩაქსოვილი იყო მამულის სიყვარული. საქართველოში ჩამოსული ილია, უფრო მეტად გრძნობს სამშობლოს სიყვარულს და აი, ამ დროს დაწერილ მის პირველ ლექსში, რომელიც დაწერა 1861 წელს, შესანიშნავად გამოხატავს ამ გრძნობას;

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,

ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!

შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,

ღამე თენდება ვერეთ ჩემი და დღე ღამდება.“ (1, ტ.1, გვ.74).

მისი ფიქრები და გრძნობები მხოლოდ მის გულში ტრიალებს, და მას უხარია, რომ ცხოვრება მის ფიქრსა და მის სიყვარულში გადის. მაგრამ იგი გულის წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ის, ამდენ ხალხში, (როგორც ეს აღნიშნა ადრე, „მგზავრის წერილებშიც“), ვერ ხედავს იმას, ვისთვისაც შესძლებს თავის გულის ნადების გაზიარებას. ილია ეძებდა იმ კაცს, იმას, რომელიც გაუგებდა მას და მისი თანამოაზრე განხდებოდა, და ეს ერთსულოვ-

ნება იქნებოდა სამშობლოს ხსნის იმედი. გ. ქიქოძე წერილში, „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“ აღნიშნავდა, რომ:

„ადამიანი უბედურია არა მარტო მაშინ, როცა მისი გრძნობა და ლტოლვილება გარეშე პირობების ან ძლიერი მტრების მოწინააღმდეგე მიმდინარეობას ეჯახება და იღუპება. უფრო უბედურია ის მაშინაც, როცა გრძნობათა სიმების ჟღერა არავითარ გამოხმაურებას არ პოულობს მის გარშემო, როცა ის უაზრო მანქანებს ხვდება იქ, სადაც მგრძნობიარე და მეტროლ ადამიანებს ელოდა. სიბოროტით, შურიანობით, ღვარძლით ან სისასტიკით დამახინჯებული სახე მხოლოდ საშიშია, — ყოველ სულიერობას მოკლებული, უძრავ ნიღბაფარებული, გაქვავებული ან გაშეშებული სახე კი თავზარდამცემია, უდიდესი გენიოსები, ყოველთვის სულიერობას, უთვისტომობას, ბრბოს გაუგებრობას სთვლიდნენ თავიანთ უსაშინელეს სასჯელად. ი. ჭავჭავაძე ტირის არა თავის ტანჯვას, არამედ იმას, რომ ეს მისი ტანჯვა მამულისათვის არავის ესმის.“ (24, ტ. II, გვ. 45).

და ის ჩივილი მკაფიოდ გამოხატა ილიამ ამ ლექსში:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,

ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო.

რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,

რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..“ (1, ტ. 1, გვ. 74).

ამავე წელს, ილია ქმნის მეორე უსათაურო ლექსს, რომელიც გამოხატავს მის სამსახურს სამშობლოსადმი. იგი ცდილობს ამ სამსახურს ემსახუროს და ამავე დროს ეს მისი გულის ნადები უშიშრად ხალხს გადასცეს და გააგებინოს.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?

რასაც ემსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,

ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში

ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.“

(1, ტ. 1, გვ. 75).

სამშობლოზე ზრუნვა და მამულის სიყვარული მას სიყრმიდანვე თან სდევდა და ეს იყო მისი სალოცავი ხატი, და თუ კი მას ვერ გაუგებენ, იგი მიმართავს ღმერთს, რომ მან ხომ იცის, რომ მისი ეს განზრახვა „წმინდა არის“.

„თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,

რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი;

ავციოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა,

და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლით დღენი.“

(1, ტ. 1, გვ. 75).

აი რას წერს ამ ცნობილი სტროფის შესახებ გ. ასათიანი:

„ამ სტრიქონებს გააჩნიათ თავისი განუმეორებელი ელფერი, ეს შეეძლო ეთქვა მხოლოდ იმ პოეტს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრების აზრით, ყოველდღიური, ყოველწამიერი ღვწითა და ბრძოლით დაამტკიცა მათი შინაგანი სიმართლე და პოეტურობა. ამ პათეტიკური ფრაზის დღემდე შეუნელებელი უშუალო ზემოქმედების ძალა აიხსნება არა მხოლოდ ილიას მაღალი პოეტური ოსტატობით, იგი გაპირობებულია მთელი მისი პირადი, ადამიანური ბიოგრაფიითაც.

აქ მაღალი პოეზიის უკვდავ ენაზე გამოხატულია ილია ჭავჭავაძის ნამდვილი სულიერი დრამა, იმ საშინელი, საბედისწერო გაუგებრობით გამოწვეული ტკივილი, რომელიც მას წყევლასავით თან სდევდა სიჭაბუკიდან და რომელმაც იგი — უკვე მოხუცებული, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ერის მამა და მოძღვარი, წიწამურის შემზარავ ტრაგედიამდე მიიყვანა.“ (3, გვ.424).

ჩვენ ზევით არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ილია არ ერიდებოდა მისივე ხალხის, საზოგადოების ნაკლის დაფარვას. იგი თავის ნაწერებში მოურიდებლად ამხელდა და ცხადად გამოხატავდა იმ უარყოფით მოვლენებს, რომელიც მას თვალში ზვდებოდა, რადგან მისი გაგებითა და აზრით ამის მიფუჩქება და დაფარვა მხოლოდ საქმეს აენებდა. ამიტომაც ილია ყოველთვის ცდილობდა სიმართლე ეთქვა, რომ ხალხს ეს ნაკლი გამოეწორობინა და ამით საზოგადოება გამოეფხიზლებინა, ერი საბრძოლველად მოემზადებინა, მასში მომავლის იმედი ჩაესახა და ეროვნული გრძნობა გაეღვიძებინა. მაგრამ მაშინდელი საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი ილიას და საერთოდ თერგდალიულთა ამ გამოსვლებს ვერ გებულობდნენ და მტრულად შეხვდნენ. გაიმართა მათ შორის ლეტერატურული ბრძოლა, ძველ და ახალ თაობას შორის. პოეტმა შესანიშნავად გამოხატა ეს მდგომარეობა ამ ლექსში:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“ (1, ტ.1, გვ.75).

ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი და კრიტიკოსი სარგის ცაიშვილი (1929–1992) ამ ლექსის შესახებ წერს:

„მისივე პრინციპებიდან გამომდინარე, იგი არც საკუთარი ხალხის თუნდა იოტისოდენა ნაკლის დამთმობი არ იყო. წყლულს დაფარვა და მიფუჩქება კი არ შეგლის, მხილება და მკურნალობა სჭირდება. მისივე უსაყვარლესი გმირის ოთარანთ ქვრივის არ იყოს, მოფერებით არავინ გასულა ფონს....

საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად გონიერება და სიბრძნე იყო მისი დიდი მოღვაწეობის მანათობელი.

სწორედ ამიტომ ქართველი ხალხის აღორძინების ძნელად სავალ გზაზე მას ერთ უპირველეს მოკავშირედ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის გამომზეურობისათვის ზრუნვა და ისტორიული წარსულის შემეცნება მიაჩნდა. წარსული, აწმით და მომავალი მას უწყვეტ ჯაჭვად მიაჩნდა და ერთი რგოლის ამოვარდნაც კი ეროვნულ უბედურებად ჰქონდა წარმოდგენილი.“ (20, გვ.208).

ზევით ნახსენებ („მას აქეთ, რაკი...“ და „ჩემო კალამო“) ილიას ამ ორი უსათაურო ლექსების შესახებ გ. ასათიანი აღნიშნავს:

„შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ლირიკაში შეიტანეს პოეტური „ქადაგების“, ორატორული ხელოვნების ელემენტები. ამ თვალსაზრისით, ილიას ლირიკული შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს 1861 წელს დაწერილი ლექსები: „მას აქეთ, რაკი...“ და „ჩემო კალამო...“

კლასიკური მჭერმეტყველობის მთელი ფორმალური არსენალი აქ აყვანილია ჭეშმარიტი პოეტურობის ხარისხში, რადგან იგი აქ ორგანულად შეესაბამება და მთელი სისრულით გამოხატავს პოეტის სულის ცოცხალ ფეთქვას.“ (3, გვ.422).

პატრიოტული მოტივი, სამშობლოსადმი სიყვარული და ეროვნული თავდადება ქართულ მწერლობაში ყოველთვის იყო გამოხატული XIX საუკუნის რომანტიკოსების შემოქმედებაში. მაგრამ ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს სამშობლოს სიყვარული თავიანთ ნაწარმოებებში.

ილიას აზრით, მამულის სიყვარული უნდა შთაენერგოს კაცს ბავშვობიდანვე. ამას ცხადად გამოხატავს 1863 წელს დაწერილი ლექსი „გ. აბხ...“, რომელიც ეძღვნება აკვანში მწოლიარე ყრმას. პ. ინგოროყვას ცნობით, ამ ლექსში, „გ. აბხ.“ იგულისხმება გიგო აბხაზი, ილიას დისწული. (შვილი ილიას უფროსი დის ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისა).“ (1, ტ.1, გვ.399).

ეს ლექსი, დალოცვაა ყრმისა. ავტორი ღმერთს სთხოვს, რომ ყრმას მისცეს ძალა რათა შეძლოს ხალხის სამსახური და ამისათვის მასში შთაბეროს „ძლიერი სული“. სამშობლოსადმი მოსიყვარულე მამულისშვილის აღზრდა და მასში გმირული სულის შთაბერვა აკვანშივე, ყრმობიდანვე უნდა იწყებოდეს.

„ღმერთო!.. აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,

ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე,

ალუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი,

ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

ღმერთო!.. მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მომქე ერთგული და მოყვარული.
ღმერთო!.. თან სდეგდე უსუსურს ბავშვსა,
რომ ღღენი ისე არ დაელიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს.“ (1, ტ.1, გვ.76).

როგორც დავინახეთ ეს სამივე ლექსი: „მას აქეთ, რაკი...“, „ჩემო კალამო“ და „გ. აბხ...“ მამულის სიყვარულს ეძღვნება.

I. 2. პროზა.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ამავე დროს ეკუთვნის, ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი დაუმთავრებელი მოთხრობები.

ამ მოთხრობების შესახებ პ. ინგოროყვა წერს:

მოთხრობა „უღელტეხილი“ „დიდის მხატვრობით არის შესრულებული. ამ მხრივ „უღელტეხილი“ მაღლა დგას ყველა იმ ექსიზებზე, რომელიც ილიას გამოუქვეყნებელი დაუტოვებია....

აქ გვაქვს პროლოგი რომელიდაც დიდი მოთხრობისა, და არა დამოუკიდებელი ეტიუდი. ამას სხვათა შორის გვაფიქრებინებს თვით სახელწოდებაც მოთხრობისა – „უღელტეხილი“. ეს სახელი მოთხრობის შენახულ ნაწილში არ პოულობს გამართლებას, და იგი ალბათ მოთხრობის შემდეგი განვითარების ხაზებს იგულისხმებს....

ფრაგმენტები „კატო“, „რამდენიმე ხანა“, „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ და „გუბე“ არის წინასწარი ესკიზები მოთხრობისა ქართველ ინტელიგენციის ცხოვრებიდან; ამ მოთხრობაში,.... ერთი მთავარი პერსონაჟი უნდა ყოფილიყო – ახალი თაობის წარმომადგენელი, „თერგდალეული“. ხოლო მოთხრობაში „უღელტეხილი“ აღწერილია „თერგდალეულის“ საქართველოში დაბრუნება ხუთ წელიწადს უცხოეთში ყოფნის შემდეგ. და აქ იბადება საკითხი, ზომ არ არის „უღელტეხილიც“ ამავე მოთხრობის ერთ-ერთი ესკიზი, პროლოგი?“ (1, ტ.2, გვ.608).

დანარჩენ, ოთხ დაუმთავრებელ მოთხრობებს: „კატო“, „მარგალიტი ლექსში“, „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ და „გუბე“, პ. ინგოროყვას თქმით:

„ამ ოთხ ნაწევებს სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს ილიას მხატვრულ ნაწერებში. ობიექტი ილიას ყველა მოთხრობებისა, დაწვებული „გლახის ნაამბობით“ და დასრულებული „ოთარაანთ ქერივით“ – ეს არის ქართული სოფელი. ხოლო ამ ოთხ ფრაგმენტში პირველად გვხვდება ცდა 60-იანი წლების ქართული ქალაქისა და ინტელიგენციის ტიპების ასახვისა....

ცხადია, რომ პირველი ორი ნაწევები – „კატო“ და „რამდენიმე ხანა მოთხრობისა – მარგალიტი ლექსში“ – ერთი და იმავე მოთხრობის ნაწილებია.

რაც შეეხება მესამე ნაწევებს (– „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“) – ისიც თითქო შეიცავს ერთნაირ Pendant-ს იმ საუბრისა, რომელიც წარმოებს მეორე ნაწევებში – („მარგალიტი ლექსში“). თავის მხრივ უკანასკნელი, მეოთხე ფრაგმენტი („გუბე“) ზოგ ხაზებში მესამე ნაწევებს უახლოვდება. მაგრამ მაინც ამ ორი უკანასკნელი ფრაგმენტის შესახებ გადაჭრით ვერ ითქმის, იმავე მოთხრობის სხვადასხვა ესკიზებია ისინი, თუ დამოუკიდებელ მოთხრობათა დასაწყისი.

ფრაგმენტების მიხედვით, ამ მოთხრობაში (თუ მოთხრობებში) სამი მთავარი პერსონაჟი უნდა ყოფილიყო დახატული: კატო – ინტელიგენციის ღარიბი წრიდან; მეორე ქალი, არისტოკრატი – ახალი თაობის იდეების მიმდევარია, რომელიც ილუპება არსებულ საზოგადოებრივ პირობებში; მესამე პერსონაჟი, ვაჟი, ჩანს, თვით ამ ახალთაობის წარმომადგენელია, „თერგდალეულია“. (1, ტ.2, გვ.605).

II. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემოქმედების მეორე დროის მეორე ნახევარი. 1864 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე.

1864 წლიდან დაწყებული, შეიძლება ითქვას, რომ იწყება ახალი დრო მის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

ილიას 1861 წლიდან 1871 წლამდე არც ერთი ლექსი არ შეუქმნია. როგორც ვარაუდობენ, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი ოჯახური პირობებისა და ცენზურის გამო, როდესაც ი. ჭავჭავაძეს ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს დაუხსურეს (გამოვიდა მხოლოდ 12 ნომერი).

1864 წელს, ოჯახური პირობების გამო, იგი იძულებული შეიქმნა შესულიყო სახელმწიფო სამსახურში და აპრილში, მუშაობა დაიწყო ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ, შემდეგ – საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, 1864 წლის ნოემბრიდან დანიშნეს აღმოსავლეთ საქართველოში, მომრიგებელ შუამავლად. ხოლო, 1868 წლის თებერვლიდან, იგი გადაიყვანეს დუშეთის მაზრაში მომრიგებელ მოსამართლედ. იგი ამ თანამდებობაზე დარჩა 1873 წლის მაისამდე. ამის შემდეგ, ილია საცხოვრებლად დამკვიდრდა თბილისში და ენერგიულად ჩაება როგორც საზოგადო საქმეებში, ასევე იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას.

1875 წელს აირჩიეს სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედ, რომელიც ილიას თავდაუზოგავი მოღვაწეობის გამო, სინამდვილეში იქცა ქართულ ეროვნულ ბანკად. რომელიც დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. 1879 წლიდან, მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1885 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ამ საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო. 1881 წლიდან, არჩეულ იქნა მისივე თაოსნობით დაარსებულ ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარედ. 1906 წლის აპრილში, არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

პ. ინგოროყვას თქმით:

„ილიამ, საკუთრივ სალიტერატურო და პუბლიცისტური მოღვაწეობის გვერდით, უდიდესი საქმიანობა გაშალა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე. ილია იყო მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი თითქმის ყველა ქართული ორგანიზაციისა და დაწესებულებისა, რომლებიც წარსული საუკუნის უკანასკნელ მესამედში შეიქმნა.“ (7, გვ.458).

1877 წელს ილიამ დააარსა გაზეთი „ივერია“, რომელიც შემდეგში ჟურნალად გადაკეთდა. „ივერია“ გახდა საქართველოში მთავარი ეროვნული და ლიტერატურული დასაყრდენი გამოცემა.

ამ დროს ეკუთვნის ის შესანიშნავი ნაშრომები, რომელშიც ილიამ სხვადასხვა საკითხები განიხილა. სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ მის დროს საქართველოში არ დარჩენილა ისეთი დარგი, რაზედაც ილიას ყურადღება არ მიექცეოს, ეს იქნებოდა საგარეო, თუ საშინაო მდგომარეობა.

II. 1. ლირიკა.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის დროიდან მოყოლებული ყოველთვის თვალყურს ადევნებდა საზღვარგარეთ მომხდარ ამბებს და ეცნობოდა ახალ იდეებსა და აზრებს. იგი არასდროს არ იყო შემოფარგლული ვიწრო ეროვნული სიყვარულით. ერის მოთხოვნილებას, ერის მიზნებს ყოველთვის განიხილავდა სხვა ერისა და სხვა ქვეყნებთან ერთად.

ილია ჭავჭავაძე თვალყურს ადევნებდა საფრანგეთში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელიც მიმდინარეობდა 1871 წელს. პარიზის კომუნის დაცემის დღეს მან მიუძღვნა ლექსი „1871 წელი 23 მაისი. (კომუნის დაცემის დღე)“, რომელიც დაწერა ღუშეთში, სადაც იგი იმ დროს მუშაობდა. ამ ლექსს დაბეჭდვისას, ცენზურის გამო, ჰქონია სათაურად „პარიჟი“. პ. ინგოროყვა ლექსის შესახებ აღნიშნავს, რომ: „ლექსი დათარიღებულია 1871 წლის 29 მაისით, ე. ი. დაწერილია პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ უახლოეს დღეებშივე.“ და მოჰყავს რუსი კრიტიკოსის ვიქტორ გოლცევის (1901–1955) ნათქვამი:

„ერთი რუსი მწერალი სამართლიანად წერს ილიას ამ ლექსის გამო:

„Не только в грузинской, но и в русской поэзии того времени не найдётся другого стихотворения, прославляющего с такой силой и ясностью мысли борцов Парижской коммуны 1871 года.“ (7, გვ.438). („ართუ ქართულ, არამედ იმ დროინდელ რუსულ პოეზიაშიც არ მოიძებნება სხვა ლექსები, რომლებიც განადიდებდნენ ასეთი ძალით და ასე ცხადათ 1871 წლის პარიზის კომუნის მებრძოლებს“).

ლექსში, ილია პარიზის კომუნას უწოდებს „ტვირთმიძიმეთ და მაშვრალთა მსხნელს, ხოლო მის დაცემას თვლის როგორც დიდი დროშის დაშლას და ძალმომრეობას. ერი ისევ მოყვასათვის ეწამა და ქვეყნისათვის დაიდვარა წამებულითა სისხლი. ილია წერს, რომ „კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება“, რომელიც ქვეყნის ხსნისათვის იყო მოვლენილი, რომლის გულისათვის თვითონ ღმერთიც კი ეწამა და ჯვარცმული იყო. ამ ლექსს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.“ (1, ტ.1, გვ.77).

ამავე წელსვე, ილიამ დაწერა ერთ-ერთი ცნობილი, შესანიშნავი სატირული ლექსი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა.“

ამ ლექსში, მთელი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საზოგადოებრივი უარყოფითი მოვლენები საშინელი დაცინვითაა გადმოცემული. განკიცხულია ყველა საზოგადოების წარმომადგენელი, რომელთა შემწეობითაც საქართველო ჩაეარდა კოლონიურ მდგომარეობაში. პოეტმა ზოგადათ სასტიკად გაამასხარავა ყველა ის პირი, ვინც მხოლოდ თავისთავზე ფიქრობდა და საზოგადო საქმე, ქვეყნისათვის ფიქრი, არაფერს წარმოადგენდა.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძის დაცინვა, ირონია იმდენად მრისხანეა, სასტიკია და პირდაპირია, ამავე დროს იმდენად სიმართლის ამსახველია, რომ თუ კაცი დაუფიქრდება და გაიაზრებს მის მიერ წარმოსახულ სატირას და მოვლენებს, სიცილის მაგიერ, სატირალი ხდება.

მისი მეგობრებისა და ახლობელთა გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს ბავშვობიდანვე დაჰყოლია სატირული ნიჭი. კ. აბხაზი გადმოგვცემს:

„ილია პატარაობიდანვე მართალია როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო, მაგრამ ამასთანავე მაშინადაც ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდა. მეტის მეტი მოსწრებული ზუმრობა იცოდა და თუ კი ვისმეს სასაცილოდ აიგდებდა, მართლაც რომ მიწასთან გაასწორებდა.“ (12, ნაწ.1, გვ.284).

ეს სატირული ნიჭი, ილიამ ამ ლექსში მთელი სიმძლავრით გამოავლინა.

ლექსში მიმდინარეობს საუბარი პაპასა და შვილიშვილს შორის. შვილიშვილი ეკითხება პაპას საქართველოს ისტორიის შესახებ. შვილიშვილის ყოველ დასმულ შეკითხვას, პაპა აძლევს მოკლე და რეალურად ასახულ ზუსტ პასუხს. მაგრამ, თვითეული პასუხი წარმოადგენს ილიას მიერ დანახულ, სატირულ ფორმებში გადმოცემულ საქართველოს ისტორიას.

შვილიშვილი კითხულობს, როდესაც ერეკლე მეფე, „ქვეყნის იმედი“ გარდაიცვალა და „მიიწურა ქართლის ბედი“, ამის შემდეგ „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?“ პაპა უპასუხებს:

– „შენი მტერი!.. პირლიადა
დავრჩით და ცას შევყუროდით.“ (1, ტ.1, გვ.78).

შემდეგ, როდესაც ერეკლეს შვილი დაჯდა შერყეულ თახტზე და მას აუ-
ჯანყდნენ თვისტომნი, მაშინ „რას ვშვრებოდი?“ კითხულობს შვილიშვილი.

– „ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინეთ
ვიწწდით და ვიწწებოდით.“ (1, ტ.1, გვ.78).

როდესაც მეფე უკიდურეს მდგომარეობაში ჩავაგდეთ, მერე, „რას ვშვრე-
ბოდი?“

– „რუსეთისკენ სახვეწელად
გავრბოდი და გამოვრბოდი.“ (1, ტ.1, გვ.79).

შვილიშვილი კითხულობს: ამის შემდეგ, როდესაც გიორგი მეფემ მცველებად
ლევები ჩამოიყვანა და თავისი ქონებაც საქართველოს მონახმარა, მაშინ, „რა
ვაკეთეთ? რას ვშვრებოდი?“

– „მადლიერნი მუთაქაზედ
ვიწეკით და ვნებივრობდით.“ (1, ტ.1, გვ.79).

ხოლო, შემდეგ, როდესაც მეფე გარდაიცვალა და მისი შვილები ერთმანეთს
აემალნენ და „ქართლის ბჭენი“ ძირს დასცეს, მაშინ „რას ვშვრებოდი?“

– „ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო-თვითოდ ვღალატობდით!“ (1, ტ.1, გვ.79).

შემდეგ, როდესაც უცხო ხალხის ხელში აღმოვჩნდით და ქართლის ბელს
როგორც უნდოდა ისე ბურთსავით ათამაშებდნენ, მაშინ?

– „ჩვენც ყაბახზედ ვაჟაკურად
ვჯვრითობდით, ვბურთაობდით!“ (1, ტ.1, გვ.79).

მაგრამ, როდესაც ჩვენს მიერ მოწვეულმა უცხო ხალხმა დახმარების მაგივ-
რად „წავგვიჭირა თოკი ყელში“, მაშინ, „რას ვშვრებოდი?“

– „მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთ ტაფაში ვიწვევოდით.“ (1, ტ.1, გვ.80).

ამის შემდეგ, როდესაც მივხვდით რაც დაგვემართა და „სინდისმაც გაგვაძ-
ხილა“, „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდი?“ ეკითხება პაპას შვილიშვილი.

– „შერცხვენინი და დამწვარნი
აქა-იქა ვჩურჩულობდით.“ (1, ტ.1, გვ.80).

შემდეგ, როდესაც ეს ჩურჩული გადაიზარდა ერთმანეთის ბეზლობაში და
ამით ზოგიერთმა თავი გადირჩინა და ქვეყნის ბედზე ზრუნვას თავი დაანება,
ჩვენზე ბედოვლათობით ქონებაც გავფლანგეთ, ერთმანეთს მამულებსაც შევე-
ცილეთ, ერთმანეთს ვტრობდით, რის გამოც გავღარიბდით და გავღატაკდით,
მაშინ „რას ვშვრებოდი?“ პაპა უპასუხებს:

– „თვით შევსხედით მაღლა თაროს
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით?“ (1, ტ.1, გვ.80).

შემდეგში, როდესაც ეს ყმებიც ჩამოგვართევს, მერე რაღას ვაკეთებდით?

– „მაგას, შვილო, ნულარ მკითხავ...
ვტიროდით, ვიხოცებოდით!..“ (1, ტ.1, გვ.80).

შემდეგ, როდესაც ყმები აღარ დაგვიბრუნდა, შევკქმენით საშვილიშვილო ბანკი, მაგრამ ერთმა უმუხთლა, მერე „რას ვშვრებოდით?“

– „Наплеши“–ბა გვასწავლეო,
მთავრობას ვეხვეწებოდით.“ (1, ტ.1, გვ.82).

და ბოლოს, როდესაც კიდევ დააპირა შვილიშვილმა კითხვის დასმა, პაპა გაუწყრა. ილია ამ ლექსს ამთავრებს შემდეგნაირად:

„მერე, როცა... – კიდევ როცა!... –

აქ გამიწყრა პაპა-ჩვენი:

„პოყოლუსტა“, დამეხსენი.

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით

უსაქმოდ ვეხეტებოდით.“ (1, ტ.1, გვ.82).

აი, ასე სასტიკად დაგვიხატა და გააკრიტიკა ილიამ XIX საუკუნის საქართველო. თვალწინ გადაგვიშალა და გვიჩვენა ის ჩვენი ნაკლოვანი მხარეები, რომელიც ხდებოდა იმ დროს საქართველოში.

ამავე წელსვე, ილიამ დაწერა სუსხიანი სატირით გამსჭვალული ლექსი „ბედნიერი ერი.“

ეს ლექსი, საინტერესოა იმით, რომ პოეტი არ ეხება პირადად ვინმეს, არამედ ის ხაზგასმით აღნიშნავს სიტყვას „ჩვენი სოფანას“, ესე იგი ამით პოეტი მთელი ერის ნაკლოვან მხარეს ეხება; და უნდა, რომ ეს ნაკლოვანება, მანკიერება, რომელსაც იგი ჩვენს ერში ხედავს, დაგვანახოს, საამკარაოზე გამოიტანოს, ამით ერი გამოაფხიზლოს და ეს ნაკლოვანება ერმა გამოასწოროს. ის მხატვრული ხერხები, ის იუმორი, ის გადასვლები ერთი საკითხიდან მეორეზე, ისე აქვს აგებული, რომ შეუძლებელია მკითხველმა ნათლად არ წარმოიდგინოს და ავტორს არ დაეთანხმოს. ამავე დროს, პირველი სტრიქონიდანვე დაწყებული, ჩვენ შევიგრძნობთ, თუ რა გულის ტკივილით აღწერს პოეტი, ჩვენი ერის ყველა ნაკლოვანებებს. ილია ლექსს იწყებს სიტყვებით:

„ჩვენი სოფანა ბედნიერი

განა არის სადმე ერი?!“ (1, ტ.1, გვ.83).

და ამის შემდეგ იწყებს, მის მიერ დანახულ ერის ყველა მანკიერი მხარის ჩამოთვლას.

„მძიმე ყალბით,
ლამაზ ფალბით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედრეკილი, მაღლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახენი და ღონიერი.“ (1, ტ.1, გვ.83).

შემდეგ, დაცინვის კილოთი განაგრძობს ერის ნაკლოვანების ჩამოთვლას;

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ღმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცულლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერ წაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;

უზღუდონი,
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მემობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.“ (1, ტ.1, გვ.83).

და ამდენი ნაკლოვანების აღნიშვნის შემდეგ, პოეტი ლექსს ამთავრებს ირონიული შეკითხვით:

„ჩვენისთანა ბედნიერი
კიდეუ არის სადმე ერი?!“ (1, ტ.1, გვ.84).

ამავე წლის 7 დეკემბერს, დუშეთში ყოფნის დროს, ილია ჭავჭავაძემ შექმნა ორი სატირული ლექსი: „გამოცანები“, რომელიც შესდგება 9 ლექსისაგან და „კიდეუ გამოცანები“, ის შეიცავს 7 ლექსს. ეს ლექსები წარმოადგენენ ღვარძლიან დაცინვას, მწვავე ირონიით გამსჭვალულ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს.

თანახმად გადმოცემისა, ლექსები სანამ დაიბეჭდებოდა, ხალხში ვრცელდებოდა ხელთნაწერის სახით.

საზოგადოებაში დიდი ყურადღება მიუქცევია და ყველანი გატაცებით კითხულობდნენ.

ილიას „გამოცანების“ გავრცელება უთხოვნია, ცნობილი პოეტის, დრამატურგის, მთარგმნელის, პუბლიცისტის და ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის დავით ერისთავისათვის (1847–1890). 1871 წელს დ. ერისთავისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

„დათიკო! გიგზავნი გამოცანებს. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აღწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ – არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა – არ უნდა იცოდეს ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, – ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში, მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი“ ყველაფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყენად აღარ ეღირება. გამიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორც უპატრონებ.“ (1, ტ.10, გვ.33).

„გამოცანების“ დაწერის მიზეზს პ. ინგოროყვა შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„უშუალო მიზეზი ამ გამოცანების დაწერისა, — ეს ყოფილა თავადაზნაურობის კამარლიის მოქმედება იმპერატორის ჩამოსვლის დროს საქართველოში 1871 წელს. თავადაზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორისათვის მისართმევად. თავადაზნაურობის ყრილობამ, რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული ამ შემთხვევისა გამო, დაადგინა („თერგდალეულთა“ ჯგუფის გაკვლით) მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში, რის შესახებაც შედგენილ იქნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა (მეფის—ნაცვლისა, ბარონ ნიკოლაისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის სურვილის თანხმად) გვერდი აუარა ამ დადგენილებას და წარადგინა სხვა ადრესი, სადაც ნაცვლად უნივერსიტეტისა მოთხოვნილი იყო კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისში... ეს ადრესი შედგენილი იყო — თავადაზნაურობის იმდროინდელი მესვეურებთან შეთანხმებით — კომისიის მიერ, რომელშიც შედიოდნენ:

გიორგი მუხრან-ბატონი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ლოლობერიძე და მიხეილ თუმანიშვილი.

ადრესის ისტორიამ, და საერთოდ იმ ლაქიურმა სულმა, რომელიც დატრიალდა თავადაზნაურობის მოთავე წრეებში იმპერატორის ჩამოსვლის გამო, გამოიწვია ილიას ეს გამოცანები.“ (1, ტ.1, გვ.388).

როგორც ჩანს, სწორედ ამ კომისიის წევრები ასე სასტიკად გააკრიტიკა და თვითეული სასაცილოდ აიგდო ილიამ ამ ლექსში. როგორც ეტყობა, მათი გამოცნობა არავის გასჭირვებია.

ამავე დროს, „გამოცანები“, წარმოადგენდა ახალი თაობის, „შვილების“, აღშფოთების გამოხატვას, ძველი თაობის, „მამების“, მიმართ.

ყოველ ლექსს, ილია ამთავრებს სიტყვებით, რომ კომისიის წევრებს ქვეყანა და ქვეყნის საქმე „ფეხებზედ ჰკიდიათ“.

პირველი ლექსი ეხება გენერალ-ადიუტანტს რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს (1814—1877). რ. ანდრონიკაშვილი (1870—1877) თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მე-7 მარშალი იყო. ილიამ მასხრად აიგდო მისი გარეგანი შეხედულებაც და მისი მოქმედებაც.

„ულვაშ-სრული, მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,
დიდგულა და ბოხ-ხმიანი,
თუმცა ტანად პატარაა,

სხვაფრივ კი კარგა დიდია,
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.“ (1, ტ.1, გვ.85).

ასეთი დახასიათების შემდეგ, მისი გამოცნობა, რა თქმა უნდა არავის გაუჭირდებოდა.

მეორე ლექსში, პოეტი ახასიათებს გიორგი მუხრანბატონს (1821–1877), რომელიც იყო რუსეთის მეფის მთავრობის მოხელე, მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი, მეფის ნაცვლის მთავარი სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი და სენატორი.

„კოხტაა და ლობემძვრალა,
პატარა და ჩამომხმარი,
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,
უჟამური, განს გამდგარი.
ჭკვიით და გულით მოცვეთილი,
ქვეყანაზედ უქმად გდია,
თვით მალლა ზის, – ქვეყნის საქმე
მასაც ფეხებზედ ჰკიდია.“ (1, ტ.1, გვ.85).

მესამე პიროვნება, რომელსაც ილიამ მიუძღვნა ლექსი, იყო ივანე მუხრან-ბატონი (1809–1895) გიორგის ძმა, მსხვილი მემამულე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი.

„ბულა არის, კისერმოკლე,
პირ-რგვალი და ტანად სრული,
ლაზღანდარა და მასხარა,
ქვეყნისაგან ლაფდასხმული.
გაქნილობა რომ გაუდის,
ჭკვის ხმა აქვს დავარდნილია,
მაგრამ ჭკვიანი არ არის,
იგი მარტო გაქნილია.
ტაციობით დღეს აღამებს,
გულმურტალი და ფლიდია,
ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.“ (1, ტ.1, გვ.85).

ილიას გაკრიტიკებული ჰყავს დიმიტრი ჯორჯაძე (1822–1883) კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი; იასე ჭავჭავაძე, გუბერნიის სამმარ-

თველოს წევრი. ასევე გაკენწლა ილიამ, ისტორიკოსი, პლატონ იოსელიანი (1809–1883). მართალია მას მონაწილეობა ადრესის შედგენაში არ მიუღია, მაგრამ ემხრობოდა „მამათა“ ბანაკს; და პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ბესარიონ დოლობერიძე (1832–1879), რომელიც ადრე ემხრობოდა „თერგდალეულებს“, ხოლო შემდეგ, მიემხრო „მამათა“ ბანაკს.

მერვე ლექსი, ილიამ მიუძღვნა ჩვენ მსცოვან პოეტს გრიგოლ ორბელიანს (1804–1883), რომლის მიმართ ილია, ყოველთვის პატივისცემით იყო განწყობილი და მას დიდათ აფასებდა.

ჩრდილოეთ კავკასიელთა ხალხის დამოუკიდებლობისათვის 25 წლიანი ბრძოლის მეთაურის, შამილის (1797–1871), დატყვევების შემდეგ, მრავალი ორდენებით დაჯილდოვებული გრიგოლ ორბელიანი, რუსეთის მთავრობამ დანიშნა კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად, შემდეგ მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად. იგი იყო ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელი. იგი აკავშირებდა ძველსა და ახალ თაობას. ილია მას ახასიათებს როგორც გაუბედავ პიროვნებას.

„მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალი,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი,
ძველთაგანა ეგლა დარჩა,
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკილია.“ (1, ტ.1, გვ.88).

ბოლო, მეცხრე ლექსი, ილიას თავისთავზე აქვს დაწერილი, სადაც პირდაპირ ეუბნება კომისიის წევრებს, რომ მას;

„მეცხრე გამოცანად ითქმის:
– ეს ვის დაუწერიაო?
ნუ გაწყრებით და ნურც იტყვით:
– იგი ჩვენი მტერიაო.
თუ გაწყრებით, რა მენაღვლის?!

მე არ მაქვს თქვენი რიღია,
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზედ მკიღია.“ (1, ტ.1, გვ.88).

პ. ინგოროყვა ამ ლექსის შესახებ წერს, რომ:

„1871 წელს ილიამ დაწერა ცნობილი „გამოცანები“, რომელშიაც სამარცხ-
ვინო ბოძზე გააკრა მთელი კონსერვატიულ-რეაქციული ბანაკი „მამებისა“. (7,
ტ.1, გვ.442).

მეორე პამფლეტში, „კიდევ გამოცანები“, ილიამ იგივე მხატვრული ხერხე-
ბითა და ისეთივე იუმორით გამოხატა მასში გამოსახული პირები. პ. ინგოროყ-
ვას თქმით, „კიდევ გამოცანებში“, „იგულისხმებინა შეძლევი პირები:

1. მიხეილ ტარიელის-ძე ლორის-მელიქოვი (1825–1888) –
გრაფი, მინისტრი. შეძლევი, გამოცანების დაწერის დროს იგი თერგის ოლქის
უფროსი იყო.

2. ლევან მელიქიშვილი (1817–1892) – გენერალი, დაღესტნის
ოლქის უფროსი.

3. იოსებ დავითის-ძე თარხნიშვილი (გარდაიცვალა 1878 წ.) –
გენერალ-ადიუტანტი.

4. მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი (1818–1875) – ლიტე-
რატორი (პოეტი – მდარე ღირსებისა. „ცისკრის“ თანამშრომელი. იგი მონაწი-
ლეობას იღებდა იმპერატორისათვის მისართმევ ადრესის შედგენაში).

5. დიმიტრი ყიფიანი (1814–1887) – ცნობილი საზოგადო მოღვაწე.“
(1, ტ.1, გვ.390).

ამათს შორის ყველაზე უფრო გამასხარავებულნი და გაკრიტიკებულნი იყვ-
ნენ: ლორის-მელიქოვი და იოსებ თარხნიშვილი.

პირველი ლექსი ილიამ სწორედ ლორის-მელიქოვს მიუძღვნა.

„ოინბაზი, ლაქათაა,
გრძლად გალეული მელია,
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,
ეხლა ქვეყნის მმართველია;
ცუღლუტია, ხერხიანი,
ენაცქვიტი, ყურმანვილი;
დროთა ბრუნვის შესაფერი
კარგად იცის მოძახილი,
მარჯვედ მოდის კოჭის ყრაში,

სურს აღჩუა, სურს თაფია;
ბევრჯერ გაძვრა და გამოძვრა,
მაგრამ ვერ გახდა გრაფია.
გრაფობისთვის ერი დაკლა,
ცოდვა დაიდვა დიდია,
მაგრამ ერიც და ქვეყანაც
იმას ფენებმედ ჰკილია.“ (1, ტ.1, გვ.89).

გ. ჯიბლაძეს მოჰყავს ვ. ყიფიანის ნაამბობიდან:

„ლორის-მელიქოვი, ისე როგორც ბევრი მაშინდელი მაღალხარისხოვანი
სომეხი, ქართველებში არ გამოირჩეოდა.... ლორის-მელიქოვს, მომავალ თავ-
ჯდომარეს უზენაესის კომისიისას, ვერაფრად ეჭაშნიკა თავის-თავის გამოჭიმვა
გამოცანაში და ერთს წამს სახე მოელრუბლა, მაგრამ ისევ მალე გამხიარულდა
და სთქვა: მაინც გავხდები გრაფიო და ხომ გახდა კიდევ ცხრა წლის შემდეგ.“
(20, ნაწ.1, გვ.309).

მეორე ლექსში, ილია საუბრობს ლევან მელიქიშვილის შესახებ. აღნიშნავს
მის დამსახურებას საქართველოს წინაშე, რომ იგი ქართველობს. თუმცა სხვა
სიკეთეს მასში ვერ ხედავს, მიუხედავად იმისა, რომ:

„თუმც სიკეთის ქმნად შემთხვევა
იმას მრავალჯერ ჰქონია.
ჩვენგან შორსა მას უჭირავს
რაღაც ადგილი დიდია,
ნეტა ვიცოდე: ქვეყანა
მასაც ფენებზედ ჰკილია?!“ (1, ტ.1, გვ.89).

მეორე პიროვნება, რომელსაც ილიამ ყველაზე უფრო დასცინა და შეიძლება
ითქვას, რომ მიწასთან გაასწორა, არის იოსებ თარხნიშვილი.

„ბაიყუშივით თავდიდა,
დაღვრემილი და ბღვერია,
მუდამ გაბუტვილი დადის,
რაღაც უტყვი და შტერია;
თავმძიმეა, ჭკვასუბუქი,
ცომივით გათქვლეფილია,
ჯილდოსთვის ბევრი დაქსასა
მან საქართველოს შვილია.

დელათ წყევლამა აუგო
მას საქოლაჲი დიღია,
მაგრამ წყევლაც და ქვეყანაც,
ორივ ფეხებზედ ჰკიღია.“ (1, ტ.1, გვ.90).

ყველაზე გრძელი ლექსი, „კიდევ გამოცანებში“, ილიამ მიუძღვნა მიხეილ თუმანიშვილს. პოეტი მას უწოდებს, როგორც „ჩინოვნობაში“ „გამოქნილს“ უსახო და უხამს „ქართულ მალჩალინს“, რომელიც „მამის სახელით გამოდის“ რადგან თვითონ არაფერს წარმოადგენს. მწერლობისას „სხვის წიგნიდამ ფრახებს“ იპარავს, ყველა სავეზირო საქმეში „მამინვე წაეჩრება“ და თავს იწონებს თავის „ჩინებით“; და ამ ლექსს პოეტი შემდეგნაირად ამთავრებს:

„ეს გამოცანა, მკითხველო,
ახირებულად გრძელია,
ფუყე, უსახო კაცისა
მოკლედ აღწერა ძნელია.
ვირ-ემმაკადა ორპირი,
ეგ დიდად მოსარიღია,
ქართლი, სომეხი, რუსეთი,
სამივ ფეხებზედ ჰკიღია.“ (1, ტ.1, გვ.91).

ერთადერთი პიროვნება, ვისაც ილია ჭავჭავაძე „კიდევ გამოცანებში“ ქება-დიდებათ მოიხსენიებს, ეს არის დიმიტრი ყიფიანი. მას პოეტმა მიუძღვნა მეხუთე ლექსი, რომელიც შემდეგი სიტყვებით არის შემკული:

„ერთის კარგის საქმის იგი
დამწყობი, მეთაურია;
თქმულა, – ნაყოფისაგანო
ხე იგი საცნაურია.
თუ ესეა, მამ არ აღვწერ
მის ნიშნებს და მის სახესა,
მარტო ნაყოფს დაგანახვებთ
და მით სცნობდეთ თვითონ ხესა.
ჩვენის ქვეყნის საკეთილოდ
მან მარტომან შეგვძრა ყველა,
ერთმანეთის მტრებს გვასწავლა
ერთმანეთის ძმური შველა.
ბანკის ძირი იმან ჩარგო,
ლონე ხსნისა მოგვცა ხელთა;

მე იგი კაცად მგონია
მით, რომ საქმითაც ქვეყნისა
მას სიყვარული ჰქონია.

მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა
ფეხებზედ არა ჰკიდა.“ (1, ტ.1, გვ.91).

მეექვსე ლექსში ილიამ დასცინა და გაამასხარავა ყველა ისინი, ვინც „აღ-
წერილთა ჯურის ხალხს“ ეკუთვნოდა და „თავის ქერქში“ იყვნენ შემალულნი.
„ხროვა ეგე, ანუ ჯოგი,
საუბედუროდ, დიდა;
მათ ყველას ერთად ქვეყანა
შინვე ფეხებზედ ჰკიდა.“ (1, ტ.1, გვ.93).

ბოლო, მეშვიდე ლექსში ილიას, როგორც „გამოცანებში“, თავისთავი ჰყავს
გამოყვანილი. თუმცა სინამდვილეში მან ყველას დაანახა, თუ რას წარმოად-
გენენ ეს ბობოლა გამყიდველი პირები, რომელთა საქმიანობა მხოლოდ „ფლი-
დობა და თვალთმაქცობა“ წარმოადგენდა.

„ესეც გამოცანად ითქმის:
– „ნეტა ამას რისთვის სწერსო,
მეთაური დაგვიღანძლა,
მით ახარებს ჩვენსა მტერსო?“
ჩვენი მტერი – სიბრმავეა,
უვარგ კაცზედა დანდობა,
ჩვენი მტერია ზოგ-ზოგის
ფლიდობა და თვალთმაქცობა.

მინდა, რომ ვინც ჩვენის ქვეყნის
ჩვენში პირ-მომარიდია,
ის თქვენც ფეხებზედ გეკიდოსთ,
ვით მე ფეხებზედ მკიდა.“ (1, ტ.1, გვ.93).

3. ინგოროყვა გადმოგვეცემს, რომ:

„1872 წლის იანვარში გრიგოლ ორბელიანმა პასუხი გასცა ილიასა და
ახალთაობას ლექსით: „პასუხი შვილთა“.

ამის საპასუხოდ ილიამ დაწერა თავისი ცნობილი „პასუხის პასუხი“, სა-
დაც ილიამ მაღლა აღმართა ახალი თაობის დროშა და კვლავ შეუბრალებლად

ამხილა „ძველების“ ბანაკი, რომელნიც ერის მომავალს „მკვდრის სუდარას“ აფარებდნენ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ გრიგოლ ორბელიანი თუმცა „ძველების“ დამცველად გამოვიდა, მაგრამ სინამდვილეში იგი „ახლებთან“ უფრო იყო ვიდრე „ძველებთან“. როდესაც გრიგოლ ორბელიანს წაუკითხავს ილიას ლექსები, გრიგოლს უთქვამს: „არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს თავისი შვილისაგან. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოთ, მივა ეს ამბავი და არ ივარგებს, არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი იღუმალი გულის ზრახვანი!“

ამრიგად, გრიგოლი ამ შემთხვევაშიც ამჟღავნებდა იმ გაუბედაობას, რასაც ილია უსაყვედურებდა მას „გამოცანებში“. გაუბედაობა ყოველ შემთხვევაში გმირობა არ არის... ხოლო ილია გაუბედაობას ერის სამსახურის საქმეში – ღალატს ადარებდა“. (7, ტ.1, გვ.443).

ჩვენი გამოჩენილი მხცოვანი პოეტი გ. ორბელიანი „პასუხი შვილთა“-ში, შვილებს უსაყვედურებს, რომ ისინი:

„ჰე, განუსჯელნო,
უმაღლო შვილნო,
საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო,
სადღაც მიმალვით,
რას ჰროტავთ, ჰკნავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?
უკადრისობით
და უმეცრებით,
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს,
მხოლოდ თქვენ სიტყვებით
თქვენვე ინანებთ,
თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!“ (10, გვ.67).

პოეტი, გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ მამაცობის, მამების დრო წავიდა მათი სახელის ქებით.

ისინი იმ დროს იყვნენ სახელოვანი; და იქვე, შენიშვნის სახით ამბობს და ეკითხება „ახალგაზრდებს“, რომ „მამების“ წარმომადგენლები, რომლებიც დაიხოცნენ და დაიჭრნენ ამ „უკანასკნელს ბრძოლებში ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძლავნი?“

როდესაც „გამეფდა სწავლა“, მამები მაშინ:

„ჩვენც ვჰნუგეშობდით,
გულთ ვჰზარობდით,

შვილი მამასა ემჯობინება!

და მოველოდით

დიდის იმედით

სიხარულისა დელევით აღვსილნი!

ვითმინოთ, მოვლენ,

და გაგვინათენ,

ჰსწავლისა ლამპარით დავრდომილს მხარეს!“ (10, გვ.68).

მაგრამ, პოეტის თქმით, სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ:

„ჰსწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!..“ (10, გვ.69).

და გულმოსული განაგრძობს ახალგაზრდების მიმართ საყვედურს:

„უსასოება,

ურწმუნოება,

უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს;

„– ლოცვა რათ გვინდა?

ღმერთი რათ გვინდა?

ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!”

და დაიწყევლა

თქვენი აქ მოსვლა,

და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი!

ღმერთი არ არის?..

შენთვის ნუ არის!

შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?“ (10, გვ.69).

ახალგაზრდებმა როდესაც ხელი მოჰკიდეს „კეთილსა საქმეს“, და გამართეს სტამბა, მამებს ეგონათ, რომ:

„სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..“ (10, გვ.69).

გულმოსული და გულდაწყვეტილი პოეტი სინანულით განაგრძობს საყვედურს:

„აღმოჩნდნენ მწერლები,

ჟურნალისტები,

ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..“ (10, გვ.69).

იქვე შენიშნავს, „წაიკითხეთ „დროება“ და იხილავთ ქართული ენის დაპრანჭვას“. შემდეგ განაგრძობს:

„მათ უსწავლელთა,

ცრუ რუსთაველთა,

სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მაღლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..“ (10, გვ.69).

პოეტის თქმით, დღეს აღარ არიან სულით ძლიერნი მამულისშვილები, ისეთი გმირები, როგორც ადრე იყვნენ. რომლებმაც:

„ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი!“ (10, გვ.71).

და შემდეგ განაგრძობს:

„ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაიბადეთ მის სადიდებლად!..“ (10, გვ.71).

გრიგოლ ორბელიანი ამ ბრალდებების შემდეგ ანაღვარდების მიმართ, ლექსს „პასუხი შვილთა“-ს, შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი;
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,

მ[ე]ს[ხ]ი, მეველე, მელიქ ალები.“ (10, გვ.72).

გრიგოლ ორბელიანს არ მოსწონდა გაზეთ „დროების“ ენა, „ახალი ენა“, რომელსაც რედაქტორობდა პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი (1845–1883) და ამიტომაც გამოდიოდა ახალი თაობის ენის წინააღმდეგ.

პ. ინგოროყვა წერს, რომ:

„ილიას გამოცანებს პასუხი გასცა გრიგოლ ორბელიანმა პამფლეტით: „პასუხი შვილთა“. ამ უკანასკნელმა გამოიწვია ილიას ლექსი: „პასუხის პასუხი“... ილიას ეს ლექსი, ცხადია, ვერ დაიბეჭდებოდა იმ დროინდელ საცენზურო პირობების გამო, მაგრამ იგი ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში ხელნაწერის სახით.“ (1, ტ.1, გვ.390).

ლექსი „პასუხის პასუხი“, შესდგება ხუთი ნაწილისგან. ილია ჭავჭავაძე, გ. ორბელიანის მიერ წამოჭრილ ყოველ საკითხს, უპასუხებს მოურიდებლად, მკვეთრად და პირდაპირ. ლექსის პირველივე სტრიქონი იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

„ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ.
იქილამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვედული ვართ.“ (1, ტ.1, გვ.94).

მართალია, ჩვენ „ვეკლეთ“ რუსეთი, მაგრამ თქვენსავით ქვეყანა „ჩინებზედ არა გაგვიცვლია“ და

„ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძლავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თვევენგან ჩაგრული
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყვია.“ (1, ტ.1, გვ.94).

ქვეყნის ბედი და მისი ხსნა, თქვენსავით „მჩვრად არ გაგვხდომია.“ მხნეობა და ზნეობა „ჩინებით არ გვიზომია“, ხოლო სარწმუნოება და სათნოება „ფარისევლობად არ შეგვიქმნია.“ ჩვენ მოვედით თუ არა, მაშინვე მივხვდით რაც იყავით და ამიტომაც თქვენგან „შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი“ და ამიტომ არ არის გასაკვირი:

„რომ თქვენს ანბანსა
ვერ შევაჩვივეთ ვერვინ ჩვენგანი.“ (1, ტ.1, გვ.95).

ილია პირდაპირ და მოურიდებლად ეუბნება „მამებს“, რომ ისინი არიან „ბრმები“, „ნაცარმქექნი“, „გულნამცეცნი“ და ისინი ძირს უთხრიან „ღარბთ ერთობას.“ ხოლო ახალი თაობა არიან „უღონონი“, „უგზო-უკვლონი“, იმიტომ, რომ ძველი თაობის წარმომადგენელნი „უქმად“ იმყოფებიან და ამიტომაც არის, რომ:

„ჩვენ მოკუტულნი,
თქვენ გაბლინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.“ (1, ტ.1, გვ.96).

ამის შემდეგ, ილია პასუხს აძლევს სარწმუნოების შესახებ ბრალდებას.

როგორც ცნობილია, რელიგიურ იდეალისტური მსოფლმხედველობის ძველი თაობის წარმომადგენელი, ახალ თაობას ბრალს ღებდნენ ღმერთისადმი უპატივცემლობას, სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მათთვის ახალი იდეებისა და შეხედულებების გავრცელებას.

პოეტი წერს, რომ ახალმა თაობამ არ ირწმუნა ის ღმერთი, რომელიც ძველ თაობას სწამს, რადგან ის ღმერთი არის „ყაღბობის“, „არმობის“, „მზაკრობის“ და „მძარცველობის“. ასეთი ღმერთი ახალმა თაობამ დაუთმო „მაგებს“. ახლების ღმერთი კი არის:

„უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძღურთა შემწყნარებელი;

ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოდღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძღურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-ღვენული;
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
საღუკეველთა

გამაკიცხველი და გამდევნელი.“ (1, ტ.1, გვ.96).

ილია პირდაპირ ეუბნება, რომ სინამდვილეში, ღმერთი:

„ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.“ (1, ტ.1, გვ.97).

ვ. გაგლიძე, ილიას მიერ აღწერილი ღმერთის შესახებ, წერს:

„იმ ღმერთში, რომელიც აღწერილი ყავს ილიას, როგორც ახალგაზრდობის რწმენის საგანი, ცხადია ღვთაებრივი აღარაფერია, მაგრამ ასეთი გამოსვლა ორ მხრივ იყო საინტერესო: ერთი მხრივ იგი თავიდან იხსნიდა ბრალდებას უღმერთობის შესახებ, რასაც მას საზოგადოება არ აპატიებდა, ხოლო მეორე მხრივ – ისე ხატავდა ღმერთს, რომ უფრო ამაღლებდა ხალხის თვალში მის რწმენას, თუმცა ამ „რწმენაში“ ნამდვილად რადიკალური აზრები იყო გატარებული, როგორც თვით ღვთაების წინააღმდეგ, ისე აგრეთვე იმ კლასის წინააღმდეგ, რომელიც თავის სამსახურში აყენებდა რელიგიას.“ (14, გვ.234).

ამის შემდეგ, ილია ეხება, გ. ორბელიანის მიერ ბრალდებას ქართული ენის საკითხების შესახებ და იგი აქაც, როგორც ყოველთვის, შეუბრალებლად და პირდაპირ ამბობს:

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის –
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა

ბრალად ვის დავევათ, ჩვენა თუ თქვენა?“ (1, ტ.1, გვ.97).

ილია წერს, რომ მათზე უწინ ხომ „მამები“ იყვნენ ენის პატრონნი. როდესაც ახლები „ძუძუს ვწოვდით“, სწორედ იმ დროს, მამების შემწეობით აღიკვეთა „ღვიძლი ენა“ და შიშით ეხლაც აღარ ხმარობთო. სწორედ თქვენს შორის არის ვინც,

„მას მკვდრის სუღარა გადააფარა.“ (1, ტ.1, გვ.98).

სწორედ, ამ მკვდარ ენას ჩვენ, ახალი თაობა ვაცოცხლებთ. იმ ენას, რომელიც:

„თქვენგან გმობილი,
თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ

და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.“ (1, ტ.1, გვ.98).

ჩვენ რაც ნაკლი გვაქვს, „რაც ენას ვცოდეთ“, ამის გამოსწორება შესაძლებელია, ხოლო თქვენნი

„მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.“ (1, ტ.1, გვ.98).

ილია, ამ ლექსს ამთავრებს გ. ორბელიანის გაკიცხვის პასუხით:

„უგზოდ მელელნოო,
უსწავლელნოო, –
ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს.
რომ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწველდესა, –
ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, –
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა, –
რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.“ (1, ტ.1, გვ.99).

ამ ლექსის შესახებ, გ. ჯიბლაძე წერს, რომ ილია ჭავჭავაძემ:

„შვილების“ დამოკიდებულება „მამებისადმი“ ძალიან მკაფიო შტრიხებით წარმოადგინა. ამ ლექსში ახალი თაობის მთელი მსოფლმხედველობაა გადმოცემული, მისი კონცეფცია, და აქედან გამომდინარე ბრალდებანიც „მამების“ მისამართით. ყურადღებას ის გარემოებაც იქცევს, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსი გრიგოლ ორბელიანს პასუხს აძლევს პირდაპირ პუნქტობრივად, უპასუხოდ არ ტოვებს არცერთ შენიშვნას და კონტრბრალდებებსაც აყენებს. „შვილები,, თავდაცვით კი არ კმაყოფილდებიან, შეტევაზე გადადიან, რაც უფრო ადრე, 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ ასე ოსტატურად განახორციელა თავის ცნობილ კრიტიკულ წერილში – „პასუხი“. ლიტერატურული ბრძოლის ეს მეთოდი თერგდალეულების ბელადმა ახალი ძალით გამოიყენა „პასუხის პასუხში.“ (12, ნაწ. II, გვ.338).

„ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს ატყობინებდა: „ჩვენში ძალიან ბევრი ახალი ამბებია, ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთია „გამოცანები“, და სხვანო. „გამოცანებითა“ და „პასუხის-პასუხით“ გამოსვლა ცოტა მეტი იყო, ვიდრე ის რაც „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ატეხილი ვიწრო ჯგუფურ ან პიროვნულ ლიტერატურულ ბრძოლად არის მიჩნეული ზოგჯერ, წმინდა სახალხო, პარტიულ-პოლიტიკური ხასიათისა იყო ეს ბრძოლა თავიდანვე, რამაც 70-იან წლებში კიდევ უფრო მძაფრი სახე მიიღო. ამ ბრძოლას უშუალოდ ცარიზმის მუნდირიანი ბობოქების

გამყიდველობის გამანადგურებელი მხილება ჰქონდა მიზნად. ამიტომაც ილიას ლექსები ხელნაწერის სახით ანონიმურად ვრცელდებოდა. თუ ავტორი გამოუმჯავნებოდა, აშკარა საფრთხე იქმნებოდა, მეფის მთავრობის გადაგვარებული ლაქიებისაგან.“ (15, გვ.87).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ პეტერბურგელი რევოლუციონერი სტუდენტობა, ხალხოსნები, „ილია ჭავჭავაძეს ახალი თაობის წინამძღოლად სთვლიდნენ.

რომ რევოლუციონერი სტუდენტობა ილია ჭავჭავაძეს ახალი თაობის ბელადად აღიარებდა, დასტურდება ჯერ თუნდაც იმის მიხედვითაც, რომ მათ თავისი ფსევდონიმი აუღიათ ილიას ლექსიდან (სახელწოდება „ჩვენი უჩინონი“ აღებულია ილიას ცნობილი ლექსიდან „პასუხის პასუხი“, რომელიც ახალი თაობის პასუხს წარმოადგენდა ძველი თაობის მიმართ).....

ეს „უჩინონი“ არც ისე უჩინონი არიან. ისინი არიან დიდად საჩინო წევრები ქართული ხალხოსნური მოძრაობისა.

იოსელიანი ეგნატე (1846–1926)... იყო ქართველი ხალხოსნების ბელადი 70-იან წლებში.....

ხალხოსანი მწერალი სოფრომ მაგლობლიშვილი აღნიშნავს, რომ ეგნატე იოსელიანი იყო „ჩვენი მიმართულების ლიდერი, გზის მიმართულების მაჩვენებელი“.

მეორე ხალხოსანი – შიო დავითაშვილი გადმოგვცემს, რომ ეგნატე იოსელიანს ქართველი ხალხოსნები „რევოლუციის პატრიარქს“ უწოდებდნენ.

1873 წელს ეგნატე იოსელიანი იყო პეტერბურგის სამიწათმოქმედო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი; იგი იყო მეთაური პეტერბურგის ქართველი ხალხოსანთა ჯგუფისა....

გიორგი ზდანოვიჩი – მაიაშვილი (1855–1917) – გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი 70-იანი წლებისა. ხალხოსანი. 1873 წელს იგი იყო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. 1874 წელს იგი გადადის მოსკოვში და აარსებს, სხვა რევოლუციონერებთან ერთად, „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციას“, რომელშიაც ქართველებს წამყვანი როლი ეკუთვნოდა. 1875 წ. გიორგი ზდანოვიჩი ხდება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი.....

ანთიმოზ გამყრელიძე (1854–1894) – აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერი 1870-იანი წლებისა. ხალხოსანი. 1873 წელს იყო სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა.....

მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი (1849–1917). ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი... 1873 წელს იგი იყო პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, წვერი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა.....

ოსიდორე ქიქოძე – 1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. ხალხოსანი. 1876 წელს ჩამოდის საქართველოში და მიხეილ ყიფიანთან ერთად არის ხელმძღვანელი ქართველ ხალხოსანთა ქუთაისის რევოლუციური ორგანიზაციისა....

იოსებ ქიქოძე (1846–1922) – 1873 წელს პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის სტუდენტი. 70-იან წლებში წვერი პეტერბურგის ქართველ ხალხოსანთა ჯგუფისა.

რომან ფავლენიშვილი (1854–1877) – 1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. ხალხოსანი.....

ლევან ჩერქეზიშვილი – 1874 წელს სტუდენტი პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა. ხალხოსანი. საქართველოში ჩამობრუნების შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა 1876 წელს როგორც წვერი ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციისა. განმარტოებულ პატიმრობაში ჰყავდათ ექვსი თვე ნახევარი. შემდეგი მისი ბედი უცნობია.

ოსიდორე წეროძე – 1873 წელს ახალ დამთავრებული ჰქონდა კიევის სავეტერინარო ინსტიტუტი, მსახურობდა პეტერბურგის მაზრაში; იყო წვერი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა..... გარდაიცვალა ემიგრაციაში, პარიზში, 1885 წელს.

კონსტანტინე ნაცვლიშვილი – 1873 წელს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი.....

ქაიხოსრო ფურცელაძე – 1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი იყო (დაამთავრა 1874 წელს). ცნობილი ხალხოსანი.

დავით ფურცელაძე (ძმა ქაიხოსრო ფურცელაძისა) – ხალხოსანი.....

ნიკო ხუდადოვი (1850–1907). გორელი ქართველი. 1873 წელს სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა. 70-იან წლებში ახლო მონაწილეობას იღებდა ხალხოსნურ მოძრაობაში.

დიმიტრი ნახარიშვილი (1854–1927) – 1873 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ხალხოსანი. შემდეგ სცემდა ხალხოსნური მიმართულების გაზეთს „შრომა“, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში 1881–1883 წ. წ.....

აღსანიშნავია, რომ ივანე მაჩაბელი სტუდენტობის დროს, 1873 წელს ხალხოსანთა წრესთან ყოფილა დაკავშირებული.....

ქართველი რევოლუციონური ახალგაზრდობა, ქართველი ხალხოსნები, ამ დროს ჯერ კიდევ „უჩინონი“, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ სამოღვაწეოდ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ახალი თაობის წინამძღოლად ილიას სთვლიდნენ და თავის ბელადად აღიარებდნენ.“ (1, ტ.10, გვ.561–566).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხოსანთა ჯგუფის „უჩინონი“ წევრებიდან სამის: — ი. კობაძე, ვ. ვართანოვი და ა. მირზაშვილის შესახებ, ცნობები ვერ მოუპოვებია.

„საფიქრებელია, — წერს პ. ინგოროყვა, რომ ესენიც, — ხალხოსნები იყვნენ. კერძოდ მირზაშვილის შესახებ დაცულია ცნობა, რომ იგი 1873–4 წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა, ეკუთვნოდა გიორგი ზდანოვიჩის ჯგუფს და რომ მირზაშვილი „вследствие политической неблагонадёжности был подчинён надзору полиции“. (1, ტ.10, გვ.566).

ასეთი ხასიათი მიიღო და ასე მიმდინარეობდა, „მაშებსა“ და „შვილებს“, ძველ და ახალ თაობებს შორის, ეს ლიტერატურული დავა.

1872 წელს, ილია ჭავჭავაძემ დაწერა ლექსი „რჩევა“, სადაც გაიცხა გიორგი მუხრანსკი (მუხრან-ბატონი). (გ. მუხრანბატონს ჩვენ შევეხეთ ლექსის, „გამოცანების“ განხილვის დროს).

გ. მუხრანბატონმა 1872 წელს ყოველდღიურ გაზეთ „აკაკაზის“ დამატებაში, გამოაქვეყნა წერილი: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц.“ სადაც ამტკიცებდა, რომ: „აკაცობრიობის პროგრესი გულისხმობდა მცირე ერების მოსპობას, დიდი ხალხების გაბატონებასა და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზმების“ შექმნის აუცილებლობას. პატარა ხალხები, მისი აზრით, განწირული იყვნენ. მათ არ შეეძლოთ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა. ამიტომ მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ. პატარა ხალხისათვის დიდ ხალხთან ყოველგვარი შეერთება — შერწყმა ნიშნავდა საკუთარი ენის დაკარგვას. მცირე ხალხების მისწრაფება ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნებისაკენ მუხრანბატონს არამარტო უიმედოდ, არამედ მავნედაც მიაჩნდა. მისი ეს შეხედულებანი მკაცრად გააკრიტიკეს ქართველმა მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებმა: ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ს. მესხმა, პ. უმიკაშვილმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) და სხვებმა. ქართულმა პუბლიცისტიკამ აღნიშნა, რომ ცარიზმის ამ ერთგული მსახურის შეხედულებები იყო

რუსეთის დიდმპყრობლური, რეაქციული ეროვნული პოლიტიკის თეორიული დასაბუთებისა და გამართლების ცდა.“ (30, ტ.7, გვ.230).

ამ ნაწევებში მოხსენებული პეტრე უმიკაშვილი (1838–1904) იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ფოლკლორისტი; ხოლო გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) (1825–1896) ეპისკოპოსი, იყო სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფსიქოლოგი და მოაზროვნე.

პ. ინგოროყვა, გ. მუხრანბატონის წერილისა და ლექსის „რჩევა“-ს შესახებ წერს:

„ამ ბროშურის შესახებ ჩვენამდე შენახულა ილიას წერილი პეტრე უმიკაშვილისადმი, გამოგზავნილი დუშეთიდან 1872 წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში. ილია წერს:

„მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი.

„Лишь право сильного раб свято почитает.“

ამ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე.“ – იქვე მოყვანილია ლექსი „რჩევა“. ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1872 წ., 8 სექტემბერს, №35). ცენზორს ნაბეჭდიდან უკანასკნელი ოთხი სტრიქონი ამოუშლია.“ (1, ტ.1, გვ.390).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გამოცანებში“, ილია ჭავჭავაძემ გააკრიტიკა გ. მუხრანბატონი. ხოლო, „პასუხის პასუხში“, ენის შესახებ მსჯელობის დროს, შემდეგ სტრიქონში:

„ენა მაღალი

მის სიღრმე, ძალი,

ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;

პირველ თქვენგანმა,

იმა ბედშავმა,

მას მკედრის სუდარი გადააფარა.“ (1, ტ.1, გვ.98).

გ. ჯიბლაძის აზრით, პოეტი გულისხმობდა სწორედ გ. მუხრანბატონს. (12, ნაწ.1, გვ.343).

„რჩევა“, ეს უმშვენიერესი გამკიცხავი ლექსია, სადაც ილია ჭავჭავაძემ, მხატვრული სატირული ფორმით სააშკარაოზე გამოიტანა და ხალხს დაანახვა გ. მუხრანბატონის მიერ ბროშურაში გამოქვეყნებული უაზრობა და მისი რჩევა:

„თუ გინდა, ძმაო, იგემო

ამა ქვეყნისა შებანი,

დიდთა საფერად მოჰმართე

შენი გულ-სიტყვის ებანი.

მერე ბრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე: – „წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა.“ (1, ტ.1, გვ.100).

პოეტი წერს, რომ თუ ვინმემ იკითხა ამის დამამტკიცებელი საბუთი, ჯერ ეს დაიჯერეო და „საბუთი მერე იყოს“-ო. სამაგიეროდ „დიდნი“ დაგიჯერებენ, „მაღლს გადაგიხდიან“, ზოლო, პატარებს არავინ კითხავს. ილია იძლევა რჩევას:

„თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებრივი ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცვისათვის
უნდა თურმე კუდის ქნევა.
ამას გირჩევ, იმიტომ რომ
ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი,
რომელიცა ამგვარ ქცევით
ჩვენში ბენიერი არი.“ (1, ტ.1, გვ.100).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია სატირას, რომლის საშუალებითაც გადმოსცემდა საზოგადოების უარყოფით მხარეებს. მაგრამ ილიას დაცინვა და იუმორი არ წარმოადგენდა მხოლოდ სასაცილოს და ირონიას, ის, სინამდვილეში სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულის გამოხატულება იყო. იგი აღწერდა საზოგადოების იმ ნაკლოვანებებს, რაც მისთვის მიუღებელი იყო და ამით უნდოდა საზოგადოების ამ ნაკლის გამოსწორება და ხალხის გამოფხიზლება.

ილია ჭავჭავაძის სატირას, გ. კიკნაძე შემდეგნაირად ახასიათებს:

„ილია ჭავჭავაძემ საამკარაოზე გამოიტანა ის, რაც ყველაზე უფრო სამარცხვინო და სათაკილო იყო მაშინდელ საზოგადოებაში.

მთელი თავისი მხატვრული ძალით დაესხა თავს შურსა და გაუტანლობას, ეჭვიანობასა და უნდობლობას, თვითკმაყოფილებასა და საზოგადოებრივ სიბეცეს. მან ნიშანში ამოიღო ყველა „ყრუი“, „ცრუი“, და „ქვემძრომელი“, „ფლიდი, ცულლუტი და მანკიერი“; მან შეუტია უმფოთველობას, თავდახრილობასა და საზოგადოებრივ გულგრილობას....

ის, რასაც ვერ ამჩნევდა ბევრი იმდროინდელი ლიტერატორი, სავსებით შეგნებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს და, მართალია, იგი სულ მარტოხელა არ იღწვოდა ეროვნულ-საზოგადოებრივ ნაკლთა გამომწვეურობისათვის, მაგ-

რამ მაინც მას აწვა ბრძოლის ხელმძღვანელს მთელი იდეური ტვირთი.“ (3, გვ.302).

ძველ თაობათა და ახალ თაობას შორის ლიტერატურული ეს დაძაბული პაექრობა შედარებით მინელბული იყო, როდესაც, 1894 წელს, გაზეთ „ივერიაში“, საახალწლოდ დაიბეჭდა თორმეტ თავისაგან შემდგარი სატირულ-იუმორისტული ლექსი „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“. რომელიც წარმოადგენს მის დროინდელ ლიტერატორთა კრიტიკას. თვითეული პიროვნების ნაკლის აღნიშვნის შემდეგ, გუნდი, (ხორო), კრიტიკას ადასტურებს.

ილია, ლექსში მოხსენებულ პირებს შემდეგნაირად ახასიათებს:

გიორგი წერეთელს, რომელიც ადრე უჭერდა მხარს თერგალაეულებს, მაგრამ, მერე გამოეთიშა ილია ჭავჭავაძის ჯგუფს და „მეორე დასელი“, ანუ „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფელი გახდა. ამ დასის დაშლის შემდეგ, მან დააარსა ყოველკვირეული ილუსტრირებული გაზეთი „კვალი“, რომელიც ლეგალური მარქსიზმის, „მესამე დასის“ გაზეთი გახდა. გ. წერეთელს პოეტმა შემდეგი სიტყვები მიუძღვნა:

„მე ვარ და ჩემი ნახატი,
გამთენებელი ღამისა,
ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა.

ხორო

ბებერსა, სასძლოდ მორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდეო.“ (1, ტ.1, გვ.112).

დავით კეზელს (1854–1907), რომლის ფსევდონიმები იყო: „დავით სოსლანი“, „ზოილი“, „არაგველი“, პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი, ხალხოსანი და საზოგადო მოღვაწე. მას ილიამ მიუძღვნა შემდეგი ეპითეტი:

„ვისაც ვებრძვი, არ მებრძვიან,
მამ მე ვარ გამარჯვებული.

ხორო

ქორი ბუნს არა იკადრებს,
არცა სდევს საჭმლად ნდომითა,
სონღული მუშლის შეპყრობად
ფრთებსა არ გაშლის ზომითა.“ (1, ტ.1, გვ.112).

ლექსის მესამე ნაწილი ეხება გაზეთ „კვალს“ (1893–1904), რომლის ხელმძღვანელი იყო გიორგი წერეთელი. ამავე დროს გამოდიოდა, ილია ჭავჭავაძის

ხელმძღვანელობით ყოველდღიური გაზეთი „ივერია“ (1877–1908). სწორედ, ამ ორი გაზეთის პაექრობას ეხება ეს ლექსი.

ილია, გაზეთ „კვალს“ ახასიათებს როგორც ტრაბახას და ბაქიას, რომელსაც თავის-თავის განდიდება მოუწადინებია. პოეტის თქმით, ორი წელია რაც არსებობს, ბევრი შეუთხზავს არაკი, რაშიდაც მას ეხმარებოდა აკაკი. მან თითქოს გაწმინდა ქართული ენა, მდიდარი ძირს დასცა და ღარიბი „აღადგინა“. მას უნდა, რომ;

„მაღალი დამდაბლდეს,
ამაღლდეს დამდაბლებული,
მდიდარი წყალმა წაილოს,
ცხონდეს ლატაკი ვნებული.“ (1, ტ.1, გვ.113).

მას ეს მცნება დროშაზე უწერია და ამის გამოა, რომ, „მდიდართა ყმა „ივერია“, ებრძვის მას.

„კვალი“ განაგრძობს ტრაბახს და ამბობს, რომ მან გაბედა „ღარიბთ სარჩლი, მდიდართ გმობა“ და ამით მოიპოვა „ახალგაზრდათ თანაგრძობა“. მან ახალ თაობაში მოიპოვა „ღონე ღერმეთელი“ და შექმნა ახალი დასი, რომელსაც სარდლობს „გეორქ-აღა წერეთელი“. მას ვერ გასტეხს „ივერია“, თუ გინდ, „ერთსა მცემდეს გინდ ასია...“

ხორო ახალგაზრდობას აფრთხილებს, რომ:

„ტრელთა ენათა ერიდეთ,
კაცი გიყვარდეთ ცნობილი,
ტრაბახთა ყოლა ნუ უსმენთ,
სიტყვა ნუ გინდათ გმობილი;

ტყუილ ფრაზების რახა-რუხს,
გულის მართალსა ძგერასა,
ჭკვათა-მყოფელთა მოძღვრებას,
სულელთა უგვანს ჟღერასა;

კანს ნუ ენდობით, უჩხრიკეთ
ღვიძლი ჭემმარიტს წერასა,
და ნურას შეუშინდებით
გეურქ წერეთლის ბღვერასა.“ (1, ტ.1, გვ.115).

მეოთხე თავში, ილია აკრიტიკებს მწერალს, პუბლიცისტს, ფილოლოგსა და პედაგოგს სილოვან ხუნდაძეს (1860–1928). მაგრამ როგორც პოეტი ის სუსტი იყო. ამიტომ ილია მას შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„პოეტი ვარ და არვის სწამს,
ბრძენი ვარ და არვის სჯერა...
აფსუს, ჩემი სიბრძნე-ცოდნა,
აფსუს, ჩემი ჩანგის ჟღერა!“

ხორო კი მღერის, რომ ის ტყუილ უბრალოდ იქაღნის, რადგან როგორც ანწლისაგან ყურძენი არ მიიღება, ასევე:

„ბუისგან ნუ გამოელით
ბოლოკარკაზის ბუღესა.“ (1, ტ.1, გვ.116).

შემდეგ თავში ილია ახასიათებს ილია ხონელს (ბახტაძე) (1859–1900), იგი იყო პროზაიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მათ შორის ყოველდღიურ პოლიტიკურ-ლიტერატურულ რუსულ გაზეთში „კავკაზში“, რომელსაც გამოსცემდა მეფის კანცელარია.

ილია ი. ხონელს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„ღმერთად მიმანდა ქართული,
ტაძრად მწერლობა მისიო,
მაგრამ გავექცე: არ მიყვარს
მე ბატონობა სხვისიო.
მას აქეთ დავწანწალებდი,
ვერსად დავიდე ბინაო...
საძუე რომ შემომაწყდა,
ეხლა დავბრუნდი შინაო.“

ხორო კი მიუძღერს მას:

„სად გინდ ეგდოს, ვის რას აქნევს
ნაქაჯსა არ-ცოდნისასა?
მისი მწერლობა კვალსა ჰგავს
ზღვაზედა ნავთმავლისასა.

უმარყო ლექსთა-წყობას
პოეტის სილოვნისასა,
კვალ-დაუჩნეველ ლაქლაქსა,
ნაყოფს წყალთა ნაყვისასა.“ (1, ტ.1, გვ.116).

მეექვსე თავში, ილია ეხება ყოველთვიურ ჟურნალ „მოამბეს“, რომელიც გამოდიოდა (1894–1905) წლებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. ილია ხონელი გაზეთ „კავკაზიდან“ გადავიდა „მოამბეში“. ამას აღნიშნავს ილია და ჟურნალთან ერთად აკრიტიკებს ხონელსა და ზოილს.

„გვიხაროდენ!.. აწ ხონელი
გაზეთს „კავკაზს“ გაეყარა...
თავისუფლება მიემია
და ჩემს ჭერს ქვეშ შეეფარა.

აწ იქნება საასალწლოდ
ღმერთმა ჭკუით დააბერა,
და ასწავლა, როგორ უნდა
მართებული თქმა და წერა...
ხონელიდამ ზოილამდე
რალა დიდი მანძილია,
და ვფიქრობ, ერთად შეეყაროთ
ეს ერთმანეთის ჩრდილია.
იქნება ქართველთ მწერლობა
ღმერთმა მათით ააზეოს.
წყვდიადი და ბნელი ჩვენი
გაანათოს, დაამზეოს.“ (1, ტ.1, გვ.117).

ხოლო, ხოროს სიმღერიდან ჩანს, რომ არც ხონელი და არც ზოილი არ არის დასაჯერი, და გაკვირვებული „მოამბე“ კითხულობს:

„ნუთუ ხონელ-ზოილია
წყალზე გამდები ხიდისა!..
ნუთუ ეს დაგვრჩა სანაცვლოდ
მის იმედისა დიდისა?!“ (1, ტ.1, გვ.118).

მეშვიდე ლექსში, ილია ჭავჭავაძე, ჩვენ მსცოვან დიდ პოეტს აკაკი წერეთელსაც შეეხო. მისივე ლექსის მიბაძვით ალაპარაკებს აკაკის და გადმოსცემს მის დამოკიდებულებას ანტონ ფურცელაძესთან.

მწერალი ანტონ ფურცელაძე (1839–1913), ჯერ „თერგდალეულების“ შეხედულებებს იცავდა. მოგვიანებით მათ გადაუდგა. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, პუბლიცისტის, ლიტერატურის კრიტიკოსის და ფილოსოფოს-

მატერიალისტის დიმიტრი პისარევის (1840–1868) შეხედულებებისა და ნიჰილიზმის მიმდევარი გახდა. ა. ფურცელაძის შესახებ, მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი არტურ ლაისტი (1852–1927) იხსენებს, რომ იგი ხშირად ხედავდა მას ილიასთან.

„ხანდახან საგურამოშიც ამოდიოდა ეტლით: ფურცელაძე ქართული მწერლობისა და პოეზიის დიდი მოყვარული იყო. ამასთან ძალიან უნდოდა სამაგალითო თხზულებები შეექმნა, თუმცა ნიჭი ხელს არ უწყობდა. ილია მოურიდებლად ეუბნებოდა, საამისო ნიჭი არ შეგწევსო. ეს, რასაკვირველია, კამათს იწვევდა. ანტონს გული არ მოსდიოდა, მაგრამ თავისი ნაწერების დაცვას მაინც ცდილობდა, თუმცა ამ პაექრობისას წარმატებას ვერ აღწევდა. მით უფრო, თუ მას ნიკო ხიზანიშვილიც ესწრებოდა. ხიზანიშვილი თავისი მახვილი ენითა და მოსწრებული სიტყვებით ანტონს იარაღს აყრევინებდა.“ (3, გვ.439).

ნიკოლოზ (ნიკო, ურბნელი ნიკო) ხიზანიშვილი (1851–1906) იყო ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსი, მეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი და იურისტი. არტურ ლაისტი წერს, რომ ილიას „მასთან ყოფნა უყვარდა და ცინიკურ სიტყვებსაც აპატიებდა, რასაც ნიკო ხანდახან ჩაურევდა სერიოზულ ლაპარაკში...“

ნ. ხიზანიშვილს დაკვირვების დიდი ნიჭი ჰქონდა, მიხვედრილობასაც იჩენდა და მარჯვე კრიტიკოსიც იყო, მაგრამ მის კრიტიკას სალიტერატურო მნიშვნელობა აკლდა ზომიერების უქონლობის გამო. თუკი ვინმე არ მოსწონდა, დაუნდობლად შოლტავდა.“ (3, გვ.440).

ა. ფურცელაძეს დამაბული ურთიერთობა ჰქონდა ილიასთან და აკაკისთან. ამიტომ ილია, საყვედურის სიტყვებს ათქმევინებს აკაკის.

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭაღარა...
ტყუილს ვინ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა.
ანტონმაც მე წინ გამიგლო,
გული დასერა, დაჰღარა...
რაცა ხარ, იმას გამხელო,
დაჰკრა ბუკი და ნაღარა.“

ვინც რომ გააკაწრე ბასრ ენით,
აწ აღარ მინდობს, აღარა...

ეხლა ბევრს ვნანობ, – ეს რად ვქმენ
რაღა თქმა უნდა, რაღა-რა?“ (1, ტ.1, გვ.118).

ხოლო, ხორო მას მიუძღერს, რომ გვიანია ეხლა მონანიება, წამხდარ საქმეს
აღარ ეშველება. სხვას ნუ ვაბრალებთ ჩვენს მიერ გაფუჭებულ საქმეს. რადგან:

„ნურვინ ეძღურის სხვას ვისმე,
სოფელს ეს უღვევს წესია:
მთესველი მარტო მას მომკის,
რაც უხნავს და უთესია.
იგი დიდ მანძილს ვერ გავა,
ტყუილ-უბრალოდ ჰშვრებაო,
ვინცა სოროში თავსა ჰყოფს,
კუდი კი გარედ ჰრჩებაო.“ (1, ტ.1, გვ.119).

მერვე ლექსში ილიამ, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ
მაჩაბელი (მიშო) (1852– 1930) გაკენძლა. იგი იცავდა ივანე მაჩაბელს,
რომელიც მისი დასის წევრი იყო. მას გრძელი სოტყეების წარმოთქმა ჰყვა-
რებია. ხშირად ეკამათებოდა ილიას. ამიტომ ილია, მიხეილს შემდეგ სიტყვებს
ათქმევინებს:

„არვინ უვით ჩემისთანა
გრძლად მეტყველი ორატორი.

არას ვნაღვლობ, თუ რამე ვთქვი
უმსგავსო და შორი-შორი,
არა ვტყდები, თუმცა ხშირად
ბურტყელს მადენენ, ვით გნოლს ქორი.“

ხოლო მის შესახებ გალობს:

„რაც გინდ გრძლად სთქვას, მაგის თქმელსა
ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან.
თვით არ დაშვრების, მსმენლისა
ყურნი კი დავალდებიან.“ (1, ტ.1, გვ.120).

მეცხრე ლექსი, ილიას თავის თავზე აქვს დაწერილი და ამასაც აკაკის
მიბაძვით წერს.

„დაბებრდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭალარა...
ზოილი აბუჩად მიგდებს
ხონელი მწყალობს აღარა.“ (1, ტ.1, გვ.121).

ილია ჩივის, რომ მას შემოსწყრენ და ბელმა გადაჰკიდა მიშო, ივანე და ძმები ყიფშიძეები.

ალექსანდრე ყიფშიძე (ფსევ. ფრონელი) (1862–1916) იყო ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. ხოლო, გრიგოლ ყიფშიძე (1858–1921) იყო მრავალმხრივი მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტიკის ისტორიკოსი, ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსი და ბიბლიოგრაფი. მან 1914 წელს გამოსცა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველი ვრცელი ნარკვევი.

„დაებერდი, დაეჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა...
ერთი მალონებს, ერთი მკლავს,
მარტო ერთს ვჩივი, სხვას არა,
რომ ვანოს მოძულებული
მიშოს უნდივარ აღარა!..
მე ამა ჭირმა გამტეხა,
გული დასერა, დაჰლარა.“ (1, ტ.1, გვ.122).

ხოლო, ხორო მიუძღვრს, რომ ჭირში ყოფნის დროსაც, თუ კაცი გონივრულია ყოველთვის გამოსავალს ნახავს.

მეათე ლექსი ილიამ, ცნობილ მთარგმნელს, პუბლიცისტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ წევრს ივანე მაჩაბელს (1854–1898) მიუძღვნა. ბანკში მუშაობის დროს, ბანკის საკითხების გამო ატეხილმა დავამ, ერთმანეთს დაუპირისპირა ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. 1883 წელს ი. მაჩაბელმა დატოვა ბანკი, ხოლო ილია 1905 წ. გადადგა ბანკის თავმჯდომარეობიდან, რომელსაც დააარსების დღედან 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ილია, ივანეს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„რაც ხელთ მხვდება, ჭკვა მგონია,
აღარ ვუჩხრეკავ პირსა...
მათამამებენ, ვთამამობ,
დარდი არა მაქვს სხვისაო.
ერთი რამა მჭირს მხოლოდ მე:
მეტიჩარა მაქვენ ენანი,
ჯერ ვიტყვი ხოლმე, მერე კი

ჩემს ნათქვამს მევე ვინანი.

რა ვუყო? რა ვქნა? მეც ვჩივი,

ენა არ მეკითხებაო;

თუნდ მკითხოს, – ჩვენში კი დარჩეს, –

ბევრს არას გამომრჩებაო.“ (1, ტ.1, გვ.122).

ხორო კი მღერის, რომ „ეგ ბატონი“ იქით-აქეთ დადის, სულ „იბრძვის, ჰმფოთავს, ჰრთის და ჰღელავს...“, თუმცა, თვითონაც არ იცის „რასა სთიბავს, რასა სცელავს?“

მეთერთმეტე თავი ილიამ მიუძღვნა, ჩვენს გამოჩენილ მოღვაწესა და პედაგოგს ნიკო (ნიკოლოზ) ცხვედაძეს (1845–1911). მართალია, ილია იუმორით ალაპარაკებს მას, მაგრამ სინამდვილეში, ეს არის მისი ქება-დიდება. პოეტი მოუწოდებს მშობლებს, რომ მათ თავიანთი შვილები „გასაწვრთნელად“ მიაბარონ კარგ ოსტატებს. გუნდი კი მღერის:

„საჭირო არის წვრთნა, სწავლა,

ვითა ფარ-ხმალი ბრძოლასა,

სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა

უწვრთნელი შვილის ყოლასა.“ (1, ტ.1, გვ.124).

ბოლო, მეთორმეტე თავი ილიამ მიუძღვნა, ჩვენი აღმზრდელობითი საქმიანობის მამამთავარს იაკობ გოგებაშვილს. პოეტი, რუსთაველის აფორიზმების მიბაძვით ალაპარაკებს მას. ეს არის მისი ღვაწლის განდიდება და დაფასება. იგი საუბრობს დედა-ენის შესახებ.

„დედა-ენა პირველადვე

სიბრძნისა ერთი დარგი,

ტკბილი ტკბილად გასაგონი,

ყრმათა წვრთნისთვის ღიდ მარგი...

მით ზრდას არვინ დამიწუნებს,

თუ კაცია მართლა ვარგი...

სიტყვა სრულად გულსა სწვდება,

დედა-ენა მით არს კარგი.“ (1, ტ.1, გვ.124).

ხოროს მიმღერება საინტერესოა ჩვენთვის იმით, რომ აქ ილია გამოთქვამს მოსაზრებას ენის შესახებ. იგი ეთანხმება გრიგოლ ორბელიანს, რომელიც ადრე აკრიტიკებდა გ. წერეთლის ენას.

„როს გიორგი წერეთელი

დედა-ენას სთხრიდეს, ჰრყენიდეს,

და მაინც კი კაღნიერად
მის განწმენდას იქადიდეს?
არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
არ გისმინოს. ნუ გიკვირდეს:
გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.“ (1, ტ.1, გვ.125).

როგორც ვხედავთ ლექსი „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, ეხება მხოლოდ ლიტერატორებს და იუმორის ფორმით, ილია მათ პირად ნაკლოვანებებს საზოგადოებრივ ცხოვრებას უკავშირებს.

სატირულ-იუმორისტულ ლექსს განეკუთვნება, ილიას მიერ დაწერილი, სამი ნაწილისგან შემდგარი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყება სიტყვებით: „რად გვინდა ვინ ხარ.“ ვარაუდობენ, რომ ეს ლექსი დაწერილია 1890-იან წლებში.

პ. ინგოროყვა ამ ლექსის შესახებ წერს:

„პირველი გამოცანა, ყველა ნიშნით, ეხება დავით კეზელს; მეორე გამოცანა შესაძლოა გიორგი წერეთელს იგულისხმებდეს, თუმცა ამისი გადაჭრით თქმა ძნელია, ხოლო ვის ეხება მე-3 გამოცანა, ეს გამოურკვეველი რჩება.“ (1, ტ.1, გვ.457).

გ. ჯიბლაძის აზრით, ილიამ, ამ ლექსში იგულისხმა შემდეგი მწერლები:

„თუ ტექსტს ღრმად დავაკვირდებით, გავითვალისწინებთ თვით ილიას იმდროინდელ ურთიერთობას თავის თანამედროვეებთან და „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში“ მოცემულ დახასიათებებს, შეგვიძლია წამოვყენოთ ჰიპოთეზა, რომ სიტყვები... ეხება სილოვან ხუნდაძეს ან ანტონ ფურცელაძეს. იმ დროს ილიას კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდა არც სილოვან ხუნდაძესთან (გაიხსენეთ „ოპერეტში“ მისი დახასიათება) და არც ანტონ ფურცელაძესთან. ილია ერთობ დაბალი შეხედულებისა იყო ორივე მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და შესაძლოა თავის პაროდიაში ერთ-ერთ მათგანს, ან ორივეს ერთად იგულისხმობდეს.“ (12, ნაწ.1, გვ.367).

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილიამ ლექსში, „რად გვინდა ვინ ხარ“, იგულისხმა: დავით კეზელი, გიორგი წერეთელი და სილოვან ხუნდაძე ან ანტონ ფურცელაძე.

ილიამ, ამ ლექსშიც დავით კეზელი („ზოილი“) გაამასხარავა, მისთვის ჩვეული იუმორით.

„რად გვინდა ვინ ხარ, საიღამ ხარ,
ვისი სისხლი, ვისი შვილი?

თითონ გიცნობთ, რაც კაცი ხარ,
არად უნდა ამას ცილი.
წა, უკუღებ, – აი შმაგი,
უმეცარი, შლეგი, წბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე შენგან ქმნილი!

შენთან არავინ ჰკადრულობს
არცა ზავს, არცა ბრძოლასა, –
სჯობს უყოლობა კაცისა
შენისთანისა ყოლასა.“ (1, ტ.1, გვ.126).

ლექსის მეორე ნაწილშიც, ილია ირონიითა და გაკიცხვით ახასიათებს გ. წერეთელს. მისი თქმით, იგი ახლებს თავს აჩვენებს ისე, თითქოს მათ ემხრობა, მათთვის იღწვის, ძმობას ეფიცება და მათთვის ცრემლსა ღვრის, მაგრამ სინამდვილეში ის ახლებისათვის „მკვდარია“; და შემდეგ ასე ახასიათებს მას:

„ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის,
ჩლუნგია, არა მჭრელია;
რაზომცა ჰნათობს სინათლე,
მისთვის ეგრეცა ბნელია.
ახლებში თავს სდებს, გვატყუებს,
არ ახალია, ძველია,
რაც გინდ რომ ქერქი იცვალოს,
გველი ეგრევე გველია.“ (1, ტ.1, გვ.127).

მესამე ლექსშიც ილია, სასაცილოდ იგდებს უცნობ მწერალს.

„კალამი რომ უშოვნია –
მით ჰლამობს განვლოს ფონია,
მაგრამ უნარი წერისა
არცა აქვს, არცა ჰქონია;
თავს იქებს, თუმცა მის ქება
სხვისგან არ გაგვივონია;
ყვაი რა ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია.“ (1, ტ.1, გვ.127).

ჩვენ განვიხილეთ შეძლებისდაგვარად ილია ჭავჭავაძის ყველა სატირულ-იუმორისტული ლექსები.

გ. კიკნაძე, ილიას სატირას და იუმორს შემდგენიერად ახასიათებს:

„ილიას სატირული ხედვა ირონიულია და რამდენადაც ირონიის საფუძველია იდეალისა და არსებულის შეპირისპირება, ილიას ხედვაც, პირველ ყოვლისა, ინტელექტუალურის, – და არა ემოციურის, – პრიმიტივობას გამოხატავს. სასტიკია ილიას ირონია იმიტომ, რომ ადამიანთა აზროვნებაში წანამძღვართა და დასკვნას შორის სრულ შეუსაბამობას აღნიშნავს და ავლენს. მის ირონიაში ერთი მეროვსთან შერწყმულადაა მოცემული მიზეზობრივად დაუკავშირებელი, ერთმანეთის პარალელური, შეუხვედრელი მომენტები.... სატირული მიმართება თუმცა მოიცავს გარე ობიექტებს, მაგრამ ამ ობიექტებით არ იფარგლება. თავისი სატირის ობიექტთა წყებაში ილია, ხშირად, საკუთარ პიროვნებასაც ათავსებს და ამით გახაზავს, რომ თვითონაც არ არის დაზღვეული ამ ნაკლთაგან, რომელთაც მისი სატირა უტყევს...“

ილიას სატირული ტენდენცია მხოლოდ საზოგადოებრივი, მხოლოდ ეროვნული იყო და მის შინაარსს, შეიძლება ითქვას, პოეტის მხოლოდ შემდეგი, რამდენადმე უხეში სტრიქონი განსაზღვრავდა:

„მინდა, რომ ვინც ჩვენის ქვეყნის
ჩვენში პირ-მომარიდია,
ის თქვენც ფეხებზედ გეკიდოთ,
ვით მე ფეხებზედ მკილია.“ (3, გვ.305).

1871 წლიდან დაწყებული, მისი სიცოცხლის ბოლომდე, ილია ჭავჭავაძემ სულ ორი ლექსი დაწერა, რომელიც სატრფიალო ლირიკას განეკუთვნება. ლექსი, „აღარც ნატვრა“, მან დაწერა 1879 წელს. მასში კვლავ ისმის, როგორც სტუდენტობის დროინდელ სატრფიალო ლექსებში, მისი გულისა და სულის სიღრმეში ამოხეთქილი გრძნობები, უიმედო სიყვარულის შედეგად მიღებული ჭრილობები და ამ უიმედობას დასტირის გულდამწვარი პოეტი.

„აღარც ნატვრა და აღარც იმედია!..
ყველა წარხდა... ვაი ესრეთ შთომილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!..“ (1, ტ.1, გვ.102).

პოეტი სწუხს, რომ მივიწყებული გრძნობები განუახლდა. მისი ნახვით ისევ დაწყნარებული გული, ისევ „აღსდგა მკვდრეთით.“ პოეტი გრძნობს, რომ მისი შეყვარებული, მას არ ეკუთვნის,

„ის სხვას ეტრფის და სხვას შეჰხარის,
„ის სხვას ასმევს ნეკტარს ნეტარებისას.“ (1, ტ.1, გვ.102).

გულმოკლული პოეტი ჩივის, რომ მან არ იცის სად წავიდეს, ვის შესწივლოს, ვის უთხრას თავისი გასაჭირი და ამიტომაც დამწუხრებული სწყევლის თავის გაჩენის დღეს.

„სად წარვიდე, ვის შეეჩვილო, ვის ვუთხრა?
ვინ განმიღებს დახშულს კარსა ბედისას?
ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
სამუდამოდ წაწყმედილ იმედისას?“ (1, ტ.1, გვ.102).

ამავე წელსვე ილიას დაწერილი აქვს ლექსი „კ. ბ. მ – სას.“, სადაც გამოხატავს იმედების გამტყუნებასა და სინანულს, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ მის მიერ სიკეთით გაწვდილი მეგობრობის ხელი უარყვეს და არ მიიღეს. საყოველთაო სიყვარულის იმედების დაკარგვის გამო, დამწუხრებული პოეტი წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს:

„ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...
მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძლოდა...
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივს თათბირს ეურჩებოდა.“ (1, ტ.1, გვ.103).

პოეტი ვერ ეგუება იმას, რომ სიყვარულის გრძნობა იყო მცდარი. მაგრამ მიუხედავად ამ შეგრძნებისა მას უნდა ამ გრძნობის ხელახლა კვლავ აღდგენა და მისი დაბრუნება. მართალია მან დაკარგა ეს საყოველთაო სიყვარული, უნუგემოდ დარჩა გული, ხოლო უიმისოდ გული ცივია და ბნელი. მაგრამ მიუხედავად ამისა, პოეტი შენატრის იმას, ვისაც:

„ნეტა მას, ვისაც იმ რწმენის შუქი
ერთხელ მაინცა გულსა ჰფენია!
უფრო ნეტა მას, ვისც სამარემდე
გულით რწმენილი გულსვე შთენია!“ (1, ტ.1, გვ.103).

ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი სატრფიალო ლირიკა ამ ლექსით მთავრდება. ამის შემდეგ მას ამ თემისთვის აღარ მიუმართავს. გ. ჯიბლაძის თქმით, „სატრფიალო ლირიკას ილიას პოეზიაში არამარტო სრულიად გარკვეული

ადგილი უკავია, არამედ, მისი ერთ-ერთი მშვენიერი ფურცელიცაა.“ (12, ნაწ. I, გვ. 217).

ქართულ ლიტერატურაში არა ერთი ნაწარმოებია შექმნილი პატრიოტულ თემაზე. მაგრამ XIX საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედება, იყო საწყისი პატრიოტულ აზროვნებისა, რომელმაც შემდგომ დროს პოვა განვითარება.

ზევით აღვნიშნეთ, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის უდიდესი წარმომადგენლები: ილია და აკაკი, რომელთა პატრიოტულმა ლირიკამ ჩვენი ქვეყანა შესძრა და ფეხზე დააყენა.

რუსეთის მიერ კოლონიად ქცეულ საქართველოში, პოლიტიკურად და მორალურად მყოფ მძიმე მდგომარეობის დროს, სწორედ მათ აღმოაჩნდათ ის ძალა და გამბედაობა, რომ წინ აღდგომოდა რუსულ, ამ ურჩხულის სახელმწიფო წყობილებას.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ამ ორ პატრიოტ მგონებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ღრმად სწამდათ, რომ საქართველოს მომავალი ჰქონდა. რომ დადგებოდა ისეთი დრო, როცა ქვეყანა, ქართველი ხალხი, გაიღვიძებდა, გამოფხიზლდებოდა, მოიშორებდა უღელს, ბოლო მოეღებოდა ამ უსამართლობას და საქართველო განთავისუფლდებოდა.

ილია ჭავჭავაძის ლირიკაში მკვეთრად ჩანს მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, მამულის სიყვარული, მომავლის იმედი და სწორედ ამ რწმენას, ამ იმედს უნერგავდა ხალხს.

70-იან წლებში, სამოღვაწეო ასპარეზზე იწყებს გამოსვლას ახალი თაობა, ახალი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებმაც თავი მოიყარეს პოლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთ „დროებას“ (1866–1885) და ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „კრებულის“ (1871–1873) გარშემო. ახალი თაობა თავის ხელმძღვანელად თვლიდა, შედარებით ძველ მეგრძობლს ილია ჭავჭავაძეს. მათთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ჩვენს მგოსანს აკაკის.

სწორედ ამ ახალგაზრდების გამოსვლით აღფრთოვანებული ილია 1872 წელს წერს ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით: „ჩემო კარგო ქვეყანავ.“ ეს არის პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი, რომელშიც პოეტი გამოხატავს გულის სიღრმეიდან ამოხეთქილ სიხარულს, მომავალი თაობის გამო.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგვიწყენია!..
აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია,

თუმცა ძველნი დაგვემორღნენ, ახალნი ხომ შენია...

მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,

ჩემო თვალის სინათლეც, რაზედ მოვიწყენია?“ (1, ტ.1, გვ.101).

ილიას დანამდვილებით სჯეროდა და დარწმუნებულიც იყო იმაში, რომ მოზარდი თაობა, ახალგაზრდობა, მამულზე იფიქრებდა და იზრუნებდა. პოეტი გრძნობს, რომ ეს ახალგაზრდები გულთი მტკიცედ დაიცავენ სამშობლოს, წინ აღუდგებიან ყოველგვარ სიმრუდეს, მკერდით დაიცავენ მას და გულდაჯერებული ამაში წერს:

„მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,

მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...

ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!

მათ თავის მკერდით შემუხრონ მტერთა სიმაგრენია,

ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოვიწყენია?“ (1, ტ.1, გვ.101).

ჯ. ლვინჯილია ამ ლექსის შესახებ წერს:

„ილია ჭავჭავაძემ ამ ლექსში სამშობლოს სიყვარულს მოუნახა ახალი ფორმა, ახალი ფერები. ამ ფორმით მშობელი ქვეყნის სიყვარული რაღაც აუხსნელ სულიერ განწყობილებას ამკვიდრებს ჩვენში. მახლობლობა, მშობლიურობა, განუყრელობა, თითქოს მზრუნველობის ენერგიას აღვიძებს ჭირის-უფალში. თანაც დიდი იმედი გასდევს ლექსს. ბედთან შეურიგებელი, გაუტეხელი ქართული სულის იმედს ასხივებს ილია ჭავჭავაძის აღნიშნული ლექსი.“ (27. გვ.274).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს 1883 წელს დაწერილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. რომელიც მომავლის იმედითაა გამსჭვალული. ეს ლექსი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის ლექსებს შორის ბრწყინავს თავისი სილამაზით, დახვეწილი ტექნიკით, მაღალმხატვრული დახვეწილი სტილით და ბუნების სილამაზის სიმშვენიერების გადმოცემით. ამავე დროს, ეს ლექსი ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ მასში აშკარად გამოხატავს პოეტი როგორც თავისს, ასევე ერის მტკიცე იმედს მომავლისა, იმ გმირისა, რომელიც ქართველ ერს შეუშრობს ცრემლს და რომლის შემწეობითაც მამული აღსდგება.

ილია ჭავჭავაძეს მტკიცედ სწამს და სჯერა, რომ ასეთი გმირი, რომელიც სამშობლოს აყვავებს ჩვენს ქვეყანას უსათუოდ მოვევლინება. ეს არის მისი პოეტური წარმოსახვა, ერის მომავლის იმედი. ქართველი ერის გულსა და სულში, ყოველი გაჭირვების დროს, თან სდევდა გადარჩენის იმედი. საუკუნეების

განმავლობაში ყოველთვის გამოჩნდებოდა დაფარული, მკვდრეთით აღმსდგარი ის ძალა, რომელიც ერს გადაარჩენდა და აღადგენდა.

„ბაზალეთის ტბაში“, ილია სწორედ ამ იმედით არის გამსჭვალული და ამ გმირს ელოდება. შეუდარებელია ილიას მიერ აღწერილი ბაზალეთის ტბა.

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.
ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.“ (1, ტ.1, გვ.104).

როგორც ვხედავთ, ილიამ მოკლედ, სხარტად, ყოველგვარი ზედმეტი აღწერილობისა და სიტყვების გარეშე, წარმოგვიდგინა ბაზალეთის ტბის, წალკოტის აღწერა. მის მიერ გადმოცემული ლეგენდის თანახმად, ამ წალკოტის შუაში, სადაც ჯერ ვერავინ ჩასულა, ასვენია აკვანი. მარტო სირინოზნი აკვანს ეხვევიან, „დასტირიან და დამღერიან“. შემდეგ

განაგრძობს ლეგენდის გადმოცემას:

„ამბობენ, – თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გაღუხურავს.
ამას კი აღარ ამბობენ, –
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...“ (1, ტ.1, გვ.104).

პოეტი, თითქოს დარწმუნებულია, რომ იმ აკვანში სწორედ ის მომავალი გმირი წევს, რომელმაც ქვეყანა უნდა აღადგინოს. რომ იმ აკვანში უკვე წევს ქართველი ერის მომავალის იმედი. პოეტი კითხულობს:

„იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,

ვისაც დღე-ღამე ჰნატრულობს
ჩუმი ნატვრითა ქართველი?“ (1, ტ.1, გვ.105).

ილიას ოცნებით წარმოსახულ, ქართველი ერის წიაღში აღზრდილ მომავე-
ლის გმირსა და დედას, შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟაკცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა.
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!“ (1, ტ.1, გვ.105).

როგორც ვხედავთ ლექსში „ბაზალეთის ტბა“, ილიამ გამოხატა ხალხის
სულიერი სიმტკიცე და მომავლის იმედი და როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ
ლექსით პოეტი ცდილობდა ხალხში დაენერგა და განემტკიცებინა პატრიოტუ-
ლი სული.

ლექსში, „დამაკვირდი“, ილიამ გამოხატა თავისი აზრები და შეხედულებანი.
იგი შესდგება 14 აფორიზმებისაგან.

ილიას მიერ ამ ლექსში წარმოდგენილია მოკლედ გამოთქმული სხვადასხვა
საკითხების მიმართ სიბრძნე, რითაც ცდილობდა ხალხში შთაენერგა თავისი
შეხედულებები.

მამაცობასა და თავის დაცვის შესახებ პოეტი წერს:

„ამოწვდილს ხმალსა მტრისასა,
წინ მიაგებე ფარიო;
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო.“ (1, ტ.1, გვ.106).

პოეტი წერს ნამუსსა და პატიოსნების შესახებ. მწერლობასა და კალმის
შესახებ. მისი თქმით, კალამი ყველაფერზე უფრო შემძლეა, კალმის მშვი-
ლობიანი წვერი, ხმალზედაც კი ძლიერია. შემდეგი აფორიზმი ეხება შუბსა
და ნემსის წვერს: შუბი, „სისხლის მსმელია“, ხოლო პატარა ნემსის წვერი,
„წყნარი“, „მიშველ-ტიტველთა მცემელია“. სიკეთის მომტანია და სიკეთის
მაუწყებელია. თუ ადამიანს სახელის მოხვეჭა სურს, ისეთი საქმე უნდა აკეთოს,
რომ მომავალმა დღემ მადლობა სთქვას. პოეტის თქმით, მტერს სიკეთით უნდა
უპასუხო და უნდა ერიდო ტყუილ უბრალოდ სისხლის ზღვევას. ვაჟკაცობით

ძლევას ყოველთვის სულგრძელობით უნდა უპასუხო. შემდეგ აფორიზმში, ილიამ შშენიერად გამოხატა ხალხური გამოთქმა, რომელიც ეხება მტრობას და სიყვარულს.

„წუთის-სოფელი ესეა;
ღამე ღღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია –
სიყვარულს უშენებია.“ (1, ტ.1, გვ.107).

მერვე აფორიზმში, პოეტი წერს, რომ თუ ვაჟკაცი, ტანჯვის გამო ცრემლს გადმოაფრქვევს, ეს არ არის სათაკილო, რადგან ადამიანი ამით გამოირჩევა პირუტყვისაგან, ვინაიდან „ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი“. ილიას აზრით, სისხლის ღვრა არ წარმოადგენს ვაჟკაცობას, ხოლო ვინც უბელურების მხსნელად მოგვევლინება, სწორედ ეს ვაჟკაცია საქები. მეათე აფორიზმში გამოხატავს სიბრძნეს, რომელიც ადამიანობას ეხება და ეს გამოთქმა ხალხმა მიიღო, შეითვისა და ხალხურ გამოთქმით გადაიქცა.

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ ღღესა შენს თავს ჰკითხე, –
აბა ღღეს მე ვის რა ვარგე?“ (1, ტ.1, გვ.107).

ილია წერს, რომ ბოროტება დათრგუნო, უნდა მადლი და სიკეთე უფარო. თუმცა იქვე ამბობს, რომ ყოველთვის ძნელია მადლით პასუხი, რადგან იქ სადაც ძალა ბატონობს წუთი-სოფელში, მადლი იჩაგრება, რადგან:

„მართალი უთქვამს, ვინცა სათქვა:
„ძალა აღმართის მხვნელია.“ (1, ტ.1, გვ.108).

მიუხედავად ძალის ბატონობისა, ილიას თქმით, ვაჟკაცი სწორედ ის არის, ვინც ამ ძალას წინ აღუდგება და ქვეყანას სიმართლეს ეტყვის, სუსტსა და დაჩაგრულს დაიცავს.

ლექსში „დამაკვირდის“ ბოლო ეპიგრაფში, კამათი იმართება ჭკუასა და გულს შორის. მათ შორის დავა გრძელდება ადამიანის ცხოვრების მთელ მანძილზე. იმის მაგივრად, რომ ეს ორი ადამიანისათვის სასიცოცხლო ძალა: ჭკუა–გონება და გული–გრძნობა ერთად ყოფილიყვნენ და შეთანხმებულად ემოქმედათ და ამით ადამიანის ბედნიერება დამყარებულიყო, ისინი ცალ-ცალკე იწვევს და თვითიული თავის სიკეთეს ამტკიცებს. ჭკუის თქმით ის არის ადამიანის ცხოვრების შემქმნელი, რადგან მან:

„ჭკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა
აღმართი მე ვახვნევიანე,

თესლი მოვკრიბნ და ხნულში
დავთესე, დავაბნევიწე,
უღონოს ღონე მე მივეც,
ხელი მე გავაქნევიწე.“ (1, ტ.1, გვ.108).

ხოლო, გული მას უპასუხებს, რომ ის მართალია, მაგრამ მის მიერ „ნახნავის გორახი“, მას მოუწია ფარცხით მოსწორება. „მშრალი ბელტებ“ მან ცრემლით მორწყა და მის მიერ ნათესი, მან „სისხლის ღვრით“ გამოზარდა. მას მოუწია ყანის ღვარძლისაგან გასუფთავება და ბოლოს, მან „ნაამაგარი ძნად“ შეკრა და ზვინიც მან დაღვა. მას უნდა, რომ ყველას ერგოს სწორად და სწუხს, რომ ეს ჭკუას ვერ გააკეთებინა; და ბოლოს, იღია თითქოს საბოლოო დასკვნის სახით წერს:

„არ იქმნა, ჭკუავ, მაღლის გზა
მე შენ ვერ დავაქნევიწე.“ (1, ტ.1, გვ.109).

ლექსი „დამაკვირდი“ ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ იღია ჭავჭავაძემ, ევრდნობა ძირითადად ხალხურ სიტყვიერებას და ხალხურ გამოთქმებს.

ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი და ირანისტი ვახუშტი კოტეტიშვილი (1935–2008) იღია ჭავჭავაძის შესახებ წერს:

„სულ ახლო მისვლა „ხალხის გენიასთან“, იღია ჭავჭავაძემ ისეთი ოსტატობით შესძლო, ისეთი შემოქმედებითი გარდაქმნის სასწაულები გვიჩვენა, რომ ხშირად ძნელდება გამოცნობა თვით ილიას კუთვნილებას წარმოადგენს ესა თუ ის ფრაზა, და ზოგჯერ მთელი კომპოზიციაც კი, თუ ხალხური სიბრძნე არის, საუკუნეთა ტევრში გამოვლილი და განმტკიცებული. აზრის სიღრმეც და ლექსის კომპოზიციაც, და საერთოდ, მთელი პოეტური ფაქტურა, პირდაპირ ხალხურია, იმ ნაჭედობით მტკიცე და იმ შინაგანი ფორმით ამაღლებული, რომელიც მხოლოდ ხალხურმა გენიამ იცის, საუკუნეებთან რომ არის დამობილებული.“

ამ ხასიათისაა ის აფორისტული ნათქვამები, რომლებიც „დამაკვირდის“ – კილოთი შემოიღანა პოეტმა ჩვენს ლიტერატურაში. თვითეული ეს ლექსი სიბრძნეა, ისევე მოსახმარი, როგორც ხალხური ანდაზა და ანდაზასავით მოსწრებული, ღრმა და შეწყობილი.

საკითხი ი. ჭავჭავაძის ურთიერთობისა ხალხურ შემოქმედებასთან ძნელი და რთული საკითხია. ამ პრობლემას ქართული მეცნიერება ბევრჯერ დაუბრუნდება და ბევრ საგულისხმო მომენტს აღმოაჩენს.“ (2, გვ.272).

მეორე ადგილას, ვ. კოტეტიშვილი მსჯელობისას ხალხურ შემოქმედების შესახებ, წერს:

„ილიამ გვიჩვენა, რომ სწორედ ხალხური სიტყვით შეიძლება უფაქიზეს გრძნობათა გადმოცემა....“

სხვადასხვა ხალხური თქმები გადააქცია ილიამ ჩვენი მწერლობის შემდგომი განვითარების, მისი ნამდვილი განხალხურების ფაქტურად. ილიას პოეზია, პროზა და პუბლიცისტიკა სავსეა ხალხში გავრცელებული თქმებით, ხოლო სადაც კი ეს არ არის, თვით ილიას ფრაზაშივე იგრძნობა მისი ამ ფრაზის განხალხურობის შესაძლებლობა. ეს იყო და არის მისი უდიდესი დამსახურება. ილია ჭავჭავაძის სწორედ ამგვარი ენობრივი ტენდენცია აღმოჩნდა სავსებით შესაფერისი იმისათვის, რომ ნამდვილი ხალხური სახეები და ტიპები შექმნილიყო.“ (3, გვ.319).

ამ ლექსის შემდეგ, ილიას, ეგრეთ წოდებული „მოკლე ლექსები“ აღარ შეუქმნია. ამით, ჩვენ დავამთავრეთ ილია ჭავჭავაძის ლექსების შეძლებისდაგვარად განხილვა.

II. 2. პოემები .

ხეშოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის, პეტერბურგში ყოფნის დროს, დაიწყო პოემების წერა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მან ხელახლა გადაამუშავა დაწყებული პოემები და ცენზურის წინააღმდეგობის მიუხედავად, თანდათან შეძლო მათი გამოქვეყნება.

ილია ჭავჭავაძე იყო ბუნებით პოეტი. პოეზია წარმოადგენდა მის განუყოფელ ლიტერატურულ მისწრაფებას, მის სულიერ საზრდოს, რომლის საშუალებითაც იგი გადმოსცემდა მასში დაგროვილ თავის გრძნობებს, შეხედულებებს, აზრებს და მას იყენებდა როგორც ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, სოციალურ და პატრიოტულ იდეების გამოსახატავად.

მართალი არის გ. ასათიანი, იგი აღნიშნავს:

„ილია ჭავჭავაძე იყო პოეტი დაბადებით. პოეზია წარმოადგენდა მისი პიროვნების, მისი ადამიანური ბუნების თანდაყოლილ, განუყოფელ თვისებას.“ (3, გვ.351).

II. 2. 1. აჩრდილი.

ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი პოეტური სიძლიერე გამოავლინა პოემა „აჩრდილის“ დაწერისას. „აჩრდილი“ წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული პოეზიის თვალსაჩინო ძეგლს.

პოემა „აჩრდილის“ წერა, ილიას დაუწვია 1858 წელს და დაუმთავრებია 1859 წლის იანვარში. თუმცა, შემდგომშიც ავტორის მიერ პოემა განიცდიდა გადაამუშავებას და ცვლილებებს, ცენზურის პირობების გამო. პ. ინგოროყვა პოემის შესახებ წერს:

„აჩრდილის“ ტენდენცია, როგორც სოციალური (– სტროფები ბატონყმობის წინააღმდეგ), ისე ეროვნული, იმდენად რადიკალურია, რომ წარმოუდგენელია იმდროინდელი საცენზურო პირობებში შესაძლო გამხდარიყო ამ პოემის დაბეჭდვა.“ (1, ტ.1, გვ.367).

პ. ინგოროყვას გამოკვლევით, პოემის დამთავრებისთანავე, ილიას უცდია მისი დაბეჭდვა ჟურნალ „ცისკარში“, მაგრამ ცენზურის წინააღმდეგობის გამო, დაიბეჭდა მხოლოდ V თავი. 1859 წლის მეორე ნახევარში ილიას უცდია ამ პოემისა და მის მიერ გადათარგმნილი, მ. ლერმონტოვის პოემის „ჰაჯი-აბრუკის“ ცალკე წიგნად გამოცემა, მაგრამ ცენზურას ამის ნებართვა არ მიუცია. 1863 წ. ილიამ თავის ჟურნალ „საქართველოს მოამბეშიც“, ცენზურის გამო კერ დაბეჭდა. მხოლოდ 1872-73 წწ-ში შესაძლებელი გამხდარა მისი დაბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“, მაგრამ არასრულად. ცენზურას ამოუღია თავები, ცალკე სტროფები და ფრაზებიც კი. 1881 წ. პოემა დაიბეჭდა „ივერიაში“ არა სრულად. შემდეგ 1892 წელს – „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემაში, აქაც შემოკლებით. როგორც დავინახეთ, პოემა „აჩრდილის“ გამოცემა გახანგრძლივებულია. ილიას ოთხჯერ მოუწია პოემის გადაკეთება. რა თქმა უნდა ამ ხნის განმავლობაში, პ. ინგოროყვას თქმით:

„ზოგი პოლიტიკური ელემენტი პოემისა (– ის ნაწილი, რომელიც ბატონყმობას ეხებოდა) უკვე დაძველებული იყო. ამასთან პოემის მეორე ნაწილი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის სურათები, ჩანს, პოეტს უკვე აღარ აქმაყოფილებდა. ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ ილიამ ამ დროს ხელახლა გადაამუშავა პოემა.“ (1, ტ.1, გვ.369).

„აჩრდილის“ შესახებ არაერთგზის გამოთქმულა უცნაური საყვედურები ილიას მიმართ; ერთი – რომ ილიამ დაგვიანებით გამოაქვეყნაო ეს ნაწარმოები, როცა ბატონყმობა გადავარდნილი იყო; მეორე, – რომ ილიას არ ჰქონდა ამ ნაწარმოების წერის დროს ერთი გარკვეული იდეოლოგიური მაგისტრალი, და სხვადასხვა ვარიანტებში იგი სხვადასხვარვად აშუქებსო საკითხებს.

მაგრამ ჯერ ერთი, – ეს პოემა მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ბატონყმობას; მეორე, – ამ პოემის გამოქვეყნების დაგვიანებაში ბრალი ედება ყოველ შემთხვევაში არა ილიას, არამედ ცენზურას. ცენზურამ, როგორც ირკვევა, რამდენჯერმე შეაფერხა პოემის ბეჭდვა, და ამას გარდა პოემის ტექსტი, როცა მას დაბეჭდვა ეღირსა, საკმაოდ შეკვეცილი გამოვიდა ცენზურის ხელიდან.“ (1, ტ.1, გვ.364).

მეორე ადგილას პ. ინგოროყვა განაგრძობს პოემის შესახებ საუბარს:

„როგორც ვხედავთ – საყვედური ილიას მიმართ, თითქოს მან დაავიანა „აჩრდილის“ დაბეჭდვა, მეტი რომ არ ითქვას, უბრალო უმეტრების ნაყოფია. პოემა, როგორც ვნახეთ, თითო-თითო სტრიქონებით არის გამოტაცებული ცენზურის ხელიდან.

ამასთან ცენზურის წყალობითვე ჩვენ დღეს არ გვაქვს „აჩრდილის“ სრული ტექსტი. პოემის 22 და 23 თავი დაკარგულია. „აჩრდილის“ ბოლო რედაქციის პირველ-ნაწევი ავტოგრაფები არ შენახულა, ხოლო ნახევდ ტექსტში, როგორც ავღნიშნეთ, ეს ორი თავი ამოშლილია ცენზურის მიერ. რას შეიცავდა ეს ორი დაკარგული თავი, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა წყაროებში არ მოიპოვება.“ (1, ტ.1, გვ.372).

მისივე თქმით: „მიუხედავად ცენზურის ბარიერისა, ილიას თხზულება მაინც ცნობილი გამხდარა ფართო საზოგადოებაში. ილიას პოემა, როგორც ირკვევა, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რასაც ადასტურებს ჩვენ დრომდე მოღწეული პოემის პირები.“ (1, ტ.1, გვ.369).

თვითონ პოემას პ. ინგოროყვა შემდეგნაირად აფასებს:

„აჩრდილი“ პირველი პოეტური ნაწარმოებია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, სადაც ეროვნული განთავისუფლების საკითხი სრულის რადიკალობით არის დასმული, ამასთან ილია ერთი პირველთაგანი იყო ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც ბატონყმობის წინააღმდეგ გაილაშქრა.“ (1, ტ.1, გვ.365).

მისივე თქმით, „პირველი დიდი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც ილიამ ფართოდ გამალა თავისი მსოფლმხედველობა, არის პოემა „აჩრდილი“....

პოემა წარმოადგენს მოწოდებას ბრძოლისაკენ ეროვნული თავისუფლებისათვის, ბრძოლისაკენ სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად.“ (6, ტ.1, გვ.412).

პოემაში ახალგაზრდა პოეტის მიერ წარმოდგენილია მისი თვალთახედვა, მისი ფიქრები მამულის შესახებ, სოციალურ-ეროვნული საკითხები. პოეტი მხატვრული ხერხებით აღწერს მამულის ბუნების სილამაზეს, ერის ტანჯვას,

სამშობლოს წარსულს, მის აწმყოს, ერის უკვდავ სულისა და მის მომავლის იმედს. პოემა გამსჭვალულია სამშობლოსა და შრომის თავისუფლების იდეით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიას არა ერთხელ მოუწია პოემის გადაკეთება. მასზე პოეტს, როგორც ეტყობა დიდი დრო დაუხარჯავს. 1872 წელს, დავით ერისთავისადმი მიწერილ წერილში, პოეტი წერს:

„მე არაფერს არა ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ გაქირ ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდეგი. არ ვიცი, რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი. ერთი გადმოდ, ლაზათიანი მასლაათი გავწიოთ. უკაცურობამ ლამის მამიდნოს, მართალია ლესსინგი: მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო. თუ არ ცხოვრების მორევეში, საგანს სადიპ[ოქ]ნი წერისათვის.“ (1, ტ.10, გვ.34).

ჯ. ღვინჯილია შემდეგნაირად ახასიათებს პოემას:

„აჩრდილი“ რაღაც სხვა არის, ვიდრე პოეტური ნაწარმოები, რაღაც მეტიც მომცველი, ვიდრე პოეზია საერთოდ. პოეზიის საგნის გარდა აქ მრავალი მისიაა ნატვირთი და გაცხადებული. იგი ერის ცხოვრების პროგრამად ჩანს ამავე დროს. ყველა ფიქრი თითქოს აქ იდგამს ფეხს და მასვე მიაშურებს საბოლოოდ, ზეტიალთა და გარჯით დაღლილი. იგი თითქოს იწყებს და განასრულებს კიდევ სამყაროს; რასაც ილია ჭავჭავაძის სახელი ჰქვია. პოემა შემოქმედების გარიჟრაჟზე არის დაწერილი. მაგრამ მანამდე დაწერილიც და დიდიხნის შემდეგ შექმნილიც თითქოს „აჩრდილიდან“ ამოზრდილი სხივებია, მისი ნამტვრევები, მისი ტოტები. ილია ჭავჭავაძეს მთელი არსებით აქვს განცდილი „აჩრდილის“ – ადგილი, დანიშნულება და მასშტაბები.“ (26, გვ.242).

პოემა „აჩრდილი“ ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა მის მეგობარს გიმნაზიიდან, საზოგადო მოღვაწეს და მთარგმნელს ივანე პოლტორაკის (1836–1892) და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ლიტერატორს, პუბლიცისტსა და პედაგოგს ილია წინამძღვრი შვილს (1834–1920).

პოემას პოეტმა წაუძმდვარა შოთა რუსთაველის აფორიზმი, რომელიც გამოხატავს პოემის მთავარ აზრს.

„რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. (1, ტ.1, გვ.131).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე, ყოველთვის იმედით უყურებდა მომავალს. მას სწამდა და სჯეროდა, რომ სამშობლო და ერი კვლავ აღსდგებოდა, განახლდებოდა და ის მიმქრალი სული ერისა გამოიღვიძებდა და გამოფხიზლდებოდა. სწორედ ეს აზრი აქვს გამოხატული პოეტს პოემა „აჩრდილში“.

პოემა იწყება ბუნების სილამაზის ხედის აღწერით. ეს არაჩვეულებრივი წარმოსახვა ბუნებისა მკითხველის თვალწინ გადაშლის ვრცელ მიდამოს, მზის ამოსვლის სხივებით განათებულ კავკასიის მთების და მყინვარის დიდებული ხედით.

მყინვარის აღწერაში იგრძნობა მისი მედიდურობა, მისი სიძლიერე. ის ზვიადია და მძვინვარეა, რომელიც განათებული ამომავალი მზის სხივებით დასცქერის ქვეყანას. ეს ღიადი, მხატვრული ფერებით აღწერა მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მას, თვალწინ წარმოუდგება მყინვარიდან გადაშლილი მშვიდი, დიდებული სურათი.

ილიას მიერ აღწერილ ამ სილამაზის ზოგად მსჯელობას, სჯობს თვით პოეტს მოუსმინოთ:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივე ზვიადი, იგივე მძვინვარი,
იგივე დიდებულ და დაღუძებულ,
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მორითო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვაჲ
დასცქერის რისხვით და მუქარებით,
თითქო, ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრილოს, წამოიქუხოს,

ხმელეთს დაეცეს, მერმეთ ქვესკნელსა,
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.“ (1, ტ.1, გვ.131).

ილიას მიერ მყინვარის აღწერის შესახებ, გ. ქიქოძე წერს:

„აჩრდილის“ დასაწყისში კი გრძნობათა მთელი სიმფონიაა და ამ სიმფონიის მატარებელი მისი საყვარელი „მყინვარი“. (23, ტ.II, გვ.40). მეორე ადგილას განაგრძობს გ. ქიქოძე ილია ჭავჭავაძის შესახებ მსჯელობას:

„მიუწვდომელია ის ბედნიერი ნიჭი, რომლითაც ი. ჭავჭავაძეს ადამიანის ფანტაზია აჰყავს უმაღლეს მწვერვალებზე, როგორც, მაგალითად, „აჩრდილში“, რათა შეძლებდეს მის თვალწინ ჯადოსნური სიძლიერით გადაშალოს წარმტაცი სურათი მშვენიერ სამშობლოსი, ან დახატოს შემადრწუნებელი სურათი ღვთის რისხვას მინებებული კოსმოსის, ან დაატკბოს ფიანდაზად გამოილი ველის სინარნარით, დაკოდილ ირმის ნაღვლიანი სილამაზით და მიყუჩებული ტყის იღუმალებით.“ (25, ტ.II, გვ.59).

პოემის მეორე ნაწილში, მკვეთრად იცვლება გარემოება. პოეტს მკითხველი უცებ გადაჰყავს ლირიკულ მშვიდ, მღორე, მყუდრო მდგომარეობაში. თითქოს იკარგება მყინვარის ეს სიამაყე და რისხვა. თითქოს მყინვარიც კი დაიმორჩილა დილის სიმშვენიერემ.

„მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დაღუმებული,
თითქო ღუმილით ყურს უგდებს ცასა, –
და ცაც უღრუბლო და მზიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
ხოლო კი ჩემი უნდო გონება
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...“ (1, ტ.1, გვ.132).

მაგრამ ეს სიმშვიდე, სიწყნარე დროებითია, პოეტი არ ენდობა ამ სიჩუმეს. მისი „უნდო გონებას“ არ სწამს ქვეყნის სიმყუდროვე, რადგან მისმა გონებამ:

„ნუ გჯერსო, – მითხრა, – ეს მყუდროება,
„სტყუისო ზეცაც და ქვეყანაცა!
„ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს
„ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,
„მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
„მადლი ცისა არ მიჰკარებია.

„სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...“

„ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი, –“

„ღრმად ჩააკვირდი მის ღუმელს და სცნობ, –“

„თვით მაგ ღუმელში რა წყევლაც არი!“ (1, ტ.1, გვ.132).

ღუმელში გამოხატული წყევლა, „უნდო გონებით“ შეგრძნებული, პოემის III ნაწილში იცვლება ამ ეჭვთა გაფანტვით და ეს ღუმელი ირღვევა, ჩნდება ბედნიერების იმედი და მომავლისადმი რწმენა. პოეტი უკვე აღიქვამს ბუნებას რეალურად, რადგან მზით განათებული დილა კაცისათვის ბედნიერების მომტანია. ილიას მიერ ბუნების აღწერაც იცვლება და მხიარულ სახეს იღებს.

„ბოლოს კი დილის სიტკბობამა“

მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი

და ყოვლად მხსნელმა სასოებამა

მომცა ნუგეში მაცხოვრებელი.

ვსთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალებს,

ღამე ესეთის დილით თენდება,

სადაც მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს,

იქ ძალუმს კაცსაც ბედნიერება.“ (1, ტ.1, გვ.132).

ეს ნუგეში, რომელიც მოევლინა პოეტს, რამაც გამოიწვია მისი სიხარული და ის „ნუგეშით აღძრული სული“, „განცხოვლდა წმინდის სიყვარულითა.“ ეს უკვე არის მხატვრულად, გრძნობით გამოხატული რიტმულ-მელოდიური წყობა, სადაც ჩანს აღფრთოვანება და სიკეთისაკენ მიმართული რწმენა. ეს სულიერი განწყობილება, პოეტმა შესანიშნავად გადმოსცა შემდეგი სიტყვებით:

„გარდმოქვლინა ყოვლად შემძლები

ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,

აღმიფრთოვანა მან ოცნებები

და განწმინდა ხედვა და სმენა.

თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე

ხედვად უცნაურთ სახილველისა,

მოიხსნა ყურთა თითქო სიძნელე

სმენად ბუნების მეტყველებისა.“ (1, ტ.1, გვ.132).

პოეტის თვალთაგან განშორდა სიბნელე, განიწმინდა მისი ხედვა და სმენა, მას ოცნებაში მოევლინა „უცხო ხილვანი“. აქ ილიას შემოჰყავს საიდუმლო უცხო პიროვნება, რომელსაც ახასიათებს სულ ექვსი სტრიქონით. ეს „დიდი კაცი“ დაფიქრებულია, მშვიდია, თითქოს ამ დილის სურათში ის შერწყმულია და არ გამოირჩევა. ეს საოცარი კაცი, მყინვარზე მდგარი, ჩაფიქრებული გაჰ-

ყურებს შორს. მას არ ესმის თერგის რბოლა, თერგის ღრიალი. ის ვერ ამჩნევს გარემოს, მთებით გარშემო შემკობილ ამ სიმშვენიერეს. კავკასიონის მაღალ მთაზე, საიდანაც ჩანს მთელი არე-მარე, მდგარ მოხუცებულს ილია შემდეგნაირად გვიხატავს:

„და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული;
ვითა ქვეყანა – ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა.“ (1, ტ.1, გვ.133).

ამის შემდეგ პოეტი აღწერს საქართველოს ბუნებას და განსაკუთრებით გამოჰყოფს თერგს, ამ შფოთვარე მდინარეს. პოეტი, თითქოს ხაზს უსვამს და განსაკუთრებით გამოარჩევს ამ დილის სიჩუმეში მღუმარე და დაღუმე-ბულ სამყაროში, მხოლოდ თერგის ბობოქრობას. მოხუცის გარშემო, ილიას მიერ შესანიშნავად აღწერილი ბუნება, მკითხველს თვალნათლივ წარმოუდგენს შფოთვარე და მრისხანე თერგს. და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.

„მის გარშემო შენოდნენ მთანი
თერგი მრისხანე, თერგი მბღღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა,
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე,
ჰრბოდა, ჰბლაოდა, მიღრიალებდა,
სჭექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი
თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ
და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ.“ (1, ტ.1, გვ.133).

ამ თერგის ბობოქარ აღწერის შემდეგ, უცებ გამოჩნდება არაგვი და იცვლება ბუნება, პოეტის ხასიათი. ხდება რიტმულ-მელოდიური და მშვიდი. ამ ულამაზესი მდინარის, არაგვის აღწერაში, პოეტი ლირიკულ მხატვრულ სიტყვებით გადმოსცემს მის სილამაზეს და ამავე დროს მასთან დაკავშირებულ ჩვენი ქვეყნის წარსულ დიდებას, მის ძლიერებას, რომელიც თან გაჰყვა მის ზვირთებს.

„ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდებზედ ჩემი მამული

იყო ერთ დროსა გამშვენებული!
 ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
 შენს წმინდა თვალ-წინ აყვავებულა;
 მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
 აქ – შენს კიდეზედ დაბადებულა.
 შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
 გრძელი მოთხრობა დამარხულია
 და წმინდა სისხლი ქართველებისა
 შენს კიდებზედ გადასხმულია.
 იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
 შეურევ მღვრიეს და მღოვრსა მტკვარსა,
 იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე ჰდულდა,
 იქ მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა.
 შენს ზვირთებს გაჰყენენ საუკუნენი
 და საუკუნეთ – იგი ქართველნი!..
 გულ-ხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
 რამდენჯერ ტანჯვით ვადვენებდი თვალს!..
 რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
 შენ-წინ დაღუპულს ჩემს თვალს დაღალულს
 აძლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს.“ (1, ტ.1, გვ.134).

ამის შემდეგ, ილიას ყურადღება გადააქვს ისევ მყინვარზე მდგარ მოხუცე-ბულზე, რომელიც სიყვარულით გასცქერის „სრულ საქართველოს“. ის ობოლი მარგალიტივით სჩანს სამყაროში. გაკვირვებული პოეტი ეკითხება მოხუცს, თუ საიდან არის მოსული, „და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?“ (1, ტ.1, გვ.134).

პასუხად გაისმის დიდებული მოხუცებულის ხმა. ამ ხმაში ილია ჭავჭავაძე გამოხატავს საქართველოს უკვდავ სულს, რომელიც მარად ცოცხლობს. პოეტი, ამ აჩრდილის სიტყვებში მოკლედ, სხარტად და ამავე დროს ცხადად გამოხატავს მთელ საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. მის სიტყვებში პოეტმა ჩააქსოვა თავისი გულისტკივილი, ქართველთა ტანჯული სული, რომელიც დიდებულად გამოთქვა პოემის VII ნაწილში.

ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად აქვს გამოხატული აჩრდილის სიტყვებში ქართველი ერის დიდება, რომელიც დღევანდელ დღეს ყველას დავიწყებია, რომ ერთ დროს იგი ყოფილა თავისუფალი. პოეტი მოკლედ, სხარტად და სულ

რამოდენიმე სიტყვით გადმოსცემს თავის გულის ნაღებს და ამ სიტყვებში სჩანს მისი ელფერი და მხატვრული სილამაზე.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..

მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,

ამ გულში მე მაქვს შენი აწყობ, შენი წარსული.

მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,

შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,

მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,

შენის აწყობითი სული, გული დამწყლულებია.

წარსულთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,

ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენც მორჭმულ-ძლიერი,

შენცა გვგენია ქვეყნის მადლი – თავისუფლება.“ (1, ტ.1, გვ.135).

დღეს კი ყველას, დიდსა და პატარას დაკარგული აქვს მომავლის იმედი და რწმენა, მისი აღდგენის იმედი აღარა აქვს და არც სწამს. სანამდე უნდა ყოფილიყო ერი ასეთ მდგომარეობაში? სანამდე უნდა იყვეს ერი რწმენა დაკარგული? სანამდე უნდა ყოფილიყო ერი „საზოგადო ცხოვრების დენისადმი“ გულ-გრილი? ამის პასუხს იძლევა აჩრდილი:

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას

და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული

ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,

იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის-წევითა მწარე ცრემლს დაღვრის,

მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,

და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,

ჰღალადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.“ (1, ტ.1, გვ.136).

ამ პასუხში სჩანს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულება ადამიანის დამოკიდებულებისა ცხოვრებაზე. მონუცებულის სიტყვები გამოხატავს პოეტის აზრს, რომ ადამიანის ცხოვრების, საზოგადოების და საერთოდ კაცობრიობის განვითარება, შეუძლებელია მისი კანონების შესწავლის გარეშე.

როგორც ბუნებას, ცხოვრებასაც აქვს თავისი კანონები, თავისი მამოძრავებელი ძალა, მისი შინაგანი ძალა და სწორედ ეს ის ძალაა, ერმა დროზე თუ არ გამოიყენა მაშინ ის ერი დაილუპება.

პოემის VIII ნაწილში, აჩრდილი ამხელს საზოგადოებას, მის უიმედობას და ამავე დროს ღმერთსაც იმოწმებს თავის სიტყვების დასამტკიცებლად.

„აქ არვის – დიდსა, თუ პატარასა, –
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.“ (1, ტ.1, გვ.136).

ჩვენ ზევით, არაერთხელ გვიხსენებია, რომ ილიასთვის მთავარი საფიქრებელი იყო მამული. ამისათვის ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხალხისთვის შთაენერგა მამულის სიყვარული. პოეტის აზრით, მამულისათვის თავის გაწირვა იყო ბედნიერება, ეს იყო დიდი ბედნიერება და ვაჟკაცობის გამოვლინება. ეს გმირული სულისკვეთება შესანიშნავად აქვს გადმოცემული აჩრდილის სიტყვებში:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთოროლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს.“ (1, ტ.1, გვ.136).

აჩრდილი ნატრულობს მომავალი გმირის გამოჩენას, იმ გმირისა, რომელიც მომავლისათვის დაღუპული გმირის სიმღერით დაიბადება.

„აკვანზედ ღელა უძღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, –
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება, –

ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.“ (1, ტ.1, გვ.136).

როგორც ვხედავთ, ილიასათვის მთავარია მომავლის გმირის გამოჩენა. მისი აზრით ეს ესაჭიროება ერს და ქვეყანას. წარსული დროის გმირები უნდა ასაზრდოებდეს და ამხნევედეს ერს. მოხუცებული აჩრდილი ეძებს ეროვნულ გმირს, მის გამოჩენას. მაგრამ, დღევანდელი შექმნილი ვითარების გამო, მან იცის, რომ ამ პირობებში გმირის გამოჩენა არ მოხდება. დღევანდელი სინამდვილე არ იძლევა გმირის გაჩენის შესაძლებლობას. აჩრდილი ეკითხება ხალხს:

„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ვგავით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.“ (1, ტ.1, გვ.137).

აჩრდილის აზრით, გმირის დამბადი საგანი გამქრალია და იწყებს ჩამოთვლას რა მიზეზებითაც ეს არ მოხდება. ილია ჭავჭავაძე, მოხუცებულის სიტყვებით ბრალს დებს თანამედროვე საზოგადოებას და პირდაპირ ეუბნება ხალხს:

„გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული, –
რალა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.“ (1, ტ.1, გვ.137).

სასტიკია და მრისხანეა საყვედური, რომელსაც უყენებს აჩრდილი მაშინდელ საზოგადოებას, რომლის გამოც ეს „სამოთხის კუთხე“ იძულებული გახდა „უცხო კალთას“ შეფარებოდა, ქელი მოედრიკა და მისი მონამორჩილი გამხდარიყო.

„ვიმ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;

რომ დაგიგლიათ უძწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულეზულა,
თქვენგან გმობილი, – უცხო კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებულა.“ (1. ტ.1, გვ.137).

პოემაში, თუ აქამდე აჩრდილი ადრინდელ საზოგადოებას ბრალს სდებდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დაკარგვაში, ამის შემდეგ, X კარიდან დაწყებული აჩრდილი იწყებს საყვედურის გამოთქმას, საზოგადოების იმ ნაკლზე, რაც ილიას დროს ხდებოდა. აჩრდილი, პირდაპირ და მოურიდეზლად ბრალდებას უყენებს საზოგადოებას, იმ მანკიერ მხარეს, რასაც პოეტი თვითონ ხედავდა; და სხვათა შორის ეს ნაკლი დღევანდელ ყოფიერებაშიც შემორჩა. მოხუცებული აჩრდილი შეიძლება ითქვას, რომ მიწასთან ასწორებს ილიას დროინდელ საზოგადოებას. მან სააშკარაოზე გამოიტანა და ხალხს დაანახვა დარბეული, გაცამტვერებული ჩვენი ქვეყნის სურათი. ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მოშლილია, განადგურებულია, აოხრებულია და რაც მთავარია პატრიოტული სულისკვეთებაც დაცემულია. მაგრამ მიუხედავად ამდენი უბედურებისა, მაინც ჩნდება მცირე იმედის ნაპერწკალი, იმედი მომავლისა. „ვრდომილთა შორის“ გამოჩნდება ორ-სამი კაცი, რომლებიც „ქვეყნის წახლომას“, რომ „შეებრძვის“. მაგრამ აჩრდილის თქმით, მათ ერთიანობა არ აქვთ, ერთმანეთს მტრობენ, ერთმანეთის ნღობა არ აქვთ და ერთმანეთის მიმართ შურით არიან განწყობილნი. თუმცა „ერთი საქმისთვის“ იბრძვიან. მაგრამ, ცხადია, რომ რისთვისაც იბრძვიან, ის მიზანი თავიდანვე არის განწირული და მიუღწეველი.

„ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
ქვეყნის წახლომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების;

აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძენიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენღობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ;
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან;
თვით ამზობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.“ (1, ტ.1, გვ.138).

ილია ჭავჭავაძე, თავის შემოქმედებაში განიხილავდა ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკურ ისე სოციალურ საკითხებს. მისი აზრით, ეროვნული საკითხების გადაჭრის დროს, უნდა გადაჭრილიყო სოციალური მდგომარეობა და პირველ რიგში, ყველაზე უფრო საჭირობო ვითარება, ბატონყმობის საკითხი.

პოემის XI კარში, მოხუცი აჩრდილი გადმოსცემს ბატონყმობის სურათს, დამოკიდებულებას ბატონსა, უფალსა და ყმას, „მონას“, შორის. აჩრდილის თქმით ბატონი ითვისებს მონის შრომას, ყვლეფს მას, ძარცვავს, სულს ხდის მას და „მის ხარჯსა ერთსა – ორად ჰხდის...“ მონა ხედავს, რომ მას ატყუებენ, იცის, რომ მისი შრომით ბატონს ახარებს, ხოლო თავისი ცოლ-შვილი კი ელუპება, მაგრამ რა ქნას, იგი უძლურია და „მონობას ემორჩილება“.

ბატონყმობა იმდენად გამჟღადრია ხალხის შეგნებაში, რომ მათ ვერც კი წარმოუდგენიათ მისი შეცვლა. ისინი თითქოს შეგუებულნი არიან ამ მდგომარეობას. მათი აზრით, ბატონი უნდა ბატონობდეს და ყმა კი უნდა შრომობდეს. ამიტომ ბატონი არ აქცევს მას ყურადღებას, მის მდგომარეობას, მის ყოფას, მიუხედავად იმისა, რომ ბატონის ყოფიერება დამოკიდებულია ყმის შრომაზე. როდესაც თვალცრემლიანი ყმა დგას ბატონის წინაშე ვედრებით, იგი მას ყურადღებას არ აქცევს. ილია სვამს კითხვას, სად არის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? შეიძლება კი ისე მოხდეს, რომ ბატონმა თვალცრემლიანი მონა შეიწყალოს? აჩრდილის თქმით ეს შეუძლებელია, რადგან, ყმა: „მონობას თვით ემორჩილება.“

ამ კარის ბოლოს, ილია ეხება რელიგიას და ღმერთს. იგი, აჩრდილი, სიტყვებით, ცხადად გამოხატავს მის დამოკიდებულებას სარწმუნოების მიმართ. აჩრდილი პირდაპირ ამბობს, რომ ღმერთი უსამართლოა. ღმერთი თუ არსებობს და არის, მაშინ ის უნდა იყოს სამართლიანი, ის უნდა იცავდეს ტანჯულსა და დაჩაგრულს, ის უნდა იცავდეს მონის შრომას, თვითონ მონას და სვამს კითხვას:

„ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვება,

ღმერთო სად არის აქ სამართალი?!“ (1, ტ.1, გვ.139).

აჩრდილი აღნიშნავს ყველა იმ უმსგავსოებას, რაც ხდებოდა ბატონყმობის დროს, ყმის საშინელ მდგომარეობას. „შენში კაცისას გრძნობას არ ხედევენ.“ ამბობს მოხუცი. დედას შვილს ართმევენ და სადღაც გაჰყვდიან, თუ ასული ლამაზია და მშვენიერია, მას მოიტაცებენ, ნამუსს ახდიან „შეუბრალებლად“ – „გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრეველად“. (1, ტ.1, გვ.139).

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის იცავდა მშრომელ ხალხს, ყმა-გლეხობას, რომელთა მხრებზე გადადიოდა მძიმე შრომა. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა შრომის საკითხს.

პოეტი, რელიგიასაც უყენებდა შრომის საკითხს. სწორედ მას უნდა დაეცვა მშრომელი ხალხი, ყმა-გლეხობა, და მას უნდა ებრძოლა ამ ხალხის დასაცავად. ის მოძღვრება, რომელიც ჩადებული იყო რელიგიაში, უნდა რელიგიის წარმომადგენლებს განეხორციელებათ ცხოვრებაში, უნდა გამხდარიყვნენ „ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი“. სინამდვილეში კი, რელიგიის მსახურნი ისევე ჩაგრავდნენ მშრომელ ხალხს როგორც ბატონები. ამიტომაც, ილია მოითხოვდა ეკლესიის მსახურთა შეცვლას და განახლებას. რელიგია უნდა გამხდარიყო ადამიანის მსახური და რელიგიის მოძღვრებაც უნდა ყოფილიყო ადამიანის ცხოვრების განახლების ბრძოლის ხელშემწყობი, ვინაიდან მომავალი მშრომელ ხალხს ეკუთვნოდა. პოეტი, მოხუცებულს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.“ (1, ტ.1, გვ.140).

აჩრდილი დარწმუნებულია და სჯერა, რომ არ შეიძლება ასე დიდ ხანს გაგრძელდეს, ბოლოს და ბოლოს მოვა ის დრო, რომ ეს ბორკილი დაიმსხვრევა, ეს ბორკილი დასამსხვრევადაა გამზადებული. ის გრძნობს, რომ მოვა ის დრო, რომ მომავალი საყოველთაო შრომაზე იქნება დამყარებული, რომლის შედეგად ქვეყანაში დამყარდება თანასწორობა და თავისუფლება. ამიტომ საჭირო იყო მშრომელთათვის შრომის ახსნა და საყოველთაო საკითხის განმარტება. აჩრდილის თქმით, ძველი ქვეყანა, ამ ახალ მომძლავრებულ „ქროლას“ ვეღარ გაუძლებს და ამ ტანჯვას ბოლო უნდა მოეღოს. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ ბრძოლის შედეგად. მომავალი დაჩაგრული ხალხისაა.

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.

ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, –
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.“ (1, ტ.1, გვ.140).

მაგრამ, აჩრდილის აზრით, ქვეყანა აყვავდება მაშინ, როდესაც დამყარდება „შრომის სუფევა“, შრომა იქნება ყველასთვის საერთო და მუქთახორობა შეიცვლება შრომის მეფობით. მხოლოდ მაშინ დამყარდება თანასწორობა, მოისპობა ბატონობა და ძალმომრეობა.

„მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარეობა და სათნოება.“ (1, ტ.1, გვ.141).

ეს კი, უსათუოდ მოხდება, რადგან ძველი ქვეყანა მიხვდა, რომ მისი წყობა ირღვევა და ამიტომ „უნდა შვას იგი შრომის სუფევა.“ აი მაშინ, როდესაც შრომა გახდება საყოველთაო, დამყარდება თანასწორობა და მოისპობა ჩაგვრა ერთი ადამიანის მეორის მიმართ, მაშინ:

„მაშინ, ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღულუნი დაღონებული, –
მღერა, ვით კენესა, საწყლის მეხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული, –
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ღმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.“ (1, ტ.1, გვ.141).

ილია ჭავჭავაძისათვის მთავარი იყო სწორედ ეს „თავისუფლების სიმღერა“. ამისკენ მიიღებოდა და მიისწრაფოდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, თავისუფლებისკენ ლტოლვა წარმოადგენდა მის მამოძრავებელ ძალას. მას შენატროდა, რომ როგორღაც ენახა მისი სამშობლო თავისუფალი. თავისუფლების სიმღერა დაუკავშირა ბუნებას, მის სილამაზეს და ეს მომავალი სიხარული, მოხუცებული აჩრდილის სიტყვებით, მოკლედ და სხარტად გამოხატა:

„ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!..

მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი

შენის ლხენითა განიხარებენ,

შენგან შეძკულნი იგი ყოველნი

შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.“ (1, ტ.1, გვ.141).

პოემაში, XV კარში, აჩრდილი ისევ საუბრობს სოციალურ უსამართლო-ბაზე. როდესაც „დიდკაცი დარბაისელი“ განცხრომაში ატარებს დროს, მისი „მომძე საწყალი“, ამ დროს სასოწარკვეთილი მონობაში იმყოფება. დიდკაცს არც ქვეყნის ბედი აწუხებს და არც ბოროტებას ებრძვის, რადგან ბოროტების „მეოხებით მისით თვით ჰრჩება.“ (1, ტ.1, გვ.142). ვაჭარიც ცბიერის ღმილით „მომძეთ ატყუებს“ და თუ ძმასაც კი შიმშილით სული ამოხდება, ის მას არ შეიცოდებს.

ილია ჭავჭავაძეს სააშკარაოზე გამოჰყავს რელიგიის მსახურნიც. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს ეკლესიისა და სამღვდელოების თვითნებობას. „ერთა მამანი“, იმის მაგივრად, რომ ერს ემსახურონ, სიყვარული და სამართლიანობა იქადაგონ, ისინი გულ-ხელ დაკრეფილნი არიან. პოეტი მოითხოვს ისეთ რწმენას რომელიც ხალხს, ერს აღამაღლებს.

„აგერა მღვდელნიც – ერთა მამანი –

რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ

ამა ერისა სულის აღზრდანი,

რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!

სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,

სიყვარულის და სამართალისა,

რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს

და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?

სად არის იგი მლაღადებელი

ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?

სად არის იგი ბიწის მღვენელი

ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“ (1, ტ.1, გვ.142).

ამის შემდეგ, აჩრდილი აღწერს თბილისის ცხოვრებას. აქ თითქოს ყველა ცხოვრობს, დიდი თუ პატარა, თავადი თუ გლეხი, „ჰლხინობენ“, „ჰხარობენ“, ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ“, შრომობენ, უბედურები ტირიან, ბედნიერები იცინიან, მაგრამ მისი თქმით ეს ყველაფერი მოჩვენებითია, თვალთმაქცობაა. დღეები ერთმანეთს ჰგავს. სინამდვილეში კი ამ ქალაქში:

„ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
 უფერულია და ცალიერი,
 არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
 არცა საგანი გულწარმტაცველი!
 იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,
 ერთნაირად და უფერულადა,
 რისთვისაც მამანი იღწვოდნენ უწინ –
 დღეს შეილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
 გრძნობას – ოქროსა ფასად ჰყიდიან,
 მთავრის ღიმილზე – პატიოსნებას
 და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
 თავის მამულის თავისუფლებას.“ (1, ტ.1, გვ.143).

როგორც ვხედავთ, აჩრდილი სასტიკად აკრიტიკებს აქაურ ცხოვრებას.

ასეთნაირათვე აღწერს აჩრდილი, ოდესღაც „სავანე გმირთა“ მცხეთას. პოეტი მხატვრული ხერხებით ახასიათებს მის დიდებულ წარსულს და დღევანდელ დღეს. მისი თქმით, ძველი მცხეთა, „სადაც ჰყვარადა ხე ცხოვრებისა“ და სადაც „ქართლის ტკივილი დაყუჩდებოდა“, დღეს იქ ცხოვრება დაცემულა და „სამიკიტანო დაბად გამხდარა.“ ოდესღაც „ღიღინი პალატნი“ დანგრეულა.

„დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
 პირუტყვით ქელვითა შეგინებულა.“ (1, ტ.1, გვ.144).

პოემის შემდეგ თავებში, აჩრდილის თქმით, ილია აღწერს საქართველოს ისტორიას, მის წარსულს.

მხატვრულ ხერხებით გადმოგვცემს მის გმირულ ფურცლებს. დიდი შთაბეჭდილებით და პატრიოტული სულის კვეთებით გადმოგვცემს საუკუნეების მანძილზე გამოვლილ ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიას. ამ აღწერით მას უნდა ხალხს გაახსენოს თუ რა ვიყავით ჩვენ წარსულში. რომ ამ ხნის მანძილზე, თავდადებული ბრძოლით და გმირული შემართებით, ჩვენმა ერმა შეძლო დღემდე მოღწევა. ქართველი ხალხის ამ გმირობით აღტაცებული პოეტი წერს:

„ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
 რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..
 ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
 ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
 სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
 განეკლოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?“

შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა საბუდამოდ არ მოიხარეს.
ერი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწეოდა, –
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოიცალა, –
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.“ (1, ტ.1, გვ.144).

აჩრდილი გადმოგვცემს საქართველოს მდგომარეობას „მაკედონის გმირის“
ლაშქრობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მას „სძულდა თვით ერიც, მის
სიკეთე, ნიჭიერება“ და „თვით ერის ენას სდევნიდა“, ერმა გაუძლო ამ დამპყ-
რობელს. ილია იძლევა ერთგვარ დარიგებას, რომელიც ეხება ყველა დამპყრო-
ბელსა და მმართველს და რა თქმა უნდა პირველ რიგში ეს ეხებოდა რუსეთის
იმპერიას.

„ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქეთ ერის სიყვარული და შეწყნარება.“ (1, ტ.1, გვ.145).

ქართველი ერი ითმენდა მონობას და დამპყრობელის წინაშე ქელს იხრიდა,
მაგრამ:

„მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.“ (1, ტ.1, გვ.145).

გამოჩნდა ფარნავაზი „ჰაეროვანი“, რომელმაც „დასცა თავზარი მტერსა“,
გააერთიანა დაჩაგრული ერი, „მოჰფინა თავისუფლება“ და:

„ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰქმოსა მან პატიოსნებით.“ (1, ტ.1, გვ.146).

ფარნავაზის შემდეგ, საქართველოს გაუმდებით უხდებოდა ბრძოლა თავის
გადასარჩენად. ვინაიდან მისკენ მიპყრობილი იყო მტრის „გაუჰამდარი და ხარ-
ბი თვალი“ და ოთხივე მხრიდან „შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ.“ აჩრდილი
სიამაყის გრძობითა და ალტაცებით გადმოსცემს იმ დროს, როდესაც ერთს
ძახილზედ „მამულის დროშა გაიმლებოდა“ და მამულისათვის თავდადებაში,
მამულისშვილნი, მტერთან ბრძოლის დროს ერთმანეთს ეცილებოდნენ. მაგრამ

წავიდა ის დრო და დღევანდელ დღეს, დამწუხრებული მოხუცი სინანულითა და მწუხარებით ამბობს:

„ეხლა რაღაა!.. გაპქრენ ის დღენი,
გაპქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.“ (1, ტ.1, გვ.147).

პოემა „აზრდილის“ განხილვის დასაწყისში, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ XXII და XXIII თავები არის დაკარგული.

პოემის XXIV თავში, აზრდილი კვლავ განაგრძობს წარსული დიდების და-კარგვის გამო მოთქმა-გოდებას. მისი თქმით, დღეს, „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება“. დღეს გარდაიქმნა და დაიკარგა „ახოვანი იგი ცხოვრება.“ მიუხედავად დღევანდელი ცხოვრების ასე გაუკუღმართებისა, აზრდილი მანც იმედს არ კარგავს და მომავლისკენ იყურება. ის ამჩნევს ერის გამოფხიზლების მიმქრალ ნიშნებს, „სულის ქროლას“. მაგრამ მას უნდა, რომ თვითონ მოესწროს ერის მშვენიერებას და ამ ნატვრას შემდეგნაირად გადმოსცემს:

„როდესღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?“ (1, ტ.1, გვ.147).

აზრდილი ნატრულობს იმ დროს, როდესაც საქართველოსთან ერთად გაერთიანდებიან სხვა კავკასიის ერებიც დამპყრობელთა წინააღმდეგ თავისუფლები-სათვის საბრძოლველად. იგი უძღერის თავისუფლებას და მოუთმენლად ელოდება ამ დროს.

„თავისუფლების მშვენიერის სხვივთ მხურვალეა
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა,
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?“

(1, ტ.1, გვ.147).

მოხუცის ამ ნატვრის დამთავრებისთანავე, „ქუხილმა დაიგრილა“ და „გრავინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში“. (1, ტ.1, გვ.148).

ამ ხმამ, ბუნებაში საშინელი აურ-ზაური გამოიწვია. პოეტი, შესანიშნავად აღწერს ბუნების საშინელ აღრევას. მკითხველს თვალწინ ნათლად წარმოუდგება ეს საშინელი ჯოჯოხეთი.

„ცაზედ ელვამა გაიჰკრიალა
და გაანათა მდინარე ხევში.
ცას გადაედვენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივნენ მთანი და ველნი;
ქარმა დაჰღმუვა ხეე-ხუესა, მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა,
რიხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,
ზევემაც მალლიდამ დაიგრიალა, –
და მყის ბუნების მშვიდი ღუმილი
ბნელ ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა,
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
ერთმანეთშია აირეოდა.“ (1, ტ.1, გვ.148).

პოეტმა შეხედა მყინვარს და დაუწყო ძებნა მოხუცებულს, მაგრამ შავი ღრუბელის გარდა მან ვერაფერი დაინახა. საგონებელში ჩავარდნილმა და „დამწყურებულმა გულმა“ შესტირა:

„ნუთუ გათავდა ამით ხილვა ეს!“ (1, ტ.1, გვ.148).

მცირე ხნის შემდეგ ცა გადაიწმინდა, მზის სხივებმა მთა გაანათა და კვლავ გამოჩნდა მოხუცებული, რომელიც მუხლმოდრეკილი თურმე ღმერთს ევედრებოდა.

ყოვლად შეუძლებელია მკითხველმა ეს ხევწნა-მუდარა აუღელვებლად წაიკითხოს და მასზე არ იმოქმედოს. ეს არის გულის სიღრმიდან ამოძახილი, ღაღადი, რომელიც რაღაც ამოუხსნელი ძალით მოქმედებს მკითხველზე. ეს არის სულის ძახილი, რაშიც პოეტმა ჩააქსოვა მთელი თავისი განცდები სამშობლოსადმი აღსავსე უსაზღვრო სიყვარული მამულისადმი. ამ ლოცვა-ვედრებაში ილიამ ჩააქსოვა მთელი მისი მხატვრული შესაძლებლობა, გამოიყენა პოეტური ფორმები. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი ისეა დალაგებული და მიიკვებოდა ერთმანეთთან აკინძული, რომ შეუძლებელია ერთი მეორისაგან გამოყოფა და დაშორება. კითხულობ და გიკვირს, რა ზებუნებრივმა ძალამ, თუ ნიჭმა დააწერინა ეს უბადლო სტრიქონები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პოეზიაში, ეს ლექსი არის ერთ-ერთი უმშვენიერესი მამულისადმი მიძღვნილი. მოუსმინოთ ილიას:

„ღედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;

სადმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავერდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან – რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, – შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.

მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული..

ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“

(1, ტ.1, გვ.149).

პოემის ბოლო XXVII თავში, ილია გამოთქვამს იმედს, რწმენას მომავლისადმი. ეს ლოცვა-ვედრება თითქოს გაიგონა უფალმა და ამის პასუხად ცაზე გამოჩნდა მშვენიერი ცისარტყელა.

„მსწრაფლ გადმოემო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადუფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობლად ტკბილ იმედისა.

ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.“ (1, ტ.1, გვ.149).

ილია ჭავჭავაძეს პოემაში მოხსენებული აქვს ლოცვა. ლოცვის შესახებ, გ. ასათიანი წერს:

„პოემის დასასრულს აღსანიშნავია მოხუცის ლოცვა, რომელიც გასული საუკუნის ქართული პატრიოტული პოეზიის შედევრს წარმოადგენს.

ლოცვა, როგორც ლირიკული აღსარების სახეობა, უცხო არ არის ახალი დროის ევროპული პოეზიისათვის. ბუნებრივია, რომ XIX საუკუნეში ეს სახეობა გვხვდება უკვე ქართველ რომანტიკოსებთან (გავისხენოთ გრ. ორბელიანისა და ბარათაშვილის შემოქმედება). ილიამ და აკაკიმ ახალი სული ჩაუდგეს ამ ფორმას. მათ იგი გამოიყვანეს ინტიმური „აღსარების“ ვიწრო ჩარჩოებიდან (აღ-

სანიშნავია, რომ ჭაბუკი ილიას შემოქმედებაში იგი სწორედ ამგვარი შინაარსით გეზვდება) და ეროვნული აღდგენისა და აღორძინების მხურვალე რწმენა, უკეთეს მომავალზე ოცნება და მისთვის ვედრება ჩააქსოვეს შიგ. „აჩრდილის“ ლოცვაში პატრიოტული გრძნობა რელიგიური ექსტაზის სიმძაფრით ვლინდება, მაგრამ ამქვეყნიური მიზნები და ინტერესები უღვეს საფუძვლად.

ძველი ფორმა გამოყენებულია ახალი შინაარსისათვის და, ამგვარად, თვით ფორმასაც, გამოხატვის სტილსაც ახალი ხასიათი აქვს შექმნილი.“ (3. გვ.368).

ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილის“ გადამუშავება დაამთავრა 1872 წელს. ეს არის მისი ბოლო პოემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემა, პოეტს არაერთხელ გადაუმუშავებია. პირველ ვარიანტში, პოემის შესავალში, აქვს დაწერილი „ძღვნა“, სადაც აღნიშნავს, რომ ამ „პირმშო ძეს“, უძღვნის მეგობრებს.

„მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმშო ძე ჩემი,
ახლად შობილი ნუგეშის და იმედთ მოძცემი!..
იგი მოგითხრობსთ ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,
რა მამის ცრემლი ზედ ატყვია ლოყებზედ შვილსა.

მიიღეთ ძღვნადა თქვენ მეგობრის ლალი ტირილი,
თამამად მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;
მიითვისეთ და შეიყვართ ჩემი „აჩრდილი“,

ეგ მოგაგონებსთ, მეგობრებო, ჩემ გულის წვასა.“ (1, ტ.1, გვ.302).

პოემას წამძღვარებული აქვს წმინდა დავითის ფსალმუნიდან სიტყვები:

„აღსდექ, უფალო ღმერთო ჩემო, და აღმართე
ხელი შენი, და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა
სრულად!..“ (1, ტ.1, გვ.302).

ამ, პირველად დაწერილ პოემას ილია ამთავრებს ლექსით, რომელიც მიმართული არის „ქართველთადმი“:

„აჰა, გათავდა!.. ქართველნო, მიცნობთ
ამ ლექსში მწუხარს და მტირალს ქართველს!
შორით, რუსეთით ძმა ძმებს მოგითხრობთ
მას, რაც არ უშრობს ნამდვილ შვილსა ცრემლს.

ჩვენი მშობელი, ტკბილი მამული
ცხადად წინ მედგა ბედით მოკლული,
და ბნელ ღამეში – ჩვენ დამხსნელს ვარსკვლავს
ჩვენ მამულზედა ვხედავდი შემდგარს.

გულში ვფარავდი რა ტკბილსა იმედს,
მის აღსრულებას ვაკვედრებდი ღმერთს,
მე შევეტიროდი ჩემს ქვეყნის ბედსა
და მშიშარს კალამს ვანდობდი ცრემლსა.

თუ ჩემს ცრემლს, ესლა ფურცლებზედ შემშრალს,
თქვენი ცრემლიცა მოემატება,
მაშინ ვფიცავ იმ ჩვენ დამხსნელს ვარსკვლავს, –
იგი, რაც გვინდა, აღგვისრულდება!“ (1, ტ.1, გვ.323).

გ. ასათიანი პოემის შესახებ წერს:

„აჩრდილი“ განსაკუთრებით დამახასიათებელია ილიას შემოქმედებისათვის, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში პოეტურად გამჟღავნებულია მწერლის სოციალური შეხედულებები, არამედ ამ პოემის თავისებური ფორმის თვალსაზრისითაც. ილიასდროინდელ ქართულ პოეზიაში „აჩრდილი“ არსებითად ნოვატორულ ნაწარმოებს წარმოადგენდა.....

მხატვრული თვალსაზრისით საბოლოო რედაქცია გაცილებით სრულყოფილია პირველ ვარიანტთან შედარებით, რომელიც სწორედ ამ მხრივ თითქოს ნაწარმოების სახელდახელო შავს წარმოადგენს.

საბოლოო რედაქცია ილიას მხატვრული ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშია და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოხატავს მისი სტილის ორიგინალურ თავისებურებებს.“ (3, გვ.352).

მეორე ადგილას გ. ასათიანი „აჩრდილის“ შესახებ აღნიშნავს:

„პოემის საბოლოო რედაქცია ბრწყინვალე ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ მიაღწია ილიამ ახალ შემოქმედებით საფეხურს. როგორ შთაბერა მან „ქართლის ცხოვრების“ ლეგენდარულ სახეებს, ეროვნული გადარჩენის იდეალებს, პატრიოტულ მიზანსწრაფვას და მის გამომხატველ ქართულ პოეტურ სიტყვას ახალი, დროისათვის შესაფერისი დემოკრატიული სული და უკეთესი მომავლისათვის რევოლუციური ბრძოლის იარაღად აქცია.“ (2, გვ.369).

გ. ჯიბლაძე „აჩრდილს“ და ილია ჭავჭავაძეს შემდეგნაირად ახასიათებს:

„მისი დიდი მხატვრულ-ესთეტიკური და ღრმა იდეური ღირებულება ქართული ლიტერატურის ისტორიაში სრულიად უპრეცედენტოა. ამ პოემის მეტი რომ არაფერი დაეწერა, ილიას სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა. „აჩრდილმა“ მაღალ პოეტურ ფორმებში საუკეთესოდ განასახიერა ყველა ის ძირითადი იდეა, რასაც 60-იანი წლების თერგდალეულები ემსახურებოდნენ. ეს არის დიდი ეპიკური მასშტაბის პოეტური სიმფონია, რომელიც

ერთდროულად მთელი სიმწვავით აღძრავს სოციალურ-ეროვნულსა და ისტორიულ-ფილოსოფიურ პრობლემატიკას. ეპოქის საცნაურ, უაღრესად მტკივნეულ თემებს ისეთი სიღრმით, გარკვეულობითა და მღელვარებით წარმოსახავს, რომ მხატვრულ გვირგვინად ევლინება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოეზიას..... „აჩრდილი“ არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, მთელი ქართული პოეზიის მხატვრულ შედეგს წარმოადგენს.“ (12, ნაწ. I, გვ.393).

II. 2. 2. ქართველის დედა.

მომდევნო პოემა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაწერა 1860 წელს, არის „ქართველის დედა“.

დღეშემო ყოფნის დროს პოეტს პოემა გადაუმუშავებია და 1871 წელს ყოველთვიურ ჟურნალ „კრებულში“ დაუბეჭდავს. ამის შემდეგ, 1879 წ. ილიას ეს პოემა დაიბეჭდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“. ხოლო მესამედ, დაიბეჭდა 1892 წელს „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემაში.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით, თავდაპირველად პოემას სათაურად ჰქონია „დედა და შვილი“. შემდგომში, როდესაც ილიას პოემა გადაუმუშავებია, მისთვის მიუცია ახალი სათაური „ქართველის დედა“. მაგრამ ცენზურის გამო, პოეტს ისევ ძველი სათაური დაუტოვებია.

პოემისა და ცენზურის შესახებ, პ. ინგოროყვა გადმოგვცემს:

„ილიას ნაწერები ძალიან ხშირად დაბეჭდილა ცენზურის მიერ დამახინჯებული. მაგრამ ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში დაზიანებული ილიას დრამატული პოემა „ქართველის დედა“; იგი დამახინჯებულია იმდენად, რომ თვით დედაზრი პოემისა სრულებით დაჩრდილულია.

„ქართველის დედას“ შესახებ გავრცელებულია შეხედულება, თითქოს იგი წარსულის რომანტიკას წარმოადგენს....

ნამდვილად ამ ნაწარმოების იდეა სულ სხვაა, მას არაფერი აქვს საერთო წარსულის რომანტიკასთან.... იდეა „ქართველის დედისა“ ეს არის მოწოდება ბრძოლისაკენ საქართველოს თავისუფლებისათვის, და არა წარსულის რომანტიკა.“ (1, ტ. I, გვ.361).

„ქართველის დედა“, (სცენა მომავალ ცხოვრებიდან), არის დრამატული პოემა. მას წამძღვარებული აქვს ქართული ხალხური სიმღერა:

„გაგვიძელ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,

გაიყოლიე უმცროსნი,

ვისაც თავი აქვს ცდისაო.“ (1, ტ.1, გვ.150).

პოემა, ილიამ მიუძღვნა თავის სტუდენტობის დროის მეგობარს, ცნობილ ლიტერატორსა და საზოგადო მოღვაწეს პეტრე ნაკაშიძეს (1838–1895). პოეტი პეტრეს მიმართავს ლექსით:

„აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.
მეობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, – მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, –
ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხავ მე.“ (1, ტ.1, გვ.150).

პეტერბურგში, სტუდენტობის ყოფნის დროს, ილია ჭავჭავაძე და მისი მეგობრები, რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლებას ფიქრობდნენ. რასაც ნათლად ადასტურებს პ. ნაკაშიძისადმი მიძღვნილი ეს ლექსი და თვით პოემის შინაარსი.

პოემაში მოქმედება მიმდინარეობს ერთ ოთახში, რომლის ფანჯარა გადაჭყურებს ქუჩას. ტახტზე წევს მოხუცებული, სწეული დედა. პოემაში საუბარი მიმდინარეობს დედასა და შვილს, კიაზოს, შორის, მჭევრმეტყველური გამოთქმებით, რომელიც წააგავს ძველ ბერძნულ-რომაულ დრამატურგებს.

პოემა იწყება დედის თავისთავთან საუბრით. ეს ვრცელი ლექსი წარმოადგენს დედის სულიერ განცდების ენებათაღელვას, პატრიოტულ გრძნობით აღტაცებას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებას.

მოხუცებული დედის სიცოცხლე ავადმყოფობის გამო წვალებაა, მაგრამ დმერთის მაღლიერია, რომ ამ დღეს მოესწრო, როდესაც საქართველო გაცოცხლდა, აზვირთებული ხალხი აღსდგა სამშობლოს გასანთავისუფლებლად. პოეტი აღნიშნავს, დედის სიტყვებით, თავისუფლებისაკენ ლტოლვას მთელი კავკასიის ხალხისა. ეს არის მომავლის იმედი, დაიხსნას თავი დამპყრობელისაგან.

„ხალხი აზვერთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, –
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლებას!..
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება!“ (1, ტ.1, გვ.151).

მიუხედავად იმისა, რომ მას ერთადერთი ნუგეშისმცემელი სანატრელი და საყვარელი შვილი ჰყავს, მაგრამ მამულის გულისთვის თანახმაა, რომ მან, მამულმა წაიყვანოს. მისთვის ამის გადაწყვეტა იოლი არ არის.

„მისი სიყვარული, თუ მამულის, – რომელი დასთმოს?

ეკა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,

სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...

დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები.“ იქვე.

მაგრამ, შვილის დარდი აწუხებს მოხუცებულ დედას. ვინ იცის მისი შვილი რომელ ბრძოლის ველზე მტრისაგან განგმირული დაეცემა და დაიღუპება. დამტირებელი დედა ახლოს არ ეყოლება და ვერ შეუხვევს განგმირულ გულსა.

პოეტი, დედას ათქმევინებს მამულისადმი საოცარი სიყვარულის გამომნატვრელ სიტყვებს:

„შენს სიკვდილშია ჩემი ვაიცი და ნეტარებაც,

მისთვის რომ მე ვარ დედა შენიც და ქართველის დედაც;

ვით დედა შენი იმ სიკვდილით შენით ვივარება,

ვით ქართველის დედა ვინატარებ და ვისახელებ.“ (1, ტ.1, გვ.151).

ამის შემდეგ, პოემაში, ილია უძღერის თავისუფლებას და ეს არის თავისუფლებისადმი მიძღვნილი სახოტბო, საზეიმო გალობა, რომელიც ადამიანის ბუნებას ღვთაებამდე აამაღლებს.

„თავისუფლებავე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,

შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,

შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,

შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,

ხე ცნობადისა, ედმს რგული, შენი ხე იყო.“ 1, ტ.1, გვ.152.

ილიას თქმით, თავისუფლება ეს არის მშვიდობა და სიმართლე, მაგრამ მტრის მიერ ყოველთვის აკრძალული იყო. თავისუფლების გარეშე სამოთხეც კი არარაობას წარმოადგენს. დედას, თავისუფლების შესახებ ებაღება კითხვა და მიმართავს მას:

„თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,

მაგრამ სისწლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!

რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,

მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..“ (1, ტ.1, გვ.152).

ილიამ, თავისუფლებისაკენ ლტოლვა, კიდევ ერთხელ გამოხატა შვილის სიტყვებით, როდესაც გახარებული შემოდის დედასთან და მოახსენებს, რომ:

„მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კაკკასი, მტერზედ რისხვით აღმომქმინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!..

მაგრამ შენ სწუხხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.“ (1, ტ.1, გვ.152).

შვილმა შეატყო დედას, რომ მას არ ეამა მისი სიხარული და ეკითხება, თუ რა მოუვიდა. ილიამ, დედის პასუხში გამოხატა სამშობლოსადმი თავდადება, მამულის სიყვარული. სიტყვები, რომელსაც წარმოსთქვამს დამწუხრებული დედა, არის მამულისათვის თავდადება, ამ სიტყვებით, პოეტი ცდილობს, რომ ხალხს გააგებინოს, თუ რას ნიშნავს ქართველისათვის სამშობლო და დედა.

დედა, რომელმაც იცის, რომ ერთადერთი შვილი უნდა გაგზავნოს საომრად, ამავე დროს ნაღვლობს, რომ მოხუცებულობის გამო იგი ვერ მოესწრება ხალხის განთიადს.

„ვაი, რომ ბინდი ღღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხვარ... მაგრამ ამას რალა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ, მკვდარი დედა ძემ ასახელოს.“

(1, ტ.1, გვ.153).

გაკვირვებული შვილი ეკითხება დედას, ნუთუ ის, ერთადერთ შვილს გაგზავნის მტერთან საომრად? დედის პასუხი, კიდევ ერთხელ დადასტურებაა იმისა, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და რას წარმოადგენს ქართველისათვის სამშობლო. დედის პასუხში, პოეტმა გამოხატა, თუ რას წარმოადგენდა ქართველი ქალისთვის, დედისთვის მამული.

„სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...

ვაჟკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.“ იქვე.

მკითხველი გრძნობს, რომ ასეთი დედის მიერ აღზრდილი შვილი ნამდვილი მამულიშვილი იქნება. დედის სიტყვებით აღფრთოვანებული კიაზო ეუბნება დედას, რომ:

„შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება?!“ იქვე.

ამ დროს, გარედან მოისმის ჯარის ხმაური და კიაზო მივარდება ფანჯარას. დედა კი ისევ მიეცემა ფიქრს. დედის სიტყვებში, ისევ ჩანს სევდა, მწუხარება ქვეყნისა და ფიქრი შვილის მიმართ. მან იცის, რომ მისი შვილი ვერ გაივებს მის გულის წუხილს. იგი მხოლოდ ერთს ნატრულობს, სანამ შვილს გაისტუმრებს საომრად, მას არაფერი მოუვიდეს, რომ შვილს წასვლა არ შეეშალოს. ამ დროს გარედან ისმის ჯარის სიმღერა და ეს სიმღერა მოწოდებაა ბრძოლისაკენ თავისუფლების მოსაპოვებლად.

„ქართველო, ხელი ხმაღს იკარ,
გათენდა ღლე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.“ (1, ტ.1, გვ.154).

დედა სთხოვს შვილს, რომ ფანჯარასთან მიიყვანოს, დაანახოს, „ქვეყნისა მხსნელნი“ და დასტკბეს „ღლენი ჩემნი უკანასკნელნი“. ხალხის გამოსვლით აღფრთოვანებული კიაზო ეუბნება დედას: ხომ ხედავ დედა, ყმაწვილ კაცობა სასიკვდილოდ რა მხიარულად მიდის, ხალხიც „ლოცვით ჯარს აცილებს“ და ეკითხება: „შენ რა გატირებს?“ დედის პასუხში ისმის მისი გრძნობა, ღელვა, რომ დედის ვალია ცრემლების ღვრა, რომ:

„კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.“

(1, ტ.1, გვ.155).

ატირებულ დედას, გამოთხოვებისას, მაინც შვილის სიყვარული ათქმევინებს: ავადმყოფ დედასთან დარჩიო. მაგრამ შვილის პასუხი: „მერე მამული?“ და დედასაც თითქოს ეხლა გაახსენდაო, კიაზოს ისტუმრებს შემდეგი სიტყვებით:

„მართლა, მამული!.. იგი უფრო საყვარელია,
მამ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია.“

(1, ტ.1, გვ.156).

კიაზო ეთხოვება დედას და მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებით, პოეტი კიდევ ერთხელ გამოხატავს მამულისადმი თავდადებას და უღრმეს სიყვარულს. მას უნდა ხალხს გააგებინოს და შეახსენოს, რომ პირველ რიგში არის სამშობლო, მამული, მისდამი თავდადება და მასზე ზრუნვა, რომელიც დედის სიყვარულსაც კი სჯაბნის. ეს ნათქვამია შვილის ბოლო სიტყვებით:

„ეჭა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვითურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძღურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიმერის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში,

რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
კითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა,
მშვიდობით, დედი! მეძნელება შენი დათმობა,
მაგრამ უფროვე ძნელი არის მამულის გმობა.“ (1, ტ.1, გვ.157).

ამასვე გადმოსცემს პოეტი, პოემის ბოლოს, დედის სიტყვებით:

„ვაიმე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოდა ძნელია ყოფნა...
დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი.
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!“ (1, ტ.1, გვ.157).

როგორც დავინახეთ, „ქართველის დედა“, წარმოადგენს პატრიოტულ თემაზე აგებულ პოემას, სადაც ილია ჭავჭავაძემ გადმოსცა ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის იდეები და დედა-შვილის მამულისადმი თავდადება.

II. 2. 3. მეფე დიმიტრი თავდადებული.

პატრიოტულ თემაზეა აგებული ილია ჭავჭავაძის პოემაც „მეფე დიმიტრი თავდადებული.“ ეს არის ისტორიული ნაწარმოები, სადაც გადმოცემულია სამშობლოსადმი თავდადება და თვითონ მეფის შინაგანი და სულიერი განცდები.

ილია ეყრდნობა ისტორიულ სინამდვილეს, როდესაც საქართველოს მეფემ (1271–1289), დემეტრე (დიმიტრი) II (1259–1289), ქვეყნისა და ხალხის გადარჩენისათვის იძულებული გახდა მონღოლთა ურდოში წასულიყო და ზღე-ბოდა ირანის მონღოლთა გამგებელს (1284–1291), არღუნ-ხანს.

ცნობილია, რომ დემეტრე II მეგობრობდა ყაენის პირველ ვეზირთან ბულა ჩინგისანგთან და ამავე დროს, ისინი მოყვრებიც იყვნენ, დემეტრეს ქალიშვილი, პირველი ცოლიდან, რუსუდანი ცოლად ჰყავდა ბულას შვილს. მისი შემწეობით, დიმიტრი მეფე გაძლიერდა, თავისი მხედრული უნარიანობის გამო, (როგორც ყოველთვის, საქართველოს მეფე, „საქართველოს ჯარითურთ წინამძღოლად“ (6, ტ. III, გვ. 217) იმყოფებოდა), საყაენოში დიდი სახელი მოუპოვებია. მაგრამ, მდგომარეობა შეიცვალა. არღუნ ყაენსა და ბულას შორის მდგომარეობა გამწვავდა და ბულამ გადაწყვიტა ყაენის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგივრად ბატონიშვილის გამეფება. მან კი შეთქმულება გასცა. ყაენის ბრძანებით ბულა,

მისი შვილი, ყველა ნათესავი და მისი მომხრეები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. როგორც ბუღას მომხრე, დიმიტრი ურდოში დაიბარეს.

რა თქმა უნდა, დიმიტრი მიხვდა რაც მოელოდა ურდოში.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ მან „სახელმწიფო დარბაზი მოიწვია“. „მოუწოდა კათალიკოსსა აბრამსა და ეფისკოპოსთა და მონასტერთა და უღაბნოთა გარეჯისათა მოძღვართა და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა“. როდესაც დარბაზის ერნი შეიყარნენ“, დიმიტრი შეეკითხა დარბაზს – ურდოში წასულიყო თუ არა, თუ მიუვალ ადგილებში გამაგრებულიყო და ბოლოს სიტყვით მიმართა დარბაზს.

„სახელმწიფო დარბაზის წევრნი განცვიფრებული უსმენდნენ მეფეს, აღტაცებული იყვნენ მისი თავგანწირულობის სულისკვეთებით, რომ ის მზად იყო თავისი სიცოცხლე შეეწირა „ერისა მისისათვის“, მაგრამ მაინც მისი აზრის წინააღმდეგნი იყვნენ და თავის მხრით მოახსენეს“, რომ არ იყო საჭირო მის მიერ თავის გაწირვა, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მოღორდება ქვეყანა“, «თუ ქვეყანაცა დაშთების, არ არის ნაცვალი შენი» და ამიტომ სთხოვდნენ, რომ გადასულიყო მთიულეთში ან აფხაზეთში. „რათგან «ჩვენ ყოველნი მტკიცედ ვჰკვიტო ერთგულობასა» შენდამიო.“ (6, ტ.III, გვ.224).

საბოლოოდ გადაწყდა, რომ მეფე უნდა გამეზავრებულიყო სასანოში. დემეტრე მეფე გზაშივე შეიპყრეს და არღუნს მიჰკვარეს.

„მონღოლური სამართლის წარმოების თანახმად, დემეტრე II-ეს უთხრეს, რომ თვითონვე აღნიშნოს და „აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ძროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი“. ეს ცნობები მეფის მთელი ქონების ჩამოსართმევად სჭირდებოდათ. დემეტრე II-ესაც რა შეეძლო, იძულებული იყო ბრძანება აესრულებინა და, რაკი „არღარა იყო ღონე“, ამიტომაც „აღწერა, რაცა აქვნდა, სიმდიდრე ფრიადი“.

ყველა საჭირო ცნობების მიღების შემდეგ, არღუნ ყაენმა საქართველოში უმაღლესად „წარგზავნა კაცი“ და მონღოლებმა „წარიღეს ყოველი“ ისე, რომ მეფის ქონებითგან „არა რა დაშთა“, იმიტომ რომაო, გვიხსნის ქართ. ჟამთააღმწერელი, „მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინაგაცემელ იქმნეს“ საიდუმლოებისაო.

მთელი სიმდიდრის ჩამორთმევისა და უკანასკნელი გასამართლების შემდეგ, დემეტრე II არღუნ ყაენის ბრძანებით 1289 წ. 12 მარტს მოვაკანში, მდ. მტკვრის პირას, სიკვდილით იქმნა დასჯილი.“ (5, ტ.III, გვ.116).

მეორე ადგილას, დემეტრე II-ის შესახებ ი. ჯავახიშვილი წერს:

„ადამიანის ნამდვილი სულიერი და ზნეობრივი თვისებები ყველაზე მკაფიოდ, უეჭველია, განსაცდელის დროს გამომჟღავნდება ხოლმე: სწორედ მაშინ ირკვევა უცილობლად, კაცის ბუნებაში პატიოსნება და გმირული თავგანწირულება სჭარბობს, თუ ცხოველურ-მხეცური მიდრეკილება მას, თავის თავის გარდა, ყველაფერს ავიწყებს და პირადი უშიშროება-სიმართელის გადასარჩენად მზად არის ყველა სხვები და ყველაფერი ინაცვალოს. ეს დაკვირვება საშუალებას აძლევს მკვლევარს დემეტრე II-ის პიროვნება საბოლოოდ უფრო შეუმცდარად შეაფასოს.

თუ ამ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ცხადი გახდება, რომ დემეტრე II-ის ქცევამ იმ საბედისწერო შემთხვევაში, როდესაც მას უნდა საბოლოოდ გადაეწყვიტა, თავისი პირადი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა და ამისთვის თუნდაც უდანაშაულო ქართველი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლეც-კი მსხვერპლად შეეწირა, თუ პირიქით, სიკვდილის აუცილებელ სასჯელს არ შეჰშინებოდა და თავისი პირადი მოქმედებისათვის პასუხსაგებად, ხალხის გადარჩენის მიზნით, რაინდული სიმამაცით მტრის წინაშე წარმდგარიყო, დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამომჟღავნდა.....

განა მასაც არ შეეძლო თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ისე მოქცეულიყო, როგორც მას დარბაისელნი ურჩევდნენ, და, ერანის მრისხანე ყაენთან წასვლის მაგიერ, მართლაც მთიულეთში შეხიზნულიყო? ცნობილია, რომ ასე წინათაც არაერთი ქვეყნის მმართველი მოქცეულა და შემდეგშიც თვით დემეტრე II-ის საკუთარი შვილივე დავით მეფეც მოიქცა და საქართველო..... მტრებს უღმობელად გააოხრებინა. დემეტრე II-ემ-კი თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ქართველი ერის უკიდურეს განსაცდელში ჩაგდება არ მოისურვა და ამით აუცილებელი განადგურება თავიდგან ააშორა. ამიტომაც არის, რომ საქართველოში უკვე იმავე ხანაში დემეტრე II-ეს თავდადებულის სახელი მიეკუთვნა... ისტორიამაც ხალხის ამ მსჯავრს თავისი დასტური მისცა და ერთად-ერთს მეფეს საქართველოში თავდადებულის წოდებულება შეუნარჩუნა.“ (5, ტ. III, გვ. 119).

ამ პოემის შესახებ გ. ასათიანი წერს:

„XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში „მეფე დიმიტრი“ წარმოადგენს მეტად ნიშანდობლივ ცდას. ეს არის ეროვნული ჰეროიკული ეპოსის შექმნის თავისთავად ღირსშესანიშნავი, კონკრეტული ისტორიული მოთხოვნილებათა და მიზანდასახულობით გაპირობებული ცდა.

საქართველოს გმირული ისტორია აქ დანახულია თვით ხალხის (მისი რიგითი წარმომადგენლის) თვალთ. ასეთია პოემის მხატვრული ჩანაფიქრი.“ (3, გვ.387).

პოემა ილია ჭავჭავაძემ დაწერა 1878 წელს და იმავე წელსვე დაბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ პირველი თორმეტი თავი, ხოლო მომდევნო წელს, სრულად დაბეჭდა იმავე ჟურნალში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე ავტობიოგრაფიაში წერს, რომ მან სწავლა დაიწყო სოფლის მთავართან და მის მიერ მოყოლილმა ბევრმა ამბავთაგანმა ჩარჩა მას გულში და „ერთი მათ შორის – „ღიმილური თავდადებული“ – თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ.“ (1, ტ.9, გვ.308). ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს პოემა „ღიმილური თავდადებულის“ შექმნა განუხორციელებია მწერლისა და პუბლიცისტის, პეტრე ნაკაშიძის (1838–1895) ზეგავლენით.

ამის შესახებ პ. ინგოროყვა გადმოგვემს:

„ილია უკვე ხანდაზმული მწერალი იყო, რომ ბავშვობის – დროინდელი რომანტიკული მოგონებანი ღიმილური თავდადებულის პიროვნების შესახებ გაუცხოველა მისმა ძველმა სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა პეტრე ნაკაშიძემ. (ეს ის პეტრე ნაკაშიძეა, რომელიც ახალგაზრდობის წლებში, სტუდენტობის დროს, ილიას სიტყვების თანახმად, ილიასთან ერთად ოცნებობდა საქართველოს განთავისუფლებაზე, და რომელსაც ილია მიმართავს დრამატიული პოემის „ქართველის დედის“ შესავალში). პეტრე ნაკაშიძესთან მეგობრულ საუბართა უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ ილია შესდგომა პოემის წერას. პოემის ხელნაწერ დედანში, რომელიც ილიას დაბეჭდვის უფრო ადრე პეტრე ნაკაშიძისათვის გაუგზავნია, ილია წერს: „ძმაო პეტრე! შენგან ჩავიხსენებულს შენვე გიძღვნი“. პოემის ნაბეჭდ გამოცემასაც ანლავს ზედწერილი: „ძღვნად პეტრე ნაკაშიძეს“. (1, ტ.1, გვ.377). მეორე ადგილას, პ. ინგოროყვა გადმოგვცემს, რომ ილია ჭავჭავაძეს, პოემის დაწერიდან 17 წლით ადრე შეუქმნია ორი ლექსი სათაურით „მეფანტურე“. პირველში, მოხსენებულია თამარი; ხოლო, მეორე ლექსი არის დაწერილი განყენებულ თემაზე და იგულისხმება ერეკლე მეფის დრო.

„აი ეს მეორე ლექსი „მეფანტურე“ ილიას აუღია როგორც გამოსავალი თემატიკური ფუძე პოემისათვის „ღიმილური თავდადებული“ და მის ქარგაზე გაუშლია პოემა. ეს ლექსი „მეფანტურე“ თითქმის უცვლელად შეუტანია პოემაში შესავლისა და პირველი თავის სახით.

რომ პოემა „დიმიტრი თავდადებული“ ორგანიულად არის გამოსული ლექსიდან „მეფანტურე“ – ეს ჩანს თვით პოემის სათაურის პირველი ვარიანტიდან. ილიას პირველნაწერ ავტოგრაფში... პოემას თავდაპირველად რქმევია „ბრმა მეფანტურე“ და ავტორს მხოლოდ შემდეგ გაუკეთებია პოემის სათაურად ზედწერილი „დიმიტრი თავდადებული“. (1, ტ.1, გვ.378).

პოემის წერისას, პოეტს ეს ორივე ლექსი გამოუყენებია. დიმიტრი თავდადებული მოხსენებული ჰყავს პოემა „აჩრდილის“, 1859 წლის ხელნაწერის XXV თავში.

„სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულ ჟამსა, შენს ბედის ვარსკვლავს!
თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?!“ (1, ტ.1, გვ.376).

პოემის შესავალში, ილია აღწერს ერთ უქმე ღღეს, როდესაც „ტივითმძიმე და დამშვრალი“ ხალხი საყდრის წინ „იდგა და ყაყანებდა“. იქვე ახლოს, ცაცხვის ქვეშ ჩუმაღ იჯდა ბრმა მეფანდურე. ერთმა ყმაწვილმა სთხოვა მეფანდურეს, რომ რამე კარგი ამბავი მოეყოლა, რათა „გულს ჟანგი“ მოშორდესო. გახარებულმა მეფანდურემ ფანდურზე დაიწყო სიმღერა „ნელისა ხმითა“. პოემის პირველ ნაწილში, მოლექსე ზოგადად ახსნიათებს აღრინდელ საქართველოს, თუ რას წარმოადგენდნენ „ქართველნი“ და როგორ იცავდნენ სამშობლოს. მელექსეს თქმით, ძველად ქართველნი მამულისათვის ზრუნავდნენ და მისთვის თავსაც კი სწირავდნენ.

„იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის-შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.
შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.“ (1, ტ.1, გვ.179).

უწინ თავდასა თუ გლეხსა შვილის ყოლა უხაროდათ იმიტომ, რომ სამშობლოს დასაცავად ერთი მეომრით მეტი ემატებოდა. მეომარც სიხარულით მიდიოდა ომში, იმიტომ რომ ან მოკლავდა მტერს, ან შეაკლავდა თავს „ვითა ლომი“. მამულის დაცვისას არავინ უყურებდა განსაცდელს, მათი ტრფობა იყო

აბჯარი და ხმალი. მეფანდურეს უნდა, რომ ახალგაზრდებს გააგებინოს, თუ რანი ვიყავით უწინ და რას წარმოადგენდა თითოეული ქართველი. ილია, პოემის პირველ ნაწილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„გერეთ, შვილნო, აქ სცხოვრებდა
უწინდელი ქართველის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა ღიღი წინაპარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...“ იქვე.

მეფანდურე, გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ ის რაც ვიყავით უწინ, დღეს აღარ ვართ. დღეს, ის სახელი, ის დიდება ჩვენ თვითონ დავაქციეთ. დღევანდელ დღეს, ჩვენ „საწველ ფურად თავი ჩვენი გადავიქციეთ“. იგი მოუწოდებს ხალხს, რომ სამშობლოსათვის თავი გავწიროდ, სამაგიეროდ შვილები მომავალში ბენიერები იქნებიან და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ხალხის გამონათქვამი: „წინა კაცი უკანასი ხიდიო.“ ყველა ერთმანეთს მხარში უნდა ამოუდგეს, ერთმანეთს უნდა დაეხმაროს, თვითონ სანთელივით შეიძლება დაიწვას, მაგრამ სამაგიეროდ სხვას გზა უნდა გაუნათოს.

„ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართველის ერი.“ (1, ტ.1, გვ.180).

ამის შემდეგ მელექსე იწყებს საქართველოს წარსულიდან, ერთ-ერთი ნამდვილად არსებულ ისტორიის გადმოცემას. ცნობილია, რომ საქართველოს მეფე დიმიტრი II-ეს, სამშობლოს გადარჩენისათვის, ხალხმა „თავდადებული“ უწოდა. სწორედ, ამ მეფის შესახებ ყვება მეფანდურე. დემეტრე მეფეს შემდეგნაირად ახსიათებს:

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.
დიმიტრი ერთქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტანმაღალი,

ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.
კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარეთ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.“ იქვე.

მეფანდურეს გადმოცემით მეფე, ღამით, უბრალო ტანსაცმელში გადაცმული დადიოდა ხალხში, რომ გაეგო ხალხის ჭირ-ვარამი და ცდილობდა დახმარება გაეწია გაჭირვებულთათვის:

„ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.“ 1, ტ.1, გვ.181.

პოემის IV ნაწილში, მეფანდურეს თქმით, მეფე მართალია „ყენის ჰმორ-ჩილებდა“, მაგრამ თავის ქვეყანას თვითონ განაგებდა. ყენის აუჯანყდა მისივე „თათარივე კაცი“, რომელსაც მიემხრო თითქმის ნახევარი სამეფო. ხოლო, დიმიტრიმ არ უღალატა ყენის. რადგან:

„ვაჟი-კაცის წესი არის –
კაცს შეჰრჩება ძმისავითა.“ იქვე.

გადამწყვეტ ბრძოლაში, ყენისა და აჯანყებულებს შორის, ყენი დაიღუპა. გამარჯვებული გახდა სათათრეთის ბატონ-პატრონი. მან ჯერ ყენის ცოლ-შვილი ამოხოცა, ხოლო შემდეგ ყენის მომხრეებს „თავები დააყრეენა“. ჯერი მიდგა დემეტრეზე. გაბრაზებულმა ახალმა ყენმა, „რატომ მე არ მომიდგაო“, დაიბარა მეფე თავისთან და თან შემოუთვალა, რომ თუ არ მოვიდოდა მაშინ «შენს ქვეყანას ნაცარ-ტუტას ავადენო». მეფე ჩავარდა საგონებელში. მან იცოდა, რომ ყენის მრავალი ჯარი ჰყავდა.

„რა ჰქმნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი.
დიდს ჩავარდა საგონებელს,
შედგა ბჭობას, რჩევასა...
– «წავალ – მომკლავს, და არ წავალ –
ამიოხრებს ქვეყანასა»“ (1, ტ.1, გვ.182).

ბოლოს გადაწყვეტს, რომ მოიწვიოს სამეფო თათბირი. პოემის VI თავიდან – XIII თავამდე აღწერილია „მღვდელმთავართა და დიდებულთ“ თათბირი. დიდი ბჭობის შემდეგ, მეფეს მოახსენეს თავიანთი აზრი, სადაც სჩანს მეფისადმი პატივისცემა და სიყვარული. ამავე დროს, ილიას უნდა, რომ ხალხს გააგებინოს, თუ რას წარმოადგენდა წინათ საქართველო და ქართველი ხალხი. ის პატრიოტული სულისკვეთება, რაც უწინ სუფევდა, პოეტი ცდილობს, რომ დღევანდელმა ქართველმა შეიგნოს და გაიგოს.

„მეფევ! ნეტა რა გვიბრძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რალა დარჩეს ერსა შენსა?!
თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი, ქონება...
ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არავინ დაგვებადება.

ბრძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.
სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა შენსა შემნატერელსა.“ (1, ტ.1, გვ.184).

ამ საერთო აზრს ეთანხმება სპასალარიც და ისიც მოუწოდებს მეფეს, რომ არ დაემორჩილოს ყენს და როგორც ძველი ხალხი ამბობდა: „სახელიო, ან სიკვდილი“.

«მეფევ, რაც სთქვეს, მართალია,
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, –
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალი?!

ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ, – მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი.» (1, ტ.1, გვ.185).

ამის გამონე მეფე დიდხანს არის ჩაფიქრებული და ბოლოს წარმოს-
თქვამს სიტყვას, სადაც ილია, მეფეს ათქმევინებს მამულისადმი თავდადებას და
ხალხზე ზრუნვას. პოეტი, არაჩვეულებრივი ძალითა და მხატვრული ხერხებით
გადმოსცემს ამ პატრიოტულ სულისკვეთებას.

„ბოლოს ბრძანა: — «ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით, რა მადლი არი!
ათი ერთზე რომ მოვიდეს,
მუქარას მტერს შევანანებ:
რა ვქნა, — ასი ერთზედ მოვა,
ამას ვწუხარ და ვვალალებ.
ჩვენი კაცი ერთი — ასსაც,
ვიცი, არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს,
ხალხი ურგოდ გამიწყდება.“ (1, ტ.1, გვ.185).

შემდეგ განაგრძობს ჩამოთვლას, თუ რა ღლე დაადგება ხალხს, თუ იგი
არ წავა ყვეთან. გაბოროტებული მტერი ქვეყანას ააოხრებს, გადასწვავს და
გადაბუგავს. საყდრებსა და მონასტრებს დაანგრევს და მიწასთან გაასწორებს.
მკვდრებს საფლავიდან ამოიღებენ და ძაღლსა და ღორს მიუგდებენ. ქალწუ-
ლებს წაბილწავენ, დედაკაცებს მუცელს გაუფატრავენ, ღედას ძუძუთ-შვილს
კბილით დააგლეჯინებენ, ბავშვებს დაყრიან ძნებძე და როგორც კალოს ისე
გაღლეწავენ. ისე წახდება ხალხი და ისეთი ამბავი დატრიალდება, რომ „ქვანიც
კი ატირდებიან“ და ეს ყველაფერი მოხდება მისი გულისათვის, მის თავზე
დატრიალდება ამოდენა ცოდვა-უბედურება, მისი სახელიც წაწყდება და ხსენე-
ბაც აღარ იქნება, და ეს მოხდება იმისათვის:

„რომ მე შიშა გავეჩქეცი,
ჩემი თავი გაღვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.
მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...
არა! წავალ, არ დავდგები,
ღე ასრულდეს ნება ღვთისა,

ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის ღიმიტრისა.“ (1, ტ.1, გვ.186).

ამის შემდეგ იგი მიმართავს მღვდელმთავარს, რომ მანაც თავისი აზრი გამოთქვას.

მღვდელმთავარს უმძიმს პასუხის გაცემა და ტირილით მოახსენებს, რომ მას თქმა უჭირს, მაგრამ სიმართლე უნდა თქვას. მის სიტყვაში, ილია გამოხატავს ერის მმართველის დანიშნულებას. მას უნდა, რომ ხალხსა და ერის მმართველებს გააგებინოს, რომ პირველ რიგში მმართველმა უნდა იზრუნოს სამშობლოზე და ერზე. მღვდელმთავარი ასე ამთავრებს პასუხს:

„ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,

რაკი რომ ეს ღლე გვეწია, –

მოყვასთათვის თავდადება

ქრისტე-ღმერთის ანდერძია.

ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით

ხორცი დასთმო სულისათვის,

უკვდავება არ დაჰკარგო

წუთის-სოფლის გულისათვის!..“ (1, ტ.1, გვ.187).

მეფე ეთანხმება მღვდელმთავარს. იგი ერს ვერ უღალატებს, წავა და თუ ღმერთს უნდა იგი ერისათვის თავს დადებს. ვინც აქ დარჩება სთხოვს, ქვეყანას ისე მოუაროს, რომ ღარიბი „მდიდარს არ შენატროდეს“, ძლიერმა არ დაჩაგროს ობოლი, ქვრივი და უძლური. თუ დაბრუნდება მათს სამსახურს ერთი ორად გადაუხდის და ამ სიტყვების დარიგების შემდეგ მეფე:

„ატირდა და აატირა

ყველა კაცი იქა მდგომი:

გულის სიღბო სიტურფეა,

თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,

როცა გულითაც ლბილია;

რკინის კაცის თვალში ცრემლი

დიდსულოვნობის შვილია.“ (1, ტ.1, გვ.189).

ამ სიტყვებით, ილია წარმოგვიდგენს მეფეს, როგორც გრძნობიერ ადამიანს და რომ ვაჟკაცის თვალში ცრემლი, ეს დიდსულოვნების მაჩვენებელია.

მეფემ დაითხოვა მოწვეული ხალხი და წასასვლელად დაიწყო მზადება. ყაენთან გამგზავრების წინ, მეფის გამოსათხოვებლად მოზღვავდა ხალხი. მელექსე თავისებური განცდითა და გრძნობით აღწერს გამოსამშვიდობებლად

მოსულ თავად-აზნაურთა, მხედართა, დიდებულთა და მეფის ამაღლის შესახედლობას და იერს:

„თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,
ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა, –
ყველა ასე კარგნი იყვნენ.
წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის ჟღერა,
საამოა გაწყობილის
ვაჟკაცების რაზმის მზერა!
კაცი თვალს ვერ ამორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დასდებდა
მათს სიკეთეს, სიტურფესა.“ (1, ტ.1, გვ.190).

მეფანდურე აღწერს მხედართა ცხენებს. მათ შორის განსაკუთრებით გამოყოფს და აღწერს მეფის თეთრ ცხენს, თითქოს ამით უნდა განადიდოს თვით მეფე, როგორც თვითონ იყო დიდებული შესახედლობის, ასევე ყველასგან გამოირჩეოდა მისი ცხენიც. მეღეჟსე ისე მაღალ მხატვრულად და ცოცხლად აგვიწერს მეფის ცხენს, რომ თვალწინ წარმოგიდგება ეს შესანიშნავი ცხენი.

„მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული,
უკეთესს ვერ ინატრებდი
კაცის უძღომელი გული.
მეფისა იყო ის ცხენი,
თამამი – თითქო ვეფხვია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერვის შეედგა ფეხია.
ამაყი იყო ლომსავით
და ნაზი როგორც შველია,
სხვა მას ვერ იმორჩილებდა –
თუ არ ბატონის ხელია.“

ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, სჭექდა, მრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰმფოთავდა და ტოტსა სცემდა.“ (1, ტ.1, გვ.190).

პოემის XV–XXIII თავებში მოთხრობილია მეფისა და ხალხის გამოთხოვება. ილია აღწერს მეფის სულიერ განცდებს, მის ადამიანურ გრძნობებს და ამავე დროს, როგორც თავდადებულ მამულისშვილს, რომელიც სამშობლოს გადარჩენისათვის სწირავს თავს.

მეფანდურეს გადმოცემით, მეფესთან გამოთხოვებისას, როდესაც გაისმა ტირილი და ხალხმა მოუმატა „გლოვა, ვიში“, უცებ ხალხი შუაზე გაირღვა და გამოჩნდა ღრმად მოხუცებული, თეთრ წვერიანი ბერი-კაცი, რომელიც ორ ბიჭს მოჰყავდა. მეფის წინ გაჩერდნენ. ყავარჯენს დაბჯენილმა ბერმა-კაცმა მიმართა მეფეს: ნუ შეძრისხავ შენს ერთგულ ყმას, რომელიც სამარიდან გაძლევს ხმას. მან იცის, რომ მეფემ თავის თავზე აიღო ქვეყნის ტვირთი, იგი არ შეუშინდება განსაცდელს, რაკი გადაწყვიტა ქვეყნისთვის თავის გაწირვა. მაგრამ ჩვენ რა გვეშველება, ხალხი მზრუნველ მამას დაკარგავს, ხალხი დაობლდება, „ოფლის მღვრელსა და ტვირთმძიმეს“ ვინდა მიეშველება? ჩემნაირ უძლურსა და გაჭირვებულს, ღარიბსა და ობოლს ვინდა მიეშველება? „ნუ სწუხსართო“, რომ გვეუბნები, განა ჩვენს ხელში არის ჩვენი გული? რისთვის მიდინარ? ეკითხება მოხუცებული. ნუთუ ხსნა აღარ არი? დაუძახე ხალხს, შეაგროვე ჯარი და „შეჰკრიბე დიდი, პატარა“:

„ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა ღვია...
ბევრჯერ უნახავს ქართველის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლეგია.“ (1, ტ.1, გვ.194).

აი, მეფევ, წაიყვანე ეს ჩემი ორივე ბიჭი და ისინი ომში გაჩვენებენ:

„რა ლომებს ჰზრდის ქართველის ბუდე.“ იქვე.

გაუბეხ წინ და მტერს დახვდი; და თუ ვინმე ბრძოლას გამოექცევა დედა შეერთოს ცოლად; და ბერიკაცი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს თავის სათქმელს:

„ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბერი რამ გადაჰხედია,
მაგრამ მტრის წინ
არ წაუხრია ქედია.
ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვძლევეთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!..“ იქვე.

მოხუცებულის სიტყვებში, ილიამ მთელი თავისი გულის ნადები ჩააქსოვა. მან ამ მოხუცებულის სახით წარმოგვიდგინა ერის ბედი და უბედობა, რომელშიც მხატვრულად გამოხატა ჩვენი ქვეყნის წარსული.

ტ. სართანია წერს:

„ილიას ბევრ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებშია ასახული სოციალურ-ეროვნული მოტივები და ხშირად ეს ორი კატეგორია განუყრელია ერთმანეთისაგან. ამ პოემაში ილიას მეფე დიმიტრი II თავდადებული ქვეყნის და, პირველ რიგში, მშრომელი ხალხის ერთგულ მეფედ და ქომაგად ჰყავს დახასიათებული. ასეთი მეფეები ახსოვს საქართველოს: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ VI და ერეკლე მეფე, რომლებიც მშრომელი გლეხობის სახით ქვეყნის დასაყრდენს ხედავდნენ და სწორედ ამით აძლიერებდნენ სახელმწიფოს ძალასაც. ამიტომ ბუნებრივია ხალხის ვედრება მეფე დიმიტრისადმი, რომ ნუ დატოვებს მათ უნუგეშოდ და ნუ გაემგზავრება მონღოლთა ყაენთან, სადაც იგი დაბარებული იყო და საიდანაც ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა (როგორც ეს ხშირად ხდებოდა საქართველოს მეფეთა ცხოვრებაში).“ (11, გვ.92).

ილიამ, მეფის პასუხში, გამოხატა ერისთვის თავდადებული მზრუნველი და მოამაგე მეფე. ქართველი ხალხი, მისი არსებობის მანძილზე, ყოველთვის თავისუფლებისათვის იბრძოდა და სამშობლოსათვის თავს სწირავდა. მამულის სიყვარულის გამო, პირად მოთხოვნილებას ივიწყებდა და მტერს ხმალმომარჯვებული ეგებებოდა. ხოლო ხალხი გმირებს აფასებდა და არ ივიწყებდა. მითუმეტეს, მეფის მოვალეობა იყო ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადება და მათზე ზრუნვა.

დიმიტრი მეფემ, მოუწონა ბერი-კაცს მისი ერთგულება, მაგრამ იგი ჯარს არ შეკრებს და მისი გულისათვის სისხლს არ დაღვრის. მტერს ხალხს არ შეაკლავს. ის ეუბნება მოხუცებულს, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი ამინდსავით იცვლება. მოვა დრო და თქვენი თავი უფრო საჭირო გახდება. თუ ერთს თქვენ ვერ მიმეტებთ, მე ერთმა თქვენ რატომ უნდა გაგიმეტოდ და თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოჰყავს ბიბლიიდან ადგილი:

„განა თითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ ედვა,
არ ინება და ქვეყნისთვის
ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა.“ (1, ტ.1, გვ.195).

ქვეყნისათვის მეფე „ჭირთა მძლე“ უნდა იყოს და მისთვის კიდეც უნდა სიცოცხლე შესწიროს.

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.“ (1, ტ.1, გვ.195).

მეფე აცხადებს, რომ მან გადაწყვიტა ყაენთან წასვლა და ისე უნდა მოკვდეს, რომ მის გამო:

„ღედა შვილზედ არ ვატირო.“ იქვე.

იგი წავა და რაც მოსახდენია, მოხდეს. მას ამ ქვეყნის ჯავრი თან მიჰყვება და გულდაწყვეტილი განაგრძობს:

„ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!..
აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა.

თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ
ხოცვა, ჟლეტა, სრვა და რბევა...

მე კი... მეყოს, თუ გამყვება

თქვენი ლოცვა და კურთხევა,“ (1, ტ.1, გვ.196).

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ, ხალხი პირქვე დაემხო. მეფე ეთხოვება ერს და ამბობს, რომ ვისაც გრძნობა გააჩნია ასე მოიქცეოდეთ, რაც დაგაკელით და შეგცოდეთ, ნუ შემრისხავთ და შემინდეთო. მეღეკესე სულ რამოდენიმე სიტყვით აღწერს მეფის გარეგნობას და შესახებლობას:

„ბრძანა და ცხენიც მორთვეს,
ზედ მოახტა ვეფხსავითა;

ცხენზედ იგი დალოცვილი
გამობრწყინდა მზესავითა.

მტერსაც კი, რომ დაენახა

თვალი გაუმტერდებოდა;

მისებრი ცხენზედ მოხდენა

ბევრს ვაჟკაცს ენატრებოდა.“ იქვე.

მეფე გამოეთხოვა ყველას. თან იახლა, მისი თხოვნის თანახმად მღვდელმთავარი, ამაღა და მხედრობა, და გაემგზავრა ურდოში.

ბერი-მეფიანდურე განაგრძობს მოყოლას. მისი თქმით, ყენმა დაიბარა თავისი სარდალი და უბრძანა, რომ შეეკრიბა ლაშქარი, წასულიყო საქართველოში, ცოცხალი ან მკვდარი დიმიტრი მომგვარეო და ქვეყანა ააოხრეო.

დიმიტრი მეფეს გზაში შეხვდა მის შესაპყრობად წამოსული უთვალავი ჯარი. მან იცოდა მისი ამაღლის ამბავი, რომ თუ მეფეს უღიერად მოეპყრობოდნენ, ისინი შეეცდებოდნენ მის დაცვას და მრავალრიცხოვან გაბოროტებულ მტერს თავს შეაკლავდნენ. ამიტომ ამაღლას ფიცი დაადებინა, რომ ხმას არ გასცემდნენ. ფიცი კი მისცეს, მაგრამ:

„ბევრმა იკრა გულში ხელი,
სთქვა გულმწარედ: «ვაი დედას!
დრო მოგვივა და ამ თათრებს
არ შევარჩენთ ჩვენს შერცხვენას!» (1, ტ.1, გვ.198).

მეფეს მოახსენეს მტრის სარდლის დანაბარები, თუ მეფე დანებდებოდა, მაშინ მათ ქვეყანას ხელს აღარ ახლებდა. ამ ამბით გახარებულ მეფეს, მეფანდურე შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„იამა, ბრძანა: – «მაღლი ღმერთს,
რომ ქვეყანა გადმირჩება
და ცოლვილი ჩემი სისხლი
ამოდ არ დაიღვრება.» (1, ტ.1, გვ.199).

მეფე თვითონ მიღის მტრის სარდლისკენ. ისინი მიესივნენ უკადრისად, დაატყვევეს და ყაენს მიჰგვარეს. ყაენმა მოსთხოვა მეფეს, ელიარებინა მისი დანაშაული, რომ იგი მის მოსისხლეს არ გადაუღდა და დაემუქრა, ამისათვის თავი უნდა მოგკვეთო. მოისმინა მეფემ ყაენის მოთხოვნა და დიმიტრიმ გასცა პასუხი და ამ პასუხში, ილიამ გადმოსცა მეფის შეუპოვარი რაინდული სული და ქვეყნისათვის თავდადება. მკითხველის წინაშე მეფე უფრო მეტად განდიდება და თანაგრძნობით განაწყობს მას.

„მეფემ უთხრა: – «შენისთანა
ჩემი რა გამკითხველია!
ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხენელია.
შენ – წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.
ჰქმენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ, –
რად გწადს მომკვეთო თავიო...
სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ,
სვავო, რადა ხარ სვავიო?.. » (1, ტ.1, გვ.200).

როგორც ვხედავთ, ყვენი მორჩილების მაგივრად, წინააღმდეგობას წააწყდა და გაბრაზებულმა ბრძანება გასცა, რომ მეფე დილეგში ჩაეგდოთ, ეტანჯად და ეცემნად.

მეფანდურე განაგრძობს დიმიტრის შესახებ მოყოლას. ერთხელ, ასე ნატანჯი და ნაცემი მეფე ძალას მოიკრებს, წამოდგება, მუხლს მოიყრის და იწყებს ლოცვას. ილია ისევ მიმართავს ქრისტიანულ მოძღვრებას. მეფის ლოცვაში ისმის ქრისტეს ჯვარცმა. მეფე ღმერთს სთხოვს ერის დახსნას, ქვეყნის გადარჩენას. პოეტს უნდა, ხალხს ჩააგონოს, რომ სარწმუნოება, მისი მოძღვრება უნდა ემსახურებოდეს ერს, მის კეთილდღეობას.

„მოსთქვამდა თუ: – «ღმერთო, ღმერთო!

გთხოვ, მიწყალო, შემობრალო,

რაც გადაძნდა, განკითხვის დღეს

მადლად მე არ ჩამითვალო.

მე არა გთხოვ, – მანდ წამება

აქ წამებით შემიმცირო,

მე გთხოვ, – სისხლი აქ დაღვრილი

ჩემი სხვისთვის შეიწირო.

ღმერთო, ღმერთო!.. თვალ-წინ მიდგა

დიდ ტანჯული მე ძე შენი...

ვით ძით ყველა, ისეც ჩემით

ერი ჩემი დაიხსენი.» (1, ტ.1, გვ.201).

უცებ ბნელეთის კარი გაიღო და როგორც აჩრდილნი, ისე შემოდინ ორნი, რომლებმაც თავყანი სცეს. მეფემ შეიცნო ისინი, ორივე მისიანები აღმოჩნდნენ. მათ მოახსენეს, რომ შესძლეს ქრთამით „კარის – გატეხა“ და სთხოვეს, რომ თავს უშველოს. მაგრამ მეფემ იუარა, ვინაიდან მის გაქცევას მოჰყვებოდა ქვეყნის „რბევა“ და ხალხის აწიოკება.

„ბევრს ევედრნენ და არ გაჰყვა

რა გულმა მეფე თავის ერთგულ ყმათა...

ნეტა რა გულმა გაუძლო

მათ ხვეწნას და მუდარათა!“ (1, ტ.1, გვ.202).

მეორე დღეს, გამთენიისას, დატყვევებული მეფე დიმიტრი, გამოიყვანეს მოედანზე დასასჯელად. იქ იყვნენ ყაენის ვეზირი და მის გვერდით იდგა „ერთი რაღაც საზარელი“ ჯალათი. მოედანზე ხალხი „ვით ჭინჭველა ირეოდა“.

დიმიტრი მეფის ბოლო წუთებს, ილია ჭავჭავაძე წარმოგვიდგენს ერთის მხრივ მეფეს, როგორც სამშობლოსათვის თავდადებულს, ხოლო მეორეს მხრივ,

როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც ჩვეულებრივი განცდები გააჩნია. პოეტი, თითქოს ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქრისტიანულ მოძღვრებაშიც აღნიშნულია ხორციელი, ადამიანური სულისკვეთება და ამიტომაც ამ მხრივაც დიმიტრი მეფის წამებაც უკავშირდება ქრისტეს ჯვარცმას.

მეფე ჩააყენეს ვეზირსა და ჯალათს შორის. წვალებით განაწამებმა ფერმიხდილმა მეფემ, „ღმერთს შეხედა ნაღვლით სავსე თვალებითა“, მერე გადახედა მოედანს, ჯალათს და:

„ის ყოფა და ის ჯალათი
სანახავად შეეზარა...
შეჰკრთა როგორც ხორციელი,
უმისოდაც ქანც-წვევტილი,
დასუსტდა და წაბარბაცდა,
როგორც ერთი დაბნედილი.
მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სული...“ (1, ტ.1, გვ.203).

დიმიტრის მოესმა ტირილი. გაიხედა და დაინახა მისი დიდებულები, მღვდელმთავარიც და მისი „თან ხლებულნი“, რომლებიც „თავთ იცემდნენ“ და „პირს იხოკდნენ“.

ამის შემდეგ, ილიას მიერ აღწერილი დიმიტრის შემდეგი მოქმედება, აღწევს უდიდეს დაძაბულობას. იგი ლიტერატურული ხერხებით გადმოსცემს მის ადამიანურ განცდებს.

„თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი, ტომი,
ქვეყანა და თავის ერი...
ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია!..
ამას კი ვედარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!..
მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კენესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: – «დამიხსენი!..
რაც გადამხდა, ისიც კმარა!..»
სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...

– «ჰა, ჯალათო!» – დაიძახა
და კისერი გაიწვინა.

მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა“. (1, ტ.1, გვ.203).

ასე მთავრდება პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელიც წარმოადგენს ქართულ პოეზიაში, ერთ-ერთ ბრწყინვალე პატრიოტულ-ისტორიული ხასიათის ნაწარმოებს. როგორც ღვინაძემ, დიმიტრი თავდადებული, ილიას გამოყვანილი ჰყავს როგორც მტკიცე, უშიშარი, ძლიერი, სამშობლოსათვის თავდადებული, სპეტაკი პიროვნება, რომელსაც ამავე დროს გააჩნია ადამიანური ჩვეულებრივი გრძნობები.

პოემა, „მეფე დიმიტრი თავდადებულსა“ და თვით მეფეს, გ. ქიქოძე შემდგენაირად ახასიათებს:

მეფე დიმიტრი, „იღწვოდა თავისი ქვეყნის აღორძინებასა და წარმატებისათვის და ბევრიც მორაგა ამ მხრივ და თუმცა მგოსანმა ისტორიული პიროვნება მშვენიერი ფანტაზიის ბურუსში გაახვია და ამით იგი პოეტურ ქმნილებად გარდააქცია, არსებითად მაინც შეუნარჩუნა ეს ძირითადი თვისება ხასიათისა.....

მეფე დიმიტრი თავისი წარჩინებული დანიშნულების უდიდეს მიზანს იმაში პოულობს, რომ ხელი შეუწყოს ბედნიერებისა და სიკეთის გამარჯვებას და თანამშრომლობა გაუწიოს თავის სამეფოს არა ლოცვა-ვედრებით, არამედ პირადის მონაწილეობით იმ საერთო კულტურულ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს სოციალური ერთეული.

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.
მოუვლიდა ქვრივს და ობოლსა,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალეებას და საზრდოსა.....

მეფე დიმიტრის ტრაგიზმი გამომდინარეობს არა იმის სულიერ შინაგნობიდან, არამედ უმეტეს ნაწილად იმ გარეგნულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩააყენა ისტორიულმა ბედისწერამ....

თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, თვით ისეთ მომენტებში, როცა უძლიერესი პიროვნებაც კი ქედს იხრის გარეშე ძალის წინაშე, მეფე დიმიტრის არ უღალატნია თავის თავისთვის, ოდნავადაც არ დაუთმია ის, რისთვისაც გადასწყვეტა თავი დაეღო.

პირველი მოქმედება დრამისა, რომელსაც უძლეველის აუცილებლობით მოსდევს დიმიტრი თავდადებულის დალუპვა, არსებითად შორეულ უცხოეთში წარმოებს, მისი ნებისყოფისაგან სრულიად დამოუკიდებლად. რასაკვირველია, როგორც ყოველი ნამდვილი ტრაგიკული გმირის, ისე რამდენიმედ მისი პირადული თვისებებიც უწყობენ ხელს ტრაგიკული მდგომარეობის შექმნას: მას რომ თავის დროზე მდგომარეობა აეწონა, ეღალატნა თავის მოკავშირისათვის და უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს მისდგომოდა, თავს აარიდებდა გამარჯვებული ყეენის წყრომასაც და საჭირობოროტო განსაცდელსაც. მაგრამ საშიშ მდგომარეობას სწორედ ის ამწვავებს, რომ მეფე დიმიტრის არ ძალუძს უღალატოს თავის თავს, თავის ერთხელ მიცემულ სიტყვას....

ამ შეუდრეკლობას, ერთგულების დასახული მიზნის მიღწევაში, არაჩვეულებრივ სულიერ მთლიანობას იგი იჩენს შემდეგაც, განსაკუთრებით ორ კრიტიკულ მომენტში: პირველად, როცა თავის სამშობლოს ეთხოვება, საშუალოდ ტოვებს უკან მომტირალ ხალხს და შემდეგ გააფთრებული ყეენის წინაშე, როცა ის თავის მსაჯულად თავისავე სინდისს სცნობს და ამასთანავე ეთიკური ნებისყოფის სრულ დამოუკიდებლობას აღიარებს.

შენ წინ მოთქმა რას მიქვიან?

რას მიქვიან შენანება?

ჩემი გამკითხველი არი

ნამუსი და ჩემი ნება.

თავის სტოიკურ ბუნებას და მსოფლმხედველობას ის არ ღალატობს შემდეგაც, როცა აუტანელ ტანჯვის შემდეგ შეიძლება გაიპაროს საპყრობილედან და ბოლოს თავის მოკვეთის დღეს, როცა ის ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ, რაც ასე ადვილად მოსალოდნელია ყოველი ადამიანის შვილისაგან, თავს უწყვდის ჯალათს და ამით ბოლოს უღებს თავის ტრაგედიას, რომელიც მის შინაგან მთლიანობაზე სრულიად დაღი არ დაუჩნია.

უდიდესი ღირებულება, რომელსაც თავი შესწირა დიმიტრი თავდადებულმა, არის ეროვნული თვითარსებობა....

დიმიტრი თავდადებულის ტრაგედია წარმოიშვა მხოლოდ იმიტომ, რომ იმის სამშობლოს მეზობლად აღმოჩნდა ტლანქი გარეგნული ძალა, რომელიც

სრულიათ არა საცნობს მის მიერ მიჩნეულ ღირებულებას ღირებულებად და განადგურებასაც უქადის მას. ამ გარეგნულ ძალასთან შეტაკებაში ილუპება მეფე ღიმიტრი.“ (24, ტ. II, გვ. 70).

ილია ჭავჭავაძე ამ ნაწარმოებით ცდილობს ხალხს შეახსენოს, ჩაუნერგოს და გაუღვიძოს ის სულისკეთება და ზნეობა, რაც ძველად ჰქონდა ქართველ ერს, რომლის შემწეობითაც შეძლო საქართველომ დღემდე მოღწევა.

II. 2. 4. განდეგილი.

ილია ჭავჭავაძე უკვე 46 წლის იყო, როდესაც 1883 წელს დაწერა ერთ-ერთი უმშენიერესი პოემა „განდეგილი“. პოემა „განდეგილის“ შესახებ მრავალი წერილები და ნარკვევები დაწერილი, მრავალი მოსაზრებებია გამოთქმული. თითქოს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მწერლები, ლიტერატორები და კრიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რაიმე ეთქვათ, ან როგორღაც გამოეხატათ თავიანთი ალტაცება და აღფრთოვანება ამ პოემის მიმართ.

ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთი მწერლის გამოხატულებას ამ პოემის, „განდეგილის“ შესახებ.

კ. აბაშიძე „განდეგილის“ შესახებ წერდა:

„ყველაზე უფრო დიდებული და შეუდარებელი მაგალითი ილიას მწერლობისა, ქართული პოეზიის ობოლი მარგალიტი მისი „განდეგილია“.

თუ ოთარაანთ ქვრივის ტიპში ილია უნივერსალიზმს დაუახლოვდა, „განდეგილით“ მან შექმნა მსოფლიო პოემა, რომლის შინაარსი და აზრი ერთნაირად ძვირფასია ხელოვნების ყველა თავიანთსმცემლისათვის. ამ უკანასკნელ მის პოემაში ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქედან წინასწარმეტყველური მჭევრმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ეხლანდელი ევროპული ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს... ყოველნაირი ღირსება ილიასი, როგორც მწერლისა, აქ, ამ პოემაში სჩანს: მისი ძლიერი ნიჭი, რომელსაც შეუძლია გარემოება გადალახოს და შექმნას ნაწარმოები არა პირობათა ზეგავლენის ქვეშე, არამედ მიუხედავად ამ გავლენისა; მისი გამჭრიახი, შორსმხედველი გონება, რომელიც საზოგადოებრივ ჯანყსა და ბურჟუაში არჩევს ნათელ ცასა და მოკაშკაშე ვარსკვლავს.“ (3, გვ. 65).

გ. ჯიბლაძე წერდა:

„იტი აბაშიძეს მიაჩნდა, რომ „განდეგილი“ დიდებული, გასაოცარი, „საოცნებო ქმნილებაა“, „არა თუ უდიდებულესი ნაწარმოებია იმ სალიტერატურო სკოლისა, რომელსაც ილია ეკუთვნოდა, არათუ გამომსახველია მთელის

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილის ფიქრისა, აზრისა და სულის კვეთებისა, იგი წინასწარმეტყველურის ტენდენციით არის აღსავსე. იგი გამომხატველია ქართველის რწმენისა და ფილოსოფიისა. „... „ეს პოემა იმ შედეგს ეკუთვნის, რომელშიაც ერთი წერტილიც არ არის მეტი, რომელშიაც ერთი სტრიქონი მეორესა სჯობს და ეს მეორე – პირველს. მეორე თავის ადგილას უფრო ძლიერია პირველით, ხოლო პირველი უმეორეოდაც მშვენიერია და წარმტაცი“.

დასკვნისათვის შეიძლება გვეთქვას, რომ განდევილობა ეგოიზმს ემყარება და ბოროტებას განასახიერებს... ყველა შემთხვევაში განდევილობა ეგოიზმია, ხოლო ეს უკანასკნელი არასოდეს არ შეიძლება სიკეთე იყოს. ეგოიზმი ბოროტებაა და განდევილობა, როგორც ეგოიზმის ერთ-ერთი ფორმა, ბოროტებას წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძის დამსახურებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ განდევილობას – ანაზორეტობას მან სწორედ ამ თვალთ შეხედა.“ (12, ნაწ. I, გვ. 503).

პ. ინგოროყვას თქმით კი:

„განდევლი“ ილიას ერთი უდიდესი პოეტური ქმნილებათაგანია, რომელიც ამშვენებს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას.

პოემა უნივერსალური დიაპაზონისაა. პოემაში გაშლილია პრობლემა ცხოვრების მიღებისა და არმიღებისა.

აქ ერთი მხრივ დახატულია სახე განდევილისა, რომელსაც – განუდენია გულიდან ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი;

რომელიც განშორებია ამ ქვეყანას....

მეორე მხრივ პოემაში მწყემსი ქალის სახით განსახიერებულია თვით სიცოცხლე თავისი უკვდავი ძლევაძმოსილებით.

პოეტმა დაჰკმო ცხოვრებისაგან განდგომა იმის გამო, რომ ცხოვრება ბოროტების სამეფო არისო; ბოროტება ეს არ არის მარადისი, მარადისია მშვენიერება და სიკეთე.

მშვენიერება ასხივონებს ქვეყანას, სიკეთე სძლევს ბოროტს, სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე.

ასეთია იდეათა ის სამყარო, რომლითაც შთაგონებულია „განდევლი“. (7, გვ. 449).

ხოლო, გ. ასათიანის აზრით:

„განდევლი“ ფილოსოფიური შინაარსის პოეტური ნოველაა და ეს მკაფიოდ ვლინდება მის სტილში.

შეიძლება ითქვას, რომ ილია აქ უბრუნდება მისი პოეტური აზროვნებისთვის განსაკუთრებით ორგანულ სტილს.

ამ მხრივ „განდეგილი“ განსაკუთრებით ახლოს დგას „აჩრდილთან“. მხედველობაში ვვაქვს პოეტურ სახეთა შინაგანი მონუმენტურობა და რიტორიკული ხერხების სიჭარბე, რაც ორივე ამ პოემას ახასიათებს.

მაგრამ „განდეგილში“ ილიას სტილი უფრო დახვეწილია, შეიძლება ითქვას, უფრო რაფინირებული, ვიდრე რომელიმე სხვა მის პოემაში.

XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში გვხვდება რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, რომელთა სიუჟეტური ჩანაფიქრი შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობის გარკვეულ სახეობას ეხმაურება (გავისხენოთ, მაგ., ფლობერის „წმინდა ანტონის ცთუნებანი“, უფრო გვიან – ანატოლ ფრანსის „სილვესტრ ბონარის ცთუნება“ და სხვა). ილიას თავისებურად აქვს დამუშავებული ეს ტრადიციული მოტივი. მისი კალმის ქვეშ ქრისტიანული „ცთუნება“ ახალ, ეპოქისათვის აქტუალურ შინაარსს იძენს.“ (3, გვ.388).

პ. რატინი ასე ახასიათებს „განდეგილს“:

„ყველაზე კლასიკური ფორმით ი. ჭავჭავაძის სიცოცხლის ფილოსოფია გამოხატულია მის გენიალურ ნაწარმოებში, როგორცაა პოემა „განდეგილი“. ეს პოემა სრულიად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგად. იგი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მწვერვალს, და არა მარტო როგორც სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები, არამედ, აგრეთვე, როგორც უაღრესად ღრმა ფილოსოფიური ნაშრომი.“ (13, გვ.120).

„ილიას აზროვნებაში, მის განწყობილებებში, მის მოქმედებაში ყოველთვის იმარჯვებს მეტროლი, დღის სინათლის მოტრფიალე, სიცოცხლისა და დაუჭკნობელი სიჭაბუკის მოძღვრალი. „განდეგილი“ ამ გამარჯვების უმაღლესი გამოხატულებაა, ილიას ფილოსოფიის კინტესენცია.“ (13, გვ.122).

გ. ჯიბლაძე წერს, რომ „ერთ-ერთი პირველი, ვინც „განდეგილი“ სწორად გაიგო, როგორც ქართული პოეზიის შედეგრი, არტურ ლაისტი იყო. წარმოშობით გერმანელი, მაგრამ სულით ქართველი არტურ ლაისტი პოემა „განდეგილს“ უწოდებდა „მშვენიერ პოეტურ ქმნილებას“, რომელშიაც ხედავდა ძველი აზრის თავისებურად (ორიგინალურად) გამოთქმას და ოსტატურად დაწერილ „ახალ სურათებს“. პოემით აღტაცებული ლაისტი წერდა: „მერე რა მშვენიერი ბუნების სურათებია ყაზბეგის ყინულებში დახატული, როგორი ბრწყინვალე დილა და საღამოა აღწერილი, როგორი მშვენიერებაა ყმაწვილი

ქალი, როგორი ძლიერია განდევლის სიყვარული!“ (12, ნაწ-1, გვ.502).

როგორც ზევით აღნიშნეთ, არა ერთ კრიტიკოსსა და ლიტერატორს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრებები „განდევლის“ შესახებ.

ჩვენ, ჩვენის მხრით, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „განდევლი“, ქართულ ლიტერატურაში გამოირჩევა როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები.

გრიგოლ ყიფშიძის გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს პოემის წერა დაუწყო 1882 წელს. დაუთავრებია 1883 წელს და ამავე წელსვე გამოუქვეყნებია ჟურნალ „ივერიაში“.

პ. ინგოროყვა წერს, რომ:

„ილიას ავტოგრაფში პოემის ზედწერილი სამი ვარიანტით არის წარმოდგენილი და სამსხვე ვარიანტში აღნიშნულია, რომ პოემა ხალხურ ლეგენდას წარმოადგენს.

პოემისათვის ილიას თავდაპირველად შემდეგი სათაური მიუცია:

«მეუღაბნოე

ხალხში გაგონილი ლეგენდა».

შემდეგ სათაური ილიას ამრიგად შეუცვლია:

«ბეთლემი

ხალხში გაგონილი ლეგენდა».

საბოლოოდ ილიას პოემისათვის სათაურად დაურქმევია:

«განდევლი

ლეგენდა».

მართლაც ადგილობრივ, ხევში, ჩაწერილია რამდენიმე თქმულება, რომლებიც უახლოვდებიან „განდევლის“ თემას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შეხვედრა ხალხურ თქმულებათა და პოემას შორის მხოლოდ ზოგადი ხაზებით განისაზღვრება.....

ხალხური ლეგენდა „განდევლის“ შესახებ უბრალო არაკ-თქმულებას წარმოადგენს; ილიამ თავის პოემაში ეს ხალხური თქმულება გამოიყენა როგორც მასალა უნივერსალური მნიშვნელობის იდეების გადმოსაცემად.“ (1, ტ.1, გვ.380).

პ. ინგოროყვა, პოემა „განდევლის“ შექმნის შესახებ წერს, რომ:

„განდევლის“ იდეა ილიას შთააგონა საქართველოს მთაში, ხევში, მყინვარწვერის ძირობაზე გამოკვეთილ ბეთლემის ქვაბის გრანდიოზულმა სანახაობამ, და ხალხში გაგონილმა ლეგენდამ ბეთლემში განდევლი მეუღაბნოეს შესახებ.“ (1, ტ.1, გვ.378).

ილიამ პოემა მიუძღვნა თავის მეუღლე ოლღა ჭავჭავაძეს.

პოემა „განდევილს“, ილია ჭავჭავაძე იწყებს მისთვის დამახასიათებელი ბუნების აღწერით. ჩვენ, არა ერთხელ გვითქვამს, რომ მის მიერ აღწერილი ბუნება წარმოადგენს მოკლე, კონკრეტულ და რეალურად დანახულ სურათს და ყოველთვის, მკითხველს, თვალწინ წარმოუდგება მის მიერ აღწერილი ბუნების სურათები. ასე ხდება „განდევილშიც“:

პოემას ილია იწყებს მყინვარის აღწერით, სადაც მკითხველს, ყოველი სიტყვის, სტრიქონის კითხვისას, წარმოესახება მყინვარის მომხიბლავი სურათი და გრძნობს მის ღიღებულ, უზარმაზარ, ზვიად იერს. ამავე დროს, მკითხველი განიცდის გასაოცარ სიმშვიდეს, რომელიც ამ უზარმაზარ მყინვარის ხელს თან ახლავს.

„სადაც ღიღებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჭხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიაბული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰმთენია, –
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.“ (1, ტ.1, გვ.205).

და ამ ღიღებულ მყინვარში გამოკვეთილ ტაძარს, ილია მხატვრულად აგვიწერს:

ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი –
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, –
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუმს ასვლა ვერარა კაცსა.“ (1, ტ.1, გვ.205).

ამ მიუვალ ადგილას, ამ ყინულებში, ილიას თქმით, უწინ ყოფილა მღვდელთა „კრებული“. პოეტი, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს „კრებული“;

ეს მღვდელნი, გამოექცნენ ცხოვრებას და ლოცვა-ვედრებით თავი შეუფარებიათ ამ ადგილისათვის. ხოლო, როდესაც ისინი:

„გასულან ამა ქვეყნით მამანი

და ტადარი ღვთის გაუქმებულა...“ (1, ტ.1, გვ.206).

ამ მამების გამო, ამ ადგილს მთიელებს შორის სახელი გაეთქვა. ეს ადგილი ხალხს წმინდად სწამდათ და ყველა ერიდებოდა, რადგან:

„თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერავინ თურმე

ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,

და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა

ჭექა-ქუხილით მოევიწიება.“ იქვე.

პომის III კარიდან იწყება იმ საკითხების განხილვა, რის გამოც ილია ჭავჭავაძემ ეს შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. აქედან იწყება დაპირისპირება ამ ქვეყნიურსა და იმ ქვეყნიურს შორის. პოეტი ილაშქრებს და კიცხავს მათ, ვინც პირად მოთხოვნილებას უფრო მაღლა აყენებს საზოგადოებრივზე. პოეტი ებრძვის ინდივიდუალიზმსა და ეგოიზმს, ასკეტიზმსა და საერთოდ ცხოვრებისაგან განდგომას.

ილიას გადმოცემით, ამ ადგილს, მიყრუებულ ყინულოვან სამყაროში, ამ გაუქმებულ ტადარს შეჰკედლებია და თავი შეუფარებია ვიღაც მწირს, რომელსაც, ამქვეყნიური სიამბუქილობა და ჭირ-ვარაში მიუტოვებია, უარი უთქვია ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე და ამ ბეთლემისთვის თავი შეუფარებია. მეუღაბნოე გამოქცევია ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, რომელიც რა თქმა უნდა, არ არის უნაკლო და სამაგალითო; და ის, მისი აზრით, „ცოდვის სადგურს“ და „სამეფოს ბოროტისას“ წარმოადგენს; და რაც მთავარია „მართალი გზას ვერ აუქცევს“. ცოდვა კაცს ყოველთვის სდევნის, „რყვნა“, „წაწყმედა“ და ღალატი. ძმას ძმის სისხლი უხარია, მზაკვრობა და ცილისწამება მოყვასის სიყვარულს ცვლის. მეუღაბნოე ყოველგვარ ამ უმსგავსოებას გამოექცა, ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტია ასეთ ცხოვრებასთან, ქვეყანასთან. განმარტოვდა ამ საყინულეთში და მხოლოდ ლოცვა ვედრებაში ატარებდა „ღლე-და-ღამ“. თავისი სიცოცხლე ღვთის განდიდებას მიუძღვნა, რათა მიწიერი ცხოვრებისაგან განწმენდილიყო. დამარხა ყოველგვარი სულიერი სიმშვიდე, რომ განწმენდილი და განბანილი უფალს წარსდგომოდა.

„განშორებია ამ წუთისოფელს,

სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,

სად თვით სიტურფე და სათნობა
ემშაკის მახე და ცდუნებაა.

დღე-ღამე ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმდელი –
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.

განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი ალყავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.“ (1, ტ.1, გვ.207).

პოემის, „განდეგლის“ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. ცაიშვილი. იგი წერს:

„როგორც ცნობილია, ილია თავის მნიშვნელოვან თხზულებებს, მას ეს წესად ჰქონდა დათქმული, წინასწარ კითხულობდა ხოლმე მეგობართა წრეში, უკითხავდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთ და, როგორც გადმოგვცემენ, ეს კითხვაც ერთ რამედ ღირდა. ეს იყო თურმე, მართლაც, ნიმუში ქართული მეტყველებისა და ამ შემთხვევაშიც ილია როგორც ლექსის, ისე პროზის კითხვისას შეუდარებელი ყოფილა.“ (21, გვ.258).

ს. ცაიშვილს მოჰყავს ილია ჭავჭავაძის პირველი ბიოგრაფის და მისი თანამშრომლის გ. ყიფშიძის მოგონება. რომელიც ამბობს, რომ მონაწილე ყოფილა „განდეგლის“ შობისა და ნათლობისაც. მისი გადმოცემით, გრიგოლ (გიგა) ყიფშიძე და ივანე მაჩაბელი მისულან ილიასთან სახლში საქმეების გამო. როდესაც მოუთავებიათ თავიანთი საქმეები, ილიას უთქვამს, დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი როგორ გამოვალ „და წაგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანი მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალ-წინ წარმომიდგა. თითქო თავბრუ დამესხა, გამოვეყეჩდი და თითქმის ვეღარა გავიგე-რა იმისი, რაც გვიამბო ამ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათაველად.“ – შემდეგ, გ. ყიფშიძის გადმოცემით, – ილიას, როდესაც პოემა დაუმთავრებია, წაუკითხავს პოემა, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებლის, საზოგადო მოღვაწის, მეცენატის, ქიმიის და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის დავით სარაჯიშვილის (1848–1911) სახლში.

„მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო.

თუ ხსოვნა არ მალატობს, წამოვდგა ი. მ-ა, ცნობილი მოყვარული ქართულის მწერლობისა და სთქვა ალტაცებით: მშენიერია, ილია, მშენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ, თვით განდევლის სურათს, მისი გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსაო.

გაიმართა საუბარი, კამათი...

ილიამ დაბეჭდა თავისი პოემა „ივერიაში“ 1882 წელს, თებერვლის ნომერში და შიგ გაჩნდა მეხუთე ხანად აღწერა განდევლის სურათისა.“ ს. ცაიშვილი შემდეგ განაგრძობს:

„მაგრამ მთავარი მანც ის არის, რომ როგორც ცნობილი გახდა, დიდმა ილიამ, მართლაც, ყურად იღო მეგობარი თანამოკალმის შენიშვნა და ახალი თავი... დაუმატა კიდევ პოემის დასაბეჭდად მომზადებულ ვარიანტს. დაუმატა, მაგრამ არა ისეთი სახით, როგორც ეს ალბათ, წარმოედგინა თვით შენიშვნის ავტორს. ეს მანც არ არის პლასტიკური ხერხებით ნაწერი რეალისტური პორტრეტი მეუდაბნოე მწირისა. ასეთი პორტრეტი, ჩვენის აზრით, აშკარად სტილურ აღრევას შეიტანდა მთელი პოემის არქიტექტონიკაში, რომელიც ითვალისწინებდა საუკუნეთა ამ ტიპის თხზულებათა მყარ ტრადიციას. პოემაში სიმძიმის ცენტრი, ხოლო ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დიდი პოეტის უტყუარ მხატვრულ ალლოზე, გადატანილია სულიერ მოძრაობაზე, მინიშნებაზე და მეუდაბნოეს პორტრეტიც, ფაქტიურად, მსგავსი ხერხითაა შესრულებული.“ (21, გვ.259).

ს. ცაიშვილის ცნობით, შენიშვნის ავტორი ყოფილა ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია (1852–1919).

ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად გადმოსცემს განდევლის სახეს და მის სულიერ სამყაროს. ამ კარის დასაწყისშივე, პოეტს შევყავართ რაღაც იდუმალეობით გარემოცულ სამყაროში, სადაც განდევლ ბერს ამ ქვეყნის, ამ ქვეყნიურ ალარაფერი შერჩენია და მისი სული, რაღაც სხვა სამყაროსთვის გადაუცია და მას პოეტი ადარებს წმინდა წამებულს.

„არ იყო, ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰჩინებოდა.

სახე გამხდარი, კუმტი და მწყრალი
 სიწმინდის მადლით დაჰმშვენებოდა,
 და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
 შარავანდელი გადაჰფენოდა.
 მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
 ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
 თითქო მათშიგან ჩასახებულა
 თვით სათნოება, კდემით მოსილი;
 თითქო ნელისა სიხარულითა
 სამოთხის ღია კარს შეჰხარაიან
 და სულთან ერთად უფლისა მიმართ
 სასოებითა მისწრაფიან.
 ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი
 ჰკვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
 მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
 ძლევეთ-მოსილსა და განდიდებულს.“ (1, ტ.1, გვ.208).

ასე გადიოდა მწირის დღეები ყინულოვან სამყაროში ლოცვა-ვედრებაში, რასაც თან ახლდა „ცრემლთა დენა“. ღმერთსაც თითქოს შეუსმენია მისი ვედრება და სასწაული მოუკლენია. ბნელ სენაკს, სადაც მწირი იმყოფებოდა, ჰქონია სარკმელი, საიდანაც მზისა და მთვარის სხივი სენაკს „ეფენებოდა“. როდესაც დილის მზის სხივი სარკმლიდან სენაკში სვეტად შეიჭრებოდა, ლოცვანს სხივი იჭერდა და ამით კმაყოფილი ბერი, ესე განწმენდილი და უბიწო, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი თავს ბედნიერად გრძნობდა.

აქ თითქოს ყველაფერი გასაგებია, ყველა საკითხი გადაწყვეტილია, ბერის ცხოვრება ლოცვა-ვედრებაში მიმდინარეობს და ამ წყნარი, მშვიდი ცხოვრებით მწირი კმაყოფილი და ბედნიერია.

მაგრამ, სწორედ ამ დროს, ამ მშვიდ, წყნარ გარემოს, პოეტი, არღვევს, ყველაფერს ააფორიაქებს და ბერის დაწყნარებული ცხოვრებაც ინგრევა და ირღვევა.

როგორც აღრინდელ მის ნაწერებში ვნახეთ და საერთოდ მის შემოქმედებაში, ილია ხშირად იყენებს ამ ხერხს, როდესაც სიმშვიდეს და სიწყნარეს, უცებ მოსდევს არეულობა და აფორიაქება. რადგან ბუნება და ცხოვრება, არასდროს არ არის გაჩერებული ერთ და იმავე დონეზე, დაწყნარებულ ამინდს მოსდევს ჭექა-ქუხილი, უშფოთველ, დინჯ ცხოვრებას კი – აღელვება, ხოლო შემდეგ, ისევ ყველაფერი წყნარდება და უშფოთველი ხდება.

ერთხელ, სადამოს, ლოცვით დაღლილი განდევილი ჩაფიქრებული მიდამოს გადაჰყურებდა და ილია აღწერს, განსაცვიფრებელი სილამაზის ბუნების ხედს.

„მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.

მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად

მთისა გადაღმა არ დასულიყო

და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი

ირგვლივ სხივგამლით ანთებულიყო.

ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,

წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა,

და განმსჭვალული მისით ღრუბელი

შორს ათას-ფერად სხივებში ჰთრთოდა.“ (1, ტ.1, გვ.209).

და ამ სურათით გაოცებული მწერი:

„და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას

შესცქერდა მზესა განცვიფრებული.“ იქვე.

ილია მიმართავს ერთგვარ ლიტერატურულ ხერხს, ისევე როგორც „აკაკო ყაჩაღში“, ამ მშვენიერ, დაწყნარებულ ბუნების სურათის აღწერაში, რომელსაც არაჩვეულებრივ ფერებით გვიხატავს, მკითხველი გრძნობს, რომ რაღაც უნდა მოხდეს, ეს მყუდროება უნდა დაირღვეს; და ეს რღვევაც იწყება მიძინებულ მყინვარიდან. პოეტი, შესანიშნავი მხატვრული ფერებით გვიხატავს ბუნების ამ მრისხანე ძალას, რომელიც უცებ ამოძრავებს ამ მიძინებულ მყუდროებას.

„უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,

დაჰბერა კლდეთა, ნაპრავთ და მღვიმეთ,

და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი

შავი ღრუბელი დაიდრა მძიმეთ.

დაიდრა მძლავრი, უზარმაზარი,

ცაზედ განერთხო და გაიშალა,

და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,

ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.

შეირყა მთელი ცა და ქვეყანა

იმა ჭექით და იმა ქუხილით,

ცა აირია, დაბნელდა უცებ

და წამოვიდა სეტყვა შხუილით.

ქუხვა და ჭექა, ელვა და სეტყვა,

არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,

ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, –
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.“ (1, ტ.1, გვ.209).

განდევილი, რომელიც აქამდე ბუნების ხილვით ტკბებოდა, ეხლა სენაკში ხელაპყრობილი ღმერთს ქვეყნის გადარჩენას ევედრება და სწორედ ამ დროს შემოესძება ხმა, რომელიც შველას სთხოვდა.

პოეტი აქ, თითქოს განგებ ამახვილებს ყურადღებას, განდევილი ისეა თავის-თავში ჩაკეტილი, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი, რომ ადამიანის ხმაც კი ეუცხოება და ჰგონია ავი სულისგან, ეშმაკისაგან მოგზავნილი. როდესაც დარწმუნდება, რომ ის ხმა ადამიანისაა, მას მანც ეჭვი ეპარება და ფიქრობს, რომ ის ხმა ღმერთისგან მოგზავნილია მის გამოსაცდელად. მწირი, ეუბნება ქვევით მდგომ უცნობს, რომ მანდ რკინის ჯაჭვია, რომელსაც საფეხურებად რგოლები აქვს და ამოჰყვეო. სიბნელის გამო ჯერ ვერ არჩევს სტუმარს. მაგრამ მისი ხმის გაგონებისას იგი მიხვდება, რომ მის წინაშე იმყოფება ქალი.

აქედან იწყება დაპირისპირება განდევილსა და ახალგაზრდა მწყემს ქალს შორის.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილიას ბერი გამოხატული ჰყავს როგორც რელიგიის მოძღვრების მიმდევარი, რომელიც ადამიანის ზნეობრივ სრულყოფის მისაღწევად ამ ქვეყანას განუღვა. იცავს სარწმუნოების მოძღვრების ყოველ წეს-ჩვეულებას. მწირი, რომელიც მთელ დღეს ატარებს ლოცვა-კურთხევაში და მეორეს მხრივ, ახალგაზრდა ქალი, რომელიც განსახიერებაა სიცოცხლისა, ცხოვრებისა. ის ანგრევს და ანადგურებს განდევილის მთელ შინაგან და სულიერ სამყაროს, მის რელიგიურ წრმენას.

პოეტი წარმოგვიდგენს სტუმარს, ცეცხლის შუქზე განათებულ, ულამაზეს ქალად. იგი ხოტბას ასხამს მის სილამაზეს. მაგრამ, აქ საინტერესოა ის, რომ პოეტი, დაწვრილებით არ გადმოსცემს და არ აღწერს მის სილამაზეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკითხველს თაღწინ წარმოუდგება ულამაზესი ქალი. სულ რამდენიმე მხატვრული შედარებითი სიტყვით გამოხატავს მის სილამაზეს.

„ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა

სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,

გასაოცარი რაღაც შვენება

განდევილს თვალ-წინ წარმოედგინა:

ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.

ვის არ მოიმხრობს, მონადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენნიერება!..
თქმულა – მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკება და დაწყნარდება.“ (1, ტ.1, გვ.212).

პოეტი აღნიშნავს, რომ მწირიც მოიხიბლება ქალის სილამაზით და ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ ეს არ იყო ვნებათა ღელვა, „ხორც-უძღურ-ქმნილ“ ბერს მხოლოდ:

„და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.“ (1, ტ.1, გვ.213).

ამის შემდეგ, თხრობა მშვიდ, წყნარ ვითარებაში გადადის. ქალი უამბობს განდევნოს, რომ იგი მწყემსია, ბეთლემის ანლოს ცხვარს აძოვებდა. ცხვრის ფარა ნელ-ნელა ბალახის ძოვებით ამ მყინვარს მოადგა. ქალი მოიხიბლა გარემოს საოცარი სილამაზით მზის ჩასვლის დროს.

„ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა-რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შეუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალედა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა“. (1, ტ.1, გვ.214).

ბუნების სილამაზით გატაცებულ მწყემსს ქალს დაავიწყდა მამამისის გაფრთხილება, რომ მყინვარის ნდობა არ შეიძლება. რადგან:

„ნახავ, მზე ადვას, უცებ გაწყურება
და წამოხეთქავს ციღამ ნიაღვარს.“ იქვე.

და მართლაც, უცებ ყველაფერი აირია, ჩამოხნულა, ამოვარდა ქარი, ცა მოიღრუბლა და სეტყვაც წამოვიდა. ცხვარიც დაფრთხა და სიბნელეში ვეღარ მიეშველა.

ილია აღნიშნავს, რომ ცხოვრება ყოველთვის განიცდის ცვალებადობას, ბუნებაში ყველაფერი იცვლება. ამიტომ მწვემს ქალს ათქმევინებს შემდეგ სიტყვებს:

„მართლა, უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფორდება.“ (1, ტ.1, გვ.215).

იდეა ამ ჯოჯოხეთში მწვემსი ქალი და რა ექნა აღარ იცოდა. მართალია მან, ერთად-ერთი სარჩო-საარსებო წყარო, ცხვარი, დაღუპა, მაგრამ მას მამა უფრო ებრალებოდა. ვინაიდან მშობლის სიყვარული სულ სხვაა. მამამისი „წარბსაც კი არ შეიხრიდა, ოღონდ“ ენახა ის „უენებელი“. ამ უკუნეთ სიბნელეში და ჯოჯოხეთში, სახლში დაბრუნების დროს ქალს გზა აერია და მოადგა ბეთლემის ჯაჭვს. გაახსენდა მამის ნათქვამი, რომ ამ მყინვარის მონასტერში ვიღაც ბერი იყო და როგორც იქნა ხმაც მიაწვდინა. ქალმა მადლობა გადაუხადა ბერს, რომ იხსნა ამ ჯოჯოხეთისგან. მაგრამ მწერი ყველაფერს ღმერთს მიაწერს, რადგან მისი გაგებით, ღმერთია ყველაფრის გამგებელი. ის ეუბნება ქალს:

– „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენე შემწყნარებელი“. (1, ტ.1, გვ.216).

ბერი, რომელსაც ღმერთისთვის შეუწირავს თავი და რომელსაც მხოლოდ ღმერთი მიაჩნია ქვეყნის გამგებლად, უპირისპირდება მწვემს ქალს, რომელიც ბუნების წიაღის შვილია, სიცოცხლის განსახიერებაა. მწვემსის ყოველ სიტყვაში სჩანს, რომ ის ვერ ურიგდება ასკეტიზმს, ვერ ურიგდება ცხოვრების დაგმობას, ცხოვრებიდან გაქცევას და ყინულებში თავის შეფარვას. ადამიანი უნდა იყოს იქ, სადაც სიცოცხლეა, თავისი სიავითა და სიტკბოთი. პოემაში ვხვდავთ, თუ თანდათან როგორ ირღვევა მწერის სულიერი სიმტკიცე და ღმერთისადმი თავდადება.

ქალის შენიშვნაზე, რომ ბერს ეგონა ის ეშმაკი იყო, ბერის პასუხში უკვე ისმის თავისებური, შეიძლება ითქვას, სინანული ასეთი ცხოვრების მიმართ.

– „ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდევილს მწირს!“ (1, ტ.1, გვ.216).

მწვემსი, ახალგაზრდა ქალი გაცოცხლებია, მას ვერ წარმოუდგენია ყველა-საგან განმარტოებული ცხოვრება. იგი გაკვირვებული ეკითხება მწერს, რომ

ნუთუ მას არავინ ჰყავს: „ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“ და აქ, შეიძლება ითქვას, რომ სადღაც გულში, ისმის მწირის სინანულით გამოთქმული პასუხი, რომ მას ყველა ჰყავდა, მაგრამ ყველას გამოეთხოვა, აქ მოვიდა და „ღმერთს შესწირა თავი“. მან ისიც კი არ იცის რა დროა გასული და მწირი წარმოსთქვამს:

– „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა...“ (1, ტ.1, გვ.217).

განცვიფრებული და გაკვირვებული ქალი ეუბნება მწირს:

– „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა

ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“ იქვე.

ამ შეკითხვაში ჩანს რელიგიური მოძღვრების ასკეტიზმის წინააღმდეგ გალაშქრება. ქალი უბრალო სიტყვებით გამოხატავს სინამდვილეში არსებულ ცხოვრებას. იგი ცდილობს განდევნოს მოაგონოს წუთისოფლის სილამაზე და უნდა გააგებინოს, რომ ბედნიერებაა ჭეშმარიტი, არსებული ცხოვრება. ქალი იხსენებს, რომ როდესაც გაიგო იქ, ყინულებში კაცი ცხოვრობს:

„მითქვამს: იქ ყოფნა, რას არგებს სულსა?

განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰზარის

ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?

ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო

ესე ლამაზად წუთის-სოფელი?

განა მისთვის, რომ ადამიანმა

შეაჩვენოს და აიღოს ხელი?

ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,

ჩემს ტოლს და სწორსა, ღვთის და სიხარულს?!“ იქვე.

და ქალი მტკიცედ და დაბეჯითებით აცხადებს:

„ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!

ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..“ იქვე.

ქალი მიმართავს ბერს და გოცებული ეკითხება განდევნის:

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!

მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!

აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,

აქ ჭირია და იქ კი ღვთისა.“ (1, ტ.1, გვ.218).

ქალის მიერ ამ წარმოთქმულ სიტყვებში, სჩანს სიცოცხლის გამარჯვება და ის გაოგნებული ეკითხება მწირს, რომ ნუთუ მან ყველაფერი მიატოვა „თვის-ტომნი“, „ტოლი და სწორი“ და ამოიღო გულიდან? არ აგონდება ახლობლები და სახლ-კარი? როგორ მოშორდი?

განდევლის პასუხში ისმის დაბნეულობა, მან არ იცის რა უპასუხოს და მხოლოდ შემდეგის თქმას ახერხებს:

– „რა გითხრა, შვილო?

ყველაზე უფრო სული ტკბილია,

იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა

და ეგ ყოველი მის ბორკილია.“ (1, ტ.1, გვ.218).

ამ პასუხიდან ჩანს, რომ სარწმუნოების მოძღვრებიდან გამოძინარე, ყველაფერს განაგებს სული და იგი ყველაფრის ბორკილია. ესე იგი ყველაფერი ამ ქვეყნიური, სულის მიერ არის შეპყრობილი. ამის გაგონებაზე ქალი მიაგებებს შემდეგ კითხვას:

– „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,

ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“, იქვე.

განდევლის პასუხმა არ დააყოვნა. მაგრამ ამ პასუხში ჩანს, რომ მწყემსმა ქალმა შეძლო მისი სულიერი სიმტკიცის შერყევა და ანგარიშ მიუცემლად, დაუფიქრებლად, წარმოათქმევინა სიტყვები, რასაც იგი უშუალოდ გულის სიღრმეში განიცდიდა:

– „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა,

ესეთი მერგო მე... უბედურსა...“ იქვე.

ილია ჭავჭავაძემ, ამ ერთი სიტყვით „უბედურსა“, გამოხატა მწირის, ამდენი ხნის რწმენის, ამდენი ხნის წმინდა ლოცვის დასასრული. გამოდის, რომ იგი თავსაც იტყუებდა და ღმერთსაც სიმართლეს არ ეუბნებოდა. იგი თავისთავს მაინც უბედურად თვლიდა და ამ ერთი სიტყვით მან ღმერთის წინაშე უკმაყოფილება გამოხატა. განდევლი გაოგნებულია, გონს ვერ მოსულა, თვითონაც ვერ მიხვდა, რამ ათქმევინა მას ეს ერთი სიტყვა – „უბედურსა“. განდევლის ეს შინაგანი ტანჯვა, ეს შინაგანი წამება, პოეტს შესანიშნავად აქვს გადმოცემული.

„უბედურსაო“?! და მწირსა უცებ

გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...

ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,

და ვით მოადგა იგი ენაზედ?

„უბედურსაო“?! ეგ ხომ სიტყვაა

გულის-ტკენის და სამღურავისა!

ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა

ბედნიერების დამკარგავისა!..

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამღურავს!
არ დასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?“ (1, ტ.1, გვ.219).

მაგრამ მისი სულის სიმტკიცე უკვე შერყეულია, უკვე დარღვეულია. განდევნილი ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული, რომ იქვე, ცეცხლის პირას დაინახა ჩაძინებული ქალი. ილია თავისებური, შეუდარებელი მხატვრული ხერხებით გვიხატავს ჩაძინებული ქალის სილამაზეს.

„და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვის საუნჯე აქ დაჰბნევიან
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევიან.“ (1, ტ.1, გვ.219).

განდევნილმა დაინახა მიძინებული ქალი და მის მშვენიერებას თვალი ვეღარ მოაშორა. დიდხანს უყურა, დამშვიდდა, „გულს ჩაეფინა“ რაღაც ნელი და თბილი სხივი. ის ძრწის, რაღაცას გრძნობს და გულიც რაღაც უცნაურად უცემს. ადრეც უცემდა გული, მაგრამ:

„ეხლა სულ სხვაა მის გულის ძვერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკობებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰკავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?
ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?“ (1, ტ.1, გვ.220).

ქალს ისევ ეძინა „ლალის ღიმილით“ თითქოს იწვევდა კაცს საკოცნელად,
„და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...“ (1, ტ.1, გვ.220).

და განდევილმაც ველარ გაუძლო, დაიხარა საკოცნელად და უცებ გაშეშდა, გონს მოეგო, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ქალის სილამაზემ, მიწიერმა სიტუაციამ სძლია სულიერს. ცხოვრების ძალამ, ბუნების მიერ მინიჭებულმა ძალამ გაამარჯვა. მწირი ებრძვის ამ ძალას, მას არ სჯერა, რომ იგი უკვე წარწყმედილია. მას უნდა, თავის თავი დააჯეროს, რომ ის რწმენა, რაც აქამდე ჰქონდა, შეინარჩუნოს, მაგრამ ამ დროს, რაღაც ხარხარი ესმის, ვიღაც ჩასძახის ყურში: „წაწყმდი თუ არა“ და ამავე დროს გაჰკვივის მის გულში: „დაგძლიე თუ არა“. ირგვლივ კი თითქოს ღებუნაა. გაოგნებული მწირი ეძებს ხსნას, ის პირქვე ემხობა ღვთისმშობლის წინ, იწყებს ვედრებას, მაგრამ ისევ ის ხარხარი ესმის.

„სული გულს იწყებს ღვთისა ვედრებად,

გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...

ნუთუ ღვთის-მშობლის საფარველ-ქვეშეც

წყვეული ხორცი არ დაწყნარდება!..“ (1, ტ.1, გვ.221).

რა ქნას განდევილმა აღარ იცის. მის სულიერ განცდებს პოეტი თანდათან უფრო ამძაფრებს. აღელვებული მწირი ზევით აიხედავს და მავედრებელი თვალთ შეხედავს დედა-ღვთის ხატს, მაგრამ ისევ ქალის სახე გამოესახება. მას ველარ გაუგია „ცხადია იგი, თუ აჩრდილია?“

„პირჯვარი უნდა – ხელი არ ერჩის,

ლოცვის თქმა უნდა – ენა ებმება,

ხატის ხილვა სურს და იგივე... იგივე...

ქალი წყვეული თვალთ ელანდება!

„აბა სძლიეო!.. და კვლავ ვიღაცამ

გაიხარხარა იმის სენაკში...

აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო

და როგორც გიჟი გავარდა კარში.“ (1, ტ.1, გვ.222).

გარეთ კი ბუნება დაწყნარებულია, ღრუბელი გადაყრილია და ნიავიც ნელა დაჰქროდა. ამ წყნარ ამინდში, ამ კლდეებზე, თმა აბურძგვნილი, გააფთრებული დარბის მწირი. მივარდა ზღუდის პირს და დაუწყო ყურება მთის წვერს. მოუთმენლად ელოდება მზის ამოსვლას, მის ბოლო იმედს. ბოლოს, როგორც იქნა მზემაც იწყო ამოსვლა. გაოგნებული შევარდება სენაკში და რა დაინახა მზის სხივი, ისევ ისე სარკმლიდან სვეტად განათებული, დაწყნარდა. ილია გადმოგვცემს მის უკანასკნელ განცდებს, მის სულის ბრძოლას. განდევილი ისევ ისე შესცქერის ღვთის ხატს და ღმერთს მადლობას უხდის, ის არ ყოფილა შერისხული. თითქოს ყველაფერი დაწყნარდა, ყველაფერი ძველებურადაა. მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში, ყველაფერი უეცრად იცვლება.

„მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, ეჭა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალი დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჭბავლა ღმერთსა
და იქვე სხივ-ქვეშ უტევა სული.“ (1, ტ.1, გვ.223).

ასე მთავრდება ბრძოლა განდევილსა და ქალს შორის, ასკეტიზმსა და სიცოცხლეს შორის.

პოემის დასკვნით ნაწილში, ილია გადმოგვცემს და აღწერს მეუღლანოეთა სენაკს, ადგილს, სადაც ღმერთს ადიდებდნენ. რომელიც დროთა განმავლობაში გადაიქცა ნატამლად და ნანგრევებად.

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებით
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, –
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამოძვრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...“, (1, ტ.1, გვ.223).

ასე მთავრდება პოემა „განდევილი“.

როგორც დავინახეთ ამ პოემაში, ილია ჭავჭავაძემ მხატვრული ოსტატობით დაგვიხატა განდგომილობის ცნების განადგურება. დაგმო საზოგადოებისაგან განდგომა და საერთოდ რელიგიური ცნების ასკეტიზმის უგუნურება. ამავე დროს, ამ ნაწარმოებით მან უძღერა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას.

პოემა „განდევილი“ უდიდესი შენამენია მთელ ქართულ მწერლობაში.

ვ. გაგოიძე, პოემა „განდევლის“ შესახებ წერს:

„როგორც ვხედავთ, ეს პოემა მხატვრული განსახიერებაა იმ პრობლემისა – იმ ქვეყნიურობის არა-რაობისა და ამ ქვეყნიურობის სიდიადის საკითხისა, რომელიც იდგა ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის წინაშე. ამ შემთხვევაში ილიას როგორც მხატვარსა და როგორც მოაზროვნეს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს, რადგან არა მარტო პრობლემის დასმა, არამედ მისი გადაჭრაც ერთი და იგივეა აქაც და იქაც. ილია ჭავჭავაძის მიზანია ორივე ასპექტში აჩვენოს და დაასაბუთოს, რომ რელიგიური რწმენა ნამდვილად არარაობას წარმოადგენს, რადგან იგი ბუნების წინაშე ადამიანის სისუსტის შედეგია და რაც

უფრო წინ მიდის ადამიანი, მით უფრო თავის მნიშვნელობას კარგავს იგი..... ადამიანისათვის, გარდა ჩვენი მიწიერი ცხოვრებისა, არავითარი სხვა ცხოვრება არ არსებობს, ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც თან სდევს და ამიტომ, უმაღლესი სულიერი სიტკბოება განუყრელია უმაღლესი ხორციელი სიტკბოებისაგან. ადამიანი პირველ რიგში იმაზედ უნდა ზრუნავდეს, რომ მატერიალური კეთილდღეობა მოიპოვოს, რომელიც სულიერი ამაღლების ძირითადი პირობაა. ხოლო უარყოფა მატერიალურისა, ხორციელისა და ზრუნვა მარტო სულიერზე არის დაკარგვა როგორც ერთისა, ისე მეორისა. ამიტომ საჭიროა, რომ ადამიანი ცხოვრების შუაგულში დადგეს და ბრძოლითა და შრომით მოიპოვოს როგორც ერთი, ისე მეორე.“ (14, გვ.264).

პ. რატიანის თქმით:

„განდევილში“ მოცემულია საკაცობრიო ფილოსოფიური პრობლემის სწორი, ოპტიმისტური გადაწყვეტა. ამასთან „განდევილი“ გვხვობლავს თავისი სრულყოფილი და მონუმენტური მხატვრული ფორმით. ამიტომაცაა იგი მსოფლიო ლიტერატურის შედევი.“ (13, გვ.127).

ხოლო, გ. ქიქოძე პოემა „განდევლის“ შესახებ წერს, რომ ადამიანი:

„როცა იგი ჩვეულებრივ სინამდვილეს ესთეტიკურ სინამდვილეს უპირდაპირებს და სიამოვნებას ამ წინააღმდეგობაში პოულობს, სარწმუნოებრივი პიროვნება ცდილობს რადიკალურად და საბოლოოდ განთავისუფლდეს რეალური სივრცის, დროების და სხეულებრივობის საზღვრებიდან მისი დათრგუნვით ან ერთხელ და სამუდამოდ მოსპობით. ეს ცდა ხშირად ბადებს იმ ტრაგედიას, რომლის ერთი უდიდესი მაგალითი ილია ჭავჭავაძის „განდევილია“. – შემდეგ, განაგრძობს, – „განდევილში“ გამოიხატა თითქმის მთელი კაცობრიობის, ყოველ შემთხვევაში, სარწმუნოებრივი შეგნების ორი უმნიშვნელოვანესი ტიპის – ბუდიზმისა და ქრისტიანობის დამახასიათებელი ტრაგედია. ორივე სარწმუნოებას აერთებს სწორედ ის თვისებები, რომელთა მატარებელიც განდევილია: ამაღლება ამქვეყნიურ მატერიალურ არსებობაზე, სიძულვილი სხეულისადმი, მის მოთხოვნილებათა დათრგუნვა, მის ზრახვათა და ვნებათა უარყოფა, ცოდვად და წარწყმენდად მიჩნევა თვით უდიდეს ადამიანურ გრძნობათა და მისწრაფებათა, განყენება წუთისოფლის მაცდურებისაგან და ნირვანის ან მარტოდმარტო დაყუდების დადასტურება. ორივე სარწმუნოებისათვის დამახასიათებელია სულიერი მომენტის გაზვიადება: ქრისტიანობისათვის მისი მიმჩნევა უდიდეს ღირებულებად, ბუდიზმისათვის კი შეხედულება, რომ შეგნება ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია კაცობრიობის განთავისუფლება მუდ-

მივი ტანჯვისაგან.” (24, ტ. II, გვ. 60). – შემდეგ, განაგრძობს, – „უმოკლესი გზა ხსნისა და ნეტარებისა არის განყენება წუთისოფლიდან, ძირშივე ჩაკვლა ნებისყოფისა ცხოვრებისადმი, თვალის დახუჭვა მაცდური მშვენიერების წინაშე, ყურის დაცობა იმ ამღვზნებ ხმათათვის, რომელნიც წარმტაც, მაგრამ ცოდვით აღსავსე არსებობისაკენ მოუწოდებენ.“ (24, ტ. II, გვ. 62). – და შემდეგ, – „ტრაგიკული კონფლიქტი, რომელშიდაც ვარდება განდევნილი არის კონფლიქტი თავის თავთან; მტერი, რომელმაც შესძლო ასულიყო მის სიმაღლეზე და შეტაკებოდა მას, არის მისი მეორე „მე“. ძალა, რომელმაც ბოლო მოუღო მას, არის მისი ბუნება, საშინელი შურისმაძიებელი, აჯანყებული თავისი დამმონებლისა და დამთრგუნველის წინააღმდეგ.

მშვენიერი ქალწულის სახით განდევნილის შეგნებაში ამოცოცდა მისი ბიწიერი „მე“, რომელიც მას სამუდამოდ მკვდარი ეგონა.“ (24, ტ. II, გვ. 65) და საბოლოოდ გ. ქიქოძეს გამოაქვს დასკვნა:

„განდევნილთან ერთად დამარცხდა ის იდეალიც, ის განუსაზღვრელი მსოფლმხედველობაც, რომლის უძლიერესი წარმომადგენელიც ის იყო: როგორც გოეთეს ფაუსტში, ისე აქ, პირველად ქართულ პოეზიაში, ქრისტიანულმა იდეალმა ქედი მოიხარა ჰუმანიტარული იდეალის წინაშე, რომელმაც ცალმხრივ ზეკაცობას, ასკეტურ წმინდანობას დაუპირისპირა იდეა ყოველ მხრივ, ჰარმონიულად განვითარებული კაცობრიობისა და ადამიანის დანიშნულებად დასახა არა მზადება საიქიო ცხოვრებისათვის, არამედ ამქვეყნიური არსებობის გარდაქცევა მოქმედების მიზნად და სარბიელად. ეს დიადი ჰუმანიტარული იდეალი აკავშირებს ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილთან და მასთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო ლიტერატურულ მიმდინარეობასთან.“ (24, ტ. II, გვ. 70).

პოემა „განდევნილით“ ვამთავრებთ ჩვენ ილია წავჭავაძის პოეზიის შეძლებისდაგვარად განხილვას.

II. 3. პროზა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე წლების განმავლობაში ყოველთვის ასწორებდა და ამუშავებდა თავის თხზულებებს. ცენზურის გამო ხშირად ვერ აქვეყნებდა, ან თუ იბეჭდებოდა ხდებოდა მისი დამახინჯება და ამ ნაწარმოების არასრულად წარმოდგენა.

ამდგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდა ილიას ბრწყინვალე მოთხრობა „მგზავრის წერილები“. ილიამ ეს მოთხრობა ხელახლა გადაამუშავა, შეასწორა, გადაათეთრა და მოამზადა დასაბეჭდათ.

პ. ინგოროყვა გადმოგვცემს, რომ:

„1871 წელს დაიწყო გამოსვლა პროგრესული დასის ორგანომ – ჟურნალმა „კრებულმა“ და ილიას მხოლოდ აქ მიეცა პირველად საშუალება ამ ნაწარმოების დაბეჭდვისა.“ (1, ტ.2, გვ.581).

მაგრამ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, დაიბეჭდა ხარვეზებითა და ამოგდებული თავებით.

ილია ჭავჭავაძის მეორე მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, რომლის წერა მან დაამთავრა 1873 წელს, მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“.

ამის შემდეგ, 1873 წლიდან 1879 წლამდე, ილიას პროზაული ნაწარმოები აღარ შეუქმნია. როგორც ვარაუდობენ, შეიძლება ეს გამოწვეული იყო იმით, რომ იმ დროს ილია ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობას. ოჯახური პირობების გამო, 1864 წლიდან ილია იწყებს მუშაობას სახელმწიფო დაწესებულებაში და მას ლიტერატურისათვის დრო აღარ რჩებოდა. შეიძლება იმოქმედა იმანაც, რომ ცენზურის გამო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ილიას საკუთარი ბეჭდვითი გამოცემა აღარ ჰქონდა.

1877 წლის 3 მარტიდან საქართველოში დაიწყო გამოსვლა პოლიტიკურ-ლიტერატურულმა გაზეთმა „ივერიამ“, რომლის დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. სხვადასხვა დროს თანარედაქტორები იყვნენ:

(1880–81) წ-ში („დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანების დროს) სერგეი მესხი (1845–1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

(1882–84) წ-ში ივანე მაჩაბელი (1854–1898) – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

(1901 წლის 4 დეკემბრიდან 1903 წ-დე) ალექსანდრე სარაჯიშვილი (1851–1914) – კრიტიკოსი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე;

(1903–05) წ-ში გრიგოლ ყიფშიძე (1856–1921) – ილიას უახლოესი თანამშრომელი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და პედაგოგი;

(1905–06) წ-ში გაზეთის დახურვამდე, ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872–1950) – პუბლიცისტი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე.

„ივერია“ (1877–78) წ-ში და 1906 წელს გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთის სახით. შემდეგ, 1879 და (1881–85) წ-ში როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1880 წ. – სამთვიური აღმანახი, ხოლო, 1886–1906 27. VIII წ-ში – ყოველდღიური გაზეთი.

„ივერიაში“, დიდი მნიშვნელობა იქონია ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა და გათვითცნობიერების საქმეში, ამავე დროს ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული მწერლობის განვითარებაში.

ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიაში“, ილიამ შემოიღო ახალი პუბლიცისტური დარგი, „საქართველოს მატიანე“, „შინაური მიმოხილვის“ სახით, სადაც, პ. ინგოროყვას თქმით:

„ჟურნალში დროგამოშვებით იბეჭდებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანე, „შინაური მიმოხილვის“ სახელწოდებით. სულ აღნიშნული წლების განმავლობაში დაიბეჭდა 36 მიმოხილვა. წერილები ხელმოუწერელია. როგორც ირკვევა, ეს მიმოხილვები ეკუთვნოდა სამ ავტორს: თვით ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და გრიგოლ ყიფშიძეს.“ (1, ტ.5, გვ.377). „ყველა ეს წერილები ხელ-მოუწერლად იბეჭდებოდა (მეთაურების სახით)“. (1, ტ.5, გვ.404).

პ. ინგოროყვა გადმოგვცემს, რომ ილიას ნაწერების ამ ციკლის, „სახელწოდება „საქართველოს მატიანე“,თვით ილიას ეკუთვნის. ეს სახელწოდება სავსებით შეეფერება ილიას ამ წერილების ჯგუფს, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ მატიანეს წარმოადგენს.“ (1, ტ.1, გვ.405).

„შინაური მიმოხილვა“, აღწერდა ყოველთვიურ სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხის ცხოვრებისეულ საკითხებს, მათ პრობლემებს და იძლეოდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და გადაჭრის გზებსა და ხერხებს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ივერია“ მრავალფეროვანი იყო. მასში განხილული იყო, იმ დროინდელი თითქმის ყველა საკითხები, როგორც პოლიტიკური, ასევე ცხოვრებისეული. „ივერიაში“ დიდი ყურადღება ექცეოდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას და ამავე დროს მან დიდი როლი შეასრულა ქართული ენის დახვეწისა და ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მასში თანამშრომლობდნენ იმ დროინდელი თითქმის ყველა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, კორესპონდენტები და ჟურნალისტები.

„ივერიაში“ დაიბეჭდა ილიას ყველა დასრულებული პროზაული ნაწარმოები.

II. 3. 1. სარჩობელაზედ.

ჟურნალ „ივერიაში“, 1879 წლის № 2-ში გამოქვეყნდა ილიას მოთხრობა „სარჩობელაზედ“.

პ. ინგოროყვა ამ მოთხრობის შესახებ წერს, რომ:

„ილიას ეს პატარა მოთხრობა ერთი უძლიერესი ნაწარმოებთაგანია, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დაწერილია. მოთხრობაში დახატულია შესანიშნავი სახე ქართველი გლეხისა.“ (7, ტ.1, გვ.449).

მოთხრობას, „სარჩობელაზედ“ ილია უწოდებს „პატარა ამბავს“, თუმცა სინამდვილეში მასში აღწერილი შემთხვევა მეტად დიდ და ამავე დროს უაღრესად საჭირბოროტო საკითხს ეხება. ეს არის ის სოციალური საკითხი, რომელიც დღევანდელ დღესაც კი დღის წესრიგში დგას: საზოგადოებასა და მისი თვითეული წევრის ურთიერთობის მდგომარეობა, საზოგადოების მოვალეობასა და მისი თვითეული წევრის უფლებების შესახებ. ყოველი ადამიანი უნდა იყოს მის გვერდში მყოფი პიროვნების მიმართ პასუხისმგებელი. საზოგადოება პასუხს უნდა აგებდეს მისი ყოველი წევრის დანაშაულებისათვის. სოციალური ყოფის ის საშინელი სურათი, რომელიც ილიამ აღწერა ამ მოთხრობაში, თვალწინ გვიხატავს იმ საზოგადოებას, სადაც ხდება დაუსჯელად ძარცვა, გლეჯა, ყვლეფა და ამავე დროს ამ საზოგადოების გამო ისჯება ის უსუსური, ცხოვრებაში ჯერ გამოუცდელი ბავშვები, რომლებიც ამ მდგომარეობამდე თვით ამ საზოგადოებამ მიიყვანა. ილია ამ მოთხრობის საშუალებით გვეუბნება, რომ თუ დანაშაული ხდება, ეს თვით ამავე საზოგადოების ბრალია.

ლ. მინაშვილი წერს, რომ:

„სადღეისოდაც გვაფიქრებს მოთხრობა „სარჩობელაზედ“. ყველა დროში საგულისხმო იქნება საკითხი საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის ურთიერთობის შესახებ, უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, საკითხი დანაშაულისა და სასჯელისა. თუ საზოგადოება არა უბრალო ჯამია ადამიანების ერთობისა, არამედ მორალური ერთეულია, მაშინ იგი პასუხისმგებელია მისი ცალკეული წევრის წინაშე და წევრისათვის. საზოგადოება არ უნდა იყოს გულგრილი ცალკეული წევრის ბედისადმი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქვს საზოგადოებას უფლება, მოითხოვოს თავისი წევრისაგან, პასუხი აგოს თავის მოქმედებაზე.“ (18, ტ.11, გვ.689).

ხოლო, გ. კიკნაძის აზრით:

„ილია ჭკავჭკავად შორს იყო ამ აზრისაგან, რომ მთელი პასუხისმგებლობა პიროვნების მორალური სახისათვის მხოლოდ ცალკეული ადამიანისათვის

დაეკისრებინა. საზოგადოება კი არ უნდა ამძიმებდეს, არამედ უნდა ამსუბუქებდეს ცხოვრების ტვირთს. ილიასათვის საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, მორალურ ოდენობას წარმოადგენდა და არა ადამიანთა თავყრილობის სახით მოცემულ ფეტიშს. დაცვა სუსტებისა და მათზე ზრუნვა არის სოციალური სისტემის ადამიანურობის გამოხატულება, – აი ილია ჭავჭავაძის ეთიკის დედაძარღვი. სოციალური მორალის ამ პრინციპს უპასუხებს „სარჩობელას“ ავტორის გამაფრთხილებელი ხმა, რომ ზოგჯერ თვით საზოგადოება ქმნის დამნაშავეებს, რათა შემდეგ ისინი ჩამოაღრჩოს.“ (3, გვ.311).

ილია, მოთხრობას „სარჩობელაზედ“ იწყებს შუა ზაფხულის აღწერით. იგი მოკლედ, ყოველგვარი ზედმეტი აღწერილობის გარეშე გადმოგვცემს იმ მდგომარეობას რაც იქ სუფევდა და ჩვენს თვალწინ წარმოგვიდგება ის სიცხე და პაპანაქება როგორც იქ იყო. ამ სიცხეში, ლოჭინის ხევის პირას, „საცოდავი მეურმეები, ქანცგაწყვეტილნი სიცხისაგან, გულდაღმა გამოტილიყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ. ყველას ეძინა, – მარტო ორიოდე ბიჭი, კალთებ-აწეულნი, იდგნენ გუბის პირას და ხის ჯამებით ასხამდნენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულს კამეჩებსა, რომელნიც გუბეში ეყარნენ.“ (1, ტ.2, გვ.224).

როდესაც მზე გადაიხარა და „ჰაერმა მოძრაობა დაიწყო“ მეურმეები აიშალნენ და დასძრეს ურმები. ამ დროს გზაზედ გამოჩნდნენ „ხევის ყურიდამ ორი ყმაწვილი“. ილია აღწერს მათ გარეგნობას და მათ შინაგან ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

„ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები“ ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური უწინდებული უკაზიროკო ქუდი. ჩერქეზულ-ქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, მეორე ან თოთხმეტისა, ან თხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, – უფროსსა კიდევ და არცა ჰგვანდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალეები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული იყო და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო. პირველი იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა, – შესამჩნევი არა იქნებოდა-რა, ავის

კაცის კვალზედ დადგებოდა, – ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებ-
და. მეორეს კი სხვა ნიშან-წყალი ჰქონდა.“ (1, ტ.2, გვ.225).

შემდეგ ირკვევა, რომ ეს ახალგაზრდები ძმები ყოფილან. უფროსს ძმას ბეჟანი ერქვა, ხოლო უმცროსის სახელს ავტორი არსად არ ასახელებს, – უცნობია. ძმები მისეულმენ მეურმეებს. უფროსმა მოუყვა მათ, რომ ისინი ძმები არიან, თავადიშვილები. თუქურმიშის სკოლაში იყვნენ. მამამ შვილებს თუმანი გამოუგზავნა, რომ როდესაც დაითხოვდნენ, ქალაქში დაბრუნება შესძლებოდათ. მათ რუსის პოვოსკა დაიჭირეს, რვა მანეთი მისცეს და ქალაქისკენ გაემგზავ-
რნენ. მაგრამ გზაში ერთ-ერთ ღუქანთან ეს რუსი დათვრა, პოვოსკიდან ესენი გადმოყარა, ამათი ბარგი და ის რვა მანეთი თან გაიყოლა და წავიდა. ბეჟანის მიერ ამ ამბების მოყოლას უმცროსი ძმა გულმოსულად უსმენდა, რამდენიმეჯერ შეაჩერა ბეჟანი, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა მოყოლას. „უმცროსი მოუტრი-
აღდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად“ მაგრამ ბეჟანმა მაინც განაგრძო მოყოლა. ისინი ორი დღის უჭმელები არიან და არ იციან რა უნდა ქნან „ამ უცხო ქვეყანაში?“

ამის გაგონებაზე მოხუცმა მეურმე პეტრემ ეს ახალგაზრდები შეიცოდა და უთხრა:

– „ვაი შენს გამჩენს!... უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სა-
თათრეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ,
ღვინოსაც დაგალევენებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევენებთ. ვაი ავ-კაცს, რომ
თქვენი ცოდვა აუღია, თორემ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქა-
რიც არ მოგადინოთ.“ (1, ტ.2, გვ.227).

აქ ილია წყვეტს თხრობას და გადმოგვცემს უმცროსი ძმის მდგომარეობას. პეტრეს მიერ ასეთ გულკეთილ, ადამიანურ, გულთბილ დამოკიდებულებას მათ მიმართ, უმცროსი ძმა არ მოელოდა და ეტყობოდა, რომ მისთვის ეს უცხო იყო.

„უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ მისი სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდაო და უკვირ-
სო.“ (1, ტ.2, გვ.227).

პეტრემ ამოალაგა ხურჯინიდან შოთის პურები, ღვინოც ჩამოუსხა. მერე, „დაისო ორნივე თავის ურემზედ“ და გაემგზავრნენ ქალაქისაკენ. იმავე დღეს დაღამებისას, როდესაც მეურმეები ქალაქს მიუახლოვდნენ გამოუშვეს ურმები და მოემზადნენ ღამის გასათევად. პეტრემ შეწვა მწვადები „თავის პატარა სტუმრებისათვის და როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა“. დადლილმა მეურმეებ-
მა დაიძინეს. პეტრემ გაუშალა ნაბადი ახალგაზრდებს და უთხრა:

– „თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთ. ყმაწვილები დაწვენენ, პეტრეც შორი-ახლო მიეგლო და მკვდარსავით დეძინა.“ (1, ტ.2, გვ.228).

მეორე დღეს, დილას, როცა პეტრემ გამოიღვიძა ნახა, რომ ახალგაზრდები აღარ იყვნენ, გაპარულან, თანაც მისთვის ორივე ჯიბე მოეჭრათ და ფულიც წაეღოთ. გულდაწყვეტილ პეტრეს ჩაეცინა:

„აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამჭურდეს ეს დროული კაცი! – სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ. – ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე. აი, დაღახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ესლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავლო..... ჰაი, ტა, ტა, ტა... დაბერდი, დავჩაჩანაკდი.“ (1, ტ.2, გვ.228).

პეტრეს ფულის დაკარგვა ისე არ აწუხებდა, როგორც:

„სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამჭურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა!.. ჯიბე მომჭრეს, ჯიბე ვაი შენ, ჩემო თავო!

– ბევრი წაიღეს? – ჰკითხა ვილაცამ.

– სამი და ათი შაური, – მიუგო პეტრემ, – აქ შვილო, სავალალო ეგ კი არ არი, მაგას ვინა სჩივის. ეს სირცხვილი როგორა ვჭამო, როგორ! უსუსურმა ბავშვმა გამჭურდა. ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ. ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს!.. არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულია. ფუ, ეშმაკს! მერე ვინა? ჯერ ტუჩებზედ დედის რძე არა ჰქონდათ შემშრალი... ეს დროული კაცი.“ (1, ტ.2, გვ.228).

ილია ქართველ გლეხს, მეურმე პეტრეს, საინტერესო პიროვნებად გვინახტავს. მიუხედავად იმისა, რომ იგი გაძარცვეს, მისი მამობრივი ზრუნვა და კეთილი მოპყრობა ამ ყმაწვილებმა წყალში ჩაუყარეს და არაფრად ჩაადგეს, გაბრაზების მაგივრად, ის მაინც გულდაწყვეტილი ამბობს:

„ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც.

გაიქნია თავი ისეთის ღიმილით, თითქო ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს, მაგრამ გულში კი მართლაც სცხვენოდა“. (1, ტ.2, გვ.229).

გავიდა ოთხი წელი. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და პეტრემაც ეს ამბავი დაივიწყა.

გაზაფხული იყო. პეტრე უფრო დაბერებული ქალაქში მიდიოდა თავმოწონებით, ვინაიდან ურმის ქარავანს მისი შვილი მიუძღოდა და „გზის მამალი“

მისი შვილის ურემზედ ივღა. ილია ჭავჭავაძე „გზის მამალს“ შემდეგნაირად განმარტავს:

„ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთ ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყვილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების სათი გზაზედ – მამალია. უფრო სშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უხის ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა – ურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას.“ (1, ტ.2, გვ.229).

ქალაქში ჩასულ მეურმეებს შეაგვიანდათ უკან წამოსვლა და გადაწყვიტეს ქალაქიდან საღამოს გასულიყვნენ. ვინაიდან პეტრეს დრო ჰქონდა, გადაწყვიტა ავლაბრის მოედანზედ გასულიყო, „გავალ, ქვეყანაა, შევიტყობ რასმესო.“ მოედანზე, როგორც ყოველთვის ხალხი ირეოდა. აქ შეიტყო, „რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო. პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწვივა იქით“. (1, ტ.2, გვ.230).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მოთხრობის მთავარი მოქმედება აქედან იწყება. აქედან იპყრობს მწერალი მკითხველის ყურადღებას და თანდათან შეკყავს იმ მდგომარეობაში, როდესაც ხდება პეტრესა და ძმების შეხვედრა და დაპირისპირება.

მახათას მთაზე, როდესაც პეტრე მივიდა, სახრჩობელა უკვე გამართული იყო და გარშემო სალდათებიც იდგა. პეტრემ, როდესაც დაინახა ამდენი ხალხი და მათ შორის ქალები, გაკვირვებული დარჩა:

„ვთქვათ, კაცები ჩემსავით თამაშად მოსულანო, ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო, ეგრე თავი მოუყრიათ! რა მაგათი საქმეაო.“ (1, ტ.2, გვ.230).

მერე იფიქრა გულუბრყვილო პეტრემ, „რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო“. მას ვერ წარმოედგინა, თუ კაცის ჩამოხრჩობა შეიძლებოდა და თავის გულში ამბობდა:

„მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკილო;

რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია, კიდეც იმიტომ ამოდენა მანდილოსანს თავი აქ მოუყრია. დედაკაცის თვალი მსუნაგია თვალთმაქცობაზედ.“ (1, ტ.2, გვ.230).

მწერალი გადმოგვცემს პეტრეს შინაგან განცდებს და ამავე დროს, მისი სიტყვებით, თვით ადამიანის ბუნებას:

„ღვთის წინაშე კი, იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნება არც წამოვსულიყავ, აი! ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს.

ბევრს რაღაცაებს მოსთქვამდა გულში ჩვენი უსაქმო პეტრე, სრულად დარწმუნებული, რომ აქ თვალთმაქცობა რამ იქნება, თორემ დედაკაცებს აქ ან რა ხელი აქვთო, ან ვინ მოუშვებდაო.“ (1, ტ.2, გვ.231).

ამ ფიქრებში იყო გართული პეტრე, რომ ვიღაცამ დაიძახა: „მოჰყავთ, მოჰყავთ“ და პეტრემ დაინახა, რომ სალდათებს ვიღაც რუსულ ფარაჯაში გახვეული კაცი მოჰყავდათ. პეტრეს მაინც არ სჯეროდა, რასაც ხედავდა და თავის თავს აფრთხილებდა:

– „ჰა, პეტრე!... ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუვდაო.“ (1, ტ.2, გვ.231).

პეტრემ გამოიცვალა ადგილი, რომ უფრო ახლოს ენახა თუ რა ხდებოდა. სალდათებმა გვერდზედ ჩამოუარეს და მან თვალი მოჰკრა ამ ბიჭს. მისი სახე ეცნო, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, თუ სად ნახა ეს ახალგაზრდა. მას მაინც არ სჯეროდა და ეგონა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა ერთი ამბავი ატეხეს და მოსთქვამდნენ ამ ახალგაზრდას ჩამოხრჩობას.

პეტრე თავის გულში ამბობდა:

– „ჩემზედ მოიცალა ამოდენა ხალხმა, თუ რა ამბავია ჩემს თავს. ესე მალე როგორ შეკრა ყველამ პირობა!.. ახა ღმერთო ჩემო! კარგია, არა ვკითხე. აბა, კიჟინას დამცემდნენ, აი! ჰა, პეტრე, გაფრთხილდი, არ გაგაბრიყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი. აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან: დასწყელოს ღმერთმა, ყველამ ჩემზედ არ მოიცალა!“ (1, ტ.2, გვ.233).

მწერალი, როგორც ვხედავთ, გვისხსიათებს ამ გლეხის, მოხუცი მეურმის, პეტრეს შინაგან გულის ჭიდილს, – ეჭვსა და თვითდაჯერებას, ამავე დროს მის ხასიათსა და განცდებს. იღია წერს, რომ:

„ამბობდა ამას თავის გულში პეტრე და ეგონა, რომ მართლა-და ეს ხალხი ამისთვის არის მოცლილი, სოფლელია და გავაბრიყვოთო. ამათაც გაექცა და ხელახლად გადინაცვლა ადგილი. ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწვევ ცხენსავით დალოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწვევს.“ (1, ტ.2, გვ.233).

ამასობაში ის ახალგაზრდა დააყენეს სახრჩობელის ქვეშ, ერთ მხარეს მღვდელი დადგა, მეორე მხარეს – ჩინოვნიკი, უკან კი წითელ პერანგა ჯვალათი.

პეტრეს მინც არ სჯერა რასაც ხედავს. მას ჯალათი, „თავი-და-თავი ჯამ-ბაზი“ ჰკონია, მღვდელი, – ვიღაც ტერტერა, „თორემ მართალი მღვდელი ამას რად იკადრებდა.“ ხოლო როდესაც ჩინოვნიკმა რაღაც ქალაღი წაიკითხა, მან იფიქრა: „ეს თილისმის ლოცვა იქნებაო“. ამასობაში, ამ ახალგაზრდას ფარაჯა გახადეს, გადააცვეს თეთრი პერანგი, ყულფი ჩამოაცვეს კისერზედ, ჯალათმა გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი.

„ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქმინა, ისე, როგორც ამოიქმენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბელური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფართხალი. დიდ-ხანს იქნია საწყალმა ფეხები..“ (1, ტ.2, გვ.234).

პეტრე უყურებდა ამ ამბავს და მინც არ სჯეროდა:

– „ღილაძი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მინც არ დაგიჯერებ, – ამბობდა თავისთავად პეტრე.“ (1, ტ.2, გვ.234).

იღია, ხალხის შესახებ აღნიშნავს, რომ:

„ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდევ. დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა ნახა.“ (1, ტ.2, გვ.234).

პეტრე, გაოცებულ, გაკვირვებულ და გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. მან ვერაფრიდ ვერ დაიჯერა, რომ ასე უბრალოდ კაცის ჩამოხრჩობა შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ ხალხი, „ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვეები ხომ არ არიან, ოჯახ-დაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთის-კერძო ადამიანი, კატა ხომ არ არი. მაგრამ ე დედაკაცობას რომ სულ ერთიანად თავი აქ მოეყარა!..

გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო – რაში ტყუედებოდა: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა..... მინც კი ძალიან უნდოდა შეეტყო მართალი.“ (1, ტ.2, გვ.234).

ამ ფიქრებში გართული პეტრე გაემართა ავლაბრის ბაკებისაკენ. დუქანში შეიარა. იფიქრა დაუნაყრდები და თან დღევანდელ დღის ამბავისას იქნება რაიმე გავიგოვო. მას, ფეხ-და-ფეხ, ნაბადში გახვეული ყმაწვილი შეჰყვა. მოითხოვა საწერ-კალამი და დაიწყო წერა. პეტრეს ეს ახალგაზრდაც ნაცნობად მოეჩვენა. იჯდა, უყურებდა, მაგრამ ვერ გაიხსენა, თუ სად ენახა.

სალამო ხანს გამოვიდა ღუქნიდან და ბაკებისაკენ გაემართა. მალე, ის ბიჭი წამოეწია.

– „აჰა, ჩამომართვი ეს წიგნი, – უთხრა ყმაწვილმა ბიჭმა და მიაჩენა ხელში ქალღი, – თუ შენ კითხვა არ იცი, წააკითხე ვისმე და ყური კარგად დაუგდე. დღევანდელს ამბავს ამ წიგნიდამ შეიტყობ.“ (1, ტ.2, გვ.236) და სწრაფად გაეცალა, სახელიც არ უთხრა.

გაოცებულ პეტრეს მოაგონდა, სწორედ ეს ბიჭი გვერდით ედგა საითაც არ წავიდოდა. ვინაიდან კითხვა არ იცოდა, სწრაფად გასწია ბაკებისაკენ, რათა შვილს წაეკითხა. მისვლისთანავე, აღელვებულმა პეტრემ შვილს გადასცა წერილი წასაკითხად. წერილის გახსნისთანავე იქიდან „ასიგნაციები“ გადმოცვივდა. მამა და შვილი გაოცდნენ. პეტრემ არ დაანება შვილს ფულის დათვლა, „გაუწყრა და ტუქსვით უთხრა მოთმინება-დაკარგულმა:

– „რა დროს ეგ არის! ერთი წაიკითხე-მეთქი, რა სწერია. ლამის გული ბუდიდამ ამომივარდეს, ვეღარ მომიტმენია.“ (1, ტ.2, გვ.238).

შვილმა დაიწყო კითხვა.

„დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩეს, ჩემი ძმა იყო“...

– რაო? – გააწყვეტინა კითხვა ზარდაცემულმა პეტრემ და ელდისაგან გაფითრდა. – ჩამოარჩესო!.. მაშ მართალი იყო ის ამბავი!.. მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდა მერე!.. წაიკითხე, წაიკითხე, ნეტა არ მენახა.“ იქვე.

გაკვირვებულმა შვილმა განაგრძო კითხვა. პეტრემ შეიტყო, რომ ძმები ღარიბი აზნაურის შვილები ყოფილან. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედა მალე გათხოვილა და შეურთავს ვიღაც აზნაურიშვილს, რომელიც ქალაქში მსახურობდა. მამინაცვალს ძმებისთვის ყველაფერი წაურთმევია, დედულ-მამულიც გაუყიდნია და ძმები ცარიელზე დაუტოვებია. თვითონ ისინი ქალაქში ცხოვრობდნენ, ხოლო, ძმები კი მშვიერ-მწყურვალნი, უპატრონოდ სოფლის ორლობებში დაეხეტებოდნენ. როდესაც კი მოვიდოდნენ ტყავს აძრობდნენ. ყველანი მამინაცვლიდან დაწყებულნი მათ სცემდა და თავში უტყაპუნებდა. მართალია, „ბევრს უცნოს“ ეცოდებოდათ, „მაგრამ შველა კი არსად იყო“. როდესაც წამოიზარდნენ, მამინაცვალს მიუბარებია „სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ“, სადაც „რუსულის ლანძღვითა და თრევით“ და ცემა-ტყეპით ამოართვეს სული. ბოლოს, ძმებმა, ვეღარ აიტანეს ამდენი ტანჯვა და გამოიქცნენ. შეუვლიათ თავიანთ სოფელში, მაგრამ სახლიდან გამოყარეს, ღამეც არ გაათევინეს. ასე დარჩნენ „ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედაძიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უთვისტომოდ“. არავის შესტკიოდა მათზე გული. ისინი ყველასთვის უცხონი აღმოჩნდნენ.

„გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი“, გამოსწიეს ქა-
ლაქისაკენ.

უმცროსი ძმა წერდა წერილში:

„გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსას, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ზედავდა – რომ თვალნათლივ გეპარცავდნენ, არავინ ზმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიღო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვპარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადავუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ ღაუჯდებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბ-
რუნდება.“ (1, ტ.2, გვ.239).

პეტრესთან შეხვედრას გულთბილად იხსენებდა. იგი წერდა, რომ მისმა გულკეთილობამ, მამობრივმა ზრუნვამ და მისმა ადამიანურმა დამოკიდებუ-
ლებამ, რომელიც გამოიჩინა ამ უცხო კაცმა მათ მიმართ, „კინაღამ მაღლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომიხადირა“. იმ დღეს, როდესაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, უფროსმა ძმამ, ბეჟანმა, ბევრი ტყუილი ილაპარაკა, მაგრამ მან ვერაფერი გააწყო, რომ შეეჩე-
რებინა. „ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამტეცვაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-
ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალთ ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. – და ასეთი ცხოვრებისგან გაბოროტებული უმცროსი ძმა, განაგრძობს, – განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქეიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიღვა!“ (1, ტ.2, გვ.239).

პეტრეს გამარცვის შესახებ, იგი წერდა:

„როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამე-
თანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალყზედ შემიდგა. მაგრამ ზმა არ გავე, არ ღაუ-
შალე. გაწყდეს, საცა წვრილია-მეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი.“ (1, ტ.2, გვ.240).

ამის შემდეგ, ორივემ მიაშურეს ქალაქს, სადაც „ცოდვაც და მაღლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს.“ (1, ტ.2, გვ.240). ქალაქში მარცვით ირჩენდნენ თავს. ორი წლის წინ, ძმები მოხვდნენ მამინაცვლის სახ-

ლში. დედა შინ არ ყოფილა. შეცვივდნენ სახლში და მამინაცვალი შემოაკვდათ. უნდოდათ აეკლათ იქაურობა, მაგრამ პოლიციამ მოუსწროთ. თვითონ მოასწრო გაქცევა, მაგრამ ბეჟანი დაიჭირეს და „ბოლო ზომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-ყოფელი კატიის კნუტსავით ჩამომიძრეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი.“ (1, ტ.2, გვ.240).

გარშემო მყოფი საზოგადოების მიერ ასე დაჩაგრული, მიტოვებული, გამწარებული და გაბოროტებული უმცროსი ძმა საქვეყნოდ აცხადებს:

– „არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩაგტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი.... მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, – არ ვიცი.“ (1, ტ.2, გვ.240).

როგორც ვხედავთ, მას, მის მიერ არჩეული გზა მიაჩნია სწორად, თუმცა სინამდვილეში, მართალი არის თუ არა, თვითონაც არ იცის. იგი ილაშქრებს მთელი საზოგადოების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი გრძნობს მის საბოლოო დასასრულს და პეტრეს წერს:

„თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.“ (1, ტ.2, გვ.241).

თვით პეტრეს მიმართ, იგი კარგად არის განწყობილი. რადგან ამ საზოგადოებაში, ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც მათ მიმართ სიკეთე გამოიჩინა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგან პეტრეც ამ საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, რომელმაც ძმები ამ მდგომარეობამდე მიიყვანა და ამაში დამნაშავეა საზოგადოების თვითიველი წევრი, ამიტომაც, უმცროსი ძმის წერილში, ასე მწარედ ისმის პეტრეს მიმართ გამოთქმული სიტყვები:

„განა შენ კი ამხანავი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“ (1, ტ.2, გვ.241).

ამ ბრალდება, პეტრეს ცივმა ოფლმა დაასხა. აცანცახებულმა და შეშინებულმა პეტრემ თრთოლვით წამოიძახა:

– „მე რა შუაში ვარო!“

ასე ამთავრებს ილია ჭავჭავაძე ამ მოთხრობას და ბოლოს, თვითონაც გვეკითხება, რომ მკითხველი თვითონ დაუფიქრდეს, გაარკვიოს და თავისი დასკვნა გააკეთოს:

„მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“ (1, ტ.2, გვ.241). ამ მოთხრობის შესახებ ვ. ჯიბლაძე წერს:

„ის, ვინც ნამდვილად ჩასწვდა ილიას მშვენიერ მოთხრობას, ვინც სწორად გაიგო ნაწარმოების ღრმა სოციალური აზრი, არ მორიდებია ეთქვა, რომ „სარჩობელაზედ“ ერთი ბრწყინვალე მხატვრული ძეგლია ილიას პროზაში, რომელიც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებდა მკითხველს. ამიტომ გადაჭარბებული არ უნდა იყოს, თუ ასე მოვიქცევით: მოთხრობას მივიჩნევთ, როგორც სოციალური უსამართლობის მამხილებელ მხატვრულ ნაწარმოებს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველს საზოგადოებრივ ბოროტებათა წინაშე თვალი აუხილოს, მის გაბზარულ სარკეში ჩაახედოს და გზა უჩვენოს სიმართლის. ეს იქნება სამშობლოს ისეთივე სამსახური, როგორც პატრიოტული თავდადება.“ (12, ნაწ. II, გვ.174).

II. 3. 2. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი.

ილია ჭავჭავაძეს ისტორიულ თემაზე დიდი პროზაული ნაწარმოები (მოთხრობა, რომანი) არ აქვს დაწერილი. ამ თემას იგი იყენებდა პოეზიაში, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში, საჯარო გამოსვლებში და სიტყვებში.

ილიას ნარკვევების, წერილების და მისი ნაშრომების განხილვისას (იხ. ილია ჭავჭავაძე, წიგნი I. ა. ფ.), ცხადად დავინახეთ, რომ იგი შესანიშნავად იცნობდა მის დროინდელ, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ისტორიას.

ილიას, ისტორიულ თემაზე აქვს დაწერილი მცირე მოცულობის მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და ოთხი მოკლე მომხდარი ამბავი, „ამბავად გაგონილნი“.

„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ ილიამ დაწერა 1880 წელს. გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“ საახალწლო ნომერში, 1890 წელს.

ამ მოთხრობას მწერალი უწოდებს „საახალწლო მოთხრობას“.

ილია აღწერს ოჯახში, საახალწლო წინაღამის მომზადებას და ბავშვების ცელქობას. ბავშვებისათვის „იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაკენ მიგვიბრუნდა, ხვალეს ველოდით, ხვალე გვანსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარეთ რა გვიბნოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დაფუფუსუხებდით: იქ იყო, რაც იყო... სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არ ჰქონდა. ჩვენც

ვიცილით, რომ ღელა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ მოვიცხოთო სალოკავად.“ (1, ტ.2, გვ.242).

ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა და მხოლოდ მოგონება დარჩა. მწერალი, გულის ტკივილით აღნიშნავს იმ დროს:

„წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკენესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გაცვლის ხოლმე. ტკბილია კენესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კენესა ნიავესავით აგრილებს გულის-წევასა და ცრემლი ჰნაბავს გადამჰკენარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატკობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა.“ (1, ტ.2, გვ.243).

ერთ-ერთი ახალი წლის ღამეს, დაძინების წინ მამამ, რომელმაც კარგად იცოდა ზღაპრების მოყვლა, მოუყვა ბავშვებს ერთი ამბავი საქართველოს ისტორიიდან და სწორედ ეს მოყოლილი ამბავი გამოიყენა ილიამ ამ მოთხრობისათვის.

„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ ეხება იმ დროს, როდესაც ქართლის ტახტზე (1676–1688, 1703–1709) იჯდა მეფედ გიორგი XI (შაჰ ნავაზ II–ხანი. გ.1709). გიორგი XI ქართლის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და ამის გამო გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა ირანთან.

ილიას ამ მოთხრობაში აღწერილი აქვს ერთ-ერთი ბრძოლა ირანსა და ქართლს შორის. იმ დროს, ირანის ტახტზე (1694–1729) იჯდა სულთან ჰუსეინ I (გ.1729). შაჰმა, საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნა დიდი ჯარი. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც სამტროდ გამართული ჯარი დაეწყო ერთ მხარეს ყიზილბაშები, ხოლო მეორე მხარეს ქართველები, ყიზილბაშებიდან გამოვარდა ერთი მებრძოლი და „გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ომშიო. ეწყინა ქართველ ყმაწვილობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა.“ ჩვენს მხრიდანაც გამოეყო ერთი ახალგაზრდა. „ჰკრა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგლო ყიზილბაშს.“ მაგრამ ყიზილბაშმა „აბეგრა გულის-ფიცარში შუბი და საბრალო ვაჟკაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზედ.“ ამის შემდეგ გავიდნენ კიდევ სხვები, მაგრამ ყველას იგივე დაემართა. „ველარავინ ჰბედავდა გავლას. ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზედ ცხენს, თითქო ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუნშიაც არ მოსდისო.“ (1, ტ.2, გვ.246). შეწუხდნენ ქართველები და აღარ იცოდნენ რა ექნათ. ამ დროს:

– „ნიკოლოზ სად არის, ნიკოლოზი! – დაიძახეს ქართველებმა: – ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლენაქი თავზე დაგვსუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო.“ (1, ტ.2, გვ.246).

ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი ამ დროს გაცხარებულ ომში იბრძოდა და როდესაც გაიგონა მისი სახელი, გამოვიდა ომიდან და გასისხლიანებულ ხმაღს ჩოხის კალთით იწმენდა. როდესაც უამბეს თუ რა მოხდა, ჯერ იუარა, რადგან „მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.“ შევედრნენ ჩვენები: – „ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ. იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ.“ და ისიც დათანხმდა.

ილია, შემდეგნაირად აღწერს ამ ორი ვაჟკაცის შერკინებას:

„გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდ კამარა შეჰკრა, ისკუბა და თვალის დახამხამების უმაღ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცილია. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების კიჟინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევედა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდან ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

– ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

– მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, – უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა.“ (1, ტ.2, გვ.246).

როგორც ვხედავთ, ეს ორი ვაჟკაცი ერთმანეთის ღირსეული მოწინააღმდეგენი არიან. აქ ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს გოსტაშაბიშვილის სულგრძელობას, მტრის ღირსების შენარჩუნებას. იგი მტერს ცოცხალს უშვებს და არ არცხვენს. ყიზილბაშიც ღირსებით იღებს გამარჯვებული ქართველისაგან მისთვის სიცოცხლის ჩუქებას.

გ. ჯიბლაძე ამ ნაწარმოების შესახებ აღნიშნავს:

„ეს სრულიად მოულოდნელი ფინალი მილიანად ამჟღავნებს ილიას მშვენიერი პატრიოტული მოთხოვნის ძირითად სენტენციასა და მორალს. ნაწარმოების მიზანია მკითხველში გააძლიეროს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, წარსულის ერთი გმირული შტრინის მხატვრული წარმოსახვით უჩვენოს ვაჟკაცობის სიდიადე, სულგრძელობა, მაღალი სული, აღზარდოს გამბედაობა ქართველ კაცში და შთააგონოს მამულისათვის თავგანწირვის იდეა.“ (12, ნაწ. II, გვ.178).

II. 3. 3. ამბავად გაგონილნი.

1887 წელს ილიამ დაწერა მცირე ზომის ნაწარმოები რომელსაც უწოდა „ამბავად გაგონილნი“. პირველად დაიბეჭდა მისივე თხზულებათა კრებულში, ტ.1, 1892 წ. მასში გაერთიანებული არის 4 მცირე ლიტერატურული ნაწარმოები. პირველი ორი – გადმოგვცემს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის (1720–1798), დროს მომხდარ ამბავს, ხოლო, მესამე და მეოთხე – გიორგი XII-ის (1746–1800)წწ. (რომელსაც ხშირად ლიტერატურაში გიორგი XIII უწოდებენ), დროს მომხდარ ამბავს.

ჩვენ, ამ ლიტერატურულ ქმნილებებს არ განვიხილავთ, ვინაიდან ეს იქნება ამ გამოთქმების ხელახლა განმეორება.

ჩვენ მოვიყვანთ, ამ ნაწარმოების შესახებ გ. ჯიბლაძის სიტყვებს:

„ამ მოთხრობებში ვაჟკაცობა ან გმირობა კი არ არის აღწერილი, ერის ერთ-ერთი მთავარი თვისებათაგანი – გონებამახვილობა, მოსწრებული სიტყვა, მოხერხებულობაა წარმოსახული. ამ თვისებას ილია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა.“ (12, ნაწ. II გვ.178).

„ოთხივე ეპიზოდი, რომლებიც ილიას ერთი სათაურის ქვეშ – „ამბავად გაგონილნი“ – გაუერთიანებია, მკითხველს ჰგვრის პასეისტურ განწყობილებას, მაგრამ ეს პასეიზმი სრულიად ჯანსაღია, ვინაიდან პოზიტიურისაკენ გვიბიძგებს და მარტოოდენ წარსულის გაიდევლებით არ არის ნაკარნახევი.“ (12, ნაწ. II, გვ.180).

II. 3. 4. ოთარაანთ ქვრივი.

1887 წელს ილია ჭავჭავაძემ შექმნა ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უიშვიათესი ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც დაიბეჭდა 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“.

ეს არის ილიას მიერ დაწერილი ბოლო სრულქმნილი მხატვრული დიდი მოთხრობა, სადაც ასახულია იმდროინდელი მტკივნეული სოციალური საკითხები – გლეხისა და თავადის ურთიერთობა.

ამ დიდებულ მოთხრობას, „ოთარაანთ ქვრივს“, ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეებმა, მწერლებმა, კრიტიკოსებმა და მეცნიერებმა მიუძღვნეს არაერთი წერილი და განხილვა.

„ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ პ. ინგოროყვა წერს:

„უკანასკნელი დიდი ნაწარმოები, რომელიც ამ პერიოდში ილიამ შექმნა მხატვრული მწერლობის დარგში, ეს არის „ოთარაანთ ქვრივი“.

ილიამ ამ უკვდავ ნაწარმოებში, – ოთარაანთ ქვრივის პორტრეტში დახატა ზოგადი მნიშვნელობის ქართული ნაციონალური სახე, ქართული ნაციონალური ტიპი.

ილიას თავის შემოქმედებაში არაერთგზის დაუხატავს სახე ქართველი დედისა... ხოლო ამ თავის უკანასკნელს მხატვრულ ნაწარმოებში ილიამ განასახიერა ეს უკვდავი სახე ქართველი დედისა გლეხი ქალის – ოთარაანთ ქვრივის – მონუმენტურ პორტრეტში.

ოთარაანთ ქვრივი წარმოადგენს ბრძოლაში გააკაყებული ქართველი ხალხის სახეს. ოთარაანთ ქვრივი არის შვილი ხალხისა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიმუშავა შეუდრეკელი სული, – თავდადებული დამცველი თავის „განძისა“ და „ანდერძისა“.

აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივის“ უბრწყინვალესი მხატვრული ფორმა, მისი ენა. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიაც ახალმა ქართულმა ენამ პოვა თავისი სრულყოფილი გამოსახულება.“ (7, ტ.1, გვ.468).

მეორე ადგილას, პ. ინგოროყვა „ოთარაანთ ქვრივს“ შემდეგნაირად ახასიათებს:

„ოთარაანთ ქვრივი“, – ეს უბრწყინვალესი შედევი მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული პროზისა, უკანასკნელი დიდი მხატვრული ტილო იყო, რომელიც შექმნა ილიამ თავისი ცხოვრების სამხარზე....

ილიას თანამედროვეებს არა ერთგვის აღუნიშნავთ, რომ ილიამ „ოთარაანთ ქერივის“ პორტრეტში წარმოგვიდგინა ანარეკლი თავისი პიროვნებისა....

თანამედროვენი, როგორც ჩანს, არა სცდებოდნენ, როდესაც ისინი ოთარაანთ ქერივში ილიას ორეულს ნახულობდნენ.

მაგრამ ამავე დროს, რასაკვირველია, არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ „ოთარაანთ ქერივი“ მოცემულია არა მხოლოდ გენიოსი ადამიანის ავტობიოგრაფიული, არამედ პირველ რიგში აქ ზოგადი მნიშვნელობის ნაციონალური ტიპია ასახული.“ (1, ტ.2, გვ.598).

გ. ჯიბლაძე ასე ახასიათებს ამ ნაწარმოებს:

„ოთარაანთ ქერივს“, ქართული მხატვრული პროზის შედეგს, ობოლ მარგალიტს უწოდებენ და ამ ეპითეტს იგი ნამდვილად იმსახურებს. ეს ნაწარმოები.... სრულიად იშვიათი, სრულიად ორიგინალური მოვლენაა ქართულ ლიტერატურის ისტორიაში.“ (12, ნაწ. II, გვ.180).

„ოთარაანთ ქერივი“ ასახული მოვლენები შეესატყვისება იმ დროს, როდესაც იწერებოდა ეს მოთხრობა და ის საკითხები, რომელიც დასმული არის ამ ნაწარმოებში ამჟამად გამოხატავს იმ რთულ მდგომარეობას, რომელიც იმ დროს საქართველოს დღის წესრიგში იდგა.

ამ მოთხრობაში დასმული საკითხები, რომ გავიგოთ და საერთოდ ამ ნაწარმოების სიძლიერე რომ შევიგრძნოთ, რა თქმა უნდა მკითხველმა „ოთარაანთ ქერივი“ დაკვირვებით უნდა წაიკითხოს და უნდა იცოდეს ის მოვლენები რაც ხდებოდა იმ დროს საქართველოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიულად დატანჯული საქართველო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იძულებული იყო თავი დაეცვა გარშემო მყოფი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებისაგან, სხვადასხვა ვითარებისა და პირობების გამო, ჩრდილოეთის მხრიდან შემოჭრილმა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიამ 1801 წელს შეიერთა და აქ კოლონიური მმართველობა დაამყარა. ქართველი ხალხი განაგრძობდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამავე დროს, ისე როგორც თვით რუსეთში საქართველოშიც მშრომელი ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, იბრძოდა მემამულეების წინააღმდეგ, მიწისა და თავისუფლებისათვის. საქართველოშიც დღის წესრიგში დადგა საკითხი ბატონყმობის გაუქმების შესახებ. როდესაც რუსეთში ამ სოციალური უთანხმოების გამო, მეფის მთავრობამ გააუქმა ბატონყმობა, რუსეთის ხელისუფლებამ საგლეხო რეფორმა საქართველოში (1864–71) წლებში გაატარა. მართალია, რეფორმის შედეგად გლეხი იურიდიულად მებატონისაგან განთავისუფლდა, მაგრამ ის

უმიწოდ და უსახსროდ დარჩა. ისიც კი აღარ შერჩა, რაც მას ადრე მცირე მიწის ნაკვეთი ჰქონდა. ამიტომ გლეხი იძულებული იყო ისევ მებატონეს დაბრუნებოდა ან ქალაქში სამუშაო მოეძებნა. ასე, რომ გლეხობა ეკონომიურად უარეს დღეში აღმოჩნდა. ამავე დროს ბატონყმობის გაუქმებამ, როგორც სახელმწიფოებრივი იურიდიული ინსტიტუტის მოსპობამ, საქართველოშიც მანც ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა იქონია ჩვენი საზოგადოებრივი სოციალური და ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში.

ბატონყმობის მოსპობამ გააუქმა ერთი პიროვნების მიერ მეორის ჩაგვრა. გლეხი განთავისუფლდა მებატონისაგან, მან მიიღო თავისუფლება, – თავისუფალი ადამიანის უფლებები.

XIX საუკუნეში საქართველოში სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება შეიცვალა, დაიწყო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება. აგრეთვე დაიწყო კიდევ მეტად ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარება.

მაღალი წრის საზოგადოება, თავად-აზნაურობა, მემამულეები, უკვე ძირითადად განათლებულები იყვნენ. თუმცა, ს. ხუციშვილის თქმით, ისინი ცხოვრებას, „ქვეყანას და ხალხთან დამოკიდებულებას წიგნის თვალთ და წინასწარ შემუშავებული თეორიებით უცქერენ, ხალხის ცხოვრებისა არა იციან, ხალხის ცხოვრებას არ იცნობენ.“ (16, გვ.38).

მართალია ბატონყმობა გაუქმდა, ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ წოდებათა შორის, თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის ურთიერთობა უფრო მეტად გაღრმავდა. ცხოვრების სარბიელზე მდგომი ეს ორი წოდება ცალ-ცალკე დარჩა, მათს შორის ხიდი ჩატეხილი აღმოჩნდა. ერთ მხარეს, გაღმა მხარეს, გლეხები, ესლა განთავისუფლებულნი, აღმოჩნდნენ; და მეორე მხარეს – თავად-აზნაურობა, რომელიც ადრე ბატონობდა და ამჯერადაც ძალაუფლება ისევ მათ ხელში აღმოჩნდა. ასე რომ ბატონყმობის გაუქმებამ, ამ ორი სოციალური კლასის ურთიერთობა უფრო დაძაბა და გაუარესა.

საქართველოს ამ ვითარებას მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავისი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.

ნაწარმოების მთავარი მომქმედი პირები, სხვადასხვა სოციალურ პირებს განეკუთვნებიან: ერთის მხრივ, – გლეხები, ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი, მეორეს მხრივ – თავადები, არჩილი და მისი და კესო. ამ ორ სხვადასხვა მხარეს მდგარ წევრებს, ერთმანეთის გაგება უჭირთ. მათ შორის დამოკიდებულებას მარტო „ბრტყელი ენა“ და „მწიგნობრობა“ ვერაფერს შევლის.

ამ მოთხრობის მთავარი მომქმედი პირი, ოთარაანთ ქვრივი, განასახიერებს ქართველ ქალს და დედას. ილიას მიერ აღწერილი ეს ქალი სულით გაუტეხელი, მტკიცე ნებისყოფის, გამრჯე, სიმართლის მოქმელი, პირდაპირი, სასტიკია და ამავე დროს მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა გამოხატავს სიბრძნეს. იგი სხვას თავს არავის დააჩაგვრინებს. სხვისას არაფერს აიღებს, მაგრამ თვითონ სხვას არას შუარჩენს.

ავტორის თქმით, სოფელში, „ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი. სოფლის გზირისათვის, რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად.

ნაცვალი, თუ იასაული, – რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, – ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ, და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა.“ (1, ტ.2, გვ.251).

გზირს ერთი ქათამი წაურთმევია მისთვის და მან ისეთი „ვაი-ვაგლახი დააწია, რომ, ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო, თუმცა თითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

– ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, – ეს რაღა ჰღირს! ტყუილ-ებრალოდ რომ არ დაგჩაგვრინე, დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო.“ (1, ტ.2, გვ.251).

ამის შემდეგ ყველა მას ერიდებოდა, ეკრძალებოდა და უფრთხოდა. ამავე დროს მწერალი წერს, რომ:

„სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.“ (1, ტ.2, გვ.252).

მთელი დღე შრომობდა, ზარმაცსა და უსაქმურს ვერ იტანდა. თუ ვინმე არ მოეწონებოდა, ან ვინმეს უსაქმოდ დაინახავდა, უსათუოდ გაკიცხავდა, „ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.”

„ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

– ტკბილი სიტყვა რა არისო! – იტყოდა ხოლმე, – ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალითაქცობაა, სხვა არაფერი... თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.“ (1, ტ.2, გვ.253).

მიუხედავად ასეთი მრისხანე შეხედულებისა, იგი გულთ შემბრალებელი, ადამიანური და კეთილი იყო. მათხოვარი, დავრდომილი, თუ ღონე მიხდილი იყო, ყველას შეელოდა, ხელს გაუწვდიდა, დააპურებდა და რაც შეეძლო ეხმარებოდა. თან მწარე სიტყვებსაც მიაყოლებდა.

თავისი სახლ-კარი, ეზო და კარ-მიდამო მუდამ მოვლილი ჰქონდა. ბარსა და თოხსაც არ ერიდებოდა. თვითონ ხნავდა და თვითონვე თესავდა. ზამთარ-ზაფხულ სარჩო-საბადებელი ყოველთვის ჰქონდა.

ქმარიც, გამრჯე, მოამაგე და განთქმული მონადირეც ყოფილა. ქმრის დაკარგვის შემდეგ, ოთარაანთ ქვრივმა „ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მოუმატა, არა დააკლო-რა.“

ოთარაანთ ქვრივი ქართველი დედის განსახიერებაა. იგი დედაა, რომელმაც, ქმრის შემდეგ, თავისი ახალგაზრდობა შესწირა, თავის სათაყვანებელ „პატარა ბუთხუზა ბიჭს“ – გიორგის.

მწერალმა, ამ მოთხრობაში, ცალკე თავი მიუძღვნა დედა და შვილის დამოკიდებულებას.

ოთარაანთ ქვრივი შვილისთვის ლოცულობდა და მას შეჰხაროდა, ის იყო მისთვის ყველაფერი და მისთვის ცოცხლობდა.

„ამათს დედა-შვილობას ბევრი შეჰნატრობდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სინარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა.

ხომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უმაღავდა თავის გულის-ნადებსა. მარტო ეს იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხ-ქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.“ (1, ტ.2, გვ.263).

გიორგიმ იცოდა, რომ დედა თუ საყველურს ეტყოდა ან შემჩნევას მისცემდა, იგი ყოველთვის მართალი იყო, ამიტომაც თვითონაც „მართალი უყვარდა“.

გიორგი წამოიზარდა და დავაჟკაცდა. იგი მოხდენილი და „ბრვე კაცი“ დადგა, „მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული“. მაგის შემხვედარენი, „იტყოდნენ ხოლმე: ერთი დონიჯის შემოყრა-ლა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილი“.

როდესაც გიორგი წამოიზარდა და დავაჟაკაცდა, დედას ერთი სადარდებელი გაუჩნდა. იგი „ოც-და-ერთის წლის ვაჟაკაცი იყო და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ოთარაანთ ქვრივი ამაზედ ძალიან ჰნაღვლობდა და სწუხდა“ (1, ტ.2, გვ.270).

ბოლო დროს დედა ხედავდა, რომ მისი შვილი ნაღვლიანი, გულჩათხრობილი და დაღვრემილი გახდა. თითქოს რაღაც აწუხებდა და თქმისა ერიდებოდა. ოთარაანთ ქვრივი წუხდა შვილის ასეთ მდგომარეობას, ვერ ხვდებოდა გიორგის დარდს და ბოლოს თითქოს მიუხვდა დარდის მიზეზს.

ილიას გადმოცემული აქვს დედის ერთი ღამის ფიქრი. მან მთელი ღამე გაატარა იმის ფიქრში, თუ რატომ იყო გიორგი ასე დადარდიანებული და ბოლოს, თითქოს მიუხვდა დარდის მიზეზს, „დროც ერჩის და ხანიც უწერს“. მაგრამ, ეხლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ „რატომღა არ მეუბნება, ვინ არის?“

– „არ უჭირს და იმიტომ, – ინუგეშა თავი ოთარაანთ ქვრივმა, – როცა გაუჭირდება, მეტყვის.

მოხუჭა თვალი ქვრივმა. არ დაეძინა. გადებრუნდა ხან იქით, ხან აქეთ, ძილი არ მიეკარა.

ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა.

– მართლა კი მიუხვდი?.. მართლა კი მიგკვლიე?.. – ეჭვობდა გიორგის დედა, – იქნება გუმანმა დამიბრიყვა და მატყუებს. რა ვიცი?.. ადამიანის გული თვალთუწვდენი ორმოა. ვინ იცის?.. იქნება მე ერთი მგონია, იქ კი სულ სხვა ამბავია... სხვა რა უნდა იყოს, რა?.. – ჰკითხავდა თავისთავს და გული უკვნილოდა, რომ პასუხი ვერ ეპოვნა.“ (1, ტ.2, გვ.273).

ასეთ ფიქრსა და განსჯაში იყო ოთარაანთ ქვრივი, რომ ბოლოს ჩაეძინა. მზე ჯერ ამოსული არ იყო, რომ ოთარაანთ ქვრივი უკვე ფეხზე ამდგარიყო. მისი ფიქრი ისევ გიორგის გარშემო ტრიალებდა. მას ვერ გაეგო, გიორგის შეჰყვარებოდა ვინმე, თუ რაიმე ცოდვა უნებლიედ ჩაიდინა.

თუ კაცს ერთხელ ფიქრი აეკვიატა, მან ვერ შეძლო მისი დამორჩილება და მისგან თავის დასხნა, მაშინ ის მას დატანჯავს. ფიქრისა და დედა-შვილურ სიყვარულის შესახებ ილია წერს:

„ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზედ მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაუგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალ

მთიდამ, საცა მარტო ჭეშმარიტი დედა-შვილური სიყვარული ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!..

ყოველგვარი სიყვარული, – დედა-შვილურია, თუ სხვა, – მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი, როცა საყვარელის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.“ (1, ტ.2, გვ.276).

როდესაც ოთარაანთ ქვრივმა, დილით, მასზე ადრე ამდგარი გიორგი დანახა ისევ კაკლის ხის ქვეშ მწოლიარე და ფიქრებში წასული, გადაწყვიტა, რომ რაღაც უნდა დაჯდომოდა გაეგო მისი შვილის სადარდებელი. იგი მივიდა, გვერდით მოუჯდა და იწყებს მასთან საუბარს. მწერალი გადმოგვცემს ამ საუბარს და როდესაც დედამ გაიგო, რომ გიორგი უტოდველი იყო, ქვრივს გულზედ მოეშვა, რადგან მას ცოდვა არ ჰქონდა ჩადენილი, მაშინ დარჩა მხოლოდ ერთი, სიყვარული და დედა ეუბნება გიორგის:

– „მა რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შემიბრალებ და მაცოცხლებ!..“ (1, ტ.2, გვ.278).

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ოთარაანთ ქვრივი თავს აბრალებდა მის შვილს. ილიას მხატვრულად და გულში ჩამწვდომად აქვს გადმოცემული დედა-შვილის სიყვარული:

„გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტეხელმა დედამ თავი შეაბრალა. ამას ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხლობას. დედა-შვილური სიყვარული მძლეთა-მძლეა.

შვილმა შეჰხედა დედას. ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში... ოთარაანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა – ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა. რკინის გაღნობას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა.“ (1, ტ.2, გვ.278).

დედის ცრემლმა გიორგი საფიქრებელში ჩააგდო, როგორ უნდა გაემხილა მისი გადაწყვეტილება, არ იცოდა.

– „დედი, – წამოიძახა ბოლოს შვილმა, – გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწადიან. რიდი მქონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ, აი, რამდენი ხანია ვეჭიდები...“ იქვე.

რა უნდა ექნა გორგის? იცოდა, რომ დედას ეწყინებოდა, რადგან, მისთვის წარმოუდგენელი იყო მისი შვილის „ბოგანა-მოჯამაგირება“, მაგრამ თავისი დარდი მაინც ბოლომდე არ გაუმხილა. მხოლოდ ის უთხრა, რომ იმავე სოფელ-

ში მყოფ თავად არჩილთან და მის დასთან, კესოსთან, აპირებდა მოჯამაგირედ დადგომას.

„ოთარაანთ ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქო რაღაც ენიშნაო, რაღაცასაც მიაგნოვო. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა. აღარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისათვის აღარ მოიცალაო.“ (1, ტ.2, გვ.279).

რას წარმოადგენდნენ, არჩილი და კესო? ილია წარმოგვიდგენს მათ, როგორც განათლებულ, წესიერ თავადიშვილებად. რომლებსაც სოფელელები ემადლიერებოდნენ და „კაი ხალხიაო“ სახელით იხსენებდნენ მათ. არჩილი, რუსეთში სწავლის მიღების შემდეგ, ახალი ჩამოსული ყოფილა. დედ-მამა ცოცხალი აღარ დახვედრია და თავის გასათხოვარ დასთან, კესოსთან, ერთად, მშობლების მიერ დანატოვარ მამულში დაუწყია ცხოვრება.

არჩილი და კესო, პატივსცემდნენ ოთარაანთ ქვრივს და როდესაც კი შეხვედებოდნენ, ყოველთვის სიყვარულით და თავაზიანად მოიკითხავდნენ. ოთარაანთ ქვრივიც, „როცა ამათზედ კარგს ვინმე იტყოდა“, ამბობდა:

– „ჭკუა აქვთ და იმიტომაო“.

მწერალი გადმოგვცემს, რომ გიორგიც მოსწონდათ და-ძმას „და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, – გლენკაცობაში საიღამ და როგორ უნდა დაწულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.“

– „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“, – ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუკარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცვნიელს გამოცანას ამით მოულებდნენ ხოლმე ბოლოს.“ (1, ტ.2, გვ.280).

გაკვირვებულნი დარჩნენ არჩილი და კესო, როდესაც გიორგის თხოვნა მოისმინეს:

– „ნუ მიოცებთ კი და თქვენთან ყოფნა მწადიან.... როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯამაგირედ გეახლებით, გნებავთ მუქთად გემსახურებით. ჩემთვის არაფერი ბედენაა.“ (1, ტ.2, გვ.281).

გაოცებული არჩილი ეუბნება გიორგის:

„რას ამბობ, კაცო!.... შენის ოჯახის პატრონი და მოჯამაგირედ დგომა, ვის გაუგონია. ან შენ ვერ გაგივია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობ.“ იქვე.

მით უფრო, გაკვირვებულნი დარჩნენ, არჩილი და კესო, როდესაც გიორგიმ მიზეზად მარტო ყოფნა დაასახელა და ჯამაგირის შესახებ უთხრა:

– „გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.“

და-ძმას, ერთის მხრივ გაეხარდათ ასეთი მოჯამაგირის შოვნით, მაგრამ მეორეს მხრივ, დედამისის რიდი და ხათრი ჰქონდათ, და ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ოთარაანთ ქვრივის თანხმობის გარეშე ისინი გიორგის ვერ მიიღებდნენ.

ეს უცნაური ამბავი, რომ ასეთი ოჯახის შვილი, როგორც გიორგი იყო, აპირებდა და-ძმასთან მოჯამაგირედ დადგომას, მოთხრობის ამ თავს მწერალმა უწოდა „უცნაური ნასკვი“ და ამ „ნასკვის“ ამოხსნის შესახებ, ილია წერს:

„დამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსასწვლად.“ (1, ტ.2, გვ.282).

ორი დღის შემდეგ თვითონ ოთარაანთ ქვრივი ეახლა და-ძმას და მათი საუბრისას ჩანს ქვრივის მოურიდებელი, მკვახე და ამავე დროს სამართლიანი სიტყვები. ეს, მათი საუბარი, ილიას აქვს გადმოცემული ამ მოთხრობის X თავში, რომელსაც მწერალმა უწოდა: „მხილებაა, თუ კადნიერება?“ და მართლაც. მწერალს ისე აქვს გადმოცემული მათი საუბარი, რომ მკითხველმა თვითონ უნდა გააკეთოს დასკვნა: სად არის მხილება და სად არის კადნიერება.

და-ძმამ, ოთარაანთ ქვრივი მორიდებით, გულკეთილად და პატივისცემით მიიღეს. არჩილმა დანახვისთანავე, „ოთარაანთ ქვრივს მორათვა თავისი სკამი და მიიწვია დასაჯდომად“. ყოველ მათ მოკითხვასა, თუ მიწვევაზე, ოთარაანთ ქვრივი უპასუხებს პირდაპირ და მოურიდებლად. იგი ამბობს იმას, რაც გულში აქვს და სიმართლეა. ამიტომაც იგი ეუბნება კესოს:

– „ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა... მიხვევ-მოხვეულს სწორე სჯობია.“ (1, ტ.2, გვ.283).

კესომაც არ დაფარა თავისი აზრი და პირდაპირ უთხრა:

– „მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარ.“

ოთარაანთ ქვრივის პასუხში ისმის ის გაჭირვებაც რაც ამ ქალმა გადაიტანა და ის სიმართლე, რომელიც მას ასე გამწარებით ალაპარაკებს.

– „შენ რომ ჩემი დღენი გამოგველო, ჩემს ტავამი დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფორე ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კულის ქნევი-თაც იტყვის ხოლმე.“ იქვე.

არჩილის მორიდებულ შეკითხვაზე, რომ იგი ტყუილ-უბრალოდ არ მოვი-ლოდა, ოთარაანთ ქვრივი გადასცემს გიორგის თხოვნას, მათთან მოჯამაგირედ დადგომის შესახებ და რომ იგიც თანახმაა. მართალია ეწყინა, სცხვენია, თავი-

ლობს, ვინაიდან კაი ოჯახის შვილია, მაგრამ, „დაშლა აღარ ეგებოდა.... დეე, რაც საქნელია, იქმნას.“ არჩილს ესმის დედის მდგომარეობა და ამიტომ იგი ეუბნება ოთარაანთ ქვრივს, რომ უარს თვითონ ეტყვის. ამაზე, ქვრივის პასუხში მწერალმა ჩააქოვა მთელი დედის სიყვარული და მომავლისადმი ზრუნვა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ მოსწონს შვილის გადაწყვეტილება, იგი მას წინ არ გადაელობება.

– „ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები....“

– სურვილია, იღბალია... ჯერ დაუღლარი მაჭარია და ბუებუეებს. დაუღლარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის.“ (1, ტ.2, გვ.284).

გაოცებულ და გაკვირვებულ კესოს, შეეცოდება დედა, რომ მარტო რჩება და ეკითხება: „ახლა შენ რომ მარტო დარჩები?“ და ილიამ, ოთარაანთ ქვრივის პასუხში, რომელიც მიმართული იყო მაღალი საზოგადოების, თავადების, მიმართ, მოურიდებლად, პირდაპირ, გამოხატა მათი უმოქმედობა და უსაქმურობა.

ქვრივი პასუხს აძლევს:

– „მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბლართები მიზის. ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც.“

– აკი ნათლიდემამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? აკი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მესმის-რა, – სიტყვა არჩილმა და შეხედა დას, თითქო იმას ეკითხებაო.

– მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

– მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, – უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა.

– ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლავა ჰხმარობს, – მითამ და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ხუმრობას!..“ (1, ტ.2, გვ.285).

არჩილი ვერ გაერკვა, ქვრივის მიერ პირდაპირ, მოურიდებლად ნათქვამ სიტყვებში – წინასწარ მოფიქრებული, „წინდანეღული მხილება“ იყო, თუ უნებლიედ, „წინდაუხედავი კადნიერება“ იყო.

ფიქრის შემდეგ, არჩილი „მივიდა, წინ დაუდგა კესოს და ჰკითხა რუსულად:

– როგორ გგონია? წინდანეღული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება?

– შენ მართალი ხარ, – უპასუხა დამ რუსულადვე, – ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია.“ (1, ტ.2, გვ.285). აქ, მწერალი, თითქოს ხაზს უსვამს, და-ძმის დამოკიდებულებას ოთარაანთ ქვრივის მიმართ, იგი ხომ ყოველთვის მოურიდებელი, სიმართლის მთქმელი იყო. პირფერობა მას არ სწამდა. ამიტომაც და-ძმა მას აფასებდნენ და რიდი ჰქონდათ. ხოლო ოთარაანთ ქვრივი კი მათ ყოველთვის პატივს სცემდა და მათ ჭკუა-გონებას აფასებდა. ამიტომაც, მოთხრობის X თავს, ილია ჭავჭავაძე ამთავრებს არჩილის გულწრფელი ნათქვამითა და ოთარაანთ ქვრივის საქციელით:

„არ ვიცით ძმამ დაიჯერა თუ არა დის სიტყვა, ამას კი ვიტყვი, რომ არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართლის გულით უთხრა:

– ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!..

სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაუჩუმდა. მერე თვითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო.“ (1, ტ.2, გვ.285).

გიორგი გახარებული იყო, რომ საქმე ისე აეწყო როგორც მას უნდოდა. დედასაც ესიამოვნა მისი შვილი „შუბლგახსნილი“ რომ ნახა.

ოთარაანთ ქვრივმა ყველაფერი მოუშხადა. ბარგი ჩაუწყო. გიორგის თქმასზე, რომ „ეგრე ბარგ-აკიდებულს რომ მნახენ“, სოფელი დასცინებდა, დედამ უპასუხა:

– „თავ-სიცლის კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?“ (1, ტ.2, გვ.287).

გიორგი ეთანხმება დედას, „მხიარულად შეივლო მხარზედ ბარგი და გასწია.“

ილიას მიერ აღწერილ გიორგის გამგზავრების შესახებ, გ. ჯიბლაძე წერს:

„ეს გამგზავრება ილიამ ისე დიდი ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით აღწერა, რომ ჩვენ იძულებული ვართ, დაწვრილებით შევჩერდეთ მოთხრობის ამ ერთ გვერდზე, რომელიც მთელ რომანად ღირს. დედის განცდა აქ იმდენად ბუნებრივად, მისი შინაგანი არსების იმდენად ყოველმხრივი ცოდნით გამოირჩევა, რომ შეუძლებელია აღტაცებასა და განცვიფრებაში არ მოხვიდეთ, როცა გაეცნობით, მხატვრულ პროზაში ბევრი როდი შეიძლება მოიძებნოს ანალოგიური სურათი... გოცებას და აღტაცებას ვეძლევი, თუ როგორ შეიძლო ილიამ ასე ღრმად ჩაეხედა დედის გულში, მისი სულის იეროგლიფები შეუცდომლად ამოეკითხა, როგორც

შამპოლიონს ეგვიპტური პაპირუსები, და ჩვენთვისაც საცნაური გაეხადა. დააკვირდით ოთარაანთ ქვრივის სულის მოძრაობას გიორგის გამგზავრების სცენაში, მისი გონების შემართებას დედა-შვილობის ბასტიონებთან და თქვენ გაივებთ, თუ რა არის დედის გული.“ (12, ნაწ. II, გვ. 205).

აი, ილიას მიერ აღწერილი ოთარაანთ ქვრივის მდგომარეობა, შვილის წასვლის დროს;

„ოთარაანთ ქვრივა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, – ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...“

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

– უკან აღარ მოიხედა!.. – დაიკვნესა დედამ, – ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ფეხთმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუყარდა და მბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ლა დაეკიდაო.

– ჩემგან მიდის და პატარა ნადველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დარჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. – დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოიხო თვალეზზედ.

თითონაც არ იცოდა, – რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, – არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?!

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორსავე იდაყვით მუხლებების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო...

– დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? – ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. – დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? – რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო,

– რა საკითხავია დედა-შვილობაში?.. ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭი-
დილია თურმე დედა-შვილობაცა!..“ (1, ტ.2, გვ.287).

ეს დედა-შვილური დამოკიდებულება ილიას აღწერილი აქვს ამ მოთხრობის
XI თავში, რომლის ქვესათაურია „ორი თვალი“.

როგორც ვხედავთ, ეს არის მთელი ფილოსოფია, რომელიც გამოხატავს
დედა-შვილურ დამოკიდებულებას, იმ სიყვარულს, რომელიც არსებობს დე-
დას და შვილს შორის. დედა, რომელიც შვილისათვის არაფერს ზოგავს,
მთელ მის სიცოცხლის მანძილზე მასზე ზრუნავს, მას შეჭხარის და მისით
სულდგმულობს, რაღაც, გარკვეულ დროში გულში უჩნდება საკუთარი „მე“,
საკუთარი მოთხოვნილება. მაშინ რა გამოდის, რომ შვილი იმიტომ გინდა და
იმიტომ გიყვარს, რომ შენი თავის მოთხოვნილება დააკმაყოფილო და შენის
სიამოვნებისათვის იყოლიო. მაშ სადღაა დედა-შვილური ნამდვილი სიყვარული?
ნამდვილი დედა-შვილური გრძნობები? დედას, ხომ უნდა უხაროდეს ის რაც
შვილს გაეხარდება და თავს ბედნიერად იგრძნობს? მაშ რატომაა, რომ დედის
ორი თვალი ამ სიყვარულს სხვადასხვანაირად ხედავს და სხვადასხვანაირად
უყურებს? – ერთი თავისთვის და მეორე შვილისათვის. მიუხედავად იმისა, რომ
ორივე შვილს მიუძღვნა?

ილიას მიერ წამოჭრილ საკითხს, ორი თვალის შესახებ, შეიძლება სხვადა-
სხვანაირი ახსნა და განმარტება მიეცეს, მაგრამ სჯობს, რომ თვითონ ოთა-
რანთ ქვრივის საბოლოო გადაწყვეტილებას მოუსმინოთ:

„დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარანთ
ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოვო მორევიდამ გამოსასვლელად,
წამოდგა ფეხზე და ხმამაღლა სთქვა:

– არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს
თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ...“
(1, ტ.2, გვ.287).

მოთხრობა „ოთარანთ ქვრივი“, ილია ჭავჭავაძე გვევლინება როგორც
ფსიქოლოგი. არა მგონია, რომ ვინმეს, როდისმე ასე გადმოეცეს ის საშინელი
განცდა და ტანჯვა, რომელიც თავს გადახდა ოთარანთ ქვრივს. შეუძლებელია
ადამიანმა აუღელვებლად წაიკითხოს ამ მოთხრობის ბოლო თავები, სადაც
აღწერილია დედის განცდები გამოწვეული უბედური შემთხვევით. გასაკვირია
როგორ ჩასწვდა და აღიქვა მწერალმა დედის გრძნობები, როდესაც მომაკვდავ
შვილს თავზე ადგას. დედა, რომელმაც შესწირა მის შვილს მთელი თავისი
ახალგაზრდობა, რომელიც მისთვის ცხოვრობდა და ის იყო მისი ერთადერთი
სიხარული, უყურებს შვილს და იცის რომ მისი შვილი ამ ქვეყნად მაცოცხ-

ლებელი აღარ არის. დედა, თავზედ ადგას შვილს და იგი მის ხელში იღუპება. ილიას მიერ აღწერილი ოთარაანთ ქვრივის სულიერი განცდების კითხვის დროს ტანში ჟრუანტელი გივლის და შენც, დედასთან ერთად განიცდი ამ უბედურებას.

როდესაც ოთარაანთ ქვრივს შეატყობინეს გიორგის უბედურება, „ის ვეება დედაკაცი კინალამ თავზე არ წამომექცაო“, ამბობდა მასთან გაგზავნილი ბიჭი.

„თუმცა ფეხჩქარებით, მაგრამ ისე გულ-დინჯად შევიდა გიორგის უთახ-ში, თითქო შენათვალე არაფრად შეუმჩნევიდა და აინუნშიაც არა მოსდის-რაო. მარტო სახე თითქო უფრო ჩამოსჭკნოდა, წარბებ-შუა შუბლი ორ-სამ კეცად ჩაჰნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ელო.....

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალ-მკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ხმაგაკმენდილს ოთახში ენა ველარავინ დასძრა, ასოც ველარავინ შეატოკა.....

დადუძდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდავობა-ლა თავის დიდებულის ზარით ჰლალადებდა უთქმელად, უტყვად, ხმა-ამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისა-ლა თუ ჰხედავდა და ყური გულისა-ლა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა.“ (1, ტ.2, გვ.306).

სანამ მღვდელს მოიყვანდნენ, რომ ზიარება მოეხდინა:

„ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზედ მოვიდა. ჯერ ხომ გულმა გასტენა, მერე თითონ მოერია გულსა, თითონ გაიტეხინა გული. როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას.

ოთარაანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, გადააწვდინა ხელი, გადაჰხადა საბანი და გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილს და თვალებ-დახუჭვილს შვილსა.

დედის გულთამხილაჲმა გულმა პირველშივე შეიტყო, რომ აქ საშველი აღარა არის-რა და შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლის. აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია... იმედ-გადაწყვეტილი მარტო იმას-ლა ემურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო.

– შვილო, გიორგი! აბა ერთი მომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა!.. ვა-ჟკაცი რამ გძლია ისე, რომ დედისათვისაც თვალს არ ახელი!..

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოა-ბრუნა, – ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიეღულა თვალი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებს-ლა დაუწყო ტოკვა.

– თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს... – დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუვორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მღუღარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

სახე კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავე ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლ-მოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად ეკრულს სახეს ერთი მარღვიც ვერ შეუშალა. იმედ-გადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი.“ (1, ტ.2, გვ.307).

როდესაც გიორგიმ საბოლოოდ დალია სული ოთარაანთ ქვრივის ხელში, ილია განაგრძობს დედის მდგომარეობის აღწერას:

– გათავდა!.. – დაიკვილა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!.. კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დაჰლიაო....

როდესაც კესო მივიდა მასთან, ოთარაანთ ქვრივმა სთხოვა:

– თქვენი ჭირიშე, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი!.. ვაი, რომ არა მიშავს-რა!“ (1, ტ.2, გვ.310).

როდესაც „ყველანი გაიკრიბნენ“, დაცარიელდა ოთახი და ოთარაანთ ქვრივი მარტო დარჩა, მაშინ, „კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულა თავი.

– ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. – ჰღმუოდა ხმადაბლა დედა. – მე დავრჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!.. შვილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!.. შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!.. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დავტირი!.. ამ ხელეებმა გაგზარდა და ამ ხელეებმავე უნდა მიწა მოგაყაროს!? მაგ ხელეებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელი და ეხლა მე უნდა დაგიკრიბო, მე!.. ვაი დედას, ამის დამსწრეს!..

პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითით გოდება-ლა ისმოდა.“ იქვე.

ამ გოდების დროს, გამწვარებულ დედას შემოესმა ვიღაცის ტირილის ხმა. მან „თვალის წყრომით მოატარა ოთახში“ და, დაინახა „მობუზული კაცი“.

„დედა უცბად ისევ მჭახე ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა.

– შენ ვიღას მეტიჩარა ხარ? – შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით....

– თუ გაგონდები, კარგია, თუ არა-და, მაინც დმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში.

– რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!..“ (1, ტ.2, გვ.310).

იგი აღმოჩნდა არჩილის ბებერი მეწისქვილე სოსია, რომელსაც შეეტყო გიორგის ამბავი, თუ არა, „მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ემინოდა, არავინ გამივოსო.“ (1, ტ.2, გვ.305). ყველანი რომ გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო, წინანდებურად მობუზული.

– „წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, – უთხრა ოთარაანთ ქვრივმა: – მარტო მინდა ვიყო...“

როგორც ვხედავთ, ოთარაანთ ქვრივის ბოლო იმედი, მისი ლხენა სიკვდილის მოლოდინი, რომ შვილს საშუალოდ მიუწვევს სამარეში.

ილია ჭავჭავაძე, ამ მოთხრობის XXI თავს, სადაც მოგვეთხრობს ოთარაანთ ქვრივის ტანჯვის დასასრულს, უწოდა „ემახის“.

ამ თავის დასაწყისში, მწერალი, გადმოგვცემს სოფლის ბუნების სილამაზეს, ზამთრის დადგომის დროს და ამას, ისეთი მხატვრული ხერხებით და ისეთნაირად აქვს ასახული ბუნების ეს მშვენიერი სურათი, რომ მკითხველს ნათლად, თვალწინ წარმოუდგება ზამთრის სიმშვენიერე.

„შუა-ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკინ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვაბდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბაბბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალ-გადაუწვდენელს სიგრძე-სიგანეზე, სიღრმე-სიმაღლეზე.

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი... კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორლობის ღობეები, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლ-ქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო.

თოვლი რომ გადაიღო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებული სითბო დღისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტიტებს, ღობეების ნაპირებს, ჩარდახების და ბანების გარეშემო.

ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვევოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.” (1, ტ.2, გვ.320).

გავიდა დრო. ერთს საღამოს როდესაც სოფელში ყველას ეძინა. ერთ სახლში, კერასთან ახლოს ძაღლს ეძინა, იქვე ახლოს მიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში „გულიანად ეძინა“ „ვიღაცა მოხუცებული დედაკაცი“. იქვე, ახლოს მდგარ ტახტზე, „იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

– ვინ მეძახის, ვინ!.. – იძახოდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდან კი ხმა და ჩამი-ჩუმი არ იყო. – წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მეწვევა, რად?

– მივალწვე კი!.. – ჰკითხა თავისთავს: – ფეხის გადადგმის ილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გაჰხნა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!..

შეჰკივლა ესლა კი ხმამაღლა ვიღაცას კენესითა და ვაებითა და მაშინვე გადაჰხნდა ცეცხლა-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს, ხომ არ გამოეღვიძა და არ შემიტყოვო....

– კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდან, წაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ველარ წასდგა, დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაეხვინა, – არ წაივქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელდაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს, და ფეხაკრებით გავიდა სახლიდან. უღონოს სიარულით ეზო გაიარა, ორისავე ხელით წინ წაძლოლილ

ჯოხზედ დანდობილმა. ეხოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გად-
მოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

– ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და
არ გაუცოდვინებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ!.. მოვდივარ, მო!..“ (1, ტ.2,
გვ.322).

ძაღლს არ გამოეპარა პატრონის გარეთ გასვლა და მას გაეკიდა.

მოთხრობის ბოლო თავს, ილიამ უწოდა „წყევა-კრულვიანი საკითხავი.“

„გათენდა შობა დღე.“ ორ მეცხვარეს სოფელში გასაყიდათ მიჰყავდათ
ცხვარი. როდესაც სოფლის სასაფლაოს მიუახლოვდნენ, შემოესმათ ძაღლის
ღმუილი და წკაფწკავი. აქ, მწერალი მოგვითხრობს უღალატო ადამიანის, ერთ-
გული ძაღლის შესახებ. ერთი მეცხვარე მიუახლოვდა და „დაინახა, რომ ძაღლი
წამოსკუპებული იჯდა ვიღაცის საფლავზედ, უკანა ფეხებზედ ჩამჯდარიყო
და წინა ფეხებზედ დაბჯენილი და სოფლისაკენ პირმიქცეული საცოდავად
ჰღმუიდა.

გაუკვირდა მეცხვარეს. მივიდა ახლო და ელა ეცა. ძაღლის ზურგს უკან
მკვდარი დაინახა: საფლავზედ გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ
პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაე-
კიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ზვევნით
გულში ჩაეკრაო.....

თავის ამხანავს რომ დაეწია, უამბო ნახული.

– დახე, ძაღლი პატრონს არ მოჰშორებია! – წამოიძახა ამხანავმა. –
დალოცვილი პირუტყვია. ბარაქლა, ძაღლო, ბარაქლა!..

მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა
საქებარის ოთხფეხისა...“ (1, ტ.2, გვ.324).

ეს ამბავი შეატყობინეს სოფელს. ხალხი სასაფლაოზე მოგროვდა. „ის
მკვდარი ოთარაანთ ქვრივი გამოდგა, ის საფლავი – განა თქმა-და უნდა –
გიორგის საფლავი იყო... – და აქ, მწერალი თითქოს ხას უსვამს, რომ – ის
ძაღლი... მაგრამ ძაღლს ვინდა იკითხავს?“

ილია, მისთვის ჩვეული ირონიითა და სიმართლით, აღწერს ხალხის მდგო-
მარობას, მოქმედებას და ოთარაანთ ქვრივის დასასრულს.

„შეიქმნა ჟივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მითამ არ იყო სალა-
პარაკო თუ? გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს
პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარებოდა, – ერთი გავიგო, ვინ რას ამ-
ბობს, და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა,
იქ გარბოდა და მიემურებოდა.

– გატყდა ეს რკინის დედაკაციცაო, – ამბობდნენ ზოგიერთნი, – ეს ფეს-
ვმაგარი ხეც წამოიქცაო.

– დედის-ერთა შვილის დაკარგვა ძნელია, მერე რა შვილისა! – იძახდნენ
დედაკაციები, – აკი ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურაო.

ბევრს ეცოდებოდა ეგრეთ გათავებული ოთარაანთ ქვრივი. დამტირებელი
კი არავინ იყო. ძნელია ეგრეთ წასვლა სააქაოდამ. მაგრამ რა? ვინც მოჰკვდა,
თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა მართალი არ არის!

არა. – ზოგჯერ მართალი არ არის. – წერს ილია, – აქ იყო ერთი კაცი,
რომელსაც მოუკვდა ოთარაანთ ქვრივი!.. ეს იყო სოსია მეწისქვილე. თითქმის
ოც-და-ათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ გა-
სათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ეს დღე, სხვა
აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი
დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ,
მაგრამ თავის გულში სთქვა:

– მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი...
ვეღარ შევბედავ, ვეღარა!..

სთქვა და ახლოც თურმე აღარ გაუარა ოთარაანთ ქვრივსა რიდისა და
კრძალვისაგან.

სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ
ქვრივის წინ, იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმად.“ (1,
ტ.2, გვ.325).

ილია აქ, თითქოს განგებ, ხაზს უსვამს ადამიანთა უხეშობას და უსულ-
გულობას, სხვის მიმართ შეუბრალებლობას. საწყალი მოხუცებული სოსია,
რომელმაც მთელი სიცოცხლე ოთარაანთ ქვრივს შეჰხაროდა და მასზე ოცნე-
ბობდა, მას ტირილიც კი არ დაანებეს. რადგან მისი გულის ტკივილი არავინ
იცოდა. არც იმ ახალგაზრდამ, რომელმაც დაცინვით მიმართა ბერიკაცს:

– „ადე, რას ჰქვამი უპატრონო ძაღლსავით!... შენც მითამ მარაქაში ერევი...
შენი რაო?“

საწყალმა სოსიამ, ტირილით, უპასუხა:

– „ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო!.. სხვა სხვის ომში ბრძენიაო...“

აქვე, მწერალი კიდევ ერთხელ აღნიშნავს ადამიანთა გულცივობას. იგი
წერს, რომ მოხუცებულ სოსიას აღარ დააცადეს სათქმელი. „ამ დროს ხელდა-
ხელ გაკეთებული საკაცეც მოიტანეს და რომ მივიდნენ მკვდრის ასაწევად და
საკაცეზედ დასადებად, ვიდაცამ წაიბორძიკა მეწისქვილის ფეხზედ და ითაკილა.

– ეს ვილა ოხერია, ფეხებში გვედებო! – სთქვა წაბორძიკებულმა და, ღონივრად წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: – წადი, იქით გაეთრიეო.“

საწყალი სოსია თოვლში წაიქცა. ძლივძლივობით წამოდგა და ხელის მკვერელს უთხრა:

– „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვედარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოლო ვარ, შვილო, ცოლო!“

ილია ჭავჭავაძე შემდეგი სიტყვებით ამთავრებს „ოთარაანთ ქერივს“ და თითქოს პასუხს აძლევს ქვესათაურში, „წყევლა-კრულვინი სკითხავი“, დასმულ საკითხს:

„მართლა, რომ ცოლოა!..“

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოლო?

ერთიც ეს არის საჭირობოროტო და წყევლა-კრულვინი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში.“ (1, ტ.2, გვ.326).

* * * *

მოთხრობის, „ოთარაანთ ქერივის“ მეორე წარმომადგენელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთარაანთ ქერივის შვილი გიორგია. რომელსაც დედამ მის აღზრდასა და დავაჟკაცებას შესწირა ახალგაზრდობა.

ილია აღწერს გიორგის თვალტანადობას, ხასიათს, ჩაცმულობას და მის შრომის მოყვარებას. მას მამისა და დედის ხასიათი ჰქონდა გამოყოლილი. მათსავით გულმოდგინე, დაუზარებელი და „ხელმართალი“ იყო. დედის „უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა.“ მასაც სიმართლე უყვარდა. ბავშვობიდანვე ღალატსა და ცრუობას ვერ იტანდა და ხშირად სხვის დამცველადც გამოდიოდა და ამის გამო ტოლ-ამხანაგებში ჩხუბიც მოსდიოდა. ილია წერს, რომ:

„ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედასავით, – თავისი იყო, თუ სხვისა, – თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იმლიდა, არც დედა უშლიდა.“ (1, ტ.2, გვ.266).

სოფელში გიორგის შესახებ ამბობდნენ:

– „აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მაგათში ან დიდი ცოლო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალიაო.“ (1, ტ.2, გვ.270).

ჩვენ, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი როდესაც დავაჟკაცდა, მას „გუნება შეეცვალა, გულ-ჩათხრობილი, დანაღვლიანებული და დაღვრემილი გახდა.“ იგი

დედას ვერ უმხელდა, რომ მას შეუყვარდა თავადის ქალი, არჩილის და, კესო. იცოდა გიორგიმ, რომ მიუხედავად იმისა, იგი სოფელში განთქმული ოჯახის შვილი იყო, ის მაინც გლეხი იყო და გლეხად რჩებოდა. სად ის და სად თავადშვილის ქალი. ეს იყო უიმედო სიყვარული. რა უნდა ექნა? გამოსავალს ვერ ხედავდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უძლიერდებოდა სიყვარული და იტანჯებოდა. ვერავის უმხელდა ტანჯვის მიზეზს. ბოლოს გადაწყვეტს, რომ მოჯამაგირეთ დაუდგეს არჩილსა და კესოს, რადგან კესოსთან ახლოს ყოფნა მისთვის ესეც ბედნიერება იყო. დედასთან საუბრის დროს, იგი იძულებული გახდა გაემხილა თავისი გადაწყვეტილება. შვილის სიყვარულის გამო, დედაც დაეთანხმა.

გიორგი, არჩილსა და კესოს დაუდგა მოჯამაგირედ. მან თავი გამოიჩინა, როგორც დაკვირვებულმა, მცოდნემ, ჭკვიანმა და კარგმა საქმიანმა მუშამ. რასაც მოკიდებდა ხელს გულიანად, ერთგულად და ზედმიწევნით კარგად აკეთებდა. როდესაც კესომ სთხოვა ყვავილების ბაღის გაკეთება, მან ის ბაღი, „გეგმაზედ გაკეთებული“, ისე მორთო, მოკმაზა, „ისე გაჰკლამაზდა წითლად მიხვეულ-მოხვეულ გზებითა, შიგა-და-შიგ დაყოლილ მწვანე მღლეობებითა, ყვავილების ფერადითა, რომ კაცის თვალი ვერ გაძღებოდა. ღონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, – აცა ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო. ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეხოვათ, და რაც მაღლი ჰქონდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებღერტნათ.

კესოს მეტის-მეტად უხაროდა, რომ ასე კარგად, ასე ლამაზად აუსრულდა თავისი დიდი-ხნის სურვილი.“ (1, ტ.2, გვ.298).

გიორგისვე ჩააბარეს ეს ბაღი და რა თქმა უნდა იგი უფროთხილდებოდა და თვალის ჩინივით უვლიდა ამ ბაღს.

„არჩილი და კესო ძლიერ ემაღლიერებოდნენ გიორგის და არა ერთხელ უთქვამთ ერთმანეთისათვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.“ (1, ტ.2, გვ.299).

გიორგიც კმაყოფილი იყო, რადგან ყოველ დღე მის მზეს, კესოს, უყურებდა.

გავიდა დრო და აი, შემოდგომის ერთ დღეს, როდესაც მოხუცებული პეტრე არჩილის თივას დგამდა, სამუშაოდან დაბრუნებულმა გიორგიმ შეამჩნია, რომ თივის ზვინის თავი გადასწრილი იყო და საჭირო იყო მისი გასწორება. გიორგი თვალის დახამხამებაში ავარდა ურემზე და სათივის თავზედ მოექცა. გადაყარა თივა, დაამდაბლა სიმაღლე, დაიწყო ზვინის დადგმა და სანამ დაბინდებოდა საქმეც მოამთავრა. დაიწყო ზვინიდან ჩამოსვლა და სწორედ აქ მოხდა უბედური შემთხვევა.

ჩამოსვლისას „უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი პირადმა გადმოქცეული, წამოვიდა მალლიდამ და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგიითა. ჭალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია...“

არჩილი, კესო, ხალხი მისცვივდნენ და გიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს დედამიწაზედ პირქვე დამზობილი, სისხლი შადრევანსავით სცემდა...

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა წყლული შეეხვია. ზოგი არჩილმა, ზოგი სხვებმა, როგორც იყო, წყლული შეუხვიეს და, ცოტა არ იყო, სისხლის დენამ უკლო.

ცოცხალ-მკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში.“ (1, ტ.2, გვ.303). გიორგი არჩილის საწოლში დააწვინეს. მალე ოთარაანთ ქვრივიც მოაყვანინა არჩილმა. დახედვისთანავე მაშინვე მიხვდა, რომ „შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლიდა.“ ეხლა მარტო ისლა უნდოდა, რომ გიორგის მისთვის ხმა გაეცა.

მთორობის ამ თავს, სადაც გიორგის უკანასკნელი სიტყვებია გადმოცემული, ილიამ, ქვესათაურად უწოდა „უკანასკნელი განდობა“; და ეს განდობა და საერთოდ ის ტანჯვა, უბედურება, რაც გიორგიმ განიცადა, მწერალმა, ამ უკანასკნელ განდობაში აღწერა, და ეს აღწერა, როგორც მხატვრული, ისე ადამიანური თვალთახედვით სანიმუშო ნაწარმოებს წარმოადგენს. ეს არის ლიტერატურული ხელოვნების უდიდესი მიღწევა. შეუძლებელია, რომ მოუსმინოთ თვით ილიას, ეს ადგილი მკითხველმა გულდამშვიდებით წაიკითხოს და მასზე არ იმოქმედოს:

– „წყა... – წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა.....“

გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა, თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტირალი კესო...

– დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!.. – ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალ-გაჩერებულმა.

– ვხედავ, შვილო!..

– დედი!.. ღვინო...

დედამ კიდევ დააღვიძა ღვინო.

– ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა! – კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას.

არჩილმა გაცოცხლებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავენ, არავენ არ გაჰბელა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოელო. ყველა სმენად გადაიქცა.

– აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. – ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება, იგივე სიცოცხლეა, მხოლოდ ხან-მოკლე და შეურჩენელი.

– ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ღხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახე-ირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, – მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მწესავით დამნათობდი... არც კი იცოდი, – ვის ათობ, ვის აღხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... კვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..

თავი უღონოდ მოსწყდა ბალიშზედ, თვალი ისევე მიეღულა, სულმა ბრძოლა დაუწყო და მარტო ხელს-ლა აფათურებდა უძლურად, თითქო ვიდასაც ეტებს და იმისი პოვნა უნდაო.

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.

– გათავდა!.. – დაიკვილა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა.“ (1, ტ.2, გვ.308).

* * * *

ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამ სოფლის თავადიშვილები არჩილი და მისი და კესო, განათლებულნი იყვნენ. არჩილს სწავლა-განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. „და-მმანი ერთად ცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან“ და იმას უვლიდნენ. სოფლელები მაღლიერნი იყვნენ მათი.

ყველას თავაზიანად ეპყრობოდნენ. ოთარაანთ ქვრივიც კარგად იყო განწყობილი მათ მიმართ.

როდესაც გიორგი მათთან მოჯამაგირედ დადგა, პირველივე დღიდანვე გიორგიმ გააკვირვა არჩილი თავისი საზრიანობით. მწერალი მოგვითხრობს, რომ არჩილმა წაიყვანა გიორგი ვენახის სანახავად. იგი აპირებდა ჭადრაკისებურად, უჯრა-უჯრად ვენახის გაშენებას და უნდოდა, რომ გიორგის თავისი შეხედულება ეთქვა. გიორგიმ მოუწონა არჩილს ჩანაფიქრი, მაგრამ მისი აზრით ამ ფერდობზე ასეთნაირად ვენახის გაშენება არ ივარგებდა, რადგან აქ მშრალი ადგილი იყო და ვაზს მორწყვა დასჭირდებოდა. ხოლო, აგრე სისწვრივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა, წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?.....

ლარი სწორეზე კი არ უნდა წაგელო, ცოტა გეზად უნდა დაგეწირა, რომ წყალს საკმარისი თავ-თავ-ქვე ჰქონოდა და მიწაც ზევით ქვევით არ ეზინდა.... ეხლა კი წყალს ავალა პირადმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა გახედე!.....

არჩილმა გაჰხელა-გამოხელა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქილამ, ხან აქედამ მოუღვა, ხან იქილამ და იმისთანა ვერა იპოვა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა....

– შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგი, – ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შეეშინებოდი.“ (1, ტ.2, გვ.290).

არჩილი ისე იყო გიორგის ამ საზრიანობით აღელვებული, რომ სახლში მისვლისთანავე კესოს ყველაფერი უამბო. „ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.“

– „ეგ რა მოგსვლია? – ჰკითხა კესომ.“

არჩილის პასუხში ისმის როგორც თავისი თავის, ასევე მისი საზოგადოების კრიტიკა.

– „ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვეონია, – ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩაკვიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვინელებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იოს.“

ასეთი პასუხით გაკვირვებულმა კესომ ჰკითხა:

– „შენ და წიგნების ეგრე აბუნად ავლება?“

ამაზე არჩილის პასუხი არის ის, რაც დაკვირვებულ არჩილს, გლეხი გიორგის გონიერებამ დაანახვა.

– „მე აბუნად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვივლებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვივლევოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...“

– ტყუილმა ბრძნობამ იცის, – დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა დიმილით.

– და უვიციობის ცუდმედილობამ!.. – დაუმატა არჩილმა.“ (1, ტ.2, გვ.291).

არჩილის ამ სიტყვების შესახებ გ. ჯიბლაძე წერს;

„უკეთესი ანალიზი იმისა, რაც მოხდა, არ შეიძლებოდა, ასეთი ოსტატი აღმოჩნდა გიორგი მწიგნობარ არჩილისათვის, ხოლო ჭკვიან და-ძმას ისღა დარჩენოდათ, რომ დაედასტურებინათ შემდეგი ჭეშმარიტება: ტყუილი თაკილი ტყუილმა ბრძნობამ და უვიციობის ცუდ მედილობამ იცის ხოლმე. ეს თვით-კრიტიკა იყო, მაგრამ გონიერი და-ძმა, საკუთარ მხილებას როდი გაურბოდნენ.“ (12, ნაწ. II, გვ.210).

ჩვენ, ჩვენს მხრივ ვიტყვით, რომ დღევანდელ დღესაც ბევრს არ სურს და არც შეუძლიან ამ „თვით-კრიტიკის“ აღიარება და გამხელა. თავის თავი დიდ რამედ მიაჩნია და სინამდვილეში-კი რას წარმოადგენს, იმას ვერ ხვდება.

„ოთარაანთ ქვრივის“ XIX და XX თავები, რომელთა ქვესათაურებია: „ჩატეხილი ხიდი“ და „დასაწყისი განთიადისა“, ეს არის პოემა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შექმნა და მეტი რომ არაფერი დაეწერა, მარტო ეს ორი ლიტერატურული ქმნილება საკმარისი იქნებოდა ილიას განდიდებისათვის. ამ ორ თავში, დაკვირვებული მკითხველი, მიხვდება, რომ ნათლად არის წარმოდგენილი, მაშინდელი საზოგადოების სოციალური ყოფიერება და მთელი მაშინდელი საზოგადოების კრიტიკა. ამავე დროს, იმასაც მიხვდება, რომ ის საკითხები, რაც ილიამ წამოჭრა ამ მოთხრობაში, დღევანდელ დღესაც გადაუჭრელი რჩება და დღესაც ამ საკითხების ირგვლივ კამათი გრძელდება.

ამ ორი თავის შესახებ გ. ჯიბლაძე წერს:

„ამ თავების დაწერა ჩვეულებრივ მწერალს, ჩვეულებრივ მხატვარს არ შეეძლო. ორივე თავი კალმის გენიალური მოსმაა და საეჭვოც არ არის, რომ მათი ავტორი გენიოსია.“ (12, ნაწ. II, გვ.235).

„დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. მთელი ახლო-მახლო სამღვდლეობა, ახლო-მახლო სოფლები მოიწვია მიცვალებულის „გასა-პატიოსნებლად“ და ამისთვის არა ხარჯი არ დაჰზოგა. ისე დაჰმარხა, თითქო იმისი სახლისკაცი, იმისი ოჯახის-შვილი ჰყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწევიდა, ასე რომ არავის გამეცვლევიდა.

კესო მძიმე შავებში ჭირისუფალსავით გულხელ-დაკრებილი და მგლოვი-არედ თავ-ჩაკიდებული ხმა-ამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირ-ჯვარი გადაიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა, გამოტრიალდა, თითქო შეაშინა რაღაცამო.“ (1, ტ.2, გვ.311).

ასე დაასაფლავეს და გამოიტირეს გიორგი, არჩილმა და კესომ. ამის შემდეგ იწყებს ილია, იმ საკითხების განხილვას, რომლის შესახებაც საუბრობენ არჩილი და კესო.

ილია წერს, რომ სოფლელები სხვადასხვანაირად ხსნიდნენ და-ძმის ქცევას.

„გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა და-ძმას ამისთანა თავდამბლობა და „გაპა-ტიოსნება“ მიცვალებულისა.“ (1, ტ.2, გვ.312). ზოგიერთის თქმით კი, ვითომ გიორგისა და კესოს ერთმანეთი უყვარდათ. რადგან, მათი აზრით, „ის კი ადამიანი არ იყო?! ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი – სხვა რა უნდა სიყვარულს?“ იქვე. მაგრამ, „ზოგი კი იძახოდა:

– კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო.“ იქვე.

ხალხის მიერ ამ ნათქვამის შესახებ ილია შენიშნავს, რომ:

„იქნება ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში – მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.“ იქვე.

სოფლელების ეს საუბარი მოისმინეს და-ძმამაც და განსაკუთრებით გულნატკენი დარჩა კესო, რომელმაც არჩილს უთხრა:

– „ეს რა დაგვწამესო.... ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს.“

აქედან იწყებს მწერალი იმ სოციალურ საკითხების შესახებ მსჯელობას რაც ჩვენ ზევით ვახსენეთ. ეს ნათლად და მკვეთრად გამოიხატა არჩილისა და კესოს საუბარში. ჩვენ არ შეუდგებით ამ საუბრის გარჩევას, რადგან ეს გამოიწვევდა ხელმეორედ და-ძმის საუბრის გამეორებას. დაკვირვებულმა მკითხველმა თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნა ამ საუბრიდან. ამ საუბარმა გამოიწვია ქართულ ლიტერატურაში კამათი და შეხლა-შემოხლა.

გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძისა და მისი ამ ნაწარმოების კრიტიკოსების შესახებ წერდა:

„იდი მწერლის ამ შედეგისა და გედის სიმღერას, იმ დროინდელი კრიტიკა, ზოგიერთის გამოკლებით, უღირსად შეხვდა... ზოგიერთი, სერიოზული განხილვის ნაცვლად, იშვიათად როდი ცდილობდა ცილი დაეწამებინა როგორც ავტორის, ისე მისი ნაწარმოებისათვის.“ (12, ნაწ. II, გვ. 237).

სხვათა შორის, ამდგვარი ილიას წინააღმდეგ გამოხტომები, მისი სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა. განსაკუთრებით მის წინააღმდეგ ილაშქრებდა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ლიტერატორობას ჩემობდა, ფილიპე მახარაძე (1868–1941).

აქ, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ საკითხზე, რაზედაც არჩილმა გასცა პასუხი კესოს.

– „საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ-შუა ხილია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაპრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, ღურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ ღურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან.....“

ჩვენი მაღლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვისხედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის სხვა ჩვენ-შუა? მარტო ერთი პრტყელი ენა მწიგნობარისა, – მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, – მარტო პრტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმადლარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ.“ (1, ტ. 2, გვ. 312).

არჩილის ამ პასუხის შესახებ გ. ჯიბლაძე წერდა:

„ეს არის მონანიე აზნაურის ტიპიური აღიარება და იმის ხაზგასმა, რომ სოციალურ სფეროში ოდესღაც მომხდარი კატასტროფის ტრაგიკული

შედევები დაუსრულებლად გრძელდება. ამ საშინელმა კატასტროფამ ადამიანთა შორის ხიდი ჩატეხა – ერთნი გაღმა ნაპირას დარჩნენ, მეორენი – გამოღმა. გაღმა ისინი არიან – მშრომელი გლეხები, საუკუნეების მანძილზე ბატონყმობის მონურ უღელს რომ ეწეოდნენ. გუშინ განთავისუფლდნენ, მაგრამ კვლავ მონობაში დარჩნენ. გამოღმა თავად-აზნაურობაა, საერთოდ შექმნილი ხალხია, რომელიც ბატონობდა და ბატონობს.

ამ ბატონობამ ჩატეხილი ხიდი კი არ გაამრთელა, პირიქით, უფრო დააშორა ორ მოპირდაპირე ნაპირზე დარჩენილი ადამიანები. ისე შორს არიან ისინი, რომ ერთმანეთის უკვე ისე არა გაეგებათ-რა, როგორც ბაბილონის მითიური კოშკის მშენებლებს. ამიტომ თვალი აღარა სჭრის, ისინი ერთმანეთს ვეღარ ხედავენ, ადამიანის ღვთიური სახეც მათ ტყლაპად ეჩვენებათ, თეთრი – შავად და ეს გაღმაპირელებს რომ ემართებათ, გასაკვირი არ არის: სავალალო ისაა, რომ გამოღმაპირელებს, შორსმხედი იარაღით აღჭურვილთ, რომელთაც შეეძლოთ ყველაფერი გაერჩიათ, იგივე ემართებათ.“ (12, ნაწ. II, გვ. 217).

გ. ჯობლაძე განაგრძობს არჩილის შესახებ მსჯელობას და წერს:

„არჩილი არსად არ ახსენებს სოციალურ კლასებს, მაგრამ მისი სიტყვები, ალეგორიულად, სულ სოციალურ კლასებს და მათ შორის წინააღმდეგობას გულისხმობს, მაშასადამე, არმქონებელთა, შრომის შვილთა მხარე უკავია და ეს არის ის განმანათლებელი, დემოკრატიული და სოციალისტური იდეა, რომელიც მოთხრობაში – „ოთარაანთ ქვრივი“ წითელი ზოლივით არის გატარებული. ეს იდეა ათეულ წლოვით მწიფდებოდა. ჯერ კიდევ ადრე, 1862 წელს, უფრო ძლიერად 1866 წელს ილია ჭავჭავაძემ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში დაახსიათა „ხიდ-ჩატეხილობის“, „განკერძობის“, „განთვითეულების“, „გათავთავების“ კატასტროფული შედეგები ქართველი ერისათვის.“ (12, ნაწ. II, გვ. 230).

არჩილისა და კესოს საუბრიდან ჩანს, რომ არჩილი კარგად ხედავს ამ ორი საზოგადოების დაპირისპირებულ მხარეს, თვითეულს ცალ-ცალკე აქვს თავისი უარყოფითი მხარე.

„მე გლეხკაცს გუშინდელ ბაღსავით კი არ შევხარი, – ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვა-დამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისაგან. მე დაკარგული მენანება, მებრალეა და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ესეც ვიცი, – მაგრამ

იგი მოურიდებლად და ამავე დროს პირდაპირ სვამს კითხვას, – მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტკვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგ-ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მუნანებიან, მებრალეებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად. ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კლომა...” (1, ტ.2, გვ.314).

არჩილის სიტყვებიდან, ერთის მხრივ გამოდის, რომ ყველაფერი „კლომა“, „ცხოვრება სიკვდილია“. ეს ორივე მხარე საბოლოოდ უნდა განადგურდეს. მაგრამ, რჩება მეორე ნახევარი, მეორე გულის ნახევარი, და ამის შესახებ იგი კესოს ეუბნება:

– „ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ გაკეთებულნი ვართ, ისინი კი – შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება – ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ – დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია..... იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებეირობაა, ღონის გასიება, დამძიმება, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვეჯობნიან...” (1, ტ.2, გვ.315).

შემდეგ საუბარში, არჩილი ეუბნება კესოს, რომ რაც გლეხკაცობაში ხდება უმსგავსოება, მას:

– „თითო-ოროლა ეგები მეც ჩემის თვალთ მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰქვალს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მამ რა სწნავს იმისთანა კაცურ –კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედა-კაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-და ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს. დღესაც ვერ გამოძირკვევია – რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედავდ და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა...” (1, ტ.2, გვ.316).

და და-ძმას მსჯელობის დროს, როდესაც არჩილი დაუსვამს შეკითხვას, რომ იგი გიორგის შვირთავდა თუ არა, კესო დიდხანს არ სცემს პასუხს და

დიდი ფიქრის შემდეგ, იგი ამბობს, რომ მას არ უყვარდა და ამიტომ არ შეირთავდა. და აი არჩილის პასუხი:

– „მეც ვერე მოვიქცეოდი. გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობას....

ჩვენი ვაიც მაგაშია. სჩანს ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლახაკი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზე და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პრტყელ-პრტყელ ლაპარაკს მოვეყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვილა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გველებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმით შუა! ჩვენის სისხლხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გააღმასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებლაუჭება, ისევ აშენებს, აგებს... ნახევარკაცი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვთლია.“ (1, ტ.2, გვ.317).

„იცი, რა იყო გიორგი!.. გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდ-გაღმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია... ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალთ ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშენიერს სულსა“. არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშენიერება“ სულისა....

შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!..“ მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვივლო ჩვენის თავის გასაკითხავად.“

კესომ, როგორც ეტყობა ვეღარ გაუძლო მისი ძმის სიტყვებს და ტირილი დაიწყო. „არჩილს შეეცოდა, კესო და შუბლზედ აკოცა.“ (1, ტ.2, გვ.318).

ილია, და-ძმის საუბარს ამთავრებს სიტყვებით, რომელიც გამოხატავდა მის აზრს, რასაც იგი ცდილობდა გაეტარებინა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს იყო ამ ჩატეხილი ხიდის გაერთიანება. მისი ფიქრით, იმ დროს საქართველოს, რომ მიელწია დამოუკიდებლობისათვის, საჭირო იყო მთელი საზოგადოების გაერთიანება.

ატირებულ დას არჩილი მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

– „შენი ტირილი მიხარია... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკან-ლა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ.

იქ, უკან ბნელა... ღამეა...

– და ხიდა ჩატეხილი, ხიდი!.. – წამოიძახა ტკივილით კესომ.

– ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

– ვიცი და ვტირი...

– ამიტომაც მიხარია შენი ტირილი...

– არჩილ, წინ რაღაა, წინ! – შეჰბლაგლა უეცრად კესომ და ორისავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშენეტა და მტვრევა დაიწყო.

– ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შურის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, – შუქია წინასი და შუქი ხომ...

– დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

– სწორედ.

და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.“ (1, ტ.2, გვ.319).

ჩატეხილი ხიდის შესახებ ტ. სართანია წერს:

„ხიდჩატეხილობა „ოთარაანთ ქერივის“ მთავარი ლეიტმოტივია და ილია არჩილის სახით ეძიებს ამ ხიდის გამრთელების გზებსა და საშუალებებს, რათა ერთიან კალაპოტში, ერთ მდინარებაში მოაქციოს ქვეყნის ძალა, რაც ესოდენ საჭირო იყო იმდროინდელ საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და ეკონომიკურ-კულტურული აღმავლობისათვის.“ (11, გვ.68).

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არა ერთი აზრია გამოთქმული მოთხრობა „ოთარაანთ ქერივის“ შესახებ. საბჭოთა კრიტიკოსები და მწერალ-ლიტერატორები, სწორედ ამ „ხიდჩატეხილობას“ უთვლიდნენ დიდ მწერალს ერთ-ერთ ნაკლად.

ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის შესახებ წერდა:

„ხაზი გვინდა გაუსვთ კიდევ ერთ ნაკლოვანებას. ეს არის წოდებათა შერიგების საკითხი, რომელსაც დიდი ადგილი უკავია ილიას შემოქმედებაში. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ წოდებათა შერიგების საკითხი უნდა განვიხილოთ ილიასთან, როგორც სოციალური და პოლიტიკური მონობის მოსპობის ერთ-ერთი

საშუალება. სწორედ აქ იყო ამ მოძღვრების სისუსტე, რომელიც იქიდანვე მომდინარეობდა, რომ გარკვეულ პერიოდში, გარდა ეროვნული მთლიანობისა, მონობისაგან განთავისუფლების სხვა რეალურ ძალას იგი ვერ ხედავდა. ამ თვალსაზრისის სისუსტე იმაშიც მდგომარეობდა, რომ ასეთი გაერთიანება შეუძლებელი იყო. მაგრამ წოდებათა შერიგებისა და ეროვნული მთლიანობის იდეაში დადებითი აზრიც იყო. ეს დადებითი აზრი ერთის მხრივ მდგომარეობდა იმაში, რომ მას სურდა ისე მოეხდინა წოდებათა გაერთიანება, რომ ფაქტიურად მოეხსნა მათი გათიშულობის ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები, შეენერია კერძო საკუთრების კედლები და გზა გაეხსნა მიწაზე საერთო საკუთრების აღდგენისათვის. თავისთავად ეს აზრი შეიძლება უტოპიური იყო, მაგრამ ნამდვილად კი პროგრესული. მეორე მხრივ, ეროვნული მთლიანობის იდეის წამოყენებას იმ დროს, როდესაც მეფის თვითმპყრობელობამ შემოუტია ქართველ ერს პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიურად და დადგა ეროვნული კატასტროფის რეალური საშიშროება, ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, მაგრამ რეაქციული კი არა. ამ შემთხვევაში ეროვნულ ძალთა შეერთება, მათი კონსოლიდაცია და ერთიან კედელსავით აღმართვა მეფის კოლონიალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ თავის გადარჩენის თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი გზა მაინც იყო და ამ გზას სავსებით განუხრელად დაადგა ილია ჭავჭავაძე.“ (14, გვ.401).

„ხიდრატეხილობის“ დაძლევა, წოდებათა შერიგება და ერთ აზრზე დადგომა, დღევანდელ დღესაც საოცნებო საკითხად დარჩა. ქართველი კაცის გაგება, გონება და აზრი, ვერ მივიდა იმ შეგნებადღე, რომ ჩვენი ქვეყნის საერთო მტრის წინააღმდეგ, საჭიროა თავისი პირადი თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის დათრგუნვა და ერთადერთი ძალით წინააღმდეგობის გაწევა.

გ. ჯიბლაძე, ამ მოთხრობისა და ილია ჭავჭავაძის შესახებ წერს:

„დეტალების ოსტატი ილია ჭავჭავაძე არაჩვეულებრივად ძლიერია ხასიათების, მოქმედების, მსჯელობისა და განწყობილების ნიუანსების გადმოცემაში. მისი თვალის სრულიად ორიგინალურად ჭვრეტის საგნებსა და მოვლენებს. გონება – ყოველთვის ღრმად იჭრება არსებულში, გრძნობა კი საოცრად ძლიერი აქვს. ყველა თავისი ღირსება მწერლისა, ხელოვანისა, ოსტატისა, მოაზროვნისა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოიყენა „ოთარაანთ ქვრივში“, თითქო გრძნობდა, რომ ეს ნაწარმოები მისი გედის სიმღერა იქნებოდა ბელეტრისტიკაში.“ (12, ნაწ. II, გვ.237).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ოთარანთ ქვრივი“ იყო ილია ჭავჭავაძის ბოლო პროზაული ნაწარმოები.

2.3.5. დაუმთავრებელი მოთხრობები.

შემდგომი დროის ხელნაწერებიდან ჩვენამდე შემორჩენილია მცირე ნაწყვეტები მოთხრობებიდან „დედის ანდერძი“, „პატარა ამბავი“ და „უცნაური ამბავი“.

პ. ინგოროყვა „დედის ანდერძისა“ და „პატარა ამბავის“ შესახებ წერს, რომ:

„ეს ორი პატარა ნაწყვეტიც უთარიღია. ჩვენ მათ დაახლოებით 80-იან – 90-იან წლებს მივაკუთვნებთ, რადგან ავტოგრაფები, წერის ხასიათით, ილიას ამ დროის ხელნაწერებს უახლოვდებიან.“ (1, ტ.1, გვ.609).

„დედის ანდერძი“ სოფლის ცხოვრებას ეხება. მოთხრობილია სოფლის ერთ-ერთი ოჯახის შესახებ. დარბ გლენს, ანტონს, ახალგაზრდა მეუღლე – ბაბა-ლე, ავადმყოფობის გამო ლოვინად არის ჩავარდნილი. მათ ორი ბავშვი ჰყავთ. „კაი პატიოსანი გლენი ანტონი“ ხედავდა მეუღლის გაჭირვებას და თვითონაც იტანჯებოდა. იგი ყველაფერს აკეთებდა, რომ როგორმე მეუღლე გადაერჩინა, მაგრამ ვერ უშველა, პირიქით, დღითიდღე უარესად ხდებოდა. ილია ანტონის შესახებ წერს, რომ:

„ღვთის განგებას ანტონი ისე მოთმინებით არ ემორჩილებოდა, როგორც საწყალი ბაბალე: ამის სიტყვებში ჩივილი და სამდურავი ისმოდა.

– დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალიო! – იტყოდა ხოლმე, როცა დაუფიქრებოდა თავის უბედურებას: – შე დალოცვილო, რა დააკლდებოდა ქვეყანას, რომ ამ ახალგაზრდა დედაკაცსაც თავისი პატარა ადგილი სჭეროდა ჩემს პატარა ქონშიო. ვის რას ართმევდა, ვის რას აკლებდა, ვის რას უშავებდა, რომ აგრე და მალე დღე მოუსწრაფეო და სიცოცხლე-მოუჭარბელს ადამიანს, ჩემს ერთსულად და ერთხოცად შენგანვე ნაკურთხს, ჩემის ხელითვე შავს მიწაში მამარხვინებო. ან რა იყო შენი წყალობა, რომ მაგ დედაკაცს შემყარე, ან რა არის შენი რისხვა, რო ეხლა მყრიო.“ (1, ტ.2, გვ.470).

როგორც ვხედავთ, ეს გამწარებული კაცის ჩივილია ღმერთის მიმართ. იმ ადამიანისა, რომელსაც ამ ცხოვრებაში პირადად მას და მის ახალგაზრდა მეუღლეს არაფერი დაუშავებია.

ანტონი, „ღვთის მიმართ პირველი მოღვინარი“ ყოფილა, „ჭირში პირველ მომჭირნე“ და მის ახალგაზრდა მეუღლეს და ორ პატარა ბავშვს, ამ ცხოვრებაში, ღმერთისთვის რა უნდა დაეშავებინა?

ერთ დღეს ავადმყოფობით გამწარებული ბაბაღე, რომელიც ეტყობა გრძნობს, რომ უკანასკნელ დღეშია, მოიხმობს უფროს შვილს, რომ ანდერძი დაუტოვოს. ამ ანდერძის დასაწყისი აქვს დაწერილი მწერალს და აღარ დაუმთავრებია.

მეორე მოთხრობის, „პატარა ამბავი“, მხოლოდ მცირე ნაწყვეტია დარჩენილი. მოქმედება ხდება ქალაქში. ამ ნაწყვეტში მოთხრობილია ერთი ხნიერი ხელოსნის შესახებ, რომელიც სადამო ხანს დუქანში ქლიბით ხელში მუშაობს.

გ. ჯიბლაძე, ამ მოთხრობის შესახებ წერს:

„ავტორმა მისი მხოლოდ ძველი, გახუნებული ტანსაცმლის აღწერა მოასწრო, ცხოვრება აღარ უჩვენებია, მაგრამ სრულიად უეჭველია, ეს მოხუცი კაცი იქნებოდა მოთხრობის მთავარი გმირი, მასთან დაკავშირებული პერსონაჟებით. ილიას უთუოდ სურდა ამქრის ცხოვრება აეწერა და ის ტრაგედია ეჩვენებინა, რასაც წვრილ ხელოსნობაში ადგილი ჰქონდა.“ (12, ნაწ. II, გვ. 269).

მესამე მოთხრობის, „უცნაური ამბავი“-ს წერა ილიას დაუწყია 1893 წელს, რომელიც წარმოადგენს ნარკვევს. ჩვენამდე მხოლოდ ხუთი თავი არის მოღწეული. მოთხრობა, როგორც ეტყობა დიდაქტიკური ნაწარმოები უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ნაწყვეტში ახალგაზრდის აღზრდის შესახებ არის საუბარი.

მოთხრობის მთავარი გმირი, სოლომონი, „მეტის-მეტი პატიოსანი მღვდლის“ შვილია. ღარიბი, ნასწავლი, წესიერი, პატიოსანი პიროვნებაა. მთელ დროს წიგნების კითხვაში ატარებს. იგი ნესტიან მიწურში ცხოვრობს, მართოხელაა. მას არ შერჩა დედ-მამა და და-ძმა. იგი სემინარიაში კარგად სწავლობდა, მის დროს, მაგაზე „უკეთესად სემინარია არავის გაუთავებია“. „სხვა ქვეყანაში“ სიღარიბის გამო, 2 წლის შემდეგ, იძულებული გახდა უნივერსიტეტისათვის თავი დაენებებია. მას თავისი ფილოსოფია აქვს შემუშავებული და ამ ფილოსოფიით ცხოვრობს. იგი „უსწავლელი დიაკვნის საქმით – სოფლის მწერლის თანამდებობით კმაყოფილი იყო.“ მიუხედავად იმისა, რომ იგი ღარიბულად ცხოვრობდა, ის მაინც კმაყოფილი იყო. თავის მეგობარს ეუბნება: „რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხედავ, ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია, – ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ემოება და არა მეტსა. მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია...“

– მე კანონს ცხოვრებისას სხვას არ ვუწერ. მე ეგ ფილოსოფია ჩემთვისა მაქვს და, ხომ ვხედავ, არც არავის ვემღური, არც არავის ვემუნათები, არც

არავის შეეჩივი, ვარ ჩემთვის კმაყოფილი“. (1, ტ.2, გვ.475). როგორც ეტყობა, იგი ბუნებით გაუბედავი არის. მას სოფლის სკოლაში მასწავლებლად იწვევდნენ, მაგრამ ვერ გაბედა. რადგან იქ ბევრი ბავშვები იყვნენ. მისი მთავარი მიზანი და ოცნება იყო, რომ ერთი ბავშვი აეყვანა და ადამიანი გაეხადა. ამისთვის იგი სპეციალურად ემზადებოდა. აი რას ამბობს სოლომონი აღზრდის შესახებ:

„ბევრსა ვცდილობ წიგნით, ხილვით, თუ სმენით, რომ წვრთნა ყრმისა ვისწავლო, შევიგნო და მაგ, ჩემის ფიქრით, უუდიდეს საქმეს ისე მოვკიდო ხელი, ისე ვემსახურო. მაგ საქმის სიყვარული სემინარიდამე დამყვა და დღეს-აქამომდე ჩემს ჭკუა-გონებას მაგ საქმეს ვანდობებ. ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია. რასაც ერთი მოჰმადლებს ბავშვს, მეორემ უნდა წვრთვნას და ჰზარდოს. მე თუ ამ მიწურს დაკანებები ოდესმე თავს, მარტო მაგ საქმისათვის. დიდი გაბედავა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იღოს.“ (1, ტ.2, გვ.476).

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, სოლომონი ნამდვილი პედაგოგია ბუნებით და შეგნებით.

სოფელში, ბავშვის აღსაზრდელად სოლომონს მიიწვევენ. ეტყობა, რომ ბავშვსა და მასწავლებელს ერთმანეთი მოეწონებათ.

„ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი.

მთელი დღე ბავშვი სოლომონს აღარ მოშორებია.“ (1, ტ.2, გვ.485).

ღამით, სოლომონმა თავის უბის წიგნში ჩაწერა: „დღეს 15 მაისს 18... წლისას, ჩემი პირველი გაკვეთილი იყო. ღმერთო შენით!.. ბავშვი ძალიან მომეწონა. ძნელი დასაწყისი სწავლა-წვრთვნისა ერთს დღეს მომიხერხდა: მე და ბავშვი დავმეგობრდით. ბეწვის ხიდი გავიარე.“... (1, ტ.2, გვ.486). აქ წყდება მოთხრობა.

გ. ჯიბლაძე ილიას შესახებ აღნიშნავს:

„აჩრდილის“ ავტორი დიდი მწერალია და ასეთი კაცის ხელიდან გამოუსული ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ჩვენთვის ძვირფასია, კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანია. ეს დაუმთავრებელი მოთხრობები, ფრაგმენტები, ვარიანტები იწერებოდა იმ ადამიანის მიერ, რომელსაც ორიგინალურ მხატვრულ ტალანტთან ერთად, შემოქმედების თავისი პრინციპები ჰქონდა, რასაც ესთეთიკური სისტემა ეწოდება.“ (12, ნაწ. II, გვ.278).

II. 4. სცენები და პიესა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ცალკე უნდა გამოვყოთ კომედია „მაჭანკალი“ და „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“.

კომედია „მაჭანკალი“ არის სასაცილო, სატირულ-სიუჟეტური კომედიური პიესა.

„მაჭანკალის“ შესახებ პ. ინგოროყვა წერს, რომ:

„ილიას ეს კომედია, ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა....“

კომედია გადმოკეთებულია მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი“. კომედიის ტექსტი საკმაოდ ახლო მისდევს მოთხრობის ტექსტს: ადვილ-ადვილ მოთხრობის დიალოგები უცვლელად არის გადატანილი პიესაში....“

ეს პიესა ილიას, როგორც ჩანს, გარკვეული შემთხვევისათვის გადმოუკეთებია მოთხრობიდან. პიესის გადმოკეთების ინსპირატორი, ჩანს, იყო განთქმული მსახიობი ქალი ნატო გაბუნია-ცაგარლისა (1859–1910წ.), რომლის საბენეფისოდაც ეს პიესა დაიდგა 1881 წელს, 31 მაისს....“

ილიას ეს პიესა „მაჭანკალი“ აღარ შეუტანია თავისი ნაწერების კრებულში, რომელიც ილიამ 1892 წელს გამოაქვეყნა („ქართველთა ამხანაგობის გამოცემაში). ჩანს, ილია ამ პიესას დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, – იგი მას „კაცია-ადამიანის“ ანარეკლ ორეულად მიაჩნდა მხოლოდ. და ეს, რასაკვირველია, ასეც არის. მაგრამ მაინც ილიას გადაჭარბებული სისასტიკე გამოუჩენია, რომ მას ამ პიესის დაბეჭდვა საჭიროდ არ უცვნია.“ (1, ტ.2, გვ.600).

ვინაიდან კომედია „მაჭანკალი“ წარმოადგენს მოთხრობა „კაცია-ადამიანის“ განმეორებას, ჩვენ ამ ნაწარმოებს არ განვიხილავთ.

„გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“ ილიას დაუწერია 1865 წელს, როდესაც იგი მსახურობდა დუშეთში მომრიგებელ შუამავლად და როგორც ეტყობა ამ „სცენებში“ ილიას თავისი შთაბეჭდილებებიც დაუწერია.

პ. ინგოროყვას თქმით:

„სცენებში, უნდა ვიფიქროთ, ბევრია შეტანილი ილიას პირადი შთაბეჭდილებებიდან. ილიას, როგორც მომრიგებელ შუამავალს, თვით უხდებოდა დაკვირვებოდა ნაყმეთა და ნაბატონართა შორის შექმნილს ურთიერთობას ბატონყმობის გადავარდნის პირველ ხანებში.“ (1, ტ.2, გვ.600).

ამასვე ადასტურებს გ. ჯიბლაძე. იგი წერს:

„შეუძლებელია მკითხველმა არ იგრძნოს, რომ ეს სცენები ავტორს ცოცხალი სინამდვილიდან აუღია, მხატვრულად შეუკრავს და მათთვის მიუცია რეალური ყოფის ადექვატური ფორმა. ილია აქ თითქმის არაფერს

გვაძლევს, როგორც ფანტაზიის ნაყოფს. ყველაფერი ობიექტური რეალობიდან მოაქვს ცოცხლად და შეუფარავად..... სრულიად უეჭველია, რომ ამ ნაწარმოებში მწერალს ავტობიოგრაფიული მომენტები აქვს შეტანილი და „პოსრენიკის“ სახით მისივე უტყუარი პორტრეტია დახატული.“ (12, ნაწ. II, გვ. 148).

მეორე ადგილას გ. ჯიბლაძე წერს, რომ:

„ავტორი დრამატურგიაში სპეციალურად არ მუშაობდა, თავისთვის უმჯობესად მიიჩნევდა პროზას და პოეზიას, მათ უფრო შეეწყო, თუმცა ხელოვნების ამ დარგზე ძალიან მაღალი შეხედულებისა იყო და მას ურთულეს ლიტერატურულ მოვლენად აღიარებდა. თუ დრამაში გადაწყვეტ როლს ფაბულა და დიალოგი ასრულებს, ილიას, როგორც ხელოვანს, ორივე ახასიათებდა. ამ მხრივ მას შეეძლო პირველხარისხოვანი დრამატული თხზულებები დაეწერა (გაიხსენეთ დრამატიული პოემა „ქართველის დედა“, „კაკო ყაჩაღი“, პიესა „მაჭანკალი“), მაგრამ ინტენსიური მუშაობისათვის მწერალს ეს ჟანრი არ აურჩევია. თუმცა, რაც დაწერა, მარტოოდენ დიალოგებით შეიძლებოდა დაგვეფასებინა. წამოგვეყენებინა დებულება, რომ ილია ჭავჭავაძე დიალოგების ბრწყინვალე ოსტატი იყო როგორც პროზაში, ისე პოეტურსა და დრამატიულ თხზულებებში. დიალოგებით ძლიერია აგრეთვე „სცენები“. (12, ნაწ. II, გვ. 139).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ:

„ნ. ნიკოლაძეს ეს ნაწარმოები უთარგმნია რუსულად; თარგმანი დაიბეჭდა პეტერბურგის ჟურნალში «Изящная Литература», 1883 წელს: Сцены из времён освобождения крестьян. И. Г. Чавчавадзе. Перевод (с грузинского) Н. Я. Николадзе (№ VI, გვ. 270–296).“ (1, ტ. 2, გვ. 600).

როგორც ამ ნაწარმოების სათაურიდანვე ჩანს, იგი ეხება საქართველოში ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლებას, რომელიც მოხდა 1864 წელს. როგორც ზემოთ ვეჭონდა აღნიშნული, გლეხები განთავისუფლდნენ უძიწოდ, მათ მთავრობამ დაუტოვა პირად სარგებლობაში მიწის ძალიან მცირე ნაკვეთი, „სამი დღის“ მიწა, რათა თავი ერჩინათ. გლეხებს სახელმწიფოსათვის და მებატონისათვის გადასახადი (ღალა) უნდა ეხდათ. სინამდვილეში, გლეხი, მიწის სიმცირის გამო, იძულებული ხდებოდა მებატონისგან მიწა აეღო და იგი ისევ ისე – როგორც უწინ, მებატონის ყმად რჩებოდა. მთავრობის მიერ დადგენილებით მებატონეს, მიწის ჩამორთმევის უფლება არ ქონდა. ზოლო იმ შემთხვევაში, თუ მცირე მიწიან მებატონეს ესე იგი „სამოცი დღის მეტი“ არ

ჰქონდა მიწა, მას ორი წლის შემდეგ შეეძლო გლეხისათვის მიწა ჩამოერთმია.

სწორედ ამ საკითხის შესახებ აქვს ილიას ეს ნაწარმოები შექმნილი. „სცენებში“ აღწერილი მებატონეები ვერ ეგუებიან ამ კანონს. მათი გაგებით, თუ მიწები მებატონეებს დარჩათ, მაშინ მათ უნდა ჰქონოდათ იმ „სამი დღის“ მიწების ჩამორთმევის უფლებაც. ილიამ ამ ნაწარმოებში აღწერა და ერთხელ კიდევ დაგვანახვა ზოგიერთი მებატონის უარყოფითი სახეები და ამავე დროს ის სოციალური წყობილების უზნეობა, რომელიც იმ დროს საქართველოში ხდებოდა.

„გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“, ილია ისე აღწერს თვითეულ პირს, რომ მკითხველს სამუდამოდ ამასწოვრდება.

ასეთია ერთ-ერთი ამ მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირი გლეხი გლახა ჭრიაშვილი. იგი საინტერესო, მკაფიოდ გამოხატული სახეა გლეხისა, რომელიც გაუგებრად და გაუთავებლად ლაპარაკობს. გ. ჯიბლაძე ამ გლეხის შესახებ წერს:

„გლახა ჭრიაშვილი იმდენად კოლორიტული სახეა, რომ მის შემდეგ, რაც ილიამ იგი ლიტერატურაში შემოიყვანა, ცხოვრებაში დამკვიდრდა. დღესაც, თუ ვინმეს შევხვდებით, რომელიც გაუთავებლად ლაპარაკობს ან აზრის გამოთქმას ვერ ახერხებს, ჩვენ მის შესახებ ვიტყვიტო ხოლმე: როგორ გლახა ჭრიაშვილივით ლაპარაკობსო. ილიას ჰქონდა დიდი უნარი ისე დაეხატა ტიპები, რომ მათთვის სიცოცხლე მიეცა ლიტერატურაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ამიტომაც, რომ დღესაც თათქარიძეს ვეძახით, თუ ვინმეს ლუარსაბის რაიმე თვისება შევამჩნიეთ. დარეჯანს ვადარებთ, თუ კნეინას ნიშნები გვაგრძნობინა, ოთარაანთ ქვრივს – თუ მტკიცე ნებისყოფის, მწარე ენის, მაგრამ გულმართალ ქალს შევხვდებით.“ (12, ნაწ. II, გვ.140).

გლახა ჭრიაშვილს მთელი სიცოცხლე მებატონის ყმობაში გაუტარებია. ბატონთა მუშაობას შეაღია თავისი ახალგაზრდობა და როგორც თვითონ ამბობს:

„მართალია, წვერ-ულვაშში ჭადარა გამოძრევა, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედავთ, რომ გავეთოტოტულვარ, ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოკვრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხა აგრე მალე.“ (1, ტ.2, გვ.332).

ეხლა რაღაც საჩივრისათვის მოსულა „მიროვი პოსრედნიკთან“. მაგრამ, რისთვის და რას ჩივის, ვერავის გააგებინა. ლაპარაკობს მიკიბ-მოკიბულად,

ბოდიშობით და მოკრძალებით. თუ ვინმემ შეაწყვეტინა, ისევე თავიდან იწყებს გრძელ, მაღალფარდოვან უშინაარსო სიტყვებით საუბარს, თავისი გაგებით დალაგებულ მოყოლას. მის საუბარს არც თავი აქვს და არც ბოლო. იგი ვერავის ვერაფერს აგებინებს. მას ჰგონია, რომ „ლაპაზად იწყებს“ მაგრამ ხელს უშლიან და არ აძლევენ საშუალებას, რომ თავისი გასაჭირი თქვას. მის არაფრის მთქმელ, აღგზნებით წარმოთქმულ გრძელ მაღალფარდოვან უშინაარსო, უთავბოლო სიტყვებში, მინც სჩანს იმ დროინდელი გლეხის ჭირვარაში. მას მეტყველების უნარიც წართმეული აქვს. თუმცა მისივე თქმით „სოფელში სიტყვა-პასუხიან კაცს ეძახიან.“ მოთმინებიდან გამოჰყავს მებატონეც, გლეხიც და ბოლოს შუამავალი „პოსრედნიკიც“, რომელმაც შეაწყვეტინა გლახას საუბარი და ურჩია:

„მე შენ, როგორც გატყობ, დღეს შენის საქმის გათავებას არ აპირებ. მოდი, ერთ რასმე გირჩევ: პატარა ხანს იქით მიდევ, მე ჯერ ამათ გამოკვითხავ თავიანთ საქმეს და მერე მომიყევ შენი ამბავი. შენთვისაც კარგია, უფრო კარგად მოიფიქრებ.“ (1, ტ.2, გვ.333).

ამ ნაწარმოებში, ილიას საინტერესოდ აქვს გადმოცემული ერთ-ერთი მებატონისა და გლეხს შორის საუბარი. მებატონე უჩივის გლეხს, რომ მან რამდენიმეჯერ უთხრა გლეხს მიეცა მისთვის ზუთი თუმნის ყალანი (ბეგარა) და არ იძლევაო. გაკვირვებული გლეხი ამბობს:

„ჰაი, ჰაი, მართალია. (მებატონეს) მაგრამ, ბატონო, მაგისთვის რად შეიწუხეთ თავი. აკი მოგახსენეთ, კაკაკავს ურმები გავისტუმრე და, რა წამსაც ჩამომივლენ, მაშინვე მოგართმევ-მეთქი... მაგისთვის ჩემს სულს როგორ დაუკუძიებ. რაც თავი შემისწავლია, შენი ჭირიმი, მე ვინახავ მაგათა, მაგათის მადლით ღმერთი მეც ბლომად მამღვეს. მე ჩემს მებატონეს როგორ ვუღალატებ, ღმერთი მაგათ მაგიერ მიხდის. (მებატონეს) ბატონო, შენი ჭირიმი, რაკი ეგრეა და ძალიან გიჭირს, დღესვე ავიღებ ვალად და თქვენ კი არ შეგაწუხებთ. მეტყოდი, შე დალოცვილო, თუ ძალიან გიჭირდა და ღვთის მოღალატე ვიქნებოდი, თუ თავი ქვას არ მეხალა და არ მეშოვნა. მაგისთვის როგორ გაჩვილებდი? ვაი შენ, ჩემო თავო!.. საჩივრად საქმეს როგორ გავიხდიდი!“ (1, ტ.2, გვ.340).

შუამავალი კმაყოფილი დარჩა გლეხის ასეთი თქმით. ხოლო ერთმა მოხუცებულმა მებატონემ კი აღნიშნა: „ვინა სთქვა, – გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო. მიუქარავს, ვინც ამას იტყვის დღეის შემდეგ. კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება.“ (1, ტ.2, გვ.341).

ილიას მიერ აღწერილი ამ სცენიდან ჩანს, რომ ყველა ბატონი არ არის გამხეცებული, ადამიანობა დაკარგული და გლეხის მიმართ წამგლეჯი და გამყვლევი. ბატონსა და გლეხს შორის კარგი დამოკიდებულებაა. გლეხი გაგებით ეკიდება თავის მოვალეობას, ცდილობს ბატონს არ აწყენინოს და როგორც ადრე, ასევე ერთგულად ემსახუროს.

ილია წარმოგვიდგენს ისეთ ყმა-გლეხს, რომელსაც ისე აქვს გამჯღარი მის გონებაში ბატონისადმი მორჩილება, რომ უიმიოდ ცხოვრება მას ვერ წარმოუდგენია და როგორც ადრე იყო ისევე ისე განაგრძობს ცხოვრებას და თანახმაა, რომ ისევე ემსახუროს ბატონს.

დაახლოებით ამდაგვარივე სურათი აქვს გადმოცემული ილიას შემდეგ სცენაში. აქაც მებატონესა და გლეხს შორის კარგი დამოკიდებულებაა. მოხუცი მებატონე „პოსრენიკს“ ეუბნება:

„აი, ბატონო პოსრენიკო, პურ-მარილობა ბატონ-ყმობაშიც ყოფილა თურმე!“ (1, ტ.2, გვ.342).

ამ წარმოდგენილ სცენაში მოხუცი მებატონე არის ღარიბი აზნაური, უწიგნური, რომელმაც ხელმოწერაც არ იცის. როგორც თვითონ ამბობს, მისთვის „ერთი-ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლობისათვის დიდი რამ არის“, მას „ღარიბული პური აქვს“. მან ის მიწაც არ იცის სად მდებარეობს, რომელზედაც ლაპარაკია. მისი ნაყმევი გლეხი იაკო შაიაშვილი იძიებს „ერთ რალაც მიწას საკუთრებად“ და „ნასყიდობის ქალაღლიც“ აქვს წარმოდგენილი. შემდეგ ირკვევა, რომ ეს მიწა გლეხის პაპას უყიდნია მებატონის პაპისაგან. გაკვირვებული ბატონი ეკითხება გლეხს:

„ბიჭო და, თუ ნასყიდი იყო, ღალას რალად მაძლევი?“ და აი, იაკო შაიაშვილის პასუხი, რომელიც გამოხატავს ბატონსა და ყმას შორის ურთიერთ დამოკიდებულებას. ისინი ერთმანეთს გაგებით ეკიდებიან და მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმობა გაუქმდა, იაკო ისევე ისე თანახმაა, რომ განაგრძოს ბატონისადმი ერთგულად მუშაობა. იგი ეუბნება ბატონს:

„ბატონი იყავ და გაძლევი, მე რა წინააღმდეგობა შემიძლო. მენა და შენა იმისთანა ბატონ-ყმობა არა გვქონია, რომ ამელო თავი და სხვასავით მეჩივლა. ღალას რად გაძლევი? იმიტომ გაძლევი, რომ შენზედ მენა ჩემი დღენი არა დამკარგვია-რა. ჩვენი ბატონ-ყმობა ბატონ-ყმობა არ იყო, სესხი და ვალი იყო: მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი. ჩვენთვის ბატონ-ყმობა არ გადავარდნილა, ისევე-ისე შენ ერთგულ იაკოდ მიგულე.“ (1, ტ.2, გვ.341).

შემდეგ ირკვევა, რომ გლახმა იაკომ იმიტომ წარადგინა საჩივარი, რომ ეს „საშვილიშვილო საქმეა“, თორემ მისი თქმით:

„მენა და შენ რომ ცას შეგებერებულებოდა, მაშინ არა მენაღვლებოდა-რა, შენთან არა გამიჭირდებოდა-რა. ვინ იცის, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, რა მოხდეს? ქალაქს დამტკიცება უნდა. იქნება ტყუილიც არის, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმი! საშვილიშვილო საქმეა, ბატონო, და თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკომ ეს ქალაქი შენის ჭირის სანაცვლოდ განადგოს. ორი დღის მიწისთვის შენ დაგკარგავ?! ამ ფარატინას ჩვენს სიყვარულს როგორ დავარღვევინებ!“ (1, ტ.2, გვ.342).

პოსრედნიკი, მოხუცებულ მებატონეს წაუკითხავს ნასყიდობის ქალაქს, რაზედაც ხელს აწერს ბატონის პაპა. ამის გამგონე ბატონი გლახს მიმართავს:

„მამ რაკი აგრეა, თუნდ შენი ერთგულება და პურ-მარილიც არ მახსოვდეს, მანც-და-მანც პაპი-ჩემის ნაფურთხსაც არ ვუღალატებდი. მე, მართალია, ერთი ღარიბი აზნაურიშვილი ვარ, ერთი-ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლობისათვის დიდი რამ არი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, პაპი-ჩემის სახელს მე მჭვრად არ გავხდი. მომიცია შენთვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაი კაცობაში გამოგყენოს!“ იქვე. ვინაიდან წერა არ იცოდა, ქალაქზე ხელს სხვას მოაწერინებს და გლახს მხიარულად მიმართავს:

„წამო, იაკო, ერთი ჩვენ კაკალ ქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლალი ყმა, მტერო, არ შეგეპოვები“-თქო და სხვამ რაც უნდა სთქვას და ორივე გადიან პოსრედნიკის ოთახიდან.

ზემოთ აღწერილი ამ სცენის შესახებ გ. ჯიბლაძე აღნიშნავს:

„მკითხველი შეიძლება გაოცდეს, როცა ამ სცენას წაიკითხავს და მას სრული საფუძველი ექნება კითხვა დააყენოს: რა არის ეს? ილია ხომ არ ცდილობს ამ სცენით ის გვითხრას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბატონ-ყმობა მამა-შვილობას წარმოადგენდა, როგორც უფრო ადრე აღექსანდრე ორბელიანმა ბატონყმობა მამაშვილობად გამოაცხადა? მაშინ რა იყო მისი „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ რომლებშიც ეს ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტი სამარცხვინო ბოძზე გააკრა და მისი მოსაპობის აუცილებლობა იქადაგა? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა ილიას მხატვრული შემოქმედების მაგისტრალში და მწერალი გაორებული ხომ არ იყო იმ დროს ამ ერთ-ერთ უაღრესად კარდინალურ საკითხში?

არა, საქმე სულ სხვაგვარად, სულ სხვა ასპექტში უნდა წარმოვიდგინოთ.

თუ დავაკვირდებით, იაკოს მოხუცი მებატონე ღარიბი აზნაურიცაა, „ღარიბული პური აქვს“, ის მუხრან-ბატონი არ არის, მაშასადამე, ბრწყინვალე, მაღალ წოდებას კი არ განასახიერებს, გაჩხერილია ყმა-გლეხსა და თავად-მებატონეებს შორის, გლეხზე მაღლა დგას, რაკი ყმები ჰყავს, მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, მისი სახლობისათვის „ერთი-ორიოდ დღის მიწა... დიდი რამ არის“ ასეთი ღარიბი მებატონე, ისიც ცალკეულ შემთხვევაში, როგორც იაკოს მოხუცი მებატონეა, შეიძლება გლეხებისადმი მართლაც ლოიალური ყოფილიყო. ილია იმდენად სრულ სურათს ხატავს თავის „სცენებში“, რომ სინამდვილის ამ ეპიზოდურ ფაქტებსაც გვერდს არ უვლის. ისიც ნუ დავკვირვებთ, რომ არა ყველა ღარიბი-ბატონი, ღარიბი აზნაურიშვილი იქცევა ისე, როგორც იაკოს ბატონი. მაგალითად, ქვრივი და მისი მამა, რომლებიც აქვე არიან გამოყვანილი, გლეხებს სასტიკად ექცევიან, ლანძღავენ, ამცირებენ, ყველაფერს ართმევენ, რის წაგლეჯასაც მოახერხებენ, ამგვარად, სრულიად უეჭველია, რომ იაკოს სცენა ბატონყმობაში მამა-შვილობის ქადაგება კი არ არის ან მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში რაღაც წინააღმდეგობა, არამედ, ცალკე ეპიზოდია, ისიც სოციალურად მოტივირებული.“ (12, ნაწ. II, გვ.150).

„პოსრედნიკს“ უნდა შემდეგი გლეხის საჩივარი მოისმინოს, მაგრამ, ამ დროს შემოვარდება „მოხუცი აზნაურისშვილის ქვრივი“ და „სხაპა-სხუპით“ ყოველგვარი მორიდების გარეშე იწყებს გლეხების ლანძღვას და წყევლა-კრულვას აყრის მათ. ხოლო როდესაც შუამავალმა უთხრა, რომ რიგში ჩამდგარიყო, ვინაიდან ჯერ გლეხებს მოუსმენდა და „სიტყვა ფრთხილად იხმართო“, ამის გაგონებაზე ქვრივი სულ მთლად აიძვრა, გაბრაზდა და გაკაპასდა. ის გლეხებს „გველის წიწილებს“, „ცოდვის შვილებს“, „კახურ ღორებს“, „ძაღლებს“, „მგლებს“ უწოდებს და შუამავალზეც ბრაზდება, რომ ის ყმებს ემხრობა. გაკაპასებული ქვრივი გაიძახის:

„ვინ მოგახსენათ? მაგათ ჩემზედ წინ უნდა ილაპარაკონ, მაგათ? მაშ მე კეთილშობილის ქვრივი აღარა ვყოფილვარ, მაშ მე.... თქვენმა მზემ! აზნაურიშვილს, წინ მოვა, თუ მერე მოვა, გლეხთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს, თავადს კიდენ აზნაურთანაც. ჩვენც ვიცით კანონები, აქო და თორმეტი შკოლა არ გამოგვივლია, ასე გგონია, არა ვიცოდეთ-რა. მეფე ვახტანგის კანონი ჩვენც წავგიკითხავს. თუ ეს კანონებიც შეუცვლიათ, გამოგვიცხადეთ მაინცა.... აბა, ეხლა აგვიშენდა ჩვენ, კეთილშობილებს, ოჯახები, აი! თქვენც,

ჩვენი მიწა-წყლის შვილს, კეთილშობილის სისხლსა და ხორცს, ამათი მხარე გჭერიათ. აბა, თქვენგან რაღას უნდა მოველოდეთ?... ამ დალოცვილმა ხელმწიფემ ვთქვათ, ყმები ჩამოგვართვა, კეთილშობილება ხომ არ ჩამოურთმევია, რას გვემართლებით?“ (1, ტ.2, გვ.334).

როდესაც შუამავალი დააპირებს რომ გლესს მოუსმინოს, განრისხებული ქვრივი გაიძახის:

„მე მაგას ვერ მოვითმენ, რომ მაგან ჩემზედ ადრე საჩივარი მოგახსენოს. მე კეთილშობილის ცოლი ვარ, კეთილშობილის სისხლი მიდგა.“ (1, ტ.2, გვ.338).

ხოლო, როდესაც გლესის საჩივარს მოისმენს, რომ მის ბატონს, მისთვის მამა-პაპეულის აშენებული ვენახი ჩამოურთმევია, ქვრივი აღშფოთებული გაიძახის:

„ოჰ, დიდი რამ მომხდარა, თუ მებატონეს მაგისათვის ვენახი წაურთმევია. კარგია, რომ ეგ თითონ ძაღლზედ არ გაუცვლია. ვერ უყურებთ, რა დრო მოვიდა? რაზედ ჩივიან? აი, გვცოდნოდა, მე ვიცოდი, როგორც ძაღლის ლეკვებზედ გაგცვლიდით.... ვენახი ჰქონია და ბატონს წაურთმევია. დიდი რამ მომხდარა, თქვენმა მზემ! როგორ გაუბედნია მებატონეს!.. (გლესს) მეხი კი დაგაყარე თქვენს თავს!.. კიდევ რომ... სჩივიან. ვერ უყურებთ, ბატონზედ სჩივიან. აი სად არის ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი მაგისათვის არ გაგაწვენიებს და ფეხებიდამ თავამდე ტყავს არ აგაძრობს. კიდევ რომ სჩივის? უი, უწინამც დღე გაგქრობიათ! (პოსრედნიკს) განა მაგათ საჩივარიც შეუძლიანთ მებატონებზედ? მაგრამ რა! თქვენ მაგათი მხარე გჭერიათ და ყველაფრის ნებას მისცემთ, ვინ არის პატრონი!“ (1, ტ.2, გვ.338).

თვითონ ქვრივი, შუამავალს თავის საჩივარს მოახსენებს, რომ მის გლესს, ქალიშვილი ორი კვირის წინ გაუთხოვებია, მღვდელს ჩუმად ჯვარიც დაუწერიან, ისე რომ მისთვის არც შეუტყობინებიათ და საჩექქესაც კი არ იძლევიან. თვითონ მივარდნია, მაგრამ გლესებს გამოუგდიათ. ეხლა პოსრედნიკს სთხოვს, რომ გლესს საჩექქე წაართვან და მღვდელიც გაკრიჭონ. ხოლო, როდესაც დაინახავს იქვე მღვარ გლესს, შეუტევს შემდეგი სიტყვებით:

„რაო, რისთვის მოეთრივე, შე ძაღლის ნათრევი! აიღვით განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძაღლებს არ ვათრევი.“ (1, ტ.2, გვ.350).

ილიამ ქვრივის სახით წარმოგვიდგინა ის მებატონეები, რომლებიც ძარცვავენ და სტანჯავენ ყმებს და რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ ბატონყმობის გაუქმების გამო. ამის მკაფიო მაგალითის იძლევა გლესის სიტყვები, რომელიც ქვრივის შესახებ ამბობს:

„აღარა გვაქვს, ბატონო, ამისაგან მოსვენება. აქაო და ხელმწიფემ რად გაგანთავისუფლათო, ლამის ლანძღვითა და თრევით მთელი სოფელი აჰყაროს. ხელმწიფემ გაგანთავისუფლა, ჩვენი რა ბრალია? – და ხვეწნით მიმართავს პოსრედნიკს, – ერთი წამალი რამ დამღვეი, აგრამც ღმერთი გადღვეგრძელებდეს. ერთი ამას კი მომაშორეთ და, რაც გენებადეთ, ის მიყავი. ამის წყევლისა და ქოქვისაგან სოფელს კი ვეღარ უხეირნია და.... დღე არ გავა, ცოლ-შვილი არ დამიწიოკოს. ღმერთი გადღვეგრძელებდეს, გადამასახლეთ საითმე და ამ ჯოჯოხეთს კი მამარჩინეთ.“ (1, ტ.2, გვ.351).

გლეხის ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ რა დღეში იყვნენ ჩავარდნილები, ამ გაღარბებული თავნება აზნაურის ქვრივის გლეხები.

„სცენაში“, წარმოდგენილია კიდევ ერთი ბატონი – ქვრივის მაზლი, რომელიც წარმოადგენს გაუნათლებელ აზნაურს, რომელსაც სურს, რომ მიწა მთლიანად მას დარჩეს და გლეხი უმიწოდ განთავისუფლდეს. მისი თქმით, რახან მიწა მისია, მას ჩამორთმევის უფლებაც აქვს. პოსრედნიკის განმარტებაზე, რომ ოქმი უნდა შედგეს, სადაც აღნიშნული იქნება, თუ მიწის რა ნაკვეთი ერგება გლეხს და გლეხმა რა გადასახადი უნდა გადაუხადოს მას, ბატონს, ამის გაგონებაც არ სურს და იძახის: „თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემგან გლეხს არა ერგის-რა, და თუ იმისაგან მარგუნებთ რასმე, ეგ თქვენ იცით.... რა უნდა ერგოს ჩემს ყმასა ჩემგანა? რა ჩემი ძმა არის?... მე ჩემი ჩამაბარეთ, მაგას თავისი თავისუფლება მიეცით. აღარც ოქმი და აღარც დავიდარაბა. მშვიდობით და გამარჯვებით!“ (1, ტ.2, გვ.345).

ქვრივის მაზლი უვიცია და უცოდინარი, იგი თვითონ ამბობს, რომ „ასე გგონია შვიდი შკოლა გამეთავებინოს, ჩემს გვარს ძლივ დავწერ ხოლმე.“ ამავე დროს, მატყუარაა და ცრუობს. ყოველ ტყუილზე ქვრივს იმოწმებს და რძალიც კვერს უკრავს და უდასტურებს. ილია გადმოსცემს მათ საუბარს. ქვრივი და მაზლი, ერთი შეხედვით ერთმანეთს თითქოს პატივისცემითა და მორიდებით ექცევიან, მაგრამ როგორც კი მათთვის საწინააღმდეგოდ მდგომარეობა შეიცვლება, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, დაუნდობლად ლანძღავენ, არცხვენენ და ერთმანეთს აბეზღებენ. პოსრედნიკთან მარტოდ დარჩენილი ქვრივი, იწყებს მაზლის შერცხვენას, გაკიცხვას და დასმენას.

„სამინელი ცრუ არის ეგ წყეულ-შეჩვენებული. არ გამომცხადებიაო! სტყუის, თქვენმა მზემ, გამოსცხადებია კიდევ და ყველაფერი. მაგისაგან გლეხკაცებს მოსვენება არა აქვთ. მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევინებდი, ერთი ბუნტი კაცია, ავის პირის პატრონი.... ეგ, სწორედ მოგახსენო, ქურდიც არის, საციმბირა.“ (1, ტ.2, გვ.349).

როგორც ვხედავთ, ამ მებატონეებს, ქვრივსა და მის მაზლს, ადამიანობის ყოველგვარი სახე დაკარგული აქვთ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ და ამისათვის არ ერიდებიან არც სიცრუეს, პირფერობას, მუხანათობას და დაბეზღებას. ამ ორივე მებატონეს არ გააჩნიათ არც სინდისი და არც ზნეობა.

გ. ჯიბლაძე ამათ შესახებ წერს, რომ:

„ასე გვიხატავს ილია ჭავჭავაძე მებატონეებს და ასე აკრავს მათ სამარცხვინო ბოძზე.“ (12, ნაწ. II, გვ. 155).

გ. ჯიბლაძე ქვრივსა და გლახას ჭრიაშვილს ერთმანეთს უპირისპირებს და წერს, რომ:

„როცა ერთმანეთს ადარებთ ქვრივსა და ჭრიაშვილს, თქვენ აშკარად ხედავთ, მიუხედავად ბატონყმობის ულელში მონობისა, თუ რამდენად მალლა დგას, როგორც ადამიანი, სწორედ ეს გლახა, ვიდრე კაპასი აზნაური დელაკაცი.“ (12, ნაწ. II, გვ. 158).

მას მოჰყავს, ფილოლოგის, ისტორიკოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ხახანაშვილის (1864–1912) სიტყვები:

„ეს საწყალი გლეხი (ჭრიაშვილი – გ.ჯ.), რომელიც ზნეობით და თავდაჭერით მაინც აზნაურიშვილის ქვრივს სჭარბობს, მეტის თანაგრძნობის ღირსია.“ (12, ნაწ. II, გვ. 158).

„გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“ ერთ-ერთი ლიტერატურული ქმნილებაა, სადაც ილია ჭავჭავაძემ ასახა მაშინდელი დრო და სოციალური მდგომარეობა.

* * * * *

როგორც ილია ჭავჭავაძის ზემოთ დასახელებული ნაწარმოებების განხილვიდან დავინახეთ, მან შესანიშნავად დაგვანახა მაშინდელი დამოკიდებულება ბატონსა და გლეხს შორის, რომელიც უფრო მკვეთრად გამოხატა არა ერთ წერილში.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა და მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ვინაიდან საქართველო წარმოადგენდა რუსეთის კოლონიას და ის იყო მოქცეული რუსეთის იმპერიის მარწუხებში, რომელიც ცდილობდა ერის გარუხებას, და მის როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად განადგურებას, და რაც მთავარი იყო, ამას კიდევაც ანზორციელებდა, ამიტომ საჭირო იყო ჩვენი თავის გადარჩენისათვის, საქართველოში მცხოვრებ და მომქმედ ყველა წოდების, ანუ კლასის, და პირველ რიგში თავადაზნაურობასა

და გლეხობას უნდა ეცადათ და გამოენახათ რაიმე საშუალება, რომ ერთად ებრძოლად მოზღვავებულ აგრესიის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე კარგად ხედავდა თუ რას წარმოადგენდა ბატონყმობა საქართველოში და რა დამოკიდებულება იყო ბატონსა და გლეხს შორის.

წერილში, „კავკაზი“-ს წერილის გამო“, იგი წერს:

„ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია. იქ ბევრი თავისტენა არ უნდა, რომ კაცმა მართალი იპოვოს, და იმ მართლის კვალობაზედ ყველას თავისი მიუწყას. სულ სხვა ამბავია, როცა, საუბედუროდ, ერთს ხელში მიწაა და მეორეში შრომა, განცალკევებული, განთვითეულებული და ამ სახით შეუქმნია დამოკიდებულება. აქ, თუ გნებავთ, უსამართლობა თვით სათავეშია.

ხოლო ამაზედ ჩვენ სხვადასხვა მიზეზების გამო არა გვეთქმის-რა, ბევრიც რომ გვინდოდეს.“ (1, ტ.6, გვ.137).

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ზევით დაინახეთ, ნაწარმოებებში და არა ერთ წერილებში გაუკრიტიკებია, ეგრეთ წოდებული მაღალი ფენის საზოგადოების წარმომადგენლები. წერილში, „ჩვენი საზოგადოების ფიზიოლოგია“, რომლსაც წამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები: „Нет, нет! нигде приюта нет!“, შემდეგ-ნაირად ახასიათებს „დიდი კაცისა“ და „პატარა კაცის“ დამოკიდებულებას:

„ის დიდკაცობა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ. ისინი, მართალია, ცხოვრობენ და შურსა მოჰგვირან ხოლმე ღარიბსა, რომელიც ოფლით შობს ლუკმასა, მზესთვის ვერ შეუხედნია, იმიტომ რომ თუ თავის საქმეს თვალი მორიდა, შიმშილით სული ამოუვა. მაგრამ ნუ გშურს, ღარიბო! შენი ძონძები, შენი ცრემლში ამომბალი ლუკმა, გამხმარი პური, ირჩიე იმათ ბრწყინვალეებასა. შენს ოფლით ჩამწვარ თვალებზედ და მზემოკიდებულ სახეზედ ის მანც ჩანს, რომ შენ მოცლა არა გქონია, რომ შენს კაცობაზედ გეფიქრნა, გონება გაგეხსნა, გული გაგებობ; იმათ ეგეც არა აქვთ.“ (1, ტ.3, გვ.470).

მ. ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დახასიათებისას წერდა:

„ცხადია, ილია ჭავჭავაძემ მხატვრული ლიტერატურა მშვენიერ საბრძოლველ იარაღად გამოიყენა. ვგონებთ, იშვიათი პუბლიცისტური სტატია შესძლებდა იმ დროს ისე მკვეთრად, გაბედულად, მქუხარედ დაეთრგუნა ბატონ-ყმობის

უმსგავსოება, როგორც შესძლეს კაკოს, ზაქროს მხატვრულმა სახეებმა და, თითქოს შემთხვევით შემოტანილმა, ხალხის გულის და მხურვალე მაჯის ცემის ცოცხალმა ასახვამ არსენას სახით. განა იმ დროს სხვა გზით ამაზე მძლავრად შეეძლო კაცს გადმოეხროლა ბატონ-ყმობის სქელი კედლით შემოზღუდულ ქვეყანაში ბატონ-ყმობის უარყოფა? განა შეიძლებოდა უფრო მკვეთრად და ღია ფერადებში გადმოეცათ გლეხ-კაცის უუფლებო, მონური დამოკიდებულება ბატონისაგან?....

მამასადაძე, ის, რაც ვერ შესძლო „საქართველოს მოამბემ“, რომ პირდაპირ ეთქვა და აღნიშნა „თანამედროვეობის მტკივნეული საკითხი, სწორედ შესძლო ამავე „საქართველოს მოამბეში“ მხატვრულმა ლიტერატურამ.“ (26, გვ.131).

მეორე ადგილას, მ. ზანდუკელი განაგრძობს ილიას შესახებ მსჯელობას:

„განა „კაცია-ადამიანისთან“ მძლავრი სატირა და აღშფოთება ბევრი დაწერილა და გამოთქმულა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? განა ასე მკვეთრად ჩვენს მწერლობაში, პუბლიცისტური იქნებოდა, თუ მხატვრული, დანიელ ჭონქაძის გარდა, ვისმე უჩვენებია, რა საშინელებამდის მიიყვანა ბატონ-ყმობამ „კაცი ადამის ტომისა და მამულის პატრონი?“ და ეს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ უნიჭიერესი გვრგვინვა განა „საქართველოს მოამბეში“ არ გაისმა? და განა ეს არ იყო თანამედროების უძლიერესი გამოძახილი, რომელმაც ფერიცა და ხორციც ძლიერი, მიმზიდველი, ცხოველი და ძარღვიანი მისცა „საქართველოს მოამბეს?“ ამაზე მეტი განა შესაძლებელი იყო იმ ცენზურის და საერთოდ იმ უხანობის პირობებში?.....

„საქართველოს მოამბე“ სწორედ იმისათვის აღარ გამოვიდა შემდეგი წლიდან, რომ მან არამც თუ სცადა ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება (ე. ი. ბატონყმობის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა), არამედ იგი საშინელი სინამდვილის გატიტვლებით, დაურიღებლივ, მკვეთრად გამოაჩინა მხატვრული შემწეობის შემწეობით.“ (26, გვ.147).

როგორც ზემოთ დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებდა არა მარტო მაღალი წრის წარმომადგენელთ, არამედ იმ გლეხებსაც, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამავე წოდებიდან იყვნენ გამოსულნი და სხვადასხვა გარემოების წყალობით გახდნენ ახალი მებატონეები, უფრო უარესად ეპყრობოდნენ თავისიანებს, ვიდრე ძველი ბატონები. წერილში, „ნუთუ?“, მწერალი აღნიშნავდა:

„ვის არ მოეხსენება, რომ როგორც თავად-აზნაურობაში, ისეც გლეხკაცობაში ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის

ბეზლობა არ დაეფიცება თითო-ორიოლა უნამუსო კაცს, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი.

ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ასე გამწვავებულია საქმე წოდებათა შორის.“ (1, ტ.9, გვ.275).

ილიას თქმით, ზოგიერთმა გლეხმა, სხვადასხვა ხერხებით, შესძლო როგორც მიწების, სიმდიდრის და რაც კიდევ უფრო უარესია, ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ესენი გლეხების უმწეო, უღონო მდგომარეობით სარგებლობენ და მათ ხარჯზე, მათი ძარცვით, ცბიერებით და უპატიოსნო ხრიკებით მდიდრდებიან. ესენი გახდნენ ახალი მემამულეები, ახალი მეპატონოები და ორივე, როგორც ძველი, ასევე ახალი მემამულენი, ორივე მჩაგვრელები, ორივე ერთი საზოგადოების წარმომადგენლები არიან.

წერილში, „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, მწერალი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს, „უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისას ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფენი განსაკუთრებამ და კომლუელობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთ შორისაც. არიან ეხლა იმისთანა კომლუენი გლეხთა შორის... რომელთაც თავისის ხიზნები ჰყავთ, ყმებზედ უარესად შეწუხებულნი. არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსასი დღის სამსოფლო მამულეები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან და საით წავიდნენ.“ (1, ტ.4, გვ.178).

ილია ჭავჭავაძეს, ბატონყმობის გაუქმების რეფორმა, რომელიც ჯერ რუსეთში 1861 წელს, ხოლო საქართველოში 1864 წელს გამოცხადდა და ჩვენთან, მისი ცხროვებაში გატარება 1871 წლამდე გაგრძელდა, არ მოსწონდა. რადგან სინამდვილეში, მიწა, ისევე ფეოდალებს დარჩათ. ხოლო გლეხი, მართალია იურიდიულად კი განთავისუფლდა ბატონისაგან, მაგრამ ის მაინც ბატონს დაექვემდებარა. ეკონომიურად გაჭირვებული გლეხი იძულებული გახდა ისევე ბატონისთვის მიემართა და იმისთვის ემუშავა, მისი მიწა დაემუშავებინა. როგორც ილია გადმოგვცემს, მემამულეს მიწა ჰქონდა, მაგრამ მისი დამუშავება არ შეეძლო, ხოლო გლეხს მიწა არ ჰქონდა, მაგრამ მისი დამუშავება შეეძლო. ამიტომ მიწის მფლობელი იძულებული გახდა გლეხისთვის მიწა დაეთმო დასამუშავებლად, გლეხს კი ამის საფასურად ღალა უნდა გადაეხადა მიწის მფლობელისათვის, რომ თავისთვის შემოსავლის მცირედი ნაწილი მაინც დარჩენოდა.

მწერლის აზრით და მოთხოვნით, საჭირო იყო მიწისმფლობელის უფლე-

ბების შეზღუდვა, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დარჩა. საჭირო იყო ისეთი კანონის შემოღება, რომელიც შესძლებდა პირადი საკუთრების, ესე იგი კერძო საკუთრების შეზღუდვას. რომლის შემწეობითაც, მიწის მფლობელს იძულებით ჩამორთმეოდათ მიწის ნაწილი, ან მთავრობის მიერ შეესყიდათ ეს მიწა და გადაეცათ გლეხისთვის მოსახმარად. ასეთი წესი შემოჰქონდა ხიზნობას. წერილში, „ხიზნების საქმე“, იგი წერს:

„საზღვარ დაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ-ცალკე. განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს – მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკეებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ რომ, ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ – მიწა უმუშახელოდ.

აი სწორედ ამ გარემოებამ, ამ მდგომარეობამ შეახვედრა ერთმანეთს მამულის პატრონი და მუშაკი, მიწათმფლობელი და მიწათმოქმედი. აი სწორედ ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო მიწათ-პატრონი და მუშაკაცი ერთმანეთს შეკყროდნენ და მოპრიებოდნენ, ერთს ის მიეცა მეორისათვის, რაც თითონ არა ჰქონდა, თორემ მიწაც უქმად დარჩებოდა და ხელიცა. თქმა არ უნდა, თითონ მორიგება შესაძლო იყო მართო იმ პირობით, რომ საკუთრების კერძო, პირადს ელემენტს დაეთმო რამ ზოგად ელემენტისათვის.

სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველგვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ქვეყნიერობაზედ. ამაშივეა სათავეც და დასაწყისი ხიზნობისა ჩვენში. ხიზნობაში, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ერთგვარი სახეა სხვისა მიწის ხმარებისა, გაძლიერება საკუთრების ზოგადის ელემენტისა მეტად ცხადად და თვალსაჩინოდ გამოითქვა. ამ სახით, თუ გადამეტებული გაუფლება საკუთრების პირადის ელემენტისა გამოისახა ბატონ-ყმობაში, ზოგადმა ელემენტმა თვისი ადგილი და ბინა მოიპოვა ხიზნობაში.“ (1, ტ.6, გვ.142).

რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონები, იჯარით მიწის ალებისა და გაცემის შესახებ, ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელი იყო, რადგან ჩვენი გლეხი, „რომელიც სუნით ეტებს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით ალება ცხოვრებასავით ენატრება“, ვერ იგებდა თუ როდის იყო დანიშნული და რომელ დღეს ტარდებოდა მიწის შესახებ ვაჭრობა. ეს ცხადდებოდა მხოლოდ რუსულ გაზეთებში. ამიტომ ამ მიწებს, ძირითადად „ჩალის ფასად“ იძენდნენ მხოლოდ ქალაქელები და ამის გამო „ქალაქელებს მამულები უცილებლად რჩებათ“. ხოლო „გლეხკაცობა, ესე იგი ისინი, ვინც

მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირდაპირი მომქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის.“ (1, ტ.5, გვ.104).

ილია ჭავჭავაძის ნაშრომებისა და წერილების განხილვისას, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი სასტიკად აკრიტიკებდა ბატონყმობის გაუქმების რეფორმას. მას მიაჩნდა, რომ ამ პროექტში წარმოდგენილი გაუგებარი და ბუნდოვანი საკითხები, უნდა დახვეწილიყო და თვით ეს პროექტი თხოულობდა დამუშავებას, რომ უფრო სრულყოფილი გამხდარიყო; ჩვენი მეცნიერების და კერძოდ ტ. სართანას გადმოცემით, მას დაუწერია „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე“, რომელიც 1864 წლის 6 მაისს განსახილველად წარადგინა ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალმა, იმ დროს თბილისის მოსამართლემ, ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძემ (1830–1897).

ტ. სართანას მოჰყავს „კრიტიკულ შენიშვნებიდან“ ადგილები:

„კრიტიკულ შენიშვნებში“ ილია ჭავჭავაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს საგლეხო რეფორმის პროექტს და ზოგიერთ ადგილას სასაცილოდაც კი იგდებს მას: „... 95-ე მუხლში, – ამბობს ილია, – სადაც ლაპარაკია ნადირობის უფლებაზე, მოცემულია ძალიან სასაცილო წესები, რომელიც გლეხებში არა მარტო სიცილს გამოიწვევს, არამედ საშინელ გაოცებასაც. გლეხები ვერასვხით ვერ გაიგებენ, რანაირად შეიძლება, რომ მათს სარგებლობაში იყოს მიწები და უფლება კი არ ჰქონდეთ ინადირონ ამ მიწებზე მაშინ, როდესაც ბატონყმობის დროს ასეთი უფლება ყოველთვის ჰქონდათ... სწორედ ასევე არ შეიძლება წავართვათ მათ თევზის ჭერის უფლება. ახალი დებულება მოვალეა, კი არ შეამციროს, არამედ გააღიძოს ბატონყმური ურთიერთობით შევიწროებული გლეხების უფლებები.“

„საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მიექცეს ილიას კრიტიკულ დამოკიდებულებას საგლეხო რეფორმის პროექტის ბუნდოვნებაზეც. იგი ამბობს, რომ საჭიროა ამ დოკუმენტის დახვეწა და გაწმენდა ბუნდოვანი გამოთქმებისაგან. “... რომლებიც სრულებით არაფერს არ განსაზღვრავენ და თავგზას კი აუბნევენ ყველას, ვისაც ამ კანონთან საქმე ექნება“. „ჩემის ფიქრით, – ვკითხულობთ იქვე, – როცა ჭეშმარიტება არაა, შეცდომებს ვერ ავიცდებით. ამ საქმეში (საგლეხო რეფორმის პროექტში – ტ. ს.) არ არის ჭეშმარიტება, მამსადამე, უნდა იქნეს შეცდომა, რომელიც დაფუძნებულია ბუნდოვნებაზე, რათა ჭეშმარიტება დაიფაროს“. (11, გვ.169).

რაც მთავარია, ამ პროექტში წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხები ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი იყო. რადგან, ილიას თქმით:

„ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვართობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშერდომს მისი სატიკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი აკარგებლობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს.“ (1, ტ.6, გვ.39).

ილიასთვის მთავარი იყო, რომ ბატონობის გადავარდნის შემდეგ, ისეთი წყობილება შექმნილიყო, რომ საქართველოს მასაზრდოებელ ძალას, გლეხს, არსებობის საშუალება ჰქონოდა და რომ იგი „მიწის პატრონად შექმნილიყო.“

ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ილია ჭავჭავაძე როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე პუბლიცისტიკაში, ერთსა და იმავე მიზანს ისახავდა, და ეს მიზანი იყო საქართველოს, მისი მამულის დახსნა რუსეთის იმპერიის მარწუხებიდან.

თავი მეცამე. ილია ჭავჭავაძე და თარგმანები.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც თითქმის ყველა დარგის სხვადასხვა საკითხებში, თარგმანებშიც, ლიტერატურული შემოქმედების ამ დარგშიც, თავისი კვალი დაამჩნია.

თავის პირველ კრიტიკულ წერილში, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შემოილი“-ს თარგმანზედა“ ეხება რა თარგმნის საკითხებს, წერს, რომ „კარგი თარგმანიც სასარგებლოა.“

ილია ჭავჭავაძე აცხადებს და თხოულობს, რომ თუ თარგმნი, უნდა თარგმნო ისე, რომ უნდა გაითვალისწინო იმ ქვეყნის ხასიათი, ზნე-ჩვეულება, თვით მწერლის ნაწარმოების ყველა ის „მშვენიერება“, „სული“ და „ბგერა გულისა“, რითაც სულდემულობს როგორც თვითონ მწერალი, ასევე მისი ნაწარმოები. ამავე დროს უნდა იცოდე, ზედმიწევნით კარგად, შენი საკუთარი ენა.

ლიტერატურათმცოდნე და მწერალი პლატონ კეშელავა (1893–1963) წერს, რომ: ჟურნალ „ივერიაში“, „დიდი ადგილი ეთმობოდა თარგმანებსაც. ილიამ ბევრი რამ თარგმნა და გამოაქვეყნა. იგი თარგმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, რომელნიც, როგორც ორიგინალური, ისე ეხმაურებოდნენ მაშინდელ საქართველოს სინამდვილეს. ამით დიდი ილია ორ საქმეს აკეთებდა. პირველი – ქართველ მკითხველს აცნობდა საზღვარგარეთის ლიტერატურას და მეორე – თვითონ ქართველი ხალხის შემეცნებით ჰორიზონტს აღრმავებდა და აფართოვებდა.....

თვითონ ილიასაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის თარგმნილი ნიმუშებით გამდიდრებაში.“ (31, გვ.387).

ილია მკაცრად აკრიტიკებდა პოეტისა და მთარგმნელის ივანე კოზლოვის (1779–1840) თარგმანს. ი. კოზლოვის მიერ ფრანგი პოეტის ანდრე შენიეს (1762–1794) თარგმნის შესახებ, ილია აცხადებს, რომ მის თარგმანში „ცხადად არ ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდვილო და ნადვილი ბგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოჰზიბლავს ხოლმე კაცსა.“ (1, ტ.3, გვ.8).

ილია აკრიტიკებდა კოზლოვის მიერ პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის (1798–1855) „ყირიმის სონეტების“ თარგმანსაც:

„ეგ სონეტები, ეგ უკეთესნი ყვაილნი პოეზიისანი, – რა-რიგ უსულდემულო, უსურნელო ყვაილებად შეიცვალნენ კაზლოვის თარგმანში! არამც

თუ კაზლომა [არ] შეარჩინა მიცკევიჩის სონეტებს ფორმა სონეტისა, არამედ არ შეარჩინა თითქმის არც ის მშვენიერი სურათნი, რომელშიაც ისე ნათლად გამოხატავენ წუთის გრძნობანი იმ სახელოვან პოლშელ პოეტს.“ იქვე ასევე მკაცრად აკრიტიკებს ილია კოზლოვის მიერ ჯორჯ ბაირონის (1788–1824) თარგმნასაც. იგი წერს:

„მაგრამ სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეზი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!“ (1, ტ.3, გვ.9).

ამავე დროს ილია მოითხოვდა ისეთი მწერლებისა და ლიტერატურის თარგმნას, რომლებიც და რომელნიც ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო იქნებოდა. იგი წერდა:

„მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ....“

მართლა-და საკვირველია! თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კაზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდეში მაინც არ ამოურჩივა თავად ერისთავს. ეს „შემლილი“ – მართლა, რომ შემლილი – რა სათარგმნელია?“ (1, ტ.3, გვ.12).

ილია ჭავჭავაძე თარგმნისას, მოითხოვდა საკუთარი ენის ცოდნას. იგი მკაცრად აკრიტიკებს თავად პოეტსა და მთარგმნელს რევაზ ერისთავის (1827–1899) თარგმნას და თავისი მოურიდელები პირდაპირობით წერს:

„მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი – როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს.“ (1, ტ.3, გვ.15).

ილია ჭავჭავაძე წერილში, „ქართული თეატრის“ – შესახებ, რომელიც დაწერა 1886 წელს წერს, რომ დღეს ჩვენ სათეატრო თხზულებანი არ გაგვარჩნია. იგი განიხილავს უცხო ენებიდან თარგმნილსა და გადმოკეთებულ ნაწარმოებებს და ამბობს, რომ უმრავლესობა ამ ნაწარმოებებისა „უღირსია“. შემდეგ განაგრძობს:

„ჩვენ ერთი რამ გვაქვს სათქმელი.

რაკი კაცი იცლის სხვა ენებიდამ თხზულების გადმოღებასა და გადმოკეთებისათვის, რაკი ამაზედ მიიზიდა მისი ხალისი და რაკი ამისათვის შრომა და ჯაფა იტვირთა, რატომ იმისთანა სათარგმნელს, თუ გადმოსაკეთებელს არა ჰკიდებს ხელს, რომელიც სულის მარგებელიც იყოს და ხორცისაც. აი

რა გვაკვირებს ჩვენა. ამის მიზეზს გამორკვევა უნდა. რომ ვსთქვათ, – სხვა ენებზედ კარგი თხზულებანი არ არის და ამას დავაბრალთ უხეირობა ნათარგმნისა, აშკარა ტყუილი იქნება. ასარჩევად ამ შემთხვევაში მეტად დიდი და გადაშლილი მოედანია. რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ინგლისური სათეატრო თხზულებანი იმდენია, რამდენიც კი შესაძლოა ადამიანის ხარბმა გულმა ინატროს და დაიტივოს. თქმა არ უნდა, რომ ამ უხარმაზარ თხზულებათა ხვაეში ბევრი კარგია და ბევრი ცუდი. ჩვენი მთარგმნელი სათოფე ნადირსავით გაისისწვრივებს ხოლმე, ივლის, იცლის და ზედ კი წააწყდება მარტო ცუდსა, უფერულსა, რომელიც არც სააქოსა და არც საიქოსი. თავის გასამართლებლად დაუყინიათ, სასაცილოა და იმიტომ ვთარგმნეთო. განა თავი და ბოლო სათეატრო თხზულებისა მარტო სიცილია და სხვა არაფერი?!” (1, ტ.3, გვ.117).

ეხება რა, სასცენო ხელოვნებას, ილია წერს, რომ:

„ჩვენმა ქართველმა სცენამ“, უნდა გვაჩვენოს „ჩვენი ცხოვრების ხატი“, ზნე-ჩვეულება და ხასიათი. ყველა ერს გააჩნია თავისი ზნე-ჩვეულება და ხასიათი. ამიტომ, როდესაც თარგმნის და მით უმეტეს გადააკეთებს ნაწარმოებებს მთარგმნელი, მან ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს. შემდეგ, ილია განაგრძობს:

„ამიტომაც, როცა სასცენო ხელოვნება სხვისის ცხოვრების ხატსა ჰკიდებს ხელს ჩვენს სცენაზედ გადმოსატანად, ორში ერთი უნდა იქონიოს სახეში: ან იგი, რომ სხვისი ცხოვრება, ხასიათს თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული, გვაცოდინოს ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად, ან იგი, რომ მარტო აზრი, საგანი აიღოს, თუნდა მთელი აგებულებაც პიესისა, ოღონდ იქ კი, საცა სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვიხდება, გვეუცხოვება, – იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენის ცხოვრების ვითარება ჩააყენოს. ამით უცხო ხატი სხვისის ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდაიქმნება, და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი. პირველ შემთხვევაში ნაშრომს თარგმანი ჰქვია და მეორეში – „გადმოკეთებული“. გადმოკეთებას სხვა აზრი არა აქვს, სხვა არავითარი საბუთი არა აქვს, თუ არ იგი, რაც ჩვენა ვთქვით ამის შესახებ.

გადმოკეთებულს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო, მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელს. გადმოკეთებულს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს, და ამას გარდა თვითმოქმედი

ძალიც შემოქმედობისა. იმიტომ რომ საგნადა აქვს იგი ხატი კი არა, რომელიც მზად გამოსახულია პიესაში და რომელსაც მარტო გადაღება-ლა უნდა, არამედ იგი, რომელიც პიესაში არ არის და ახლად შექმნა სჭირია, რომ ჩვენის ცხოვრების ხატად გვეჩვენოს... გადმოკეთებას უფრო დიდი აბრუ აქვს და ამ აბრუს დაკუთვნებაზედ ბევრი უსაბუთოდ ხელს აწვდის ზოლმე.“ (1, ტ.3, გვ.125).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა მთარგმნელებს, რომ მათ ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო უცხო ლიტერატურა ეთარგმნა. ასევე თხოვლობდა ქართველი მწერლების ნაწერების თარგმნასაც. ერთ-ერთ, 1883 წელს, პეტერბურგიდან ნიკო ნიკოლაძისადმი გამოგზავნილ წერილში წერს: „აქ ხერხიანი მთარგმნელი არავინ მოიძებნება.... თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება, ჩვენი მწერლების ნაწერები რუსულს ჟურნალებში დაიბეჭდოს. მაგრამ ჭირი ეს არის, მთარგმნელი ვინ იქნება. კიდევ თქვენ თუ იშოვით მანდ, თორემ აქ არავინ მეგულება.“ (1, ტ.10, გვ.47).

როდესაც ილიამ გაიგო, რომ ცნობილმა ინგლისელმა მთარგმნელმა, ქართული კულტურისა და მწერლობის დიდმა გამავერცელებელმა, მარჯორი სკოტ უორდროპს (Wardrop) (1869–1909) გადაუთარგმნია მისი „განდეგილი“ ინგლისურად, გახარებულმა 1894 წელს მისწერა მას წერილი:

„დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახლოდ მიმჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს – ბარბაროსებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებით და მოგინებებით თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა.

ამიტომაც გადალება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადალება ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატურისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძაღღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მაღლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექმნება.“ (1, ტ.10, გვ.138).

1872 წელს, დავით ერისთავისათვის გაგზავნილ წერილიდან ირკვევა, რომ თვითონ ილიას გადაუთარგმნია მისი „გამოცანების“ პირველი და მეორე ლექსები. ილია წერს:

„ძმო ღათიკო! შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე. ზოგიერთი ხანა ძალიან კარგად არის ნათარგმნი. მაგალითებრ: 1)პირველი ოთხი სტრიქონი IV გამოცანისა, 2)პირველი რვა სტრიქონი VI-სა, 3)მერვე გამოცანა უკანასკნელ სტრიქონს გარდა მშვენივრად არის ნათარგმნი, 4)პირველი ოთხი სტრიქონი III-სა და 5)პირველი რვა სტრიქონი V-სა.....

აბა ჩემი ნათარგმნიც ნახე, ჭაშნიკად გიგზავნი.

I

Он плешив и усасть,
Руколиз и бас густой,
Хоть и карлик, а забьяка
С бестолковой головой.

Мал он ростом, но ведь важен,
Во всем прочем, остальном,
На дела родного края
Ему плюнуть нипочём.

II

Франтик он, да и пролаза,
Мал тож ростом, худощав,
Клювонос он, вечно хмурый,
Нелюдим и крутонрав.

В нем истерлись ум и сердце,
Праздно дремлет в мире сем,

И ему не дело края

Плюнуть также нипочем. “ (1, ტ.10, გვ.35).

ილიას მიერ ამ ლექსების რუსულად თარგმანის შესახებ, პ. ინგოროყვა წერს:

„ეს თარგმანი ერთადერთი მაგალითია ილიას რუსულ ლექსებისა... ამ მაგალითებიდან ვხედავთ, ილიას რუსული ლექსის ფორმა ძლიერ სუსტად ეხერხებოდა.“ (1, ტ.1, გვ.389).

ილია ჭავჭავაძის წერილების გაცნობის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმნა მეტად საპასუხისმგებლო და ურთულესი ლიტერატურული დარგია. მთარგმნელმა უნდა იცოდეს ზედმიწევნით კარგად საკუთარი ენა და ის ენაც, საიდანაც ითარგმნება ესა-თუ ის ნაწარმოები. ამავე დროს მთარგმნელმა უნდა შეისწავლოს თვით მწერალი, ესე იგი მისი ლიტერატურული ენა, მისი ნაწარმოების მუსიკალურობა, მისი ბუნება, მისი ხასიათი და თვით მისი სული. მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს მწერლის სტილისტიკის, პოეტიკის, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიური შეხედულებები და ამავე დროს ეროვნული დამახასიათებელი თავისებურებანი.

ზევით აღვნიშნეთ, რომ პირველი ლექსი, რომელიც ილიას გადაუთარგმნია, არის „ჩიტი“. პ. ინგოროყვას თქმით, ეს ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1856 წლამდე. პირველ ხელნაწერში მისი სათაური ყოფილა „პატარა ჩიტი“. იგი მწერალს გადაუშუშავებია და 1857 წლის „ცისკრის“ საახალწლო ნომერში გამოქვეყნებულა.

ავტოგრაფში, ყრმობის დროინდელ ლექსებში და მათს შორის „ჩიტიშიც“ „დარღვეულია ელემენტარული მოთხოვნილებანი მეტრისა და რიტმის; სტილიც სრულებით ბავშვურია... ჩაწერილია ბავშვური, სრულებით დაუშუშავებული ხელით და მართლწერითი შეცდომებით.“ ამავე დროს „დაცულია ილიას კლასიკური მართლწერა.“ (1, ტ.1, გვ.488).

ჩვენთვის ლექსი „ჩიტი: საინტერესოა იმით, რომ უკვე იგრძნობა ილიას ლტოლვა თავისუფლებისაკენ. ლექსის ავტორი უცნობია.

„ყოვლთ უწინარეს მე გავიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვკრავ, რა თვალს ვახილებ,
დავჰკრავ, დავუშტვენ, ღმერთსა ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგიჟებ...“

მიყვარს ზაფხული მწვანით შემკული,

ვცელქობ და ვფრინავ გახარებული,
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის მოცემული
და საფრენად ცა განათებული;

ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
გინდ მიმინო და გინდ შევარდენი...
გარნა მიჭერენ მცირის მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.“ (1, ტ.1, გვ.227).

როგორც ცნობილია, პეტერბურგში, სტუდენტობის ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძე დაეწაფა როგორც საზღვარგარეთის, ასევე რუსულ ლიტერატურასაც. ამავე დროს, ილიას ხელი მიუყვია მხატვრული ლიტერატურის თარგმნისთვისაც.

მის მიერ არის გადათარგმნილი თითო ლექსი:

ლექსის „ბედა მქადაგებელი“-ს, ავტორად ილიას შეცდომით მითითებული ჰყავს „გეტე“ (გოეთე), შემდგომში დადგინდა, რომ მისი ავტორი ყოფილა რუსი პოეტი იაკობ პოლონსკი (1819-1898);

მწერალ ვალტერ სკოტის (Scott) (1771–1832), უსათაურო ლექსი „რა ტკბილ არს“...;

გერმანელი დრამატურგის, პოეტის, ისტორიკოსის, ხელოვნების თეორეტიკოსის, გერმანიის განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენლის, ფრიდრიხ შილერის (Schiller) (1759–1805) „ცრემლთა შინა ნუგეში“;

ფრანგი პუბლიცისტისა და პოეტის ანდრე შენიეს (Chenier) (1762–1794) უსათაურო ლექსი „ზღვათა მფლობელის“...;

ინგლისელი პოეტ-რომანისტის ტომას მურის (Moore) (1779–1852) „ირლანდიისადმი“;

გერმანელი პოეტის, დრამატურგისა და მთარგმნელის ფრიდრიხ რუკერტის (Ruckert) (1788–1866) ორი ლექსი, უსათაურო „ჩრდილნი მაღალ მთებისა“ და „კართა თანა“;

სამ-სამი ლექსი: ინგლისელი პოეტის ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონის (Byron) (1788–1824) „სტიროდეთ“ და ნაწყვეტები: „კაენი“-დან და „მანფრედი“-დან;

გერმანელი პოეტის, პუბლიცისტის და კრიტიკოსის ჰაინრიხ ჰაინეს (Heine) (1797–1856) უსათაურო ლექსები, „როცა შევეყრებ“, „ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა“ და ჰ. ჰაინეს მიბაძვით „მეცა მქონია კარგი მამული“;

პოეტის ნიკოლოზ ნეკრასოვის (1821–1877/78) „ნატვრა“;
მწერლის ალექსანდრე პუშკინის (1799–1837) ლექსები: „ჭეშმარი-
ტება“, „ანგელოზი“ და „წინასწარმეტყველი“;
პოეტის მიხეილ ლერმონტოვის (1814–1841) „პაჯი აბრეკი“, „სიზ-
მარი“, „ციცაბი კლდე“, „წინასწარმეტყველი“, ნაწევრები: „მწირი“-დან და
„დემონი“-დან;

კიდევ ერთი უცნობი ავტორის მიბაძვით დაწერილი მცირე მოცულობის
ლექსი „სიხარული“.

მ. ლერმონტოვის პოემის „მწირის“ თარგმნის შესახებ, საინტერესო ცნობას
გვაწვდის პ. ინგოროვცა. იგი წერს:

„ილიას თარგმანებიდან შენიშვნას საჭიროებს პოემა „მწირი“ ლერმონტოვი-
სა. ეს პოემა ილიას უთარგმნია 1859 წელს, სტუდენტობის დროს. თარგმანი
დასრულებული არ არის (თარგმნილია I–IV თავები).

ამ თარგმანში ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი პოემისა, სადაც ილია
სრულებით სცვლის ორიგინალის აზრს.

პირველი თავის დასასრული ლერმონტოვის დედანში, როგორც ცნობილია,
იკითხვის ამრიგად:

„Теперь один старик седой,
Развалин страж полу-живой,
Людьми и смертью забыт,
Считает пыль с могильных плит,
Которых надпись говорит
О славе прошлой – и о том,
Как удручен своим венцом,
Такой-то царь, в такой-то год,
Вручил России свой народ.

И божья благодать сошла
На Грузию! Она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опасая врагов,
За гранью дружеских штыков.“

ილიას თარგმანში ეს სტრიქონები ასეა წარმოდგენილი:

„ეხლა მარტოკა იქ ცოცხალ-მკვდარი,
ნანგრევთა მცველი მოხუცებული,

კაცით, სიკვდილით დავიწყებული –
მტკერსა აშორებს საფლავისა ქვებს,
რომელთ ნაწერნი მოგვითხრობს, გვამცნებს,
ვითარ ჰქონიათ აღრე დიდება,
ვით წართმევათ ბედნიერება,
როს ქართველთ მეფე ამა დ' ამ წელსა
რუსს აბარებდა თვის ერთგულ ერსა.

მას აქეთ რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, –
ღმერთმა იმ რუსსვე ას-კეცად მისცეს.“

როგორც ვხედავთ, ილიას უკანასკნელი სტროფი, თარგმანის ნაცვლად პო-
ლემიკას წარმოადგენს.“ (1, ტ.1, გვ.393).

ილია ჭავჭავაძეს თარგმნილი აქვს აგრეთვე რამდენიმე პროზაული ნაწარ-
მოები:

ფრანგი მწერლის ალფონს დოდეს (Daudet) (1840–1897) სამი
მოთხრობა: „უკანასკნელი გასაკვეთი“, „უბინაო კაცი ნიუიორკში“ და „თურკო-
სი კომმუნელთა შორის“;

თითო-თითო მოთხრობები

სერბი პოეტისა და მწერლის ჯურა იაკშიჩის (1832–1878) „შვილი
მოხუცებულის ჰამზასი“;

გერმანელი ეგვიპტოლოგისა და მწერლის გეორგ ებერსის (Ebers)
(1837–1898) „რამეთუ კაცი ვარ“;

ფრანგი მწერლის ჟიულ კლარეტის (1840–1913) „ერთი უბედურთა-
განი“;

რუსი მწერლის ივანე ტურგენევის (1818–1883) ლირიკულ-ფსიქოლო-
გიური ნაწარმოები „ლექსნი პროზითა“.

ტურგენევის ამ ნაწარმოების შესახებ, გ. შარაძე გადმოგვცემს:

„ლექსები პროზით“ იწერებოდა მწერლის ცხოვრების უკანასკნელ პერი-
ოდში – 1877-82 წლებში...“

„ლექსები პროზით“ გამოირჩევა ღრმა ლირიზმით, თხრობის ემოციურობით,
ფორმის სისხარტით, რაც მას აახლოებს ლირიკულ პოეზიასთან.“ (29, გვ.65).

„ი. ტურგენევის „ლექსები პროზით“ პირველად 1882 წლის დეკემბერში
გამოქვეყნდა პეტერბურგში, „ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ № 12-ში.

გასაოცარი დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1883 წლის დეკემბერში, თბილისში, ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიის“ № 12-ში დაიბეჭდა ქართული თარგმანი: „ლექსნი პროზითა“ თხზ. ტურგენიევისა“ (გვ. 50–61).

ქართულ თარგმანში შესულია ი. ტურგენიევის დასახელებული ციკლის 7 ნაწარმოები: „ბაასი“, „ბებური დედაკაცი“, „ძალი“, „მათხოვარა“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“ (პუშკინი). „სულელი“, „ბელურა“. თარგმანი ხელმოუწერელია, მაგრამ იგი რომ უეჭველად ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, დასტურდება მწერლის სიცოცხლეში და მისი თვალმძივებით 1892 წელს გამოცემული „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა“ III ტომით, რომელშიც ა. დოდეს, ლარრას და სხვათა თხზულებათა ილიასეული ქართული თარგმანების გვერდით შეტანილია „ლექსნი პროზითა“ ტურგენიევისა“. (გვ. 203–219).“ (29, გვ.67)

უნდა აღინიშნოს ფრანგი მწერლის ალექსის ბუვიეს (1836–1892) რომანის, პირველი ნაწილის „დიდებული იზა“-ს, ილიასეული თარგმანი, რომელსაც მწერალმა უწოდა „იზა“. გარდა ამისა ილიას აქვს პუბლიცისტური თარგმანები.

პოეტი და საზოგადო მოღვაწე იოსებ გრიშაშვილი (მამულაიშვილი) (1889–1965) ილიას თარგმნის შესახებ წერს:

„ილია საზოგადოთ კარგი მთარგმნელი იყო, მის მიერ ნათარგმნი ლექსები (პუშკინიდან, ლერმონტოვიდან, ჰეინეიდან, ბაირონიდან) აღსავსეა გრძნობით და ქართული ენის ჟღერადობით:

„ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა,
ღამის ცისკარში უდარდელი გონდოლიერი
ნავსა აბრძოლებს კიდის პირ-პირ ლაჟვარდ წყალთანა,
რინაღღოს, ტანკრედს, ერმინიას ჰმღერს ბედნიერი“. (შენიე).

(23, გვ.270).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ილია ჭავჭავაძის დამსახურება ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის უილიამ შექსპირის (Shakespeare) (1564–1616), ტრაგედიის „მეფე ლირის“ თარგმნისას. ილიას „მეფე ლირისათვის“ ადრევე მიუქცევია ყურადღება. ცნობილია, რომ 1859 წელს, როდესაც ილია პეტერბურგიდან საქართველოში დროებით დაბრუნდა, თბილისის გიმნაზიაში დაუდგამს წარმოდგენა ცოცხალი სურათები „მეფე ლირიდან“. მეფე ლირი თვითონ ილია ყოფილა.

ი. გრიშაშვილი წერს:

„ლტოლვა „მეფე ლირისადმი“ ილიას დიდხანს უტარებია გულში. საზოგადოდ შექსპირი მისი საყვარელი მწერალია. ერთ დროს კრიტიკულ წერილსაც ამზადებდა, სადაც დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო შექსპირის „ჰამლეტი“ და შოთას „ტარიელი“....

როგორც ვიცით, ილიას ეს კრიტიკული წერილი არ დაუწერია. სამაგიეროდ მან პირველობა შეინარჩუნა შექსპირის ტრაგედიების ლექსად თარგმნის საქმეში, რომელიც ასე შესანიშნავად დაავიკრვინა ივანე მაჩაბელმა.“ (23, გვ.267).

1873 წელს, ბანკის საკითხების გამო, ილია ჭავჭავაძეს მოუწია ჩასვლა პეტერბურგში. ბანკის წესდების დამტკიცების გაჭიანურების გამო, იგი იძულებული გამხდარა პეტერბურგში დარჩენილიყო. სწორედ ამ დროს, ილია გაეცნო პეტერბურგის სტუდენტს, ინგლისური ენის შესანიშნავ მცოდნეს ივანე მაჩაბელს. ივანესა და ილიას დაუწყიათ „მეფე ლირის“ თარგმნა.

1873 წელს, პეტერბურგიდან ოლღასადმი გამოგზავნილ წერილში ილია წერს:

„აქაური ამბავი რა მოგწერო: მე უსაქმობის გამო ანგლიურის ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ, რომ მოვალ ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქს თხზულების წაკითხვა შემიძლოს.“ (1, ტ.10, გვ.326).

ამის შესახებ პ. ინგოროყვა წერს:

„ილია იმდენად გაუტაცნია თარგმანის საქმეს, რომ ინგლისურის შესწავლასაც კი შესდგომია, რომ შექსპირის ტექსტს დედანში გასცნობოდა.“ (1, ტ.1, გვ.395).

„ილიას „მეფე ლირის“ თარგმნაში სრულებითაც არ ეკუთვნოდა მეორე როლი; პირიქით „მეფე ლირის“ ქართული ტექსტის ბრწყინვალე პოეტური რედაქცია ძირითადად, ჩანს, არის საქმე ილიასი, ძველი გამოცდილი ოსტატისა.“ (1, ტ.1, გვ.396).

ამავე საკითხის შესახებ ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს:

„ივანე მაჩაბელს, როგორც ინგლისურის მცოდნეს, უეჭველია, შეეძლო დიდი დახმარება გაეწია ილიასთვის. მათ შორის მართლაც გაიბა თანამშრომლობის ძაფი და „მეფე ლირის“ საბოლოოდ გადათარგმნა ორივეს საერთო ძალღონით, თუმცა „მეფე ლირის“ დაბეჭდილ ეგზემპლიარებს, ახალგაზრდა მთარგმნელის წასახალისებლად, ჯერ ივანე მაჩაბელი აწერია და შემდეგ – ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ლირის ქართული ხელნაწერის შესწავლის მიხედვით, „მეფე ლირის“ საბოლოო რედაქცია ილიას ეკუთვნის. ეს შესანიშნავი ტრაგედია ნათარგმნია

ილიასებური ფოლადის სტრიქონებით, ხშირად მძიმე, მაგრამ რიტმული და საზრიანი სტრიქონებით. ივანე მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი კი ყველა ამ ღირსებასთან ერთად, ელასტიურია და არქაული სიტყვებისაგან გაცლილი. ამიტომ არის, რომ ივანე მაჩაბლის შემდეგი თარგმანები („ოტელო“, „ჰამლეტ“ და სხვ.) სრულიად არა ჰგავს „მეფე ლირის“ თარგმანის სტილს.” (22, გვ.268).

როგორც ჩანს, ილიას მიერ იმდროინდელ პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებიდან, თვითონ მას, ნათარგმნი მოსწონდა. 1873 წ. ილია პ. უმიკაშვილს წერს:

„ჩვენი ნათარგმნი ლირი აქამომდე მიღებული გექნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი კრებულში.... ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთენელი აზრი მოიწერო.....

P. S. თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუციით არ ჩამოუვარდება.“ (1, ტ.10, გვ.38).

1874 წლის 1 იანვარს, ილიამ და ივანემ დაამთავრეს „მეფე ლირის“ თარგმნა. ამავე წლის თებერვალში, ოლღასადმი გამოგზავნილ წერილში, ილია წერს:

„აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი. მომწერე, როგორ მოგეწონა შენ და სხვებსაც. მაგას კაი წაიკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს. სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულად გავათავეთ თარგმანი. მე ძალიან მომწონს და სხვისა არ ვიცი. აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთ როგორი თარგმანია.“ (1, ტ.10, გვ.342).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, თვითონ ილია ჭკვევადე, კარგი მხატვრული კითხვის ოსტატიც ყოფილა. მას ხშირად იწვევდნენ საღამოებზედ და შეხვედრებზე მონაწილეობის მისაღებად. იგი კითხულობდა საკუთარ ნაწარმოებებს და აგრეთვე სხვისი პოეტების ლექსებსაც.

ი. გრიშაშვილი წერს:

„ილიას დამახასიათებელი თვისება ყოფილა, სიტყვის კაფიეტად გამოთქმა და სანის ნაკვთთა ათამაშება (მიმიკა). მისი დეკლამაცია იყო ბუნებრივი და შთამბეჭდავი.“ (23, გვ.275).

1873 წელს ოლღასადმი გამოგზავნილ წერილში ილია იწერება, რომ მასთან მისულა პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე (1846–1918), აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის (ჰამუთ-ბეგი) (1811–1865) შვილი და უთხოვნია მისთვის „მეფე ლირის“ წაკითხვა.

„წაველი წასაკითხად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მაიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, წამკითხველი მთარგმნელებს დაგვლოცენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზედ მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, რარიგად კარგად გადმოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი ღვთის მადლით, და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ვიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიჟებულია და ალტაცებაში მოსული.“ (1, ტ.10, გვ.332).

ამ თარგმანს ქართული საზოგადოება სიხარულით შეხვდა. იგი არაერთხელ გამოიცა.

ი. გრიშაშვილს მოჰყავს მსახიობის, რეჟისორის, დრამატურგის, თეატრალური მოღვაწისა და კრიტიკოსის ვალერიან გუნიას (1862–1938) სიტყვები:

„ერთხელ ერთმა მსახიობმა „ლირში“ სიტყვები დაამახინჯა, თვით ივ. მაჩაბელს უთქვამს:

„როგორ შეიძლება ერთი წიხლით ძირს დაანთხოო ილაჯგასაწყვეტი და სათუთი შრომა კაცისა, მერე რა დიდი კაცისა, – ილია ჭავჭავაძის თარგმანი, რომელსაც მთელი ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდა.“ (23, გვ.270).

შექსპირის პირველი მთარგმნელი ქართულ ენაზე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი (1814–1887) „მეფე ლირის“ თარგმნის შესახებ, ილია ჭავჭავაძეს წერდა:

„უძვირფასესო ჩემო კოლეგა ენ. ილია გრიგოლის-ძეე!.....

მიუვუდექ თქვენს ნათარგმნს; კვალში ჩავუდექ მედგრად, შეუპოვრად, დაულალავად. 23-ს ვიწყე და გუშინ ისევ დავკვეცე ეს წიგნები, რათა? ვისიც პატივისცემა მაქვს დანერგილი გულში და არა მარტო ენაზედ, – და მამასა-დამე, ვინც მიყვარს, მინდა რომ იმას წუნი არა ჰქონდეს-რა და თუ შევამჩნიე რამე, პირდაპირ უნდა ვუთხრა... მეგობრულად. მაგრამ თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადივლო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი. შრომა გაგიწვევით დიდი. ნიჭი გამოვიჩინათ შესანიშნავი. – აქვე, ჭადარამოსილი მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანი, აღნიშნავს ერთ შეცდომას, – ერთი შეცდომაა, მხოლოდ ერთად ერთი: კილო – შექსპირის თხზულებაში,

რომელიც კარგა ძველია, ლექსშიც ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდიხანია აღარ ზმარობენ; მაგრამ კილო არის სასაუბრო, კილო, რომლითაც საპატო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ. თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყვლიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი, ეს ყოვლად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკნიათ, არც სად ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმნაზედ, ეს არის, სხვა სრულებით არაფერი...“ (23, გვ.268).

ამავე შენიშვნას აღნიშნავდა აკაკი წერეთელიც, იგი წერილში „თავ. ი. მაჩაბლის გამო“, წერს:

„ერთხელ სადილათ ვიყავით იმასთან და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: მეფე ლირი პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებული! – პირდაპირ ინგლისურიდან, რომ არის ნათარგმნი ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს-მეთქი, ვუპასუხე მე. – გაცხარდა. წამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიღანა წიგნი და დამიღო წინ... აბა გვიჩვენე შეცდომებით! პირველ გვერდზევე მიუვითეთ. გადააბრუნა მეორე, აქაც ამოჩნდა.. ჩაჰყვა ამ გვარად და რომ გამტყუნდა, უკმაყოფილოდ მითხრა: „რაუყვით მერე, განა შენ ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუო?“ მე სიცილი დავიწყე და ვუთხარი: „აქ სიტყვა ჩამოვარდა მეფე ლირზე და მეც ამიტომ ვამბობ! და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით რომ აქაც არ დაგეთანხმებით? – მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა, ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგად არ ვიცოდე, ნუ თუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? – ამ გვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშპება-მეთქი“. გაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია.“ (9, ტ.13, გვ.398).

ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ შესრულებულმა უ. შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანმა მეტად დიდი და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურის მხატვრულ მთარგმნელობით ისტორიაში.

პ. ინგოროყვას თქმით:

„ილიამ, ივანე მაჩაბელთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის გადმოქართულებას, და რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ განაგრძო ივანე მაჩაბელმა.“ (1, ტ.1, გვ.397).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ილია ჭავჭავაძემ, გადათარგმნა ა. ბუვიეს რომანი „დიდებული იზა“.

ამ რომანის თარგმნის შესახებ, ი. გრიშაშვილი წერს:

„ილიას მიერ ნათარგმნი „იზა“, შიგ რომ უცხო სახელები არ იყოს, ქართული რომანი ეგონება მკითხველს.“ (23, გვ.270).

ა. შანიძეს, ამ რომანის, „იზას“ შესახებ, მოჰყავს ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-გამაგრცელებლის, გამომცემლის და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის (1854–1931) სიტყვები:

„ბუვიეს რომანი „იზა“ ჭავჭავაძემ გარკვეული პრაქტიკული მიზნით თარგმნა: ბევრნი უწყიან, რომ ილია ჭავჭავაძე ბრწყინვალე მწერალია და მას არ შეეფერებოდაო, რომ ბუვიეს რომანი „იზა“ ქართულად სთარგმნაო, მასზედ დრო როგორ დაკარგაო, როგორ იკადრა მისი მთარგმნაო, მეც, რასაკვირველია, ასევე ვფიქრობდი და ვერ წარმომედგინა ის, თუ დობროლოუბოვის წერილების მთარგმნელმა და „ცხოვრება და კანონის“ დამწერმა ეს როგორ სთარგმნა! არ ვიცოდი მისი მიზეზი და უკანასკნელ აღმოჩნდა შემდეგი: ი. ჭავჭავაძეს ეს რომანი უფრო იმ აზრით უთარგმნია ქართულს ენაზე, რომ ამის თარგმნით ჩვენი დროის ახალ მთარგმნელებისათვის ესწავლებინა, თუ როგორ უნდა უცხოეთის ენებიდან ქართულ ენაზე თარგმნა; მას სურვებია, რომ ეს რომანი თავისებურის ჩინებულის ქართულის ენით ეთარგმნა და მომავალ თაობისათვის სარკედ მიეცა. ეს ასეც იქმნა და დღეს ამ რომანს დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მთარგმნელები, ამას გარდა, რომანი იკითხება მეტად კარგად, რადგანაც იგი დაწერილია ი. ჭავჭავაძის კალმით ჩინებულის და შეუმცდარის ქართულის ენით. (ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღალადებელი, 1887 წ. გვ. 72-73).“ (3, გვ.120).

ილიამ „იზა“ ჯერ ჟურნალ „ივერიაში“ 1879-80 წლებში გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ 1892 წ. ცალკე წიგნად გამოსცა.

ბ. კეშელავა წერს: „იზას“ ცალკე წიგნად გამოცემისას, ჟურნალში დაბეჭდილი ტექსტი, ილიამ საფუძვლიანად შეასწორა, დახვეწა და ბევრი ნამდვილი ქართული ხალხური გამოთქმა ჩაურთო, რითაც იმდენად გააქართულა ზოგიერთი ადგილი – კითხულობთ და გავიწყდებათ, რომ თარგმანთან გაქვთ საქმე.

საერთოდ, „იზაში“ ილია ჭავჭავაძის ენის სიმდიდრე, სინტაქსური სილალე, ელასტურობა და ლაკონური მოკვეთა წინადადებისა – მისთვის ჩვეული ელვარებით არის წარმოდგენილი....

„იზას“ ქართულმა თარგმანმა თავიდანვე მიიქვია ყურადღება. ამ ნაწარმოებმა მკითხველი იმდენად გაიტაცა, რომ ყოფილა შემთხვევები მთელი რომანის ჟურნალ „ივერიიდან“ ხელით გადაწერისა და მისი ხელნაწერის სახით

ხელიდან ხელში გადაცემისა. მკითხველის ეს ინტერესი დღემდე გრძელდება.“ (30, გვ.388).

ხევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე თარგმნიდა პუბლიცისტურ წერილებსაც. იგი ბევრს მუშაობდა ამ დარგშიც და ჟურნალ გაზეთებში თარგმანს აქვეყნებდა. ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ 1863 წლის VIII ნომერში, დაიბეჭდა ფრანგი ეკონომისტის ფრედერიკ ბასტიას (Bastiat) (1801–1850) ნაშრომი „მძარცველობის ფიზიოლოგიის“ თარგმანი.

ილიამ „თავის ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში 1863 დაბეჭდა დობროლიუბოვის სტატიის „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგების“ საკუთარი თარგმანი.“ (30, ტ.3, გვ.601).

გ. შარაძე, ნ. დობროლიუბოვის წერილის შესახებ წერს:

„ჟურნალისა და ჟურნალისტის „პატიოსნური და მაღალი დანიშნულების“ გავაციეული ქადაგება..... პირდაპირ ეხმიანებოდა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ილია ჭავჭავაძის სულს და გონებას, რომელიც ის-ის იყო ჟურნალისტური საქმიანობისათვის ემზადებოდა. უკეთ რომ ვთქვათ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამოწყებას სწორედ ჟურნალისტური მოღვაწეობით აპირებდა და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებას სწორედ ამ მიზანს უქვემდებარებდა. ამის ნათელი და უტყუარი დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილი „საქართველოს მოამბეზე“, რომელიც „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგების“ გვერდით არის 1863 წელს დაბეჭდილი ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში (გვ. 111-126), უფრო ზუსტად, მას მოსდევს სწორედ ეს უკანასკნელი. ალექსანდრე გავაციის ამ ქადაგებაში გატარებული იდეა ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჟურნალისა და ჟურნალისტის „პატიოსნური და მაღალი დანიშნულების“ შესახებ ხომ ერთ მთლიან ზოლად გასდევდა ილია ჭავჭავაძის ჟურნალისტურ მოღვაწეობას მთელი სოცოცხლის მანძილზე – „საქართველოს მოამბით“ დაწყებული, ვიდრე „ივერიით“ დამთავრებული!

ეს ორი ახალი კონკრეტული მაგალითი, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის № 1-ში ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ნ. დობროლიუბოვის ცნობილი სტატიის „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგების“ მთარგმნელი ილია ჭავჭავაძეა!“ (29, გვ.86).

ფილოლოგი ნოდარ ტაბიძე გადმოგვცემს:

„ილია ჭავჭავაძის თხზულებათა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით პუბლიცისტური ნაწერები, ხელმოუწერლად ქვეყნებოდა. ეს აიხსნება სხვადასხვა მიზეზით. ჯერ ერთი, მეთოდური სტატიის, როგორც სარედაქციო მასალის, ქვეშ ავტორის გვარი ტრადიციულად არ აღინიშნებოდა; მეორეც, ინკოგნიტოდ დარჩენის ტენდენციას განსაზღვრავდა ცალკეულ თხზულებათა მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათი და იმის სურვილი, რომ მკითხველს მასალა მიუკერძოებლად შეეფასებინა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თარგმანებს ილია საერთოდ არ აწერდა ხელს... ამიტომ „ივერიაში“ დაბეჭდილ თხზულებათა არცთუ მცირე ნაწილის ილიასეულობა თავიდანვე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის, ხოლო დროთა განმავლობაში ეს საკითხი კიდევ უფრო გაბუნდოვანდა.“ (35, გვ.164).

„1877 წლის „ივერიის“ მეცამეტე ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია „ვინ არიან ოსნი.“ ეს არის ინგლისური ჟურნალიდან რუსულ სამეცნიერო და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ ჟურნალ „ზნანიეში“ (1877, № 2) გადმობეჭდილი გამოკვლევის თარგმანი. ინგლისელი სწავლული გოუორტი ამტკიცებს, რომ ოსები სარმატების შთამომავალნი არიან. „ივერია“ თანაგრძნობით ეკიდება ამ თვალსაზრისს და დაწვრილებით აცნობს მკითხველებს მეცნიერის საბუთებს...

აღნიშნული თემით „ივერიის“ დაინტერესება შემთხვევითი არაა, რედაქციას სურს პატარა ხალხების (ამ შემთხვევაში ოსების) დიდი ისტორიული წარსული გახაზოს და ამ გზითაც იქადაგოს ერთა თანასწორობა.

სტატიის მთარგმნელი ი. ჭავჭავაძეა. ამას ამტკიცებს კრებული №217, სადაც შეტანილია ხსენებული მასალა. იგივე დასტურდება სტილითა და ტექსტის ანალიზით...

თარგმანი შემოკლებულია. ამოღებულია ისეთი ადგილები, რომელთაც ძირითადი საკითხის გარკვევისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა“. (35, გვ.171).

ილიას უთარგმნია ესპანელი მწერლის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის ლარა ი სანჩეს დე კასტრო (Larra y Sanchez de Castro) მარიანო ხოსე დე-ს (1809–1837) ორი ნაწარმოები: „ვაქებს, ანუ ამასაც ხომ არ დამიშლიან!“ და „რა არის საზოგადოება (პუბლიკა) და სად უნდა ვეძებოთ იგი.“ „ორივე ნაწარმოები ერთნაირი მანერით, ენით არის გადმოქართულებული. მეორე თარგმანშიაც იგრძნობა ილიას ფრაზის წყობა და სიძლიერე.

ლარას ნაწარმოები გამოირჩევა არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარების მძაფრი კრიტიკით.“ (35, გვ.172). ლარამ „ხელი შეუწყო რომანტ.

სკოლის შექმნას ესპანეთში... ლარამ საფუძველი მოუმზადა კოსტუმბრიზმს, ხელი შეუწყო ესპანეთში კრიტიკული რეალიზმის განვითარებას.“ (30, ტ.6, გვ.129).

ყოველდღიურ ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთ „ისარში“ 1907 წ. 2 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით, დაიბეჭდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ამ თოთხმეტი წლის წინად წიგნების გამომცემელმა ქართველთა ამხანაგობამ იკისრა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა დაბეჭდვა. სულ დაიბეჭდა ოთხი ტომი, სადაც მოთავსებულია ყველასაგან ცნობილი ლექსნი და მოთხრობანი... ლექსთა შორის ბლომადაა ნათარგმიც ლექსები. შეროვილია ერთ ტომად.“ მესამე ტომში მოთავსებული ყოფილა პროზაული ნაწარმოები, მათ შორის – თარგმნილებიც და მეოთხე ტომში ყოფილა მარტო რომანი „იზა“. (4, გვ.71).

ბოლო სიტყვა

ამით ჩვენ ვამთავრებთ ნაწილობრივ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და ლიტერატურული შემოქმედების განხილვას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მონოგრაფია – ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიმოხილვა.

ცხადია, ჩვენი საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდი პიროვნება იყო და იმდენად ფართო იყო მისი მოღვაწეობა როგორც საზოგადო, ასევე სალიტერატურო დარგში, რომ ერთ ნაშრომში მისი აღწერა და აღწერა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, მომავალში არა ერთ გამოკვლევას მიუძღვნის ილიას ჩვენი ახალი თაობა.

გავიხსენოთ პ. ინგოროყვას სიტყვები:

„უკვდავია ილიას საქმე.

ილიას სახე დღეს ჩვენ გვინათებს ქართველი ერის დიდ წინაპართა სახეებს შორის.

ჩვენმა თანამედროვეობამ მიიღო ის ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც ილიამ ქართველ ერს უანდერძა...

აღსრულდა აკაკის სიტყვები, რომლითაც იგი გამოეთხოვა თავის დიდ თანამოღვაწე ილიას:

„აწ ილია არ მომკვდარა,

მამულისთვის რჩება ლამპარად“.

ქართველმა ხალხმა უდიდესი სიყვარულით შემოსა სამშობლო ქვეყნის მოამაგის, მამულის ლამპარის, დიდი ილიას სახელი.

ქართველმა ხალხმა მიიღო და შეიტყო დიდი ილიას სიტყვა, ილიას განძი და ანდერძი“. (7, ტ.1, გვ.486).

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი, (1951–1957).
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, თბ., (1987–2007).
3. ილიას სამრეკლო, თბ., 1987.
4. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, თბ., 1989.
5. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, თორმეტ ტომად, თბ., (1979–1982).
6. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის იტორია, ოთხ ტომად, თბ., (1960–1967).
7. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.
8. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978.
9. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, თხუთმეტ ტომად, თბ., (1950–1963).
10. გ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.
11. ტ. სართანია, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2000.
12. გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, ნაწილი I, II, თბ., (1983–1984).
13. პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 1954.
14. ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლ-მხედველობა, თბ., 1962.
15. ა. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1955.
16. ს. ხუციშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1957.
17. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვა ტომად, თბ., (1958–1967).
18. ქართული მწერლობა, ტ. 11, თბ., 1996.
19. ქართული მწერლობა, ტ. 14, თბ., 1997.
20. ს. ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981.
21. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, თ., 1984.
22. ს. ცაიშვილი, ნაკვესები, თბ., 1989.
23. ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1957.
24. გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1963.
25. ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1963.
26. მ. ზანდუკელი, თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში, თბ., 1928.
27. ჯ. ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ., 1983.

28. ქართული პოეზია, ტ.4, თბ., 1975.
 29. გ. შარაძე, პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოემდე, თბ., 1986.
 30. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თერთმეტ ტომად, თბ., (1950–1963).
 31. ბუვიე, იზა, თბ., 1957.
 32. ა. პუშკინი, რჩეული თხზულებანი, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ტ.39, თბ., 1975.
 33. თ. დოიაშვილი, ილიას ლექსთა წყობა, ლირიკა, „ლიტერატურული ძიებანი“, №20, 1999.
 34. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ტ.I, 1935.
 35. „კრიტიკა“, №3, თბ., 1977.
 36. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ცნობები). ყვარელი, ბავშვობა და სიყმაწვილე 1837–1847 წლები, გვერდი 3.
- <http://tbilisio.ge/index.php?/topic/1431-%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%94/page-st-40>

მადლობას ვუხდის ყველას ამ წიგნის გამოცემის
საქმეში თანადგომისათვის.

სარჩევი

შესავალი	3
თავი პირველი. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი.	5
§I. ილია ჭავჭავაძის ყრმობის დროინდელი ლექსები.	5
§II. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში.	17
I. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი პერიოდი. (სტუდენტობის დრო).	24
I. 1. პოეზია.	25
I. 2. პოემა. კაკო ყაჩაღი.	76
I.3. პროზა.	90
I. 3. 1. გლახის ნამბობი.	90
I. 3. 2. კაცია—ადამიანი?!	115
I. 3. 3. მგზავრის წერილები. ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე.	146
თავი მეორე. ილია ჭავჭავაძის ჩამოსვლა საქართველოში.	164
I. ილიას ლიტერატურული შემოქმედების მეორე ხანის პირველი ნახევარი (1861–1868).	164
I. 1. ლირიკა.	166
I. 2. პროზა.	170
II. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემოქმედების მეორე დროის მეორე ნახევარი. 1864 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე.	172
II. 1. ლირიკა.	173
II. 2. პოემები.	216
II. 2. 1. აჩრდილი.	217
II. 2. 2. ქართველის დედა.	240

II. 2. 3. მეფე დიმიტრი თავდადებული.	245
II. 2. 4. განდევნილი.	264
II. 3. პროზა.	284
II. 3. 1. სარჩობელაზედ.	286
II. 3. 2. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი.	296
II. 3. 3. ამბავად გაგონილნი.	299
II. 3. 4. ოთარაანთ ქვრივი.	300
2.3.5. დაუმთავრებელი მოთხრობები.	332
II. 4. სცენები და პიესა.	335
თავი მესამე. ილია ჭავჭავაძე და თარგმანები.	351
ბოლოსიტყვა	369
გამოყენებული ლიტერატურა.	370